ტომი II

<u>ნ ა დ ი რ ო ბ ა</u>

უქმად გატარებული დღე

არიელ : ჩუ, ისინი ღმუიან.
პროსპერო : მაშ, დაე ნადირობა იყოს ნამდვილი.
(შექსპირი «მეთორმეტე ღამე»)

ვაჟა ჯანდიერი გრძელი, იტალიურ კინოებში ნახული ნაბიჯებით ჩაუყვა თავის დაღმართს. თხელი თოვლი ფეხქვეშ უდნებოდა. გადნობილზე ახალი ფიფქები თავს ვეღარ იკავებდნენ. უცებ ქრებოდნენ ისინი.

თოვდა.

მერე ის სწორ გზაზე გავიდა: აქ თოვლი სულ ტალახად იყო ქცეული: ქუჩის თავში აფთიაქი იყო, მერე ინსტიტუტი, მერე რესტორანი, მერე საშაქარლამო, მერე ისევ რესტორანი, მერე რუსთაველის გამზირი: ფოთლებგაცვენილი ხეივანი. მარადმწვანე გრძელი ბაღჩები წარწერებით: **გაზონებზე არ იაროთ**. გამზირის შუაში ლაღიძის წყლების წარწერა ეკიდა; ვაჟა ქვედა სართულში ჩავიდა. კედლის საათი უკვე თორმეტს უჩვენებდა.

_ ბოდიში, _ თქვა მან. _ რომელი საათია?

გრძელწამწამებიანმა და მოხატულწარბებიანმა მომტანმა ქალმა თეთრი ქუდი შეისწორა, მერე კბილები გამოაჩინა.

_ აგერ საათი, _ ხელი გაიშვირა კედლისკენ.

ჯანდიერს ჩაეღიმა.

_ ერთი «თბილისი», ერთი ხაჭაპური.

_ როგორი, «სლაიონი» თუ «აჭარსკი».

_ «სლა-ი-ო-ნი».

ორგრადუსიანმა წყალმა მადა გაუღვიძა. კიდევ მოითხოვა ერთი.

_ ჩემზე რამდენია, _ თქვა მან.

_ ათი და რაღაც კაპიკები.

ვაჟამ თხუთმეტი მანეთი დადო.

_ ბოდიში, რომელზე ხურავთ? _ ისევ თქვა მან.

_ თორმეტზე, _ მომტანმა ისევ შეისწორა ქუდი.

_ თქვენი სახელი? _ უცებ მოჭრა ვაჟამ.

_ რაში გჭირდებათ? _ კიდევ გამოაჩინა კბილები მომტანმა.

_ როგორ? _ ვაჟამაც გამოაჩინა კბილები.

ვიღაცა გვერდით მაგიდიდან აწკარუნებდა ჭიქაზე: მომტანი თეძოების რხევით წავიდა შეკვეთის მისაღებად.

ვაჟა კიდევ იჯდა.

მომტანმა ყველაფერი მიიტანა, მერე ჩასუქებული, ლოყებღაჟღაჟა კაცის თხოვნით მიტანილი შამპანურიდან ერთი ჭიქა შესვა. კაცმა ახლა კიდევ რაღაცა სთხოვა.

ვაჟა იჯდა.

მომტანმა ორი შოკოლადი მიუტანა იმას: მან ერთი თვითონ აიღო, მეორე ქალს მისცა. ფეხზე მდგარი მომტანი დიდხანს ელაპარაკებოდა ლოყებღაჟღაჟას.

ვაჟა წამოდგა.

მიიხედა.

ისინი ისევ საუბრობდნენ.

გრძელი ნაბიჯებით მივიდა კიბემდე.

მიიხედა და თითო საფეხურის გამოტოვებით აუყვა: გარეთ ისევ თოვდა. ქვაფენილის ნაპირებში თეთრად ჩაწყობილიყო ფიფქი. ქუჩა ტალახიანი იყო: მოწყენილი ტროლეიბუსები წითლად ანთებულ შუქნიშანთან იდგნენ: ვაჟამ მძღოლს გაუღიმა: წინა კარი გაიღო: ის სწრაფად ახტა შიგ. ისევ დაიხურა. ტროლეიბუსთან ვიღაც ხანშიშესული კაცი მოვარდა კოჭლობით: მძღოლმა კარი არ გაუღო.

ახლა ტროლეიბუსი რუსთაველის ძეგლთან გავიდა. მსუბუქი მანქანები ქვევით უხვევდნენ. ტროლეიბუსმა კი რაიკომს ჩაუარა, მერე ბაზარს, მერე კიროვის ბაღს, მერე აბრეშუმსაქსოვ ქარხანას, რომლის კარზე მემორიალური დაფა იყო გაკრული; «სტალინური მარშრუტი» მოაგონდა ვაჟას და გაეღიმა: რატომღაც სკოლა და ბუზღუნა ავტობუსის შოფერი გაახსენდა.

თერთმეტსართულიანთან ისევა თოვდა.

მენავთეთა სახლში ლიფტი თორმეტი საათიდან მუშაობდა. ვაჟამ ვიღაცა გამვლელს საათი ჰკითხა: მესამე დაწყებულიყო.

მელიფტე ქალმა ალმაცერად შეხედა მყუდროების დამრღვევს: საქსოვ ჩხირებზე ნახევრად ამოყვანილი წინდის ყელი მაგიდაზე დადო და კარი მოაჯახუნა.

_ მეხუთე, _ თქვა ვაჟამ.

მელიფტემ ხელი დააჭირა ღილაკს.

_ გმადლობთ, _ თქვა ვაჟამ.

მელიფტემ კარი მიიხურა.

ვაჟამ დარეკა.

კარი ნოდარმა გაუღო.

ჯანდიერმა აიყვანა და აკოცა; მერე ბაბუასთან შევიდა ოთახში: გადაკოცნა: მოხუცს თვალებზე ცრემლი მოადგა: კიდევ გადაკოცნა.

_ როგორ ხარ, ბაბუა? _ დაიწყო ბაბუა სიმონმა.

_ თქვენ როგორ, ბაბუა? _ თქვა ვაჟამ.

_ რას იზამ, ვზივარ.

_ მოკეთებულხართ.

_ კაი ერთი, _ მოხუცს თვალები გაუბრწყინდა.

_ უსინდისო ვიყო, _ თქვა ვაჟამ.

_ კაი, კაი, _ აუჟღერდა ხმა ბაბუას და ულვაშებზე ხელი გადაისვა;

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა:

კედლის საათი არ ტიკტიკებდა:

_ საათი სად არის, ბაბუ?

_ გაფუჭდა.

ისევ სიჩუმე:

ბაბუამ და შვილიშვილმა პაპიროსი გააბოლეს.

_ საწამლავია.

_ აბა!

_ კიდევ კარგად ვუძლებ, _ თქვა ბაბუამ.

_ მშვენივრადა ხართ, _ თქვა ვაჟამ.

_ რას ვიზამ.

ისევ სიჩუმე.

ბაბუამ ახლა მეორე გააბოლა. «დღესაც ვერაფერი გავაკეთე», გაიფიქრა ვაჟამ: უკვე მეათე დღე წაუვიდა უქმად: არც უნდოდა წერა _ დღეს კი რატომღაც მოუნდა, მერე უფრო მოუნდა; მანაც გააბოლა: კიდევ მოუნდა: «აქ რას დაწერ», _ გაიფიქრა, «ან რა მოგივა თავში, ეს დღეც დაკარგულია, ერთი მაგისი», უფრო მოუნდა წერა. ვაჟა ფიქრებში წავიდა: არც ერთი ძველი ჩანაფიქრი, რომელიც გაცივდა, აღარ მოეწონა. საფეთქლები გაუხურდა. ხელები აექავა.

ბაბუა თვლემდა.

დარეკეს.

ნოდარი ვიღაცას შემოუძღვა.

_ ვინ არის? _ გასძახა სიმონმა.

_ არავინ: მოსამსახურეა, _ თქვა ვაჟამ.

_ ძაან გოგოა, _ თქვა მოხუცმა.

_ ეტყობა.

_ ნამეტანი გვასიამოვნა.

_ ეტყობა, მარჯვეა.

_ რას ვიზამთ, _ თქვა ბაბუამ.

ისევ სიჩუმე: სამზარეულოდან თეფშების ჩხარუნი ისმოდა.

_ ერთ წამს არ გააჩერებს ხელს, _ თქვა ბაბუამ.

_ ეტყობა: ყოჩაღი ჩანს, _ თქვა ვაჟამ.

ისევ სიჩუმე. მოხუცს პაპიროსი ჩაუქრა. ვაჟამ ახალს მოუკიდა.

_ გაწყენს, ბიჭო, _ თქვა სიმონმა.

_ ჰო:, საშინელია, _ თქვა ვაჟამ.

_ გადაეჩვიე.

_ ძნელია.

_ კოტე გადაჩვეულა, _ თქვა სიმონმა.

_ ვიცი.

_ საიდან?

_ მოყვა თვითონ, გუშინ იყო ჩვენსა.

_ აქაც იყო, ნამეტანი მოსუქებულა.

_ ჰო, ძალიან უშველა.

_ მეც უნდა დავანებო, _ თქვა ბაბუამ.

_ კოტეს მოხდომია, _ თქვა ვაჟამ.

სამზარეულოში მოსამსახურე ქვაბსა ხეხავდა. «რა გახდა კოტე», გაიფიქრა ვაჟამ, «ყველას უყვება, რო პაპიროსს თავი დაანება». მისი ამბავი მთელმა ნათესაობამ იცოდა. «რა გახდა კოტე», ისევ გაიფიქრა მან, «დიდი ამბავი, თუ პაპიროსს თავი გაანება».

_ ნამეტანი მოსუქებულა, _ თქვა ბაბუამ.

_ კარგი კაცია, _ თქვა ვაჟამ.

ახლა სამზარეულოშიც სიჩუმე იყო.

«კოტე, კოტე, კოტემ პაპიროსს თავი დაანება, ყველას უყვება, დიდი ამბავი, თუ კოტემ თავი დაანება, ან თუ მოსუქდა, როგორ თუ: «რატო არ უნდა მოუყვეს», მოუვიდა თავზე ბრაზი, «მაგისთვის ყველაფერია, ამბავია, აბა სცადე, დაანებე შენ, მაგისთვის ამბავია. შენთვის, იმან რო დაანება, არაფერი, სხვისთვისაც არაფერი: კოტე, კოტემ რომ პაპიროსს თავი დაანება, ჰო, ჰო, აი, ჰო, იქ, ჰო ... ჰოპ, ჰოპ»_ ვაჟას

საფეთქლები ისევ აექავა, მერე უფრო მოექავა, მერე უფრო, ისევ მოუნდა წერა, წერა: იდეა იყო, მშვენიერი იდეა _ კოტემ პაპიროსს თავი დაანება, უხარია: ყველას უყვება: ყველას უხარია, რო კოტე გასუქდა: მაშინვე ივიწყებენ _ ჯამი: დიდი რამე თუ კოტემ პაპიროსს თავი დაანება, დიდი რამე. სიმონს გაუხარდა: მაშინვე დაავიწყდა: თუ ძალიან გაუხარდა, ან არ დაავიწყდა, იმიტომ, რო შეიძლება თვითონაც მოიკეთოს, თუ შეეშვება წევას. ისე მოხუცმა ახლა მოიგონა მხოლოდ; ალბათ, აღარც ახსოვს. ახლა დასაწერმა დიალოგებმა გაურბინეს თავში: «დავიწყებ ჩვეულებრივ», ფიქრობდა ვაჟა. «მერე ამოვალ აქ: აქ ზის კოტე, იქ ვასო, იქ ბაბუა: იგონებენ ბებიაჩემს: ისმება მისი ხსოვნის სადღეგრძელო თუ შესანდობარი.

_ კარგი ქალი იყო ძალოა ჩემი, _ თქვა ვასომ.

_ეჰ, ღმერთმა შეიწყალოს, _ თქვა კოტემ.

_ ცოდვა ვარ, ცოდვა, უმისოდ, _ თქვა ბაბუამ და ცრემლები წამოუვიდა.

თითო ღვინო დალიეს.

_ სიმონ, ნუღა დალევ, გაწყენს, _ თქვა ვასომ.

_ აღარ გინდა, ძია, შარდი, შეგეხუთება, _ მიუბრუნდა კოტე.

_ სწორი ხართ, სწორი. ცხონებული ანეტაც მაგას მეხვეწებოდა, _ ბაბუას თვალებზე ცრემლი მოადგა.

_ ჰოდა, მისი ხათრით, _ დაიწყო კოტემ.

_ აპა, აპა, _ ცრემლი მოიწმინდა ბაბუამ.

_ სიმონ ირაკლიჩ, პაპიროსსაც რო თავი დაანებოთ, ჰა?

_ აჰ, არ შემიძლია.

_ მე ხო დავანებე, _ თქვა კოტემ.

_ დაანებე? _ გაიკვირვა ბაბუამ.

_ აბა, უკვე ორი კვირაა.

_ მიტო მოსუქებულხარ მასე.

_ მისწრებაა, მეც უნდა დავანებო, _ თქვა ვასომ.

_ ნებისყოფა უნდა, _ თქვა კოტემ.

ოთახში რძალი შემოვიდა.

_ პაპიროსს თავი დავანებე, ქეთო.

_ ჰო, თავიდანვე მოკეთებული მეჩვენე.

_ ძაან მომიხდა.

_ ნეტა ჩემი ქმარიც დაანებებდეს.

_ კარგს იზამდა.

_ მამა, შენც რო შეეშვებოდე, არ იქნებოდა ურიგო.

ისევ დაასხეს ღვინო.

_ კარგი ცოლქმრობა გქონდათ, _ უთხრა ვანიამ სიმონს.

_ ნამეტანი, ნამეტანი, ერთმანეთის წყენა არ გვახსოვს.

_ ჰოდა, მისი ხათრით დაანებე პაპიროსს თავი, _ თქვა რძალმა.

_ კაი, აბა ვცდი.

_ ხო ხედავ, მე როგორ ვარ, _ თქვა კოტემ.

_ ნამეტანი მოსუქდი.

_ გაგიმარჯოს, სიმონ ირაკლიჩ, _ დალია ვასომ, დალია კოტემ, მოსვა ბაბუამ.

დარეკეს: ოთახში სიმონის ვაჟი ოთარი შემოვიდა, ხელში ნოდარი ჰყავდა აყვანილი.

_ მამა, მამა, _ იძახდა ნოდარი, _ კოტე ძიამ პაპიროსს თავი დაანება.

_ მართლა, კოტე? _ ჩამოსვა ოთარმა ნოდარი ძირს.

_ აბა, კაცო, ორი კვირაა.
_ მაშ, მაღარიჩი შენზეა, მოსუქებულხარ.
_ ნამეტანი გასუქდა, _ თქვა ბაბუამ.
_ თავს ვიწამლავთ, _ თქვა ვასომ.
რძალმა ცარიელი ჭიქა მოიტანა: ოთარს პალტო გახადა.
_ დალიე დედაშენის შესანდობარი, _ თქვა კოტემ.
ოთარმა მოსვა.
ბაბუას თვალებზე ცრემლი მოადგა.
_ ძალიან კარგად კი ხარ, _ თქვა ოთარმა.
კოტემ ლოყაზე მოიკიდა ხელი.
_ ნამეტანი მოსუქდა, _ თქვა სიმონმა.

ოთახში ნოდარი შემოვარდა, უკან პატარა ძმა მოსდევდა.
ვაჟამ ფიქრი შეწყვიტა.
_ როგორა ხართ, ბაბუ, _ თქვა ვაჟამ.
_ რაფერ ვიქნები, შვილო, _ აუჟღერდა ხმა ბაბუას.
_ რომელი საათია ნეტავი?
მოხუცმა ჯიბიდან ძველებური საათი ამოიღო, თვალებთან მიიტანა.
_ მეექვსე დაიწყო.
ვაჟა წამოდგა.
_ წავალ, ბაბუა.
_ წადი, ბაბუ, წადი.
შვილიშვილმა გადაკოცნა და კიბეზე დაეშვა: გარეთ თოვლი აღარ მოდიოდა. ციოდა. მსუბუქი ნაბიჯებით აუყვა აღმართს.
ეღიმებოდა:
ფიქრობდა კოტეზე, ახალ იდეაზე.
ეღიმებოდა:
უნდოდა წერა, მაგრამ შინ არ წავიდა. «როცა უფრო მომინდება, მაშინ წავალ, ჯერ ჩაჯდეს თავში კარგად, დიალოგებიც დაიხვეწება», გაიფიქრა და ამხანაგს შესძახა.
_ ბიჭო, წამო კინოში, _ თქვა ვაჟამ.
_ რა გინდა.
_ ცივა.
_ წავიდეთ.
ბილეთები თავისუფლად იყიდეს: კინოში ცოტა ხალხი იყო:
აქაც ციოდა.
ვაჟამ პალტო გაიხადა, მერე მოისხა, უფრო თბილად გაეხვია შიგ.
_ ცივა, _ თქვა გურამმა.
_ ცივა, ჰო, _ უფრო გაეხვია პალტოში ვაჟა.
გაისმა მუსიკა.
_ ჩინეთია, _ თქვა გურამმა.
ეკრანზე ჩინელებს რკინიგზა გაჰყავდათ. მერე უნგრეთის საზღვარი გამოჩნდა: საკვანძო გზაზე სატვირთო შემადგენლობები იდგა: ფაშისტური ტერორისაგან განადგურებულ უნგრეთს საბჭოთა კავშირი საქონელს აწვდიდა: «ორმოცდაათი ათასი ტონა შაქარი უფასოდ», ამბობდა დიქტორი. მატარებელი დაიძრა ბუდაპეშტისკენ. მემანქანემ ვალდებულება აიღო, დროზე ადრე ჩაეტანა ტვირთი დედაქალაქში.

ვაჟა კიდევ უფრო გაეხვია პალტოში.

მერე საფეთქლები აექავა.

ვ ე ნ ა ც ე კ ვ ა ვ ს. _

ეწერა ეკრანზე.

ახლა ამერიკული მარკის ავტომანქანა მიჰქროდა ეკრანზე: ისმოდა ჯაზის ხმები: კიდევ ჯაზი: მერე კიდევ. ქუჩის ბოლოში ვიღაცა ვიოლინოზე უკრავდა, ისმოდა მელოდია შტრაუსის ვალსიდან: მელოდიას ჯაზი ახშობდა.

ვიღაცამ მუსიკოსს ფული ჩაუდო, მერე თავის მაღაზიაში შევიდა.

მუსიკის ხმები მიწყდა:

საკომისიოში ამერიკელი ქალი მაგიდის თაობაზე ევაჭრებოდა ახლად შესულ მეპატრონეს. ქალმა პატარა საწერი მაგიდა იყიდა, მაგრამ ფული თან არა ჰქონდა. მეპატრონეს ერთი გაფუჭებული ადგილის შეკეთება სთხოვა და ფულზე წავიდა.

კარი გაიღო.

_ ჯაზი შემოვარდება, _ თქვა გურამმა.

_ ალბათ, _ თქვა ვაჟამ.

გაისმა ჯაზის ხმა.

მერე ვიოლინოს.

ქალი ფულზე წავიდა.

მეპატრონემ კარი მოიხურა.

მუსიკა შეწყდა:

მან იარაღები აიღო და მაგიდის პატარა უჯრა გახსნა, რაღაც რვეული და უზალთუნი აღმოჩნდა:

დაიწყო კითხვა:

დღიური შტრაუსის მამის შეყვარებულისა იყო.

დაიწყო ფურცვლა: წამოვიდნენ მოგონებები:

ახლა ეკრანზე ძველი ვენა გამოჩნდა.

ისევ მოგონებები.

_ დაიწყო ძველი სიმღერა, _ იხუმრა გურამმა.

_ ჰო, _ თქვა ვაჟამ.

_ უკვე ვეღარ ვიტან მოგონებებს.

_ აბა, წავა ახლა ეტლები.

_ და ვიწრო, შავი ქუჩები.

_ ერთი მაგათი.

_ გაუშვი, ერთი.

ეკრანმა რაც შეიძლება მოიწყინა: კარეტაში შტრაუსი მამა თავის შეყვარებულთან ერთად იჯდა.

_ წავიდეთ, _ თქვა ვიღაცამ უკანა რიგიდან.

_ გინდა დავიძინოთ, _ თქვა გურამმა.

_ მეტი რა დაგვრჩენია, _ თქვა ვაჟამ.

«სისულელე ჩემი, რო წამოვედი, წავსულიყავი სახლში, რამეს დავწერდი», ფიქრობდა ვაჟა. ეკრანზე კადრები ჭიანურდებოდა.

ჯანდიერმა წინა სკამის ზურგზე დადო თავი, ახლა ცალი თვალით უყურებდა სურათს. სულ მოიწყინა. ახლა შტრაუსი თავის ოთახში იჯდა: წერილი დაწერა ცოლთან ოჯახის სამუდამოდ მიტოვების შესახებ: რატომღაც არ მოეწონა: დახია. მერე როიალს მიუჯდა: გაისმა ვალსის ხმები: ახალი მელოდია იბადებოდა. გარეთ ეტლმა გაიარა. შტრაუსი წამოდგა: ფანჯარა გააღო: ოთახში სიცივე შემოვარდა, თან

მუსიკის ხმები შემოიტანა: ხმები ძლიერდებოდნენ: კომპოზიტორმა თვალები დახუჭა და საფეთქლებზე ხელი მოიჭირა:

ახალი მელოდია იბადებოდა.

_ ეგ ძველია, _ თქვა გურამმა: ჩუმად მოუკიდა პაპიროსს.

_ ჰო, ყველგან ერთი და იგივე.

_ გახსოვს «მუსორგსკი»?

_ რაღა ის, «ჯუზეპე ვერდი» აიღე.

_ საერთოდ ყველგან.

გურამმა ბოლი გაუშვა: ვიღაცა წინა სკამზე შეიშმუშნა. «მართლაც ყველგან ერთი და იგივეა: როგორ მოსდით აზრები მუსიკოსებს», ფიქრობდა ვაჟა, მერე მოაგონდა, რომ კლუზომ პიკასოს შემოქმედების პროცესიც გადაიღო; ისევ აექავა საფეთქლები: «რა შუაშია პიკასო, მითუმეტეს კლუზო, კლუზო რეჟისორია, მაინც რა ხოშიანად გადაიღეს, ვინ იფიქრებდა, ნეტა მაჩვენა ის კინო», ფიქრობდა ჯანდიერი, მერე კოტე მოაგონდა რატომღაც, დღევანდელი იდეა, რომელიც ბაბუამისთან დაებადა, როგორ დაებადა; ისევ წამოახურა. საფეთქლები ოდნავ აექავა: ძალიან მოუნდა წერა: _ «ე.ი. კოტე პაპიროსს გადაეჩვია, უხარია, უხარია, ჰო, ა!»

_ ა! _ თქვა ხმამაღლა.

_ რა ა? _ იკითხა გურამმა.

_ არაფერი.

ფიქრები გაიფანტა, ახლა მხოლოდ ბუნდოვნადა გრძნობდა: შეეძლო დაეწერა იდეის მოსვლაზე, მუსიკოსის მუზის მოსვლის მსგავსი ან უფრო კარგი ან უფრო ცუდი; უფრო მოუნდა წერა, მერე უფრო: ერთი დიდი აზრი იყო.

ახლა უყურებდა კინოს და არაფერზე არა ფიქრობდა. კინოში კარეტა მოძრაობდა, მერე ხალხი ცეკვავდა, უკრავდა ვალსი, ბოლოს შტრაუსი მამა მოკვდა: მგონი ცხედართან მისი უფროსი შვილი მივიდა: მიდიოდა კინო, მერე დამთავრდა: ეკრანზე დიდი ასოებით ეწერა:

КОНЕЦ

აინთო სინათლე:

_ აღარ გათავდა დალოცვილი, _ თქვა გურამმა!

_ რა?

_ რა და კინო.

_ ჰო, _ თქვა ვაჟამ.

გარეთ ისევ ციოდა.

ბნელოდა.

სახლის კარები დედამ გაუღო.

ოთახში თბილოდა და შემწვარი ხორცის სუნი იდგა.

_ რა ტყუილა ყიალობ, ბიჭო, მთელი დღე, _ თქვა დედამ.

_ ო, ეგ დატვირთულია, _ ირონიულად გაიღიმა მამამ.

_ რა ვქნა აბა? _ თქვა ვაჟამ.

_ რამე გააკეთე, წელს ამთავრებ, _ თქვა მამამ.

_ არ მინდა ინჟინრობა.

_ როგორ არ გინდა?

_ ისე.

ოთახში თბილოდა.

ვაჟამ რაღაცის კითხვა დაიწყო.

_ მოდი, ვისადილოთ, _ თქვა დედამ.

_ სულ მშიერი დაყიალობ, _ თქვა მამამ.
სუფრას შემოუსხდნენ:
სადილი გემრიელი იყო.

წელი [1957]. იანვრის 31.

<u>მ ო უ ნ დ ა</u>

მერე თეზიკამ წინა ფეხებით შეაღო კარი. ისევ უკან გადახტა. შემდეგ ისევ შეაღო; ისევ გადახტა უკან.

_ მობრძანდით, _ გაიცინა გურამმა.

_ იყოს ეგრე, _ თქვა ვახომ.

_ არა, ცივა, _ თქვა რუსიკომ.

კართან თხელი თუნუქის ღუმელი იდგა. მერე იჯდა გია პალტოთი. ოთახში ცხელოდა. მას გრძელი ფეხები ოთახის შუამდე ჰქონდა გაჭიმული; ზურგით თეთრ კედელს ეყუდებოდა. პალტო კირით შეღებოდა. გიას გვერდზე ნანა იჯდა. აპრეხილი ცხვირი წინ გაეშვირა, თვალებით მაგიდას უყურებდა. ფიცრის მაგიდაზე ექვსი კაცი «დურაჩკას» თამაშობდა. მარინე ოთახის მეორე ბოლოში მართავდა პატეფონს. მის გვერდით მეორე გურამი იჯდა.

_ მარინე, _ თქვა მან.

_ რა?

_ არი ერთი იაპონური წამება.

_ ?

_ ორი კვირა უკრავენ საუკეთესო ფირფიტას.

_ მერე?

_ განუწყვეტლივ უკრავენ.

_ ორი კვირის ბოლოს რა?

_ ორი კვირის ბოლოს მისჯილი გიჟდება.

_ ვინც უკრავს?

_ მაგნიტოფონზეა ჩაწერილი, _ გაეცინა მეორე გურამს.

სათამაშო მაგიდის მარჯვნივ კედლამდე ორი ტახტი იყო გაჭიმული. გარეთ გატანილი ტახტებიდან მასზე ეყარა ლეიბები, საბნები და არეული ზეწრები. ზედ ვაჟა ჯანდიერი იწვა და თვლემდა.

ახლა მაგიდასთან მოგებული სამეული წაგებულს სამი კარტით დარჩენილის რაოდენობას ურტყამდა ცხვირში.

იდგა ხმაური.

უფრო ახმაურდნენ:

ვიღაცას არ უნდოდა დაწითლებული ცხვირით სიარული.

ვაჟა გამოფხიზლდა. მთელი მუთაქები კედელს ააყუდა და მიეყუდა: აქედან კარგადა ჩანდა ოთახი: ღუმელთან პალტოჩაცმული გია იჯდა, გვერდზე ცხვირაპრეხილი ნანა ეჯდა. აქეთ მხარეს, მისგან მარცხნივ, მარინე ფირფიტას უყურებდა. ის კი ტრიალებდა და იმავე ხმებს გამოსცემდა, რასაც წინა დღეს, იმის წინა დღეს, დღეს დილით და საერთოდ მთელი კვირა. გვერდზე მეორე გურამი ეჯდა. მის /ვაჟას/

პირდაპირ სამი მოთამაშის ზურგი მოჩანდა, ორის სახე, ერთს აქეთ მჯდომის ზურგი ფარავდა. ვაჟა უფრო მოხერხებულად მოეწყო.

ცხელოდა.

ლამფის შუქი თვალებში უჭვრიტინებდა.

ცხელოდა.

ახლა ოთახის შუაში მარინე და მეორე გურამი ცეკვავდნენ. გია პალტოში ეცეკვებოდა ნანას.

_ გაიხადე პალტო, _ თქვა ნანამ.

_ არ მინდა.

_ რატომ?

_ რახან ერთხელ არ გავიხადე.

_ მერე რა?

_ არ მინდა.

ერთი წყვილი მოშორდა მაგიდას. მათაც დაიწყეს ცეკვა.

ვაჟამ თვალები დახუჭა, «ნეტა ლეილა აქ იყოს», გაიფიქრა, მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი. მისი თავიდან თავისი ხელით აჭრილი ხშირი თმა მოსინჯა. ესიამოვნა.

თმის შეხებისას ყოველთვის ცხადად წარმოიდგენდა მას.

_ ვაჟა, _ დაუძახა თინამ.

ვაჟამ თავი ასწია.

_ მოდი, ვიცეკვოთ.

ჯანდიერი ნელა ჩამოვიდა ტახტიდან და სქელლანჩიანი სამთო-სათხილამურო ფეხსაცმელების შეკვრას შეუდგა ორმაგი თასმით. მძიმე ფეხსაცმელებში ცეკვა უზომოდ სიამოვნებდა. თინა მიჰყვა. გოგოს სახე ეწოდა. ვაჟი წერტილებით ცეკვავდა. «ახლა ტრიალია», გაიფიქრა მან, მაგრამ არ შემოტრიალდა. მუსიკა სასიარულო ილეთზე გადავიდა.

ცხელოდა.

ადგილი ცოტა იყო და თითქმის ადგილზე ცეკვავდნენ. თინას ძუძუ ვაჟას იღლიის ქვეშ მოხვდა. მოუჭირა. გაყუჩნდნენ.

ცეკვავდნენ.

ცხელოდა.

კარი გაიღო.

_ თეზიკაა. _ თქვა გურამმა.

ოთახში თამაზი შემოვიდა.

_ სტუმრებს არ მიიღებთ? _ თქვა მან.

_ სიამოვნებით.

_ მოვიდნენ რა.

რამდენიმემ სათამაშო ადგილი დაიკავა.

ახლადმოსულები ბევრნი იყვნენ; ვაჟა იჯდა და უყურებდა: ლალის ფეხსაცმელზე მოდებული თოვლი ადნებოდა. ის კი გადაჭრილ კუნძზე იჯდა და დიდი თვალებით ჭერს უყურებდა, შემდეგ შავი თვალები ლამფას გაუსწორა, მერე დაიხარა და ტუჩები შეკუმშა. ისევ გაშალა.

ცხელოდა.

თხელი თუნუქის ღუმელიდან ბოლი ამოდიოდა და თვალებსა წვავდა. ვაჟამ მოხუჭა ქუთუთოები.

ლალის ტუჩები ისევ მოძრაობდნენ:

სულ ნელა.

ვაჟა გაიზმორა: სულ შეუმჩნევლად; მერე ცხვირსახოცის ამოსაღებად ჯიბეში ჩაიყო ხელი; უსიამოვნოდ შეიშმუშნა: ლეილას თმა ოფლისაგან იყო დასველებული.

ოთახი მოათვალიერა. სცადა ჯიბიდან ხელის ამოღება. ტყუილა. თმამ უფრო შეზარა. რატომღაც მთაში დაღუპული გოგო მოაგონდა, თმით რო ამოათრია ნაპრალიდან და შეზარა. «მკვდარია თმა», გაუელვა თავში.

_ ვაჟა.

_ ?

_ მოდი, ვიცეკვოთ, _ თქვა ლეილამ.

ვაჟი გრძნობდა ქალს. ვიღაცეები გარშემო ცეკვავდნენ. ერთმა გოგომ თვალი ჩაუკრა. თინა იყო.

_ ჰო, _ თქვა ვაჟამ.

_ რა ჰო? _ იკითხა ლეილამ:

_ არაფერი.

_ აქ კარგია ტრიალი, _ თქვა ლეილამ.

სატრიალო მუსიკა დამთავრდა. ნათქვამი გვიან გაიგო ვაჟამ. გვიანვე შემოატრიალა: ლეილას გაეღიმა.

ახლა ვაჟა ფეხგაუხდელი იწვა ტახტზე. ბუნდოვნად ახსოვდა, რომ თმა როცა შეაჭრა, თავისთვის სამახსოვროდ, ლეილა ტიროდა. ის კი ეუბნებოდა, რომ ქალღმერთების ხარკიაო ასეთი. ის ამბავი მოაგონა, როცა ნადირობის ქალღმერთ დალის სულკალმახმა თმა შეაჭრა გამოქვაბულში და პირველი სიყვარული მოსტაცა. «ნეტა შეინახა სულკალმახმა ის თმა», გაუელვა თავში: თავისივე სისულელეზე გაეცინა. «გავალ თუ არა გარეთ, გადავყრი», თქვა გულში.

ცხელოდა.

ვაჟამ პიჯაკი გაიხადა.

ცხელოდა.

მერე ისევ ჩაიცვა.

სტუმრები იშლებოდნენ: ვაჟამ ლეილა გააცილა. იქით გზაზე სიცივეს ვერა გრძნობდა. სქელი თოვლი ფეხქვეშ ხრაჭუნობდა; ზევიდან ახალი მოდიოდა.

მერე თოვლი შეწყდა.

ღრუბლებმა გადაიყარა.

აცივდა.

ვაჟა მარტო მიჰყვებოდა შარას.

თოვლი ჭრიალებდა.

ზევიდან ახალი აღარ მოდიოდა.

ციოდა.

ვაჟამ ხელები ჯიბეში ჩაიყო: ისევ აებურძგნა სახე: ხელს თმა ამოაყოლა და შარაზე დაყარა.

ციოდა.

თოვლი არ მოდიოდა.

ახლა ორღობეს აუყვა. ისევ დაბრუნდა უკან: მთვარის შუქზე ადვილად იპოვა თმა. ღერები გაფშეკილიყო და ერთმანეთს მიყინვოდა. ცივი თმის შეხებამ ისევ შეზარა. სასწრაფოდ ჩაიდო ჯიბეში და სახლის გზას აუყვა. გაუხდელი დაწვა. შუაღამეს გამოეღვიძა: ხელში ლეილას მკვდარი თმა ეჭირა და ახლად ნახულ სიზმარს იგონებდა: ვერაფრით ვერ გაიხსენა.

გააზმორა.

როგორც იყო გაიხადა ტანზე.

მთელი ტანი დაეჭიმა.
ისევ გააზმორა.
მერე როგორც იყო ჩაეძინა.
მეორე დღეს კოხტაზე საქართველოს პირველობა იწყებოდა სწრაფდაშვებაში.

წელი 1957. თებერვლის 5.

<u>თ ო ვ ლ ი დ ნ ე ბ ა</u>

Так захотелось просто быть в пути
И ехать в поезде! Поехал.
А с поезда сошел, и некуда идти.

Исикава Такубоку

ვაჟა ისედაც ვიწრო საჯდომზე კიდევ უფრო ჩაიწია. განთავისუფლებულ ადგილზე ფეხზე მდგარი ოსის ბიჭი ჩამოსვა. მის წინაც ორნი ისხდნენ; ორ-ორი სკამებს შუა იდგა. მწკრივის ბოლოს ერთ ორსაჯდომიანზე ოთხი კაცი იჯდა, მეორეზე ორი: ერთი უკან უქუდოდ, მეორე წინ და თბილი, ყურებიანი ქუდი ეხურა, ტანზე გახსნილი ტანსაბურავი ეცვა, გახსნილი ჯემპრე, გახსნილი თეთრი პერანგი და სადგურების მბჟუტავ სინათლეებთან მკერდზე უხვად ამოსული ბალანი მოუჩანდა.
ცხელოდა.
მერე კარი გააღეს: ცოტა აგრილდა.
დახურეს: ისევ დაცხა.
გარეშემო სკამებზე თითო-ოროლა ოსი თვლემდა.
მატარებელი ლიბანს გასცდა.
_ რაც მე მინახავს, _ იძახდა ყოველი ამბის მოყოლის მერე გულგაღეღილი.
_ ჰოდა, აკი მოატყუა ხელმწიფე იმ პირტიტველამ.
_ დახე!
_ აი, ყოჩაღ!
ფართოდ აღებდნენ პირს ოსის ბიჭები.
_ შენ სადაური ხარ? _ იკითხა ვაჟამ.
_ ქართველი! _ გაიჭიმა მომყოლი.
_ რა გვარის?
_ ბაგდასაროვი.
კარი გააღეს.
ვაჟა მთელი ფილტვებით ისუნთქავდა ჰაერს. მატარებელი ცემს უახლოვდებოდა.
_ ჰოდა, კონცლაგერიდან მთელი თვე ნადირივით ძრომის მერე მივადექით ურჩას.
_ ურჩა რაია? _ გაიღრიჭა ვიღაცა.
_ ჩუ! ახლა მართალს ყვება, _ ჩააჩუმა მეორემ.
_ ურჩა სოფელია პოლონეთში. ჰოდა, შევდივარ მაღაზიაში ტიტველა, სულ ტიტველა, ტარზანივით; ვხედავ, შიგ დგას ქალი, მაგრამ რა ქალი... ერთი სიტყვით, წამიყვანა სახლში, ცხრა თვე ვცხოვრობდი მასთან; მთელ სოფელში მარტო მე ვიყავი კაცი: დღისით მაჭმევდნენ, ღამე კი, გიყვარდეს, ვინ არ მოდიოდა.

_ რათა? _ ისევ დააღო პირი დიდთავა ოსის ბიჭმა.

_ კარტის სათამაშოდ, _ დასცინა მეორემ და დოყლაპიას განიერი ყბებისათვის პატარაციანი კარტუზი ჩამოაფხატა თვალებზე.

_ ცემია, _ თქვა ვიღაცამ.

კარი გაიღო.

ვაჟა ისევ დაეწაფა სუფთა ჰაერს: უზომოდ ბედნიერი იყო ახლა. უსმენდა და ტკბებოდა. «სტუდენტ», ეძახდა მას ხანდახან მომყოლი და იკრიჭებოდა.

მატარებელმა სვლას უმატა.

თბილისში ლალი ელოდებოდა ვაჟას. დილის ექვს საათზე გამოვიდოდა მისთვის სადგურზე. გოგოს უკან გაუშვებდა საღამომდის, თვითონ წავიდოდა ხაშზე, მერე აბანოში, მერე ბიჭებთან უნივერსიტეტში.

მოენატრა თბილისი, თავს გამოექცა ბაკურიანიდან.

მატარებელმა სვლას უმატა.

ახლა თბილისიდან წამოსვლის ბოლო დღე მოაგონდა, როგორ მობეზრდა მაშინ ყველაფერი იქაური, თვითონ ლალიც, ხაშიც, რესტორნებიც, უნივერსიტეტიც; ძლივს გამოიქცა. ახლა ისევ უხაროდა დაბრუნება, როგორც მაშინ, წამოსვლა, არა, უფრო მეტად: მაშინ შორდებოდა ყველაფერს, ახლა უახლოვდება.

მატარებელმა კიდევ უფრო უმატა სვლას.

გარშემო ხარხარებდნენ.

მომყოლმა მორიგი ანეკდოტი დაამთავრა.

ვაჟამ მის წინ მჯდარ ოსის ბიჭს ხელი გადაჰხვია.

_ საცაა, ხიდია, _ თქვა ერთმა.

_ ჰო, _ თქვა მეორემ.

_ ახლა მოგიყვებით ხელმწიფისა და. . .

დაიწყო გულგადაღეღილმა.

«უეჭველად მივალ მასთან თბილისში, კიდე მოვუსმენ», გაიფიქრა ვაჟამ. ის უზომოდ ბედნიერი იყო: გული აუფრთხიალდა: ყველა კარგი და შინაური ეჩვენა: მზად იყო, მის წინ მჯდარი ოსის ბიჭი გადაეკოცნა.

მატარებელმა დაიკივლა.

«საცაა ხიდია», _ გაუელვა ვაჟას.

გული ისევ აუფრთხიალდა: ყველაზე ბედნიერი ახლა იყო, აქ: შუა გზაზე და აქ უზომოდ მოუნდა, რომ მატარებელი გადაჩეხილიყო: ყველაზე ბედნიერს დაემთავრებინა სიცოცხლე.

კიდევ უფრო მოუნდა გადაჩეხა, მერე უფრო: ამ დროს მართლა კმაყოფილი იყო.

ვაგონი შეირხა, ორთქლმავალმა შემზარავად დაიკივლა:

ვაჟას სახეზე ბუსუსებმა დააყარა, «ვბრუნდებით», გაიფიქრა და ოსის ბიჭი უფრო მიიკრა მკერდზე.

_ ხიდი გავიარეთ, _ თქვა დოყლაპიამ.

ვაჟა გაიმართა; «გადავრჩი», გაიფიქრა და გულზე რაღაც მოეშვა, მერე ლალიზე ფიქრი დაიწყო, მერე დილის ხაშზე, მერე უნივერსიტეტის ბიჭებზე.

გულგაღეღილი კი ყვებოდა.

_ გესმის, სტუდენტო? _ ესმოდა ბუნდოვნად მისი ხმა.

ვაჟა თავს უქნევდა.

მატარებელი წაღვერიდან დაქანდა. მან ფიქრებს თავი დაანება და შეეცადა, ისევ მომყოლისთვის მიეგდო ყური. ჩქარა მოსწყინდა მისი ყურება და ზღაპრების სმენა.

_ მალე ბორჯომია, _ თქვა ვიღაცამ.

ვაჟამ თავის ზურგჩანთას ახედა: სიბნელეში ვერაფერი გაარჩია, მერე თოვლზე გადაიტანა მზერა. აქეთ უკვე ალაგ-ალაგ მიწა ჩანდა.

წელი 1957. თებერვლის 6.

«ვერაგობა და სიყვარული»
ოთხი ამბავი ერთი ხელის მოსმით
(ნაწერი შუა ღამეს ქორწილის შემდეგ)

გაზაფხულდა ბუჩქის ძირას
თავს იწონებს - - - - - - -
- - - - - - - - - - - - - -
- - - - - - - - - - - - - -

ძია გოზალოვი

დ ი ლ ი თ ო პ ე რ ა ც ი ა ა

_ რა?
_ წყალი.
_ რად გინდა?
_ მწყურია.
გურამმა პატარა ჭიქით წყალი მოიტანა. ციცკამ დალია.
_ კიდე გინდა?
_ არა.
გურამი ფეხთით დაჯდა. გოგომ საბნიდან ხელი ამოიღო. ბიჭმა თავისი დიდი ხელი დაადო მის თეთრ ხელს; მერე ცოტა მოუჭირა. პალატაში მორიგე ექიმმა შემოიხედა.
_ დილის ოთხი საათია.
_ ჰა?
_ ოთხი საათია.
ციცკას ხელი სულ მოუდუნდა. გურამმა უფრო მოუჭირა.
_ მტკივა.
_ გაგიშვა?
_ არა.
_ აბა?
_ იყავი ეგრე.
_ გტკივა?
_ არა.
გურამმა უფრო მოუჭირა.
_ არც ახლა გტკივა?
_ ჰო.
_ გაგიშვა?
_ არა.
პალატაში ისევ შემოიხედა მორიგე ექიმმა.

_ დაიძინეთ, _ თქვა მან.
_ მძინავს, _ თქვა ციცკამ.
_ დილით ოპერაციაა, _ თქვა ექიმმა.
_ ოჰ, _ ამოიოხრა გოგომ.
_ გეშინია?
_ ჰო.
_ ძალიან?
_ ჰო.
_ ნუ გეშინია.
_ კარგი.
გურამმა ხელი გაუშვა და ხელზე დაუწყო ფერება.
_ არ წახვალ?
_ არა.
გურამი დაიხარა და შუბლზე აკოცა.
_ დილით ოპერაციაა, _ გაიმეორა მორიგე ექიმმა.

წელი 1957. [თებერვლის] 10. დილის 4[30].

სურათში ყველა ლამაზია, _ თქვა გურამმა.
_ ჰო, _ თქვა ციცკამ.
_ თუმცა, დათო პირიქით გამოდის.
_ დათო კი.
ოთახში საათის ტიკტიკი არ ისმოდა. მაღვიძარა მეორე ოთახში იდგა.
_ რა დროა? _ იკითხა გოგომ.
ბიჭი ზლაზვნით ადგა.
შემდეგ მეორე ოთახში გავიდა.
ბნელოდა.
ასანთს გაჰკრა.
საათი როიალის თავზე იდგა. ისევ გამოვიდა.
_ რა დროა? _ იკითხა ციცკამ.
_ ოთხი საათია. _ თქვა გურამმა.
_ დავიძინოთ, _ თქვა ციცკამ.

წელი 1957. თებერვლის 10. დილის 4[35].

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი ვ ა ნ ო

მილიციელი ვანო იდგა ქუჩის კუთხეში. «გუშინაც ამ დროს აიარეს», გაიფიქრა გულში, მერე იარაღი მოსინჯა. ორივემ უხმოდ ჩაიარა.
ზამთარი იყო:
მაინც თბილოდა.

მილიციელი ვანო იდგა ქუჩის კუთხეში და არაფერზე არა ფიქრობდა. დილით განყოფილებაში მორიგეს ჩააბარებდა ანგარიშს: შემდეგ მთელი დღე თავისუფალი ჰქონდა.

ზევიდან ცხენოსანი მილიცია მოდიოდა. დიდი ულაყები მძიმედ ადგამდნენ ფეხებს: ღამე კარგად ისმოდა ფლოქვების ხმა.

_ როგორი ღამეა? _ იკითხა ერთმა ცხენიდან.

_ კარგი, _ თქვა ვანომ.

_ მაშ, კარგია, _ თქვა მეორემ.

_ ჰო, შემთხვევა არ მომხდარა.

_ მე სითბოზე გეუბნები.

ვანომ ვერ გაიგო.

_ თბილა_მეთქი, _ გაიმეორა უკვე ჩავლილმა.

ფლოქვების ხმა ნელ-ნელა მიწყნარდა. მერე სულ გაქრა.

«კარგი ღამეა», ფიქრობდა ვანო. «შემთხვევა არ მომხდარა, ხომასურიძე კი სულ სითბოზე ფიქრობს, მაინც უმართლებს». რატომღაც გული დასწყდა. ქუჩის ბოლოში ცოტათი მოუბერა ქარმა. პირდაპირ ეზოში ხალხი გამოვიდა. ვიღაცამ მაღალი ხმით დაიწყო «გოგონიავ, კისკისა». «გოგონიავ კისკისა», აიტაცეს სხვებმა. სიმღერა გახურდა. «გოგონიავ, კისკისა, კისკისა, აქ ჩამოდი წყლის პირსა». გაისმა ტაში. ახმახმა ჩამოუარა.

«მშვიდობიანი მოსახლეობის მყუდროებას არღვევენ», გაივლო ვანომ: ადგილიდან არ დაძრულა.

ახლა ქუჩაში გამოვიდნენ სიმღერით. მილიციელის დანახვაზე ხმას დაუწიეს: ჩაიარეს; ქუჩის ბოლოდან ისევ მოისმა «სათამაშო და ვაშლი მქონდა შენკენ გადმომიგორდა».

«ჩემს უბანზე შემთხვევა არ მომხდარა», ისევ გაიფიქრა ვანომ.

სადღაც გათენდა.

წელი 1957. თებერვლის 10. დილის 9-9[20].

_ რამდენი წლისაა ჰამლეტი?

_ რამდენის იქნება?

_ რვის.

_ არა, ოთხისაა.

_ ამხელა? _ ვანომ ყანწი მარცხენა ხელში გადაიტანა, მერე ლოყაზე უჩქმიტა პატარას:

ბავშვი აჩხავლდა.

_ ასეთია, _ თქვა დედამ.

_ ბრაზიანია? _ ხმას დაუწია ვანომ.

_ მამამისს ჰგავს.

_ მამამისს?

ვანომ ქეთოს სავსე მკერდისაკენ გააპარა თვალი.

_ ოჯახის ყველა წმინდებს შეეწიოს ამ ოჯახს ყველა წმინდა, ყოველივე კარგს ყოველივე ჯანმრთელობა ვუსურვოთ.

_ ყველა წმინდას.

_ საყველაწმინდაო იყოს.
სუფრა აირია.
_ ძაან ბოვში გყავს, ქეთო.
_ რას ვიზამ.
_ ვასო სადაა?
_ მივლინებაში.
_ რა ხნისაა ბოვში?
_ შე კაცო, თამადა შენ იყავი და
_ დიდს გავს უფრო.
_ მრავალ დაბადების დღეს დაასწროს! _ ნათლიამ ლოყაზე აკოცა ქეთოს.
_ გამოიარეთ შენ და ვასომ.
_ როცა ჩამოვა, კი.
_ გმადლობთ, გმადლობთ.
გათენდა.
_ ძაან ბოვში გყავს-მეთქი.
_ პაპამისს ამსგავსებენ.
ვანომ ისევ შეავსო ყანწი.
დალია.
_ ქეთო,
_ რა?
_ აქედან ისე ნუ წამიყვან, ერთჯელ რომ არ მაჩვენო კიდევ.
_ ვინ?
_ ჰამლეტი.
_ სძინავს.
_ საძილეში არ შეიძლება შესვლა? _ გამოაჩინა კბილები ვანომ.
ქეთო შეუძღვა.
_ ხედავ? _ თქვა ეთერმა.
მიშამ თევზის ნაჭერი ჩაიდო პირში.
_ რას?
_ იმათ.
_ ჰო.
_ კარგი ქალია ქეთო, ჰა, ჰმ.
_ ეგ ვანო ვინაა.
_ რომელი?
_ ჩვენი დღევანდელი თამადა.
ქეთომ და მიშამ ერთმანეთს შეხედეს, მერე ქეთომ თავი დაუქნია.
უკვე კარგად გათენდა.

წელი 1957. თებერვლის 10. 9^{20}-9^{35}.

<u>«ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ა მ ა ლ ვ ა უ ნ დ ა»</u>
სამი ამბავი და ორი დღიური
(ნაწერი დილას, ოთხი დღის ლოთობის შემდეგ)

გ ა წ ი თ ლ ე ბ ა .

დღიური: გუშინ ცირკში ვიყავი. ნაზაროვამ რგოლები დაანთო. ლომები რიგ-რიგით ხტებოდნენ გავარვარებულ რკალში. რომელიც პირველად გახტა, იწვა: ცალი თვალი დახუჭული ჰქონდა და ისე უყურებდა ხალხს. ნაზაროვამ ხორცის მოზრდილი ნაჭერი ჩაუდო პირში. მხეცმა ორივე თვალი დახუჭა.
ხალხი რაღაცაზე ტაშს უკრავდა.

წელი 1957. თებერვლის 18. დილა 11-11[30].

დაკვირვება: ოთხი დღის ლოთობის შემდეგ გონება იწმინდება და მხოლოდ საწერი აზრები მრჩება.
ლოზუნგი: მაშ, გაუმარჯოს შემდეგ ოთხ დღეს.

ა მ ბ ა ვ ი I : ნ უ გ ზ ა რ ი , თ ე მ ო დ ა ნ ო დ ა რ ი

გაწითლება სინდისის ნიშანია, _ თქვა ნუგზარმა.

_ ჰო, შენ ძალიან წითლდები ხოლმე, _ თქვა ნოდარმა.

ნუგზარი წამოწითლდა.

_ ჩემზე უნამუსო ხო კაცი არ არის, მაგრამ მე რო გაწითლება ვიცი, ტყუილია, _ თქვა თემომ.

ნუგზარი კიდე უფრო გაწითლდა, მერე ხმამაღლა ხარხარი დაიწყო. ნოდარმა «სკვაზნოი» მანქანა გააჩერა.

ა მ ბ ა ვ ი I I : ნ ო დ ა რ ი , თ ე მ ო დ ა თ ი ნ ა

მზე ახლა უფრო დაიხარა. ოთახის შიგნით, შუა კედელზე დაკიდებული შიშველი ქალის სურათი უფრო განათდა. ნოდარი იჯდა და ლაპარაკობდა. თემო ყურს უგდებდა. მერე ყურის გდებას თავი დაანება.

_ გესმის? _ თქვა ნოდარმა.

_ ჰა? _ იკითხა თემომ.

_ მაშინ ლეილასთან დავდიოდი.

_ შენ ისევ გოგოებზე?

_ მა რა, თორე შენ რა არ ...

_ რა არ, ჰო, არ მიყვარს.

_ ნანა ხო გიყვარდა?

_ ნანა კი.

მზე კიდევ დაიხარა, ახლა სხივი შიშველი ქალის სურათს ასცდა.

_ უნდა გამოვცვალო ეს სურათი, _ თქვა ნოდარმა, _ ერთი უკეთესს შემპირდა.

თემოს გაეღიმა, მერე სურათს თვალი აარიდა.

ორჯერ დარეკეს.

_ ჩემი მეზობელია, თინა. _ თქვა ნოდარმა. თინას მოკლე ჩოლკა, შავი ვნებიანი ტუჩები და მაღალი წელი ჰქონდა.

_ გამარჯობათ, _ თქვა თინამ.

ნოდარი კარებშივე მიეგება. თემო გაწითლდა და სავარძლიდან წამოიწია, შემდეგ ისევ ჩაესვენა.

ნოდარი ახლა გამალებული უყვებოდა გოგოს გუშინდელ ამბავს. თემო უფრო გაწითლდა, მერე პაპიროსს მიეძალა და შეეცადა, თინასთვის არ ეყურებინა. ნოდარი ლაპარაკში გაერთო და თემოს სიწითლეს ვერ ამჩნევდა.

წელი 1957. თებერვლის 18.

დღიური: ოთხი დღეა არაყსა ვსვამ. ახლაც თავი ოდნავ შექანებული მაქვს. დილით ძალით წამიყვანეს აბანოში. მამაჩემი თვითონ აძლევდა დირექტივებს მექისეს. მხეხავდნენ. თმა მაინც ვიხსენი დაბანისგან. ცოტა დავლიე ყაზბეგში. მერე არაგვში ვიყავი. ახლა სახლში ვზივარ.

ა მ ბ ა ვ ი I I I : მ ზ ი ა დ ა ნ ა ნ ა
(დ ა ქ ა ლ ე ბ ი)

მზია ცამეტი წლისა იყო. მერე თოთხმეტი წელი შეუსრულდა. დედამ სოფელში წაიყვანა. სოფლის ზევით ცივი მთის წყალი ჩამოდიოდა. წყლის მოსახვევში, კლდის ქვევით, ჩანჩქერი გადმოჩქეფდა. ჩანჩქერის ქვევით წყლის ცემისგან ჩაღრმავებული ადგილი იყო.

იქა ბანაობდნენ სოფლის გოგონები წელამდე წყალში. მზია ნანამ წაიყვანა საბანაოდ. კაბები ნაპირთან გაიხადეს, მერე ჭყივილით შევარდნენ ცივ წყალში. დაიწყეს ჭყუმპალაობა და წუწაობის თამაში. დაიღალნენ. მერე ნანამ ორივე პეშვით ნაპირზე გამოსულ მზიას წყალი შეასხა. ცალი ხელი ამხანაგის ძუძუზე მოუხვდა. მზია აილეწა.

_ ჩემი შეგრცხვა? _ შეეკითხა ნანა.

მზია კიდევ უფრო გაწითლდა.

წელი 1957. თებერვლის 18.

იგივე დღე. ნამთვრალევი თუ მთვრალი ვბოდავ.

<u>«მ ე გ ა ნ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი მ ი ნ დ ო დ ა ?»</u>
სამი ამბავი

(ორი დღეა არ დამილევია, სულ ფხიზელი ვარ, მხოლოდ ჩიბუხი მახვევს ბრუს.)

დილა. 1957 წლის 19 თებერვალი. 10^{30}_11^{10}.

ვმართავ პატეფონს: ის ხრიალებს: მე ვწერ.

ა მ ბ ა ვ ი I : გ უ რ ა მ ი , ვ ა ლ ი ა დ ა ო ფ ლ ი

(ცხელა, თავი დამანებე.)

დილით ზღვა ხმაურობდა: სადღაც დიდი ტალღა შეაჯდებოდა პატარას, მერე პატარა თავისზე პატარას, მეოთხე ისევ დიდი გამოდიოდა. ნაპირთან მლაშე წყალი სილაში ერეოდა: მასში შეჟონილი ზღვა ქაფსა ტოვებდა.

დილით გრილოდა,

მერე დაცხა,

მერე უფრო დაცხა.

შუადღეს ტალღები დაპატარავდნენ. ქვიშაზე მლაშე წყალი ამოსვლას ვეღარა ბედავდა.

გურამმა დამწვარ ბეჭებზე პერანგი გადაიფარა.

ვალიამ სარაფანიც გაიხადა.

იწვა ტიტველა და იხრუკებოდა:

მერე ახლო მიუწვა ბიჭს და ბეჭებზე ხელი დაადო. გურამი შეიშმუშნა:

ის უფრო მიეტმასნა:

შუადღის სიცხეში ოფლი იცის;

ვაჟი წამოხტა და წყალში შევარდა. ქალი შეჰყვა. გურამმა სიჩქარეს უმატა. ვალია ჩამორჩა.

წელი 1957. თებერვლის 19.

პატეფონი მიდგას ყურთან. ცოტა მოშლილია, ნემსი გაცვეთილი: წივის. იწივლოს რა: სამაგიეროდ სხვა არაფერი მესმის: არც მინდა. ვუკრავ ერთსა და იმავე რაღაცას. უნიჭო ტანგოს ფირფიტა ტრიალებს, მეზარება გავაჩერო, თორემ სახელს დავწერდი მუსიკისას. წერა არ მეზარება: ეტყობა შევეჩვიე. დღეში ერთი საათი არ მეზარება. მერე კი.

ა მ ბ ა ვ ი I I : გ ე ლ ა დ ა ვ ი ღ ა ც ე ე ბ ი

გელამ სახელოები დაიკაპიწა, მერე თხილამურები გაასწორა და დაეშვა. ფეხები ერთად ჰქონდა, ტანი ოდნავ მოხრილი: თავზე ბერეტი ეხურა. უჯოხო ხელები თავისუფლად ეჭირა. ბოლომდე ასე ჩამოვიდა. ბოლოს დაებერტყა, უცებ წამოხტა გაწითლებული. მიიხედ-მოიხედა მალულად. ვიღაცეები სადღაც ხარხარებდნენ. ვიღაცეები სადღაც სრიალებდნენ. იქვე სურათს იღებდნენ.

_ კრეპლენია არ იჭერს. _ თქვა თავისთვის თუ ვიღაცისთვის გელამ და შიშველი ხელებიდან თოვლი არ ჩამოუწმენდია, ისე დაიწყო მაგრად მომჯდარი სამაგრის გამაგრება.

1957. თებერვლის 19.

მგონი შეყვარებული ვარ. თუმცა როდის არა ვარ. არა, ახლა ვიცი, ვინ მიყვარს. ჰო. ვიცი. ჰა? ჰო, ვიცი. ვეწევი ყალიონს უკვე, მეათეს: დავითვერი: ვბოდავ.

ა მ ბ ა ვ ი I I I : ჩ ე მ ი დ ღ ე (გ უ რ ა მ ი)

გურამი იჯდა. მერე ადგა. იარა: მოვიდა. მერე დაწვა.

_ დაღამდა, _ თქვა დედამ.

_ ჰო! _ თქვა გურამმა და დაიძინა.

წელი 1957. თებერვლის 19.

საცაა, ის მოვა: სად ვუშოვო ფული: ვინ არ მოვა? ერთი მაგათი. ოჰ, ნეტავ, იაპონია იყოს. არა, აქ საქართველოა: რა ვქნა? ისევ დავიწყო?
ყალიონი მათრობს: ვბოდავ.

<u>**თ ე ბ ე რ ვ ა ლ შ ი ნ ა დ ი რ ო ბ ა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა :**</u>
<u>**მ ე ხ ო მ ბ რ ა კ ო ნ ი ე რ ი ვ ა რ :**</u>

სამი ამბავ-დღიური და სამი დღიურ-ამბავი

ვატყობ: მურტალი სუსტი ვარ ყველაფერში: მაგაშია ჩემი ძალა. ვერ: _ მაშინვე მივატოვებ: ასე მივატოვე სცენარი: დავწერე უკეთესი, ასე იყო მესამე რომანივით: სისუსტე მაძლევს ძალას. ასევე ვარ ყველაფერში: ვერ:
_ მაშინვე მივატოვებ.
_ არა.
_ ხო.
_ ჰო.
_ სისუსტეა ჩემი ძალა.

«ნეტა ჩხუბი არ ატყდეს», გაიფიქრა ცქიტომ. გულზე მოაწვა. მერე ჩხუბი ატყდა. ცქიტო ჩაერია. ვასოს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, შემდეგ დაეცა. ცქიტომ დახედა. «კარგი ვქენი, რო ვცემე», _ გაივლო.

ნელა მიდიოდა.

«ახლა ხვალ კიდევ, ეგ აღარ მომასვენებს, ნეტა არ მეცემა, ისე კი ახი იყო», ფიქრობდა ის, მერე აღარა ფიქრობდა. გარეთ ჯერ არ წვიმდა, მერე გაწვიმდა.

წელი 1957. თებერვლის 21. 11-11.20

ხოშიანია: ძაან მომწონს ჩემი დღიურები: იმით, რომ ჩემს მეტს არავის ესმის. დიდი შეღავათია, არა? მე სულ დავაფრინე.

ცქიტომ თოფი მოიმარჯვა. გურამმა სროლა დაასწრო. «ყოველთვის მასწრებს», გაიფიქრა ცქიტომ.

ნახნავებში მწყერი ეგდო.

რიტამ პირი დაავლო. ის ჯერ ცოცხალი იყო, მერე მოკვდა. სეტერმა მკვდარი მიუტანა გურამს. გურამმა მგუდავზე ჩამოიკიდა. ცქიტო უყურებდა და ფიქრობდა,

«ყოველთვის მასწრებს ეგ...» გურამმა ნახნავებში გადაუხვია. წელზე ექვსი მოკლული მწყერი ეკიდა. «მაგან უკვე ექვსი მოკლა, მე კი ერთი», ისევ გაივლო ცქიტომ.

რიტამ ნაბული გააკეთა.

_ ეცი! _ დაუძახა გურამმა.

ძაღლი არ ინძრეოდა. მონადირე თავზე დაადგა. ბარტყები მომკილ პურში გოგმანობდნენ.

_ ახლა მოკლულის ბუდეა, _ ხმამაღლა დაიძახა გურამმა.

ცქიტო მივიდა. გურამს ორი ბარტყი აეყვანა ხელში. მერე აბგაში ჩააწყო. «მე მარტო ერთი მწყერი მყავს მოკლული», გაიფიქრა ცქიტომ.

რიტამ ისევ აიღო კვალი.

_ მოდი, მიზანში სროლაში გავეჯიბროთ, _ თქვა ცქიტომ.

გურამმა ამრეზილად გადახედა და ძაღლს მიჰყვა.

წელი 1957. თებერვლის 21.

მონაბოდი: ისევ სტილზე, ისევ იდეაზე, ისევ ძებნაზე ახლის. დაიწყო კრიზისი:
ვიცლები მგონი, არა, ვივსები. ეშმაკმა იცის. გუშინ ჩამოვიდა ნუგზარი. ვსვით: აბა, რას ვიზამდით. მერე ვილაპარაკეთ. ისევა ვსვით. სადგურზე ჯერ რუსიკომ ამასქესა, მერე რუსიშვილმა. მერე ნუგზარის ტყუილმა. ჯამი ხოშიანია: მაინცა ვსვით: დაიწყო კრიზისი: ვნახოთ, ალბათ, ვიპოვი ახალს, ან ძველში ავიღებ. ოჰ, ახლა ფული. იქით წასვლა.

ე ს ტ ა ტ ე ს ს ი ა მ ა ყ ე

იდგა. მერე დაჯდა და ვიოლინოს მომართვა დაიწყო. «ვანო არასდროს დროზე არ ამზადებს», გაიფიქრა: ამრეზილად გადახედა. ვანო იჯდა და ამთქნარებდა.

_ მეორე სკრიპკებო! _ დაიძახა ლოტბარმა.

ვანომ მომართვა დაიწყო.

«არასოდეს დროზე არ ამზადებს», ისევ გაიფიქრა ესტატემ: ის ამაყობდა თავისი წესიერებით.

წელი 1957. თებერვლის 21. 11_11[20]

ბოდვა:
ახლა წავიკითხე უმბერტო .D.
ისევ მოვარდა: კინო, მაგის დედა ავატირე: კ ი ნ ო,
კ ი ნ ო.
დედას ვუტირებ.
ეს აღარ ვარგა: ცოტა ახალი მინდა ახლა, ჰო, ახალი სტილი აქაც. უმბერტო D. უჰ მაგისი, რატო მე არ დავდგი.

კ ი დ ე ვ ს ა მ ი ა მ ბ ა ვ ი .
ო რ ი დ ღ ი უ რ ი

ცეხში ამოსვრილი მაზუთიანი ქალი და ხურუში

ნელა დაიწყო ზევით აზიდვა, მერე ონკანი გაჩერდა. უზარმაზარ მაგნიტს მანქანის მოტორი ეკიდა. ახლა შენობის პარალელურად წავიდა. შუაში ისევ გაჩერდა: ნელა დაიწყო ქვევით ჩამოშვება. დნტ _ დნტ _ ისმოდა ჩამოსასხმელი ცეხიდან. კაუჭი ეცემოდა რკინას _ დნტ, მერე რკინა ედებოდა მაგნიტს, მაგნიტი ირთვებოდა _ დნტ _ ისმოდა მანქანის კაბურაში ჩადებისას.

ვანო ბორბლებს ქვევიდან გამოძვრა, გამურული ხელი სახეზე მოისვა. უფრო გაუშავდა ცხვირი. კაბინიდან ვიღაც წვრილი ხმით ყვიროდა, მერე გოგმანით გადმოვიდა: გრძელი სპეცხალათი ეცვა და მაზუთიანი სახე ჰქონდა. ვანო ისევ შეძვრა ბორბლებს ქვეშ. კაბინიდან გადმომძვრალი ზევიდან მოტორს იღებდა. «რა სახმარია», გაიფიქრა ვანომ.

_ კაცო! _ დაუძახა მოტორის მიმღებს ვიღაცა გალსტუკიანმა, რომელიც თვალებს შეშინებული აცეცებდა.

_ მე კაცი არა ვარ. _ კბილები გამოაჩინა გრძელსპეცხალათიანმა.

უცნობმა თვალები დააჭყიტა.

_ აბა? _ თქვა მან.

_ ქალი, _ თქვა ქალმა.

_ ჰი, ჰი, _ გაიკრიჭა უცნობი.

_ აბა! _თითებს შუა ცერი გამოაყოფინა ქალმა:

ნელა აიწია თითის წვერებზე. ტანი დაეძაბა. შარვალი ლაჯებს შუა ამოაჯდა. ბრეტელები დაეჭიმა, ხალათი ამოეწია და სულ ცოტა ჭუჭყიანი ხორცის ნაჭერი გამოუჩნდა წელთან. უცნობმა ზიზღით აარიდა თვალი. «რა სახმარია», გაიფიქრა ვანომ და ბორბლის მოჭერა განაგრძო.

წელი 1957. თებერვლის 22.

კრიზისმა გაიარა. გუშინ არ დავლიე. კინაღამ გავგიჟდი. ისე დავიცალე. ვიჯექი სახლში. გარეთ თბილოდა. მერე დამირეკეს. გზაზე დამარტყა ერთმა: გამოვცოცხლდი. ჯერ იმას ვინახავ. ვაგრძელებ ბოდვას.

მაგი ცირკში

არენაზე გამოსასვლელთან მაგი იდგა, უზარმაზარი ნიკაპით, შევარდნილი შუბლით და რაღაცა ცხვირის მსგავსით. იდგა და არ ინძრეოდა. მთელი არენა გიჟობდა. ჩინელი ქალები იმანჭებოდნენ, მერე ვან-იუ-ლი აწრიპინდა. რაღაცა ყუთი გამოათრიეს. კარგა ხანს იწრიპინა კიდევ, მგონი რუსულად, რუსეთში გაზრდილმა ჩინელმა. მერე ყუთის კარები გააღო: სიცარიელე ყველას დაანახვა. კიდევ აწრიპინდა: ბოლოს ხელი ჩაყო და ფრთებშეკვეცილი ნამძინარევი მტრედები ამოათრია, მერე ქათმები, მერე ბატი. ბატი გაიჭიმა და გოგმანით შემოუარა არენას. ბოლოს ხელს ორი იხვი ამოაყოლა.

ხალხი ღრიალებდა.

ყუთის კედელში მიკუზულმა იხვებმა თავი თავისუფლად იგრძნეს. ორივემ სასწრაფოდ დაიწყო ქექვა. ტრიალი. ზმორება.

_ გაიყიდა ვანიჩკა, _ თქვა ერთმა.

_ ერთი მაგისი! _ თქვა ბევრმა.

ბატი ამაყად დადიოდა.

ხალხი ტაშს უკრავდა.

ვანი ისევ აწრიპინდა.

იხვები არიფებივით განაგრძნობდნენ ქექვას. ჯერ კიდევ არ ესმოდათ: რატომღაც ყოველდღე ათ საათზე ტენიდნენ ბრტყლად ყუთის კედლებში, ხოლო კვირას სამჯერ: დილით თორმეტზე, სამზე და ათზე ისევ.

ბატი შეეჩვია.

კარებთან ბებერი მაგი იდგა და არ იღიმებოდა: ნიკაპი წინა ჰქონდა, შუბლი შევარდნილი, ცხვირი სადღაც.

ისევ გამოვარდნენ გოგოები. სინათლე ჩაქრა: რუსეთში აღზრდილი ჩინელები ორმხრივცეცხლმოკიდებული ჩირაღდნებითა ცეკვავდნენ.

სინათლე უფრო ჩაქრა:

ვიღაცამ დიდი ჩირაღდანი გამოათრია.

მაგი უმოძრაოდ იდგა, მერე ჩირაღდნის შუქზე მისი ტანი ამოძრავდა, მერე უფრო ამოძრავდა, ბოლოს გაგიჟდა. ორმხრივცეცხლმოკიდებული ჩირაღდანი დახტოდა მის ხელებზე, ბეჭებზე, ფეხებზე და ფეხებს შუა.

ხანდახან მისი სახე ნათდებოდა: უზარმაზარი ნიკაპი წინა ჰქონდა წამოწვდილი, შუბლი შეწეული, ცხვირი სადღაც: სახე უმოძრაო და მკვდარი იყო. ჩირაღდანი განაგრძნობდა ტრიალს, მერე გაჩერდა.

დარბაზში სინათლე აანთეს.

მაგი იდგა და ღრმად არა სუნთქავდა.

_ ვანის მარჯვენა ხელი, _ ჩაილაპარაკა აკრობატმა.

წელი 1957. თებერვლის 22.

ლ ა მ ა ზ ი ა გ უ რ ჯ ი ს ქ ა ლ ი

აღა ბიი. აღა ბიიმ თავი გამოყო. წვიმა ისევ მოდიოდა. უფრო ჩამობნელდა. ნელა დაიძრნენ ლეკები. გამზა მარჯვე იყო, ოსმანიც, ალი არა.

აღა ბიი მათი მეთაური.

ტყის პირას სახლი იდგა.

გამზა აივანზე ამვრა,

ოსმანიც, აღა ბიიც.

ალის ცხენები ეჭირა.

დილით უკვე კავკასიონს გადასცდნენ.

_ ყადორზე გადავიარეთ, – თქვა აღა ბიიმ და ხელები ალაჰისკენ აიშვირა. სხვებმა სახეები ასწიეს:

_ დიდი არს ალაჰი!

ხელები დაკავებული ჰქონდათ: ალის დატყვევებული მამა გაედო, ოსმანს და, გამზას თვითონ თინათინ.

მთელი ღამე აწვალეს ტყვეებმა. მაინც დაიმორჩილეს. შეკრულებს თითებიდან სისხლი სდიოდათ, თავპირი დასიებული ჰქონდათ ცემისგან. თინათინ ინძრეოდა კიდევ. გამზას მაგრად ეჭირა.

_ ოი ალაჰ, _ უცებ ამოხდა გამზას და ვენიდან გადმოჩქეფილ სისხლს პირი შეაშველა. თინათინმა ლეკის სისხლი გადმოაპურჭყა. გამზამ ხანჯალი დააძრო; თინათინმა ნაბდიდან გამოყო თავი და შავი თვალები შეანათა.

_ რაღას უცდი, _ თქვა აღა ბიიმ. სხვებმაც დასტური მისცეს.

გამზა გაშეშდა, მერე ხანჯალი ჩააგო.

_ რაღას უცდი, _ გაიმეორა აღა ბიიმ.

_ ლამაზია გურჯის ქალი, _ თქვა გამზამ.

წელი 1957. თებერვლის 22

ეს პირველი ამბავი ალბათ დასაწყისი იქნება ნოველების დიდი ციკლისა ისტორიიდან. ჯერ ოღონდ შესწავლა უნდა. ხოშიანი მუსიკა იყო რადიოში ახლა: იმან მომაგონა ლეკიანობა, მერე სადკო წავიდა: უცებ გამივარდა კალამი.

<u>სამი ამბავი, სხვადასხვა დროს ნაწერი</u>

ამბავი 1: შემოდგომის მერე ზამთარია

ჯერ მთის წვერი შეიღება, მერე ფერდები, მერე ხეობა და შიგ მდგარი სახლი. სახლს შუშაბანდი ჰქონდა:

მზით გაივსო ის.

დაცხა.

დაღლილი ბუზი შუბლზე აუცოცდა ცქიტოს. მან ხელი გაიქნია. ბუზი ნელა აფრინდა და ყურზე დააჯდა. ვაჟს ყური მოეღიტინა, მერე აექავა. ისევ გაიქნია ხელი.

გაეღვიძა.

ცხელოდა.

ბუზი ახლა საბნის კიდეზე იყო და თვლემდა. სხვები ფანჯრებზე ისხდნენ. მაიკო ჭურჭლის ტილოთი ხოცდა შემოდგომის ბუზებს.

მზემ უფრო აიწია.

ცქიტო წამოდგა: ნელა გაჭიმა ხელები. ოთახში კედელზე ჩამოკიდებული ჯაგნების სუნი იდგა.

წელი 1957. თებერვლის 23.

ხვალ ჩიჩიკას ქორწილია.
მეშინია: არა: ის იქ იქნება. ახლა აღარ მეშინია. ზამთარი გადის. თებერვლის 23-ია. წავალ: არა: ხო. ვწერ ისევ მთვრალი. ღამე ორი საათია. ოჰ, რა მთვრალი ვარ!!! ხო. ჰო. რა ვქნა, დავიძინო?
_ ჰა?
_ არ მეძინება.
_ მაშ?
_ წერე.
_ ესეც ლოთობაა.
_ მერე რა?

_ არაფერი, წერე.

[ა მ ბ ა ვ ი 2 :]

Медяки звенят в темноте.
Нищий считает деньги.
О, как зимняя ночь холодна!

Масаока Сики

ქურდობაზე უკანასკნელი საქმე არ არსებობს, _ თქვა ვანკამ და ტროლეიბუსიდან ჩასულ ჯიბგირს თვალი გააყოლა.

წინ ადგილი დაცარიელდა.

მან ერთი წამით მიასწრო და დაჯდა.

_ სწორია. _ თქვა ფეხზე დარჩენილმა მოხუცმა ქალმა.

წელი 1957. თებერვლის 27.

[ა მ ბ ა ვ ი 3 :] გ ო გ ი ს
დ ა ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ი ს მ ე რ ე

გოგი თავგირიძე, ჩვენი სიძე და ხოშიანი არქიტექტორი, დაასაფლავეს. ზღვა ხალხი. აუარებელი მანქანა. გვირგვინები. გამოსამშვიდობებელი სიტყვა. აკლდამა. დაიშალნენ.

_ მომშივდა, _ თქვა ლადომ.

_ მშვენიერი თევზია, _ თქვა კოტემ.

_ რა იცი?

_ მე თვითონ ავიტანე.

_ ვინ იკისრა?

_ არქიტექტორთა საბჭომ მთელი ხარჯები, კაცო.

_ ქელეხიც?

_ ჰო.

_ მომშივდა, კაცო, _ თქვა ლადომ.

_ მეც.

_ კარგი კაცი იყო გოგი, _ ისევა თქვა ლადომ.

წელი 1957. თებერვლის 26.

<u>ჯუნგლებში</u>

სამი ამბავი და მგონი ორი დღიური

ს ი ქ ს ტ ი ს მ ა დ ო ნ ა მ ო ს კ ო ვ შ ი

სიქსტის მადონა დიდი, ჭკვიანი თვალებით უყურებდა მომავალს, ხელში ბავშვი ეჭირა. ბავშვი არა ტიროდა. გარეშემო ანგელოზები დაფრინავდნენ, ქვევით მოხუცი ღმერთს შესთხოვდა რაღაცას. თავზე ყველას შარავანდედი ედგა.

იდგა სიქსტის მადონა და მომავალს უყურებდა, ხელში ბავშვი ეჭირა. ბავშვი არა ტიროდა.

_ გენიალური ნახატია, _ თქვა ვანომ.

ვასო გაწითლდა.

_ რაფაელს მაგაზე კარგი არაფერი შეუქმნია, _ თქვა ისევ ვანომ.

ვასოს ფერი დაუბრუნდა.

ვანო გარჩევას განაგრძობდა.

სხვები ისხდნენ.

ვიღაცა მოჭუტული თვალებით უყურებდა სურათს.

_ ჩქარა წაიღებენ დრეზდენში.

_ ჰო, ჩქარა,

_ ნეტა აქ დატოვონ.

_ აბა!

_ რა გენიალურია, არა?

_ შესანიშნავი.

ოთახი ჭვრეტდა მადონას.

სიქსტის მადონა კი იდგა და დიდი, ჭკვიანი თვალებით უყურებდა მომავალს. ხელში ბავშვი ეჭირა.

ოთახი ჭვრეტდა მადონას.

ზოგი მიდიოდა: უმეტესობა რჩებოდა სამზერლად.

ახლა სურათის წინ ჯიშიანი სლავის ქალი იდგა. უაზრო თვალებით უყურებდა სურათს, მერე თქვა.

_ გენიალურია.

_ დიახ, დიახ.

_ ეს სურათი რაფაელმა დახატა მიქელანჯელოს მიერ მოხატული სიქსტის კაპელასათვის.

_ მიქელანჯელო საერთოდ მოქანდაკე იყო.

_ პაპის ბრძანებით დაიწყო ხატვა.

_ რენესანსი, ეს რენესანსია.

ჩაება დარბაზი ახსნაში.

სლავი ქალი იღიმებოდა და უყურებდა სიქსტის მადონას. თითქმის ვეღარა ხედავდა, არც ამხსნელებს უგდებდა ყურს.

სიქსტის მადონა კი იდგა და დიდი, ჭკვიანი თვალებითა ჭვრეტდა მომავალს.

_ მშვენიერი ბავშვია, _ თქვა ქალმა.

_ აბა, არა ტირის, _ გაიღიმა ვიღაცამ.

_ წავიდეთ იქით, _ თქვა ისევ ქალმა და ხანშიშესულ კაცს ხელი გამოუყარა.

წავიდნენ.

დარბაზმა თვალი გააყოლა.

ქალები აიმრიზნენ.

სიქსტის მადონა კი იდგა, დიდი, ჭკვიანი თვალებითა ჭვრეტდა მომავალს. ხელში ბავშვი ეჭირა. ბავშვი არა ტიროდა. ზედ შარავანდედი ედგა და გარეშემო ანგელოზები დაფრინავდნენ. მოხუცი შესთხოვდა ღმერთს რაღაცას.

_ ჩქარა წაიღებენ დრეზდენში. _ თქვა ვანომ.

_ ჰო, ერთ კვირაში. _ მოაგონდა გაზეთში ამოკითხული ვასოს.
_ ეჰ! _ ამოიოხრა ვანომ.

წელი 1957. თებერვლის 26. 11 _ 11.45

მ ძ ი ნ ა რ ე ვ ე ნ ე რ ა

_ გამოიღე ცხვირიდან ხელი.
_ რათა?
_ სირცხვილია.
ვანკამ გამოიღო.
_ ვა, რა ქალია! _ თქვა პეტიამ.
_ აბა?
_ აგერ.
_ სძინავს.
_ მგონი.
_ ჰო.
ბიჭები ახლოს მივიდნენ.
_ ნახე, ხელი სად უდევს, _ ახლა პეტიამ შეიყო ცხვირში ხელი.
_ ალბათ, ბოზია, _ თქვა ვანკამ.
_ ხედავ, _ სძინავს.
პეტიამ უფრო ღრმად შეიყო ხელი ცხვირში, მერე უფრო ახლო მივიდა ნახატთან.
_ მშვენიერი რეპროდუქციაა, _ თქვა გვერდზე ვიღაცამ.
_ აბა! ნამდვილი ანგელოსია, მძინარე.
_ საერთოდ «მძინარე ვენერას» მშვენიერი რეპროდუქციები არსებობს, _ თქვა მეორე ვიღაცამ.
_ მძინარე ანგელოსია, _ ისევ გაიმეორა პირველმა.
_ აი, დედაკაცი! _ თავი მოიქექა ვანკამ.

წელი 1957. თებერვლის 26. 11 _ 11.45.

ანეკდოტი: ძველი: მახსენდება ხშირად: მიყვარს:
ღობეზე პატარა ბიჭია მიყუდებული და ტირის. ვიღაცა კაცი ვიღაცა კაცს ელოდება. დადის. მერე დაიხარა და ჰკითხა:
_ ბიჭიკო, ბიჭიკო, რა გქვია?
ბავშვმა ზლუქუნი შეწყვიტა.
_ პეტოი.
კაცმა წინ და უკან სიარული განაგრძო, ცოტა ხნის მერე ისევ შეეკითხა:
_ ბიჭიკო, ბიჭიკო, რა გქვია?
_ პეტოი.
ორჯერ კიდევ შეეკითხა და მიეფერა კაცი. ბოლოს ისევ დაიხარა:
_ ბიჭიკო, ბიჭიკო, რა გქვია?
_ სუ მუდამაც პეტოი, _ ისევ აზლუქუნდა პატარა.

გენიალური მხატვარია პიკასო.

_ ჰო, პაბლო პიკასო, შესანიშნავი.

_ მაგის ნახატი 1905-ში არაფერი ღირდა. ახლა მილიონები ღირს.

_ საერთოდ მაგისი ფერები!

_ აბა, აბა!

_ იგი შინაგანად ხატავს.

იგორმა ხელი გამოუყარა ვალიას, მეორე მხრიდან ლიონამ გამოსდო ხელკავი. უკან ვასილი და პეტრე მიჰყვნენ.

_ საერთოდ იმპრესიონიზმი, _ დაიწყო პეტრემ.

_ გენიალური მიმდინარეობაა, _ თქვა ვასილიმ.

_ ხო, ტონები, ეს შტრიხები.

_ რა შტრიხები? _ იკითხა ვალიამ.

_ აი ეს, ასეთი, _ თქვა პეტრემ.

_ გენიალურია. _ თქვა იგორმა.

დარბაზი 125 _ ეწერა ერმიტაჟის გზამკვლევში, საერთო სიგრძე 22კმ, შეგროვება დაიწყო ვენერა ტავრიდელის ქანდაკებიდან, რომელიც ტავრიდის მახლობლად იპოვეს და პაპმა პეტრე პირველს გამოუგზავნა: ახლა ყველაფერი ეს იცოდა ვალიამ: ბიჭები არ ჩერდებოდნენ.

დარბაზის კუთხეში დიდ ტილოზე ყალყზე დამდგარი ცხენი ეხატა, აღვირი ქალს ეჭირა.

_ მშვენიერია, არა? _ თქვა გოგონამ.

_ დიდებულია.

_ მე ძალიან მომწონს, მართლა კარგია? _ გულუბრყვილოდა თქვა გოგომ.

_ გენიალურია.

_ აი, ეგ შტრიხები.

_ შენ განათება ნახე.

_ დავიღალე, _ თქვა გოგომ.

_ წავიდეთ.

_ კოკტეილ-ხოლში?

_ არა, თეატრში.

_ დავიღალე, _ ისევა თქვა გოგომ.

მერე მიბრუნდა და ისევ ცხენს დაუწყო ყურება.

ცხენი ყალყზე იდგა:

აღვირი ქალს ეჭირა ხელში.

წელი 1957. თებერვლის 26.

პახმელია.

გუშინ მამას დეპეშა მოვიდა:

Дисертацатию утвердилили единогласно. Миша.

<u>სამი ამბავი ისევ</u>

დავიწყე მინიატურების წერა გუშინ, 27-ში. შავმა ღვინომ აღმაგზნო. დავითვერი. ჯერ «იაპონურ პოეზიას» ვკითხულობდი. ნოდარი ცეკვავდა კუბის ჯაზზე «ბუგი ვუგის». ვიჯექი. ვწერდი. გავაკეთე 21. აი, ერთი მათგანი: ნოდარზე: ნოდარი შავია და იმიტომ.

ჩვენი დრო

ბუგი – ვუგი!
«მეფისტოფელი»? არა! «ჰამლეტი»? არა!
კაფეში ცეკვავს შიშველი ზანგი.

რ ო ბ ე რ ტ ს კ ო ტ ი

შუა გზაზე თოლია დადგა. მერე დაწვა. ახლა მას უწია ჯერმა. წამში მოასუფთავეს მისი ლეში სხვა ძაღლებმა.

წინ კაცი მიდიოდა.

შუაში ოთხძაღლშებმული მარხილი.

ბოლოს ისევ კაცები.

გამარჯვებად შერქმეული წინ ება მარხილში. როცა პირველი ძაღლი დაკლეს, სისხლი იყნოსა და აყმუვლდა: მიხვდა, რომ მისი ბოლოც ის იქნებოდა. მერე მთელი ღამე ყმუოდა. ყმუოდა მეორე დღესაც, როცა ყურდიდა შეჭამეს, ყმუოდა მესამე დღესაც, როცა თოლია გაგლიჯეს.

სუსტად იყო.

მაინც არ დაეცა.

მას სამშობლოშივე გამარჯვება შეარქვეს. ბოლოს მარხილი დადგა: ისღა დარჩა მარტო. ბნელოდა. გამარჯვება იდგა. პირში ორი დღის წინ შეჭმული ძაღლის ბალნები ჰქონდა და არა ყმუოდა. მერე უმარხილოდ წაიყვანეს. წინ კაცი მიდიოდა, მერე ის, მერე ოთხი კაცი.

ბოლოს გაჩერდნენ.

იმ ღამეს ისევ აყმუვლდა. დილით საკუთარი სისხლის სუნი ეცა და გაყუჩდა, მერე ძალა დაკარგა.

გამარჯვება კაცებმა შეჭამეს. მერე უკან დაბრუნდნენ.

«ჩვენი მდგომარეობა უიმედოა, ხელისუფლებას ვთხოვ, მიხედოს ჩემს ცოლ-შვილსა და დედას», წერდა მოყინული ხელებით რობერტ სკოტი. მერე ნაწერი წყდებოდა.

წელი 1957. თებერვლის 27.

თ ა მ ა რ მ ე ფ ე

იწყება ჩვეულებრივ:

გზამ გაივაკა; ვაკის წინ მთა იყო; მთაზე ბილიკი; ახლა ფართო თემშარა მიდიოდა: შორს, სულ შორს, ისევ მთა მოჩანდა; მთაზე ციხე-კოშკი, ნახევრად დანგრეული.

გზას მიჰყვებოდა ცქიტო და ბიძამისი ლეო. ცქიტოს ზურგჩანთა ეკიდა, ლეოს ხელში კეტი ეჭირა და მხარზე საველე ჩანთა ჰქონდა გადაგდებული.

სექტემბერი გადიოდა.

ცხელოდა ბარში.

მთაში ციოდა.

_ ოქტომბრის თხუთმეტიდან იქ თოვლი მოვა, _ თქვა ლეომ.

_ სად?

_ მთაში.

უფრო ჩამოცხა. უკნიდან ხრიალი მოისმა, მერე გუგუნი. გზად მიმავალმა მანქანამ ორივენი მთის ძირამდე მიიყვანა.

მზე დაიხარა.

გრილოდა.

ცქიტომ ზურგჩანთა მოიხსნა.

ლეო რაღაცას ინიშნავდა რვეულში.

_ უმდიდრესი რაიონია ეს, _ თქვა მან.

_ ჰო, ყველა ფეხის გადადგმაზე ციხეა.

_ თანაც თამარის დროის, _თქვა ისევ მან.

_ მართლა მისია?

_ არა, კაცო, ეგრე გლეხები ეძახიან, თორე ზოგი ქრისტიანობამდეც იყო, ვარძიაც მანამდე დაიწყეს.

ცქიტომ ბლაგვი დანით ძლივს გახსნა კონსერვი, მერე ხუფის მოგრეხა დაიწყო, თუნუქის კიდეს თითი გამოკრა. სისხლი ნელა ამოვიდა. ჯერ ბურთულად დააჯდა, მერე ჩამოიღვარა. პირით დაეწაფა. ამოწოვილს ფურთხთან ერთად აპურჭყებდა.

_ ნუ გეშინია, _ თქვა ლეომ.

_ არ მეშინია, _ თქვა ცქიტომ.

კონსერვი ძველი იყო. მაინც შეჭამეს.

_ ღამე სად გავათენოთ? _ იკითხა ცქიტომ.

_ თამარის კოშკთან, _ თქვა ლეომ.

_ კიდე თამარის.

_ ჰო, _ გაეღიმა ლეოს, _ ეგ ამბავი შემთხვევით არაა, ყველაზე დიდი და თავისუფალი მაშინ იყო საქართველო.

_ ვეფხისტყაოსანიც მაშინ დაიწერა.

_ კიდე?

_ კიდევ ბევრი რამ. მაინც რა წარსული გვქონდა, არა?

_ ჰო.

_ ძია ლეო, ხო ძალიან საამაყოა, არა?

_ ჰო, მართლა, გუშინ რა ჭამე, გახსოვს? _ გაიცინა ლეომ.

_ უჰ, _ თქვა გურამმა, _ ძაან გაისარჯა თავმჯდომარე, ეგეთი მწვადი არ მინახავს.

_ მერე?

_ მერე რა, _ ცქიტოს გაეცინა, _ დღეს კონსერვსა ვჭამთ.

_ ახლა იტრაბახე გუშინდელი მწვადით ან თბილი ლოგინით, _ გაეღიმა ბიძას.

ცქიტო ზურგჩანთის ჩალაგებას შეუდგა.

_ დღეს ღამეს თივაზე გავათენებთ თამარის კოშკთან, _ თქვა ლეომ.

წელი 1957. თებერვლის 28.

ს ა დ ღ ა ც წ უ ო დ ა კ ო ღ ო

ტყეში ძლივს ატანდა მზე. ფშანი ძლივს მიიკვლევდა გზას ბინდში. დამპალი ფოთლები ეყარა ნაპირზე. მიწის მწვავე სუნი იდგა. გრილოდა.
მდინარის ნაპირები სველი იყო. ახლადჩამოცვენილი ფოთლები მიცურავდნენ წყალში. ზოგი ტრიალებდა პატარა მორევში ნაპირთან: მერე ისევ მიცურავდა, ან ნაპირზე რჩებოდა.

ფშანის იქით ცქიტო იწვა.

ფშანს აქეთ მზია.

შუაში ფშანი მიდიოდა და ახლად ჩამოცვენილი ფოთლები მიჰქონდა. ზოგი ნაპირზე რჩებოდა, ზოგი ისევ მიცურავდა. ცქიტო ზლაზვნით წამოდგა, მერე კბილები გამოაჩინა. მაღალყელიანი ფეხსაცმელებით შეტოპა წყალში. შარვლის ტოტებს შლამი აეკრა.

იქით ნაპირას მზია იწვა.

ცქიტო სველ მიწაზე სველ კვალს ტოვებდა. დამპალი ფოთლები ღრმად ეფლობოდნენ შავ მიწაში.

ერთ გვერდზე ფშანი ჩამოდიოდა.
მეორე გვერდზე ცქიტო და მზია იწვნენ: ცქიტოს ფეხები სველი ჰქონდა, მერე მზიასაც დაუსველდა. მიწა რბილი იყო და ნესტიანი: კაცის სიმძიმეს ძლივს უძლებდა. დამპალი ფოთლები სველ ნიადაგში ეფლობოდნენ; ნაწოლის გარშემო მიწა სულ შეუმჩნევლად ფეთქავდა. ზოგ ფოთოლს წყალი გასდიოდა, ზოგი ორთქლს უშვებდა.
სულ შეუმჩნევლად ფეთქავდა მიწა ნაწოლის გარშემო.

ერთ მხარეს ფშანი იყო.

მეორე მხარეს ცქიტო და მზია იწვნენ.

ზევით ხშირი ტყე იყო და ძლივს უშვებდა მზის სხივებს.

სადღაც წუოდა კოღო.

_ ჩქარა მოსაღამოვდება, _ თქვა ჩურჩულით მზიამ.

_ მერე რა? _ თქვა ცქიტომ.

კოღოებმა წუილს უმატეს.

1957. თებერვლის 28.

ხვალე ჩამოვა მამაჩემი მიშა. გუშინ «იაპონური პოეზიის» გავლენით დავიწყე მინიატურების წერა: ვნახოთ, რა გამოვა.
საერთოდ საშინლად დავქლიავდი. დიდს, ოდნავ დიდსაც კი უკვე ვეღარაფერს ვერა ვწერ: წერა კი მინდა გიჟივით.
_ ესეც ლოთობაა?
_ ვინ იცის.

<u>ნათქვამია, ღმერთს სამება უყვარსო</u>

ისევ სამი ამბავი, სულ სხადასხვა

მომილოცია პირველი მარტი!
_ გაზაფხულდა?
_ საშიშიაო ნასესხები.
_ ჰო,
_ ვითომ?
_ ვნახოთ.
_ ვნახოთ და ვნახოთ.

ცქიტო წინ გავარდა. ვიღაცა აბუზღუნდა. მოხუცმა რაღაცა ჩაიდუდუნა.

ტროლეიბუსი დაიძრა.

ძლივს მოასწრო შეხტომა.

შიგ ჭედვა იყო.

ტროლეიბუსი ანჯღრევდა.

_ დაკეტეთ კარი, _ ყვიროდა კონდუქტორი. ცქიტო კიდევ უფრო შეიწია, მერე კარი გაუშვა. ის ხმაურით დაიკეტა. ისევ მიაწვა; უკან კარი იყო, წინ ხალხი. თავი მიაბრუნა. სახე ვიღაცის ყელზე მოსხმულ მელაში ჩაეფლო. ოდნავ გააჟრჟოლა. ერთი საფეხურით აიწია მაღლა. ახლა უკან კაცი მოექცა. წინ მელამოსხმული იდგა. გვერდებზე ისევ ხალხი.

ცქიტომ იგრძნო ქალი: სულ შეუმჩნევლად შეახო მარჯვენა მის წელს.

ტროლეიბუსი ანჯღრევდა.

გააჟრჟოლა.

მარცხენა სახელურს წაავლო. სახელურზე მოკიდებული ხელი ქალის მოჭიდებულ ხელს ეხებოდა.

უფრო გააჟრჟოლა.

მარჯვენათი უფრო იგრძნო ქალი.

ქალი გაყუჩდა.

სულ ნელა მიეყრდნო ვაჟს.

ტროლეიბუსი ანჯღრევდა.

_ ბილეთი? _ დაიძახა კონდუქტორმა.

ცქიტომ ცივად ჩამოიღო ხელი: ჯიბიდან ფული ამოიღო.

ქალი შეიშმუშნა: მანაც აიღო ბილეთი.

ხალხი წინ გაიწია.

ვაჟმა ისევ დააბრუნა მარჯვენა. ქალმა იუკადრისა: გვერდზე გადგა.

_ თქვენ ჩადიხართ? _ თქვა მან.

წინ ვიღაც გაიწია.

ცქიტოს წინ ულვაშა კაცი ჩადგა. ტროლეიბუსი აღარ ანჯღრევდა. გაჩერებას აღარაფერი უკლდა. «ერთი მაგისი», გაიფიქრა ვაჟმა და უკანა კარიდან ჩამოვიდა. პიჯაკის კალთა ქვევით ჩამოწია: გაეღიმა, მერე ხესთან დადგა.

ქალმა ჩაიარა.

ცქიტომ თვალი გააყოლა.

მერე ისევ გააჟრჟოლა.

ტროლეიბუსი დაიძრა. «კარგი ქალი იყო», ფიქრობდა ცქიტო, მერე ლეილას ნახვა მოუნდა, მერე უფრო მოუნდა. «ჯერ დავრეკავ, ნეტა მარტო იყოს», გაიფიქრა მან და ხეს მოსცილდა.

წელი 1957. თებერვალი.

ღამეა.

ჭ ო რ ი

ღრიალი გახშირდა. ღრიალებდნენ მთები ზარბაზნების გრიალისაგან. ეხო არღუნს ეცემოდა: აქედან გადადიოდა არხოტში.

მოდიოდა საკლავი.

დედაკაცები ჯვრის გარეთ ისხდნენ ძველი ადათის მიხედვით.

კაცები ჯვარში.

იკვლებოდა საკლავი.

იხდებოდა ლუდი, არაყი.

ხევისბერი წირავდა ყოველივეს.

გარშემომსხდარი ხევსურები ყაყანებდნენ.

ამხანაგები ძლივს აოკებდნენ გალეშილ მინდიას. შორს ისმოდა ღრიალი. ხევში დაბმული ცხენები ჭიხვინებდნენ. ძველი ადათ-წესებით ქალს ჯვარში არ უშვებდნენ.

იჭმებოდა საკლავი.

ისმებოდა ლუდი, არაყი ერთნახადი.

სადღაც ზარბაზანი გრიალებდა.

ღრიალებდნენ მთები.

ხევში ცხენი ჭიხვინებდა.

გალეშილ მინდიას ძლივს აკავებდნენ.

იდგა ათას ცხრაას ორმოცდასამი წელი. ჭორი მოვიდა დილით მთაში: _ ბოლშევიკები გადადგნენო. _ მოიტანა ამბავი.

ღრეობდნენ ხევსურები.

საღამოს საფიხვნო აივსო ხალხით. ქალები ბანზე ისხდნენ, კაცებიც, ბავშვებიც:

ჭორი მოვიდა დილით მთაში:

_ ბოლშევიკები გადადგნენო.

უმაღლეს ადგილას იდგა თმაგაშლილი ჯაბუშანური გაბრიელ, ლოთი ხევისბერის შვილი, და დაბალი, არყისგან ჩაფხრეწილი ხმით კითხულობდა შილერს ორიგინალში. «ჭილჰგელმ თელლ» დაიწყო მან. ხევსურები გაირინდნენ. მზე ჩადიოდა. შორს დასავლეთი წითლად შეიღება, მერე სხივი მაღლა აიწია, მერე უფრო მაღლა. ბოლოს ჩაქრა. ახლა მხოლოდ ნათელი დარჩა იქეთ: ისმოდა ღრიალი, გრიალებდნენ ზარბაზნები.

_ რაი?

_ ტელიო მგონი.

_ ვინა?

_ ნემენცურია.

_ გერმანულია.

_ უცხოა.

ხალხი აშრიალდა. ბანზე ბავშვი ატირდა.

ლოთი ხევისბერის შვილი ჯაბუშანური გაბრიელ კი იდგა და თმააშლილი კითხულობდა ტელის მონოლოგს: ……. . .

ხევსურები ნელა გაჩუმდნენ. ბავშვმა ჩაიძინა.

ბავშვები არა ტიროდნენ.

ხევში დაბმული ცხენი დუმდა.

ღრიალებდნენ მთები.

გარინდული უსმენდა თემი ჯაბუშანურს: ის ჯერ კითხულობდა, მერე დაღამდა:

ხელში წიგნი ეჭირა და ზეპირად განაგრძნობდა კითხვას:

ხევში დაბმული ცხენი დუმდა, მერე ამოძრავდა, ყალყზე შედგა და აჭიხვინდა.

გაბრიელმა კითხვა მოათავა.

ახმაურდა თემი: ხევისბერმა ისევ ღრეობა გამოაცხადა. გალეშილ მინდიას ძლივს აკავებდნენ:

ისმებოდა სასმელი.

იჭმებოდა საკლავი.

ქალები ისხდნენ ჯვრის საზღვართან.

ღრეობდა თემი:

ჭორი მოვიდა დილით მთაში: ბოლშევიკები გადადგნენო.

ძაუგთან ღრიალებდა ზარბაზანი. იმ ღამეს ჯაბუშანურთა ძაღლს ყმუილი არ შეუწყვეტია.

ეს ამბავი ცუდად ენიშნა ხევისბერს.

შეუცნობელი იყნოსეს ხევსურებმა.

წელი 1957. თებერვლის 28.

ტკივილი? _ არა.
რაღაც და გათავდა

პირველი თოვლი სულ თხელი იყო. იმ ღამეს არ გადაიღო. დილისთვის მთელი ველი დაფარა. ახლა უკვე ფეხი იფლობოდა. მოშივდა ბაჭიას. ციოდა. თოვლი გაქექა და უკანა ფეხებზე ხტომით დაეშვა ჭალისაკენ. ქარი უბერავდა. ვერაფერი იპოვა:

შიოდა.

ძალიან, ძალიან მოუნდა ბალახი; თუნდაც სულ ცოტა; უფრო მოუნდა ან თივა, ან ყლორტი.

შიოდა.

რა გემრიელი იქნებოდა ბალახი.

ახლა შუა ველზე მიკუნტრუშებდა.

შიოდა.

უცებ იგრძნო რაღაც.

ტკივილი? _ არა.

რაღაც და გათავდა.

ვანომ თავის შვილს დაუძახა და მოკლული ბაჭია აბგაში ჩაუდო.

_ მამა, ფეხები მომეყინა, _ თქვა ბიჭმა.

_ ნუ გეშინია, ერთ საათში სახლში ვართ, _ დაამშვიდა მამამ.

წელი 1957. მარტის 18

<u>ს ე ი რ ნ ო ბ ა</u>

«თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს».

ქარმა მოუბერა. რუხად აშალა მტვერი ბინდში. მოხუც ჩაჩაურს ხველება აუვარდა. მინდია ხმელ ბალახს აგროვებდა, მერე სადღაც მტვრიანი ჯაგი იპოვა. შუაღამემდე ეწვალა: ძლივს შეაგროვა ხიწაწი.

ალი უცებ ავარდა:

ჩაჩაური თექაში გახვეული იჯდა. თავი და ბეჭები მტვრითა ჰქონდა სავსე. გაცვეთილი ქუდიდან ურჩ თმას ამოეყო თავი. ხელში მიმქრალი ჩიბუხი ეჭირა. მერე მინდიაც მოვიდა.

_ ძაღლები უდარაჯებენ, _ თქვა მან.

_ დათვალე?

_ ჰო, ათნივე არიან.

უცბად ავარდნილი ალი უცბადვე ჩაქრა.

ახლა მთვარე ამოვიდა. ჯერ წვერი გამოაჩინა.

_ აქეთაც დიდი ყოფილა, _ თქვა ჩაჩაურმა.

მერე უფრო ამოვიდა მთვარე. მოხუცი წამოდგა, ძროხები დაათვალიერა და ისევ მიჯდა. მინდია კანკალებდა.

_ პაპავ, ახლა რა იქნება? _ თქვა მან.

_ არც რაი.

_ საფიხვნო აღარ გვექნება?

_ რა ჭირად გვშავდება.

_ აღარ წავალთა უკან?

_ მე აღარა.

_ შენ რატო?

_ სიკვდილი მიწევს, ალბათ.

ჩაჩაური უფრო გაეხვია თექაში.

მინდიას მიეძინა.

ძაღლები ყმუოდნენ. «სიზმარი თუა», ფიქრობდა მოხუცი, «არც ხეა, არც მთაი. მარტო ველი, ურჯულოსაც არ ვუსურვებ, ამბობენ, ქედშიაც ეგაარ. ეჰ, საწყალი ლიქოკელ ბერდია პირველი კაცი იყო შატილში, ახლა თავი მოუკლავს ქედში. ძნელ არს, ალბათ, იქ». პაპამ სატევარი მოსინჯა. «ტუტუცი ყოფილა მაინც ბეჩავი, ეცოცხლა, იქნებ?» ისევ მოსინჯა სატევარი. «თუმცა კარგი უქნია. მაშინ კი მაჯობა დოღში, ცხენი ჰყავდა კარგი, პირდაპირ გადაუშვა კლდეზე, მე ვუცერე, მაინც წამექცა».

ისევ მოუბერა რუხმა მტვერმა.

მთვარე აქრობდა ვარსკვლავებს.

ჩაჩაური ფიქრს განაგრძობდა.

«ახლა სად იქნება დოღი, აქა, ტრამალში, ამ უდაბურში, ვახ მე, სწორ იყავ, ლიქოკელო ბერდიავ, მე და შენ ბევრი ჯვრობაი გვახსოვს, ბევრი დოღი, ვერ გაუძელ განა ტრამალს, ომი მაინც ყოფილიყო, ბეჩაო, ან ჩხუბი, არ დამენანებოდი მაშინ, ცოდო ხარ ახლა ასე ტყუილად; ბეჩაო, « ომ მაინც ყოფილიყო; გადასახლებისთვის, რა ტყუილად». მოხუცმა ისევ მოსინჯა სატევარი, მერე სიბნელეში ვიღაცას დაემუქრა. « ვის უნდა ჩვენი ავი ნეტავი», განაგრძობდა დუდუნს, « რა შურთ, მიწაი მწირი, თუ

გული ჩვენი, ალბათ გული, უჰ შენ, ჩაჩაურო», ამოიგმინა ბერიკაცმა, « ომია, მა რაი არს, ომ მაშა».

ნელა ქრებოდა მთვარე, ახლა თეთრადღა მოჩანდა. სადღაც ანათებდა ვარსკვლავი. აცივდა.

ძროხები წინ მიდიოდნენ, სულ წინ მინდია მიდიოდა, სულ ბოლოს ჩაჩაურ, ციოდა, მერე დაცხა, მერე ჩამოცხა. სქელი და რუხი მტვერი ედებოდა ნახირს. ჩაჩაური ახველებდა. ჩაიბურა მტვერი, რუხი და სქელი.

საქონელმა წყალი იყნოსა და აღმუვლდა.

_ მინდიავ, _ გასძახა ჩაჩაურმა, _ ბიჭავ, ის რაი?

_ ალბათ, ზღვა, პაპავ.

_ რომელი?

_ ამბობენ, თბილისის, იქ არის ჩვენი ადგილი.

_ მაგ ხრიოკში, ბიჭავ?

_ ალბათ.

საქონელი წყალს დაეწაფა. მინდია ცივ მჭადსა ლოღნიდა.

ცხელოდა.

_ ბიჭავ, სადა ვართ? _ თქვა ჩაჩაურმა.

_ ზღვაზე.

_ რომელზე?

_ თბილისის, პაპავ.

_ აქ მოიკლა თავი ლიქოკელმა?

_ ალბათ, პაპავ.

ჩამოსხდნენ. წყალი ოდნავ ღელავდა. საქონელი ჟინს იკლავდა.

_ ბიჭავ, ერთ ის ლექსი თქვი.

_ რომელი, პაპავ?

_ ისა.

_ ისა?

_ ჰო.

_ «თავს არ მაიკლავს ქართველი, არა,

ის შაიძლების ბრძოლაში მოკვდეს».

_ კიდევ თქვი.

_ მერე, პაპავ; პაპავ, ლიქოკელ ქართველ არ იყო?

_ ჰო, _ თქვა ჩაჩაურმა.

_ რად მაიკლა თავი მაშ?

_ თავი?

_ ჰო.

«ის შაიძლების ბრძოლაში მაკვდეს.» გაიმეორა გულში ბერიკაცმა. «ბრძოლაა, მა რა ოხრობა, დასცეს და მოკვდა», გაიფიქრა თავისთვის.

_ არ ვიცი ეგ, _ თქვა ხმამაღლა, მერე ნახირს დაუარა.

შორს, სულ შორს, ზღვაში, იალქნები დაცურავდა. ქვევით ტიტველა ხალხი იყო. მოხუცმა მოიჩრდილა. წინიდან სიცილი ისმოდა: ძაღლები უღრენდნენ მოცურავეებს.

_ ეგენი ვიღა არიან? _ თქვა მანანამ.

_ ალბათ, აისორები ან ქურთები. _ გურამმა მოქარგულ ხალათებს ჩააყოლა თვალი.

_ არა, ხევსურები არიან, _ თქვა ნოდარმა.

_ სად მიდიან? _ იკითხა მანანამ.

_ სეირნობენ, _ გადაიხარხარეს ბიჭებმა, გოგოს ხელი მოჰკიდეს და სირბილით დაეშვნენ წყლისკენ.

წელი 1957. 1 მარტი.

ვახო ოთახში თვრება

მანქანამ უცებ აიღო მარცხნივ, მერე ქვაფენილის კუთხეს გაეხახუნა თვლებით და გაჩერდა. ვახო და ნანა შეხტნენ მაღლა.

ბიჭმა გოგოს ბარძაყიდან ხელი ჩამოიღო და უბისკენ წაიღო.

_ საღოლ. – უთხრა შოფერს და ოცდახუთიანი გაუწოდა.

მანქანა შეინჯღრა, მერე გავარდა. მოუხვია, უკანა სვლა მისცა და უკან დახეული წინ გაიჭრა. «ნიჩივო ნაშაა», გაიფიქრა შოფერმა და პადიეზდში შემავალ ნანას გავას თვალი ააყოლა.

დამლაგებელი იატაკს წმენდდა. მრუდე თვალები ააყოლა გოგოს. ბიჭი წინ მიდიოდა. ორი კარი ოდნავ გამოიღო, მერე მიიხურა. ვახომ სახლში შეიყვანა. «უეჭველი მოვრჩები», გაიფიქრა გულში, მერე ჯიბიდან ნახევარბოთლიანი დააძრო, მეორე შიგ დატოვა.

_ პარა, პარა, რაა, რა, _ აჭყიპინდა პატეფონი.

_ აქ დაჯექი.

_ ახლავე, _ ნანა მუხლებზე ჩამოუჯდა. მერე ადგა და პალტო გაიხადა, ბიჭმაც გაიხადა.

ვახომ ჩამოასხა.

_ დავლიოთ, «სტალიჩნია».

დალიეს, მერე ვახომ დალია მარტო.

«დავათრობ და . . .» _ ფიქრობდა ვახო.

_ ვახო, _ გოგომ ლოყაზე უჩქმიტა. _ ვახო, აბა ჩაის ჭიქას თუ დაცლი. _ ვახომ მოიყუდა, მერე გოგოს დაალევინა: ცოტა მოსვა.

_ ნანა!

_ რა?

_ მოდი აქ.

ნანა ჩამოუჯდა. ვახომ ცალი ხელი ძუძუებში ჩაუყო, აზღუდიდან ამოუღო. უსრესავდა. შემთვრალი გოგო კისკისებდა.

_ კიდე რა, ვახო.

_ რა?

_ დავლიოთ.

_ ჯერ ის.

_ ჯერ არა.

კიდე დალიეს. ვახომ ჩაის ჭიქით. გოგომ ცოტა მოსვა.

«დათვრება და . . .» გაიფიქრა ბიჭმა

_ ახლა, _ თქვა ვახომ.

გოგო მინებდა.

ვახო დაწვდა, კაბა აუწია და

_ ვახო! _ წამოვარდა ქალი.

_ რა?

_ დმპ-პუ. _ მოხვდა სილა ვაჟს.

ვახო გაიღრიჭა, მთვრალი ყბა გვერდზე მოექცა, დაწითლებული თვალები ერთმანეთში გაეყარა.

«ფუ, რასა ჰგავს», გაიფიქრა ნანამ.

«ჯერ არ დამთვრალა», გაიფიქრა ვახომ.

ნანა შემთვრალი იყო,

ვახო მთვრალი.

_ კიდე დავლიოთ, _ ნანას სიცილი აუვარდა, ვახო ბოთლს დაეწაფა, მერე გოგოს მკერდს: კაბა ჩაუხია და ისე. გოგო გადაწვა: ბიჭმა ისევ წაიღო ხელი, მერე სისუსტე იგრძნო, რაღაცა მოაწვა გულზე: უცებ მოეკიდა არაყი: ახლაღა იგრძნო სიმთვრალე. ახალი ძალით შემოახია და ხელით მისწვდა. თითი გაუქანა: გოგომ შეჰკივლა და კარისკენ გავარდა. ვახოს თავბრუ დაეხვა. თავი გადმოკიდა და საწოლის ქვევიდან ტაშტი გამოიღო. არწყევდა.

გოგო იდგა კარში და კანკალებდა. «ნეტა, მთვრალი არ იყოს», გაიფიქრა და თვითონაც მოუნდა, ისიც შემთვრალი იყო, სულ ოდნავ ეხვეოდა ბრუ.

ნელა მოაბრუნა სახე.

ვახო არწყევდა.

«ფუ, რა საზიზღარია», გაიფიქრა ისევ და შუბლის დასაჭერად მივიდა.

ვახო არწყევდა.

«ნეტა მთვრალი არ იყოს», ფიქრობდა გოგო, ვახოს ხელი ლაჯებს შუა ეჭირა და შუბლს არ უშვებდა.

ნელა, სულ ნელა უჭერდა ბარძაყებს ვახოს ხელს, მერე მოუდუნდა და უძლურად დაჯდა გვერდზე.

ვახო კი არწყევდა.

ოთახში მჟავე სუნი დადგა.

წელი 1957. მარტის 2.

<u>სამი ამბავი:</u>

გურამი მარტო, მერე რესტორანში

სულ ზევიდან მოდიოდა მტკვარი და ქვევით ფართოვდებოდა. სულ ქვევით უფრო ვიწრო იყო. შუაში ჩანდა ყველაზე განიერი. იქით ნაპირზე ლერწამი იდგა და არა შრიალებდა. არც მდორე წყალი იღებდა ხმას. მზე კეფაზე მაცხუნებდა, მერე ჩემ წინ ეცემოდა, მერე მღვრიე წყალს ეცემოდა: ჟანგისფრად ირეკლავდა თიხიანი მდინარე.

მზე კეფაში მაცხუნებდა. ჯერ არ მესიამოვნა, მერე თითქოს შევეჩვიე. ახლა ვიჯექი და კატასავით მსიამოვნებდა სითბო. იქით ნაპირას შორს მოჩანდნენ დამდგარი ლერწმები. მტკვარი სულ ზევით ვიწრო იყო; იქიდან ნავი გამოჩნდა, ის ნელა მოდიოდა ქვევითკენ. მე ვუყურებდი და ვფიქრობდი, «ნეტა ორი კაცი ზის თუ ერთი». როცა გამისწორდა, დავინახე, რომ ერთი იჯდა და დინჯად უსვამდა. მტკვარი ქვევით ისევ ვიწრო ჩანდა. ნავი ნელა დაპატარავდა, მერე გაქრა. მე ვუყურებდი მიმავალს და ველარაფერზე ვერა ვფიქრობდი. მზემ უფრო დამაჭირა კეფაში, შემდეგ ზევით აიწია.

ახლა თვალებზედაც დამხედა. უფრო გავინაბე. ჩემ წინ, პირდაპირ, მდინარის იქით, ლერწმები იდგნენ. მერე თითქოს აფორიაქდნენ ისინი. ტ-ტ-ტ-ტ-ტ-ტ, ისმოდა იქით ნაპირიდან, მერე კივილი გაისმა. ლერწმები ისევ იდგნენ, მხოლოდ მათ უკან მატარებელი გარბოდა კივილით. მე მხოლოდ ვაგონის სახურავებს და ორთქლმავლის მილსა ვხედავდი.

რატომღაც წამოვდექი. მზე ისევ აჭერდა. ნელა დავიწყე ნაპირიდან ამოსვლა. გზა შამბნარში მიდიოდა, შემდეგ თიხიანი შეღმართი იყო, მერე იწყებოდა შარა.

შარაზე გუდრონი ესხა, ზედ ხრეში ეყარა. ქვებს ვურტყამდი ფეხსაცმელს. კენჭები ცოტაზე მიგორავდნენ, ზოგი ვარდებოდა ქვევით, ზოგი იქვე ესობოდა გუდრონში. გზა შავად ლაპლაპებდა. უკნიდან მანქანამ გამასწრო; ცარიელა საბარგულზე ვიღაც გლეხი ხტუნაობდა ნჯღრევისგან. წინიდან მარტო გზა მოდიოდა, მეტი არაფერი, მერე ვიღაც გამოჩნდა და გვერდზე შეუხვია. შარა სულ პირდაპირ მიდიოდა, მერე გადადიოდა ხიდზე, მერე მოედანზე. აქ რამდენიმე კაცი იდგა. მე პირდაპირ შევედი რესტორანში. გრილოდა. ბორჯომი მოვითხოვე და დავჯექი. დიდთავა მიმტანი აფათურდა. ვსვამდი წყალს: დიდთავა რაღაცეებს ანგარიშობდა ქაღალდზე, გვერდზე საანგარიშო ედო. გარედან დროდადრო ისმოდა მანქანის ხმა. მერე რესტორანში სამი კაცი შემოვიდა. ერთს ჯოხი ეჭირა, ნახევრად გრძელსახელოებიანი განდოვკა ეცვა, ის ჭრელქამარშემორტყმულ შარვალში ჰქონდა ჩატანებული, შარვალი მიწასთან თავდებოდა და ფეხსაცმელს ფარავდა.

_ აბა შენებური, _ თქვა მან.

_ შენ ვერ მოგატყუებ და არ არის, _ თქვა დიდთავამ.

_ ჩქარა იქნება?

_ შენ ვერ მოგატყუებ და ნახევარ საათში.

_ ღირს დაცდა?

ოფიციანტმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, მერე გაუღიმა. განდოვკიანმა ჩალის შლიაპა მოიხადა, ქვევიდან ბოქსით გაკრეჭილი სამკუთხა თავი გამოჩნდა. მან გამგებიანი სახე მიიღო და დაჯდა. ხალხი მაინც სულ სხვაა, გამოვცოცხლდი, რაღაც მესიამოვნა.

_ მოდით, _ დაუძახა დანარჩენ ორს ბოქსიანმა.

_ რა არი, იქნება? _ თქვა ერთმა.

_ როგორ, კაცო, პირველად კი არ ვარ.

_ აქ ვერ ვიცნობ, თორე რუსთავისკენ. _ თქვა ისევ მან.

_ აქა მე მკითხეთ, მე ვიცი მაგათი, _ ატრაბახდა განდოვკიანი.

ისინი ჩემ უკან ისხდნენ. რესტორანში გრილოდა. მე მათ ვერა ვხედავდი, მაგრამ ხმა მესმოდა. ერთი წრიპინებდა, მეორე ხრიალებდა, მესამე, მგონი, ჩუმად იჯდა.

ოფიციანტი და დახლიდარი რაღაცას ითვლიდნენ დიდ საანგარიშოზე.

ხალხი მაინც სულ სხვაა, გამოვცოცხლდი. მერე ყაურმა მოვითხოვე.

_ თქვენთვის ოც წუთში, როგორც გეკადრებათ, _ გამიღიმა ოფიციანტმა, _ მანამ ჯონჯოლს მოგართმევთ.

სიამოვნებით დავიწყე ჭამა. ჯონჯოლი მჟავე იყო. მომშივნოდა.

[1957წ. მარტი]

რ ო ც ა ს ა ქ მ ე ა რ ა რ ი ს

(უსაქმო კაცი ყვერებში მახათს იყრიდაო)

_ რა მშვენიერია აქ.

_ გმადლობთ.

_ აი ის, პირდაპირ, ხედავთ, მდინარეა, არა?

_ იის? დიახ.

_ დიდებული ჰარმონიაა, არა?

_ იცით, რა?

_ ო, არა, ნუ იტყვით საწინააღმდეგოს, თუმცა თქვით, დიახ, თქვენ მართალი ხართ, უთქვენოდ ყოველივე ეს არაფერია.

_ რასა ბრძანებთ.

«რამდენსა ყბედობს», გაიფიქრა გურამმა.

_ ბოდიში, მე დაგტოვებთ ერთი წამით, _ თქვა მან.

ვახტანგმა ფეხი ფეხს მიადგა და გაუღიმა.

გურამი ქვევით ჩავიდა, ჯაზი დაიჭირა და ტახტზე გაიშხლართა. «რა ყბედია», ისევ გაიფიქრა მან.

_ ძალიან მიყვარს თქვენი მეუღლე, _ თქვა ვახტანგმა.

_ ჰოო.

_ საუცხოო ადამიანია, კარგი სპეციალისტი, დიდი სპეციალისტია, მერე სპეციალობაც ისეთი აქვს, იშვიათია, საერთოდ.

_ დიახ, დიახ.

_ მისი მოვლილია, ალბათ, ეს ვენახი, არა?

_ დიახ, მისია.

_ საშინელი მზრუნველია, არა, თქვენდამი?! საერთოდ ის ისეთი სათნოა, იშვიათი, პირდაპირ.

_ ჰო, ძალიან. _ თქვა ნათელამ.

«ღმერთო ჩემო, რა შეგცოდე, თვითონ გაიქცევა და თავის სტუმრებს მე მიტოვებს, ახლა როდის მორჩება ნეტავ», ფიქრობდა ქალი.

გურამი კი იწვა და ჯაზს უსმენდა, ხანდახან ფიქრობდა: «ნეტა თუ წავა ჩქარა, წასვლის წინ დამიძახებს».

ნათელა კი უსმენდა და ფიქრობდა, «რა უსინდისოა გურამი, თავის სტუმარს მე მომიგდებს, თვითონ კი მიდის, სულ არ არის ყურადღებიანი ჩემდამი, არც ვედარდები».

ვახტანგი კი იდგა და ლაპარაკობდა:

წინ მდებარე ვენახი აჭრელებული იყო ნაირნარად, თითქოს ჰაეროვანიც იყო რატომღაც, შევერცხლილიც, თვალწარმტაციც, ჰაერი ნარნარი და გამჭვირვალე, ხეები მაღალი და ალვა, პირდაპირ, პოეტის ოცნება, ნათელა კი ცენტრი ამ ჰარმონიის და ის ერთი, მეტს ამბობდა, ვიდრე მთელი ბუნება ერთად.

_ რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ, _ იღიმებოდა ნათელა, მერე ფიქრობდა, «მაინც რა უყურადღებოა გურამი, მომიგდებს და წავა, ეს კი, მართალია, ყბედია, თუმცა რად არი ყბედი, ხომ უნდა მელაპარაკოს თავაზიანად, ასეთიც არის, არ ვვარგივართ ქალები, ვერ ვაფასებთ პატივისცემას. არა, შესანიშნავი კაცია ვახტანგი».

_ ამასწინებზე ჯეკ ლონდონის «დიდი სახლის პატარა დიასახლისს» ვკითხულობდი, ახლა გამახსენდა,

«რა ნაკითხიც არის», გაიფიქრა ნათელამ.

_ მის კარმიდამოს მაგონებს, თქვენ კი მის დიასახლისს. მერე, იცით, როგორი იყო პაოლა? ო, თვითონ მშვენება, როცა მღეროდა, ან საუბრობდა, და ამორძალი, როცა ცხენზე იჯდა.

«გურამი კი ცხენზე ჯდომასაც არ მასწავლის», გაიფიქრა ნათელამ.

გურამი იწვა და ეწეოდა, მერე გადააგდო ნამწვი. «აღარ მიდის ნეტა?» გაიფიქრა. «ან ამდენს რას ელაპარაკება ნათელას». რაღაც არ ესიამოვნა, ნელა გამოვიდა გარეთ.

ვახტანგს ხელკავი გამოედო ნათელასათვის და ისე მისეირნობდნენ ბაღში.

გურამი აივანზე ავიდა. ისინი უფრო ღრმად მიდიოდნენ. ის ჯერ ჩუმად იყო, მერე რატომღაც ხმამაღლა დაუძახა მოსამსახურეს და წყალი მოსთხოვა.

ნათელა შემობრუნდა.

_ წავიდეთ აივანზე. _ თქვა მან.

_ ოჰ, გურამი? _ გამოაჩინა კბილები ვახტანგმა.

_ დიახ, გურამი. _ ნათელამ ნაბიჯს აუჩქარა.

გურამი მოტანილ წყალს სვამდა, როცა ავიდნენ. მერე ჭიქა გვერდზე დადგა და ვახტანგს საუბარი გაუბა.

[1957 წ. მარტი]

გ უ თ ნ ი ს გ ვ ე რ დ ზ ე ჩ რ დ ი ლ შ ი ,
ვ ნ ე ბ ა

მტვერი სულ ცოტაზე ყვებოდა ლანჩს. ფეხსაცმელი გათეთრდა, მერე მტვრიანი გზა გათავდა და ასფალტი დაიწყო. მარჯვნივ ვენახები იყო, ვიღაც პირდაპირ მიჰყვებოდა შარას. ვიღაცა კი ყვირილით მიჰყვებოდა გუთანს. ვაზის ფოთოლი შრიალებდა. ახლად მოხნულში კი ვანო იწვა, ხელებით ეჭირა თამრო და არ უშვებდა.

_ ბიჭო, სირცხვილია, _ ფუჩუნებდა თამრო.

_ მაიცა ერთი და . . .

_ რა მაიცა, შენ რა, ჩემი სირცხვილია.

_ მაიცა ერთი და...

_ რას უცადო, ბიჭო!

_ მაიცა ერთი და...

ვანო ახლად მოხნულში იწვა, თამრო ხელით ეჭირა, არც ახლო იზიდავდა, არც უშვებდა, დიდი პირი დადორბლილი ჰქონდა და ტუჩზე ლორწო ჩამოსდიოდა.

_ მაიცა ერთი და... _ ამბობდა.

ვენახში ცხელოდა. ფოთოლი ფაჩუნებდა. თამრო ჯერ არ უძალიანდებოდა, მერე პირში ჩახედა, რაღაც შეეზარა და ხელის კვრით გაუსხლტდა.

_ მაიცა ერთი და... _ ისევა თქვა ვანომ და ლორწო პირიდან ხალათზე დაუვარდა

თამრომ ზიზღით მოხედა და ფანჩატურისკენ წავიდა: იქ ჩრდილში ხურუში იწვა და თვლემდა. თამრომ კოკა მოიყუდა, წყალი პირს უსველებდა, მერე მკერდზე ესხმებოდა, მერე ძუძუებშუა ღარს მიჰყვებოდა ქვევითკენ.

ნელა იღვიძებდა ხურუში ისევ.

[1957 წ. მარტი]

"ჯერ ძალიან ბნელოდა"...

ჯერ ძალიან ბნელოდა: ასე იცის გათენების წინ, მერე ოდნავ გაბაცდა სიბნელე, მერე უფრო გაბაცდა, ბოლოს გათენდა. ცაზე ღრუბელი არ იყო და საიდანღაც დაიწყო მზემ ამოსვლა. მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცოდი: ვიწექი გულაღმა ჩემს საწოლში და მეძინა. ასე წოლა ყველაზე ძალიან მიყვარს, როცა გულდაღმა წოლით ვიღლები. საერთოდ კი მარჯვენა გვერდზე მძინავს ხოლმე.

_ რამდენს ტრიალებს ძილში ეს ბიჭი, _ სიზმარივით მომესმა დედის ხმა, მერე ვიგრძენი, რომ საბანი დამახურეს. მესიამოვნა. მაინც გამიტყდა ძილი. ვიწექი და ვფიქრობდი სიყვარულზე. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ლია უფრო მიყვარდა, ვიდრე ნანა. ალბათ, იმიტომ, რომ მას დიდი ხამხამა თვალები და თხელი მაღალი ტანი ჰქონდა, თუმცა ნანას შავი თმა და სწორი პროფილი, რის პროფილი... სქელი ტუჩები: სულ ნელა რომ სუნთქავდნენ... არა, არ ვიცოდი, რომელი უფრო მიყვარდა.

ნელა დავიწყე ადგომა. ცოტა ციოდა. «მარტი გადის, აღარ დათბა», გავიფიქრე. ფეხები ტახტიდან ჩამოვკიდე.

ქვევით მაღალყელიანი ფეხსაცმელები ეწყო და ზევიდან წინდები ეყარა. ავარას სტვენით დავიწყე ჩაცმა. როცა შევიკარი თასმები, მაშინღა მომაგონდა, რომ შარვალი ჯერ არა მქონდა ჩაცმული. გახდა დამეზარა. ძლივს გავტიე ერთ ტოტში ფეხსაცმელი. შარვალი ძალიან ვიწრო იყო. ტახტზე ჩამოვჯექი. «გამიჭირა რა საქმე ამ შარვლის ჩაცმა-გახდამ ყოველდღე», გავიფიქრე, მერე მეორე ფეხი ჩავაცურე ტოტში. ვგრძნობდი, როგორ ეწმინდებოდა შალს ფეხსაცმლის მტვერი.

სახლიდან შუა დღეს გამოვედი. მძიმე მაღალყელიანებს ნელა ვადგამდი. ტაკ-ტაკ-ტაკ, ისმოდა ასფალტზე. მოკლე იტალიური პალტო უკანა მქონდა გადაწეული ბეჭებზე, ქვევიდან მარტო თეთრი დიდსაყელოიანი პერანგი მეცვა, გულგაღეღილი. უკნიდან მზე აჭერდა და მცხელოდა, წინიდან კი ცივი ნიავი შემოდიოდა პალტოში, მერე პერანგში. ღრმად ვისუნთქავდი. პალტოს ჯიბეში ასმანეთიანი მოვსინჯე. «ესეც ასე», გავიფიქრე, მერე უბიდან ამოჩრილ თემას დავხედე, რომელშიაც წინა დღეს ხუთი დამიწერეს. ლექტორმა თვითონ წამოაყენა წინადადება მისი დაბეჭდვის შესახებ. მერე კი ასპირანტურა მელოდა, ახლა უკვე უმისოდ ვეღარ წარმომედგინა. მთელი დღე ფორმულები მიტრიალებდა თავში. არა, მაინც ჩემი უფრო სწორი იყო, თუმცა ჯერ ვერ ვასაბუთებდი მთლიანად. გამოთვლებში გავერთე. დიდ ქუჩაზე ხალხმა იმატა. ნელა გამეფანტა ყურადღება. ახლა ორი ფორმულაღა მიტრიალებდა თავში. ტრამვაი გრიალით მიდიოდა ქვევით. წინა ბაქანზე ვიღაცის აშლილ თმას მოვკარი თვალი. მერე კისკისი მომესმა. ახლა ქუჩის თავიდან ისმოდა კისკისი. ვიღაც ახმახს ხელი გამოედო ორი გოგოსთვის და რაღაცას უყვებოდა.

1957 წელი. [მარტი]

"ვანო ჩემკენ ზურგით დადგა და"...

ვანო ჩემკენ ზურგით დადგა და ვიღაც ახმახს დაუწყო ლაპარაკი. ვანო დაბალია. ძლივს აგონებდა თავისი წრიპინა ხმით ორად მოხრილ მოსაუბრეს.

მე ვიდექი: ველოდი ახმახის წასვლას, რომ ვანოსთან გამეგრძელებინა ლაპარაკი. ახმახი არ მიდიოდა.

ვერ ვფიქრობდი: მარტო მინდოდა ის წასულიყო და ვანოსთვის დამემტკიცებინა, რომ ხვლიკი ნიანგთა ქვეკლასში შედის. არ ვფიქრობდი, მხოლოდ თავისთავად ვიცოდი, რომ აქ, ჩემ ზევით, ცხოვრობდა რუსიშვილი. მერე ცოდნა გამოიკვეთა თითქოს. ისევ მომაგონდა რუსიშვილი. ის ჩემი ბავშვობის ძმაკაცი იყო. ათი წლის წინ მოკვდა საწყალი. ახლა თან მეცოდებოდა, თან არა. ალბათ, იმიტომ, რომ მის სიკვდილს შევურიგდი. ბევრი დრო გავიდა მის შემდეგ: ათი წელი. ახლა ვდგავარ, არაფერზე არა ვფიქრობ, მხოლოდ ახმახის წასვლას ველოდები, რომ ვანოს დავუმტკიცო ხვლიკის ამბავი. რაღაც შეუცნობლად, უფიქრელად ვიცი, რომ აქ, ამ აივანზე, ცხოვრობდა რუსიშვილი, ჩემი ბავშვობის ძმაკაცი, რომელიც მოკვდა ათი წლის წინ.

1957 წელი. [მარტი]

<u>ცხოვრებაში, აბანოში</u>

ქოშები ეყარა კუთხეში.

ქოშები მიჰქონდათ კუთხიდან: ძირი ხისა ჰქონდა: ზედ ბრეზენტის ბრტყელი თასმა იყო გადასული.

ქოშებში უყრიდნენ ფეხებს.

ქოშებს იყრიდნენ ფეხებიდან.

ხის ძირები ხვდებოდა ასფალტის იატაკს.

ტკაპუნობდა.

თასმა არ უშვებდა ფეხიდან:

ფეხები იყო შავი უმაზოლოდ, თეთრი უმაზოლოდ და შავი და თეთრი მაზოლებით.

მერე დასდიოდათ წყალი ქოშებს: ცივი, ცხელი და ცივი შეზავებული ცხელთან: გრილი.

ხის ძირები ტკაპუნობდნენ ქვის იატაკზე ორთქლში.

ქოშები იდგმებოდა ძირს პირდაპირ, განზე ცერად და შიგ ცერად.

თასმა ეკიდა თავისუფლად, დაჭიმული და ისე: არც თავისუფლად, არც დაჭიმული. წყალი კი მოდიოდა: ერთ მილში ცხელი, მეორეში ცივი. მერე აზავებდნენ: ქოშებს უმეტესად ნელ-თბილი დასდიოდათ.

მერე ისევ ძირს ეყარნენ ორი ერთად. მათთან შიშველი თხელი, ან შიშველი სქელი, ან შიშველი საშუალო ფეხები იდგა და ქვის ტახტზე გაშხლართულ ფეხებს ხეხდა.

ფეხები იყო გრძელთითება, მოკლეთითება, ათ-ათი. იშვიათად: რვა ან ცხრა ან თერთმეტი. ხან იყო მარტო ხუთი თითი და ერთი ფეხი. მეორე ფეხი მუხლის ქვევით წყდებოდა: მაშინ მექისესთან იდო ერთი ქოში და ორი ყავარჯენი.

ქოშები იყო ხისა.

თასმა ბრეზენტის: ბრტყელი და გამძლე ან სუსტი.

ისმოდა ტკაპუნი.

მერე:

ქოშები ეყარა კუთხეში ან სკამებთან

იდო.

მოდიოდა ახალი ფეხები:

შავი უმაზოლოდ, თეთრი უმაზოლოდ და შავი და თეთრი მაზოლებით.

მერე დასდიოდათ წყალი ქოშებს: ცივი, ცხელი და ცივი, შეზავებული ცხელთან: გრილი.

[1957 წლის მარტი]

კისკისებენ ქალები

კისკისებენ ქალები!
ულაყი დასდევს ფაშატს.
შუშის თვალებში
წყალი ჩაუდგა პაპას!

_ მამა, ბილეთი ავიღე ხვალისთვის.
კოტე იჯდა და უაზრო თვალებით უყურებდა ქეთოს.
_ გესმის, მამა? _ გაიმეორა ქეთომ.
მოხუცმა თავი დაიქნია. მერე გაახსენდა, რომ ის ბილეთი ზუგდიდში ჩაიყვანდა; იქიდან ჭკადუაშში წავიდოდა მანქანით. ჭკადუაში კი მისი საგვარეულო სოფელი იყო. იქ ცხოვრობდა დიდი მთავარი მამია დადიანი, პაპა მისი, როსტომ დადიანი, მამამისი და ის, კოტე დადიანი: ქალების მუსუსი. სულ ბუნდოვნად აგონდებოდა ხოლმე თოთხმეტი წლის ციცინო, თხუთმეტის ლეილ და სხვა ვინ მოთვლის. აგონდებოდა: საყვარელი ულაყი ცქვიტი, უნაგირზე ისევ მოტაცებული ქალები.

ახლა თვლემდა.

ძლივს გაიხსენა რაღაცა და იქვე დაავიწყდა.

ეძინებოდა.

ბუნდოვნად გრძნობდა, რომ გვიან შემოდგომამდე, თუ მანამ იცოცხლებდა, სოფელში იქნებოდა, მერე, ალბათ, ისევ ჩამოიყვანდნენ. წინათ მგზავრობის წინ ბანაობა უყვარდა კოტეს. ახლაც აექავა ტანი.

_ ქეთო, _ თქვა მან.

_ რა, მამა?

_ პაპიროსი მომიტანე.

_ მანდ არ გიდევს, კაცო.
კოტემ გააბოლა, მერე დაფიქრდა, სხვა რაღაც უნდა ეთქვა და დაავიწყდა. ისევ მოაგონდა.

_ ქეთო!

_ რა?

_ აბანო მუშაობს?

_ ჰო, ახლა უნდა წაგიყვანო, მამა, თორე შემოდგომამდე შენმა მტერმა არ იბანავა.
კოტე დამშვიდდა. ისევ ჩავარდა სიცარიელეში. მიხვდა, რო აბანავებდნენ და გაირინდა. აღარ ფიქრობდა არაფერზე.

შვილმა ჩააცვა.

კოტე არა ფიქრობდა.

მერე სადღაც იჯდა. ხალხი ხურხურებდა. ცხელოდა. შვილმა კისერი შეუხსნა. ცოტა დაგრილა: მაინც ვერა გრძნობდა ვერაფერს.

კაცების რიგი არ ილეოდა.

კოტე ძლივს იჯდა დაღლილი.
«რა ვქნა», ფიქრობდა ქეთო, «შევუშვა მარტო: უეჭველად დაეცემა, არა და, როგორც ეტყობა, არ გვიწევს ნომერი, მე ხო არ შევალ კაცების საერთოში», გაეღიმა თავზე.

ნომრები დღეისათვის აღარ არის.

გამოაკრეს წარწერა.
«შემოდგომამდე ვერ იბანავებს», გაიფიქრა ქეთომ.
_ მამა, ძალიან გინდა ბანაობა?
კოტემ უაზრო სახე მიიღო.
_ გინდა, მარა, _ თქვა ქეთომ.
_ გავს, მინდა, _ თქვა კოტემ.
_ თუ მოითმენ შემოდგომამდე.
_ მოვითმენ.
კოტემ პაპიროსი მოქაჩა, ბოლი იქვე იშლებოდა ჰაერში.
_ გამარჯობა, ქეთო, _ წამოვიდა ვიღაც ქალი.
_ ოჰ, მარო.
ქალები აკოცნდნენ.
ქეთო თავის გასაჭირს მოუყვა.
_ ქეთო, _ თქვა მარომ.
_ რა?
_ მოდი ქალებთან შევიყვანოთ.
_ რას ამბობ?
_ რა მოხდა მერე, ძალიან მოხუცია.
_ ვკითხოთ.
_ ბაბუა, ბაბუა, ჩვენთან შეგიყვანთ. _ დაუყვავა მარომ.
კოტემ შვილს შეხედა.
_ ჰო, მამა, თორე შემოდგომამდე ხო იცი.
კოტეს აღარ უნდოდა ბანაობა, საერთოდ აღარ უნდოდა არაფერი.
_ შენ იცი, _ თქვა მან.

საერთოში ქალები ხითხითებდნენ. კოტე შუშის თვალებით იყურებოდა. დარბაზში ორთქლი იყო და არაფერი არა ჩანდა. მერე თვალი შეაჩვია. ძლივს გაარჩია თეთრი სხეულები. მალულად ჩაუდგა თვალებში ცრემლი. ქეთო და მარო ბანდნენ.
ქალები კისკისებდნენ.
ვიღაც ყველაზე ხმამაღლა კისკისებდა.
რაღაც მოაგონდა კოტეს: სულ ნელა გააჟრჟოლა. საპნიანი ხელი ულვაშზე გადაისვა და მაროს თეთრ კანს თვალი გაუსწორა.
უფრო გააჟრჟოლა.
მარო ახალგაზრდა იყო.
ქალები ხეხავდნენ: მოხუცს არა რცხვენოდა. ხელი მაროს ბარძაყს მოჰკიდა. დაეყრდნო.
_ დამეყრდენი პაპა, დამეყრდენი, _ კისკისებდა ქალი. კოტე უფრო დაეყრდნო, მერე უფრო.
კისკისი მატულობდა.
მაროს სიცილისგან ტანი აუთამაშდა.

ისევ გააჟრჟოლა კოტეს: სადღაც ამოძვრა გურიელის ქალის სახე, შიშველი რო ჰყავდა აბანოში დამწყვდეული და ისევ ჩაქრა.

კისკისი არ ჩერდებოდა: არ იღლებოდნენ ქალები.

კოტე დაიღალა.

ხელი გაუშვა ქალის ბარძაყს: ახლა ისევ შუშის თვალებით უყურებდა შიშველ ქალებს და ვერაფერზე ვერა ფიქრობდა. მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ხეხავდნენ თბილი წყლით და სიამოვნებდა.

წელი 1957. მარტის 4. 11 - 11[20]

<u>დღიურ - ამბავი</u>
<u>გაზაფხული</u>

თინა სოხაძის პატარა ძმამ თავი მოიკლა.

ლელი კვანტალიანს ქორწილი ჰქონდა. ქორწილის მერე საქორწილო მოგზაურობა. ამხანაგებმა მცხეთამდე მიაცილეს: ნოდარ იაკობაშვილი მცხეთაში მატარებელმა გაიტანა.

ციალა ფაღავამ თავი ჩამოიხრჩო მავთულით სარკის წინ. მის ფეხებთან გულის ქალისა და ყვავის ვაჟის კარტები ნახეს დაყრილი. ვაკელი ბიჭი სანაპიროზე დაჭრეს დანით. გადმოყრილი ნაწლავები ხელში ეჭირა. ვიწრო ეზოში ბავშვები დაჭერობანას თამაშობდნენ, მერე ომობანას.

კიბეზე შემომჯდარი მეცხრეკლასელი გოგოები ანეკდოტებს ყვებოდნენ. მეშვიდეკლასელი ნათელა კისკისებდა ყველაზე მეტად, ბოლოს თვითონ მოყვა:

ბავშვმა უთხრა დედას მათ მეზობელ ღიპიან კაცზე:

_ დედა, ძია ვასოს დიდი მუცელი რადა აქვს?

_ ფეხმძიმედაა და იმიტომ, _ უპასუხა დედამ.

_ რა ეყოლება?

_ რა ვიცი, _ გაუწყრა დედა.

_ მე ვიცი.

_ რა?

_ სპილო.

_ საიდან იცი?

_ გუშინ ვნახე სახლში ტიტველი, უკვე ხორთუმი უჩანდაო.

ყველაზე მეტს თვითონ კისკისებდა ნათელა. მეორე სართულიდან კაცის ღრიალი და ქალის წივილი ისმოდა: ცოლსა სცემდა მთვრალი ქმარი ჯაგრისით, მერე ვედროთი წყალი შეასხა და ჭურჭლის მტვრევა დაიწყო.

სამშობიაროდან გამოქცეული მახარობელი კიბეზე წაეპერტყა:

გიგი აბაშიძეს ოთხ მარტს გოგო შეეძინა.

_ ბოლოს და ბოლოს შეიტან თუ არა ქირას, _ ყვიროდა კომენდანტი მთელ ეზოზე. ღიპიანი ვასო არხეინად განაგრძობდა პაპიროსის წევას.

წელი 1957. მარტის 4.

<u>მოთხრობები დიალოგებით</u>

დონბასელი მემაღაროელები

_ რომელია, ნოდარ?
_ რვა.
_ დროა უკვე.
_ მაცადე თმის დავარცხნა.
_ შენ სულ ეგრე იცი.
_ შენ ჩემზე მეტს იპრანჭები.
_ მე გოგო ვარ.
_ მერე რა?
_ როგორ რა?
_ მაცადე თმის დავარცხნა.
_ უკვე რვა არის, იცოდე.
_ ვიცი შენზე კარგა.
სარკე პატარა იყო და კამოდზე იდგა.
_ მორჩი?
_ ჰო, მოვრჩი, გაიხარე.
_ მე რა?
_ როგორ რა?
_ წავედით.
_ მაიტა ხელი.
_ შენ მაიტა.
_ შენ გოგო ხარ.
_ მერე რა?
_ როგორ რა?
ქუჩაში ჟინჟლავდა. სახლი კუთხეში იდგა.
_ ახლა ეს მათხოვრები გააწყალებენ გულს.
_ რა ქნან.
_ როგორ თუ რა, იმუშაონ.
_ სად?
_ ახლა ეგ მადარდე.
_ წყვილებო, ლამაზებო, ტარიელ და ნესტან, ორი აბაზი ან ორი შაური.
_ მაიცა, მე მაქვს.
_ ამოიღე.
_ რაღაც ვერ ვპოულობ, ალბათ, შენ ჩხუბში დამრჩა.
_ ჩემს ჩხუბში?
_ ჰო.
_ ლამაზებო, ორი შაური მაინც.
_ არ არის.
_ შაური მაინც, მე ომში მომივიდა კონტუზია.
_ ომში ბიძაჩემიც დაიღუპა.
_ ჩემი ბიძაშვილიც.
_ ნოდარ!
_ ჰა.

_ მოდი, მივცეთ მანეთი, რა?
_ გაგიჟდი?
_ მოდი რა, მოდი.
_ ჩუმად, კინოში მერე?
_ სწორი ხარ, საშინელი მფლანგველი ვარ.
_ ქალი მაინც არ იყო.
_ მერე რა?
_ მერე ის რო, მე რო ვხარჯავ, ბიჭი ვარ.
დიდ ქუჩაზე რეკლამები ენთო.
_ ნოდარ, ნოდარ, მაიტა რა სამი მანეთი.
_ შენთან ბოდიში, ქალბატონო, რად გინდა?
_ ის მიმყავს კინოში.
_ რომელზე?
_ ათიანზე.
_ წაიღე.
_ საღოლ!
_ კიდე კარგი მათხოვარს არ მივეცით.
_ მაშ!
_ ვახტანგი კარგი ბიჭია, არა, ნოდარ?
_ ჰო.
_ რამდენი ხანია მომწონს, იცი?
_ როგორ მოგწონს?
_ ისე, ამხანაგურად.
_ ისე შეიძლება.
ტროლეიბუსში ჭედვა იყო.
_ ორი ბილეთი.
_ სადამდე?
_ რუსთაველის კინომდე, ოცდაათიანი.
_ აჰა ხურდა. ბილეთი, თუ ამოვიდა კონტროლიორი, მაშინ.
_ კარგი.
_ შენმა გულუხვობამ მომკლა, ნოდარ.
_ რას იზამ.
_ ნოდარ, აგერ ისევ ის მათხოვარი. ტროლეიბუსს წამოჰყოლია.
_ ძმებო და დებო, მართალია, ქართველი კაცი არ უნდა ვმათხოვრობდე, მაგრამ ორჯერ დამარხული, ორჯერ ამოღებული.
_ აჰა, წაიღე.
ქუდში ხურდა ცვიოდა, აქა-იქ ქაღალდი ეგდო.
_ მე, ბიძინა ღლონტი, გმადლობთ, დედი, ბაბო, შეყვარებულებო, ლამაზებო, კარგებო.
_ ჩვენ შეყვარებულები არა ვართ.
_ რა მაგის საქმეა.
_ რათა, ნოდარ, იცოდნენ მაინც.
_ მერე რა.
_ მგონი, ვახომაც არ იცოდა, მე რო შენი და ვარ, არა?
_ რა ვიცი.
_ იმიტომ რო ჩემთან არასოდეს გამოდიხარ.

_ რა ხეირია.
_ როგორ?
_ ისე.
_ ნოდარ, იცი რა?
_ რა.
_ არაფერი, მერე გეტყვი.
_ კარგი, კარგი.
კინოში ცოტა ხალხი იყო. აბრაზე ეწერა:

Донецкие шахтеры
Донецкие шахтеры

წელი 1957. მარტის 7.

<u>**ს ა დ ი ლ ი ი წ ვ ე ბ ა !**</u>

_ ტყუილია.
_ რას ამბობ, ისეთმა კაცმა თქვა, რო.
_ ვინ?
_ მაგას ვერ გეტყვი.
_ მითხარი, რა!
_ არ შემიძლია.
_ ხო იცი, მე ლაპარაკი არ მიყვარს.
_ შენი ჭირიმე.
_ შვილებს გეფიცები.
_ შალიკომ.
_ შალიკომ?
_ ჰო, ქალო, წარმოგიდგენია?
_ არაფრით არ მეგონა, თუმცა უარესებიც ხდება.
_ როგორც ეტყობა.
_ შალიკო ისევ იქ არის?
_ არა, ზამმინისტრაა ახლა.
_ იმის ადგილას ვინ არის?
_ ღვინეფამე გრიშა.
_ ეგ რომელია?
_ ქუთაისელი ბიჭია.
_ რა ხნის არის?
_ პოდპიდესიატ.
_ რაღა ბიჭი!
_ ახლა, ჩვენთან ერთად გაზრდილი როა, მიტო.
_ მაინც შენ რო ნაცნობობა გყავს, ტყუილია.
_ ეჰ ქალო, ტრაბახით არ ვიტყვი და მაგაში კი მაქვს ბედი.
_ კარგია, კარგი.
_ მე კი არ მაინტერესებს მაინცდამაინც, მარა ხო იცი.
_ შე ქალო, სიმდიდრეა, ხო იცი, რამდენი ნაცნობიც გყავს, იმდენი კაცი ხარო.
_ ქე გამოვალ გერმანიის ჯარი.

_ გერმანიის თუ ამერიკის.
_ ვის მეტი ჰყავს ვითომ?
_ ამერიკას ახლა.
_ ვითომ?
_ ნამდვილად.
_ რამდენი ეყოლება ნეტა?
_ ალბათ, ბევრი ძალიან.
_ ნამდვილად მაგრეა, ჩქარა დაიწყებენ ნეტა ომს?
_ როცა მოეპრიანებათ.
_ არ ედარდებათ ხალხი, არა?
_ გაგიგონია!
_ წერენ მაგეებს გაზეთში.
_ სავსეა.
_ ერთი წუთი მოცლა არ მაქვს საკითხავად.
_ მასე არ ვარ მეც! ბიძინა ყვება ხოლმე ჩვენი.
_ მე ქე ვკითხულობ, მარა მეოთხე გვერდზე, გასვენებას.
_ მაგას მეც. უხერხულია, ხო იცი.
_ აბა ქალო, რო გამოგეპაროს, ნამეტანი სირცხვილია.
_ ამას წინებზე კოვზაძე პანტელეიმონი გარდაიცვალა.
_ რომელი?
_ რაიკომის მდივანი ქე რო იყო წინ, მერე მოხსნეს.
_ ჰო.
_ ჰოდა, ბოლო დღეს წავიკითხე გაზეთში, ძლივს მოვასწარი თმის დახვევა.
_ ვისთან იყავი დასახვევად, ვასოსთან ისევ?
_ აჰ, ღმერთმა დამიფაროს. იმასთან აღარ ვარ მიმსვლელი.
_ რატო მერე!
_ იმ დღეს აფაქიძის ბოვშის ქორწილი იყო და სულ დამიწვა, ა, ნახე.
_ დედა, ვანიჩკას საქორწილო ბოვში ყავს?
_ აპა, რავა!
_ რა ხნისაა?
_ თვრამეტის.
_ ა!
_ რა, არ მოგწონს, ხო?!
_ გაგიგონია?!
_ ასე, ასე, გადეირია ახალგაზრდობა, აღარ ეკითხებიან არავის.
_ გეირყვნენ, გეირყვნენ ნამეტანი.
_ მაგ ხნის ბოვშის გათხოვება იქნება, აბა?
_ ახლანდელი ბოვშობა.
_ ჩვენ დროს ვინ იკადრებდა მაგას.
_ გაგიგონია!
_ მაშინ მახსოვს, შალიკომ თქვა.
_ რომელმა?
_ დავლიანიძემ.
_ დავლიანიძემ?
_ ჰო, შე ქალო, რა გაიკვირვე?
_ არაფერი, რაო, რა თქვა?

_ მეიწი აქეთ, ყურში გეტყვი.
_ ჰა, ჰა, ჰა, მართლა თქვა?
_ შვილებს გეფიცები, ოღონდ ჩვენ შორის იყოს.
_ მე მაგ არ მჭირდება.
_ ჰო, შენი იმედი ქე მაქვს.
_ რა კაცია მაინც, ა?
_ შალიკოს ფასი ტყუილია.
_ მაშ მართალია ეს ამბავი?
_ შვილებს გეფიცები.
_ თვითონ გითხრა?
_ აპა რავა, ჩვენი დროის ბოვშია.
_ შენ გაზრდას, ერთი კიდე მომიყევი დაწვრილებით.
_ ახლავე, მეიწი აქეთ.
ქეთო მიიწია, მარო სმენად იქცა.

წელი 1957. მარტის 7.

<u>კიდევ სამი ამბავი</u>

(თითოც დავლიოთ და ორი იქნება)

ვზივარ დაჩეხილი: გუშინ დემონივით თუ დურაკივით ვიყავი კონცერტზე.
ვზივარ დაჩეხილი და თავს ვინუგეშებ:
ვაჟაი ნაჩეხი ჯობია!
ღვინო რო მათრობელი სჯობს, ეგ მეც კარგად ვიცი. ძაღლის დედაც ავატირე!

ს ა დ ღ ა ც ვ ი წ რ ო ე ბ შ ი

ნახირი აიზლაზნა ორღობეში.
წებოიან ტალახში ქალამანი იფლობოდა. მერე აღარ იფლობოდა. მთელი ღამე წვიმდა: გუბედ იქცა შარა. ტალახი გათხელდა. დილითაც წვიმდა.
ნახირი ქვევით ჩაუყვა ვიწროებს.
თენდებოდა.
დაღმართის ბოლოს დეკეული დადგა, მერე გუბეში პირქვეწავარდნილ კაცს თავი დაუარა: სხვებმაც ზევიდან გადასერეს გზა. მენახირე ზედ დაადგა ძირს დაგდებულს. ნელა გადმოაბრუნა და ჩაიჩოქა. «დოზანაანთ ვანოა», გაიფიქრა მან, «არ მოიშალა ლოთობა, ნეტა მკვდარია?»
პერანგი ჩაუხია და გულზე დაადო ხელი.
ის არა სცემდა.
_ საწყალი, ღმერთმა შეუნდოს, _ თქვა მენახირემ და უკან ავიდა ვიწროებიდან შარაზე.
ვანო სახლში აასვენეს.
ცოლი ჩუმად ქვითინებდა;
მერე თადარიგს შეუდგა.
გარეთ გლეხებს კახური ქუდები ხელში ეჭირათ.

_ რა მოუვიდა კაცო ვანოს? _ იკითხა ქიტესამ.
_ ლოთობდა, ხო იცი, _ თქვა კოლამ.
_ ვიცი, მაშა.
_ ჰოდა მთვრალი პირდაღმა დაცემულა და ვერ გადმობრუნებულა.
_ სადა, კაცო?
_ სადღაც ვიწროებში.

წელი 1957. მარტის 7.

უ დ ა ბ ნ ო შ ი შ უ ა დ ღ ე ზ ე

ინგილო მეველე ზლაზვნით გადაბრუნდა. ბუზი წამოფრინდა და იქვე დაჯდა. ახლა ის მარჯვენა კედელს უყურებდა. ცოტახნის მერე გულდაღმა დაწვა.
კიდე გავარდა თოფი.
_ ისვრიან, _ თქვა ჩუმად და წამოდგა. შაშხანა კედელზე ეკიდა. ის სამფეხაზე ჩამოჯდა და ჩალბობილი ტყავის ამოქნა დაიწყო.
ახლა სანადირო თოფის ხმა მოისმა.
ცალყურა ძაღლი წკმუტუნებდა.
«ალბათ მოკლეს ვინმე», გაიფიქრა და დანა ამოიღო, მერე ტყავის დაჭრა დაიწყო.
ტყავი ღამე კარგად დამბალიყო და ადვილად ემორჩილებოდა.
მიწურში გრილოდა.
ბუზები ცერზე ასხდებოდნენ: ფრჩხილი ახლეჩილი და დაჩირქებული ჰქონდა.
მეველე იჯდა და ქნიდა ქალამანს. ძველები კუთხეში ეყარა. ფეხებზე დახეული წინდები ეცვა.
კუთხეში ცალყურა ქოფაკი თვლემდა.
გარეთ ცხელოდა და ქარი ქროდა:
უდაბნო მტვრით იყო სავსე.
კარი თათარმა შემოაღო. ის სულ ნაცრის ფერი იყო: ოთახში მტვრის და სიცხის სუნი დადგა.
_ სალამ, _ თქვა მან.
_ რა გინდა? _ თქვა მეველემ.
_ შენი სიცოცხლე, _ თქვა თათარმა.
_ კიდე?
_ კიდე ერთი პაპიროსი.
მეველემ თარო დაანახვა. თაროზე მახორკა ეყარა. თათარმა ქონიან გაზეთში შეახვია. გააბოლა.
_ წეღან ტახი მოკლეს, _ თქვა მან.
_ ჰოო.
_ ზანდიმ მოკლა.
_ მე კაცი მეგონა მოკლეს, _ თქვა მეველემ.
_ კაცი არა, _ თქვა თათარმა.
ერთი ქალამანი უკვე მზად იყო.
კუთხეში ცალყურა ძაღლს წინა თათებზე დაედო თავი. თვლემდა.
თათარი ახლა მეორეს აბოლებდა.
მეველემ მეორის ამოსხმაც მოათავა. მერე ტყავის ცალი ყური მოსულს დააჭერინა და სათასმეების ჩამოჭრა დაიწყო.

წელი 1957. მარტის 8.

მომილოცავს 8 მარტი, დებო, დედებო, გოგოებო და ჩემო გოგოვ. თქვენ იცით, როგორ გამოიყენებთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს! ურა!

ს ო ფ ლ ი დ ა ნ კ ი ვ ი ლ ი ი ს მ ო დ ა

ჯერ მუხლამდე ჩავიდა. მერე ჩაწვა. შემხმარი ტალახი ჯერ წყლით გაეჟონა, შემდეგ დაულბა. მზე გუბის შუაში აჭერდა. ზედაპირზე ნემსიყლაპიები დაფრინავდნენ.

კამეჩი იწვა.

გუბეში კიდე სამი კამეჩი იწვა.

სხვებს ადგილი არა ჰქონდათ:

ოთხი, ტანზელაფშემხმარი, სიცხეში იდგა, ხუთი ჩრდილში თვლემდა.

იცოხნებოდნენ.

მზე აჭერდა.

გუბეში ჩაწოლილები სიამოვნებით იშმუშნებოდნენ. წყალი ორთქლდებოდა, ზოგს შავი კანი იწოვდა. ჩქარა სულ ამოშრა წყალი და სქელი ტლაპო დარჩა.

სადღაც იწუვლა კოღომ.

გუბეს ჩრდილი წაეპარა.

ვანომ ხელი მოიჩრდილა და სახრე მოხარა. «ცოტას კიდევ წავაძოვებ», გაიფიქრა. მერე კოჭლობით ადგა და დაუარა.

ნელა აიზლაზნენ კამეჩები.

ნახნავებში მომკილი პურის ძირებიღა იყო დარჩენილი. გუბეში მწოლარეებს ორთქლი აუვიდათ. მერე ტყავზე ტლაპო შეიკრა და დასკდა.

უხალისოდ ილოღნებოდნენ.

ბოლოს დარჩენილები ისევ წამოწვნენ;

ვანომ სახრით გამოაფხიზლა.

თვითონაც აითრია ფეხი ნახნავებში. ფეხშიშველა ტერფს მჩხვლეტავ მომკილზე ადგამდა პირდაპირ. სქელი კანი ვერაფერს გრძნობდა.

მეორე ხისა ჰქონდა. ხე იყო ბოლოში წვრილი და ღრმად ეფლობოდა ხნულში. უფრო კოჭლობდა ვანო.

ნახირი ნელა მიდიოდა ზევით.

მზე უფრო დაიხარა.

კოღოებმა წუილს უმატეს.

ნახირი შარას აუყვა.

სოფლიდან კივილი ისმოდა. «ალბათ, მოკვდა ვინმე», გაიფიქრა ვანომ.

ახლა ზევიდან დაუარა კამეჩებს.

კივილმა იმატა.

ვანომ უაზროდ გაიხედა, მერე ხელი მოიჩრდილა. მზე ისევ ეკიდა სადღაც. «ჯერ ცოტა ადრეა», გაიფიქრა მან და სვლას უკლო. კამეჩები თხრილის კიდეზე ამოსულ მტვრიან ჯაგს გლეჯდნენ.

ნელა მიდიოდნენ წინ.

სოფლიდან კივილის ხმა მატულობდა.

ვანო უყურებდა მიმქრალ მზეს და არაფერზე არა ფიქრობდა.

წელი 1957. მარტის 8.

რადიოში რვა მარტის სადღეგრძელოდ რუსეთის ქალთა გუნდი მშვიდობას, მეგობრობას, ქალების თავისუფლებას უმღერის. მაშ კიდევ მომილოცნია დღეს მეორედ. რა_შუაშია_ვანო ა?

<u>დ ი ა ლ ო გ ე ბ ი</u>

_ ვა, რამდენს ლაპარაკობენ!
_ სცივათ.
_ ჰოო.
_ რა, ჰო, სცხელათ, ზოგიც შეყვარებულია.
_ რა ვიცი, მაგათი დედაც ავატირე.
_ რო არ შაიგინო, არ იქნება.
_ მორჩი, შენი.
_ რა ჩემი?
_ დედაც ავატირე.
_ ჰოო.

ქ ა რ ი ა , ც ი ვ ა

_ ჩქარა, დავიხრჩვი.
_ ერთი შენი!
_ რა ჩემი?!
_ ახლა ჩხუბი ატეხე.
_ რა ჩემი, თქვი.
_ აკი იხრჩობოდი.
_ თქვი-მეთქი!
_ დაიძრა უკვე.
_ ჩახტი მერე.

ლიანდაგი აკოკრებულზე იდგა. მიწა იყო დაქანებული. ორთქლმავალმა სვლას უმატა. ბაქანზე ორნი იდგნენ თოვლში.

_ ძლივს არ გავგრილდით?
_ ჰო, ქარია.
_ ვა, რა ცხელოდა.
_ საით მივდივართ?
_ მე ვიცი.
_ შენ ყველაფერი იცი.
_ აბა, როგორ.
_ ხედავ, რა ქარია?
_ ჰო, მეც შემცივდა.

_ ქარია.
_ ყურები მაძრება.
_ მატარებელშიც ციოდა.
_ რა ციოდა, კინაღამ დავიხრჩვი.
_ ჰო, ცხელოდა.
_ აკი ციოდაო!
_ დაიწყე ისევ ჩხუბი.
_ არა ვარგიხარ, ისა თქვა.
_ რა შუაშია ეგ.
_ ისე, დოყლო ხარ.
_ მე, დოყლო?
_ ჰო, შენ.
_ კარგი, ვიყო.
_ აკი არა ვარო!
_ თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, მცივა.
_ ჰო, ცივა.
_ ქარსაც ახლა მოუნდა ამოვარდნა.
_ ერთი მაგისი.
_ ნახე, მაინც რამდენია?
_ ალბათ, ათამდე.
_ ათი მენეთი?
_ ჰო, დიდი მენეთი.
_ არა უჭირს, ფულია.
_ მეც ეგ არა ვთქვი!
_ ჰოდა, მორჩი.
_ შენ რა, ისე პრიჩინა გინდა?
_ მორჩი, მაჩვენე აქ.
_ რათა?
_ მერე გეტყვი.
_ აჰა, ნახევარი.
_ სწორია?
_ ჰო.
_ მაიტა კიდე!
_ რათა?
_ კარგი, გქონდეს.
_ ცივა, კაცო.
_ ცივა, მაშ.
_ ადგილი არ იცი თბილი?
_ შენს ჩხუბში გზა დავკარგე.
_ ცივა.
_ მე რა გიყო?
_ შენ არ თქვი, ქოხი ვიციო?
_ ჰო.
_ მერე?
_ მერე რა?
_ წადი შენი მატყუარა დედაც...

_ ისევ.
_ ქარია, ცივა.
_ მე რა გიყო, მეცა მცივა.
_ ერთი შენი.
_ მორჩა.
_ რა მორჩა?
_ ხმას აღარ ვიღებ, რაც გინდა იგინე.
_ რაც გინდა ქენი, შენი დედაც...
_ რათა, კაცო?
_ ცივა, შე ბუმერაზო, ცივა.

წელი 1957. მარტის 8.

ცხელა, დავიძინოთ

_ ეგ ხევი რა არის?
_ არაფერი, ნახევარია.
_ წყალი არ მოდის?
_ არა.
_ ეგრეც ვიცოდი.
_ აბა, რაღას მკითხე.
_ ისე, ცხელა.
_ მერე რა გალაპარაკებს?
_ შენ უფრო მეტს ლაპარაკობ ახლა.
_ ახლა შენ.
_ კარგი ერთი.
_ კარგი და კარგი.
_ იცი რა?
_ რა?
_ მოდი, შევეშვათ თხრას.
_ შევეშვათ.
_ წყალი არ იცი სადმე?
_ წყალი არა ისა, აგე მანდა დგას კოკაში.
_ ოჰო, კარგია.
_ რაღა კარგი, თბილია.
_ თბილიც არის, მტვრიანიც, მაინც წყალია.
_ შენ მართალი ხარ, რა მაგის პასუხია, მართლა შევეშვათ.
_ ძაან კარგს ვიზამთ.
_ კოკას რა ვუყოთ, კაცო?
_ მაიტა აქ.
_ შენ თვითონ აიღე.
თიხის კოკის ნამტვრევები ნანგრევის კედელთან ჩამოცვივდა.
_ ესეც ასე.
_ ჰო.
_ ახლა?

_ მორჩა.

ნანგრევების ქვევით ველი იყო. ველზე ხე არ იდგა. ველის იქით ვენახი. ყურძენი მკვახე იყო. ბაღში ფანჩატური იდგა.

_ ხედავ?

_ ჰო.

_ გინდა, დავიძინოთ.

_ ნახე რა საკითხავი.

_ რას იკბინები ყველაფერზე.

_ მორჩი.

_ რათა?

_ ცხელა, დავიძინოთ.

_ მე რა, არა მცხელა?

_ ერთი შენი.

_ რა ჩემი?

_ არაფერი, დავიძინოთ.

წელი 1957. მარტის 8.

მ ე ხ ო მ გ უ შ ი ნ გ ა გ ი ც ა ნ ი

_ხედავ, რა ახლოა.

_ აბა?

_ აგერ, აგერ იქ.

_ როდის მივალთ?

_ ერთ საათში.

_ მე არ მინდა.

_ რატო?

_ მეშინია.

_ რისი?

_ არაფრის, ისე.

_ რა ისე?

_ ნუ წავალთ, რა.

_ აბა, რა ვქნათ.

_ აქ დავსხდეთ.

_ კარგი.

მდელო იყო მწვანე. ბალახი რბილი.

_ იცი, რა?

_ არა.

_ როგორ გითხრა, არ ვიცი.

_ რა უნდა მითხრა?

_ იცი, რა?

_ ხო გითხარი, არა-მეთქი, ოი, რა დიდი ხელი გაქვს?!

_ არა, რას ამბობ.

_ არა, კი; ღონიერი ხარ?

_ არა, რას ამბობ.

_ რა არა, ნახე, რა კუნთები გაქვს.
_ იცი, რა?
_ არა, ხო გითხარი.
_ წამო რა, იქ.
_ სად?
_ აი იქ, წეღან რომ მივდიოდით.
_ მეშინია.
_ რისი?
_ არ ვიცი.
_ აქ არ გეშინია?
_ აქ არა.
ბიჭმა თავის თათში მოიქცია გოგოს ხელი, მერე მოუჭირა.
_ მტკივა, იცი!
_ რათა?
_ იმიტომ, რო ღონიერი ხარ, თანაც ამხელა ხელი გაქვს.
_ ჰო, შენ პატარა მტევანი გაქვს.
_ მე კი, ნახე, რა თხელია.
_ აბა?
_ აი,
_ ჰო, მართლაც, რა თხელია, მეშინია, არ მოგტეხო.
_ არც ისე სუსტია, შენ რომ გგონია.
_ გინდა გატკინო?
_ აბა, სცადე.
_ არა გტკივა?
_ არა.
_ არც ახლა?
_ არა.
_ არც ახლა?
_ არა.
_ აბა, რატო წითლდები?
_ ხო ვითმენ, შენ რა გინდა.
_ კარგი, გვეყო, აღარ გატკენ.
_ როგორც გინდა. მართლა, იცი, რა?
_ რა?
_ აბა, მარცხენათი თუ მატკენ მარცხენას.
_ კარგი.
_ არა მტკივა.
_ აბა ცრემლი რა არის?
_ არ ვიცი.
_ როგორ?
_ ისე, არ ვიცი.
_ იცი, რა?
_ არა.
_ ცრემლებს ვერ ვიტან, მეცოდები.
_ მოვიწმინდო?
_ არა.

_ რათა?
_ მე თვითონ მოგწმენდ.
_ ვაჟა!
_ რა?
_ ვაჟა!! თვალებზე კოცნა არ ვარგა, ცუდი ნიშანია.
_ აბა რა ვქნა, ცრემლს ვინ დაგიშრობს?
_ არ გინდა, სირცხვილია ასე.
_ ვისი?
_ არავისი, ისე.
_ რა ისე?
_ სირცხვილია, გეუბნები.
_ განა ვინმე გვიყურებს?
_ არა.
_ აბა?
_ შენი!
_ ჩემი?
_ ჰო.
_ რათა?
_ რა უნდა თქვა, მე ხომ გუშინ გაგიცანი.
_ მერე?
_ არ ვიცი, განა ასე ხდება?
_ არც მე ვიცი, ალბათ.
_ ვაჟა!
_ რა?
_ მართლა აკეთებ მაგას?
_ რას?
_ მაგას.
_ ჰო.
_ შენი არა მჯერა, მე კი მართლა ვიღებ, ვაჟა, ჰო.
_ კიდე ტირი?
_ არ ვიცი.
_ მომეყრდენი, აი ასე.
_ ვაჟა!
_ რა?
_ თვალებში კოცნა არ ვარგა.
ვაჟი ყვრიმალს დააცხრა, მერე ტუჩებს.
_ ვაჟა!
_ რა?
_ სირცხვილია.
_ ვისი?
_ შენი.
_ ჩემი რატო?
_ ისე, არ ვიცი; მე ხომ გუშინ გაგიცანი.

წელი 1957. მარტის 8.

კიდევ სამი დიალოგი

რ ვ ა ს ა თ ი უ კ ლ ი ა

_ აუჰ, _ ამოიფშვინა ქუჩამ.
_ დარჩა უფეხოდ.
_ თუ საერთოდ გადარჩა.
_ სახე დაინახე?
_ ვერა.
_ ახალგაზრდა იყო?
_ არ ვიცი.
_ საწყალი, სტუდენტია. _ თქვა ვიღაცამ.
_ უჰ!
_ აბა ახალგაზრდა ყოფილა.
_ უნდა ჩამოახრჩო ვატმანი.
_ რა ვატმანის ბრალია.
_ ჩუ, _ ჩაერია ვიღაცა, _ ვატმანის ბრალია.
_ უჰ, მაგისი.
_ უნდა ჩაალპო.
_ მე რო მომცა!
_ ფეხებით ჩამოვკიდებდი.
_ მეტის ღირსია.
სადღაც სირენა აწივლდა. მოვარდა მილიცია.
_ ამის დროა?
_ აბა!
_ იმის მაგიერ წითელ ჯვარში დაერეკათ.
_ დედა ეტირება ვატმანს.
_ ის სისხლისგან დაიცლება.
_ რა სისხლი, შუაზე გაუჭრია.
_ საწყალი.
_ მერე სტუდენტი ყოფილა!
_ უბედური დედამისი.
_ ვინც მოკვდა, იმან იკითხოს, თორე ცოცხლად დარჩენილს რა უჭირს.
_ დედისერთაა ნეტა?
_ ჰო.
_ წ, წ, წ!
_ საწყალი, კაცო, დედისერთა ყოფილა.
_ არა, და ჰყავს, _ ჩაერია ვიღაცა.
_ და?
_ ჰო.
_ საწყალი, საწყალი.
მილიცია ოქმს აფორმებდა.
_ კაცო, რა ჩემი ბრალია. _ ყვიროდა ვატმანი.
_ იმას მაინც არაფერი ეშველება, _ თქვა ვიღაცამ.
_ კაცო, რა ჩემი ბრალია.

_ მა ვისი, _ თქვა მილიციამ.
_ თავისი, მე ხო არ ვხედავ, უკან ვინ ახტება.
_ მორჩი, ჩქარა მირეკავდი.
_ მოაწერე აქ ხელი ახლავე.
_ რათა, კაცო, რა ჩემი ბრალია.
_ მოაწერე, თორე უარესია.
_ ახლავე, კაცო.
_ მოაწერე, უფრო უარესია, _ ურჩია ვიღაცამ.
ვატმანმა მოაწერა: რ. აკოფოვი.
_ სომეხი ყოფილა, _ თქვა ვიღაცამ.
_ ჰო.
_ მაინც ცოდოა, უეჭველი ათი წელი აქვს.
_ ახია.
_ რატო, კაცო, რა მაგის ბრალია.
_ ნელა ატაროს.
_ ნელა, რა ის არის.
_ ნოდარ!
_ რა?
_ ისე გავერთეთ, მგონი დაგვაგვიანდა.
_ ჰო, მოვდივარ.
_ წამო რა, ჩქარა.
_ იარე, დაგეწევი.
_ წავედი, რვას ათი უკლია.
_ მოიცა, მოვდივარ.

წელი 1957. მარტის 9.

_ ხან ცხელა, ხან ცივა.
_ ვა!
_ რა ვა?
_ მა როგორ გინდა?
_ მაინც მურტალია.
_ რა, ბიჭო, არ მესმის.
_ რა და შარშან მაისში ციოდა.
_ მერე?
_ მერე წელს ცხელა.
_ დიდი რამე.
_ იცი, რა?
_ რა.
_ გაისად ისევ ეციება.
_ ვინ იცის.
_ ნიძლავი.
_ ვა, რაც შენ ნიძლავი გიყვარს.
_ არა? თქვი შენ თვითონ.
_ არა.

_ ჩამო ნიძლავი!
_ მაიტა!
_ ვინ ჩაჭრის?
_ ვანო.
_ აბა ვანო?
_ ვანო.
_ აგე.
_ დაუძახე.
_ ვანოვ, ვანო!
_ რაი.
_ მოდი აქ, ჩაჭერი.
_ რაზეა ნიძლავი?
_ არც რაზე. ჩაჭერი.
_ აჰა, ეგეც საქმეა, რაზეა არც ახლა იტყვით?
_ რაზე და გაისად მაისში უნდა ციოდეს.
_ გაისამდე დაგავიწყდებათ.
_ მე არა, პეტრეს შეიძლება.
_ მე?
_ ჰო.
_ რო არა?
_ რო ჰო.
_ მოდი, ნიძლავი.
_ ახლაც მე ვიწყებ ნიძლავსა?
_ შენ ამტეხე.
_ მე არა.
_ პეტრევ, შე სასიკვდილე!
_ ვაიმე!
_ დედა გეძახის, ბიჭო.
_ არა, ბებოა.
_ ბებო არა, ის.
_ ბებო, გეუბნები, მე არ ვიცი?
_ ჩამო ნიძლავი, დედაშენია.
_ მაიტა!
_ აჰა!
_ ჩაჭერ, ვანოვ!
_ აჰა, რაზეა, არ იტყვით?
_ რაზე და, დედაა თუ ბაბო, რო იძახის-მეთქი.

წელი 1957. მარტის 16.

ს ა თ ა უ რ ი : რ ო გ ო რ ც ა რ ი

_ მტერი ჩავარდა ხალხის ყბაში.
_ აბა, კაცო!
_ ოღონდ აჭორავე ეს ხალხი და...

_ მეტი რა საქმე აქვთ.

_ კაცო, გოგოსთან ვერ გაგივლია, რო რაიმე არ თქვან, ჩემს დასთან გავლის მეშინია.

_ ეგ რა არი, მე უარესს გეტყვი.

_ ჰა?

_ ქეთო ჩემი გოგო ჰგონებიათ, მთელი ამბავი იყო.

_ აბა უყურე.

_ დეიდაჩემი გაგიჟდა.

_ დეიდა რატო?

_ იმისი შვილია ქეთო და ჩემი ბიძაშვილი, იმიტომ.

_ ვახახახა!

_ ოხ მაგათი, ჭორში ამოსდით სული.

_ გაუშვი ერთი.

_ გამარჯობა, გურამ!

_ ვინ არის ეგ ბიჭი?

_ გურამია, ქუთაისელი.

_ ძაან ხინკალი ქუდი კი დაურტყავს, მოხდისა კი რა მოგახსენო.

_ უზრდელები არიან, კაცო.

_ თავს მაინც უნდა სცე პატივი.

_ აბა, კაცო.

_ ეს ვიღაა?

_ ვასოა, თეატრალურზე სწავლობს.

_ გამარჯობა, ვასო, კაცო, როგორა ხარ?

_ ისე რა, შენ როგორ?

_ არა უჭირს, ვცხოვრობ.

_ ხოშიანი ბიჭია, ბიჭო.

_ არი რა.

_ რა არი, არ მოგწონს?

_ კი.

_ რა კი, თქვი.

_ შენ ახლო არ იცნობ.

_ ჰო, რა არი?

_ მაგისი ამბავი მე მკითხე, რას აკეთებდა.

_ მაინც?

_ არაფერს, მერე გეტყვი.

_ ხედავ!

_ ვის?

_ აგე.

_ ჰოო.

_ ხო იცი?

_ არა.

_ მგონი ხელს აწერენ.

_ ვინ, კაცო, ჯემალი და ნანა?

_ ღმერთს გეფიცები!

_ კაი ერთი.

_ ლეილამ მითხრა.

_ უ მაგისი, მაგის მერე ეგ კაცია?
_ აბა, კაცო, ძმაკაცს წაართვა გოგო.
_ ხო იცი, ვინ ცხოვრობდა მაგასთან.
_ პეტრე.
_ არა, კაცო, პეტრე მარტო დადიოდა, მანამდე.
_ არა.
_ ვაჟა.
_ ვაჟა?!
_ დედას გეფიცები.
კინოს წინ სინათლე აინთო.
_ გამარჯობათ, ბიჭებო.
_ გაგიმარჯოს, ემზარ.
_ სალამი.
_ ნეტა სად მიდის?
_ ალბათ, ლეილასთან, საჭორაოდ.
_ ჰო, ჭორი მაგის მოგონილია.
_ კი, კაცო, ოღონდ გოგოებში ალაპარაკე, ან გოგოსავით აჭორავე.
_ ვერ ვიტან მაგისთანებს.
_ ერთი მაგათი, ეგეც იტყვის, კაცი ვარო.
ბიჭებმა ბილეთის ფული ვიღაც შლიაპიანს გადააწოდეს. მათ თავზე აბრა იყო გაკრული და დიდი წითელი ასოებით ეწერა:

ჩვეულებრივი ადამიანი
მოსკოვის ლენ. ორდ. კინოსტუდიის მხატვრული ფილმის ნაწარმოები.

1957 წელი. [მარტის] 30.

<u>სადღეგრძელოს მადლი შეგეწიოთ!</u>

_ მარილი დააყარეთ.
_ მარილი შველის?
_ აპა, რა.
_ მაგაზე ადვილი რა არის.
შავმა ღვინომ თეთრი მარილი შეისრუტა. სუფრას წითელი ფერი დაედო.
_ გაგიმარჯოს, ირაკლი.
_ კარგად იყავი.
_ შენ იცი.
_ მე რო შენხელა ვიყავი . . .
ირაკლი იღიმებოდა, მერე გავარდა.
_ ირაკლის გაუმარჯოს დაუსწრებლად.
_ ჯერ რვის გახდა და რა ჭკვიანია.
_ მრავალს დაგასწროს.

ირაკლიმ ახლად ნაჩუქარი მანქანა აიღო. იჯდა კარების უკან და შლიდა, მერე მოსწყინდა. ნახევრად დაშლილი თავის ამხანაგს ესროლა თავში. ამხანაგს შუბლში მოხვდა და სისხლი წამოუვიდა.

_ არ გრცხვენია, ირაკლი? – თქვა მისმა მამამ და გაუღიმა.

_ დიდი მხეცია, – გადაუფუჩუნა თავგატეხილის დედამ მამას.

_ როგორ სწავლობს ნეტა? – იჭვნეულად იკითხა ქმარმა.

_ ოროსანია, _ ბოროტად გაიღიმა დედამ და შვილის თავის შეხვევა განაგრძო.

[1957 წლის მარტი]

<u>ისევ სამი ამბავი</u>

ცხელა. ერთნახევარი გავაკეთე: რუსიკომ და ირინამ გამომიარეს. ვიყავით ფიზინსტიტუტში: რუსიკომ პალტო გაიხადა: ხოშიანი იყო ვიწრო იუბკაში, შავ სვიტრში: ყელზე თეთრი ნაჭერი ეხვია. სვიტრის ბოლო მენჯზე ეზრდებოდა: ტანი უღელავდა: ხოშიანი იყო.

მ ო ხ უ ც ი დ ა პ ე ტ ო

მზე ფანჯარაში შედიოდა. რაფაზე შალის ძაფის გორგალი იდო. გორგალში ორი ჩხირი იყო გარჭობილი. ერთით ორჩხირგაყრილი წინდის ყელი იყო ზედ მიმაგრებული, შემდეგ ფარდა ეფარა.

ფანჯარაში მზე იდგა.

მერე ფარდა ეფარა.

ოთახში ბნელოდა.

მოხუცი სკამზე იჯდა და ლობიოს არჩევდა. თვალებით ჭერს უყურებდა ბრმა. ხელები სწრაფად არჩევდნენ კარგს ცუდი მარცვლებისაგან. დაარჩია. ნელა მივიდა ჭურჭელთან და წყალი დაასხა, მერე ფრთხილად დაანთო ნავთქურა.

თვალები უაზროდ იცქირებოდნენ, ისინი ვერაფერს ვერა ხედავდნენ. მოხუცმა უფრო მაგრად მოიხვია შალი.

გააჟრჟოლა.

_ ცივა, _ თქვა მან ჩუმად.

ფეხაკრეფით მივიდა ფანჯარასთან.

ფარდა რგოლებზე ეკიდა. რგოლები გასრიალდნენ ღერძზე. ოთახში მზე შემოვიდა.

მოხუცი შეიშმუშნა.

პატარა ოთახი განათდა.

_ ახლა მარტო აღარა ვარ, _ თქვა მან, მერე გორგალი აიღო. თვლები ფრთხილად აასხა ჩხირებზე. დაიწყო ქსოვა.

_ ესეც ჩემი მეგობარი, _ თქვა მან, ჩხირებს დახედა და მზეს გაუღიმა.

დიდხანს უყურა ნაქსოვს.

სახე დაემანჭა.

ახლა თვალები ისევ უაზროდ უყურებდნენ ჭერს.

«თითო წინდა ოცდახუთი მანეთი ღირს», _ ფიქრობდა ის. «ორი ორმოცდათი, ოთხი ასი, მე ექვსი მაქვს მოქსოვილი და ერთი ბავშვის, ისიც თორმეტი მანეთი, ერთად რამდენი იქნება მეკვერცხეს უნდა ვთხოვო მითხრას. ეს ქეთო კი რა მათხოვარია, რად უნდა ვაჩუქო წინდა, მერე რო ბავშვი ფეხშიშველი ჰყავს. მე ვინ რას მჩუქნის».

ქსოვდა მოხუცი.

თვალები უაზროდ უყურებდნენ მზეს პირდაპირ. სხეული გაუთბა. ახლა სხივები სახის მარჯვენა მხარეს ხვდებოდნენ. «ჩქარა გადავა ჩემი ფანჯრიდან,» გაიფიქრა მან და შესცივდა. მზე ახლა შუბლსღა უთბობდა. წამოდგა. ოთახში ნავთის სუნი დადგა.

«ალბათ, გამოილია,» გაიფიქრა, მერე დარწმუნდა და ფანჯარა გამოაღო. მის ძახილზე ექვსი წლის ფეხშიშველა ბავშვი მოვიდა. მოხუცმა კაბა აიწია და ქექვა დაიწყო, როგორც იყო ამოათრია სამმანეთიანი.

_ აჰა, _ თქვა მან, _ ნავთი მომიტანე.

_ მერე?

_ მერე რა, შაქარს მოგცემ.

_ შაქარი არ მინდა.

_ რატომ?

_ დედამ თქვა, არ გინდაო.

_ აბა რა გინდა?

_ წინდები.

_ წინდები არა.

_ პეტოვ, პეტოვ! _ მოისმა ქალის წვრილი ხმა.

_ პეტო! _ თქვა ჩახრეწილი ხმით მოხუცმა.

_ დედა მეძახის, _ გაიწია ბავშვი.

_ პეტოვ, _ ისევა თქვა მოხუცმა, _ მოგცემ წინდას, ოღონდ დედაშენს უთხარი, ამ თვეში ყველაფერი თვითონ მომიტანოს. შენ კი ნავთი მაიტა.

_ წინდა, წინდა, ვაშა! ვაშაა!

მოხუცმა ქსოვა განაგრძო, მერე პეტოს მოტანილი ნავთი ჩაასხა ქურაში. ლობიო დუღდა.

მოხუცი მადიანად შეექცეოდა.

მზე აღარ იყო.

პეტო იჯდა ფანჯარასთან და უყურებდა. მოხუცი გრძნობდა ბავშვის მზერას და ესმოდა სუნთქვა. «შია», გაიფიქრა მან და უფრო მადიანად დაიწყო ჭამა.

პეტო იჯდა.

მერე ადგა.

მერე წავიდა.

მოხუცმა თეფში მოტლიკა და წყლის მოსატანად პეტოს დაუძახა. «ტყუილა მივეცი წინდა», გაიფიქრა მან.

წელი 1957. მარტის 9.

ერთხელ:

მზე არ ჩადიოდა და ჭაუხებს კიდევ ანათებდა. მერე ჩავიდა.
_ მზე ჩავიდა, _ თქვა გურამმა.
_ ჰა? _ თქვა ვახტანგმა.
_ არაფერი, მზე ჩავიდა, _ გაიმეორა გურამმა.
_ ჰო, _ თქვა ვახტანგმა.
ვახტანგი ქედს ჩამოუყვა.
ყინავდა.
მზე ჩადიოდა:
მერე ჩავიდა.
ღამე მივიდა კარავთან.
_ გცივა? _ ჰკითხა გურამმა.
_ არა, _ თქვა ვახტანგმა.
_ რატო კანკალებ? _ იკითხა ისევ გურამმა.
_ მცივა, _ თქვა ვახტანგმა.
ციოდა.

[1957 წ. მარტი]

იყო კვირა...

იყო კვირა.
მაღაზიები გაივსო.
ბაზარი გაძვირდა.
ხელკავგაყრილი რუსი ოფიცრები თავიანთ ცოლებს მიათრევდნენ სასყიდლებზე. ცოლებს აპრეხილი ცხვირები და შეღებილი ტუჩები ჰქონდათ.
თუშურქუდიანი გლეხები ხმამაღლა არჩევდნენ ახლადნაყიდ კარტუზს.
პროფესორის ცოლს მელიის კუდი უთამაშებდა ბეჭებზე. ჩანთა მოსამსახურეს ეჭირა, რომელსაც ტანზე განიერი პალტო ეცვა, ალბათ, კეთილი დიასახლისის გამონაცვალი. ქმარი_პროფესორი ტაქსში იჯდა.
ტყავისტყაპუჭიანი სომხები შანსიანად აცეცებდნენ თვალებს.
ვიღაცა პატარა, ბულდოგის სახიანი, უზარმაზარ რადიოს მოათრევდა: რადიო მუყაოს კაბურაში იდო. მუყაოზე ქაღალდი ეკრა და ზედ ეწერა «Мир». გვერდზე ახმახი ცოლი მოსდევდა ღიმილით: შუა და გვერდითი კბილი ოქროსი ჰქონდა: ცხვირი აპრეხილი.
ვიღაც ფაფახიანმა ამაყად ჰკრა ხელი კარებს.
_ ასე ვიცით ჩვენ! _ თქვა მან.
_ აპა რავა! _ მიჰყვა მეორე ამოწკეპილ ჩექმებში.
_ ნატური გურულია.
_ ერთი მაგისი.
პაპიროსგაჩრილი ბიჭები კედელს ეზილებოდნენ.
ქუჩის კუთხეში იდგა პლაშჩმოსხმული მილიციელი და არ იღიმებოდა.
_ ძაღლური სამუშაოა, _ თქვა გამყიდველმა.

_ მაიცა, რა დროს ეგ არის.
_ მეჩქარება, კაცო.
_ ვითომ კარგია?
_ ინტერესნია.
_ ვითამ?
_ რამდენჯერ უნდა გითხრა.
_ აქ ჩვენ ჩამოსულები არ გეგონოთ.
_ არა, ძმაო.
_ არა, ისე არ შეგვხედო.
_ მომეშვი, ძმაო, ჩემი კი არ არის, სახელმწიფოსია, ნუ იყიდი.
_ ვის მოვეშვა, ცავ?
_ თქვენ რა გინდოდათ, _ მიუბრუნდა გამყიდველი მეორეს.
_ მეიხედე აქეთ, თვარა.
_ მორჩი, თუ ძმა ხარ, _ გაუწყრა ვიღაც კარტუზიანი გურულს.
_ შენ, რავა, ვინცხა ხო არ გგონივარ? _ ახლა ამას აუხტა.
_ ვა? გიჟა, ტო! _ თქვა კარტუზიანმა და წავიდა.
_ რაო!

მეორე ოთახში პატეფონი თუ რადიოლა უკრავდა «Хороши весной в саду цветочки.» ფირფიტა ვიწრომხრებიანმა და კლოშშარვლიანმა რუსმა გაახვევინა, მერე ქერათმიან ბრტყელსახას ხელი გაუყარა.

წელი 1957. მარტის 10.

წ ვ ი მ ა შ ი

(რას აკეთებენ წვიმის დროს?!)

_ გეშინია, ლელა, ღრუბლების?
_ არა, ისე.
_ აბა რატო ხუჭავ თვალებს?
_ შავია, იმიტომ.
_ შავი და საშიშია, იმიტომ?
_ რატოა შავი?
_ წვიმის არის, წვიმის ღრუბელი შავია.
_ გურამ!
_ რა?
_ წავიდეთ.
_ რატო?
_ წვიმა მოვა.
_ არ მოვა, ნუ გეშინია.
_ რო თქვი, მოვაო?
_ მოვიდეს, რა!
_ არ მინდა დასველება.

გურამის ტუჩები დაეჭდო ლელას ტუჩებს. პირველმა წვეთებმა კისერი დაუსველეს ბიჭს. გურამი იჯდა, კისერი ქვევით ჰქონდა დაწეული, ტუჩებით აუარებელ სითბოსა გრძნობდა. ლელა იწვა და თავი მის კალთაში ედო. ტუჩები აღარა

ჰქონდა. ისინი გურამს ჰქონდა და კოცნიდა. გარეშემო მიწა იყო მშრალი. წვეთები ეცემოდა და მშრალ მიწას მტვერი ასდიოდა.

მერე გურამი ადგა.

_ მართლა ვსველდებით, _ თქვა მან.

_ დავსველდეთ, რა, _ თქვა ლელამ.

გურამის ნაჯდომი ისევ მშრალი იყო, შემდეგ დასველდა. ლელა ისევ იწვა. როცა ადგა, მისი ნაწოლიც მშრალი იყო, მერე ისიც დასველდა. წვიმა გახშირდა.

_ კოკისპირულად წვიმს, _ თქვა ლელამ.

გურამი ნანგრევის ქვეშ იდგა.

_ მოდი აქ, _ თქვა მან.

ლელა ნელა წავიდა. ნანგრევის ქვეშ სიმშრალე იყო.

[1957 წ. მარტი]

სამი ამბავი

პაპა და შვილიშვილები. ქალაქი და წლოვანება

_ რას უზიხარ, პაპავ?

მოხუცი მზეს უყურებდა თვალებში.

_ პაპავ!

_ მოეშვი, ხო ხედავ, არ ესმის.

_ ვერცა ხედავს?

_ რას ვერა, მზეს უყურებს, ვერა ხედავ?

_ მზეს მეც შევხედავ.

_ რო ვერა!

_ აჰა, _ ვანომ შეხედა და თვალები აეწვა.

_ ხედავ, პაპას რა კარგი თვალები აქვს, _ თქვა ვანომ.

_ მოდი, ვკითხოთ, როგორ უყურებს, _ თქვა პეტომ.

_ პაპავ!

პაპას ყალიონი კბილებში ჰქონდა გარჭობილი და არ ინძრეოდა. კბილები იყო ყვითელი და მრგვალად ამოჭმული. თუთუნი შეუმჩნევლად ბოლავდა. პაპა იჯდა და მზეს უყურებდა თვალებში.

_ ყრუ არი, ვანოვ?

_ ყრუ არ არი.

_ აბა, რო არ ესმის?

_ ხან ესმის.

_ ახლა რა მოუვიდა?

_ ხან არ ესმის.

_ რატო?

_ რა ვიცი.

_ ალბათ, ძალიან ბებერია.

_ მაშ მზეს რად ხედავს?

_ მზეს? არ ვიცი.

_ ალბათ, სამოცი და კიდე ათი წლის არი.

_ არა, უფრო მეტი.
_ მაშინ ოთხმოცი და კიდე ოცი.
_ არა.
_ აბა?
_ ნიძლავი, ასის მაინც იქნება.
_ აუჰ.
_ ასი, იცი, რამდენია?
_ ვიცი.
_ რამდენი?
_ ძალიან ბევრი.
_ მაინც რამდენი?
_ აი, აქედან და ქალაქამდე?
_ არა, მაგდენი არ იქნება.
_ მოდი, პაპას ვკითხოთ.
_ რო არ ესმის?
_ ხან ესმის.
_ ვკითხოთ, რა.
_ პაპავ!
_ პაპავ, იცი, რა?

პაპამ ნელა მიაბრუნა თავი. ჩიბუხის თავი ჩამოვარდა და ნაცარი დაეყარა შარვალზე. ჭუჭყმა ჩაყლაპა ფერფლი. მოხუცი იჯდა, პირში თავმომძვრალი ყალიონი ეჭირა და ბავშვებს უყურებდა.

_ პაპა, გესმის?

მოხუცმა ყალიონი გამოიღო.

_ ესმის.
_ უთხარი მერე.
_ მე რა, შენ უთხარი.
_ როგორ ვუთხრა?
_ ჰკითხე, აქედან ქალაქამდე მეტი გზა არი, თუ შენ მეტი წლისა ხარ-თქო.
_ კარგი.
_ მიდი, რას უცდი.
_ მე ვერა, შენა ჰკითხე.

პაპა იჯდა და ტენიდა წეკოს ჩიბუხში, მერე პირში გაიჩარა. ახლა ტალ-კვესი ააჩხაკუნა. ორჯერ დააცილა ტალი კვესს. ხელში მოირტყა. ტყავის კოჟრებმა ვერც იგრძნეს. მერე მოუკიდა, მერე გააბოლა.

_ ჰკითხე, რა!
_ მე არა.
_ კარგი, მე ვეტყვი.
_ ე!
_ რა?
_ ხედავ?
_ ხო.
_ ისევ მზეს უყურებს.
_ პაპა!
_ პაპავ!

პაპა იჯდა, აბოლებდა და მზეს უყურებდა თვალებში.

_ აღარ ესმის.
_ შენი ბრალია.
_ აღარც მოიხედავს.
_ წამო წყალზედა.
_ სადა?
_ დიდ გუბეებთან.
_ დიდ გუბეებთანა?
_ ჰო.

[1957წ მარტი]

ლ ე ი ლ ა ს ა რ კ ე ს თ ა ნ

ლეილა გვიან ადგა.
ახლა იდგა სარკესთან და თმას ივარცხნიდა. ძალიან უხდებოდა შუბლზე ჩამოყრილი ჩოლკად. შუბლი ლამაზი ჰქონდა: არ უნდოდა მისი დაფარვა, ახლა უკან გადაივარცხნა, გამოაჩინა. ასეც უხდებოდა. მეორე სარკე აიღო. პროფილი არ მოეწონა ოდნავ. უკნიდან წამოიღო და მაღლა აიწია თმა.
მოეწონა.
იდგა სარკის წინ.
სარკე კამოდზე იდგა.
კამოდს დააყრდნო იდაყვები, ხელები ნიკაპს ქვევიდან ამოიდო: პირდაპირ უყურებდა თავის თავს: ხან მოსწონდა, ხან არა. «ასე არა, არ ვარგა», ფიქრობდა ის. «ლადოს წინ ჩამოყრილი მოეწონება. რა სულელი ვარ, არც ვიცნობ და ისე ვამბობ, თუმცა ისეთი ბიჭია, ნამდვილად ისე მოეწონება, სამაგიეროდ, ნოდარს _ უკან გადავარცხნილი, დარწმუნებული ვარ. ნეტა გამაცნო ნოდარი, რა კარგად უკრავს. მე მაინც უკნიდან მაღლა აწეული მირჩევნია. ასე უფრო მიხდება, უფრო არისტოკრატულია. გიამაც ეს მითხრა. რა კარგი ბიჭია გია. გია ყველას სჯობია. ლადო კი სულ ჩხუბობს. უხეშია. თუმცა მისთანა ვაჟკაცი ტყუილია. შარშან ზღვიდან როგორ გამოათრია პატარა ზაური. დიდი ზაური იქ იდგა და წყალში შესვლაც კი ვერ გაბედა. რა ტანი აქვს ლადოს! თუმცა შესახედაობაზე ხომ არ არის. ნოდარს არც კარგი ტანი აქვს, არც ლამაზია, მაგრამ როგორ უკრავს, თუმცა თვალები აქვს, ლამაზს ვერ იტყვი, მაგრამ ძალიან ღრმა. რას ვსულელობ», თავი გაიქნია ლეილამ, «რას ვარჩევ, ნეტავ ჩემთვის სულ ერთი არ არის. არა, მაინც გიასთანა მხიარული და ხუმარა ტყუილია. ხო, კარგი ბიჭია გია, თუმცა მე რა, იყოს თავისთვის, არა, არც ისე მომწონს». ახლა წინ ჩამოიყარა თმა. სარკეში ისევ ლადოს სახე წამოვიდა. «ლადოს უეჭველად ასე მოეწონება, ჩოლკად დავარცხნილი. დიდი რამე, თუ მოეწონება». ისევ გადაივარცხნა თმა უკან. «იყოს ასე», გაიფიქრა. «მაინც რა ღრმაა ნოდარი, რა თითები აქვს, თვალებშიაც ეტყობა სიღრმე; არა, არ მომწონს ასე უკან გადავარცხნილი, როცა მთელი შუბლი ჩანს». ახლა სარკეში ისევ ლადო უყურებდა შავი თვალებით და დაბერილი ნესტოებით. «ნეტა როგორი სახე აქვს ლადოს», გაიფიქრა ლეილამ და გაწითლდა. სარკეში მხოლოდ ლადოს ჩოლკას, თვალებს და ნესტოებს ხედავდა. უფრო გაწითლდა ლეილა, მერე თმა შუბლზე ჩამოივარცხნა ჩოლკად. «აი ასე», თქვა მან და გაუღიმა სარკეს.
_ ლეილა, _ მოისმა დედის ხმა.

ლადოს სახე გაქრა სარკიდან. ლეილამ თმა უკან გადაიწია.

_ ჰო, _ თქვა თავისთვის.

_ ლეილა! _ თქვა დედამ, _ გეყო ამდენი პრანჭვა. ლეილამ უკმაყოფილოდ გაიხედა სუფრისკენ, სადაც დედა იჯდა.

_ მთელი საათი მანდა დგეხარ, _ ისევა თქვა დედამ.

_ ნეტა, ვის ეპრანჭები, გოგო? _ თქვა მამამ.

_ ეპრანჭება? ჯერ თექვსმეტის არც კი გამხდარა, _ თქვა დედამ.

_ კარგით რა, _ გაწითლდა ლეილა, მერე თმა წინ ჩამოიყარა ჩოლკად და გაშლილ სუფრას მიუჯდა.

წელი 1957. მარტის 16.

ნ ა დ ი რ ო ბ ა / ს უ რ ა თ ი /

გია ფეხდაფეხ მისდევდა ტურას. მერე ძაღლი უკან მიაყოლა, თვითონ კი გზა მოუჭრა.

დაფეთებული გავარდა ნადირი.

ძაღლი უკან მისდევდა.

გია გზას უჭრიდა.

ბოლოს გამოჩნდა.

შიგ ყურის ძირში ჩაუსვა ტყვია. ტურა ამოტრიალდა, მერე ფშანში ჩავარდა. ფშანი იყო მდორე. ნაპირი ჰქონდა ღრმა და კლდიანი.

გია დაიხარა.

ცალი ხელით ძლივს მისწვდა ტურას.

მოქაჩა.

დაიძაბა. ახლა მეორე ხელიც ჩაავლო. დასველებული ნადირი მძიმე იყო, თან რაღაცას ედებოდა. გიამ ფეხები ხეს მოსდო და ისე მოქაჩა. ბეჭები დაეჭიმა. ზედ გადაკრული ხალათი დაეჭიმა, მერე გადაასკდა. ახლა ცალი ხელი ხეს წაავლო და მეორეთი ამოათრია დასველებული ტურა.

იქვე დააგდო.

დაჯდა.

ნადირი ფშანის პირას ეგდო, ყურის ძირში სისხლი ჰქონდა შემხმარი და ისე.

გია იჯდა, აბოლებდა და ფიქრობდა: «რა მომივიდა, სულ გუშინწინ შევიკერე ხალათი, მეგონა წელიწადი მაინც გამიძლებდა. დედას როგორ ეწყინება, რამდენი იწვალა. თანაც, ზუსტად ისეთი საყელო და ჯიბეები ჰქონდა, მე რომ მიყვარს».

ტურა ეგდო და არ ინძრეოდა. ყურის ძირში სისხლი ჰქონდა შემხმარი.

გია აბოლებდა.

ზურგზე ხალათი ჰქონდა გადაფხრეწილი და თოფს ეყრდნობოდა.

წ. 1957. მარტის 15.

<u>ღ ა მ ე ჭ ა ო ბ შ ი</u>

ჯერ სულ ნელა იწეოდა მიწა ქვევით. ზედაპირზე წყალი ჟონავდა. მერე უფრო ღრმად დაიწყო ფეხმა ჩაფლობა. ახლა თურქი ოსმანა თხელ ლერწმებს გვერდიდან

ადგამდა ფეხს. ლერწამი იხრებოდა. წვებოდა მიწაზე. მიწიდან ისევ წყალი ჟონავდა. ისე აღარ იფლობოდა ფეხი.

უფრო გაიშვიათდა ლერწამი.

ისევ დაიწყო ფეხმა ჩაფლობა.

ჯერ კიდევ იტანდა ნიადაგი დაწოლას, მერე ვეღარ გაუძლო. ფეხი ჯერ კოჭამდე ჯდებოდა, შემდეგ მუხლამდე.

ცოტა ციოდა.

კაცს ტანზე დასცხა და ტანსაბურავი გაიძრო.

წინ გაისროლა. ძლივს მივიდა იქამდე და ზედ შედგა. ცოტა დაიჭირა იმან. ისევ დაიწყო ფლობა.

წინ სიარული აღარ შეიძლებოდა.

უკნიდან კი ისმოდა შრიალის ხმა:

ტყდებოდა ლერწამი.

ახლა წელამდე ჭაობში მიდიოდა. სახე დაეკაწრა.

ფეხებს უკვე ვეღარ გრძნობდა.

ნელა დაიწყო ჩაფლობა.

არაფერზე არა ფიქრობდა. გაბრუვდა.

უცებ შეზარა რაღაცამ. ძლივს მოატრიალა ტანი და უკან წავიდა. სულ ცოტა წაიწია. სადღაც იგრძნო იმედი. რაღაც უჩვეულო მოუნდა. შემსუბუქდა თითქოს. კიდევ წავიდა წინ.

წინ ჯერ სიჩუმე იყო.

მერე ლაპარაკი გაისმა.

_ სად წავა? _ თქვა ერთმა.

_ ჩვენს ხელშია, _ თქვა მეორემ.

_ თუ არ დაიხრჩო მანამდე, _ თქვა ისევ პირველმა.

კაცმა ჯერ ლაპარაკი შეიგრძნო; სიტყვებიდან მარტო «დახრჩობა» გაარჩია.

«როგორ თუ დაიხრჩო, დახრჩობა, ა, ა, დახრჩობა მელის, ხო! ხო! რა? რა? სახრჩობელა? სახრჩობელა!? « _ ბუნდოვნად გაუელვა, რომ მესამე დღე იყო, სახრჩობელას გამოექცა;

მისდევდნენ.

დაჭრეს.

მაინც გამოექცა.

«არა! არა»! ჩაიდუდუნა თავისთვის და ისევ შებრუნდა უკან.

იქიდან ხმაური აღარ ისმოდა.

კაცი წინ მიდიოდა ყელამდე წყალში, მერე ნიკაპამდე, მერე მდორე სითხე ჩაყლაპა, მერე კიდე ჩაყლაპა.

წყალი იყო მძიმე.

პირში მცენარეები ჩაუვიდა.

რაღაცა გაეჩხირა ყელში.

«არა! არა! « გაუელვა თავში, სახრჩობელა მოელანდა. ისევ გადადგა ნაბიჯი და თავი ასწია. ჰაერი ჩაუვიდა. სუფთა ჰაერი.

ახლა უკვე აღარა ფიქრობდა.

მხოლოდ უმწეოდ აფართხალებდა ხელებს, მერე დაიღალა.

მხოლოდ ტანი მოძრაობდა მისი; ისიც დაიღალა.

სულ ნელა გაჩერდა. რაღაცა კიდევ ფეთქავდა.

ისიც გაჩერდა.

სადღაც დაიწყო გათენება. ღამე ტყდებოდა ჭაობში.

წ. 1957. მარტის 16.

"მინდია იწვა გულდაღმა და..."

მინდია იწვა გულდაღმა და ყრუდ გმინავდა. მოფხრეწილი ბეჭიდან შავი სისხლი ამოდიოდა. სამფეხაზე დასტაქარი იჯდა. დიდი, პრიალა დანით ჭრიდა ჭრილობას. მინდია გმინავდა სულ ყრუდ, მერე დასტაქარმა მარილი დააყარა.

დათოს ბუსუსები დაასხდა. «რა ვაჟკაცია მინდია», გაიფიქრა, «მე ერთხელ გაკაწრულზე მომხვდა მლაშე და ცრემლები გადმომაყრევინა.» შიშით განაგრძო ოპერაციის ყურება.

მინდია აღარ გმინავდა.

ახლა მხოლოდ მისი კბილების ღრჭიალი ისმოდა.

დასტაქარი იჯდა სამფეხაზე და ჭრილობას კერავდა.

ოთახში მზექალა შემოვიდა. წყალი შემოიტანა, მერე ჩუმად დაჯდა დათოს გვერდზე. «ესეც რა ყოჩაღია, ქალია და რა ვაჟკაცურად უყურებს», გაიფიქრა დათომ, მერე თქვა:

_ მზექალა, არ გეშინია, ქალო?

_ რაისი?

_ ძმას ჭრიან ბეჭზე, როგორ რაისი.

_ საშიშ რა არის?

_ როგორ?!

მზექალა წყლის გამოსაცვლელად წავიდა.

შემდეგ ისევ მოუჯდა გვერდზე დათოს.

_ რა ვაჟკაცია შენი ძმა! _ თქვა დათომ.

_ რადა? - თქვა მზექალამ.

_ დაუძინებლად ჭრიან ბლაგვი დანით, თან მარილს აყრიან, მაინც არა ღრიალებს.

-_ რად უნდა იღრიალოს?

_ როგორ რად, სტკივა.

_ მერე რა.

დათომ უაზროდ შეხედა მზექალას.

_ ვაჟკაც მით იყვ, რო ორ ტახ დაჰკოდ, თორე ყვირილით ვის უყვირავს, რო მაგან იყვიროს, _ განაგრძო მზექალამ.

დათო იჯდა და ფიქრობდა.

მზექალამ მესამედ გამოუცვალა წყალი. მერე ისევ იქ დაჯდა და ჭერს დაუწყო ყურება, შემდეგ რაღაც მოაგონდა. წამოდგა, «თუ დროზე არ გავატყავე, გაფუჭდების ტახ, მინდია, ალბათ, კვირას იქნების ეგრე დაკოდილ. უმწე». მერე დათოს შეხედა, ალბათ, უნდოდა დახმარება ეთხოვა, მაგრამ გადაიფიქრა. დანა ჩამოიღო და მარტო გავიდა.

[1957 წ. მარტი]

ქიტესა იწვა და კვდებოდა

ქიტესა იწვა და კვდებოდა. მერე წამოიწია, ძლივს მოსვა წყალი. ტახტის ბოლოში შვილიშვილი თამაშობდა. სამფეხა სკამს მიათრევდა კედელთან, დადგებოდა და ჯაგნის ბოლოს ყურძნის მარცვალსა სწყვეტდა. ქიტესა ხედავდა და ვერ უჯავრდებოდა ძალაგამოლეული. «ის მამაძაღლი მამამისი სადღაა», ბუზღუნებდა გონებაში. «იმ კახპასაც ახლა მოუნდა სიკვდილი», გაიხსენა თავისი რძალიც. «თუ მისწვდა, ჩამოგლეჯავს სულ»; უფრო მისუსტდა. ნელა დახუჭა ქუთუთოები. ესმოდა: შვილიშვილი ტყაპანით დაეცა და ატირდა.

ქიტესა იწვა და კვდებოდა.

მოხუცდა:

დროს სოფელში მასზე ზომავდნენ.

«იმ ხნისა ქვაც კი აღარ დაგორავსო რიყეში», ამბობდნენ.

ასს გადასცდა ქიტესა.

ერთ დროს ახალგაზრდა იყო.

სიკვდილის წინ შეეცადა, მოეგონებინა ის დრო; მოუნდა თავი უფრო შესცოდებოდა. სადღაც გაქექა მეხსიერება, თავს ძალა დაატანა, მაგრამ სულ ნიჩაბი ელანდებოდა.

ნიჩაბი და შავი მიწა, ან თიხნარი, ან ქანი.

ცოლიც მოაგონდა ბუნდოვნად, მაგრამ მასაც ნიჩაბი აეფარა.

ნიჩაბი და მიწა.

სულ მიუძლურდა: ახლა შვილიშვილი აღარ აწუხებდა, არც ნიჩაბი ფარავდა რაიმეს.

იწვა და კვდებოდა.

ქიტესა ბოლოდან მესამე მეფის დროს იყო დაბადებული. მაშინ ფეხსაცმელს მდიდრებიც კი არ იცვამდნენ. შიშველი იზრდებოდა ბავშვი. როცა შვიდის გახდა, ძონძები ჩააცვეს. ტერფები გაუმაგრდა. მამამისმა ტარგატეხილი ნიჩაბი მისცა და კვალში ჩააყენა. დაკოჟრილ ფეხსაც სცემდა ბარის პირს. დაუიარავდა. მერე შეუხორცდა და უფრო დაეკოჟრა.

უცებ წაუვიდა დრო.

ბარავდა შეუსვენებლივ.

როცა თავისას მორჩებოდა, სხვასთან აგზავნიდნენ.

ნიადაგი მათ თიხიანი ჰქონდათ:

არა ხარობდა ვაზი.

სხვასთან შავი იყო მიწა:

იქ უფრო უადვილდებოდა ბარვა.

ზოგან ქანი იყო: ხშირად ტეხდა ნიჩბის პირს: ახალს თვითონ ყიდულობდა.

ვერ გაიგო, ისე გაიპარა დრო.

მერე ცოლი შეირთო.

მერე ის მოკვდა.

ისევ შეირთო სხვა.

სხვას შვილები ჰყავდა: ოთხი; ორი მოკვდა, ორი დარჩა.

ის ცოლიც მოკვდა.

ამჯერად მეზობლის ქვრივი მოიყვანა: მასთანაც ეყოლა ოთხი. ახლა უკვე შორს მიდიოდა მიწის სამუშაოებზე. სვანეთში გზის გაყვანისას ზვავში მოუკვდა პირველი

ცოლის შვილი. წყალში დაეხრჩო მეორე ცოლის ერთი შვილი: მაინც იმუშავა იქ ზაფხულამდე. ორივე იქ დამარხა გზის პირას. საფლავზე ნაძვის ჯვრები დაუდგა თავისი ხელით დათლილი. ნაცნობმა მუშამ მეუღლის სიკვდილის ამბავი ამოუტანა.

სოფელში ცოტა ფული ჩაიტანა: ისიც ცოლისა და იმ წელს გარდაცვლილი შვილების წირვას მოანდომა.

ახლა იყო უცოლო და ჰყავდა ოთხი შვილი: ერთი პირველი ცოლისაგან, სამი მეორისაგან.

შემდეგ წელსაც მუშაობდა გზებზე.

ყარაიაზში მიწა იყო შავი:

ადვილად ჩადიოდა ბარი.

სამი წლის მერე რაჭაში იყო: იქ ქანი იყო და ბარის პირი ტყდებოდა.

თავისთან თიხას ბარავდა: ძნელად ხარობდა ვაზი თიხნარში.

ნელა გამოეცალნენ შვილები უნაყოფოდ:

ბოლოს ერთი დარჩა.

ცოცხლად დარჩენილი უცოლოდ მოხუცდა.

ოთხმოცისამ შეირთო ქალი:

ამბობდნენ, აღთქმა ჰქონდაო ასეთი. უმეტესობა შერყეულად თვლიდა: სოფლის ბავშვები უკან დასდევდნენ და ქვებს ესროდნენ.

ოთხმოცდაოთხისას ეყოლა შვილი ქიტესას შვილს: ქორწინებიდან ოთხი წლის შემდეგ. ახლა ოჯახში იყვნენ ბაბუა, ოთხმოცდაათის შვილი და ექვსი წლის შვილიშვილი.

შვილი ვენახში თიხას ბარავდა.

ქიტესა იწვა და კვდებოდა.

შვილიშვილი ნამტირალევ თვალებს იმშრალებდა.

ისევ მოელანდა ქიტესას ბარი: მოეჩვენა, რომ პირი დაგლუვებული ჰქონდა და ტარი გადატეხილი. წამოიწია პატარის გასალანძღად: უაზროდ შეხედა და ისევ მიწვა.

პატარა კი განაგრძნობდა თამაშს.

ქიტესა იწვა და კვდებოდა.

მერე მოკვდა.

ზაფხული იყო.

მესამე დღესვე გაუთხარეს საფლავი ბრტყელპირიანი ნიჩბით ვენახში;

ვენახი თიხნარზე ძლივსღა ხარობდა. შემდეგ ჩაასვენეს შიგ, ისევ მიაყარეს თიხა. გვამმა ადგილი დაიჭირა და მიწა მორჩა ზედმეტი. ისიც საფლავზე დატოვეს: ცოტა შეალამაზეს და ისე.

ოჯახმა ნაძვის ჯვრის ფული ვერსად იშოვა.

ოთხმოცდაათი წლის შვილმა სადღაც ამოქექა გადატეხილი ბარის ტარი, ნატეხი შუაზე გადააჯვარედინა და საფლავს დაუსო თავთან.

წელი 1957. მარტის 17.

<u>ცათამბჯენებიდან მოშორებით</u>

ქუჩაში ბნელოდა; ასფალტი მოსხმული არ იყო და ფეხი მეჩხერად ჩასობილ ქვებს ედებოდა. მერე სინათლე აინთო. ნათურა ბოძის თავზე ეკიდა ცალი ყურით, ძლივს ანათებდა სახლის კედელს და ძველ მიმპალ ბოძს. სინათლის ნაწილი ეზოს

შესასვლელში შედიოდა. იქ ნაგვისყუთი იდგა, შიგ ნაგავი აღარ ეტეოდა და გარეთ ეყარა ნაწილი. მერე შუქი წყდებოდა. ეზოში ბნელოდა. აქა-იქ ბჟუტავდნენ შუშაბანდები.

კედლის ჩრდილში ნაგვის ყუთთან ვიღაც იჯდა და ქექავდა. ქაღალდებს ტომარაში ტენიდა, კონსერვის ყუთებს ჩანთაში.

ბოძზე ნათურა ეკიდა და ნაგვის ნაწილს ანათებდა: სიბნელეში მჯდომი ქექვას განაგრძობდა.

შუქის ქვეშ ორმა შლიაპამ ჩაიარა: ერთი ქალის იყო, მეორე კაცის; ეზოში შეუხვიეს; სინათლეს გასცდნენ. სიბნელეშიაც ცოტა ნათელი იყო.

ის იჯდა და ქექავდა.

მათ დანახვაზე გაირინდა.

კაცი და ქალი იდგნენ სიბნელეში: კაცი კოცნიდა ქალს, მერე ქალმა კისერზე მოჰხვია ხელი და მიიზიდა:

მან ქექვა განაგრძო:

მხოლოდ რკინის საჩხრეკი ჯოხი ჩანდა სინათლეში.

კედელს აყუდებულები კოცნაობდნენ.

მერე კონსერვის ყუთი იპოვა იმან და სხვა ყუთებთან ჩააგდო ჩანთაში.

_ ჩხაკ! _ გაისმა.

იმან რკინის ჯოხი ჩრდილში შეწია.

ქალმა კოცნა შეწყვიტა:

_ აქ ვიღაც არის, _ თქვა მან.

კაცი შემობრუნდა:

_ მათხოვარია, _ თქვა კაცმა.

_ ოჰ, _ თქვა ქალმა, მერე ისევ მოჰხვია კაცს კისერზე ხელი: კაცი დაეკონა.

ის კი იჯდა.

მერე ადგა, ორივე ტომარა მოიკიდა მხარზე და წავიდა: ჯერ მისი თავი გამოჩნდა შუქზე, შემდეგ ბარგი. გავიდა ქუჩაში. გაუხვია. ფეხებს მიათრევდა. მეჩხერ ქვებს ეჩეხებოდა აფხრეწილი ლანჩებით: თავზე სხვა ნათურა ანათებდა ისევ: ნელა, ფეხათრევით შეუხვია სხვა ეზოში და სანაგვეს თავი ახადა.

წელი 1957. მარტის 31.

“გიტარას შვიდი სიმი ჰქონდა...”

გიტარას შვიდი სიმი ჰქონდა: პირველი ორი უკრავდა ნეკით, არათითითა და შუათითით, ბოლო ორი აძლევდა ბანს ცერით. მერე პირველი სიმი გაწყდა: ახლა მეორე და მესამე უკრავდა. დამკვრელს მაღალი ფეხები, მოჭერილი იუბკა, ძველი პიჯაკი, მაღალი ყელი, დიდი თვალები, გაშლილი თმა და ერთსიმგაწყვეტილი გიტარა ეჭირა ხელში: ხმა უხეში და ჩაფხრეწილი ჰქონდა.

თეთრთვალება უსინათლო მეორე გიტარაზე უკრავდა, ელამი ცალთვალა ჩელოზე.

ისმოდა მელოდია.

სიმები რაღაც იაფფასიან მოტივს გამოსცემდნენ.

ცვიოდა ხურდა, აქა-იქ მანეთიანიც.

ფანჯრები ფართოდ გაიღო.

ბავშვებმა გაავსეს ეზო.

_ სად იყვნენ ამდენი ხანი? _ თქვა ქეთომ.

_ ალბათ, სხვა ქალაქებში, _ თქვა ნათელამ.

_ ეგ გოგო სადღა უშოვიათ ნეტა?

_ რა გოგოა, არა?

_ აბა, ქალო.

_ მის მაგიერ მე მრცხვენია, წავიდეს, ამ მათხოვრობას იმუშაოს დამლაგებლად.

_ აბა, აბა ქალო, უთავმოყვარო ხალხია, ნამდვილად ციგნის გოგოა.

ეზო ხმაურობდა: ბავშვები ჭყიოდნენ.

_ კიდე რა, კიდე! _ იხვეწებოდა ვიღაცა.

_ რა არის? _ მოვარდა ვიღაც ქოშინით.

_ კინო, კინო.

_ ვახახახახა.

_ მათხოვრები არიან.

_ ჰა.

_ რა ჰა, ვერა ხედავ, მათხოვრები არიან, ხედავ, რა გოგოა.

_ ვა, მართლა, ნეტა რა უჭირს ასეთი?

_ მაგას ჯობია ბოზობით იშოვოს.

ვაჟამ უკვე ორი მანეთი ჩაუგდო, მერე ფანჯარაზე გადაჯდა. გოგო უკრავდა და ჩაფხრეწილი ხმით ამღერებდა, ხანდახან სულ შეუმჩნევლად იხედებოდა ზევით.

მერე დაკვრა გაათავეს.

«თინას იერი და უტანდარის რაღაც აქვს», გაიფიქრა ვაჟამ, «უჰ, მაგას რო ჩააცვა, რა იქნება»! გონებაში ჩააცვა კიდეც, უფრო მოეწონა.

სწრაფად ჩაიცვა. გარეთ ცოტა ციოდა. უბნის ბიჭები უკან მიჰყვებოდნენ დამკვრელებს. გოგო წინ მიდიოდა ამაყად, ხელში ცალ-სიმგაწყვეტილი გიტარა ეჭირა. გასტრონომში რაღაცა იყიდეს და ჭამით აუყვნენ გზას.

_ რა გოგოა, მაგას რო ჩააცვა! _ ამბობდა ვიღაც.

_ აბა, ქალო!

_ დაგიჟდებიან ბიჭები.

ვაჟამ ნაბიჯს აუჩქარა, ნელა მიეწია და უცებ მოჭრა.

_ ლამაზო, გიტარაზე დაკვრას არ მასწავლი?

_ მე თვითონ არ ვიცი, _ ყელი მოიღერა და რაღაც ღიმილის მსგავსი გააკეთა გოგომ.

«დამცინის», გაიფიქრა ვაჟამ და უცებ იგრძნო, რომ ის რაღაცით მაღლა დადგა მასზე, «ნუთუ არ უხარია, მე რომ ვეარშიყები», ისევ გაიფიქრა მან.

_ მაინც მასწავლე, რა! _ უკვე ცოტა დაბნეულმა განაგრძო.

_ მაგისთვის მცალია? _ ისევ მიიხედა იქით გოგომ.

ვაჟა უფრო დაიბნა.

_ საიდანა ხარ? _ ჰკითხა მან.

_ მოლდავეთიდან.

_ ჰოო, ისინი.

_ ის ჩემი ბიძაა, ისიც.

_ სადა ცხოვრობთ?

_ მთვარეზე. _ ოდნავ გამოაჩინა კბილები გოგომ, მერე რაღაც ნახვამდის მსგავსი წაილაპარაკა და ნაბიჯს აუჩქარა.

ვაჟა შორიახლოს მიჰყვა. დამკვრელებმა დიდ ეზოში შეუხვიეს.

_ მწერალთა სახლია, _ თქვა ვიღაცამ.

დაიწყეს დაკვრა.

სახლი მაღალი იყო და შუშაბანდებიანი, ზოგან აივნით. აქა-იქ იღებოდა ფანჯრები. სადღაც ჩანდა მოღიმარი, პომადით შეთხიპნილი ტუჩები და წითელი ან ფერმკრთალი ან საშუალო ლოყები; მერე ჭრელი პიჟამო და გრძელი თმა შავი, შევერცხლილი ან ჭაღარა გამოჩნდა.

_ მწერლები არიან.

_ ჰოო.

_ მა რა, წერენ წიგნებს.

_ ვიცი, რას მიხსნი.

ბავშვებმა ზევით დაიწყეს ყურება. ისინი ნელა შელაგდნენ სახლებში. მუსიკოსები ისევ უკრავდნენ. მეოთხე სართულიდან ისევ ჩანდა ქალის სახე, ბრიყვული ღიმილით, და კაცი, ჭრელი პიჟამოთი და მაკედონელის პროფილით, ის ქვევით უყურებდა ქალაქს.

_ ხეირი არ არის, _ თქვა ცალთვალა ელამმა.

გოგო წინ მიდიოდა.

უკან თეთრთვალება ბრმა.

ბოლოს ცალთვალა ელამი.

ვაჟა წამოეწია ისევ გოგოს.

_ ლამაზო, მართლა მომწონხარ.

_ მომეშვი!

_ არა, მართლა.

_ მერე რა?

ვაჟას გულზე უჩხვლიტეს, «როგორ, მერე რა», გაიფიქრა, «არ უნდა უხაროდეს? რო დამინახონ, რას იტყვიან, მე არაფრად ვაგდებ, ეს კი».

_ არა, მართლა გეუბნები.

_ რას?

_ მომწონხარ, მითხარი, სადა გნახო?

_ მოგწონვარ?

_ ხო.

_ ვიცი.

ვაჟა აილეწა სიბრაზით, თან უფრო მოუნდა ის.

_ რა იცი? _ თქვა მან.

_ შენ თვითონ არ ამბობ?

_ მერე?

_ მერე შენ ხო ტყუილს არ იტყვი, _ ისევ რაღაც ღიმილის მსგავსი გააკეთა გოგომ. _ ახლა წადი, მე ჩემი საქმე მაქვს, ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, ჩვენთვის ვშრომობთ.

_ რატო არ მსახურობ? _ სულ დაიბნა ვაჟა.

_ მე? ამას რამე სჯობია, იქ ბატონი მყავს, აქ არა, თან სიამოვნებს ხალხს, იმიტომ მაძლევენ ფულს.

_ მესმის.

_ ჰო.

_ სად გნახო?

_ ყველას თავისი ქმარ-შვილი ჰყავს, – ისევ აუჩქარა გოგომ ნაბიჯს.

_ ამხანაგო მუსიკოსებო, აქ შევიდეთ, _ ჩაფხრეწილი ხმით თქვა მან და ეზოში შეუხვია.

ვაჟა იდგა, მერე ვეღარ გაუძლო და შეჰყვა. გოგომ შეხედა. «ვიცოდი, რომ შემოხვიდოდი», ამოიკითხა ვაჟამ და უკან გამოვიდა, ნელა ჩაუყვა დაღმართს. წინიდან ვიღაც მოდიოდა. ვაჟას ის ეგონა, მერე უტანდარი იცნო. უტანდარს ხოშიანად ეცვა. ხელი ჩამოართვა და არ გაუშვია. დიდხანს უყურა, რაღაც არ მოეწონა. «იმ გოგოსავით რომ ჩააცვა და გიტარა მისცე, თან ისეთი ჩაფხრეწილი ხმით ამღერო, იმისთანას ათს აჯობებს», ფიქრობდა ვაჟა.

_ ვაჟა, _ თქვა უტანდარმა.

_ რა?

_ წამო, ჩემთან ავიდეთ.

_ ჰა?

_ მთვრალი ხო არა ხარ, რა მოგივიდა?

_ არაფერი.

_ წამო, მაშ.

«ამის თავი მაქვს?» თქვა გულში ვაჟამ.

_ არა, _ თქვა ხმამაღლა.

_ რატომ?

_ მეჩქარება.

ისევ დაუყვა დაღმართს.

ყურში ჩაფხრეწილი ხმა ესმოდა და თვალებით ცალსიმგაწყვეტილ გიტარას ხედავდა.

[1957 წელი. მარტი.]

ზღაპარივით

ეს იყო მაშინ, როცა არ იცოდნენ ტიფის წამალი, ჭლექის წამალი, ყივანახველის მორჩენა და ხალხი უმოწყალოდ იხოცებოდა ტიფისაგან, ჭლექისაგან და ყივანახველისაგან.

ეს იყო მაშინ, როდესაც არ იყო სასტვენი, მილიციელი და ხალხს არ იცავდა არავინ.

ეს იყო მაშინ, როცა არ იყო მოგონილი გორგოლა, როცა იყო ცხენი, კამეჩი, ხარი, ვირი, მაგრამ ისინი თავისუფლად ძოვდნენ ბალახს მდელოზე, ჭაობში ან ტყეში და არ იყო ჯორი.

ეს იყო მაშინ, როცა ცხოვრობდნენ დევები, ეშმაკები, სულები, ჭინკები და იშვიათად ანგელოზები. ისინი ცხოვრობდნენ რაც შეიძლება ახლო ხალხთან, უფრო ახლო, ვიდრე ისინი ერთმანეთთან. ყველაზე უწინ სულები ესხმოდნენ თავს უმილიციოდ მცხოვრებ ხალხს. ხალხი კი ვერ ატყობინებდა ერთმანეთს, რადგან არა ჰქონდათ სასტვენი, ვერ გარბოდა, რადგან არ იყო მანქანა და თუ გაიქცეოდა, იქ, სადღაც, იდგა ჭლექი, ყივანახველა ან ტიფი. თუ მათაც გაექცეოდა, მაშინ მოვიდოდა ანგელოზი, ჰკოცნიდა კაცს და ანუგეშებდა. ცოცხლად დარჩენილი ლოცავდა მას, უკლავდა ნადირს, უსრულებდა სამსახურს. ის ანგელოზის მონა რჩებოდა მთელი სიცოცხლე და ანგელოზი, როგორც ყველაზე ჭკვიანი, არა კლავდა კაცს: ის თავის სასარგებლოდ სწუწნიდა სისხლს; როცა გამოსწოვდა, არწმუნებდა კაცს, რომ ის უკვე დაბერდა და დრო იყო წასვლისა უკეთეს სამყაროში. კაცს სჯეროდა: სიკვდილის წინ მთელ თავის ცოდვებს, ტყუილებს, მრუშობებს უამბობდა ანგელოზს, მერე მიდიოდა უკეთეს სამყაროში. ანგელოზი კი ცოდნას იმდიდრებდა და _ სხვა, ჭლექისგან,

ყივანახველისგან, ტიფისგან, დევისგან, ეშმაკისაგან, სულისგან ფეხით გამოქცეულ კაცს, უფრო კარგად და ადვილად სწოვდა სისხლს. სისხლი კი იყო გემრიელი, სქელი, წითელი. წუწნის დროს ტუჩებს ილოკავდა, ტკბებოდა.

გადიოდა დრო, ხალხი ხედავდა თავისი სისხლის გემოს. ანგელოსი ვერა მალავდა სიამოვნებას. გადიოდა დრო და კაცი მიხვდა, რომ თუ სხვას სიამოვნებდა მისი სისხლი, მასაც ესიამოვნებოდა. მაშინ ის შემთხვევით გაჭრილ ხელს წუწნიდა, მერე განგებ იჭრიდა და ისე. საკუთარი სისხლი კი არც ისე გემრიელი იყო, არც ისე ბევრი. მაშინ კაცმა დაიწყო სხვისი სისხლის წუწნა. ანგელოზები დაიმშნენ და ლანდებივით დაძრწოდნენ.

კაცი კი სულ უფრო კარგად გრძნობდა თავისი მოძმის სისხლის გემოს.

სწოვდა.

მაგრდებოდა.

გადიოდა დრო.

კაცი სწავლობდა ჭკუას.

სულები, დევები, ეშმაკები შიმშილით იხოცებოდნენ.

ანგელოზები გადაშენდნენ.

ჭლექი, ტიფი და ყივანახველა ხოცავდა ან ვერ ხოცავდა ხალხს. ხალხმა გამოიგონა სასტვენი და გაიჩინა მილიცია. მილიცია და სასტვენი: ორივენი იქ იყვნენ, სადაც კაცი სწუწნიდა სისხლს კაცს. და ვაი მისი ბრალი, ვინც ამაში ძლიერ კაცს, რომელიც ხელებში მოქცეულ სუსტ კაცს სისხლს სწუწნიდა, ხელს შეუშლიდა.

გადაშენდნენ სულები, ავადმყოფობები, ანგელოზები. გაძლიერდა მილიცია, ხმა მოემატა სასტვენს. გაჩნდა მოტორი, გაჩნდა თოფი, გაჩნდა ზარბაზანი, გაჩნდა ატომი. ატომამდე, მის დროს, მის მერეც, ძლიერი სწუწნიდა სისხლს სუსტს.

და...

და _ თქვა რუქამ არაკი: გუშინწინ:

ერთხელ მელამ, მგელმა და დათვმა ხარი დაიჭირეს, წამოაქციეს. მერე ყელი გამოღადრეს. სამივეს უნდოდა ჭამა, მაგრამ სამივესთვის ერთად ცოტა იყო, ერთისთვის სამყოფი. მაშინ მელამ თქვა: ყველამ ალალად თქვას, ვინ რამდენი წლის არისო, ვინც უფროსია, იმან ჭამოსო.

მგელმა თქვა: _ მე ხუთასი წლისა ვარო და გაწითლდა.

მელამა თქვა: _ მე ათასი წლისა ვარო და შეუმჩნევლად შეიშმუშნა.

დათვმა თქვა: _ მე ორი წლისა ვარ, მაგრამ ორივეს დედას გიტირებთ, ახლავე აქედან დაიკარგეთო.

მაშინ:

თქვა ლეონ არაკი:

არაკი დიდია. ვიტყვი ბოლოს:

ფქვილი აქა, ქატო იქა,

ლხინი აქა, ჭირი იქა.

მე არაკი დავამთავრე,

ღმერთის ვედრებ-შეწევნითა.

წელი 1957. აპრილის 10.

შარაზე, ღამით

ასფალტზე ესხმებოდა წვიმა. აქა-იქ გუბე იდგა: შიგ ჩავარდნილი წვეთები რგოლებად იშლებოდნენ. მერე გუბე ივსებოდა და წყალი გადმოდიოდა.
ბნელოდა.
ბნელოდა ყველგან.
მგზავრი მიდიოდა: ხანდახან წვეთის მაგიერ მისი ფეხი ხვდებოდა გუბეში. მაშინ წყალი ჭყაპუნით გადმოდიოდა და ჩაღრმავებული ცარიელი რჩებოდა.
ბნელოდა.
მერე სადღაც გვერდით სინათლე გამოჩნდა:
ბჟუტავდა.
მგზავრი ისევ მიდიოდა: «ნეტა ნავთი თუ იშოვა ქეთომ», ფიქრობდა.
წინ ისევ ბნელოდა: სადღაც გვერდით სინათლე ბჟუტავდა;
წვიმა ხან ასხამდა, ხან წყდებოდა, ხან ნელა მოდიოდა.

[1957წ.] 10 აპრილი.

ლოდინი

შუქნათურაზე წითელი ენთო: გადასასვლელთან ხალხი იდგა. ქუჩაზე გრიალით მიდიოდა ტრამვაი. ვანო იდგა ხალხთან ერთად, წითელი სინათლის ჩაქრობას ელოდებოდა და ფიქრობდა: როდის აინთება მწვანე.

ცხენი უკანა ფეხით კოჭლობდა, ზურგზე უნაგირი ედგა, ზედ ხურჯინი ეკიდა. ხურჯინში ეწყო: რძე და მაწონი. კისერზე თოკი ება, თოკი კაცს ეჭირა, კაცი იძახდა: «რძე, რძე, მაწოონიი, აბა მაწონიი, კამეჩის კარგი, თან ახალი» და ფიქრობდა: «როდის გავყიდი, ან ნეტა რამდენს ავიღებ.» ცხენი კი მიდიოდა კოჭლობით: ძლივს იკავებდა ნატკენ ფეხს ასფალტზე.

დედა სამად ანაწილებდა საჭმელს. ბიჭები ჭამდნენ. ცარიელა ქვაბს ხეხავდა. ბიჭები ჭამდნენ: ორი ჩქარა, ერთი ნელა. ვანო და ვასო ფიქრობდნენ: კოტეს ჩვენზე მეტი ერგო დღეს. ვანო ფიქრობდა: ვასოსაც ჩემზე მეტი ერგო დღეს.
დედა იჯდა წყალთან და ცარიელა ქვაბს ხეხავდა ქვიშით.

[1957 წელი] 10 აპრილი.

ნუგეში

მეორედ ცხვირში დაარტყეს.

ისევ დაბრუვდა.

პირველი ყბაში მოხვდა: რატომღაც პირიქით მოხდა. მაშინ უფრო ეტკინა, ვიდრე დაბრუვდა.

მერე დარტყმებს ვეღარა გრძნობდა, მხოლოდ ბუნდოვნად ესმოდა, რომ ხალხი ღრიალებდა. თითქოს ამჩნევდა მსაჯის თეთრ ხალათს. მკვეთრად მხოლოდ იმის კრივის ხელთათმანებს და მის ჩამოყრილ თმას ხედავდა. ის დარტყმისას კბილებს კრეჭდა. ცქიტო იცილებდა და თვითონაც ურტყამდა.

მერე იჯდა სკამზე.

ხალხი დაწყნარდა. ვახტანგი ცხვირსახოცს უქნევდა და რაღაცას არიგებდა.

ჩამოკრეს.

ახლა ისევ იმის კრივის ხელთათმანებს ხედავდა.

დაიღალა.

ურტყამდა უღონოდ.

სადღაც გაუელვა, რომ ვარჯიშის მაგიერ სვამდა.

შექანდა.

გაბრუებული ეგდო.

როცა თავი ასწია, მსაჯი აცხადებდა: ნოკაუტით მოიგო მიქატაძემ.

უხმოდ გაიპარა რინგიდან ცქიტო, ჩაიცვა და უკანა კარიდან გავიდა. ბიჭები დარბაზში უცდიდნენ. მათი დანახვა არ უნდოდა. რცხვენოდა. მარტო მიდიოდა ქუჩაში და ჩემოდანს იქნევდა.

ყველანი იქ იყვნენ. აგონდებოდა მათი სახეები კრივის დაწყებამდე. სახეზე ახურებდა. მერე ისევ მოაგონდა, რომ მთელი თვე ლოთობდა შეჯიბრებამდე, დიდი იმედი ჰქონდა თავის. მიქატაძე კი ვარჯიშობდა. აჯობებდა მა რა, იმდენი რო ევარჯიშა, ლასლო პაპს მოუგებდა. აბა მიქატაძეს დაელია მისდენი! ალბათ, პირველივე რაუნდში დავარდებოდა დაურტყმელად. უეჭველად დავარდებოდა. სამი რაუნდი მაინც გაუძლო იმას, თანაც კარგები აჭამა. სულ შემთხვევით მოიგო იმან. თავისი ბრალი იყო: სახე დარჩა ღია. თან დაიღალა. დაიღლებოდა მა რა, სვამდა და. აბა მიქატაძეს ესვა ამდენი, ამდენი კი არა, მისი ნახევარი მაინც, მის ტოლას ყურში ჩაისხამდა ცქიტო.

ფიქრები ცოტა მოეშვა გულზე. ახლა ჯიბეში ფულს ეძებდა, მერე ნაყინი იყიდა და ჭამით განაგრძო გზა.

[1957წ.] 11 აპრილი.

მინდება

კედელზე ჰკიდია შიშველი ქალის სურათი. მაგიდაზე მახორკა ყრია და სიგარეტი აგდია. თეთრი ქაღალდები დაჩხაპნილია ლურჯი ასოებით. კიდეში ლამფა დგას და მორჩა. არა. მაგიდაზე გაბნეული ყრია ასანთის ნამწვავები. ცარიელი კოლოფი არა ჩანს.

ცხელა?

არა.
გრილა.
მე ვზივარ მაგიდასთან და მოშლილ პატეფონს ვუკრავ.
ნელა მინდება რაღაცა. მაჟრიალებს.
მახორკისგან ყელი მეწვის.
მაჟრიალებს.
ვდგები. გავდივარ სამზარეულოში და ცივ წყალსა ვსვამ.
უზომოდ მსიამოვნებს?
არა,
საშუალოდ.
ისევა ვჯდები მაგიდასთან და უფრო მინდება რაღაც.
ისევ წყალი?
არა.
წყალი დავლიე.
გარეთ კი გაზაფხულია და გრილა. ცაზე უწესრიგოდ ირევიან ღრუბლები.

წელი 1957. აპრილის 12.

<u>პ ო დ ი ე ზ დ თ ა ნ მ ა ნ ქ ა ნ ა ი დ გ ა ...</u>

პოდიეზდთან მანქანა იდგა.

მივხვდი, რომ მე მიცდიდნენ. ვიცოდი: იჯდა ის, ხელში ტეტე ეჭირა და ტყვია პირში ჰქონდა მიცემული.

ნელა გავუსწორდი მანქანას. ჩემი აზრების სიმართლეში დავრწმუნდი და ჩავიარე. ვგრძნობდი: გაიღო მანქანის კარი. იმან ორი ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ. ტეტე მომიშვირა ზურგში. არ მინდოდა მიხედვა. ვიცოდი: ამაო იყო.

რაღაცამ მძლია.

მივიხედე.

ის იდგა და მიყურებდა. ჩახმახზე ხელი ედო.

ვიდექი და ვუყურებდი.

_ ახლა მოკვდები, _ თქვა რეზომ.

_ ვიცი, _ ვთქვი მე.

_ მერე?

_ მერე რა, მე არა მაქვს, თორე დაგასწრებდი, _ ისევა ვთქვი მე.

_ მე კი მაქვს, _ თქვა იმან და მესროლა.

პირველი მუცელში მომხვდა, მეორე ბეჭში.

ჯერ რაღაც ვიგრძენი, მერე ტკივილი, მერე ხმა.

მე დავეცი.

ვგრძნობდი: ის მანქანაში ჩაჯდა. მანქანა დაიძრა, მერე მოსახვევში ჩაუხვია. პოდიეზდიდან ვიღაცეები გამოვარდნენ. მე გონება დავკარგე.

წელი 1957. [აპრილი]

მკერავზე

ოთახი იყო დიდი. ფანჯრები ჰქონდა ბევრი და პატარა. შუაში და კედლებთან მაგიდები იდგა, ზედ ელექტროსაკერავი მანქანები. ისინი მუშაობდნენ. შავ მაუდს, თეთრ ტილოს, ყვითელ ნაჭერს, უჯრედიანს უვლიდნენ პირდაპირ, გვერდზე, მრგვალად.

იკერებოდა ტანსაცმელი:

შარვლები _ ბუტილკა,

პიჯაკები ულიპოდ, დაქანებული მხრებით.

პერანგები ორ-ორი ჯიბითა და ღილით.

კაბები დიდი, ამოჭრილი გულით _ დეკოლტე.

იუბკები ათასგვარი ნაოჭით _ პლისე.

გარეთ აბრა ეკიდა და ეწერა:

სამაგალითო ატელიე

შესასვლელთან, მარჯვნივ, დირექტორი იჯდა, თავზე დიდი კარტუზი ეხურა, პერანგზე მუშტის სიმსხო ჰალსტუხი ჰქონდა, ტანზე დიდი აპრეხილმხრებიანი პიჯაკი ეცვა. შარვლის ტოტები ფეხსაცმელებს უფარავდა. საამქროდან გოგოები მოდიოდნენ საქმეზე; ტანზე ტილოს კაბები და კრეპდეშინი ეცვათ. მხრები გაკეთებული ჰქონდათ დიდი და აპრეხილი. ტუჩები პომადით შეთხიპნილი, ლოყები პუდრით. ძლივს იჭერდნენ თავს მაღალ ქუსლებზე.

იკერებოდა ტანსაცმელი უკანასკნელ მოდაზე: ბუტილკა-შარვალი, დეკოლტე თუ რეგლანი_კაბა. მკერავებს ფართო ჩაფართხუნებული შარვლები ეცვათ _ კაცებს, დიდი აპრეხილ მხრებიანი კაბები _ ქალებს.

ექვს საათზე სამუშაო თავდებოდა.

მიდიოდა ხალხი.

უკანასკნელ სტილზე ჩაცმული მანეკენები უკან რჩებოდა, აბრის გვერდზე ქუდმოხდილი ვაჟი ეხატა: მას ხუჭუჭი თმა და ულიპო პიჯაკი ჰქონდა.

აბრაზე ეწერა:

სამაგალითო ატელიე

[1957 წ. აპრილი.]

კონცერტი იწყება

ლიანა იდგა და იყურებოდა პირდაპირ. პირდაპირ ფალიაშვილის ქანდაკება იყო: ქანდაკება სავარძელში იჯდა, მუხლებზე დიდი წიგნი ედო, ხელი შუბლზე ჰქონდა მიდებული, თითებში ფანქარი ეჭირა.

ქანდაკებიდან მარჯვნივ და მარცხნივ კიბე ადიოდა პარტერისკენ. საფეხურგამოტოვებით გივი მიაბიჯებდა, უკან მზია მიჰყვებოდა, მერე გივი გაჩერდა, მზია იცინოდა და რაღაცას ელაპარაკებოდა.

ლიანა იდგა და ფალიაშვილის ქანდაკებას უყურებდა. სულ ბუნდოვნად ხედავდა კიბეზე გივის და მზიას. ფიქრობდა: რა კარგი ბიჭია გივი, ლამაზი, სპორტსმენი, საწყალი, დედა რომ ჰყავს ავად, ცოდოა. მზიაც კარგი გოგოა, რა კარგად უკრავს,

გუშინ უთქვამს ნეიჰაუზს, მაგისგან იშვიათი პიანისტი გამოვაო. რა ბედნიერებაა ეგრე უკრავდე. საერთოდ ძალიან უხდებიან ერთმანეთს ორივენი; მერე რა ნაზად უყვართ ერთმანეთი, არასოდეს არა ჩხუბობენ.

გივის და მზიას ვიღაცეები მოეფარნენ, მერე გივი ისევ გამოჩნდა. მზია ახლა ამხანაგს ელაპარაკებოდა.

ლიანა კი იდგა და პირდაპირ იყურებოდა.

მარცხენა კიბეზე ხტომით ავარდა ნოდარი, მერე ისევ ჩაირბინა. ლიანა ფიქრობდა: რას ჰგავს თვითონ, რა უწესოა და რა კარგი შეყვარებული ჰყავს. საცოდავი გოგო მის ხელში, ჯერ თექვსმეტის არც კია ლია, აფსუს. ძალიან უხეში ბიჭი ჩანს. ჩემი თვალით ვნახე, როგორ გაარტყა ვიღაცას. იმას სისხლი წამოუვიდა ცხვირიდან: რა საშინელი უხეშობაა. აგერ მოჰყავს კიდეც ლია, ეტყობა ბილეთი უშოვია მისთვის; რა უხეშად უკავია ხელკავი.

რატომღაც ფიქრები გაუწყდა ლიანას, შემდეგ განაგრძო, ლიასიც მიკვირს, ასეთი პატარა და უკვე შეყვარებული ჰყავს.

ხალხი ირეოდა.

ლიანა ფიქრობდა: ასეთი პატარა და უკვე შეყვარებული ჰყავს.

უცებ გაწითლდა.

«მეც მისი ტოლა არა ვარ», გაუელვა. მოაგონდა, რომ თვითონ არავინ არ უყვარდა, ვერც წარმოედგინა.

რატომღაც უფრო გაწითლდა.

შერცხვა თავისი ფიქრების. რაღაც იგრძნო, უფრო გაუშტერა თვალი კომპოზიტორის დიდ შუბლს. გრძნობდა: მისგან მარცხნივ კოკა იდგა და უყურებდა. ლიანა ვეღარაფერზე ვერა ფიქრობდა, მხოლოდ ძალიან რცხვენოდა და ვაჟის მზერისგან ლოყა ეწოდა.

უკვე ბოლო ზარი დაირეკა.

ხალხი აიკრიფა.

გრძნობდა: კოკა იდგა და არ მიდიოდა.

მისი მზერა ლოყას უწვავდა, თავი დახარა: ძირს პარკეტი ეგო და ერთი ფიცარი ავარდნილიყო – ლიანა უყურებდა ავარდნილ ფიცარს და ვერ ამჩნევდა.

_ ლიანა, ლიანა! _ მოესმა ამხანაგის ხმა იმ მხრიდან, სადაც კოკა იდგა.

_ წამოდი, იწყება.

როგორც იყო მიაბრუნა თავი: სადაც კოკა ეგულებოდა, კოკა არ იყო, მხოლოდ დამლაგებელი იჯდა და ტილოს ასწორებდა, მერე ადგა. გოგოები ზევით ავიდნენ. კიბეზე მოუხვიეს. ლიანამ გადმოიხედა: თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე: დამლაგებელს საწმენდი გაეკეთებინა და იატაკსა ჰგვიდა.

16 აპრილი [1957 წ.]

<u>სასამართლო გადის განაჩენზე</u>

(რომანი 10 _ 17 აპრილი)

აგვისტოს თორმეტი

სქელი ფარდები სხივებს იხვევენ. ოთახში მძიმე ჰაერია. საწერ მაგიდაზე არეულად ყრია წიგნები. თითები მელნითა მაქვს დათხვრილი. ვზივარ და რუსულ

თემასა ვწერ სათაურით: «Образ Павла» из романа Островского «Как закалялась сталь!» უშნოდ იჩხაპნება ასოები. მექანიკურად ივსება ხაზები რაღაც სკოლაში მასწავლებლის მონაყოლის მიხედვით. ვერაფრით ვერ წარმოვიდგენ ვერც პავლეს სახეს, ვერც მის კუტ და ბრმა დამწერს, არც მინდა. ორი დღის შემდეგ რუსულის გამოცდაა. ბოლო საგანი.

სამი წინა: ქართული, ისტორია და გეოგრაფია ხუთებზე ჩავაბარე. რუსული მართლწერის მეშინია. ვუყურებ დათხვრილ ხელებს და ვბრაზდები, «ახლა ბიჭებს ეგონებათ, რომ დღე და ღამე ვმეცადინეობ, ასანთიც არ არის, რომ გოგირდით გავიხეხო.» წინ დიდი, თეთრი ფურცელი მიდევს. თავზე ხელი ჩამოვისვი. პატარა თმის ღერი ჩამოვარდა. დავუკვირდი. ძირი თეთრი ცხიმისა აქვს. «ახალია», ვფიქრობ, მერე ისევ ვისვამ ხელს: ახლა ორი ჩამოვარდა. ისინიც ძირიანად: ეს პატარაც მცვივა. ვეღარ გავძელი მაგიდასთან, წამოვდექი. კამოდზე პატარა სარკე დგას. მეორე დევს. ორივეს ვიღებ ხელში: ერთს თავის ზევით ვიჭერ, ერთში ვიხედები. თავზე ცოტა ამოსულა თმა. ის საკმაოდ ბევრი იყო, მაგრამ გვერდებიდან სოლებივით იჭრება მკრთალი, თეთრი ხაზები და შუა თავზე ერთდება თითქოს. უნივერსიტეტის გათავებამდე მეყოფა, მერე რაც უნდა მოხდეს, გავიზრდები, აღარც დამჭირდება თმა, ჩემი საქმე მექნება. ხუთი წელი თამამად მეყოფა.» შემდეგ მეჩვენება, რომ შეიძლება საერთოდ ვერ მოვხვდე და ჯარში წამიყვანონ. მაშინ გამიცდება ერთი წელი ისე, სამი ჯარში, მერე ხუთი უმაღლესში, სულ ცხრა. ცხრა წელში უთმო ვიქნები, ალბათ. როგორი საქმეა უთმო სტუდენტობა. ცოტა შემეშინდა, მერე უფრო შემეშინდა. «ნაღდად ჩავვარდები რუსულში, უქმად დამრჩება ის ხუთებიც»..... ვფიქრობ და მაგიდისკენ მივდივარ. მაგიდაზე თეთრი ქაღალდი დევს და ზედ სამი თმის მოკლე ღერი გდია თავისი ძირებით.

ვიწყებ წერას:

გათხუპნული თითები მელნიანი მაქვს.

მიოფლიანდება.

თეთრ ქაღალდს თითის ანაბეჭდი დაეტყო ლურჯად.

მუდმივი კალამი გაბზარულია და მელანს უშვებს. ნაწერი გამოდის ჭუჭყიანი. ასოები ითხაპნება. ორგან «ი» მაგარის მაგიერ «ი» რბილს ვწერ, მერე ვასწორებ.

«ნაღდად ჩავვარდები», ვფიქრობ, მერე წერას განვაგრძობ. ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე პავლე, ვერც მისი ინვალიდი დამწერი, არც ვცდილობ.

შინაარსი გამოდის უმარილო და ასოები დათხაპნილი.

შვიდი სექტემბერი

ჩემ წინ ოთხი ზის გრძელ მერხზე. მათ წინ კიდე ორი გოგო. შუაში ადგილია გასასვლელი. იქით კიდე ხუთი მერხი დგას. იქ ყველა ადგილი დაკავებულია. კათედრაზე ლექტორი დგას და რაღაცას ყვება თავისი ცხოვრებიდან. ხმა ბოხი და ჩახრეწილი აქვს. ამავე აუდიტორიაში დავიწყეო სტუდენტობა, ამბობს. ვიღაცეები იცინიან. მე ვუყურებ. ამ წუთში მწამს, რომ მეც ლექტორი ვიქნები და შესაძლოა, მოვუყვები ჩემს სტუდენტებს ამ დღის შესახებ. გონებაში კათედრაზე ვდგავარ და ვამბობ:

ჩემს ლექტორსაც აქ დაუწყია სტუდენტობა, ახლა ის მოხუცდა, მეც ამ აუდიტორიაში დავიწყე. გისურვებთ თქვენ ჩვენზე კარგი და საამაყონი გამოსულიყავით. გახსოვდეთ: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

გულში მსიამოვნებს, დარწმუნებული ვარ, ჩემს ლექტორზე ბევრად კარგი სიტყვა ვთქვი. რაღაც მიხარია.

ვოცნებობ.

ჯგუფი იცინის, ლექტორი ხუმრობს.

ვიღაც ხმამაღლა ხარხარებს.

ჩემ წინ ოთხნი სხედან. სულ მარჯვნივ რომ ზის, ჩემკენ იყურება. რაღაც არ მომწონს მისი სახე. თვალები უელავენ და თითქოს დამცინიან.

ირეკება ზარი.

ლექტორი სიცილით გადის.

კარებში სტუდენტები ერთმანეთს ასწრებენ. ის, რომელიც არ მომწონს, მეჯახება. მე ვიმრიზები და გაშტერებით ვუყურებ.

_ რას მიყურებ? _ ამბობს ის.

_ ჰა! _ თვალებს ვქაჩავ მე, მერე ხელს ვავლებ და გვერდზე მივათრევ.

_ ხელი აიღე! _ ყვირის ის.

_ ჩუმად.

_ ხელი აიღე, ისე წავიდეთ.

გავდივართ გარეთ. ბიჭები ერევიან და გვაშველებენ.

უკვე ეჭვით მიყურებს ხალხი. წინა დღით სხვა გავათრიე კიდე. მგონი შემაგინა და იმიტომ. ჯერ დიდი გულით მომყვებოდა. მერე კარში დადგა. დაიწყო: სამი წელია ვაბარებ, ძლივს მოვხვდი, ახლა ჩხუბისთვის გინდა რო გამრიცხონ, არა, ძმაო, საჩხუბარი კბილები უკვე დავიცვალეო.

ეს მეორეც იმავეს იმეორებს.

არ მომყვება.

გვაშველებენ.

ეს სასწავლო დღეც თავდება. მე გამოუმშვიდობებლად მივრბივარ ჩემი სკოლის ამხანაგებთან. ისინი უკვე ბაღში მიცდიან. ერთად მივრბივართ საცურაოზე:

კახელი ამხანაგი ორი კვირის შემდეგ რთველში გვპატიჟებს.

ათი სექტემბერი

ვზივარ დეკანატში.

_ რა ვქნა მე? _ ამბობს დეკანი.

_ ჰო, თქვენ ვერაფერს ვერ იზამთ, _ ამბობს მელიქიშვილი.

_ შენ ხომ იცი, მეც დაინტერესებული ვიყავი.

დეკანატიდან დაღვრემილი გამოვდივარ. სამინისტროს ბრძანებით, ჩვენი, სპარსულისა და არაბულის ისტორიის, ჯგუფები დახურეს. ბევრი ირბინა ჩვენმა დეკანმაც, მაგრამ ვერაფერი გაახერხა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი ლექტორიც გამოდის.

_ კერძოდ გასწავლი ენას, _ მეუბნება. მე უხერხულად ვიღიმები.

_ ჯერ კი ძველი მსოფლიო ისტორია აირჩიე.

_ ჩემს ნებაზეა? _ ვკითხულობ მე.

_ ჰო, არჩევანის უფლებას მოგცემენ, _ ამბობს ის.

_ მაინც რატომ დახურეს? _ ვკითხულობ.

_ არ ვიცი, მოსკოვში არისო და საკმარისიაო, ალბათ, მაგიტომ.

_ ჰოო, _ ვამბობ მე, მერე ვემშვიდობები და მივდივარ.

შვიდი ნოემბერი

უკვე აცივდა.

პალტოს მაინც არ ვიცვამ. მოკლე პიჯაკში გამოწყობილი მივყვები გამზირს. ოდნავ მიბრუის თავი. ნამთვრალევი ვარ. ბორჯომის წყლებშიც ცივა. ვსვამ მჟავე წყალს. მსიამოვნებს.

თორმეტ საათზე დამინიშნა მელიქიშვილმა კერძო გაკვეთილი, მაგრამ მეზარება წასვლა. უკვე შვიდამდე გაკვეთილი გავაცდინე. ოთხჯერ ის ვერ მოვიდა: სამინისტროში იყო გამოძახებული. სამჯერ მე დამაგვიანდა. მოვყვები გამზირს და ლურსმებს ვიგონებ. ისინი არ მემორჩილებიან. მავიწყდება წყობა. ვღელავ. მეშინია, სულ არ დამავიწყდეს. მინდა საღამოს მაინც ვიმეცადინო, მაგრამ ლექცია მაქვს პოლიტეკონომიაში და ვერ გავაცდენ: ლექტორი გამცდენის კურსზე დატოვებით იმუქრება.

რვა ნოემბერი

გუშინ ერთად ვიქეიფეთ პეტრესთან ჩვენი კლასის ამხანაგებმა. პეტრეს სამი დიდი ოთახი აქვს, პიანინო, რადიო, დაირა და ფიზგარმონი.

ვხუმრობდით ძველებურად.

რეზო რაღაც ანეკდოტს ყვებოდა, ვასო უკრავდა.

_ ბიჭო, ეგ რა არის, _ თქვა უშანგმა.

_ არაფერი, შარვალია, _ ვთქვი მე.

_ ჰა, გაერიე სტილში?

_ რათა?

_ ბუტილკა?

ბიჭებმა სიცილი დაიწყეს.

რეზო ისევ სკოლაში ათასჯერ გაგონილ ანეკდოტს ყვება, ვასო ძველ მელოდიას უკრავს.

მოვიწყინე.

ვასომ დაკვრა დაამთავრა და ფიზიკის მასწავლებელს აჯავრებს.

უშანგი უყურებს ჩემს ბუტილკას და იცინის.

მოვიწყინე.

რატომღაც წასვლა მომინდა.

არ მიშვებდნენ. გამოვიპარე. გზაზე გურამი შემხვდა. გურამს ჩემზე ბუტილკა შარვალი აცვია.

რესტორანში შევედით.

ნაღვინევზე უფრო მეკიდება კონიაკი.

გურამი ანგლობს.

მე ვიცინი.

მერე მე ვხუმრობ.

ის იცინის.

ვზივართ და ვსვამთ კონიაკს: სულ დამავიწყდა ჩემი კლასელები, ბოლოს ისევ მაგონდება. გურამს ხელს ვუყრი და მივდივართ პეტრესთან. ბიჭები «თამარ ქალს» მღეროდნენ, ჩვენ მისვლაზე სიმღერას წყვეტენ და მალევინებენ.

_ რამდენი სანტიმეტრია? _ ეკითხება უშანგი გურამს შარვალზე.

გურამი აიმრიზა, ვიმრიზები მეც.

ქეიფი გაფუჭდა.

ვიღაცა ცდილობს ხუმრობას, მაგრამ არ გამოდის.

ჩვენ ადრე მოვდივართ.

გურამი დაბღვერილია: მე მწყინს, რომ მას აწყენინეს უბრალოდ და უშანგიზე ბრაზი მივლის; რატომღაც მომინდა მაგრა გამელანძღა და მეცემა ვასო, რეზო, უშანგი ან რომელიმე, მაგრამ გურამი ბანცალებს; მარტო ვერა ვტოვებ.

მეორე დღეს კლასის ბიჭები ისევ იქ იკრიბებიან ნამცეცობაზე.

_ წამოხვალ? _ ვეკითხები გურამს.

_ გიჟი ხარ? _ ამბობს ის.

_ არც მე წავალ.

_ შენ წადი, სირცხვილია.

_ გაუშვი ერთი.

_ წადი, კლასელები არიან, _ მეუბნება ის.

მე მანქანას ვაჩერებ.

ათი ნოემბერი

ვზივარ მაგიდასთან: ვკითხულობ წერილს.

წერია: გურამ!

გამარჯობა. მე გამარჯობას უკვე მეოთხედ გითვლი, შენ კი მხოლოდ ერთხელ შემომითვალე. რაშია საქმე? ნუთუ დაივიწყე ზღვა, მლაშე, წყალი და ცხელი ქვიშა; კელასურის ტყე! ღამე კელასურის ტყეში. არა. დარწმუნებული ვარ ტყუილია, ე.ი. ტყუილია ის, რომ დაივიწყე. თუ არ დაივიწყე, რაშია საქმე: მხოლოდ ერთხელ მომწერე წერილი. აღარ გახსოვარ? თუ ჩემი წერილები არ მოდის შენამდე; თუ ვეღარ ვუგებთ ერთმანეთს? ჰა?

აქ წერილი არა წყდება, მერე წერია კიდე ორი გვერდი. ქვეშ მიწერილი აქვს: ოთხი ნოემბერი. მარინა. და P.შ. გილოცავ შვიდ ნოემბერს, გისურვებ, მრავალს დასწრებოდე.

მეღიმება რატომღაც.

პახმელია ვარ და თავი მიბრუის.

ბორჯომის ბოთლს ვხსნი. ვსვამ. ის ცივი და მჟავეა. მსიამოვნებს. ვცდილობ პასუხის დაწერას; ვერაფრით ვერ ვიწყებ. არ გამომდის არაფერი. «თუ ვეღარ ვუგებთ ერთმანეთს? ჰა?» გამიელვა ხაზმა წერილიდან, მერე ისევ გამეღიმა: მინაწერი გამახსენდა: P.შ. გილოცავ შვიდ ნოემბერს, გისურვებ, მრავალს დასწრებოდე.

კიდევ ვცდილობ წერილის დაწერას.

ვიღაც რეკავს.

შვებით ამოვისუნთქე და ავდექი:

დედას ჩანთა ჩამოვართვი: ისევ მოვიწყინე, მეგონა გურამი იყო და ლაპარაკში გავიყვანდი დროს. დედა სამზარეულოში სადილს აკეთებს.

მე ვზივარ სავარძელში და გოლსუორსის «ფორსაიტებზე თქმულებას» ვკითხულობ. უსაშველოდ დიდი წიგნია. მომწონს ძალიან. მაგრამ ვგრძნობ, რომ ვერ დავამთავრებ. თავი ისევ მიბრუის ოდნავ. ისევა ვხსნი ბოთლს. გაზი გასვლია და ისე აღარა მწვავს ენას.

სემესტრის პირველ ნახევარში ცოტა თავი ავიშვი. ხშირადა ვსვამდი. რამდენიმეჯერ ტყუილადაც ვიჩხუბე. ახლა უკვე თვე გადის, რაც ვმეცადინეობ. ოთხ იანვარს გამოცდები იწყება. ხუთ საგანს ვაბარებ. სამი თითქოს უკვე ვიცი, დანარჩენი ორის სწავლასაც მოვასწრებ.

ახლა უნივერსიტეტში ვარ.

ლექციები დამთავრდა.

მთელი კურსი მივდივართ კომკავშირის კრებაზე. ჩვენი მდივანი მეხუთეკურსელია. მას დიდი ღაბაბი და შავი ულვაშები აქვს. მისი მოადგილე ქერა, მაღალი და წვრილი ბიჭია.

კრებას ისა ხსნის.

მერე მოადგილე ლაპარაკობს.

მერე პროფკომი.

მერე დეკანი.

ის თხელი საშუალო ტანის კაცია სათვალეებით. ლაპარაკობს ხან სხაპასხუპით, ხანაც შესვენებებით: ძირითადად ჩვენზე, პირველკურსელებზე. ამბობს: ჩვენს ხელშია თქვენი აღზრდა, სწავლა, მაგრამ თქვენს ხელშეუწყობლად არაფერი იქნება. ჩვენ ვიქნებით მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ თქვენი მხრიდანაც საჭიროა კრიტიკა, კრიტიკა ქვევიდან, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, მაგრამ მაგაში არ არის საქმე, მაგრამ ეგრეც რომ იყოს, მოგთხოვთ, მოგვთხოვეთ თქვენც ჩვენ _ ლექტორებს, მაგრამ მოთხოვნა იყოს საღი, გულწრფელი. მე გულმოდგინედ ვუსმენ.

ჩემ გვერდზე მეოთხეკურსელები სხედან: ვასო რაღაცას იწერს წიგნიდან, ვახტანგი ითვლის დროგამოშვებით.

_ ერთი..., ორი..., სამი... თორმეტი.

_ რას აკეთებ? _ ვეკითხები მე.

_ ვითვლი.

_ რას?

_ მაგრამებს.

_ რას?

_ მაგრამებს. უკვე ოცჯერ თქვა, ზოგჯერ ორასამდე ასულა. ოცდაერთი _ ჩამოუსვა ფურცელზე ხაზი.

მე მეცინება, «რა უინტერესო ხალხია მეოთხეკურსელები», მერე ვუყურებ მოლაპარაკე დეკანს; მესმის: მაგრამ, მაგრამ და კიდე რაღაცეები, ისევ ის, მგონი, რაც მდივანმა თქვა, რაც მისმა მოადგილემ თქვა, რაც თვითონ თქვა ორი წუთის წინ; ვუგდებ ყურს და არ მესმის ლაპარაკი. ვხედავ: მას თხელი სახე აქვს და სათვალე უკეთია.

_ ერთი მაგრამ, ორი, _ ვიწყებ თვლას ჩუმად.

_ ორმოცდახუთიდან დაიწყე, _ მეუბნება ვახტანგი.

მე მეღიმება.

_ მაგრამ, რაც მთავარია, ველით პირველკურსელთა გამოსვლას, _ ამბობს დეკანი, სათვალეს იხსნის, წმენდს და ისევ იკეთებს.

სიტყვას იღებს ჩვენი მდივანი. თავი საკმაოდ თამამად უჭირავს. იმეორებს სხვების ნათქვამს და თავის მხრივ უმატებს. მე ყურადღებით ვუსმენ. ამბობს: აი, მაგალითად, პოლიტეკონომიის ლექტორი ტყუილა ეჩხუბება გიორგაძეს, გიორგაძე კი, ჩემი

აზრით, მოწინავე სტუდენტია. საერთოდ ამ შემთხვევაში მე კურსის აზრს გამოვხატავ და პოლიტეკონომია არა საკმაოდ მომზადებულია იმისათვის, რომ ჩვენ გვასწავლოს.

მე გაკვირვებული ვარ მისი სითამამით.

_ რა ვაჟკაცია, ხედავ! _ ვამბობ მე.

_ ვაჟკაცი კი არა, სულელია, _ ამბობს ვახტანგი.

_ როგორ, რა თამამად ლაპარაკობს, ხედავ, აბა სხვამ თქვას? _ არ ვისვენებ მე. ვახტანგი ტუჩს წევს და რაღაც წიგნსა შლის.

კრება ხურდება.

მომშივდა.

ნელა ვიწყებ მთქნარებას. როგორც იყო, დამთავრდა.

მე თითქმის ბოლოს გავდივარ.

დეკანი ჩვენს მდივანს ელაპარაკება გაცხარებული. მესმის:

_ თქვენ ხომ თქვით თვითონ, _ ამბობს მდივანი.

_ მერე შენ სულელი ხარ, თუ მდივანი.

_ რათა? _ იბნევა მდივანი.

_ კიდე არ გესმის: მოგვთხოვეთ, რომ ვამბობ, ეს იმას კი არ ნიშნავს, თავს წახვიდეთ.

_ თუ არ ვარგა, პატივცემულო.

_ მერე შენ ვინ გკითხავს, საერთოდ ჩემი ბრალია. კომკავშირული უჯრედის გადამუშავებაა საჭირო თქვენს კურსზე, ჩამოხვალ ჩემთან.

ლევანი მიდის.

მე სხვა მხარეს მივდივარ. არ მინდა შემამჩნიოს, რომ მესმოდა მათი საუბარი; თუმცა თავისი ბრალი იყო, ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ განგებაც, რომ მეც გამეგონა. ვინ იცის?

თ ო თ ხ მ ე ტ ი ი ა ნ ვ ა რ ი

როგორ უცებ მოხდა ყველაფერი. ჯერ კიდევ ახალ წელს ერთად ვიყავით. ქეიფი გაგრძელდა. საღამოს თამადამ შესვენება გამოაცხადა. გარეთ გამოვედი. თამრიკოც გამომყვა. ის კანკალებდა. მე მთვრალი ვიყავი და არა მციოდა, მერე მკერდზე მივიკარი. ცოტა დასთბა. ეტყობოდა ტანზე მაინც სციოდა. სულ ოდნავ ძაგძაგებდა. მხოლოდ ტუჩები ჰქონდა ცხელი და ვარდისფერი.

მეორე დღესაც ერთად ვიყავით.

მერე მე სწავლას ჩავუჯექი. არც ერთი საგანი მზად არა მქონდა. თითქოს ლურსმულს ვსწავლობდი, ინგლისურსაც, მაგრამ უშედეგოდ. უნივერსიტეტი იმის დროს აღარ მიტოვებდა, ის კიდევ იმისას. ასე შუა გზაზე ვიყავი გაჩერებული.

ახლა უფრო ხშირად ვნახულობდი ტარიელსა და გურამს. ჯიმიმაც ბევრჯერ წამიყვანა დასალევად. მელიქიშვილი საყვედურებს მითვლიდა, როცა მე ვაცდენდი, როცა თვითონ _ ბოდიშს. ნელა მივუშვი ხელი ლურსმულს. უნივერსიტეტში სწავლაც გაჭირდა. უმეტესად არ შევდიოდი ლექციაზე. როცა ვესწრებოდი, მაშინაც არ ვუსმენდი.

ახლა ვზივარ და ვიგონებ.

შეიძლება ჩავიჭრა.

წინ პოლიტეკონომია მიდევს და ვკითხულობ, თითო გვერდს ორჯერ, სამჯერ _ არ მესმის მაინც.

ვკითხულობ და თამრიკოზე ვფიქრობ:

როგორ უცებ მოხდა ყველაფერი:

ჯერ კიდევ ახალ წელს ერთად ვიყავით.

მის მშობლებს რომ არ მოვწონდი, ვიცოდი, მაგრამ მასში ეჭვი არ მეპარებოდა.

ახალი წლის შემდეგ დაიკარგა. ვეღარსადა ვნახე. მერე გავიგე, გათხოვილა. თითქოს არც მეწყინა. გამიკვირდა ძალიან და მორჩა. მხოლოდ შეურაცხყოფა ვიგრძენი: მისი მეუღლე ჩვენი კომკავშირის მდივანი იყო: ოჰ. როგორ ვერ ვიტანდი იმ ბიჭს. მერე თითქოს მესიამოვნა, რომ იმას გაჰყვა და სხვას არა.

ახლა ვზივარ და არც მიხარია, არც მწყინს: უბრალოდ მიკვირს. სწავლით კი მაინც ვერა ვსწავლობ: თვალწინ თამრიკოს სახე მიდგას.

ოცი იანვარი

როგორც იყო, მოვრჩი გამოცდებს. ერთი ოთხი გამომყვა, მაგრამ არა უჭირს რა, შემდეგ სემესტრში ფრიადოსანი ვიქნები. რაც მთავარია, სპეციალობაში ხუთი მყავს. ლექტორიც კმაყოფილია. ახლა შემიძლია ვსვა და ვიყო, რამდენიც მინდა; ოცდასამში კი ბაკურიანში წავალ. თხილამურები ჩემი ყველაზე დიდი გატაცებაა. თოვლი, თან სიცხე. შავდები და სრიალებ. რა ჯობია.

ახლა დუქანში ვსხედვართ.

ჯიმი წელს ამთავრებს.

_ თქვენი ტოლა მაგის ნახევარსაც არა ვსვამდი, _ ამბობს.

_ კარგი ერთი, _ ამბობს რეზო.

_ ჩემხელები უკვე დიდი ლოთები იქნებით.

_ არა, კაცო, _ ვამბობ მე, თან მსიამოვნებს, რომ ჯიმისთან მსმელის სახელი მაქვს.

მომტანს შეკვეთილი არაყი და ლუდი მოაქვს. ლუდი დიდ კათხაში ასხია, არაყი, პატარა ასგრამიან ჭიქაში.

_ აბა ისე თუ დალევთ, რომ ერთად გადავიდეს არაყი და ლუდი, _ ამბობს ჯიმი.

ვჯახირობთ. რეზომ ჩამოიქცია. არაფერი გამოდის. ჯიმი პატარა ასგრამიან ჭიქას ლუდის დიდ კათხაში აგდებს და ცლის. ერთად თავდება ორივე.

რა კაცია ჯიმი, რას არ ისწავლი მასთან!

ოცდაათი იანვარი

ვზივარ სახლში.

ბაკურიანში წასვლის წინა დღეს გავცივდი. არაფერმა მიშველა. ყელის ტკივილი მატულობდა. გლანდები ზურაბიშვილმა ამომჭრა. ვიჯექი დიდ საოპერაციო სკამზე. დამაღებინეს პირი, მერე ასისტენტმა ნემსი გამიკეთა გლანდებში. დამებერა. უფრო დამებერა. ქირურგმა საკეცი ჩაავლო და ამომჭრა ერთი. იფეთქა სისხლმა. მის შუბლზე მიმაგრებულ სარკეს სისხლის შხეფები შეესხა.

_ ეს მამაძაღლები მადლობის მაგიერ მაფურთხებენ, – თქვა მან.

გარშემო იცინოდნენ.

მეც რაღაც ღიმილის მსგავსის გაკეთება ვცადე.

ახლა მეორე ამოჭრა, მერე ტამპონები ჩამილაგა. წამოვდექი. საკმაოდ კარგად ვგრძნობდი თავს. ქირურგს ხელი ჩამოვართვი და პირი დავიბანე. მარტოკა წავედი

საწოლისაკენ. კარებთან ცოტა ამერია ფეხი. ვიღაცამ ხელი შემაშველა. კორიდორში დედა იდგა და მიღიმოდა. მამა რაღაცას მანიშნებდა. მე ვიღიმებოდი. ვუყურებდი. მერე ფოკუსი დავკარგე, თვალები ამერია.

ვიწექი საწოლში.

ნერწყვი გროვდებოდა პირში. მცდებოდა ყელში. ტკივილისაგან ვიმანჭებოდი. დავსუსტდი. ოთხი დღე ფაფებზე გავდიოდი იოლას. მერე სახლში გამიყვანეს. ყველაფერს წამლის გემო ჰქონდა.

ახლა ვზივარ სახლში და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ვკითხულობ წიგნებს. სწორედ ახლად გამოვიდა მელიქიშვილის «ნაირი-ურარტუ». ის ჩემი ლექტორი და ხელმძღვანელია. გატაცებით ვმუშაობ. ისტორიასთან ერთად ლურსმულს გვასწავლის. პირობა მივეცი თავს: ყოველდღე ექვსი ასო მესწავლა. ახლა უკვე ასამდე ვიცოდი.

ვზივარ და ვწერ. სულ უფრო მიტაცებს ლურსმული. ამ ენაში სახელმძღვანელო მარტო გერმანულადაა. ეს ენა ბავშვობაში მაქვს ნასწავლი. ადვილად მიდის საქმე წინ.

ოცი თებერვალი

დღეს დაიწყო კონფერენცია.

მე თემა მზადა მაქვს. ლექტორი აღტაცებულია ჩემით. მისი რჩევით, რამდენიმე დღის წინ ინგლისურის სწავლაც დავიწყე. ლურსმები უფრო მიტაცებენ.

ვდგავარ კათედრაზე და ზეპირად ვკითხულობ. დარბაზი არ არის სავსე. ვარჩევ საკითხებს, მერე შავ დაფაზე თეთრი ცარცით ვხატავ ლურსმებს. ვადარებ შუმერულ და ურარტულ ძირებს. ვიხედები აუდიტორიაში. იქ ჩემი ლექტორი ზის და მიღიმის. გული მეძლევა. თემა მთლიანად მიტაცებს. მესმის კარის ჭრიალი. რამდენიმე თავი ბრუნდება აუდიტორიიდან. მე გული მწყდება. მერე ვგრძნობ, რომ ვწითლდები. იმავეს ვიმეორებ, რაც წინ ვთქვი. კარში ისევ ის გოგო დგას. იღიმება. ის გოგო ხშირად მხვდებოდა ტალანებში. იქაც იყო კრებაზე. ხო, კომკავშირის კრებაზე, რომელსაც იმ ამბის შემდეგ აღარ დავსწრებივარ.

მე მხოლოდ მეცნიერება მიტაცებს.

ძლივს დავამთავრე ლაპარაკი.

ახლა კათედრაზე ჩემი ლექტორი ადის. არჩევს თემას. მაქებს. გული სიამაყით მევსება. ისიც იქ დგას და ყურს უგდებს.

ახლა ვიღაც მეოთხეკურსელი იკავებს ადგილს. სქელ რვეულს შლის. კითხულობს სხაპასხუპით, ხან ჩათვლით.

_ მოდი, ზღვაზე ომი ვითამაშოთ, _ ამბობს ჩემი მეზობელი მეხუთეკურსელი. მე არ ვეთანხმები. ვუგდებ ყურს. მოხსენება გრძელი და უნიჭოა. ვიღლები. ვუგდებ ყურს: ახლა მხოლოდ ხანდახან მესმის მომხსენებლის სიტყვები.

_ აღარ ათავებს, რა, _ ამბობს ვახტანგი.

_ ჰო, ძალიან გააგრძელა, _ ვამბობ მე.

_ მეჩქარება სახლში, მშია, – ამბობს ის.

_ მეც, – ვთქვი მე.

_ ძალით შემოგვიყვანეს, _ თქვა მან.

რაღაც არ მსიამოვნებს. ოდნავ ვწითლდები.

_ რას მოდიოდი? _ ვამბობ.

_ სად წახვალ. სანამ დიპლომს აიღებ, მაგათ ხელში ხარ, _ ამბობს ის.

ახლა კათედრაზე სხვა ადის. კარი ისევ იღება. ის გოგო ფეხაკრეფით გადის. თავები ისევ ბრუნდებიან იქით.

_ ვინ არის? _ ვკითხულობ.

_ ჰა, მოგწონს?

_ არა, ისე.

_ რა ისე, ბიჭო, ხოშიანი გოგოა.

_ ვინ არის? – ვიმეორებ მე.

_ კატო.

_ კატო?

_ არა, კატო ისე ვთქვი, თამარი ჰქვია.

_ თამარი?

_ ჰო, თამარ თაბაგარი, აღარ რჩება ეს კონფერენცია, – ამთქნარებს ის.

მეც მწყინდება. კარის ჭრიალს ველით. მთელი აუდიტორია ბრუნდება ყველა ხმაურზე, მერე ისევ უყურებს მომხსენებელს თვლემით. «რა უინტერესო ხალხია, ამათგან რა მეცნიერი გამოვა, თუმცა მოხსენებებიც უნიჭოა. მე ხო მიგდებდნენ ყურს», ვფიქრობ, მერე დეკანს ვუყურებ.

დეკანი იღიმება და ჩემს ლექტორს რაღაცას უყვება.

კონფერენცია გრძელდება.

ოცდაშვიდი თებერვალი

შორს ვცურავ ტალღებში. დილით ზღვა წყნარია ხოლმე, მერე ქარი უბერავს. ზვირთებში ქვევიდან ვძვრები. ან ზედ ვყვები. ახლა ვგდივარ ქვიშაზე. მზე ეფარება ღრუბელს. ქარი უბერავს და ოდნავ ცივა. გუშინ მივიღე დეპეშა. ეწერა: ახლადმიღებულები ოცდარვაში უნდა გამოცხადდნენო უნივერსიტეტში, ხელს დედა აწერდა. ოცდარვა ხვალ არის, მე დღეს საღამოს წავალ.

მზე ისევ გამოდის.

აჭერს.

კანი შემეჩვია და აღარ მეწვის. თმაც ამომივიდა. ვჯდები ქვიშაზე. ქვიშა ცხელია. ვიყრი ტანზე. ვკოტრიალობ. მერე მივრბივარ წყლისკენ. წყალი გამჭვირვალეა და თბილი. გამოვდივარ ნაპირზე. ჩარდახიდან მარინა მიქნევს ხელს. თვალები ნამტირალევი აქვს.

_ რა მოგივიდა? – ვეკითხები მე.

_ არაფერი, ისე.

_ რა ისე, რა მოგივიდა?

_ ვალიამ თქვა, რომ ხვალ მიდიხარ.

_ არა, დღეს, ხვალ იქ უნდა ვიყო უკვე, _ ვამბობ მე.

ვსხდებით ქვიშაზე. მარინას ჩემი ხელი უჭირავს და თითებს ათამაშებს. ახლა ვწევარ, მარინას ისევ უჭირავს ჩემი ხელი, მერე გულდაღმა წვება. მე თვალებში მზე მაცხუნებს. სხივი დახრილა და ჩარდახების ქვეშ იპარება. თვალებზე გაზეთს ვიფარებ. ახლა მე მიჭირავს მისი გრძელი, სუსტი თითები და ვუჭერ, რაც შემიძლია. ვგრძნობ: სტკივა და ხმას არ იღებს.

ვიღაცამ ფეხი გამკრა.

_ ძია ვახტანგ! _ დავიძახე მე.

_ ჰა, არშიყობ?

ვწითლდები. გოგოს ხელი ხელში მიჭირავს.

_ როდის ჩამობრძანდით? _ ვეკითხები მე.

_ გუშინ. დედაშენმა, ჩამოვიდესო. არ აცდენ დროს, იხელთე მარტო, სახლში ჰგონიათ, გოგოს დანახვაც კი გაწითლებს.

მარინა წამოდგა და უცნობ ძიას უღიმის: ქართული, რა თქმა უნდა, არ ესმის.

_ კარგი გოგოა, ბიჭო, ყოჩაღ! – ამბობს ვახტანგი და სიცილით მიდის. მე ვრჩები გაწითლებული, მერე სიწითლე მივლის.

ნელა ვიცვამთ.

მივდივართ ასფალტზე.

ის ახალი მორწყულია და ორთქლს უშვებს.

ღამე უკვე მატარებელში ვზივარ. მთვარე ანათებს ზღვას. სხივი ლივლივებს. ვოცნებობ. ვფიქრობ: ჩავალ თუ არა, უეჭველად მივწერ მარინას მოსკოვში წერილს, მერე ჩავალ და ჩამოვიყვან. ვგრძნობ: მარინა დგას სადგურზე და ფიქრობს იმავეს. ის გაისად ამთავრებს სკოლას. ჩამოვიყვან. რუსულ ფილოლოგიურზე მოვაწყობ ჩვენთან. ჩქარა შეეჩვევა თბილისს. ქართულსაც ისწავლის.

ვდგავარ კიბეზე.

ვხედავ: მთვარე ანათებს ზღვას. სხივი ლივლივებს, მერე მთვარეს ღრუბელი ეფარება. ზღვა რუხდება და თითქმის აღარა ჩანს.

შევდივარ ვაგონში.

ვწვები ზედა თაროზე. მეჩვენება: ხელში მარინას ხელი მიჭირავს და ვუჭერ მთელი ძალით.

მატარებელი ირწევა.

_ დგ-დგ – იძახიან თვლები.

ვთვლემ, მერე ვიძინებ.

ათი მარტი

დიდი ხანია, დაიწყო მეორე სემესტრი. უკვე დროა, მომავალზე ვიფიქრო. ისევ ჩავუჯექი. ლურსმული თითქმის მიმავიწყდა: აღარც მჭირდება ახალ სპეციალობაზე. თითქმის თავიდან ვიწყებ სწავლას. ვსწავლობ: ის ხალისი და მონდომება მაინც აღარა მაქვს. იმედს არა ვკარგავ. ასე იყო მაშინაც, როცა ცოტა ვისწავლე ლურსმები, უფრო დამაინტერესა. ახლაც ასე მგონია: მინდა შევიდე საქმის კურსში, მერე გამიადვილდება, დამაინტერესებს კიდეც.

ხვალ დაბარებული ვარ კომკავშირის კრებაზე, მგონი გაცდენების გულისთვის. ვნახოთ, რას მეტყვიან.

თერთმეტი მარტი

_ ნამდვილი ნასესხებია, _ მესმის დედის ხმა და ვიღვიძებ. ვჯდები ტახტზე: გარეთ თოვლის თხელი ფენა დევს. სადღაც მზე ამოდის. თოვლი თითქოს რბილდება. ხელები და გული შიშველი მრჩება. ისევ ვიხურავ საბანს. ვიტრუნები. მესმის: დედა სამზარეულოში ფუსფუსებს. მერე აღარ მესმის.

გუშინ წრის სხდომაზე ისევ გავაკეთე მოხსენება. ლექტორი აღტაცებულია. ბიჭებს ახლა იშვიათად ვხვდები. ვსვამ იშვიათად: ისიც დაბადების დღეებზე. ვწევარ და

გონებით ვიმეორებ ლურსმებს. უკვე ორასორმოცდაათი ასო ვიცი. ზოგიერთ წარწერას დამოუკიდებლად ვკითხულობ.

რატომღაც დედა არ მაჩქარებს ადგომას. მგონი, წინა დღეს მამას შეხვდა მელიქიშვილი და მაქო. ალბათ, დღეს შეღავათს მიწევენ.

გუშინ მოხსენების შემდეგ ვესტიბიულში გრძელდებოდა კამათი. მთელი დამსწრეები იქ იყვნენ. მართალია, სულ ათი თუ თორმეტი კაცი ესწრებოდა, მაგრამ მხოლოდ ის, ვისაც აინტერესებდა და ესმოდა. კამათში თამარიც ერევა. ახლა ამ გოგოს უკვე შევეჩვიე. მაინც ვწითლდები. მაგრამ არ ვიბნევი. უკვე გარკვეული გამოცდილება მაქვს კვლევის და კამათის. გააფთრებით ვიცავ ჩემს აზრებს. მისი აქ ყოფნა აორებს ჩემს ცეცხლს. ის თავისი აზრის გამოთქმას ცდილობს. ვიღაც უხეშად აწყვეტინებს. მე რბილად განვუმარტავ შეცდომას.

მერე ერთად მოვდივართ.

გზად ლიტერატურაზე ვსაუბრობთ.

მას ფოიხტვანგერი წაუკითხავს ახლად და აღტაცებულია. მე ამ მწერალს არ ვიცნობ.

_ რა მოგწონთ? _ ვეკითხები მე.

_ გასაგიჟებლად წერს, _ ამბობს ის.

_ ჰოო, _ ვამბობ მე.

_ დიახ, არაჩვეულებრივია, იცით, როგორი, აი თითქოს... _ გოგონას ენა ებმება, მე სწრაფად მეზრდება ცოდნა ფოიხტვანგერის შესახებ. მეღიმება.

_ რა შინაარსის მოთხრობები აქვს? _ ვკითხულობ.

_ გერმანიაზე, დიახ, გერმანიაზე. როგორ სდევნიან გუსტავ ოპენჰეიმს ფაშისტები, კიდე აქვს ისტორიული რომანები, გასაგიჟებლად ნაწერი.

_ ჰოო, მართლაც კარგი ყოფილა, _ ვამბობ მე და ისევ მეღიმება.

გოგონა კი არ ისვენებს. რაღაც მომწონს მისი. უფრო მიყვარდება. მერე ჩემს თავს ვარწმუნებ, რომ მშვენივრად ესმის მწერლობა. რა ბედნიერებაა, გყავდეს ასეთი ჭკვიანი გოგო, ვწითლდები. რა დროს მის გოგოობაზეა ლაპარაკი, ვფიქრობ, ჯერ ჩვენ კარგი ამხანაგებიც არა ვართ. მის სახლთან ვემშვიდობები და მოვდივარ მარტო. გონებაში მხოლოდ მას ვხედავ. ის კი ლაპარაკობს რას, სულერთია: ლაპარაკობს და მორჩა: მე უზომოდ მსიამოვნებს მისი ხმა. ნეტა, ხვალ თუ ვნახავ?!

რადიოში თორმეტი საათის საყვირი ისმის. უცებ ვიცვამ ტანზე და სამზარეულოში გავდივარ.

თხუთმეტი აპრილი

გუშინ ვწერე რუსული. სწორედ ის მოვიდა, რაც არ მინდოდა. თუმცა რატო არ მინდოდა, არ ვიცი. არც სხვა ვიცოდი უკეთ. ალბათ, იმიტომ არ მინდოდა, რომ ერთგან სიტყვა «პფრფკტყყსტ» იყო. რატომღაც რბილი ნიშანი დავსვი «Л»-ს მერე. მეორე მერხზე მჯდომ ელამ ბიჭს ვკითხე; იმანაც ისე მითხრა, სირბილის ნიშანი უნდაო. მაინც დავეჭვდი. ჩემ წინ ვიღაც თავშეხვეული იჯდა. დიდხანს არ გამაგონა, ბოლოს პატარა ფურცელზე დაწერილი გადმომიგდო, ეწერა: «პფრფკმტყყსტ». სულ დავეჭვდი. რაღაც ვიგრძენი, რომ მატყუებდნენ. სწორედ იმ დროს ჩამოიარა ნაცნობმა კომისიის წევრმა და მანიშნა, როგორც იყო სწორი. «Л» გადავშალე. ნაწერი დაითხაპნა. სულ გამიფუჭდა ხასიათი. ოფლმა დამასხა. «ვერ მოვხვდები», გავიფიქრე, მერე ბრაზი შემომაწვა. მივხვდი, რომ განგებ მატყუებდნენ. როგორც იყო დავამთავრე და

გამოვედი. ბოღმა მომაწვა. მალე ელამიც გამოვიდა. კუთხეში მივიმწყვდიე და დედის გინება დავიწყე. ის საცოდავად იდგა. კანკალებდა. დიდი, გრძელი თმა სახეს უმალავდა.

გარეთ ერთად გამოვედით.

ასფალტს ბუღი ასდიოდა.

ვიღაც გოგო მოთქვამდა, ვიღაც ქალი თავის შვილს აქებდა.

_ რო არ მიიღონ, მოსკოვამდე წავალ, – ამბობდა შლიაპიანი კაცი.

_ მე არც ვღელავ ჩემზე, – თქვა ქალმა.

_ რატო იღელვებს, მთელი უნივერსიტეტი მისი ნაცნობია, – გადაუჩურჩულა ერთმა მეორეს.

მე თავშეხვეულს ხელი გამოვდე. მას დაბნეული სახე ჰქონდა და ტანზე მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა. ხელი უცებ გამიოფლიანდა. მაინც არ გავუშვი. დავუყევით ქუჩას.

თავისით ჩავედით დუქანში.

ტარიელმა რაღაც შეუკვეთა.

მერე ტარიელი, ის და მე არაყსა ვსვამდით ჩუმად.

_ თქვენ მოხვედრას გაუმარჯოს, – თქვა ტარიელმა.

_ რას მიჰქარავ, რა დროსია, – ვთქვი მე.

ის ჩუმად იყო.

კიდე დავლიეთ.

თითქოს აგრილდა. შუბლზე ხელი მოვისვი. ცივი მქონდა. შიგ კი მწვავდა რაღაცა.

_ მეც ეგრე მეგონა, მერე მოვხვდი, ახლა ხო ხედავ მესამეზე ვარ, _ ბუნდოვნად მესმოდა ტარიელის ხმა.

_ ჰო, ნუ გეშინია, _ ვანუგეშე ის.

_ ჰა? _ თქვა მან.

_ ნუ გეშინია.

_ როგორ?

მას თვალები დაწითლებული ჰქონდა. ოდნავ ქანაობდა. მეც ცოტა მეხვეოდა თავბრუ.

ტარიელი არაყზე წავიდა.

_ რა როგორ, ნუ გეშინია, მოხვდები, _ ვთქვი მე.

_ დედას ვუტირებ, მოვკლავ იმ მელოტს, იმისი, ორი ხუთი მაქვს, ერთი ოთხი, ახლა თუ ხუთი არ დამიწერა... _ იმან ბოთლს ხელი დაავლო და კედელს სთხლიშა.

ტარიელი და მე ვეცით.

ბორგავდა.

ვიღაცაზე იწევდა, რაღაცეებს ყვიროდა. მერე ღებინება დაეწყო. როგორც იყო, ჩავაგდეთ მანქანაში.

_ სად ცხოვრობ, ბიჭო? _ ჰკითხა ტარიელმა.

_ ბაღდადში.

_ ჰა?

_ ბაღდადში, რა ჰა, დედას ვუტირებ.

_ ვერ მესმის.

_ რა ვერ გესმის, ბაღდადელია, აქ არ ცხოვრობს, _ გავბრაზდი მე, მერე მძღოლს ჩემი მისამართი მივეცი.

დედაჩემი თავს ადგა გვიან ღამემდე და სველ ტილოებს ადებდა. ტარიელი სახლში წავიდა. მე გაუხდელი ვიწექი. მამაჩემი კი იჯდა და ჩემს საგამოცდო ფურცელს უყურებდა. მერე წავიდა.

ახლა ახლად გაღვიძებული ვიყავი. ის უკვე წასულიყო სადღაც. «არაფრით არ მოიცადაო», თქვა დედამ.

მე ჩავიცვი და სახლიდან გამოვედი. ზურგზე დედის ალერსიანი თვალები ვიგრძენი.

_ ნუ გეშინია, მოხვდები, _ მომეწია მისი ხმა.

«საიდან იცის, ნეტა რა დარწმუნებულია», _ გავბრაზდი რატომღაც.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

_ სულა?

_ ჰო.

_ გენაცვალე სულში, კარგია, ცხელა, სიცხე არ შეგაწუხებს, არც თმა გაგცვივა, – დაიწყო ქაქანით იარაღის მომზადება.

«რა თმა, სადღა მცვივა», გავბრაზდი, «უბრალოდ მაწუხებს და ის არის», ვბუზღუნებდი გულში.

გადაკრეჭა შუბლიდან დაიწყო.

თმა სქლად აჰყვა, მერე იატაკზე დაცვივდა. გვერდებზე ისევ სქლად იყო დახვეული, ახლა მარჯვენა გვერდი ამკრიჭა, მერე მარცხენა, ბოლოს უკან აიღო.

გადაკრეჭილ თმაზე ოდნავ მომიბერა ნიავმა და მესიამოვნა. შვება ვიგრძენი. ახლა თავზე დარჩენილ თმის ღერებს ჯაგრისით ბერტყავდა. რაღაცამ მიჩხვლიტა კისერში, ისევ მიჩხვლიტა. დალაქი ლოყაზე ცხელი საპნის ქაფს მისვამდა. დაიწყო პარსვა. სარკეს თვალს არ ვაშორებდი. «არც ისე გაცვენილი მაქვს თმა», ვფიქრობდი, მერე უფრო კარგად ვაკვირდებოდი. კისერში ჩაცვივნული ბეწვები მჩხვლეტდა. ოფლი ჩადგა საყელოსთან და უფრო შემაწუხა.

როგორც იყო დამთავრდა.

ავდექი.

სარკიდან წითური სახე, მზისგან გადაცქვეფილი ცხვირი და თეთრი ახლად გადაპარსული თავი მიყურებდა.

რაღაც არ მესიამოვნა:

პერანგის საყელო დაჭმუჭნილი იყო და კისერი საცოდავად მოჩანდა ფართო დაკუნთული მხრების მერე.

გარეთ ისევ ცხელოდა:

მხოლოდ ნიავი მოძრაობდა და თავს მიგრილებდა. მერე მზემ დააჭირა. უთმოდ დარჩენილი თავი გამიხურა, სადღაც ჩალის შლიაპა ვიყიდე და თავზე ჩამოვიფხატე.

თექვსმეტი აპრილი

მიმიღეს.

ამბავი ნაცნობმა კომისიის წევრმა გამოიტანა. თავშეხვეული ისევ დარჩა. ოფიციალური სიები ჯერ არ იყო გამოკრული.

მოისვენა ოჯახმა.

მიღების ამბავი არც ისე გამიხარდა. რაღაც შვება ვიგრძენი და მორჩა. «მიმიღებდნენ მა რა», გავიფიქრე. ტარიელს სადღაც გაეგო და გამომიარა. წინა დღეს მასაც გადაეღო თმა. უხდებოდა. ერთად ჩავუყევით დაღმართს. ტარიელი ჩემი მეგობარი არ იყო. ის გაზაფხულზე გავიცანი დაბადების დღეზე. დავახლოვდით. ახლა ავადმყოფ დედას ადგა თავზე და იმიტომ იყო ქალაქში. თავისუფალ დროს ჩემს გულშემატკივრობაში ატარებდა. უმეტესად ჩუმად იყო.

ახლაც ასე მივყვებოდით გამზირს.

_ მალე აგრილდება, – თქვა მან.

_ ჰო, მალე, _ ვთქვი მე.

_ რა გინდა, სტუდენტი ხარ.

_ ჰო.

_ კარგია, ძმაო, კარგი.

_ კარგია, მა რა, – ვთქვი მე.

ცხელოდა.

გამზირი გადავსერეთ, გავედით მოედანზე, მერე ორთაჭალისკენ დავეშვით. მტკვარზე გადაკიდებულ რესტორანში მშვენიერი ქაბაბი იყო. ზედ არაყი და ლუდი.

_ დაიწყე რა, ლოთობა, – თქვა ტარიელმა.

_ არა, კაცო ისე, _ ვთქვი მე.

_ რა ისე, ჯერ სადა ხარ.

_ თქვენ რა, ბევრსა სვამთ?

_ შემოხვალ, ნახავ.

_ მეც დავლევ, ოღონდ ცოტას.

_ ვნახავთ.

_ ტარიელ, კარგი გოგოები არიან? – ვიკითხე მე.

_ გოგოები? როგორიც გინდა, შენ მარიფათზეა.

_ არა, მე არ მიყვარს.

_ მე კი, რაღა დაგიმალო.

_ მეც მყავდა, ოღონდ ისე, არაოფიციალურად.

_ როგორ?

_ ისე, მარტო ვკოცნიდი, არც მივლია ქუჩაში, არც სიყვარული ამიხსნია.

_ ვერც მე ვიტან ახსნას, – თქვა ტარიელმა.

ორთაჭალის მოედანზე უფრო ცხელოდა. ხანდახან ვინმე გოგირდის აბანოდან ამოივლიდა. ვიღაცა გოგო მიესალმა ტარიელს. ტარიელი გაწითლდა, მერე მივიდა და ხელი ჩამოართვა. შემდეგ მეც დამიძახეს. გამაცნო. გოგოს ხელი ოფლიანი ჰქონდა. რაღაც არ მესიამოვნა, მერე ჩუმად გავიწმინდე ხელისგული შარვალზე.

_ საშინელი სიცხეა, არა? – თქვა ტარიელმა და გაწითლდა.

«რა აწითლებს»? გავიფიქრე მე.

_ ჰო, ახლა აქ ყოფნა საშინელებაა, – თქვა გოგომ.

_ მართლაც, ძალიან ცხელა, – ვთქვი მე.

ახლაღა დავუკვირდი გოგონას. გული მოდღლეზილი ჰქონდა და სავსე მკერდის დასაწყისი უჩანდა. უფრო ღრმად ჩავაყოლე მზერა. ის შეიშმუშნა. მე რაღაც მომინდა.

მზე კი აჭერდა.

თითქოს შემრცხვა, რო ამხანაგის ნაცნობზე რაიმე გავიფიქრე, მაგრამ მაშინვე დამავიწყდა ტარიელი.

_ ვინ არის? – ვკითხე ტარიელს მისი წასვლის მერე.

_ ორი წელია მიყვარს, – თქვა მან.

_ რამ გაგაგიჟა, – ვთქვი მე.

შემდეგ ისევ წარმოვიდგინე ის. ხელები ამექავა. ძალიან მომინდა მისი მკერდისთვის ჩამებღუჯა. ალმაცერად გადავხედე ტარიელს.

_ როგორა გაქვს მერე საქმე? – ვკითხე მე.

_ არც როგორ, ჯერ არ მითქვამს.

რაღაც მომეშვა გულზე. თითქოს მდინარიდან ნიავმაც მოუბერა.

სიონისკენ გადავუხვიეთ და ტაძარში შევედით. კარში მათხოვრები ისხდნენ. შიგ ბნელოდა და სიჩუმე იყო. ჯერ ისევ იმ გოგოზე ვფიქრობდი, მერე ფიქრი გამეფანტა. ტაძარში გრილოდა. თითქოს შემცივდა. ვგრძნობდი, რომ ოფლი ცივად მაშრებოდა ტანზე. მერე რატომღაც თავშეხვეული ბიჭი მომაგონდა, ტყუილა რომ გავარტყი და გარეთ რო დარჩა, შემეცოდა: ჯარში წაიყვანდნენ უეჭველად. «ნეტა, ის ელამი თუ მოხვდა», გავიფიქრე.

ტაძარში სიჩუმე იყო.

გრილოდა.

მე თითქოს შემცივდა.

«უსინდისო ვარ», მომდიოდა თავზე ბრაზი, «ამხანაგის გოგოზეც კი რა გავიფიქრე, ახი იყო ჩემზე, რო არ მოვხვედრილიყავი», მერე ბრაზი გამიქრა, თითქოს ფიქრიც გამეფანტა. ვიდექი ბურუსში. შემდეგ ვიგრძენი, რომ ტარიელმა ხელი მომკიდა. ავიხედე. ჩემ წინ ქრისტე ეხატა, ბზის ჯვარზე გაკრული. ხელები ჩალურსმული ჰქონდა და სისხლი სდიოდა. თავზე ეკლის გვირგვინი ედგა. კისერი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული. მომეჩვენა, რო თვალები რაღაც ეშმაკურად მიყურებდნენ. ჩუმად გამოვედით ეკლესიიდან. მათხოვრებს გამოწვდილი ხელები შერჩათ.

რატომღაც ისევ მომინდა რაღაც და ტარიელის შეყვარებული გამახსენდა. სავსე მკერდის დასაწყისის გამოსახულება ვერ მოვიშორე თავიდან. უფრო მომინდა. მზე ცოტა გადახრილიყო.

თითქოს გრილოდა.

ამოვედით მოედანზე: მე ისევ იმ გოგოზე ვფიქრობდი, მერე გამახსენდა, რომ ეკლესიაში ჩემი თავი მეზარებოდა ცუდი საქციელისთვის, ისევ წარმოვიდგინე ქრისტე, მაგრამ ამხანაგის გოგოს მკერდი თავიდან ვერ მოვიშორე; ჩავიცინე. გამახსენდა, რომ ქრისტეს თვალები რაღაც ეშმაკურად მიყურებდნენ.

_ ტარიელ, _ ვთქვი მე.

_ რა? _ თქვა მან.

_ ტაძარში შევალ, წმინდანი ვხდები, _ ისევა ვთქვი მე სიცილით.

_ რათა?

_ რა რათა, ლექსს ვიგონებ.

ტარიელს სახეზე სულელური ღიმილი გამოეხატა.

შვიდი მაისი

ღამეა.

ქუჩაში ცხელა. ოთახშიაც ცხელა. ვზივარ რადიომიმღებთან. კონიაკი მაქვს დალეული და თავი მიბრუის. ბორჯომი ვერსად ვერ ვიშოვე.

უკვე თვეზე მეტია, უნივერსიტეტში არ მივსულვარ. ან რა მინდა. როცა გამორიცხული არ ვიყავი, მაშინაც არ დავდიოდი. ვერ მომინელებია ის ამბავი. ათ მარტს მშვიდად დამიბარა მდივანმა: მეც მივედი კრებაზე. იქ რატომღაც ტონი

შეიცვალა, აყვირდა, ფანქარი დამირტყა მაგიდაზე. მეჩხუბებოდა, რატომ აცდენო. აშკარად ვგრძნობდი, რომ ვეზიზღებოდი. მე მშვიდად ვიჯექი. თითქოს მეცოდებოდა კიდეც ის თავისი ზიზღით. ეს ახალი მდივანი პირველზე საცოდავი იყო: დიდი თავით და ბეჭებით; წვრილი ნაწყვეტი ხმით. რაღაცეებს ყვიროდა. თვითონ ირეოდა. კრების ბოლომდე ხმა არ ამომიღია. როცა დამთავრდა, გარეთ გავიყვანე. პირველივე დარტყმისაგან დავარდა. რატო დავარტყი, ახლაც არ ვიცი. თითქოს ისე არ ამშლია ნერვები. ის მაშინვე წამოდგა და ხელი მომიქნია. მე ავიცილე და ისევ დავარტყი. ისევ მომიქნია. ახლა ნიკაპში მოვადე: კარგა ხანს ეგდო გულაღმა. მე ვუყურებდი და მეღიმებოდა. როგორ გავჩნდი რექტორთან, აღარც მახსოვს. აქეთ-იქიდან კომენდანტები იდგნენ. რექტორი ჩემი სასწრაფოდ გარიცხვის შესახებ დაწერილ ბრძანებას მიკითხავდა და დაჭერითაც მემუქრებოდა. იმ დღის შემდეგ აღარც მივსულვარ უნივერსიტეტში.

ახლა ღამეა.

ქუჩაში ცხელა. ოთახშიაც ცხელა. ვზივარ რადიომიმღებთან. გარეთ ცხელი ქარი უბერავს. სუფთად მარტო რუსეთს ვიჭერ. ვეძებ ჯაზს. მოსკოვი ამერიკისათვის გადასცემს ჯაზებს. რაღაც არ მსიამოვნებს, ახლა სხვა ტალღას ვიჭერ. რაღაც სიმფონიაა. მსიამოვნებს, მერე იწყება რუსული გუნდი. ისევ გადამყავს ტალღა. საზღვარგარეთიდან ჯაზების დაჭერა შეუძლებელია. მაინც ვიჭერ ვაშინგტონს. უკრავს ლუი არმსტრონგი. ხრიალებს რადიო. მერე უკანასკნელი ცნობების გადმოცემა იწყება. ახალ ტალღას ვიჭერ. უკრავს ფორტეპიანო. ჩაიკოვსკი მიყვარს. სრულდება ეტიუდები მისი საბავშვო დღიურიდან. ვგდივარ სავარძელში. მხოლოდ კისერი მაქვს გაშეშებული, ვერ დავდე ვერსად მოხერხებულად და ვუსმენ. აი, ბაბაიაგა აშინებს ბავშვებს, მერე თოჯინა თამაშობს. სიმფონია მითრევს. ახლა მხოლოდ ჩაიკოვსკის ვგრძნობ. უკრავდა რიხტერი, აცხადებს დიქტორი ინგლისურად, მერე ამბობს ღამე მშვიდობისას. ნასიამოვნები ვიტრუნები სავარძელში: ისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ძლივს ვარჩევ დიქტორის ხმას: გადაცემები ამერიკისათვის დამთავრებულია, ამბობს. რუსული ხმის გაგონებაზე სადღაც ქრება განცდილი სიამოვნება.

ვაწვალებ დამჭერს. ერთხანს აღმოსავლეთის მოთქმას ვუსმენ. მერე ლონდონს ვიჭერ. ისმის ინგლისის ჰიმნი. მერე დიქტორი ლაპარაკობს. იმეორებს ჩაიკოვსკის გვარს. სრულდება მისი საბავშვო დღიური. იგივე ნაწარმოებები, რასაც მოსკოვი გადმოსცემდა. ახლაღა მაგონდება, რომ ეს თარიღი რაღაცით უკავშირდება რუსი კომპოზიტორის ბიოგრაფიას. ნასიამოვნები ვგდივარ სავარძელში. დრო მიდის. უკრავენ ჩაიკოვსკის ლონდონში. არაფერზე არა ვფიქრობ. მხოლოდ ვგრძნობ, რომ რაღაც ორმაგად მსიამოვნებს. როგორც იყო, მოვახერხე კისრის კარგად დადება. ვთვლემ. ისევ ისმის ინგლისის ჰიმნი. ვრთავ რადიოს. გაუხდელად ვიძინებ.

პირველი ივნისი

რესტორანი ვიწროა. მე ვზივარ კუთხეში მარტოკა, წინ არყის ბოთლი მიდგას. მომტანი მივსებს ჭიქას. ვსვამ. ის ცხარეა და უგემური. მერე გემოს ვეღარა ვგრძნობ. ვაყოლებ ლუდს. უფრო ვითვრები. ცალი თვალი ჩალურჯებული მაქვს ჩხუბისგან. ვცდილობ ხალხისკენ არ ვიყურო.

ვთვრები.

სახეს ვაბრუნებ. ვიყურები.

მთვრალი ვარ: ახლა უკვე სულერთია ჩემთვის ჩალურჯებული თვალიც, ხალხიც.

პირდაპირ მაგიდასთან ვიღაც კაცი ზის ჩალის შლიაპით. ჭამს ღვეზელს და სვამს ლიმონათს. ხანდახან მალულად მიყურებს. მე ვაშტერდები. ვგრძნობ, ვეცოდები და ფიქრობს: ასე ახალგაზრდა რამ გაალოთა ნეტა, ან ამ სიცხეში არაყს რა ასმევს.

მე თვალს ვაშორებ და გულში ვამბობ: რა მაგის საქმეა, მინდა დავლევ, მინდა არა.

ისევ ვუყურებ. ის მიდის. მის ადგილს სხვა იკავებს.

ვზივარ დიდხანს. მთვრალი ვარ და დროს ვერა ვგრძნობ. მახსოვს, რომ სინათლეები აანთეს. ვიღაც მელაპარაკებოდა.

_ ვკეტავთ, _ ამბობს მომტანი.

მე თავს ვიღებ: მაგიდაზე ჩამძინებოდა. ფული არა მაქვს და სტუდბილეთს ვტოვებ: მაინც აღარაფერში მჭირდება, ვფიქრობ, ხვალ კი სხვა რესტორანში შევალ.

ათი ივნისი

თამარს ხელი აქვს გაყრილი ჩემს ხელში და ხელკავით მოვდივართ.

ათი ივნისია დღეს.

ბოლო გამოცდა ხუთზე ჩავაბარე: ამ სემესტრში ფრიადოსანი ვარ.

ცხელა.

თამარს მკლავი აქვს გამოდებული და ისე მოვყვებით ქუჩას. მე კმაყოფილი ვარ: ხვალ თამართან ერთად მივდივარ საგზურით ციხისძირში.

პირველი ივლისი

ციხისძირში ჩვენთან ერთად ისვენებს ტარიელი იმ გოგოსთან ერთად. ის გოგო ახლა მისი მეუღლეა. მას მაღალი წელი და სავსე მკერდი აქვს. ცურვის დროს ხშირად მიხვდება ხელი იმის მკერდზე. მაშინ თამარიც მავიწყდება, ტარიელიც. ყველაზე ხშირად ამ დროს წინა ზაფხული მახსოვს ხოლმე.

ქვიშაზე გაწოლილი მალულად ვჭვრეტ რუს გოგოებს, მინდა რომელიმეში მარინა დავინახო. ზღვამ ისევ გამახსენა ის. თამარი გვერდზე მიწევს და დამწვარ კანს მაძრობს. ზურგი მეღიტინება და მსიამოვნებს.

_ კარგი გოგოები არიან, არა, რუსები? _ ამბობს ის. მერე მოწყენილი მიყურებს.

_ რას ამბობ? _ ვამბობ მე და ვცდილობ თვალებში არ ვუყურო.

საღამოს ზღვის ნაპირას დავდივართ. მე მის მხარზე მიდევს ხელი და ისე. მერე მთვარე ამოდის. ჩვენ ქვებზე ვწევართ. მე მის კალთაში მიდევს თავი. ხელებს კისერზე ვხვევ. ვიზიდავ. ის მიძალიანდება, მერე იხრება. ტუჩები ზღვის წყლისაგან არის მლაშე და გემრიელი.

სანატორიუმში ის პირველ სართულზე წევს ტარიელის ცოლთან ერთად, მე მეორეზე ტარიელთან ერთად. ძილის წინ ვიღებ რვეულს და ლურსმებს ჩავცქერი. შემოდგომიდან შუმერულ ენასთან ერთად ურარტულის დაწყებას დამპირდა ლექტორი. ინგლისურშიც კარგად მიდის საქმე. წარმოვიდგენ ჩემს თავს ისტორიკოსთა დისკუსიაზე. მოხსენებას ინგლისურად ვაკეთებ. შეკითხვები შემოდის ფრანგულად, გერმანულად, რუსულად და არაბულად: მე ყველას თავის ენაზე ვპასუხობ.

სიამოვნებისგან ვიტრუნები. ვიძინებ.

უნივერსიტეტში გაქანებული გამოცდებია. არაფრით არ მიშვებენ. მდივანი იძახის, ან მე უნდა ვიყო, ან ისო. იმას ვინ მოხსნის. ახლა უკვე ცხადია: თუ უნივერსიტეტს არა, წელს მაინც ვკარგავ. დღე და ღამე ვეძებ, მდივნის ცემა მინდა, მაგრამ გარეთ უმანქანოდ არ გამოდის: ვერსად მოვიგდე ხელში.

დილით სახლიდან ცხრაზე გამოვედი, როგორც ყოველთვის: მშობლებმა არ იციან ჩემი ამბავი და გამოცდაზე მისტუმრებენ ყოველ დილით.

_ სახლში იციან? – მეკითხება ჯიმი.

_ არა.

_ რატომ არ ეუბნები?

მე თავს ვიქნევ.

ჯიმი არაყს მისხამს.

ვსვამთ.

_ უთხარი, _ ამბობს ის.

_ არა, _ ვამბობ მე.

კიდე მისხამს.

_ მოვკლავ იმ შავთავა ვირთხას, იმის, – ვთქვი მე.

_ მოკალი მაგისი, – თქვა ჯიმიმ.

კიდე ვსვამთ.

კედელზე აბრა ჰკიდია და წერია:

არაყი მათრობელა სასმელია

ჩვენ ვთვრებით.

მე უფრო მაგრა მეკიდება, ჯიმის არა.

გარეთ სინათლეები ანთია და ხალხი ირევა.

_ რა ქენი, დაგიშვეს? – მეკითხება ვიღაცა.

მე ხმას არა ვცემ.

_ სახლში იციან? – ხელს მართმევს ლია.

_ არა, – ვამბობ მე და მივდივარ.

მესმის: ლია ამბობს: საწყალი, რა კარგა სწავლობდა, ახლა კი სულ ლოთობს, ჩხუბობს, მე თვითონ ვეტყვი დედამისს. მე ალმაცერად ვუყურებ, მერე უხმოდ მივდივარ.

რატომღაც თავში მიტრიალებს, რომ ლიამ ჩხუბი ახსენა, მერე დედა. დედამ რო გაიგოს, გაგიჟდება. ძლივს მოვხვდი. რა იმედი ჰქონდა, ახლა კი...

წინიდან ვიღაც მოდის. იმასაც შავი დიდი თავი აქვს, მაგრამ ის არ არის.

_ ჩვენი ძმა, – ვთქვი მე.

_ რა? – თქვა იმან.

_ რათა გაქვს დიდი თავი და თან შავი, ჰა? – ხმას ვუწევ მე.

ის გაკვირვებული მიყურებს.

მე თვალები მერევა.

_ ჰა? – ვუმეორებ.

_ დამთვრალხარ, მოინელე, – ამბობს ის.

_ ჰა?! – ვღრიალებ მე და ვურტყამ.

ისიც მირტყამს.

ასახვევში ვართ და ხალხი ცოტაა. იმას ფეხი უსხლტება და ეცემა, ვურტყამ წაქცეულს: გული მისდის. ჩემკენ ვიღაც წვრილი ბიჭი გამორბის: მეჩვენება, რომ დანა უჭირავს. ვურტყამ ქვაფენილიდან ავარდნილ ქვას: ისიც ეცემა.

ექვსი ივლისი

ვიღვიძებ. საშინლად მტკივა თავი. ჩემ გვერდზე კიდე ორი ზის. ძინავთ. ვიგონებ გუშინდელ ამბავს. სულ ბუნდოვნად მახსოვს.

მამაჩემი გარეთ დგას და მორიგე მილიციელს ელაპარაკება რაღაცას.

ცხრა ივლისი

დღეს უკვე ქალაქის ციხეში ვზივარ. თმა გადაპარსული მაქვს და ისე. ძალიან მინდა სარკეში ჩავიხედო: მაინტერესებს, ძალიან თუ მაქვს თმა გაცვენილი.

ოთახი სავსეა პატიმრებით. ყველა რაღაც რჩევას მაძლევს: ერთ კვირაში ჩემი სასამართლოა.

თერთმეტი ივლისი

დღეს დედას მისცეს ჩემი ნახვის უფლება.

ველი.

მერე მივყავართ.

რკინის ბადის იქით ისა დგას, აქეთ მე. ნამტირალევი თვალები აქვს. მანუგეშებს. მე უფრო ვღელავ. ვღელავ მასზე: ის ავად იყო და ახლა ვინ იცის, როგორ იმოქმედებს ჩემი ამბავი.

ზედამხედველებს ისევ გავყავარ.

დედა მეცოდება: ჩემი თავი არა: მე თითქოს უფრო მოვისვენე ახალ ატმოსფეროში.

თორმეტი ივლისი

გავყავართ ცალკე ოთახში.

იქ დამცველი დგას.

მე მსვამს.

_ აი, შენი დახასიათებები, – ამბობს ის.

მე ალმაცერად ვუყურებ.

_ ყველაფერი იქითკენაა, რომ შენ ნამდვილი ხულიგანი ხარ, – განაგრძობს ის. _ მხოლოდ შენი ყოფილი ლექტორი შეგვპირდა გამოსვლას შენს სასარგებლოდ;

_ რაც იქნება იქნება, – ვამბობ მე.

_ როგორ, დედა არ გეცოდება? – ამბობს ის.

დედა მეცოდება ძალიან.

ვბრუნდები საკანში: ვფიქრობ დედაზე.

საღამოს ისევ გავყავარ დამცველს.

უნდა რომ ჩხუბის მომენტები მოვუყვე. მე არ მახსოვს. თვითონ მარიგებს რაღაცეებს. მერე იწერს და საქაღალდეში აწყობს. ვხედავ: შიგ ჩემი ლურსმულის რვეულები დევს. «ჩემი მოხსენებებიც იქნება», ვფიქრობ. ალბათ, დაცვისას უნდა ილაპარაკოს. რაღაც არ მსიამოვნებს. დამცირებულად ვგრძნობ თავს: მირჩევნია პირდაპირ მომისაჯონ და მორჩა, მაგრამ დედა მეცოდება. ნაწერებზე ხმას არ ვიღებ.

დამცველი მიდის.

მე საკანში მაბრუნებენ.

ცამეტი ივლისი

ვზივარ გადაღობილში, კედელთან.

დარბაზი ჩემ მარცხნივაა. პირდაპირ დამცველი დგას და ლაპარაკობს. მარჯვნივ პროკურორი იწერს რაღაცას.

ვზივარ და ხელს ვიფარებ თავზე: თმა ცოტა გაცვენილი მაქვს მარცხნივ და არ მინდა დამინახონ. დარბაზში კი გოგოები სხედან ცრემლიანი თვალებით. გურამიც იქ არის, ტარიელიც, მისი ცოლიც. ვგრძნობ, მისი ცოლი უყურებს ჩემს პროფილს. გაცვენილ ადგილას ხელს ვიფარებ. ვცდილობ რაც შეიძლება აუღელვებელი სახე მივიღო.

დამცველი კი ლაპარაკობს.

მერე ჩერდება.

მსჯავრს მდებს პროკურორი;

ვგრძნობ: ტარიელის ცოლის თვალები სიბრალულით მიყურებენ; რატომღაც ქრისტეს ეშმაკური თვალები მაგონდება: ერთი წუთით მავიწყდება ყველაფერი, მერე თვალწინ ისევ ის მიდგას. ჩემ წინ კი დამცველი დგას, მარჯვნივ პროკურორი.

მოსამართლე მე მიძახებს ბოლო სიტყვისთვის.

რაღაცას ვამბობ. ვცდილობ: აუღელვებელი და ვაჟკაცური ვიყო. კისერს ვძაბავ, ხმას ვიბოხებ.

დარბაზში ქვითინი ისმის.

«დედა», ვფიქრობ და ხმა მებზარება.

ვჯდები. ვგრძნობ: დედა მიყურებს. ტირის ჩუმად.

მამა დედას ანუგეშებს. დედა მაინც ტირის.

_ უეჭველად მიუსჯიან, – ამბობს ვიღაცა.

მე თავი ვაჟკაცურად მიჭირავს.

მარცხენა მხარეს ხელს ვიფარებ და ვფიქრობ: კარგიც არის, ციხეში თმა შემენახება, მერე მაგონდება, რომ ვახტანგი მელოტი გამოვიდა.

ისევ ვეშვები.

თავზე მომდის ბრაზი, რომ ასეთ სისულელეებზე ვფიქრობ ამ დროს.

_ უეჭველად მიუსჯიან, _ ისმის ისევ ვიღაცის ხმა.

ვიღაც ქვითინებს, მერე ჩუმდება.

მე ვზივარ ჩუმად. ვცდილობ: რაც შეიძლება ვაჟკაცური იერი მქონდეს. სასამართლო გადის განაჩენზე.

[1957 წელი]. 3-17 აპრილი.

მუსტანგები

გადამხმარი ბალახი თითქოს შრიალებდა. იქით, ძალიან იქით, გამოფიტული თიხის გორები იდგა.

სულ ნელა ბოლავდა სიცხისგან სტეპი.

გორის ძირი სველი იყო: შეუმჩნევლად ჟონავდა წყალი. მუსტანგები ენით ლოკავდნენ სველ მიწას. მიწა იყო თიხის. იზილებოდა და ილიპებოდა ნალოკი. აქა-იქ დაუნალავი ჩლიქის კვალი რჩებოდა.

სულ ნელა ბოლავდა სიცხისგან სტეპი.

მუსტანგები იდგნენ და ენით ლოკავდნენ სველ მიწას.

შორიდან, სტეპის სიღრმიდან ფლოქვების ხმა ისმოდა. ცხენებზე კაცები ისხდნენ: ერთზე მეგზური, მეორეზე ფოტორეპორტიორი. მუსტანგებს ესმოდათ ფლოქვების ხმა, ან არ ესმოდათ: იდგნენ, ლოკავდნენ, მერე იდგნენ და არა ლოკავდნენ.

მხედრებმა გორა იფარეს; ფოტორეპორტიორი აქ დაქვეითდა. ფეხით მიეპარა და «ჩხაკ», გადაიღო, კიდევ «ჩხაკ» და გადაიღო. მუსტანგები იდგნენ, მერე შეფრთხნენ. ერთ მათგანს გაკვირვებული სახე ჰქონდა.

სულ ნელა ბოლავდა სიცხისგან სტეპი.

კონკურსზე საუკეთესო სურათის წარდგენისათვის ვიღაც ფოტორეპორტიორმა პირველი პრემია მიიღო:

სურათზე დამფრთხალი მუსტანგები ეხატა გამოფიტული თიხის გორების ძირში და ერთ მათგანს გაკვირვებული სახე ჰქონდა.

წელი 1957. აპრილის 20.

«გოგო ტახტზე გდია...»

გოგო ტახტზე გდია. ტახტი ჭრიალებს. გოგოს თავი გადავარდნილი აქვს ბალიშიდან. თვალები დახუჭული. ტუჩები მოძრაობენ:

მერე ტახტი აღარა ჭრიალებს:

ბიჭი ფეხზე დგას და მის ცრემლებით სავსე თვალებს უყურებს.

გოგომ ძლივს აახამხამა ქუთუთოები და თქვა:

_ გიყვარვარ კიდე?

ბიჭი იდგა. მის ცრემლიან თვალებს უყურებდა. მერე თვალი აარიდა და თქვა:

_ ყველაზე უფრო, ვიდრე ოდესმე.

წელი 1957. აპრილის 21.

მეტივეები ცოლებთან იქნებიან ღამე

მიმპალი ფოთოლი მძიმედ უშვებს ორთქლს. მოშორებით მორები ყრია: ზოგი გათლილია წყალზე დასაცურებლად, ზოგი გაუთლელი. ერთ გაუთლელ მორში ორი ნაჯახია ჩასობილი. მოშორებით მეტივეები ყრიან გამზადებულ ტივზე და ქვევიდან ტანსაბურავები უგიათ.

მიმპალი ფოთლები ახლა უფრო მძიმედ უშვებენ ორთქლს.

მზე იხრება.

საღამოს უნდა ჩაუშვან ტივი.

_ ოუჰ ახლა! _ ამბობს ერთი.

მეორეს ბარძაყზე უჭირავს ხელი;

_ ნუ გეშინია, ღამე უკვე ცოლებთან ვიქნებით, _ ამთქნარებს ის.

წელი 1957. აპრილის 21.

გურულები რესტორან «ნოვი თბილისში»

_ რა?

_ რა და თურქეთი:

_ არა მგონია.

_ როგორ, კაცო, ვასოს თუ აღარ დოუჯერებ?

_ მისი ნათქვამი კია?

_ ღმერთს გეფიცები.

პაპიროსს არც ვახტანგი ეწეოდა, არც სევე. მომტანს ღვინო მოჰქონდა: ორივენი სვამდნენ.

_ ახლა თუ გვეშველა, ნამდვილად, _ თქვა სევემ.

_ ჩვენი შველა? _ დაეჭვდა ვახტანგი.

_ აბა, ლუქსემბურგს ხო უყურებ?

_ ხო, კაცო, რაშია საქმე?

_ არაფელი, სულ ნახევარი მილიონი კაცია.

_ აპა!

_ ჰო, შე კაცო.

_ ახლა რითი ცხოვრობენ ვითამ?

_ რას გეიგებ, ალბათ ხნავენ.

_ მოდის რამე?

_ აპა რავა, ჩვენ ერთ ქცევაზე მოყავს ჩემს ძმას და . . .

_ სევასტის?

_ ჰო, რავა, არ იცოდი?

_ კი მარა, ისე ვიკითხე, მართლა, კიდევ თუ გიდგათ ადესა?

_ ადესა? რამდენიც გინდა, აგერ ბოვშის ნათლობაზე დაგალევინებ მის ღვინოს.

_ ვისი ბოვშის, ნუ გადამრიე.

_ სევასტის, კაცო.

_ სევასტის? ღმერთო მომკალი, რა ხნის ყავთ?

_ ექვსი თვის.
_ აუჰ, დავბერდით კაცო.
_ მიდის ჩვენი დრო, მიდის.
_ კი მარა რა ქვია ბოვშვს?
_ კაკო.
_ კაკო?!
_ კაკო.
_ მაშ კაკოს გოუმარჯოს, მისი კარგად ყოფა და ბედნიერება იყოს მუდამჟამს. შენი ძმისშვილი სევასტი კარგი ბიჭია, რაც მთავარია, ადამიანი, ჰოდა ბოვშის დღეგრძელობა იყოს.
დალიეს.
_ კი მარა, კაკო რამ დაარქმევინა?
_ რავა, არ მოგწონს?
_ რავა არ მომწონს, კაკო ყაჩაღს თუ მიამსგავსა, თქო.
_ ნამეტანი კაცი იყო მაგი ყაჩაღი.
_ ჩვენ დოლიძესთან ვერ მევიდოდა, თვარა ისე.
_ ვითამ?
_ ნამდვილად.
_ მეც ქე ვიფიქრე მაგი.
_ აპა, დაერქმია სიმონა, ჰა?
_ ნამდვილად ამბობ მაგას, ხო იცი.
_ აპა რავა, კაცო, გურულებს სამაგისო რა გვჭირდა.
_ მეიტა ხელი.
_ ა!

წელი 1957. აპრილის 21.

<u>დღე იწყება, ადექი!</u>

_ ადექი, ბიჭო, _ ამბობს დედა.
_ მაცადე, დედა, _ ვამბობ მე.
_ ტყუილა წოლას, ადექი.
_ ახლავე, რა.
_ ოჰ, რაც შენ ტყუილა წოლა გიყვარს.
მე საბანს ვიხურავ თავზე, მინდა არ ვუსმინო და ვიფიქრო. მერე ვიხდი. დედა ისევ ლაპარაკობს. უხალისოდ ვჯდები ტახტზე და წინდებს ვიცვამ.

ტუჩები ჩაჭიდებული მაქვს მისი ტუჩებისთვის და ვღეჭავ. მთელ ტანში აუარებელ სითბოსა ვგრძნობ. ხერხემალში მაჟრიალებს. ხელები მისი მხრების უკან შევაერთე და ვიზიდავ: რატომღაც არ მომყვება. ვგრძნობ, რომ ოფლი მასხამს. კიდევ უფრო ვხურდები: ტანში ჭიანჭველები დარბიან. როგორც იყო, მოვიზიდე. მისი ცალი ძუძუ იღლიის ქვეშა მაქვს. ვსრესავ. უფრო ვიძაბები. მერე ვეშვები, მერე უფრო ვეშვები. პირველი, რასაც ვგრძნობ, არის სიცარიელე, მეორე სინათლე. მერე ვრწმუნდები, რომ მარტო ვწევარ. სიზმარი გაიქცა. სინათლე უფრო მეტად იჭრება ჩემში. ვახელ თვალებს, ისევ ვხუჭავ. ნელა ვეჩვევი დილას. ქუთუთოები ძილისგან ერთმანეთს

ეკრობა. მერე ვრწმუნდები, რომ სიზმარი საბოლოოდ გაიქცა. არ მიკვირს: ასეთ სახვებს ხშირად ვხედავ ძილში. შევეჩვიე.

ახლა მარცხენა გვერდზე ვწევარ. ამ მხარეს გული მაქვს და ზედ ვაწვები. ვქშინავ. მინდა მარჯვენა გვერდზე გადავბრუნდე, მაგრამ მაშინ კედელს უნდა ვუყურო, ახლა კი ფანჯარაში ვიხედები. იქედან რამდენიმე პატარა სახლი მოჩანს. ბოლო სახლი მთის ძირში იკარგება. მთა მაღლა მიდის და ჰორიზონტს ფარავს. თავს დაბლა ვწევ. ზევით მთა წყდება, თუ ღრუბელს უერთდება. ღრუბელი შავია და ბნელი. რატომღაც ვგრძნობ წვიმას.

გაზაფხულია.

წვიმა მოდის სქელ წვეთებად და ხშირი.

ტკაპუნობს.

ვხედავ: ჩემ პირდაპირ დაბალი სახლის სახურავზე ეცემიან წვეთები და ქვევით ხტებიან.

ტკაპუნი მატულობს.

საბანში ვეხვევი და ვინაბები.

რაღაც მაწუხებს, მგონი თავი მტკივა. რა თქმა უნდა, თავია. გუშინ არყით მთვრალი ვიყავი და გამომყვა სასმელი. თავისთავად მაგონდება თემო, რომელთანაც ერთად ვსვი, და მალხაზი. თემო დაბალია და სქელი, საბანში გახვეულს მეღიმება, მალხაზი კი გრძელზე გრძელი და წვრილი. მერე კიდე მახსოვს, რომ გამოვედით იქიდან, ვიჯექი ბაღში. ბოლოს ისევ ვსვამდი სადღაც. მეხსიერება ფხიზელს არ მივარგა, სიმთვრალეში კი არაფერი აღარ მახსოვს ხოლმე.

ცუდ ხასიათზე ვდგები: ცუდი სიმთვრალე ვიცი: ვინ იცის, რა ვისულელე.

თვალებს ვხუჭავ: მესმის: წვიმა ტკაპუნობს.

მერე ისევ ვახელ: ჩემს თავთან სკამი დგას, ზედ დაჭმუჭნილი შარვალი გდია, პერანგი ჭუჭყიანია და ძირს ჩამოვარდნილა. უსიამოვნო გრძნობა მიპყრობს. ახლა შარვლის ჯიბეს ვუყურებ. ჯიბე ჩამოხეულია ცოტა და ცვირსახოცის ბოლო ჩანს. ცხვირსახოცი ჩემი არ არის. ჰო, ლიასია, ჰო, ჰო მაგონდება, რომ სიზმარში სწორედ ლია ვნახე. ალბათ გამომყვა მისი სახე სიმთვრალეში. მერე ჭუჭყიან პერანგს ვუყურებ. ეს იქ იმ კედელზეა გასვრილი. ვიგონებ ადგილებს. ლია ძალით შევათრიე. ვკოცნიდი. მგონი, გავარტყი კიდეც. უჰ, რა სირცხვილია, მასთან, მამამისთანაც: ის ხომ ჩვენი ლექტორია.

უფრო მტკივდება თავი.

მიმძიმდება კიდეც.

ნეტავი ვინმემ დამალევინოს ბორჯომი, ან წყალი. მე თვითონ მეზარება ადგომა.

თვალებს ვიფშვნეტ.

მარცხენა უპე მტკივა რატომღაც. საჩვენებელი თითით ვისინჯავ. მგონი შეშუპებულიცა მაქვს. ალბათ, მომადო ვინმემ, ნეტა ვინ? საბანს თავზე ვიხურავ და ვცდილობ არ ვიფიქრო. გათენება მეზარება. ვიცი: ჯერ სახლში ატყდება ერთი ამბავი, მერე გარეთ. ლიას მაინც როგორ უნდა შევხედო. არა, ჯობია მეხუროს თავზე საბანი და არაფერზე არ ვიფიქრო.

უფრო ვეხვევი საბანში, მაინც მესმის წვიმის ხმა. ხასიათი უფრო მეშხამება. მერე აღარ მესმის ხმა. ნუთუ გადაიღო, თუ ჩემამდე აღარ აღწევს. ნელა ვწევ საბანს.

_ ტკაპ, ტკაპ, ტკაპ, _ ისმის სუსტად. ახლა ჟინჟლავს. სულ ვიშხამები. თავს ვყოფ საბნიდან და მთას ვუყურებ. ის ახლად ამწვანებულია, მაგრამ ახლა რუხადა ჩანს. აღარა ჟინჟლავს. თავს ქვევით ვწევ. რუხი ღრუბელი მოძრაობს. ზევით ლურჯი ცის ნაფლეთი ჩანს. ოდნავ მწვანდება მთის ფერი, მერე უფრო მწვანდება. შემდეგ ღია

მწვანე ხდება. სხივები ჩადიან ნაოჭა მთის ფერდებში. ავსებენ სინათლით. მხოლოდ ადგილებზე რჩება ჩრდილები. ისინი არიან დიდი და მუქი, პატარა და ბაცი და პირიქით. საბანს სულ ვიხდი და ლოგინზე ვჯდები. მინდა მთის მარჯვენა მხარეც დავინახო, მაგრამ ჩვენ გვერდზე მდგარი სახლი მიშლის. ვზივარ და ვუყურებ სხივების თამაშს. ვგრძნობ, რომ მიხარია რაღაცა. ღრმად ვისუნთქავ ჰაერს. ვფიქრობ: ჩვენი სახლი ოთხსართულიანია; რაღა მეორეზე ვცხოვრობთ, აფსუს. მეოთხეზე რომ ვიყოთ, ფუნიკულიორიც გამოჩნდებოდა, პანთეონიც, მარცხნივ კი კოჯორიც. ახლა ისინიც მზეშია, მე კი ვერა ვხედავ, აფსუს.

წელი 1957. მაისის 10.

ბაბუა, შვილიშვილი და თოვლის ბაბუა

გურამი ზის ფანჯარასთან. ფანჯარა ეზოში გადის: იქ ბავშვები თამაშობენ. გურამთან ბაბუა მიდის და ეკითხება:

_ რას აკეთებ?

_ ვუცქერ, _ პასუხობს შვილიშვილი.

_ რას?

_ ეზოს, ბაბუ.

_ რატომ?

_ ისე, ბაბუა, დედა არ მიშვებს, რომ მეც ვითამაშო.

_ არა უჭირს, მოესწრები, ჯერ პატარა ხარ, თვალიც გიჭრის, მე კი თითქმის ველარა ვხედავ.

_ ბავშვებსაც ვერ ხედავ, ბაბუ?

_ ვერა.

_ ვერც სახლებს?

_ ცოტასღა ვარჩევ, შვილო.

_ ხეებს?

_ ხეებსაც თითქოს.

_ ბავშვებს ვერა, არა?

_ ბავშვებს ვერა.

_ იცი, რას აკეთებენ ისინი, ბაბუა?

_ არა.

_ თოვლის ბაბუას.

_ მეც მიყვარდა შენსობას.

_ მაშინაც ცოტა თოვლი იყო ხოლმე, ბაბუა?

_ ხან ცოტა, ხან ბევრი.

_ ახლა ცოტაა, ნახევარი მიწა ყვება თოვლს.

_ მაგი არ ვარგა, შვილო.

_ რატო ბაბუ?

_ იმიტო რო თოვლის ბაბუა მიტომაა თოვლის ბაბუა, რომ თოვლი უნდა იყოს სულ.

_ მიწა არ ვარგა, როცა ყვება?

_ აჰ, გაგიგონია?

_ ბაბუ, როდის იყო მერე კარგი თოვლი კიდევ?

_ გუშინ ყოფილა, მამაშენმა თქვა.

_ კიდე?
_ გუშინწინ, იმის წინ.
_ დღეს რატომ არ არის?
_ დღეს გადნა, გავს.
_ მოვა კიდევ, ბაბუ?
_ წელს, არ ვიცი.
_ მაინც, ბაბუ, მაინც?
_ არ ვიცი, ბიჭო.
_ მე კი ისე მინდა თამაში, დედამ თქვა, ხვალ გაგიშვებო ეზოში. მოვა კიდე თოვლი, ბაბუ?
_ წელს, არ ვიცი, გაისად კი უეჭველად, მაშინ დიდიც შეიქნები, უკეთესია.
_ გაისად ციგასაც ვიყიდი, არა, ბაბუა? გავიზრდები კიდეც, არა?
_ ჰო, ბიჭო, ჰო.

[1957 წელი. მაისი]

<u>მ ო დ ი ო დ ა წ ყ ა ლ ი მ ღ ვ რ ი ე , , .</u>

მოდიოდა წყალი მღვრიე და მოჰქონდა ქვები. ფონი ქვევით იყო. იქაც ჭირდა გასვლა, თან ცხენი ფეხს იტკიებდა.

ჩქარობდა კოტე.

ფეხს იტკიებდა ცხენი.

ბინა პირდაპირ იყო: გზა კი ქვევით მიდიოდა ფონისაკენ. შხეფები მაღლა ადიოდა; მერე ნაპირზე ცვიოდა. კოტეს თმასა და სახეს უგრილებდა.

ჩქარობდა.

გაღმა ბინაში კვიცი იყო ავად და კვდებოდა. რადიოთი გამოუძახეს ვეტექიმს სოფლიდან.

კოტე ვეტექიმი იყო:

ცხენს აჩქარებდა.

ცხენი კოჭლობდა.

ქვევით ფონი ლაპლაპებდა.

კოტე ჩქარობდა: გაღმა ბინაში კვიცი კვდებოდა და დახმარება იყო საჭირო. ცხენს მათრახი მოხვდა: აითრია ფეხი. «დაბერდა, ფეხიც ახლა ეტკინა», გაიფიქრა კოტემ და ფონში შეაგდო.

წყალი მოდიოდა მღვრიე და ლოდები მოჰქონდა.

ცხენმა ჩაიჩოქა. დატრიალდა.

კოტე მკლაურს უსვამდა. ცხენი თავს ყოფდა მაღლა. კაცი მიცურავდა და ხედავდა: ზევიდან მორი მოდიოდა ტალღებზე თამაშით: ჩაყვინთა. როცა ამოიღო თავი, მორს ჩაევლო. ქვევით ცხენი მიჰქონდა წყალს. მორი პირდაპირ მიდიოდა მისკენ, მერე შიგ თავში დაეჯახა.

კოტე მიცურავდა პირდაპირ და ვერა ხედავდა: ცხენს თავი გაუსკდა: მღვრიე წყალს სისხლის ფერი მიემატა, მერე გაქრა ის ფერი. ცხენიც აღარა ჩანდა.

წყალი მოდიოდა მღვრიე და მოჰქონდა ლოდები.

კოტე შუაცეცხლთან იჯდა და შრებოდა. ქვაბში ხორცი იხარშებოდა.

_ უეჭველად გადარჩება, _ თქვა მან.
_ უეჭველადა? _ იკითხა მეცხენემ.
_ ჰო, მართალა, საწყალი იორღა, არა?
_ ჰოო, შვილიც ავადმყოფი დარჩა, _ თქვა მეცხენემ.
_ ნუ გეშინია, მოვარჩენ.
_ რა ვიცი, მორჩება?
_ მე ვიცი, კარგი გამოვა ეგეცა, ჰო, მართლა, ოქმი უნდა შემიდგინოთ, რო არ დამაწერონ იორღა.
მეცხენე გავიდა. მერე ქონიანი ქაღალდი და წვერწატეხილი ქიმიური ფანქარი შემოიტანა.

[1957. მაისი]

სურათი ჩემს კედელზე

ჩემ წინ კედელზე თერთმეტი სურათია გაკრული: ორი ტიტველა ქალის, ერთი ნახევრადშიშველასი, ერთი ხევსურული ცხოვრებიდან ოჩიაურის ბარელიეფი: მიწაზე ვაჟკაცია გაშოტილი, სულთმობრძავს ხელში სანთელი უჭირავს, ხელი გულზე უდევს; ფეხებთან მისი ძმადნაფიცია ჩაჩოქილი. ამ სურათის ზევით ფრანგ მსახიობ ჟან მარეს სურათია აკრული: მას სახე შეშლილი აქვს, ყელზე ჟინჟილაკები ჰკიდია: საზარლად იკრიჭება. მის ქვემოთ ვერიკო ანჯაფარიძის პორტრეტია პროფილში: გამოკვეთილი შუბლი და ცხვირი სახის სიძლიერეს უსვამს ხაზს, ნიკაპი კუთხით ეწყება, მერე ღაბაბი აქვს უშნოდ. ეს სიუშნოე უფრო აძლიერებს პორტრეტს: თითქმის სწორი თმა ყურის ნაწილს ფარავს და მხრებზე ეფინება ალბათ: პორტრეტი თმის შუაში წყდება. მისგან მოშორებით ძველი ტილოა, ორიგინალი თუ რეპროდუქცია: ბედუინები გრძელ, თეთრ მოსასხამებში სხედან კარავთან: სურათის კიდედან აქლემის თავი ჩანს მხოლოდ ენაგადმოვარდნილი. მერე ჰკიდია სურათი დედის, მამის და დის გამოსახულებით: მამა ოდნავ იღიმება. დედას ჩემი დისთვის მოუკიდია ხელი, იცინის. ზუსტად ჩემ პირდაპირ ჩემი შეყვარებულის ფერადი სურათია ჭიკარტით მიკრული, მის გვერდით ჩემი ნოველის ილუსტრაციაა, რომელიც ამხანაგმა დამიხატა. ნოველას ჰქვია «ნელი ტანგო.» სურათზე ჩანს დიდი პატეფონის ფირფიტა, მის ქვედა კუთხეში ცალთვალა კაცი ზის და გიტარაზე უკრავს. იქვე ჰკიდია ჩემი სურათიც. «რა საჭიროა ჩემი სურათი», ვფიქრობ, მერე ხელში ვიღებ და ვინახავ. ისევ განვაგრძობ მუშაობას: ახლა კედელზე ათი სურათი ჰკიდია.

[1957 წელი. მაისი]

მე მთვრალი ვარ. ვგრძნობ...

მე მთვრალი ვარ. ვგრძნობ, რასაც ვაკეთებ და მაინც არა მრცხვენია. ლია ჯერ მეწინააღმდეგება, მერე თვითონაც მკოცნის. ამბობს:
_ მთვრალი რომ ხარ, იმიტომ გაპატიებ მხოლოდ, იცოდე!
მე ვიცი ეს და უფრო მაგრა ვკოცნი: მე არც თუ ისე მთვრალი ვარ.

[1957. მაისი]

ბილიკი სულ ვიწროა.

ბილიკი სულ ვიწროა. ის მწვანეში ძლივს შესამჩნევად მიიკლაკნება. გვერდებზე ყვითელთავა ყვავილი ხარობს, მერე ბაბუაწვერების მთელი ტყეა. შარვლის ტოტებით ვედები მათ: ნაწილი წვერებისა ზედ ეკრობა, ნაწილი ჰაერში იფანტება, მერე ქვევით ეშვება და მწვანეში იკარგება.

ბილიკზე ჭიანჭველები დაძვრებიან. მე ფეხებს ფრთხილად ვადგამ: ვცდილობ არ გავჭყლიტო. ერთგან მუხლუხა მიძვრება: კინაღამ გავჭყლიტე. რატომღაც შემეცოდა, «ხომ შეიძლებოდა გამეჭყლიტა», ვფიქრობ «თუმცა რატომ არ უნდა გამეჭყლიტა, რა მოხდებოდა», ვამბობ ხმამაღლა და უკან ვიხედები: მუხლუხა საცაა შეძვრება ბალახებში, დაიმალება. მე ვიკუზები, მერე შუა ბილიკზე ვაგდებ და ფეხს ვაჭერ: ვგრძნობ, როგორ იჭყლიტება. «რა სულელი ვარ». ვფიქრობ. «დიდი რამე, თუ გავჭყლიტე, ყოფილიყო რა». შემდეგ სტვენას ვიწყებ და ხის კენწეროებს ვუყურებ: ისინი ძალიან მაღლა მიდიან და წყდებიან, მერე იწყება ცა.

[1957 წ. მაისი]

ვიქტორის ბიოგრაფია

ყოველ ოთხშაბათს იყო კვირა ვიქტორისთვის. ოთხშაბათს ვიქტორი იწვა და ფიქრობდა, «ნეტა კვირაც ოთხშაბათი იყოს», მერე დგებოდა და ბაზარში მიდიოდა. «ოთხშაბათს მაინც წადი ბაზარში, სხვა ქმრები ყოველ კვირას დადიან», ეჩხუბებოდა ცოლი. «ნეტა ოთხშაბათიც არ იყოს კვირა», ბუზღუნებდა ვიქტორი და კიდე ფიქრობდა: «ნეტა რაღა ელექტროსარემონტოშია ოთხშაბათი კვირა და სხვაგან კვირა კვირა. თუმცა ჯობია. ბაზარში ოთხშაბათს უფრო ცოტა ხალხია, ლობიოც იაფია.»

[1957 წ. მაისი]

"ორთქლმავალი დაძვრისას ქშინავდა"

ორთქლმავალი დაძვრისას ქშინავდა და ქანის აღების შემდეგ მსუბუქად მირბოდა სწორ ლიანდაგზე. ვანო ფანჯარასთან იჯდა გამაზუთიანებული. იქით ზღვა წყნარი იყო, ლივლივა და შორს გემი ჩანდა.

_ ნეტა სულ წყალშია გაკეთების მერე? _ ჰკითხა ცეცხლფარეშს.

_ ჰო, _ თქვა იმან და ნიჩბით ნახშირი შეყარა ღუმელში.

_ საწყალი სულ წყალშია, თან სასაცილოც არის, არა? ჰა? გააკეთებენ, ჩაუშვებენ, მერე სულ წყალშია, ძალიანაც რო უნდოდეს, ვერ ამოვა, არა? ე!

_ ჰო, რა, სულ წყალშია, მა რას იზამს, _ თქვა ცეცხლფარეშმა ხმამაღლა. «თორე, დედიშენისამ, შენი მატარებელი ჩამოვა რელსებიდან, თუ არ დაიმტვრა», გაიფიქრა ცეცხლფარეშმა და მემანქანის ადგილს შურით შეხედა.

[1957წ. მაისი]

უღელტეხილი

დილით უღელტეხილზე ამოვედით. მზე ჯერ არ იყო ამოსული, მერე ნელა დაიწყო ამოსვლა. ჩვენ ვიდექით და მთის ორივე მხარეს მშვენივრადა ვხედავდით. მზესთან ერთად ხეობიდან ნისლებმაც დაიწყეს ამოსვლა. ჯერ მთების კალთები კიდევა ჩანდა, მერე ისინიც ნისლში გაეხვივნენ, მერე ნისლები ზევით ამოვიდა და ჩვენც დაგვმალა. როცა ნისლი გაიფანტა, მზე აცხუნებდა. ჩვენ ვიდექით და მთის ორივე მხარეს მშვენივრადა ვხედავდით. ორივე მხარეს ხეობები იყო და წყალი ძლივს შესამჩნევად მიიკვლევდა გზას.

_ აგერ წყალი, _ ვთქვი მე.

_ მანდ წყალი არ არის, მშრალი ხევია, _ თქვა ბერდომ. _ მე აქ გავიზარდე.

ჩვენ ვისხედით ჯებირის თავზე და არა ვსვამდით. არა ვსვამდით იმიტომ, რომ სასმელი არა გვქონდა.

_ რა კარგი იქნება ახლა ღვინო, _ თქვა სულხანმა.

_ ღვინო და მწვადები, _ თქვა ბერდომ.

_ ჩქარა მაინც გააკეთონ მანქანა, _ ვთქვი მე.

_ ყოველთვის აგრეა ამ ხევში, გზები გაფუჭდება, მთელი დღე დგას მერე მანქანა, _ თქვა ისევ ბერდომ.

ჯებირის ქვევით ხევში ცოტა წყალი მიდიოდა; ჯებირის ზევით კი მთელი ტბა იდგა. მარჯვნივ, კლდეში, გვირაბი შედიოდა და იქ გადიოდა ტბიდან წყალი. ჯებირი ძალიან დიდი იყო; მთელ ხეობას კეტავდა. მის გარშემო ყველგან უდაბური ტყეები ჩანდა, ქვევით, ხევშიაც, გზა თითქმის არ იყო და ყველას უკვირდა მისი აქ აშენება.

_ ნეტა უგზოდ როგორ ააშენეს, _ თქვა სულხანმა.

ჩვენ ვისხედით ისევ იქ, ჯებირის თავზე, ხევში მდგარ გაფუჭებულ მანქანას ვუყურებდით და ვფიქრობდით მწვადებზე. ძალიან შორს, ხევის მოსაბრუნში, ნისლი გამოჩნდა. ნელა წამოვიდა ზევით. მერე მთებიდანაც დაეშვა ნისლი. მთის კალთები ჩამოიწმინდა, ხეობა კი ჩაიბურა და ჩამრგვალდა. ნესტიანზე ტყე მოჩანდა ძალიან მწვანე. ტყიდან პატარა გზა გამოდიოდა ჯებირისაკენ, ზედ ვიღაც კაცი მოდიოდა; მას ჩეხური ფეხსაცმელები და გალიფე ეცვა, თხელ წინდებში ჰქონდა ჩატანებული და დიდი პრიალა ქინძისთავით დამაგრებული. ის რატომღაც იღიმებოდა.

_ გამარჯობათ! _ თქვა მან სამჯერ.

სულხანი და ბერდო წამოდგნენ. ხელი ჩამოართვეს, მერე მე გამაცნეს.

_ გმადლობთ, გმადლობთ, ღმერთს ვმადლობთ. _ უსიამოვნოდ წელავდა ის სიტყვებს. _ თქვენისთანა ნაკითხი, განათლებული ხალხის ნახვა ჩემთვის, თქვენთან საუბარიც განძია ჩემთვის, გაიცანი, ვანავ (ვანა ჩუმად მოპარულიყო; თმა უკან გადაევარცხნა და ბაკები ჰქონდა გაშვებული). ვანავ, ეს ხალხი ჩვენისთანა ასს ჯობია, ათს ჯობია, სულ მეოთხე-მეხუთე კურსელებია, ეს ამხანაგიც მათი ამხანაგია, წელს ამთავრებს, არა? დიდად განათლებული, კარგი ოჯახის შვილი.

ვანა სათითაოდ გვართმევდა ხელს, მეორეთი თმას ისწორებდა. მე საშინლად არ მსიამოვნებდა მისი გაწელილი ლაპარაკი, მაგრამ რატომღაც ვიღიმებოდი; ალბათ, ქებამ თავისი გააკეთა, მაინც მომეფხანა გული.

_ შენ როგორღა ხარ, მთიულო? _ ხელი დაჰკრა მას მხარზე სულხანმა.

_ ცუდად, ცუდად, თქვენ რო კაცი ვერ დაგვხვდებათ, როგორ უნდა ვიყო, _ დაიწყო ისევ მან; მერე თქვა: არაყი არა მაქვს, არც ხორცი, ხო იცით მთის ამბავი, მწირია ნიადაგი, არც მოდის, იშვიათად თუ იშოვება.

_ აქ ვერსად ვიშოვით სასმელს? _ იკითხა სულხანმა. გალიფიანმა ჯებირის იქით მდგარ საყარაულო სახლისკენ გაიხედა, მერე ჯიბეები მოიჩხრიკა. შეიძლება ყარაულს ჰქონდეს, _ თქვა მან. სულხანი წავიდა. მერე სამი ბოთლი არაყი მოიტანა. ორი ბოთლი ხელში ეჭირა, ერთი ჯიბეში ედო. მან ჩვენ წინ ბეტონზე დააწყო არყები და ჩამოჯდა. დავიწყეთ სმა. მოსული ენას არ აჩერებდა. სვამდა და ლაპარაკობდა, ვანაც ლაპარაკობდა.

_ ახლა მწვადები! _ ინატრა ბერდომ.

_ ბოდიში, ბოდიში, _ ამბობდა ვანა, _ ერთი პაპიროსი არ გექნებათ?

_ რისი ბოდიში, აიღე.

ვანამ ხელი მაჯაზე დამარტყა ზრდილობისთვის, მერე პაპიროსი ამოიღო.

_ ერთსაც ავიღებ, _ თქვა მან და კიდევ ამოიღო.

მე გალიფიანსაც გავუწოდე, მანაც ორი აიღო, ერთი ყურში გაიჩარა, მეორე პირში ჩაიდო და ასანთი მომთხოვა.

შევთვერით.

გალიფიანი კი ლაპარაკს არ ათავებდა. კიდევ მოვიტანეთ ორი ბოთლი. ის ისევ ლაპარაკობდა, მერე წამოდგა, დაცლილ ბოთლებს ალმაცერად დახედა და ლოშნა-ფიცილი დაიწყო. შიგ ტუჩებში მაკოცა, შემდეგ უცებ მიტრიალდა ვანასკენ

_ მოდი, ვანავ, შენც გაკოცო, _ თქვა და გადაეხვია. მე უხმოდ ვაწმენდდი ჩემს მხარს ტუჩებს. ის ისევ მოტრიალდა; მთვრალს სახე მობრეცოდა და უფრო უშნო იყო. გვერდით ამოგლეჯილი კბილებიდან ნერწყვი მოსდიოდა, მწვანე გალიფეზე ეცემოდა შავ ლაქად.

როგორც იყო, გაკეთდა მანქანა.

ჩავსხედით.

მანქანაში დარჩენილი მგზავრები თვლემდნენ.

გალიფიანი ჯებირიდან გადავიდა და ტყეში შემავალ ვიწრო გზას გაუყვა. ვანა ისევ იქ იდგა. ახლა მანქანა ნელა მიგორავდა ხევში, მერე გზაზე გავიდა. გზამ მეორე მოსახვევი აიღო, ტყე უფრო გახშირდა. მე ვიჯექი გაბერილი. რაღაც საშინლად არ მსიამოვნებდა, არ მსიამოვნებდა ის, რომ მთაში ამოსვლისთანავე ასეთი ხალხი შეგვხვდა.

_ ხევსურებს გვარცხვენენ, _ თქვა თავისთვის სულხანმა.

_ გამამაძაღლებულ გლეხზე მამაძაღლი ტყუილია, _ თქვა ბერდომ.

_ ჩემს თავზეც ბრაზი მომდის, _ თქვა ისევ სულხანმა. მერე კიდევ თქვა, _ გლეხი რო კულტურაში შედის, სანამ შევა, ყველაზე ცუდი მაშინ არის.

_ ალალი, ნამდვილი გლეხი სულ სხვაა, _ ვთქვი მე.

_ ალალი გლეხი? ალალი გლეხი კი, _ თქვა ვიღაცამ ჩემ უკან.

_ ჩვენი ხევსურები აიღე, ვინც არ გარყვნილა ჯერ, _ გული მოეცა სულხანს.

მე ვიცოდი, რომ ხევსურები მართლა ვაჟკაცი ხალხია, ეს ორი ძმაკაციც ხევსური იყო. «რა ბიჭები არიან ხევსურები», ვფიქრობდი, «რა ვაჟკაცები, მართლა არცხვენენ ისეთები სხვებსაც.»

მანქანა ისევ ზევით მიგორავდა. ნისლები ნელა ჩადიოდნენ ხევში დასაძინებლად. ზევით ცა ცოტა ჟამი იყო და ჟინჟლავდა. გზა სულ ტინი იყო; ჩქარა ტყე გათავდა და დაიწყო იალაღი. იალაღიდან ტყისპირისაკენ ნახირი ეშვებოდა, ტყისპირებში ბინები იდგა, მწვანეზე საქონლის ბარაკები შავადა ჩანდა. ცხენების ჯოგი ქვევიდან ზევით მიდიოდა ძოვით. მეჯოგე ფაშატს აჭენებდა ბილიკზე.

_ ერთი ცხენი მაჭენებინა! _ ვინატრე მე.

სულხანი ჩუმად იჯდა; ბერდო ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა. მე ცხენებს ვუყურებდი და ჭენებაზე ვფიქრობდი. მანქანა კი სულ ზევით მიდიოდა; მერე კიდევ ზევით ავიდა, მერე გაჩერდა. აქედან გზა ისევ ქვევით ეშვებოდა, ოღონდ იქით მხარეს.

_ უღელტეხილია, _ თქვა მძღოლმა.

ჩვენ ჩამოვედით.

მანქანა ისევ დაიძრა. ჩვენ ვიდექით და ვუყურებდით, როგორ მიგორავდა ის ქვევით.

_ ცრემლები მერევა, როცა ჩემს ძირებს ვუყურებ, _ თქვა სულხანმა.

ბერდოს გაკვირვებული სახე ჰქონდა, მერე ხმამაღლა დაიწყო ხევსურული გოთას სიმღერა. გარეშემო სიწყნარე იყო და ხეობაში ნისლები იწვა. რატომღაც არ მესიამოვნა სიმღერა.

_ გიტირია ოდესმე, სულხან? _ ვკითხე მე.

_ არა, _ თქვა სულხანმა.

ჩვენ შარაგზიდან გადავუხვიეთ და ბილიკს დავუყევით. სულ უფრო ცუდად მოჩანდა ხეობა, მერე აღარ მოჩანდა. მთები იყო შავი, ხეობა უფრო შავი და საშიში.

_ ჩქარა მთვარე ამოვა, _ თქვა ბერდომ.

_ მთვარეს რა უნდა, გუშინ დაიწყო თვე, _ თქვა სულხანმა.

ჩვენ დაშვება დავიწყეთ.

ბერდო ისევე მღეროდა, სულხანი და მე ჩუმად მივდიოდით. ჯერ მინდოდა ბერდოს გაჩუმება, მაგრამ მეხათრებოდა, მერე შევეჩვიე და მეც ავღიღინდი. სულხანი ისევ ჩუმად მიდიოდა წინ.

მერე დავსხედით და ვისვენებდით.

ცა მოწმენდილი იყო. ვარსკვლავები მთაში კრიალა და დიდი მოჩანს. შორიდან მოტორის გრიალი ისმოდა. ჩვენს თავზე შხუილით მიდიოდა რეაქტიული, მას ბოლოზე რაღაც თეთრი მასა ება, ოდნავ განათებული, უკან მეორე მოსდევდა სროლით. «ალბათ, მანევრები აქვთ», გავიფიქრე.

_ მანევრები აქვთ, _ თქვა ბერდომ.

_ ძაან კი მომშივდა, _ თქვა სულხანმა.

მეც ძალიან მშიოდა, მაგრამ არ ვამბობდი, რატომღაც მესიამოვნა, რომ სულხანმა თქვა პირველმა შიმშილზე და არა მე.

მე ვიჯექი, თვითმფრინავებს ვუყურებდი და ვფიქრობდი «ახლა ქვევით ხევსურები ქეიფობენ. არაყსა სვამენ და მწვადებსა ჭამენ. ალბათ, ბერდოს ძმა არის თამადა. ნეტა როგორ მწვადსა წვავენ ხევსურები.»

_ წავიდეთ, _ ვთქვი მე.

სულხანი ისევ წინ წავიდა. ჩვენ უხმოდ მივყევით. სადღაც ძაღლები აყეფდნენ. მე ნაკელის სუნი მეცა. უფრო მოვუმატეთ ნაბიჯს. ბერდოს სახლს უხმოდ შემოვუარეთ. ძაღლებმა იცნეს პატრონი და ლოკვა დაუწყეს. უცებ დავადექით მოქეიფეებს თავზე. ჩაწითლებული სიფათებითა და დიდი თათებით ისხდნენ ხევსურები.

_ ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! _ თქვა ბერდოს ძმა ალექსიმ. ხევსურები ხმაურით წამოიშალნენ. ყველა ერთად ლაპარაკობდა. ვიღაცა ძალიან ხმამაღლა დუდუნებდა, «ღმერთო შეუნდე ბერდიას.» ალექსი ჩემთან მოვიდა, ხელი კეფაზე მომკიდა, მეორე ხელით ჟიპიტაურით სავსე ყანწი მომიტანა პირთან და თავი გადამიწია. არყის მყრალი სუნი მეცა, მაინც დავიწყე სმა. ზოგი ყლუპი გულზე მეღვრებოდა, მერე შარვლის სათავეში ჩადიოდა და ბარძაყებს მისველებდა.

გახურდა სმა.

სუფრაზე მოხარშული ხორცი და გამოხრული ძვლები ეყარა.
ჩაწითლებული სიფათებითა და დიდი თათებით ღრეობდნენ ხევსურები. მალე გარმონიც მოვიდა. მზექალა სუფრის კუთხეში იჯდა და უკრავდა. მე მის გვერდზე ვიჯექი და ვუყურებდი. არაყი ტანში მივლიდა. მე ვიბერებოდი სასმელისაგან, უფრო ახლო ვეკრობოდი მზექალას. ის კი უკრავდა, თან წვრილი ხმით ამღერებდა! «ქისტებმა ციხე გასტეხეს, ბოლი ადინეს ქვაზედა». მერე აღარ უკრავდა. ახლა ბერდო მღეროდა მთელი ხმით, «ჰაიდა გოთავ, გოთაო, როდისღა მახვალ გონთაო», მოსძახოდნენ ხევსურები, მოვძახოდი მეც და უფრო ვფართოვდებოდი. მზექალა მე არ მიყურებდა. ტანი ჩემკენ ჰქონდა, სახე კი გარმონზე ედო. მისი ძუძუ მკერდზე მხვდებოდა.

_ მაგის საქმრო აქა ზის, _ მიჩურჩულა ბერდომ. მე ამღვრეულად შევხედე, მერე ნელა შევუპარე ხელი იღლიის ძირში. მისგან ერბოსა და წივის სუნი მოდიოდა. უფრო მემატებოდა ჟინი.

სუფრის იქით რაღაც ჩოჩქოლი ატყდა.

სიმღერა მიწყდა.

ვიღაცას აკავებდნენ ხევსურები. ის ვიღაცა კი ჩემკენ იხედებოდა და იმუქრებოდა. მე აქეთ კუთხეში ვიჯექი. ის იწევდა და ყვიროდა:

_ თბილის გგონავსა აქ?

ვიღაცამ მეც მტაცა ხელი, ახლა მეც ვიწეოდი და ვყვიროდი:

_ აქ თბილისი კი არ არის!

მერე მივხვდი, რომ მეც იმასვე ვყვიროდი, რასაც ის. რატომღაც ცოტა დავწყნარდი. ის უფრო გახელდა.

_ აქ, ხევსურეთში ას ეგ! _ თქვა ვიღაცამ ჩემზე.

_ შენ ბედ რო თბილისს არ ვართ, სტუმარ ხარ ჩვენ! _ იძახდა ის.

_ მორჩებ თუ არა, მინდიავ! _ დაიყვირა ბერდიას მამამ და სილა სთხლიშა იმას.

მინდია გაყუჩდა, მერე თავჩაწეული გაიყვანეს.

_ მაგის საცოლეა მზექალა, _ მითხრა ბერდომ.

_ გავიგე, _ ვუთხარი მე.

_ აბა შენი საცოლე იყოს? _ თქვა ბერდომ.

მე ვიჯექი, ღრმად ვსუნთქავდი და უკვე ვნანობდი. «რა კარგი ვაჟკაცი ყოფილა მინდია, სტუმარი რო ვარ, დამითმო, მე კი მის ადგილას არ ვაპატიებდი არავის, არც სტუმარს. ის თვითონაც არაფერს არ გაუბედავდა ჩემს საცოლეს არაფრით. მე კი...? ალბათ, აღელდა ძალიან, იმიტომ დაიწყო მუქარა, გინებით კი არ შეუგინია». მერე ისიც მომაგონდა, რომ ბერდოს მამამ სახალხოდ სილა დააკრა და იმან ხმა არ ამოიღო. გამოვფხიზლდი. აშკარად მომწონდა ასეთი პატივისცემა უფროსისადმი. «მართლა ვაჟკაცი და ალალი ხალხი ყოფილან ხევსურები, რას ნიშნავს გაურყვნელობა?» ვფიქრობდი.

_ კარგა მოიქცა, რო გაჩერდა მინდია. _ ვთქვი მე.

_ მამამ რო გაარტყა? _ იკითხა ბერდომ.

_ აქ წეს არ არს. ხევსურეთში უფროსს ვერც ხელს შეუბრუნებ, ვერც დანას დაარტყამ. _ არყის ყანწის გავსება დაიწყო სულხანმა. ის უკვე მთვრალი იყო და ხევსურულად უქცევდა. «რა ვაჟკაცი ხალხი ყოფილა აქაური ხევსურები», ვფიქრობდი. «ისინი, გზაზე რო შეგვხვდნენ, უეჭველად შეუბრუნებდნენ ხელს.»

ისევ გაგრძელდა სმა. ისევ დავითვერი. ჩაწითლებული სიფათებითა და დიდი ყანწებით ხვრეპდნენ ალალაის ხევსურები. ჩემ პირდაპირ კედელზე ხევსურული ფარდაგი ეკიდა. მის შუაში ფარი იყო მოხატული. ფარები იყო მრავალფერი, ჭრელი

და თვალები მერეოდა. მზექალას ადგილას ლელა იჯდა და «თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარო», წრიპინებდა, ვიღაც ბანსავით აძლევდა. სადღაც ყაყანი წყდებოდა და ყვინთვას იწყებდა ქეიფი. როგორ ჩამეძინა, აღარ მახსოვს.

დილით თოფის ხმასავით ხმა შევიგრძენი. თავი წამოვწიე, ის არყისგან გაბრუებული იყო და მტკიოდა. ეზოში ბერდიას დები კიოდნენ. სამ ხევსურს მინდია ჰყავდა გაკავებული, მე ბაჯბაჯით ჩავედი ქვევით; ბალახებში ბერდიას მამა ეგდო და მწვანეს წითლად ღებავდა გახლეჩილი მკერდიდან. ქალები კიოდნენ. გაკავებული მინდია გადაგდებულ თოფს უყურებდა; აღარა შფოთავდა. ის აივანზე აათრიეს. ხელ-ფეხი გაუკრეს. ხელფეხგაკრული ეგდო ძირს და ჩუმად იმეორებდა:

_ უფროს კაცს ას, ვერც ხელს შეუბრუნებ, ვერც დანას ვკრავ, რა უნდ მექნ, თოფ ვესროლ, რა უნდ მექნ სხვა.

წელი 1957. მაისის 28.

<u>უსახელო უფლისციხელი</u>

რამდენიმე ხნის წინათ დამიბარეს ჟურნალ «ცისკრის» რედაქციაში და მომცეს წინადადება დამეწერა ისტორიულ_ლიტერატურული ნარკვევი უფლისციხეზე. მე დავთანხმდი, მაგრამ რედაქციიდან გამოსვლისთანავე ვინანე. მოვექეცი ჩიხში. არ ვიცოდი რა მექნა. რაღაც წამოვიდა იდეასავით და მოკვდა. მთელი კვირა ვიარე უქმად. დრო კი გადიოდა. გადავწყვიტე ისტორიის შესწავლა დამეწყო. წყაროების სიმცირე და მშრალი ფაქტები მომხვდა თვალში პირველადვე. მერე გადავწყვიტე უფრო ფართოდ შემესწავლა უფლისციხის ისტორია. გავეცანი აღმოსავლეთ საქართველოს უძველეს სავაჭრო გზებს, რომელიც აქ გადიოდა, გავეცანი მის მიდამოებს: სადღაც აესხა მძივი. შევადგინე კონსპექტი. უფრო კარგად ვგრძნობ უფლისციხეს.

ახლა საღამოა.

ვზივარ სახლში და ვკითხულობ კონსპექტს. ის სულ უფრო მითრევს;

რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში, მხოლოდ ფანტაზია უნდა ოდნავ. ხვალ კი აუცილებლივ წავალ უფლისციხეში.

ახლა ღამეა. მეძინება.

ვიღებ კონსპექტს და ვკითხულობ ახლიდან:

უფლისციხის ტერიტორიაზე პირველი დასახლებული პუნქტის შექმნა ეკუთვნის დაახლოებით მეორე ათასწლეულს ჩვენს ერამდე. ამავე დროს ეკუთვნის მისი მიდამოების დასახლება მტკვრის ორივე ნაპირზე. თუმცა ცალკეულ სამოსახლოებს ამავე ადგილებში ვხვდებით ენეოლითის დროიდანაც.

ანტიკური ხანიდან იწყება ქართლის ტერიტორიაზე მდებარე სამოსახლო ადგილების გაძლიერება. ამ ხანის პირველ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერია მტკვრის მარჯვენა სანაპირო. აქ მტკვრის ყოველი შენაკადი ხეობა ცალკე გამაგრებულ რაიონს წარმოადგენს, რომლის ბინადარნიც თავს იყრიან რომელიმე ძლიერი სამოსახლოს გარშემო. იმდროინდელი გამაგრებული ადგილები გაშენებულია ბორცვებზე. ახლა ასეთი სამოსახლოს გათხრა მიმდინარეობს სოფელ ხოვლესთან ე.წ. ხოვლიგორაზე. მაგრამ იმდროინდელი ტექნიკისა თუ გახშირებული

ლაშქრობა_ძარცვის პირობებში ასეთი გამაგრებული ბორცვები უძლურნი ხდებიან. ისინი, კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, თანდათან კარგავენ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მნიშვნელობას. არის შემთხვევები სწრაფი დაცემებისაც. ასეთი დაცემის კვალი შემონახულია ხოვლიგორაზე.

ნელ_ნელა ეკონომიკური სიძლიერე და, მასთან, პოლიტიკურიც გადადის მტკვრის მარცხენა სანაპიროსაკენ. აქ იქმნება მთელი რიგი გამაგრებული ციხე-ქალაქებისა: მცხეთა, უფლისციხე, გორი, ურბნისი. ელინისტურ ხანაში ამ ქალაქებზე გადის მსოფლიოში ერთ_ერთი უძველესი სავაჭრო გზა. გზა მოდის ინდოეთიდან, ან ჩინეთიდან, ან სპარსეთიდან ამოდის კასპიის ზღვაში, მოჰყვება მტკვარს, გამოივლის ხუნანს, ბოსტან_ქალაქს, მცხეთას, უფლისციხეს, გორს, ურბნისს, შორაპანს, გადადის კოლხეთში ფაზისამდე (ფოთი). ამ დროისათვის უფლისციხე უკვე ძლიერი ქალაქია. მისი პირველი საფუძვლიანი გამაგრება_აშენება ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს. უფლისციხის აშენებაზე დახარჯული შრომა მკაფიოდ ლაპარაკობს მონის შრომის გამოყენებაზე.

ამ ციხის გარშემო შენდება სოფლები. უფლისციხის დასავლეთით (გორის მიმართულებით) დადასტურებულია უზარმაზარი დასახლებული ადგილი და ხოვლიგორის მსგავსი სამოსახლო ბორცვი. აქ ამ დროისათვის უკვე სახლობს წარჩინებული–უფალი, რომლის მართველობასაც ექვემდებარება ახლომდებარე მიდამოები. მდაბიონი იქვე, ქალაქის კედლების გარეთ, სახლობენ. იმდროინდელი ტექნიკის პირობებში უფლისციხის აღება შეუძლებელია. მას ორი მხრიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან, საზღვრავს ბუნებრივი უფსკრულები, ხოლო დანარჩენ ორ მხარეს კლდეში გამოკვეთილია თხრილი, სიგანით ათ მეტრამდე და სიმაღლით ოთხ_ხუთ მეტრამდე. ახლა იგი უკვე საკმაოდ ცნობილი ქალაქია. თავისი შინაგანი სიძლიერით თუ არქიტექტურული გარეგნობით იგი ყურადღებას იპყრობს. უზარმაზარი ქვაბები, ტალანები თუ პატარა საკნები, მთელი სამლოცველოებიც კი კლდეშია შეთხრილი და საიმედოდ დაცული. შიგნიდან კედლები მოჩუქურთმებულია. ამ კედლებთან იშვიათი არ არის აქლემთა თუ ჯორცხენთა ქარავნები, დატვირთული აღმოსავლური საქონლით. ამავე დროს ეკუთვნის გორისა და მცხეთის გაძლიერებაც. ახლო კულტურული კავშირი მყარდება ამ ციხე_ქალაქებს შორის.

უფლისციხე თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს არაბობის დროსაც. ამ ხანისათვის იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოსავალ პუნქტს ქართლის გაერთიანებისათვის. უფლისციხის დასაპატრონებლად ერთმანეთს ეცილებიან სომეხთა მეფე, აფხაზთა მეფე და არაბთა ცნობილი სარდალი აბულ_კასიმი. შემდეგი ბრძოლები უფლისციხეს ახსოვს ძმათაშორის სისხლისღვრის დროს, როდესაც გიორგი აფხაზთა მეფე გარს შემოეწყო «ყოველითა ძალითა თვისითა და მოიყვანნა ტაოელნი მეფენი და ფადლა ეპისკოპოსი და მოადგეს უფლისციხესა და ბრძოდეს მრავალთა დღეთა და ვერარას ავნებდეს ციხესა, რომელ მრავლად დგეს შიგნით». როგორცა ჩანს, უფლისციხის აღება იმ დროს ან მოტყუებით, ან ურიცხვი სპით შეიძლებოდა.

საქართველოში არაბთა ბატონობის შესუსტებასთან და თბილისის განთავისუფლებასთან დაკავშირებით, უფლისციხე კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას და მყუდრო ცხოვრებას იწყებს.

ახლა, როდესაც გავეცანი ამ ქალაქისა და მისი მიდამოების ისტორიას, მივდივარ მის სანახავად. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი უკვე ნაცნობი იქნება ჩემთვის. მატარებელი დილით გადის. დილა რუხია და მოწყენილი. არა ცხელა. ლიანდაგი

გზას მიიკვლევს უამრავ პატარა თუ დიდ სახლებს შორის. მერე ქალაქი თავდება. სახლების რიგი კი გრძელდება. მერე წყდება. ახლა მთაზე რაღაც საყდარი მოჩანს, შემდეგ ისევ რიგია სახლების; ზევით, მთაში, გვირაბი გაყავთ. მტკვრის მეორე მხარეს ვენახებში იფლობა დიღმის ველი. ვათვალიერებ და მინდა ერთი ადგილი მაინც დავინახო დაუსახლებ_დაუმუშავებელი. მატარებელი ზაჰესის ხიდზე გადადის, ზაჰესი უკან რჩება. წინიდან მოდიან ხრიოკი მთები. აქ ახლა არავინ სახლობს, არც ხნავს. ხანდახან საყდარი და ძველი ქვაბულები მოჩანს. მრავალჯერ განცდილი, უფრო იზრდება ჯვარი, სვეტიცხოველი, შორს სამთავრო, არმაზი, სარკინეთი. სადღაც მთებში გამოქვაბული და შიო მღვიმის მონასტერი. მერე ისევ ციხე მთაზე. ხალხი იღიმება, «მაგას ჭუჭუა მომჭამეს ციხე ჰქვია», მიჩურჩულებს ვიღაც, მეც ვიღიმები. «რატო?» ვკითხულობ. ის ჰყვება თათართა ალყის ამბავს, შემდეგ საიდუმლო გვირაბზე ჰყვება, რომლითაც ქართველები მდინარეზე გადიოდნენ და კალმახებსაც კი იჭერდნენ. მეციხოვნენი კალმახებს ლაჯებს შუა იდებდნენ. ახელებდნენ თათრებს. «ჭუჭუა მომჭამეო», ეძახდნენ. დამარცხდნენ თათრები. ეს ამბავი მეც ვიცოდი. მე სხვაც ვიცი. ახლა მთების იქითაც ვიხედები, მიწის შიგნითაც ვიხედები – მაგონდება ახლად ნასწავლი. იქით ხეობებია ქართლის, კლდეკარები, სააკაძის სამშობლო ნოსტე, ერთაწმინდა. აქეთ, კასპის მიწაში, ორი ათასი წლის წინანდელ სამოსახლოებს ვხედავ.

მატარებელი ჩერდება. მიდის. ჩერდება.

გრაკალიდან ხოვლე მოჩანს. ხოვლის ბოლოზე უძველესი სამოსახლო ბორცვი ითხრება. მატარებლიდან საკონტროლო თხრილი ჩანს შავ ხაზად. მატარებელი ისევ მიდის. ჩერდება. მე ქვახვრელში ჩამოვდივარ. აქ, ქვაში, ხვრელებია სამოსახლო – იმიტომ ქვია ქვა-ხვრელი. მწვანეში ზის ახლანდელი სოფელი. ჩემს პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირიდან უფლისციხე იყურება გამოთხრილი თვალებით. ცხელა. მე მტკვრის ნაპირზე ვჯდები. ვისვენებ. ჩემს პირდაპირ ბორანს აკეთებენ. იმის უკან სახლს აშენებენ. დავიღალე. ამდენი შთაბეჭდილება ერთ დღეში! ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს, რომ ქვა არ იყოს ქვაზე დადებული. და ეს მონაკვეთი, რაც მე დღეს ვნახე, ნაწილია ერის. ვცდილობ აღარ ვიფიქრო. ჭიანჭველასავით მშრომელი და დაუზარებელი ყოფილა ჩემი ხალხი _ ისევ ვფიქრობ. მერე აღარ ვფიქრობ. მზე უფრო აჭერს. მე ნელა მივყვები ბაღების ხეივანს. აქ ჩრდილია და ცოტა ვისვენებ. შემდეგ მწვანე უცებ წყდება: გვერდიდან მაცხუნებს უფლისციხე. ავდივარ ქვაბებში. ვიწყებ ზევიდან, ჩამოვდივარ ქვევით. ჯერ ვერ გავრკვეულვარ კიდევ. ქარი სისინებს ნაპრალებში. ქანი იფიტება. ქარი უფრო ღმუის. გრძელფეხა ჯოჯოები ხრიოკებს სერავენ. უარყოფით კედლებზე დარბიან ეშმაკებივით და შუა კედელზე ქრებიან. მე ქვას ვესვრი. ქვა ხვდება. ჯოჯო გაკვირვებული მიყურებს, მერე მირბის. მივდევ. უცებ კლდე წყდება და იწყება უფსკრული. ჯოჯო ქვევით ჩარბის. მერე ჩერდება და ისევ იხედება. ქვევით ხრიოკი სოფელი მოჩანს. ისტორიიდან ვიგონებ – აქ დიდი დასახლებული ადგილი ყოფილა. ახლა სოფელი გადაბუგულია; სულ არა ჰგავს ქვახვრელს. მეჩვენება: ჯოჯო იქით მიდის, მერე ისევ უკან მოდის და სხვებს აღვიძებს. «იქნებ ძველი მეციხოვნეების შთამომავლები არიან ჯოჯოები», ვფიქრობ. «იქნებ დაპატარავდნენ ისინი და ჯავშანში გახვეულები დარბიან.» აქ ხრიოკი და უდაბნოა. ქარი საშინლად უბერავს. ცხელა. ქვიშა გეყრება თვალებში. აქ ყველაფერი შეგიძლია იფიქრო ყველაფერზე. თითქმის ბანცალით შევდივარ ღრმა ქვაბში და ქვიშაზე ვწვები. ქვიშა აქ ცივია. მე ვწევარ და ჭერს ვუყურებ. ჭერი დატიხრულია. ჩუქურთმები გამოდიან სიბნელიდან. კედლები მოხატულია ფარდაგად. აქ ჯოჯოები არ დადიან. ჯოჯოებს ეშინიათ

სიცივის. ისევ ჭერის ჩუქურთმებს ვუყურებ. თვალები დაღლილი მაქვს და ძლივს ვარჩევ ჩუქურთმებს შორის ღრმად ამოჭრილ წარწერას Волков, მერე კედელზე გადამაქვს მზერა, აქ უფრო ღრმადაა ამოჭრილი Тормосов. ისევ ვხუჭავ თვალებს; მაგონდება მატიანეში ამოკითხული, რომ აქ ქვა რბილია და ადვილი დასამუშავებელი. ყველას შეუძლია ამოჭრას, რაც უნდა. მე ჯიბიდან დანას ვიღებ და ვჭრი ჩემს გვარს. კლდე იფშვნება. მაინც შეიძლება გარჩევა, რომ მე აქ ვიყავი 1957 წლის ივლისში. რაღაც სასიამოვნოა იმაში, რომ შენი ყოფნა აღნიშნო. ალბათ, ასევე ჰგვრიდა სიამოვნებას ტორმოსოვსა და ვოლკოვს. ალბათ.

მეც მსიამოვნებს.

გამოვდივარ გარეთ.

ცხელა.

ისევ ჩავდივარ ქვევით და ხელოვნურ თხრილს მივყვები ზევითკენ. მისი სიმაღლე საშუალოდ ოთხი მეტრია. ის კლდეშია ამოჭრილი. თხრილი ზევით მიდის, მერე უხვევს და ბუნებრივ ხევს უერთდება. აქედან იწყება უფსკრული. თუ არა გვირაბით, შეუძლებელი იყო ამ ქალაქში ასვლა. მე უფრო ზევით ავდივარ. აქედან უფსკრული უფრო ღრმა მოჩანს. ის საშიშია. მე მსიამოვნებს, რომ ის საშიშია: რაღაც ბუნდოვან შეგრძნებას იწვევს. მზე აჭერს. ვბრუვდები. ვწევარ და ქალაქის ისტორიაში დავბორიალობ: რამდენიმე მთავრის თუ მეფის სახელი და, მორჩა. «საინტერესოა, რატომ არ შემორჩა ვინმე გმირის სახელი, გლეხი გმირის», _ ვფიქრობ. მზე უფრო აჭერს, მე უფრო ვბრუვდები. თვალებსა ვხუჭავ. მინდა ცოტა წავიძინო. ძილი კი არ მოდის. თვალებდახუჭული უფრო მეტსა ვხედავ. მეჩვენება, რომ ღამეა და უფლისციხე გარშემოწყობილია. მეციხოვნეებს ცეცხლი უნთიათ. დიდ ქვაბებში ადუღებენ კუპრს. თხრილებთან ქვა გროვდება დასაშენად. თხრილის იქით კი მტრები დგანან.

მხოლოდ უფსკრულის მხარეა ჩაბნელებული. აქ ყარაული არ არის საჭირო. აქ ამოსვლა შეუძლებელია. ღამე ცა იბურება და ჟინჟლავს.

იმ წელს ადრე შემოდგომაზე მოდის თოვლი. თოვლი ზაფხულში გახურებულ კლდეს ადნება, მხოლოდ უფსკრულის მხარეს იკიდებს ფეხს.

ქარი მატულობს.

მერე უფრო მატულობს.

მეციხოვნენი თავს იბურავენ. ქარი საბურავებში შედის და ყურებსა ყინავს.

სამლოცველოში ქარი არ არის. აქ ქალები მუხლმოდრეკით ევედრებიან ღმერთს. ღმერთი ისმენს და პასუხს არ აძლევს – უსაზღვროა მისი ძალა თუ უფლება. ქალები კი მუხლმოდრეკილი ლოცულობენ თავიანთი შვილებისათვის. შვილებს კი სძინავთ: ღრმა ქვაბებში კლდის საწოლებზე თივა ყრია, თივაზე ხალიჩები აგია და იმაზე. მერე რომელიმე იღვიძებს. ტირის. უძახის დედას. ისევ იძინებს. ახლა სხვა იღვიძებს. ტირის. უძახის დედას. დედა კი ფილაქანზეა დაჩოქილი. მუხლისთავებიდან სისხლი სდის. ლოცულობს. ლოცულობს თავისი შვილისათვის – ღმერთი დიდია და მოწყალე, უსაზღვროა მისი ძალა.

გარეთ ცივა.

ქარი შრიალით ყრის ხევებში მიწას.

თხრილის იქით მტრები დგანან და ემზადებიან.

იერიში გათენებისას დაიწყება.

მეციხოვნენი ცოტანი არიან, მტერი ბევრია, ბევრად მეტია. დიდი მთავარი მჭმუნვარეა _ «გაუძლებს ციხე»?! – არის მისი ფიქრი. იერიში კი დილით დაიწყება. შუაღამისას ქარი ღრუბლებს ყრის. ყინავს. უფსკრულზე თოვლის ყინულები ეკიდება.

უფრო მატულობს ქარი. ღრუბელი აღარ არის. ვარსკვლავები უმთვარო ღამეში მოჩანან დიდი, შორეული, ცივი.

უფსრკულში კაცი მიცოცავს. ის ფეხშიშველაა. ქალამნიანი ფეხის მოკიდება აქ არ შეიძლება. კაცის თვალები არა ჩანს, არც ტანი ჩანს, არც თავი, არც სისხლიანი ხელები. ის მიცოცავს. ყინვა იჭრება მის სხეულში, თითები უხევდება: ცერი ყველაზე ადრე კვდება; მერე კვდება ნეკი. ის სამ_სამი თითით მიცოცავს. ის უკვე ექვსი საათია რაც მიცოცავს. ჯერ სწორზე მოფორთხავდა: მტერთა ბანაკიდან გზა ვაკეა უფსკრულამდე. ბანაკი კი გარშემორტყმულია. ის მისი შუაგულიდან მოფორთხავს. ის მათი სარდლის მზარეული იყო. როდის გახდა მზარეული, აღარ ახსოვს. მისი გონება ბუნდოვანია. მხოლოდ ის იცის, რომ მისი სამშობლო ეს არის, ხოლო ის, ვისაც ემსახურებოდა – მტერია. მტერს კი მისი არ ეშინია. მტერი მისი თანდასწრებით ლაპარაკობს, ადგენს გეგმებს. ის მთავარსარდლის მზარეულია დიდი ხნიდან და ენა არა აქვს. არა აქვს იმიტომ, რომ მოჰკვეთეს. მთავარსარდალს არა სჭირდება მსახური ენით. ამიტომ მოჰკვეთა ენა და ჰყავს უენო მსახური. უენომ იცის, რომ ისინი, მისი ბატონები და მისი ხალხის მტრები, საიდუმლო გზით ადიან ღამე.

იცის უენომ და თქმა არ შეუძლია.

ახლა ის უფსკრულის თავზე ჰკიდია. აქ შუაგზაა.

ზევით ციხეა – იქ არის მისი ხალხი. ქვევით კი უფსკრულია და მტრები დგანან – მისი ბატონები.

ქარი მატულობს.

ყინავს.

ქარი უფრო მატულობს.

ეკლესიაში, სადაც დედები ლოცულობენ ბავშვებისათვის, ღრიალით იჭრება ქარი. კარები იღება და იხურება. ქარი წყდება. უენო დგას შიგ. მის უკან კარები მიხურულია. ის დგას. მერე მუხლებზე ეცემა თავისი ღმერთის წინ და ლოცულობს. ღმერთი დიდია და მოწყალე. განუსაზღვრელია მისი ძალა.

ქალები კუთხეში მიყუჟულები შიშისაგან კანკალებენ და აღარ ლოცულობენ.

გადის ხუთი წუთი.

გადის ათი წუთი.

გადის ნახევარი საათი.

წინ უენო მიდის. იგი ფრთხილად ადგამს ფეხს. უკან მეციხოვნენი მისდევენ. ის უენოა და ხელით ანიშნებს. ის უენოა და ვერა კვნესის; ფეხები კი დახლეჩილი აქვს. ტერფები დახეთქილი: ლურჯი, წითელი, შავი.

დილით მზე აცხუნებს უფლისციხეს.

მზე აცხუნებს სალოცავს. სხივი სალოცავში სარკმლიდან შედის და ძირს ეცემა. მისი ფერია წითელი და შავი. იქ კაცია დამხობილი მუხლებზე. ლოცულობს. სიტყვები არ ისმის. ის უენოა.

ქალები დასისხლიანებული მუხლისთავებით დგანან ფილაქანზე: ღმერთს მადლობას სწირავენ გადარჩენისთვის: ღმერთი დიდია და მოწყალე.

გარეთ მზე ანათებს და გვამებს ბერავს. ისინი ყრიან ყველგან; უფსკრულის ძირას, უფსკრულის თავზე, თხრილის გარეთ და თხრილის შიგნით.

მეციხოვნენი თხრიან უზარმაზარ სამარეს:

ხვალიდან აყროლდება გვამები: დღე წყნარია და მზე აცხუნებს. ვიღაცა ჭიანურს ბერავს. დიდი მთავარი გაღიმებული დადის ტალანებში, მერე მხსნელს იბარებს

თავისთან. ის მეციხოვნეებს მოჰყავთ ხელით. მას ფეხები დაყინული აქვს და სიარული არ შეუძლია. მას სვამენ ტახტზე; კიდე ერთხელ უხდიან მადლობას.
სთხოვენ:
თქვას თავისი ვინაობა; ის კი უენოა;
სთხოვენ:
დაწეროს თავისი გვარი ან სახელი; მან კი წერა არ იცის.

და გვერდზე საკანში, ღმერთს შეწირული კაცი, უფლის მონა, შლის მატიანეს და წერს დიდი ასოებით: «ჟამსა ამასა და ამასა, წყალობითა ღვთისათა, დიდმა მთავარმა ვამეხმა სძლია მტერს და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხისა».

მე ვფხიზლდებისავით.

მზე ჩასულა.

აღარ აცხუნებს.

ქარი კი მატულობს.

ვდგები. მეჩვენება, რომ მე ვიცი იმ კაცის სახელი. რაღაცას ვლუღლუღებ. ალბათ, ვაჟა ერქვა, ან, უბრალოდ, კაცებო, ან გურამი, ან რატი; ქართველებს უმეტესად ეგ სახელები ჰქვიათ, იმასაც ეს ერქმეოდა. «ჰო, უეჭველად რომელიმე მათგანია ის», ვფიქრობ.

საშინელ წყურვილს განვიცდი; მათარა თანა მაქვს. მაინც არა ვსვამ. რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს. შევდივარ დიდ ტალანში, აქ ქვის სკამებია და ქვის მაგიდები. ვჯდები ქვის სკამზე. ვინ იცის, ვინ იჯდა აქ?! – შეიძლება დიდი მთავარი ვამეხიც. ვფიქრობ. ვიწყებ წერას. არ შემიძლია ამდენი ვნახო და არაფერი დავწერო. ფურცლებს ვუზიარებ ჩემს განცდას.

რაღაც მაწუხებს. ვერაფრით ვერ მოვახერხე ჩამყუდროება. ქვის სკამიც კარგია, მაგიდაც კარგია: მაინც ვერ მოვეწყე. აქ ყველაფერი ძველია და საიდუმლო.

ვდგები.

ჩემ გარშემო კი ყველაფერი ძველია და საიდუმლო, ახალი მხოლოდ არქეოლოგთაგან დატოვებული მიწის გასატანი საკაცეები ყრია. ისინი დამტვრეულია. ალბათ, ერთი თვის წინ გააკეთეს, ერთი თვის შემდეგ კი დაიმტვრა. საკაცეებისგან მაგიდის მსგავსს ვაკეთებ: ერთმანეთზე ვდგამ სამს და ისე. ერთ საკაცეს ქვეშ ვიგებ. ვჯდები. მოვეწყე. განვაგრძობ წერას. ვერთობი. ჩემ გარშემო კი ტალანია დიდი, ცარიელი, საშიში. აქ მხოლოდ ქვის სკამები და მაგიდები დგას, ძველი, ძალიან ძველი.

მე კი ვზივარ ერთი თვის წინათ გაკეთებულ საკაცეზე და ვწერ. ეს საკაცე უფრო მოხერხებულია ჩემთვის: ალბათ, ერთ დროში ვართ გაკეთებულები ორივენი და იმიტომ.

[1957 წლის ივლისი]

<u>“თავის ქალა ლოდიანზე იდო”</u>

თავის ქალა ლოდიანზე იდო. გარეშემო ყველგან ჯოჯოები დაძვრებოდნენ და როცა ახლოს მივედი, გამიკვირდა, რომ ქალადანაც ჯოჯო არ გამოძვრა. ლოდზე ჩამოვჯექი და ხელში ავიღე: ის პატარა იყო და კოხტა. ცხვირი მოჭმული ჰქონდა, თვალები ჩავარდნილი; პირველად მეტი ვერაფერი შევამჩნიე, მინდოდა იქვე დამედო, მაგრამ ვერ გავიმეტე რატომღაც; მერე გადაგდება მომინდა, აქედან

უფსკრული იწყებოდა და კარგი საყურებელი იქნებოდა უფსკრულში გადავარდნილი თავის ქალა, შემდეგ მომაგონდა, რომ ის ლოდიანზე იდო ზევიდან, ახლოს არც ძვლები იყო, არც უძვლო საფლავი. ლოდიანი გალავნის ძირში ეგდო შიშველ ადგილას; ვერაფრით ვერ მივხვდი, საიდან გაჩნდა იქ, მერე ახალი გათხრილი მიწა და არქეოლოგების პალოები დავინახე,,, მივხვდი, რომ გათხრების დროს იპოვნეს, მაგრამ გათხრილი ადგილი დარბაზი ჩანდა სვეტებით, ვიფიქრე, რომ შემოსევის დროს უცებ დაინგრა და შიგ მოყვა ამ ქალას პატრონი. დაცხა. დილით ცოტა გრილოდა და გრილი ქარი უბერავდა, ახლა კი ჩამოცხა და ცხელმა ქარმა დაუბერა, მტვერი ნესტოებში და პირში შედიოდა: ხშირად ვახველებდი, ნახველი მძიმე და შავი იყო. თავის ქალა ხელში მეჭირა, მერე ხალათი ამოვუკეცე ქვევიდან: ნელა დავეშვი ქვევით, აქ უფრო ცხელოდა, მაგრამ ქარი აღარ იყო, რატომღაც ჩემს შეგრძნებამდე თავისთავად მოვიდა, რომ ის ქალის ქალა იყო და შემზარა. გადმოვაბრუნე. კბილები დაკრეჭილი ჰქონდა და ორი წინა კბილი შიგ შევარდნილი. ქალა ახალგაზრდული იყო, კბილები კი ბებერი, დაჭმული. უფრო მძაფრად ვიგრძენი, რომ ქალის იყო, თან ის ქალი ან ახალგაზრდა იყო, თექვსმეტი წლის, ან მოხუცი იყო, მოკრუნჩხული დედაბერი. ორივეს ვგრძნობდი და ჩუმი ზიზღი მეპარებოდა. თავის ქალა წინათაც მენახა ბევრი, ხელშიაც მეჭირა, მაგრამ არასოდეს არც გამიფიქრია, რომ ის შეიძლება ქალის ყოფილიყო, ქალის და კაცის შეგრძნება ერთად მოდიოდა; ახლა კი ვიგრძენი ქალი, ის პატარა იყო და უსიამოვნოდ კოხტა, თან სულ მარტო ვიყავი მასთან და გონება განსაკუთრებით იყო დაძაბული. გზა კაკლის ხეებში მიდიოდა, აქ უფრო გრილოდა, ხეების შემდეგ ბაღები იყო და იქ ხალხი მუშაობდა. უფრო მაგრად დავიჭირე ქალა ხელში და განურჩეველი სახე მივიღე. თავში კი სულ მედგა, რომ ის ვიღაც ქალის იყო ან ახალგაზრდის ან ბებრის.

წინ ხალხი იყო ბაღებში გაბნეული, ვიღაცამ ურემი გამოაგორა შარაზე, თვითონ იყო შიგ შებმული. მერე ცხენის მოსაყვანად წავიდა. ცხენი ბაღში ება ხის ძირში. გამოგორებულ ურემზე ბავშვები დასხდნენ ჭყივილით. რამდენიმე შიგ შეება და შარაზე გააგორეს. ურმის პატრონი ყვირილით დაედევნა. უფრო მაგრად მოვუჭირე თავის ქალას ხელი. რატომღაც თვითონ ქალაზე აღარა ვფიქრობდი, ახლა ბავშვებს ვუახლოვდებოდი და მინდოდა მეცქირა, დამფრთხლები მისი დანახვით როგორ გაიქცეოდნენ. ურმის პატრონი ურემს ლანძღვით მიაგორებდა უკან. ბავშვები კი იქით გარბოდნენ, მერე უკან წამოვიდნენ სტვენით. მე ნელა ვუახლოვდებოდი მათ. ესენი პირველები იყვნენ ვინც მხედავდა ქალასთან ერთად, რატომღაც სახე შევუბრუნე და კეფით დავიჭირე, არ მინდოდა ბავშვების ძალიან შეშინება. თხელი და გრძელი ბავშვი სულ ახლოს მოვიდა, შემომიარა, მე გავუცინე, ის ახლოს მოვიდა უფრო და ქალას კეფაში წკიპურტი გაარტყა; მე ვიფიქრე, რომ არ იცოდა, რომ ქალა იყო.

_ რასა შვები, თავის ქალაა, _ ვთქვი გაჯავრებით და სახით მისკენ შევაბრუნე

_ ქალა ყოფილა, ქალა, კაცის გამხმარი თავი, _ დაიჭყივლა ბიჭმა და მაშინვე მთელი ბიჭები მოვარდნენ. ზოგი პირში ჩრიდა თითს, ზოგი თავში ურტყამდა, იცინოდნენ. იმათ სიტუტუცეზე ნერვები ამეშალა, მერე შევუკურთხე.

_ მოეშვით კაცსა, თქვე მამაძაღლებო, _ გამოხტა სქელი გლეხი ბაღიდან. ბავშვები დაიფანტნენ, ის უცებ დარჩა ქალას წინ.

_ ე, კაცის თავი ყოფილა, _ თქვა მან და პირჯვარი გადაიწერა. მას ბაღიდან გამოსულმა ქალმა მიბაძა, მერე გამიცინა.

_ სად იშოვე? _ კბილები გამოაჩინა მან.

_ ჩუ, _ უთხრა კაცმა და უკან შეიყვანა.

«რა მშიშარა კაცები ყოფილან», გავიფიქრე. გზა დახეთქილ ველზე გამოვიდა, შორს მტკვარი მოჩანდა, გზისპირების ჭაობში შალაფა ხმებოდა. ყველაზე მეტად სიცხე ამომშრალ ჭაობში იჯდა. უკან მივიხედე. უფლისციხე შევარდნილი ყბებით უყურებდა ველს. ისევ მომეჩვენა ჯოჯო და ხელში თავის ქალა ვიგრძენი. ის პატარა იყო, კოხტა. ეს სიკოხტავე უფრო ამქვეყნიურს ხდიდა, უფრო მეტად ვგრძნობდი სიკვდილს, მერე მომაგონდა, რომ მეც პატარა ქალა მექნებოდა, არა, იმაზე ცოტა დიდი. შეუმჩნევლად დავდექი ცუდ ხასიათზე, შევეცადე მასზე აღარ მეფიქრა. ჯერ გადაგდება მინდოდა. ვიცოდი, სახლში არ გააჩერებდნენ, მეშინოდა კიდეც, არ მინდოდა დედაჩემზე ძალიან ემოქმედა, ის ისეც საშინლად მგრძნობიარე და ნერვიული იყო. მაინც ვერ გადავაგდე, «მატარებლიდან ვნახავ, როგორ დაასკდება მიწას», გავიფიქრე. წინიდან მოხუცი გლეხები მოდიოდნენ, რამდენიმემ უხმოდ შემოუარა, ერთმა ისევ გადაიწერა პირჯვარი, პატარა, რომელიც ბაბუის მხრებზე იჯდა, დაიხარა და პირში შეუყო ხელი. ახლა მე ხიდზე გავდიოდი, ხიდი ჩამოკიდებული იყო დიდ ტროსებზე, ირხეოდა. «რა ყოჩაღი ბავშვები იზრდებიან ამ სოფელში და რა მშიშარაა ძველი თაობა», ვფიქრობდი. უფრო ავუჩქარე ნაბიჯს. მეჩვენებოდა, რომ მატარებელი გამასწრებდა, არც ვაპირებდი პირველზე წასვლას, მაგრამ ახლა აღარ მსიამოვნებდა დარჩენა ქალასთან ერთად. თითქმის სირბილით წავედი ბაქნისაკენ. დაძრულ მატარებელს შევახტი, ქალა აქანდა ხელში და ძლივს ვტაცე თითი. გული გადამიქანდა, აღარ მეგონა თუ დავიჭერდი, ხელი ტვინის ღრუში მომიხვდა, ის მრგვალი იყო და მე ვიფიქრე, რომ აქ შედიოდა ხერხემლის ტვინი, საინტერესო იყო, რატომ აქამდე ვერ შევამჩნიე ეს ნახვრეტი.

მძიმე ნაბიჯებით შევედი ვაგონში. ახლა ისევ ხალხმა გამიტაცა უნებლიეთ. თითოეულ მზერას ვამოწმებდი და მაინტერესებდა რამდენად განიცდიდნენ, მინდოდა ჩემი შინაგანი ღელვა იმათ გარეგნულად გამოეხატათ, ამით თითქოს ჩემი თავმოყვარეობა დაკმაყოფილდებოდა. რამდენიმე კაცი მომიჯდა გვერდზე, ერთმა მთხოვა, გავუწოდე, მაგრამ ვეღარ ჩამომართვა, მე ამაყად გავიღიმე, ვიღაც ვიწროშუბლა გლეხი პირდაპირ დასწვდა და შეათამაშა. «ამის ოსტატი მე ვარ», თქვა, მერე რაღაც თავისი ჭკუით სასაცილო მოყვა. სხვები უხმოდ უსმენდნენ, არავინ არ გაიცინა. გლეხმა თავის ქალა მე მომცა და წავიდა. «რას მოესწრო ამის პატრონი», ვფიქრობდი. «სიკვდილის მერეც ყურადღებაშია, თუმცა შეიძლება ცოცხალს არავინაც არ აქცევდა ყურადღებას, თან მატარებელშიც კი ზის». აზრები მოდიოდნენ თავში, გადადიოდნენ ერთმანეთში, შიში ქრებოდა და ნელა მეუფლებოდა სიამაყე, რომ ამ ქალაზე ყველაზე მეტი მე ვიცოდი, სხვებს კი ცოტა ეშინოდათ ან ვერაფერს ვერა ხვდებოდნენ.

_ ვინ იცის, ტკბილი სიტყვაც კი არ მოსწრებია მაგას, ახლა რა პატივშია, _ თქვა ჩემ უკან გლეხმა. მე ხმა არ ამოვიღე. «ნეტა რას სულელობს,» _ გავიფიქრე.

_ ან მატარებელს ვინ აღირსებდა, მგონი, არც დასიზმრებია ბორბალი, _ გააგრძელა მან. რაღაც არ მესიამოვნა, ფანჯარაში დავიწყე ყურება. იქით ისევ დახეთქილი მიწა და თიხიანი გორები ჩანდა. ნაფოტებს შუა მზე ურტყამდა. მტკვარი ზიგზაგად მოდიოდა რიყეზე, მერე ჩვენ ქვევით იკარგებოდა. ხიდი დიდი იყო, რკინის. ფანჯრიდან ჯვარედინი არმატურა ჩანდა და ხრიალი ისმოდა. მე ვფიქრობდი იმაზე, თუ ვინ როგორ მიიღებდა თავის ქალას, აქ კიდევ გლეხები იყვნენ, ეშინოდათ შედარებით, თბილისში კი ან უფრო შეეშინდებოდათ ან პირიქით. იქ უფრო მეტი იციან სიკვდილზე ან ცოტა, მე თვითონ ვერ გავერკვიე ამაში, რაღაც ხდებოდა ჩემს გონებაში შეუცნობელი სიკვდილის შეგრძნებასა და მისი ცივი ანალიზის გაკეთებას შორის.

[1957 წლის ზაფხული]

სიკვდილი მთებში

ალფრედ კურელა ყველაზე ადრე გამოძვრა კარვიდან. ცა მოწმენდილი იყო და ციოდა. ქვევით მოჩანდა არხოტის წყალი და დეკიანი ფერდა.

მან ნელა დაიწყო ფეხსაცმელების ჩაცმა, მერე პრიმუსი გამოათრია. პრიმუსი ახალი იყო, პატარა. სწრაფად მოდუღდა წინა ღამეს დარჩენილი წვნიანი.

_ ალფრედ, ჩვენ უკვე ყველამ გავიღვიძეთ, _ სიცილით გამოსძახა ცოლმა კარვიდან, მერე ისიც გამოძვრა და ფეხსაცმელების ჩაცმა დაიწყო.

_ ეგ არის არხოტის წყალი, ხედავ დეკიან ფერდას? _ კურელა წამოდგა, აპარატი მოიმარჯვა, გადაიღო. შემდეგ კარვისაკენ მიბრუნდა.

_ ახლა თქვენ! _ თქვა მან.

კარავთან ხევსური გამყოლი და მისი შვილი იჯდა.

_ მეც გადამიღე მაგათთან! _ გაიცინა ქალმა და ბიჭებს ხელი გადახვია. _ არა, გიგლა? _ უთხრა გამყოლს. გიგლამ გაიცინა და აპარატს შეხედა.

_ აქეთ ნუ იყურებით, მთას შეხედეთ, აგერ იქ, _ კურელამ ხელი გაიშვირა, _ იქით ფრთიანი ფერდა და ნაოჭებში ჩამჯდარი ზვავები მოჩანდა.

_ ასე! _ თქვა მან.

_ ახლა ვჭამოთ, ალფრედ, _ ცოლმა ქვაბი გადმოდგა და ჭიქებში დაანაწილა წვნიანი. _ დილით ბევრი ჭამა არ ვარგა, _ დაუმატა მან.

ისაუზმეს.

გიგლა და სტეფანე კარავს კეცავდნენ.

_ ალფრედ, მიიხედ-მოიხედე, რამე დაგრჩება, როგორც ყოველთვის, _ ისევ გაიცინა ცოლმა.

კურელა უყურებდა ცოლს და ფიქრობდა: «რა კარგია მთაში!» სადღაც, მთის წვერზე, მზის სხივი დაეცა, მერე ქვევით ჩაიპარა და ხეობიდან ნისლები ამოყარა. ნისლები დიდ ან პატარა ნაფლეთებად მიდიოდნენ ზევით, მერე ერთდებოდნენ და ისევ იშლებოდნენ, ხეობა ახლა რძისფერი გახდა.

_ გზა ვიცით, არაფერია, _ თქვა კურელამ, _ ასეთები გვინახავს, ელპიდე, არა? _ უთხრა ცოლს.

ნელა დაიძრნენ ქვევით. ერთ ცხენს ბარგი ეკიდა, მეორეზე სტეფანე იჯდა. ბარგიანი ცხენი წინ მიჰყავდა გამყოლს, მერე სტეფანეს ცხენი მოდიოდა, მერე ელპიდე და ბოლოს ალფრედ კურელა.

_ აქ, თუ ამჩნევ, გაცილებით თანაბარია დღე_ღამის ტემპერატურა _ თქვა კურელამ.

_ ჰო, მეც მინდოდა მეთქვა, მაინც ვერ ვიტყვი, სად მირჩევნია, აქ თუ სვანეთში.

_ სვანეთი უფრო დიდია, ჯერ უშბა აიღე!

_ მე მაინც ახლა აქ მირჩევნია, თუნდაც იმიტომ, რომ აქა ვარ და არა იქ. რა ჰაერია, ალფრედ! _ ელპიდემ უკან მოიხედა. მერე ჯოხი შეურჭო პატარა ქვას და ამოატრიალა.

_ კარგ დროს კი მოვდივართ, _ თქვა ელპიდემ.

_ ჰო, დღეობებს დავესწრებით.

_ კარგია, სტეფანეც ბევრ რამეს ნახავს. ნეტავ ოტოც წამოსულიყო.

_ ოტო? რაც ცოლი შეირთო, გამოიცვალა, ახალცოლშერთულები ახლა მთაში აღარ მოდიან, ხომ იცი, ზღვაზე გაშავება ურჩევნიათ.

_ ჩვენ კი რამდენს დავდიოდით, არა, ალფრედ?

_ ჩვენ, ჰო.

_ გაისად ისევ წამოვალთ, არა?

_ უეჭველად.

_ როგორი მარშრუტით? მე მგონია, უკანა ფშავიდან მთათუშეთისაკენ.

_ მეც ასე მინდა.

_ არა, კარგია აქ, ალბათ, დოღებსაც ვნახავთ, როგორ მოჭენავენ ფერდობზე უბელო ცხენები.

_ ჰო, ხევსურები დოღში მარტო უუნაგიროზე სხდებიან.

_ ალფრედ, მე ვერ შევძლებ ჭენებას?

ალფრედი კისერში უყურებდა ცოლს, მერე ქალი შეტრიალდა მისკენ. ახლა ისინი თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს.

_ რაო, დავბერდი? _ ისევ იკითხა ელპიდემ.

_ რა დროს ჩვენი სიბერეა, მე შენზე თორმეტი წლით დიდი ვარ, და აი! _ კურელამ კუნთები დაჭიმა. _ აი! აი, რა შეუძლია მთაში სიარულს, თუმცა სამოცდაერთი წლისა გავხდი.

_ მე მაინც შევჯდები ცხენზე, არა?

_ შეკაზმულზე, თავისუფლად.

ახლა სტეფანე ფეხით მიდიოდა. ელპიდე მის ცხენზე შეჯდა. ცხენმა ნაბიჯს აუჩქარა, მერე ისევ ნელა წავიდა.

_ წარმომიდგენია რა სიამოვნებაა ჭენება მთაში, _ თქვა ქალმა.

_ კი, მაგრამ არ გირჩევ.

_ მე? არც შემიძლია. მართლა, ალფრედ, აღარც ისე ბავშვები ვართ.

_ სამაგიეროდ, ხუთი ბავშვი გვყავს, ჩამოთვალე, კარგი?

_ საიდან?

_ პატარიდან.

_ არა, შენ ჩამოთვალე, ოღონდ უფროსიდან, თუმცა სწორი ხარ, უმცროსიდან ჯობია.

ნისლები ახლა სულ აიკრიფენენ, ზევით, ჭიუხების თავისაკენ; წვერებიღა მოჩანდა მზეზე. ნისლი თხელი იყო, მზე შიგ ადვილად ატანდა. კლდე შავი და ჟანგიანი ჩანდა. ახლა ხეობიდან ახალი ქულა წამოვიდა. ახლოსვე დაიშალა და ფერდას შეეფინა. გზა ქვევით იწევდა. შედარებით დათბა, მერე მზემ მდინარეს დააცხუნა. დაცხასავით, მაგრამ ხეობის შემოსაბრუნიდან ნიავმა დაჰქროლა.

_ რა კარგია, მზეა, თან გრილა! _ თქვა ელპიდემ.

ალფრედ კურელა ჩუმად მიდიოდა.

მერე ყველაფერი უცებ მოხდა.

ამღაში რკინაულის ბავშვის სამუკას ხარჯები იყო, იქიდან გადმომყვა სიმთვრალე ახიელშიც. საიდანღაც ოდნავ მოიღრუბლა. მზე დაიბურა და ჩამოცხა. მხოლოდ ბანზე გრილოდა. მე ვიჯექი ბანის კიდეზე და ლუდით სიმთვრალეს არყით ვირჩენდი.

_ ეს შენ გაგიმარჯოს, ანიკო! _ გავუღიმე დიასახლისის ქალს.

_ გაგიმარჯოს, კარგი ხარ! _ დალოცა ვაჟამაც.

ჟიპიტაური მაგარი იყო და მთელ ბანს თავისი სუნით ავსებდა. მე შევეჩვიე, უკვე მსიამოვნებდა მისი სმა. ვაჟასაც სიამოვნებდა. თბილისიდან გუშინ ექსპედიციად ჩამოსული ექიმები უნიათოდ იღიმებოდნენ.

_ ნეტა როგორ სვამთ მაგას, ალბათ შეეჩვიეთ, არა? _ დაინტერესდა ქერა, მსუქანი ექიმი.

_ ჟიპიტაური კარგი სასმელია, _ თქვა მეორემ.

_ მე დავუსხი და გავუწოდე.

_ არა, გმადლობთ, მე დაღლილი ვარ, მერე _ კი, _ არ ჩამომართვა მან.

დასხმული ყანწი მე თვითონ დავლიე, მერე ვაჟას შევუვსე. ვაჟამ რაღაც სადღეგრძელო თქვა, რა, არ გამიგია. უაზროდ ვიყურებოდი ხევს გაღმა. იქ მასპინძლის ულაყი ება. არხოტში ვერსად ჩავიგდე ცხენი ხელში. არც მიცდია ძალიან, ახლა კი მომინდა. ვგრძნობდი, როგორ მიპყრობდა ჭენების ჟინი, ალბათ ცოტა დროღა მრჩებოდა ხევსურეთში ყოფნის და იმიტომ უფრო მომინდა ჭენება. მერე ორღობეში ვიღაც მხედარი გავარჩიე. უჯრედა პერანგი ეცვა. ცხენი ღობეს მოეფარა და მხოლოდ მხედრის სახე ჩანდა.

_ არავინ ცხოვრობს ამ სოფელში? _ ქლოშინით თქვა მან.

_ აბა, აქეთ მოდი, _ დავეშვი კიბეებზე და ცხენის დაბერილ ნესტოებს შევხედე. გახურებული ფაშატი ტორტმანით მოაწყდა ღობეს.

_ გერმანელები მომყავდა და... _ დაღლილობისაგან ძლივს იჯდა უნაგირზე. _ ქალი გადმოვარდა აღმართის თავში, მგონი, კვდება.

მე ჯერ ვერ მივხვდი, ვისზე იყო ლაპარაკი, მერე უცებ გამახსენდა, რომ აქ ამ დროს გერმანელი მწერალი უნდა შემხვედროდა თავისი ცოლით.

_ კვდება? _ ამოვიყვირე.

_ აჰა, თუ ძმა ხარ, _ ძლივს გადმოვიდა ცხენიდან და მე პირდაპირ გადავახტი უნაგირს.

გზა ხევზე მირბოდა. სახეში ნიავი მირტყამდა, მწვავდა. შუბლი გამიხურდა. ფაშატი მოკლე ოთხით გადადიოდა ქვებზე და მე გიჟივით ამიტაცა ჭენებამ.

გზა ფერდობზე ავარდა, უკან მოვიხედე, წერტილივით ვიღაც მოძრაობდა ხევში. «ვაჟაა», გავიფიქრე «ნეტა როგორ არის ქალი, მოკვდა? ასე უცებ? რა სისულელეა». ცხენიდან ჩამოვხტი, უნაგირი მოვაძრე ზურგიდან და იქვე დავაგდე. ახლა უბელოზე გადავჯექი. ძალა მიეცა ფაშატს. მზე ხევის თავზე ეკიდა. ცხენივით აქლოშინებულს რაღაც უცნაური მეუფლებოდა. ეს არც ჭენების ჟინი იყო, არც სხვისი სიკვდილის შეგრძნებით გამოწვეული განცდა.

იქით, დიდი ლოდიანის ძირში, შეკაზმული შავი ცხენი ჩანდა, რატომღაც მეუხერხულა იქ ასე ჭენებით მივარდნა, შემდეგ ცხენს გავაზე საბელი გადავუჭირე, მივაგდე ლოდიანთან და ჩამოვხტი. შავი ცხენი ბექობზე იდგა, მის უკან ლოდიანებს შუა მწვანე იყო ჩაღრმავებული. ბალახზე ქალი ეგდო გადახეთქილი შუბლით, თავით ქერათმიანი ბავშვი ეჯდა, წარბთან მიმხმარი სისხლიდან ბუზებს უგერიებდა.

კაცი _ ალფრედ კურელა _ ფეხებგაშლილი ადგა თავზე ორივეს და სურათს იღებდა, სადღაც ბუნდოვნად მესიამოვნა, რომ მან იმ კლდეში გაჭენებულ ცხენზე მჯდარი მნახა, შემდეგ ყველაფერი გაქრა... ახლა ჩემს წინ მხოლოდ ქალი იწვა შუბლგახეთქილი.

_ Was ist mit ihr? _ ვკითხე გერმანულად

_ მორჩა, _ თქვა მან რუსულად

_ Wie? Sie glauben das ist das Ende? _ არ მოვეშვი გერმანულს.

_ Ja, _ თქვა კურელამ. _Sind sie Gurami? _ განაგრძო მან. რაღაც ღიმილის მსგავსი შევნიშნე მის სახეზე.

_ დიახ, _ ვუთხარი მე.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. შემდეგ ბიჭისაკენ მიმახედა, რომელიც თავთან უჯდა ქალს.

_ რა უნდა ვქნათ ჩვენ ახლა უდედოდ? _ თქვა ბავშმა და მშრალი თვალებით შემომხედა.

პირველი, რაც ალფრედ კურელამ შეიგრძნო, იყო საოცარი უმწეობა. დამფრთხალი ცხენი ლოდიანებზე მიხტოდა, ელპიდე მარცხენა ფეხით ეკიდა უზანგზე და ქვებს გლეჯდა ხან მკერდით, ხან კეფით. გიგლა ადგილზე გაქვავდა. გამოდევნება უშედეგო იყო, შეუძლებელი. პირველად სანახაობა უფრო უცნაურს ჰგავდა, ვიდრე შესაზარს. საზარელი მერე შეიგრძნეს, მაშინ, როდესაც ცხენი თავისით გაჩერდა. არა, უფრო გვიან, როცა ქალის ფეხი გამოაძრეს უზანგიდან.

ელპიდე ლოდიანებს შუა ჩაღრმავებულ მწვანეზე დააწვინეს, ის ჯერ უმოძრაოდ იწვა, მერე მოკვდა. ის უფრო ადრე მოკვდა _ როდესაც გადმოვარდნისას კეფა დაარტყა. შემდეგ აღარაფერი შეუგრძვნია, კეფის მერე ხელი გაეხლიჩა, ლოდიანმა გადმოატრიალა სხეული, თვითონ ფოსოდან ამოვარდა და შავი მიწა გამოაჩინა. მერე ლოდს შუბლით დაეჯახა. შუბლი გადასკდა, მერე გადაეფხრიწა ფეხი, ,,სპეცოვკის» სამხრული გაწყდა და შიშველა, ოდნავ მიმჭკნარი ძუძუ გამოუჩნდა. თეთრ, ჩრდილოურ მკერდზე სისხლი წითელ ზოლებად დააჩნდა.

ჩაჩოქილი კურელა მაჯას უსინჯავდა. მაჯა არ სცემდა. მერე მკვდარმა სხეულმა ამოიქშინა და სისხლმა გამოჟონა ტუჩებზე. შემდეგ ყველაფერი შეწყდა.

მომხდარი ჯერ ისევ უცნაური და საშიში იყო. სტეფანე იჯდა დედის თავთან უხმოდ. ალფრედი იდგა. გარშემო მთები იყო აზიდული. კიდეგანიდან ღრუბელი მოდიოდა და ხეობაში უზარმაზარი ჩრდილები დაძრწოდნენ. კურელამ დიდი დრო გაატარა მთებში, მაინც უცხო იყო აქ ყველაფერი, უცხო და უცნაური; ხალხი უცნობი, მდინარე ცივი, ხმაურიანი. ეს იყო უცხო მხარე. სადღაც ერთდებოდნენ მის შეგრძნებაში სიმწუხარე და შეუცნობელი, არამშობლიური. ყველაფერი ეს უფრო საოცარი იყო. ლოდიანებს შუა იწვა მისი მეუღლე _ უკვე მკვდარი. მეუღლე, რომელიც ერთი საათის წინ ცოცხალი იყო, მხიარულად ლაპარაკობდა და რომელთანაც ხუთი შვილი ჰყავდა. ერთი მათგანი თავთან უჯდა ცხედარს. ის აბუზული იყო, საცოდავი, არც ტიროდა, არც ხმას იღებდა.

_ Ja, so, _ თქვა კურელამ.

ბიჭმა თავი მიაბრუნა იმ ადგილისაკენ, სადაც ცხენი წაიქცა და დაფრთხა.

_ აი იქ იყო, _ ხელი გაიშვირა ალფრედმა. _ ღმერთო ჩემო, რა მანძილია აქამდე, თანაც ქვები, აი, _ გაიხედა ცხენისაკენ. შავი ცხენი ლოდიანებს ზევით იდგა და უკანა ფეხი აწეული ჰქონდა.

_ ცხენს ფეხი მოტეხილი აქვს, _ თქვა სტეფანემ.

_ დაცემის დროს მოიტეხა, _ თავი გაიქნია კურელამ. _ ალბათ, ჩქარა მოვლენ სოფლიდან, გიგლა უკვე ოცი წუთია წავიდა.

შვილმა ყვავილი მოწყვიტა და ცხედარს შუბლიდან ბუზები გაუქშია.

_ რა კარგია მინდვრის ყვავილები, ნახე ის ყვითელი? _ მოწყვიტა რამდენიმე ყვავილი კურელამ და ხელში დაიჭირა. ბიჭმაც მოწყვიტა, მერე ლოდიანზე დააწყო. ორივე გაურბოდა ცხედარზე ლაპარაკს. რაღაც იყო მათთვის სიკვდილში საოცარი და უკვე მომხდარი, რომელსაც არაფერი ეშველებოდა. გარშემო კი ყველაფერი უცნობი

იყო, საშიში. ღრუბლის ჩრდილები ლოდიანებზე გადადიოდნენ, ხეობის თავზე ნისლებში ძერა დაბუინობდა და წყალი ქაფივით ეშვებოდა კლდეზე.

_ შეიძლება წვიმა მოვიდეს, _ თქვა ალფრედმა, ბიჭმა ზევით აიხედა, მერე ისევ გაუქშია ბუზებს. ბუზები კი მოდიოდნენ, მოფრინავდნენ. მთებს შუა სიკვდილი იწვა, ჯერ კიდევ სისხლიანი, ახალი.

გურამი თავზე ადგა ცხედარს და კურელას ხელს ართმევდა. ის უყურებდა მისთვის უცხო სიკვდილს, რომელიც მთებს შუა იწვა უმოძრაოდ. უკვირდა სიკვდილიც და მათი სიცოცხლეც, რომლებიც სიკვდილთან ერთად გაიცნო.

კურელა ექსპონომეტრს აყენებდა. მერე აპარატი მოიმარჯვა და იმ ადგილის სურათი გადაიღო, სადაც ელპიდე იწვა.

_ რა უცნაურია, დილით იცინოდა, ერთად ვიყავით, ახლა? _ შეუმჩნევლად გაუმრუდდა სახე, ახალი ადამიანის გამოჩენამ ოდნავ შეურბილა სიმტკიცე, უფრო შეაგრძნობინა სიკვდილი. _ ჰო, ჰო, _ დააყოლა მან.

გურამი იდგა და ხმას არ იღებდა, მერე თქვა:

_ მაინც რა შეიძლება?

_ არაფერი, უშედეგოა ყველაფერი.

გურამმა ყვავილები მოწყვიტა და თავთან დაუწყო მიცვალებულს. ცხენის აღვირი ხელში ეჭირა. «რა დაღლილია ცხენი, ძლივსღა ქშინავს», გაიფიქრა, მერე შავ ცხენთან მივიდა, უნაგირი მოხადა.

_ მაგაზე ნუ შეჯდები, ფეხი მოტეხილი აქვს, _ თქვა კურელამ.

_ უკანა ფეხი, _ თქვა ბიჭმა.

_ მე წავალ ხალხის მოსაყვანად, _ თქვა გურამმა, მერე ბიჭს ხელი ჩამოართვა. ბიჭი წამოდგა.

_ რა უნდა ვქნათ ჩვენ ახლა უდედოდ? _ თქვა მან.

_ რას იზამთ ახლა? _ შეეკითხა გურამი კურელას.

_ მარშრუტისას? არ ვიცი. უიმისოდ, ალბათ, ვერ შევძლებთ გზის გაგრძელებას.

_ აქ დღეობებია, ათენგენობა.

_ ჰო, ვიცი. როგორ ელოდა დღეობებს!

_ რა ერქვა?

_ ელპიდე.

_ ელპიდე, _ გაიმეორა გურამმა, მერე ორჯერ თქვა რატომღაც თავისთვის: «ელპიდე, «ელპიდე», ყვავილები დაკრიფა, თავთან დაუწყო და ცხენს გადააჯდა.

ცხენი ლოდიანებს შუა მიხტოდა, «ხომ შეიძლება მეც გადავვარდე»?! _ ფიქრობდა გურამი და უფრო მიაჭენებდა ცხენს.

ფერდობზე ქლოშინით მორბოდა ვაჟა.

გურამმა ხელები გადააჯვარედინა, მაგრამ ჯვარი დაბრეცილი გამოვიდა და გაჩერების ნიშანს დაემსგავსა. ღელავდა, კიდევ ანიშნა სიკვდილი, ვაჟამ მაინც ვერ გაიგო, რაღაც იყო შეუცნობელი, სიმწუხარისა და ამბის ნახვის, ცნობისმოყვარეობას შორის, რომ პირველმა მან ნახა სიკვდილი.

_ მოკვდა, _ თქვა, როცა ახლო მივიდა.

_ ჰა? _ პირი დააღო ვაჟამ.

_ უკვე მოკვდა, არაფერი ეშველება.

_ სად არის?

_ აი იქ, ლოდიანებში, ჯერ შავ ცხენს დაინახავ.

ვაჟა ზევით წავიდა, გურამმა ქვევით გააჭენა ცხენი. ხეობაში ხალხი გამოჩნდა. წინ ექიმები მოდიოდნენ. უკან მომავალ ხევსურებს საკაცე მოჰქონდათ.

_ უკვე მოკვდა, _ თქვა გურამმა.

_ რა უბედურებაა! _ თქვა ბოხხმიანმა.

_ საწყალი... ალბათ კურელა თავს იკლავს, არა?

_ არა! _ ჩაილაპარაკა გურამმა და ცხენი ხევსურებისაკენ დაძრა. «მე ის კაცი მეცოდება აქ, ამ უცხოეთში» _ მოესმა უკნიდან.

_ რა? მოკვდა? _ დაიძახა ვიღაც ხევსურმა, დანარჩენებმა ნაბიჯს აუჩქარეს.

_ მოკვდა, მოკვდა, _ გურამმა ისევ ზევით გააჭენა ცხენი.

კურელა ისევ თავს ადგა ცხედარს. ახალმოსული ექიმები სინჯავდნენ მკვდარს.

_ კეფა აქვს გატეხილი, იმითაა მკვდარი, _ სხვა ექიმებს გადახედა ბოხხმიანმა.

_ ჰო, მაინც ვერ გადარჩებოდა.

_ რა ყოჩაღი ხალხია, კაცო, ქართველი, ალბათ, თავს მოიკლავდა მის ადგილას.

_ გიგლა გიჟდება ქვევით, ჩემ ბრალად ვთვლიო, ამბობს, _ თქვა ხევსურმა.

კურელა დაიძრა.

_ მართლა, _ თქვა მან, _ გიგლას უთხარით, რომ მისი ბრალი არაფერია, რომ მე, პირიქით, მისი მადლობელი ვარ, მოხდა შემთხვევა, სამწუხაროდ ვერაფერს იზამ.

_ ცუდი შემთხვევაა, _ მიეყუდა ლოდიანს გურამი.

_ ჰო, სამწუხაროდ, _ განაგრძო ალფრედმა. _ არ იყო ავად, არ იყო მოხუცი, იჯდა ცხენზე ბედნიერი, მხიარული, თავის საყვარელ ქმარ-შვილთან ახლოს. საუბრობდა და უცებ მოხდა ყველაფერი. ეს უკვე მოხდა. ამას ვთვლი მე ერთ-ერთ ბედნიერ სიკვდილად, თუ შეიძლება ასე დაერქვას სიკვდილს. საწყალი ელპიდე, რა უცებ... ყველაფერი, _ თავი გააქნია მან, ცრემლების მსგავსი მოადგა თვალებზე, გრძნობამ სძლია წამით გონებას, _ აი იქ დაეცა პირველად, _ ხელი გაიშვირა მან.

გურამი წამოდგა, წინ ალფრედი წავიდა. ზევით ლოდიანი ამობრუნებული იყო და მიწა ჩანდა.

_ აქ არა, უფრო ზევით, _ ახლა ბიჭი წავიდა წინ.

იქ ძირიანად ამობრუნებული გორახები ეყარა, ჩაფხეკილი მიწა შავად ჩანდა. ალფრედი ისევ ყვებოდა გადმოვარდნის ამბავს. ცხენს ჯერ უკანა ფეხი დაუცდა, ელპიდემ მარჯვენა გამოიღო უზანგიდან. ამ ქვას დაადგა, ცხენი მოულოდნელად დაფრთხა, მარცხენა ფეხით დაითრია.

_ როგორ მოხდა? _ იკითხა ქვევიდან მოსულმა ექიმმა. კურელა ახლა მას მიუბრუნდა.

_ რაო, რას ამბობს? _ იკითხა ახალგაზრდა ხევისბერმა.

გურამმა უთარგმნა.

კურელა კი ისევ ყვებოდა.

_ ცხენი მირბოდა, ის ეკიდა ფეხით და ტანით ეხეთქებოდა ცხენს, შველა არ შეგვეძლო, ჰო...

ახლა მას ამ ამბის უანგარიშო მოყოლა უქარვებდა დარდს, რამდენსაც მეტს ყვებოდა, უფრო მშვიდდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ სხვები ღელავდნენ და წამით მაინც სხვაზე გადადიოდა მისი დარდი. მერე ექსპონომეტრი ამოიღო.

_ თუ უცებ არ გადაიღე, ღრუბელი ეფარება მზეს და ხელახლა უნდა დააყენო ექსპონომეტრი, _ თქვა, მერე გურამს მისცა აპარატი. _ მეც გადამიღე ამ ადგილზე, _ ის ამოთხრილი გორახების პირას დადგა.

_ არ ვიცი, რა ეშველება თქვენს დარდს, _ შუბლზე ხელი მიიდო ბოხხმიანმა.

კურელამ თავი გაიქნია.

_ კაცმა შეიძლება ამ დროს თავი მოიკლას, _ ანუგეშა მსუქანმა ექიმმა.

ქვევით ქალები ყვავილებს კრეფდნენ.

_ თუ ძნელი არ იქნება, ჩვენც დავკრიფოთ ყვავილები, _ დაწვდა კურელა ყვითელთავას, _ აი ასეთები უყვარდა ელპიდეს, აი მისი დანაც, როგორ უყვარდა საწყალს.

დანა ამობრუნებული ლოდიანის ქვეშ ეგდო, შავი ტარი ჰქონდა და ორი პირი. ალფრედმა ჯიბეში ჩაიდო, მერე ფანქარი აიღო.

_ დღეს რაღაც დაწერა მგონი ამ ფანქრით, _ თქვა მან, მერე ისევ აპარატი მოიმარჯვა და ამოთხრილ ლოდს გადაუღო სურათი.

_ ამღა სად არის? _ მოულოდნელად იკითხა მან.

_ ახლოა, ახიელთან, ორი კილომეტრია, _ უპასუხა გურამმა.

_ საქმე მაქვს იქ. მარშრუტს, ალბათ, ველარ გავაგრძელებთ უიმისოდ, ჰო, ამღაში მაინც ჩავალ, ტიხონოვმა მთხოვა თავისი პოემისათვის რამდენიმე სურათის გადაღება, რომ გაიგებს, როგორ ეწყინება ელპიდეს ამბავი, ახლო იყვნენ ერთმანეთთან.

გურამი უყურებდა და უკვირდა, როგორ ახერხებდა კურელა დარდისა და საქმის ასე საოცრად შეთავსებას. მერე უთხრა:

_ ხევსურები ამბობენ, სოფელში წავასვენოთო ამაღამ, ხვალ კი ბარისახოშიო.

_ არა, არ მინდა. ჩვენ ასეთი პირობა გვქონდა, პირობა კი არა საუბარი, რომ სადმე მყინვარზე დაგვესაფლავებინა ერთმანეთი. აქ საუცხოო ადგილია, მდინარე, კლდე, კლდის ძირში დავასაფლავებ, კლდეში მარმარილოს წარწერას გავუკეთებ შემდეგ. ასე ერჩივნა ელპიდეს.

_ თქვენ?

_ მეც ასე, რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, ელპიდეც ასე მოიქცეოდა, მე რომ შემმთხვეოდა...

სტეფანე კლდის ქიმზე იჯდა და პირდაპირ მთას სურათს უღებდა. «თითქოს სულ არ დარდობს», გაიფიქრა გურამმა.

_ ჩვენ ასე გავზარდეთ შვილები: მოკვდა, ესე იგი მოკვდა, _ ბოდიში მოხადა შვილს კურელამ, _ ჰო, ისინი ასე გავზარდეთ მეც და ელპიდემაც, _ დაამთავრა მან.

გურამმა თავი გაიქნია. ახლა სტეფანე მუცელზე იწვა და წყალსა სვამდა, მერე ადგა. წიწილას გავდა, თმები სველი და აბუზული ჰქონდა. გურამი მიხვდა, რომ ვაჟაც იმასვე ფიქრობდა.

_ მეც ეგრე მგონია, _ თქვა მან.

_ არც მამა და არც შვილი ჯერ აზრზე არ არიან, რა მოხდა, ჯერ ისევ უკვირთ, _ ვაჟა ლოდიანზე ჩამოჯდა.

_ მეც ეგრე მგონია, _ გურამიც ჩამოჯდა ლოდიანზე, მერე რატომღაც მოეჩვენა, რომ თითქოს იმას არ ფიქრობდა, რასაც ვაჟა.

_ მაინც ძალიან ცოტას დარდობენ, არა? _ თქვა გურამმა.

_ ეგრე უნდა, მა რა! აბა რა ქნან, მეც ეგრე ვიზამდი, _ ვაჟამ კურელას ახედა, რომელიც ახლა შავ ცხენს უღებდა სურათს.

_ შენ შეიძლება არ გეტირა, ეგრე კი ვერ გაერთობოდი.

_ ეგ შეიძლება.

_ ჰოდა, ეგ არის ნამდვილი დარდი.

_ მე მგონი სისუსტეა.

_ დარდმა სისუსტე იცის.

_ მაგათმა დარდმა არ იცის, ძლიერი კაცია.

_ მაინც დარდის უნარიც სიძლიერეა.

ვაჟამ თავი გააქნია.

_ ვინც დარდი არ იცის, მან არც მხიარულება იცის, არც რაიმე ძლიერის გრძნობა. მან მხოლოდ გონებით იცის, რომ არის ძლიერი და სუსტი განცდები.

ვაჟამ ისევ გაიქნია თავი, მერე თქვა:

_ ეგენი დარდობენ, ოღონდ ცოტას, მე მაინც მგონია, ჯერ გონს ვერ მოსულან.

_ არც ეგეთი ბავშვია კურელა, _ თქვა გურამმა.

მერე იფიქრა, რომ შეიძლება, მართლაც, მათთვის ამ ამბავში საკვირველი უფრო მეტია, ვიდრე საზარელი. მერე კიდევ იფიქრა, რომ კურელამ მშვენივრად იცის, რომ სიკვდილი არის სიკვდილი. მერე ფიქრს თავი დაანება და ხევსურებისაკენ წავიდა.

_ ხვთისო, _ უთხრა ხევისბერს, _ წერაქვებ მოიღეთ და საფლავი გაუთხარეთ, აქ ითხოვს თავად.

_ ჩავიტანთ სოფელში, არ გვეზარება.

_ აქ ითხოვს თავად.

_ მაგისთვის ჩამოვიდა აქ? იქ წესს მაინც ვეტყვით.

_ არა, აქ უნდა, ამბობს _ მთა უყვარდა, მდინარე უყვარდა, თვითონ მკვდარს ესიამოვნება აქ დასაფლავებაო.

_ მაინც რა უნდოდა აქ?

_ ისე, მოგზაურობდნენ.

_ მთავრობა ფულს აძლევდა, ალბათ.

_ არა, თვითონ.

_ ქალს რაღა უნდოდა?

_ აინტერესებდა.

_ ვალიკო, _ დაიძახა ხვთისომ, _ ეგ ცხენი და სოფლიდან წერაქვებ მაიღ, ბარიც. აქ უნდა დავასაფლაოთ.

_ წაგვეღო ქვევით, ხვთისოვ!

_ აქ უნდა თავად.

ვალიკო ცხენზე გადაჯდა, ხვთისომ წეკო მიაწოდა გურამს. წეკო ფილტვებს წვავდა. გურამს სიამოვნებდა რატომღაც ეს მძიმე ხველება. «ალბათ ჭლექიანებიც ასე ახველებენ», გაიფიქრა. ახლა კიდეგანი სულ ჩამოიბურა და სიცივე წამოვიდა.

_ წვიმა იქნება, _ თქვა ხვთისომ.

გურამმა ხვთისოს დანა გამოართვა, მერე ბუჩქს ტოტი ჩამოაჭრა და გვირგვინის კეთება დაიწყო. ტოტი ადვილად მოიხარა და მართალ გვირგვინს დაემსგავსა. კურელამ კანაფი მოუტანა. ქალებმა გვირგვინზე მინდვრის ყვავილების დამაგრება დაიწყეს. მუშაობის დროს მათ ალფრედმა სურათი გადაუღო. გურამმა ახლა სხვა, უფრო მსხვილი ტოტი მოჭრა, უნდოდა თვითონ გაეკეთებინა ერთი გვირგვინი. ტოტი არ მოირკალა მთლიანად, ნახევარ რკალად დატოვა და ზედ ყვავილების დამაგრება დაიწყო, მერე ვაჟა მოვიდა, თან მთელი იღლია ყვავილები მოიტანა.

_ ახლავე მოგეხმარები მეც, _ თქვა ალფრედმა და ამობრუნებული გორახებისაკენ გასწია, ზორბა სხეულით დაებჯინა ლოდიანს. ერთხანს ასე იდგა. გურამი ქიმის ქვევიდან უყურებდა. მას ახლა მოსწონდა გერმანელი მწერალი, რომელიც ყოველნაირად იკავებდა თავს, რომ თავისი დარდით სხვა არ შეეწუხებინა. კურელა ამ ტრაგედიას უყურებდა მომავლის თვალით, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც დაამშვიდებდა მას, ითვალისწინებდა დარდს პერსპექტივაში.

გურამი ზლაზვნით წავიდა ზევით; იქ საფლავს თხრიდნენ.

საფლავის ერთ მხარეს, ქვევით, წყალი ჩადიოდა, ზევით დიდი ტინი იდგა, რომლის უკანაც იწყებოდა გველის მთა. აქედან მხოლოდ გველის მთის ძირში დაყრილი მთალოდები ჩანდა. ჟინჟღლავდა. ახალგაზრდა ხევისბერი უმოძრაო სახით

ებრძოდა ტინს. მოქნეულ წერაქვს კლდის ოდნავ დაღებულ პირში ურტყამდა, არყევდა ტარით. ერთი პირი ამოამტვრია, მერე ღორღი დაიწყო. ახლა საფლავის ბოლოში ამოვიდა ტინი. ნელა ღრმავდებოდა სამარე. ხვთისომ წერაქვით შემოუარა და ძირი ვერ უპოვა ქვას. უფრო ღრმად შემოუარა, ქვა სიგანეში წავიდა. მეტი თხრა აღარ შეიძლებოდა.

ახლა კიდეგანიდანაც დაეშვა ღრუბელი და გველის მთის ნისლს შეუერთდა. ამ დროს მზე გამოვიდა. ჰაერი დაიხუთა. ხვთისომ ცას ახედა. «წვიმა მოვა», გაიფიქრა გურამმა.

_ სხვა უნდა დავიწყოთ, აქ აღარ მიდის, _ თქვა ხვთისომ.

ვალიკომ დინამიტი მოიტანა.

_ თევზებისათვის მინდოდა, _ თქვა მან.

დინამიტი კლდის ძირში შედეს, ექიმები ქვევით წავიდნენ, იქით ნისლი იყო და აღარა ჩანდნენ. ხევსურები კლდეს ეფარებოდნენ. ვალიკომ პატრუქს მოუკიდა.

კურელა მარტო იჯდა ქვევით ცხედართან და მეუღლის შუბლზე შემხმარ სისხლს უყურებდა.

_ დინამიტი დაუდეს, _ თქვა ყრუდ გურამმა და ჩამოჯდა.

_ ჰო, ჰო, _ კურელამ გურამს შეხედა, _ ახლა აფეთქდება, _ თქვა მან.

ექო კლდეს შეეფერთხა, ლოდიანის ნამტვრევები წუილით ავარდა ჰაერში, მერე ექომ უფრო შორს დაიძახა, მერე უფრო შორს და სადღაც მოკვდა. ხევსურები ამოთხრილ ადგილში მიწას ყრიდნენ, ღორღი არ იტკეპნებოდა კარგად.

_ მზად არის, _ თქვა ხვთისომ და გვერდზე სიპების დაწყობა დაიწყო.

ყველანი ცხედართან მოგროვდნენ. კურელა იდგა და ისევ მეუღლის შუბლზე შემხმარ სისხლს უყურებდა, მერე თქვა:

_ კიდევ კარგი, დაღამებამდე მოვასწარით, მე ძალიან მადლობელი ვარ.

_ იქნებ გამოთხოვება უნდა, _ გურამი ზევით წავიდა. ყველამ ზევით იბრუნა პირი.

_ უკვე, _ თქვა კურელამ _ გამოვეთხოვე.

ცხედარი საკაცეზე დაასვენეს. საკაცე ორი გრძელი ხისგან იყო გაკეთებული და შუაში თოკები ჰქონდა ჩახლართული. კურელას მიცვალებულისათვის სამთო ფეხსაცმელები გაეხადა. ახლა მას ჩუსტები ეცვა. ცხედარი საბანში გაახვიეს, მერე გამჭვირვალე საწვიმარი გადაახურეს. გურამი მიცვალებულის ფეხებს უყურებდა.

_ ფეხსაცმელებს ვინმეს მივცემ, ზოგჯერ მაინც მიხედავენ საფლავს, _ თქვა ალფრედმა.

არხოტის წყლის თავიდან ქარი უბერავდა. ნისლები გადაიყარა. ციოდა. მაგრამ მზე წავიდა. გურამი საკაცეს დასწვდა. ქარმა მოუბერა და საწვიმარი ახადა ოდნავ, მერე საწვიმარი ისევ დააკვდა მკვდარს. გურამმა უკან დაიხია. ყველაფერი ეს მიცვალებულის განძრევას ჰგავდა. ერთი წუთით ეჩვენა, რომ ის გაცოცხლდა. ახლა უფრო კარგად შეიგრძნო სიკვდილი.

_ ხომ არ შეიძლება შეცდომა იყოს? _ თქვა კურელამ და საწვიმარი დაამაგრა.

ექიმმა მკვდარს მკლავი გაუსინჯა, ნახევრად მოხრილი და გახევებული.

_ სიკვდილიდან ორი საათის შემდეგ ხდება ხოლმე სახსრის გაძვალება, _ თქვა მან.

ცხედარი მაღლა ასწიეს და საფლავისკენ წაიღეს. კურელა სურათს იღებდა, მერე საფლავში ჩავიდა და ვაჟას სთხოვა, გადაეღო. ვაჟამ გადაუღო. ახლა ხვთისო პირდაპირ ჩაწყობილ სიპებს ფართო, ბრტყელ სიპებს აფარებდა გარდიგარდმო. აკლდამა უცებ ამოშენდა. მერე მიაყარეს მიწა. ზედ ქვები დააწყვეს. კურელამ გლუვი სიპი იპოვა და დააწერა:

Элпидэ Курелла
(1908 – 1957)

წარწერა გულზე დაადეს, მერე დააყარეს ყვავილები. მათ უკვე მოესწროთ დაჭკნობა. საფლავის გარშემო უაზრო სახეებით იდგნენ ხევსურები. ექიმები თავჩაქინდრული უყურებდნენ დამჭკნარ ყვითელთავებს. ბოხხმიან ექიმს თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი.

_ ის ქვა იქ ჯობდა, _ თქვა მან.

ხვთისომ აიღო და დადო ის ქვა იქ. საფლავი ისევ მოწყენილი ჩანდა. კურელამ ბოხხმიანს შეხედა.

_ თუ შეიძლება, გადაუთარგმნეთ, მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა. მან დაიწყო:

_ ოცი წელია, რაც ელპიდე კურელა ჩემი მეუღლეა, ის ხუთი შვილის დედაა, მწერლის ცოლია, ალფრედ კურელასი. ის თავისთავად ძალიან საინტერესო ადამიანი იყო, ექიმი. ბევრის სიცოცხლე უხსნია მას. ელპიდეს ძალიან უყვარდა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხი და განსაკუთრებით კავკასია, საქართველო. ის აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა და მუშაობდა ექიმად სამი წელი, ის ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი იყო.

ბოხხმიანი თარგმნიდა თავჩაქინდრული, მერე ხმაში ცრემლი შეერია.

_ ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, _ გაიმეორა კურელამ.

ბოხხმიანს თვალებზე ცრემლი მოადგა, მერე ხელი აიღო მაღლა, ჩაიქნია, განზე გავიდა, იქვე დაჯდა და თავი მუხლებში ჩარგო.

_ ეტყობა, დაიღალა დგომით, _ მიჩურჩულა ვაჟამ.

თარგმნა ქალმა განაგრძო:

_ მე უაღრესად მადლობელი ვარ, ხევსურებო, თქვენი, უღრმესად. არც მე და არც ჩემი ხალხი არ დაივიწყებს თქვენს ამაგს, კიდევ ერთხელ გმადლობთ ჩემი და ჩემი განსვენებული მეუღლის სახელით. მოვრჩი, _ თქვა მან.

ხევსურები აიშალნენ. ბოხხმიანი ნელა დაეშვა სოფლისაკენ. სხვა ექიმები უკან მიჰყვებოდნენ. კურელამ კიდევ ერთი სურათი გადაიღო.

_ რა კარგად უჭირავს თავი კურელას, _ თქვა გურამმა.

_ ექიმსაც კი აუჩუყა გული, _ ჩაიცინა ვაჟამ.

_ ჰო.

_ ვითომ კურელაზე მეტს დარდობდა, არა?

_ ჰო.

_ წავიდეთ, _ მოესმა გურამს კურელას ხმა. ბილიკი ისევ ქვიანი იყო, მერე ხევი დაიწყო. ახიელში სამძიმრით შეხვდნენ ხევსურები კურელას და ათენგენში დაპატიჟეს, თან ეუბნებოდნენ, თქვენ მაგის თავი არ გექნებათ, ვიცით, მაინც ამოდითო.

_ სიამოვნებით წავალ, _ თქვა კურელამ, _ საწყალი ელპიდე სულ მაგ დღეობების მოლოდინში იყო, მისი გულისთვის მაინც, ჰო.

_ დილით ერთად ვიყავით, ახლა? _ კურელამ ხელი ხელს მიადო. _ ჰოო, _ თქვა მან.

ბანზე ქვევიდან სიბნელე ამოვიდა. კიდეგანას პატარა მთა ეფარებოდა და ის თვითონ ჰგავდა კიდეგანას. წამოწვიმა, მერე გადაიღო. კურელა მარტო იჯდა, შემდეგ სხვებს სთხოვა მასთან ახლო დამსხდარიყვნენ და საუბარში გაერთო. სტეფანე მოყუჟული უსმენდა მამას.

_ ჯერ კიდევ აზრზე არ არის ბიჭი, _ თქვა ვაჟამ.

გურამი და ვაჟა საფლავის ქვაზე ისხდნენ. საფლავზე ქვები ბევრი იყო, ისინი გაფანტულნი ეყარნენ. ერთი ზევით იჯდა, მეორე ქვევით. აქედან ხეობა მოჩანდა ბილიკის ნაფლეთებით.

_ ცხენებზე სხედან და რა ნელა მოდიან, _ გაეღიმა ვაჟას.

_ აბა რა იქნება. საერთოდ რომ შესხდნენ, გუშინწინდელი ამბის შემდეგ, არ გიკვირს?

_ ჰო, მართლა, მიკვირს, გინდა გითხრა მართალი? ამ ადგილას ხევსურებიც კი ჩამოვლენ ცხენიდან, ყველას რაღაც შიში აიტანს, უფრო ძნელ ადგილას კი აჭენებენ.

_ უფრო ძნელ ადგილას კი.

_ გახსოვს, გუშინწინ, ხატში ყველა რა კმაყოფილი იყო, როგორ იგონებდნენ, რომ თვითონ ცხენით გამოიარეს ეს ადგილი და არ გადმოვარდნენ?

_ ექიმები გახსოვს?

_ აგერ გამოჩნდნენ.

გურამი წამოდგა, მერე თქვა:

_ ხედავ, რა მძიმედ მოდიან?

_ ბიჭო, რაც მაგათ სამძიმარი უთხრეს გუშინ! _ გაიხუმრა ვაჟამ.

_ კურელასი არ ვიცი, მე კი სამძიმრების თარგმნამ დამღალა. მართლა, როცა მოვლენ, ჩვენ იქით წავიდეთ, დაემშვიდობოს უკანასკნელად, მე მგონი, ამის მეტად აღარც ჩამოვა.

_ მეც ეგრე მგონია.

კურელა ცხენიდან ჩამოხტა და საფლავთან მივიდა. სტეფანე უკვე ლოდიანზე იჯდა. ვაჟამ ცხენები ჩამოართვა ორივეს. კიდეგანას ფერდაში ნისლი მიიყუჟა. ჰაერში ნესტი ტრიალებდა. კურელამ სიპზე დაწერილი გაასწორა, «მარმარილოს კლდეში გავაკეთებ», თქვა თავისთვის, მერე დამჭკნარი გვირგვინი აიღო და საფლავზე ახალი ყვავილები დააწყო. «ესენიც ჩქარა დაჭკნება, მაგრამ მაინც», _ თქვა მან თავისთვის, მერე სახე უცებ დაეძაბა, თვალები დაებერა, ნელა მივიდა შვილთან და მხარზე დაადო თავი. სტეფანე მოკუნტული იჯდა. დილით დასველებული თმა აეშალა, სახე გაფითრებული ჰქონდა სიცივისაგან და მზეზე დამწვარი ცხვირი წითლად უპრიალებდა.

_ საწყალი ალფრედი, ახლა დაარტყამს, ალბათ, ელდა, _ თქვა ვაჟამ.

_ ბიჭსაც, ხო იცი.

_ ბიჭი წიწილას დაემსგავსა. ჯერ აზრზე არ არის.

_ წავიდეთ, _ თქვა კურელამ და გაიღიმა. _ აი, იმ ბილიკით რომ წავსულიყავით, არაფერი მოხდებოდა, _ მან გაღმა გაიშვირა ხელი.

ვაჟამ უზანგი დაუჭირა, ის მძიმედ შეჯდა ცხენზე.

_ ქვევიდან რომ მოევლო იმავე ბილიკისათვის, არაფერი იქნებოდა, _ თქვა ვაჟამ.

გზა მთაში წავიდა, მერე თოვლზე გადავიდა და უღელტეხილს შეუდგა. აქ ნისლი იდგა, თეთრი ნისლი. ნისლი ცოტა ნათელიც იყო, სავალი გზა ხუთიოდე ნაბიჯზე მოჩანდა. ქარი ფერდას ურტყამდა, _ ყინავდა, მერე ყინვამ უფრო იმატა. გურამს მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა, ააძაგძაგა და ნაბიჯს აუჩქარა. ვაჟამაც აუჩქარა. ცოტა გახურდნენ, მაგრამ ზევით ქარმა იმატა. ისევ აცივდა ძალიან. უკან დარჩენილი კურელა ცხენიდან ჩამოვიდა. სტეფანეც ჩამოვიდა ცხენიდან.

«ნეტა არ ჩამისწროს ამბავმა თბილისში», ფიქრობდა ალფრედი. «არ მინდა ჩემმა პატარა გოგომ გაიგოს უჩემოდ. ალბათ, თვითმფრინავი იქნება, ხვალვე გადავფრინდები. საწყალი ელპიდე, ვეღარც მარშრუტი გავაგრძელეთ ორმა,

უხერხულიც არის. სად უნდა გავატაროთ შვებულების დანარჩენი დრო? ვნახოთ, შევკრებ შვილებს და მთაში ამოვალთ, უკანა ფშავში. მაინც ამბობენ, იქ მშვენიერი ხედებიაო. იმ ადგილებთანაც ახლო ვიქნებით, სადაც ელპიდე დაიღუპა. საწყალი ელპიდე, მხიარული, გამრჯე დედა, საწყალი».

გზამ ქვევით დაიწყო დაშვება, ნისლები უფრო დაინისლნენ და ჩაწვნენ, ვაჟა და გურამი უღელტეხილის ქვევით იცდიდნენ. აქ ქარი უბერავდა, ციოდა. როცა კურელა მოვიდა, ვაჟამ «შტორმოვკა» ამოიღო ცხენზე გადაკიდებული ზურგჩანთიდან, გურამს გადაუგდო. «შტორმოვკაში» ქარი არ ატანდა და თბილოდა.

_ აქ ცოტა დავისვენოთ, _ თქვა ალფრედმა, მერე საველე ჩანთა გახსნა, _ მოდით აქ, _ დაიძახა მან.

_ აი, ჩვენი მარშრუტი შუაფხომდე, გზაც ესე მაქვს აღნიშნული, აი, ამ შავი ფანქრით ოჩიაურის შენიშვნებია, ხედავთ?

_ ჰო, _ თქვა გურამმა, _ ჯერ რომ შატილით წასულიყავით, ეგ ამბავი არ მოხდებოდა.

_ მაგ «რომ»-ზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგ «რომ»-ების უზარმაზარი ჯაჭვი შეიძლება გაკეთდეს, ასე რომ ჩავყვეთ, მივალთ იქამდე _ «რომ» საერთოდ არ დაბადებულიყო, არც მოკვდებოდა.

გურამი უსმენდა და ხვდებოდა, ასეთი ანალიზი უმსუბუქებდა კურელას დარდს. ამით იგებს ის, ფიქრობდა თავისთვის, რომ არ დაბადებულიყო საერთოდ, არც მოკვდებოდაო. რამხელა გაადვილებაა, მართალიც არის. ვერც ეტყვი ვერაფერს. მაინც არის კიდევ რაღაც სხვა ამ «რომ»-ში, რაც თვითონაც მოსდის. თუმცა ჯერ ისე მკვეთრად არ შემიმჩნევია. არა, ბოლოს, საფლავზე შვილს რომ აკოცა, რაღაც ცრემლივით მოადგა, მაშინ არ იყო მისთვის «რომ» გასაკიცხი, თუმცა, ალბათ, მაშინაც, ნაწილობრივ. ეგ «რომ»-ის შეგრძნება ყველას აქვს, ოღონდ სხვებმა არ იციან, რომ აქვთ. დარდობენ, მერე ეგუებიან. თავისთავად გამოდის ის «რომ», ოღონდ გვიან. მაგან კი იცის. ჰო, სჯობია ცოდნა, ნაკლებს დარდობ. დარდით, რა თქმა უნდა, ვერ უშველი.

წამოჟინჟლა, სადღაც ნისლი გაიხლიჩა და ისევ დაიბურა. ალფრედმა რუკა დაკეცა, ჩანთაში ჩადო, მერე შოკოლადი ამოიღო, ხუთად გაყო, მეხუთედი ცხენის პატრონ ხევსურს მიაწოდა.

_ უთარგმნეთ მას, _ თქვა კურელამ, _ ჩემს ოჯახს ელპიდესთან ერთად სიარულის დროს ასეთი ჩვეულება გვქონდა _ უღელტეხილს გადავიდოდით თუ არა, შოკოლადი თანაბრად უნდა გაგვეყო. ახლაც ვაგრძელებთ. ჰო.

ვაჟამ ღიმილით უთარგმნა.

_ თქვენც უთხარით, _ ენის ბორძიკით თქვა ხევსურმა და გაიცინა. _ თქვენც უთარგმნეთ: ხევსურებს სიარულის დროს ეგეთი ჩვეულება გვაქვს, დილიდან დაღამებამდე არაფერი არა ვჭამოთ-თქო.

ვაჟამ თარგმნა.

კურელას გაეღიმა.

_ წავიდეთ, _ წამოდგა ის.

გზა ქვევით ეშვებოდა, ნისლი ზევით დარჩა. ქვევით მზე იყო და ცხელოდა. გურამმა ისევ გაიხადა «შტორმოვკა». აქ ბილიკი მიდიოდა. გურამს ალფრედის ცხენის ლაგამი ეჭირა და ისე მიჰყვებოდა გზას.

_ მე მაინც მომხრე არა ვარ მდიდრული გასვენებისა, _ დაიწყო ალფრედმა რატომღაც. გურამი ჩუმად მიდიოდა. _ ვის რას რგებს, _ განაგრძობდა კურელა.

მკვდარს რას უშველი მაგითი? ვერაფერს, სიკვდილი ხომ სიცოცხლესთან ერთად იბადება, მე ასე მწამს, შვილები უფრო მკაცრად აღვზარდეთ, მაგ პრინციპით.

_ ჰო, ეგ სწორია, _ ხელი გაუშვა ლაგამს გურამმა. _ მაინც არის რაღაც, ასე რომ არ იყოს, რატომ გინდათ ხელმეორედ ამოსვლა და მარმარილოს დაფის გაკეთება? ცოტა ხარჯია ან წვალება?

_ შესაძლოა, შენც მართალი ხარ, მაინც არის რაღაც. აი, ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ისე რომ იმას თავს დავანებებ, რაზეც ახლა ვსაუბრობდით. ის ამბავი ძალიან გვაინტერესებდა მაშინ ყველას. ამ ბოლო ომზე მინდა გითხრათ. ბოლოს იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი თაობა, როცა ომს ახსენებს, გულისხმობს პირველ მსოფლიო ომს, მეორე გაგრძელებასავით იყო. მე ისევ გადავუხვიე. მაშინ, ორმოცდახუთში, ზავის დადებამდე, ვიღაც დაეცა ბოლო ტყვიისაგან, ყველამ გაიგო მისი სახელი და ხალხს განსაკუთრებით ეცოდებოდა. მე მაშინ ვამბობდი: რაღა «ის» არის საწყალი და არა ის, რომელიც ომის დასაწყისში მოკვდა ან შუაში, ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო ბოლო, არა?

_ აკი იყო, ყველაზე საწყალიც იმიტომ იყო, რომ ის ბოლო იყო და მისი სახელიც ყველამ გაიგო. ხალხს არ შეუძლია იდარდოს ყველა ერთად, ამიტომ დარდობს იმას, სწორედ იმას, ვინც რაღაცით გამოირჩევა, იმიტომ რომ «ის» თავის სიკვდილით განსხვავდა სხვებისაგან. მთელი ომის უბედურებაც იმ ერთის სიკვდილში გადააქვთ. მართალია ხალხი. თქვენც ხომ იმსჯელეთ იმაზე? ალბათ, თქვენც გულის სიღრმეში რაღაც იგრძენით.

ახლა გზამ სულ გაივაკა და ბილიკზე გადმოგდებულ ფშანს შეუერთდა.

_ გახსოვთ რემარკის წიგნი? _ განაგრძობდა გურამი, _ როგორ ადის ხოლმე გრძნობა გონებაზე მაღლა.

_ ჰო, მაგრამ კარგად აღარ მახსოვს.

_ გრებერი იჯდა ვაგონში და ჯარისკაცების ლაპარაკს უგდებდა ყურს. არავის არ უნდოდა ფრონტზე წასვლა, თან ყველა ბრაზობდა, რომ მატარებელი წასვლას იგვიანებდა. ლოდინი აგიჟებდა ხალხს. ვიღაც მსუქანი ფანჯარაში იყო გაჩრილი და ცოლს ელაპარაკებოდა, ქალს ორი ბავშვი ეჭირა ხელში. მატარებელი დაიძრა. გრებერი ფანჯრის ღიად დარჩენილი ნაწილიდან ხედავდა ბაქანს. უცებ სადღაც კუთხეში თვალი მოჰკრა ელიზაბეტს, რომელიც ცხვირსახოცს უქნევდა მატარებელს. გრებერი ეცა ფანჯარას, მატარებელმა სვლას უმატა. მსუქანი არ შორდებოდა თავის ადგილს. ატყდა ბრძოლა, მსუქანი არ თმობდა ადგილს, გრებერი ეწეოდა უკან, უნდოდა, უკანასკნელად დაენახა ის ელიზაბეტს, გაეგებინებინა, რომ თვითონაც დაინახა. უცებ ინანა, რომ გაცილება აუკრძალა. რა სისულელე მოუვიდა! ახლა შორდებოდა და ვინ იცის... «ელიზაბეტ, ელიზაბეტ!» _ ყვიროდა მთელი ხმით და ცდილობდა ფანჯარაში ხელი მაინც გაეყო, დაექნია. მისი ხელი ქანაობდა სხვა ხელებთან ერთად. ბაქანი სიბნელეში გაეხვია, ელიზაბეტმა ვერ დაინახა...

გურამი ლაპარაკით გაერთო, გრძნობდა, რომ ცივი გონებით იმდენივე იცოდა სიკვდილზე, რაც იმან, კურელამ, და მაინც განიცდიდა სიკვდილს. ცხადია, ცივი გონება ხელს არ უშლიდა განცდის უშუალობაში. ასე მოუვიდა გრებერსაც. ახლა ის წინ მიდიოდა, ცხენზე მჯდომი ალფრედი უკან მოიტოვა. ქვევით როშკა მოჩანდა. ,,არა ღირს გაჩერება», გაიფიქრა მან და გზა განაგრძო, როშკა გვერდით დარჩა, ბილიკი პირდაპირ მიდიოდა და ეშვებოდა სამანქანო გზაზე. შარაზე ცხენოსნები დაწინაურდნენ, ხევსურიც წინ წავიდა. ვაჟა და გურამი ნელა მიჰყვებოდნენ უკან.

_ ვერ ვიტან ფეხით სიარულს, სადაც მანქანით შეიძლება, _ თქვა ვაჟამ.

_ მეც, _ თქვა გურამმა.

«კოლმეურნემ» ასფალტზე ასი უჩვენა და ერთ საათში თბილისში იყო. გვერდები ღია ჰქონდა მანქანას, ცხელი ჰაერი ურტყამდა ალფრედს. სტეფანე ქვევით იჯდა.

_ ესეც თბილისი, _ თქვა ვაჟამ.

_ ჩქარა მოვედით, საერთოდ აქ კარგი შოფრები არიან, _ გურამმა მძღოლს გადახედა.

_ მაგათ ვერ გააკვირვებ, _ თქვა მძღოლმა ქართულად, მერე კურელას გაუღიმა. _ ინტურისტთან, არა? _ იკითხა.

_ პავილიონში, ქვევიდან, _ კურელამ სახე წინ წამოსწია და ქუჩას მიაშტერდა, პავილიონის კარები დიდი იყო და უჭრიალოდ გაიღო.

_ თქვენ?! _ დაიძახა მომვლელმა ქალმა, თავი კარის რაფას მიადო და ატირდა. ალფრედი გაოცებული უყურებდა მას. გურამი და ვაჟა წინ წავიდნენ. უზარმაზარი სასტუმრო ოთახის შემდეგ საწოლი ოთახი იწყებოდა, იქ დააწყვეს ბარგი. ოთახი მოხერხებული ჩანდა საწოლად. ლოგინის თავზე ქალის კაბა და გრძელი ყვავილებიანი ხალათი იყო გადაკიდებული.

_ აი საწოლები, _ თქვა ვაჟამ, _ აქ იწვნენ ისინი ბოლო ღამეს.

გურამი და ვაჟა სასადილოში გამოვიდნენ. იქით კუთხეში დიდი სარკეები იდგა. «რა ჭუჭყიანი ვარ», გაიფიქრა გურამმა. სარკეში საწოლი ოთახი ჩანდა თავის სარკიანად. იმ სარკეში კი სასადილო. სასადილოში ბიჭები ისხდნენ. კიბეებზე მსუბუქად ამოვიდა ალფრედი, სწრაფად მოათვალიერა სასადილო და საწოლში შევიდა. საწოლის კარები ღია იყო, სასადილოს სარკეში ჩანდა: ალფრედი იდგა გაშეშებული, მარტოკა, და იმ საწოლს უყურებდა, რომელზეც ქალის კაბა და ყვითელყვავილებიანი ხალათი იყო გადაკიდებული. გურამმა რაღაც იგრძნო ტკივილივით. იქით ოთახიდან ხმამაღალი ქვითინი მოისმა. სარკეში ჩანდა: ალფრედი დაეცა საწოლზე, აღრიალდა. ის ტიროდა, ხმამაღლა ქვითინებდა და ზორბა მხრები უძაგძაგებდა.

_ ხომ გითხარი, დაარტყამს_მეთქი, _ თქვა ვაჟამ.

გურამმა სარკეს ზურგი შეუბრუნა და პირდაპირ დაიწყო ოთახში ყურება. კურელამ თავი ასწია, მერე წამოდგა, აქეთ ოთახში გამოვიდა.

_ ჰო, _ თქვა მან. _ ასე... აღარ არის ელპიდე, მისმა შვილებმა კი არ იციან ეს. სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს დეპეშები გერმანიაში.

[1957წლის აგვისტო]

“ზღვა არცთუ ისე ღელავდა...”

ზღვა არცთუ ისე ღელავდა და ტალღები იყო ხშირი და პატარა. ცაზე ღრუბელი ჩანდა რუხად, მისგან წყალსაც ნაცრისფერი ჰქონდა, ნაპირიც ჩაბურული იყო. ნაპირზე ლოდებს შუა ქვიშა ეყარა, მერე კლდიანი ფერდა იწყებოდა მწვანე ტყემდე. ერთ ლოდიანზე ორი შარვალი ეგდო და ერთი მწვანე ხალათი, ქვევით ქვიშაზე ფეხსაცმელები ეყარა, იქვე ეგდო მეორე ხალათი, დიდ კარტუზიანი ქუდი და წინდები. ტალღები თითქმის ხალათამდე უწევდნენ, შემდეგ ქვიშაში ჩადიოდა მლაშე წყალი, ისევ გადმოდიოდა ხალათამდე და ცოტას ასველებდა, ხან არ ასველებდა. ხალათი იყო მოწითალო, მხოლოდ მისი წყლისაგან დასველებული ნაწილი ყავისფერი ჩანდა.

შორს, იქით, ზღვა იყო რუხი.

ტალღები არ იყო დიდი.

მხოლოდ წყალი მოჩანდა უსასრულო, წყნარი და საშიში.

ნაპირიდან შორს არაფერი არა ჩანდა, არა ჩანდა იმიტომ, რომ შორს საერთოდ ძნელია რაიმეს დანახვა, არც იყო რაიმე დასანახი. იქ ერთი იხრჩობოდა, მეორე კი მოცურავდა. ის, რომელიც იხრჩობოდა, მარცხენა ხელით იყო ჩამოკიდებული იმის მხარზე და მარჯვენა ხელ-ფეხს გაჭირვებით უსვამდა. მარცხენა ფეხის ტერფი მოკრუნჩხული ჰქონდა; მერე შეუმჩნევლად მუხლიც მოეკრუნჩხა. ტკივილმა იმატა და მარჯვენა ფეხზეც გადავიდა. ის, რომელიც მოცურავდა წყალზე, მხოლოდ ნახევრად იწვა. ფართე, ირიბად დაქანებული პირით ღრმად ისუნთქავდა ჰაერს, ამოსუნთქული ჰაერი წყალში შედიოდა, მერე ბუშტებად ამოდიოდა ზედაპირზე. გრძელი თმები პირში ჩადიოდა, შემდეგ წყალში იშლებოდა და შესუნთქვისას ისევ ეკრობოდა სახეზე. სახე გვერდზე ჰქონდა მოღრეცილი. თმებისგან თვალები თითქმის არ უჩანდა. «გავიყვან თუ არა», ფიქრობდა. ის კი სულ მძიმე ხდებოდა. სულ უფრო მაგრად გრძნობდა მის ხელს მხარზე. მერე ხელმა ზევით აიწია და კისერზე დააწვა. ტალღები კი ადიოდნენ მაღლა ოდნავ, აკეთებდნენ პატარა ღარს, მიდიოდნენ ნაპირისკენ. ნაპირზე ლოდები ეყარა და ისევ უკან აბრუნებდა ტალღებს.

მარჯვენა ხელი ახლა უფრო მჭიდროდ მოეხვია ყელს. ყელი დაიძაბა. «გავიყვან თუ არა», ფიქრობდა ის, მერე უფრო მოეხვია ყელს და ნელა დაძირა. თმები წყალში გაიშალა, მერე წყლის ზევით ამოსულ სახეს მიეკრა. ახლა თვალები მთლიანად დაფარა. რუხი შავად იქცა. მან ცალი ხელი ტალღებს გაუშვა, ძლივს გადაიწია თმა უკან. უცებ ჩაიძირა ორივე წყალში. ახლა მას მისი მარჯვენა ყელზე უჭერდა, ხოლო მარცხენა მაჯაში ჩასჭიდებოდა და სძირავდა. «გონება დაკარგა, მახრჩობს», გაიფიქრა მან. სცადა ხელის განთავისუფლება, ხელმა მაჯაზე უფრო მოუჭირა. «მეც მახრჩობს», გაიფიქრა ისევ და დაქაჩა. ისევ ჩაიძირნენ ორივენი წყალში. მერე მაჯა გაითავისუფლა. გაცურა. ისევ ჩამოეშალა თმა. ნელა წავიდნენ ქვევით. ახლა თმებში სტაცა მან ხელი. მლაშე წყალი სამ მძიმე ყლუპად გადავიდა ყელიდან მუცელში. «მეც მახრჩობს, მახრჩობს, მახრჩობს», დაუტრიალდა თავში და თავისუფალი ხელი მუცელში ჰკრა. უფრო ქვევით წავიდნენ. უფრო მაგრა მოუჭირეს მაჯაში. კიდე ჰკრა მუცელში ხელი, მერე ფეხი. ახლა ყელი გაუთავისუფლდა, შემდეგ დაბნელდა. ერთი ნელა ჩაეშვა კიდევ უფრო ქვევით, მერე წყლის შუაში გაჩერდა, მერე სულ გაჩერდა. მეორის ფეხები კი რამდენჯერმე მოიხარა, დაეხეთქა წყალს და ზევით წავიდა. იქ, ზედაპირზე, ზღვა რუხი იყო და იყო ჰაერი. ჰაერი უჩვეულოდ დიდი, ვრცელი, ცივი და გემრიელი. აქ იყო ჰაერი. ის ფილტვებში ჩადიოდა. გულს ამუშავებდა. გული სცემდა ჩქარა, ხმაურით. «გავცურავ, გავცურავ», ფიქრობდა ის. იწვა წყალზე. მიცურავდა.

ზღვა კი არცთუ ისე ღელავდა და ტალღები იყო ხშირი და პატარა.

სადღაც ლოდიანი ნაპირი მლაშე წყალში ჩადიოდა. მერე ეყოფოდა. ზევით კლდიანი ფერდა ადიოდა, ქვევით დიდ ლოდზე ისევ ეყარა ტანისამოსი, ქვიშაზე დაგდებული მოწითალო ხალათი დასველდა. ის სულ ყავისფერი ჩანდა. ახლა ტალღა უფრო ზევით იწევდა. ნელა იჟღინთებოდა წყლისგან ფეხსაცმელიც, შემდეგ ხალათი ამსუბუქდა ტალღაზე, ტალღა წავიდა ზღვაში და ის ისევ მიეკრო ქვიშას. შემდეგმა ტალღამ უფრო აამსუბუქა ის, მერე ისევ მიეკრო. როცა ტალღა მთლიანად შევიდა შიგ, ხალათი აიწია წყალზე და გაჰყვა ზღვაში. ზღვა რუხი და დიდი იყო. ხალათიც გახდა რუხი, ზღვისფერი, დიდი და უჩინარი.

ის იდგა იქვე ახლო ლოდიანებთან, მუხლამდე წყალში, და გრძნობდა, რომ გადარჩა. გრძნობდა, რომ გადარჩა. მეტს ის ვერაფერს ვერა გრძნობდა. მერე კიდე

იგრძნო, რომ გადარჩა, «გადავრჩი», გაიფიქრა. და კიდევ გაიფიქრა, რომ უსათუოდ უნდა გადარჩენილიყო და ამაში არ იყო არაფერი საკვირველი. «რა საკვირველია, როგორ გადავრჩი», ფიქრობდა მისი გონება. მერე ფეხები წყლიდან გამოვიდნენ. ის ლოდზე ეგდო და მძიმედ სუნთქავდა. ლოდი დასერილი იყო. ზურგს უჭრიდა. ის ღრმად ქშინავდა და ვერაფერს ვერა გრძნობდა, მერე იგრძნო და გადმოწვა ქვიშაზე; ქვიშა იყო რბილი და მაგარი. ის იწვა. ქვიშა რბილი იყო და არ იძირებოდა ქვევით. ტალღა კი ხან მატულობდა და ხან კლებულობდა. შემდეგ იმატა. წყლის მოხვედრისაგან ის წამოჯდა და ზღვაში დაიწყო ყურება. იქ არაფერი არა ჩანდა. ის წამოდგა და ორჯერ დაიყვირა. ხმა შორს გაიშალა სუსტად. «არ ღელავს», გაიფიქრა მან. მერე ძუნძულით გაიქცა ნაპირზე.

«უუ», ყვიროდა ის, შემდეგ კლდეს აუყვა. კლდე წვეტიანი იყო და ფეხებიდან სისხლი სდიოდა.

«ოო», ყვიროდა ის.

იქ არავინ არ იყო. ახლა ისევ ზღვისკენ გაიქცა. შეცურა და ისევ გამოვიდა. «დაიხრჩო, დაიხრჩო, შეიძლებოდა გამომეყვანა», გაურბინეს თავში. ახლა გონება მუშაობდა. «იმისი ბრალი იყო», ფიქრობდა ის. «ისე შორს არ უნდა შესულიყო, მერე მაჯაში მტაცა ხელი», გონება მუშაობდა. «ჩემი ბრალია, არ უნდა შევყოლოდი, იმისი ბრალი იყო, არ უნდა ეტაცა ხელი მაჯაში, არ უნდა ეტაცა, მეც ვიხრჩობოდი, არა, ჩემი ბრალია, უნდა დამერტყა მუცელში, ის გონებას დაკარგავდა, დავარტყი კიდეც, შემდეგ თმებით უნდა გამომეთრია. ჩემი ბრალია, ჩემი, არა, იმისი ბრალია, მე ძალა აღარ მეყო, მე ძლივს გამოვედი, ხო, რაც შემეძლო, მომყავდა, რაც შემეძლო, მაინც უსინდისო ვარ, როგორ, ჩემ გვერდზე დაიხრჩო, ნეტა მეც დავმხრჩვალიყავი, ნეტა. მაგრამ არ დავიხრჩვი. როგორ გავარტყი მუცელში ხელი და დავტოვე, თუმცა რა მექნა, არა, იმისი ბრალიც არის, იმისი ბრალიც კი არა, იმისი ბრალია, თუმცა რა ექნა, დაიღალა, აღარ შეეძლო, დაიხრჩო. მე შევძელი და გამოვცურე, რა ჩემი ბრალია, ის ვერ გამოვიყვანე, ხომ მინდოდა, მომყავდა, მერე ის მეც მახრჩობდა, ის დაიხრჩო, მეც ხო არ დავიხრჩობოდი, ჰა, რო დავმხრჩვალიყავი»?

ის წამოხტა და ისევ დაიწყო ყვირილი. ხმა ზღვაში იკარგებოდა. არავინ არის ახლო, ესეც ბედია, ის დაიხრჩო, მკვდარსაც ვერ იპოვიან, მე გავუკეთებ საფლავს, ზედ დიდ ლოდს დავდებ მისი პროფილით, რა პროფილი ჰქონდა მერე, კეხიანი ცხვირი და დიდი შუბლი, ნეტა მეც დავმხრჩვალიყავი, ალბათ არ შემეძლო დახრჩობა, არც მესმოდა არაფერი.

ზღვა უფრო რუხი ხდებოდა, ღრუბელი შავი იყო, კლდეც მოშაო გახდა. ჩამოიბურა. ის იჯდა და არაფერზე არა ფიქრობდა, მერე გაიფიქრა, «რა ნათელი ღამე იცის ზღვაზე ღრუბლიან ღამეშიც კი, ნეტა ტანისამოსი სად არის». ტანისამოსი ლოდზე ეყარა. ის მივიდა და ჩაიცვა. ჯიბეში, მოაგონდა, რომ პაპიროსი ჰქონდა, მაგრამ ის იქ არ იყო, მერე ხალათი მოსინჯა და პრიმა ამოიღო, ასანთი ნესტიანი იყო და არ ეკიდებოდა. «რა ვუთხრა სახლში, საერთოდ როგორ მოვყვე. დაიჯერებენ ნეტა? ჰა? იქნებ არც დაიჯერონ. მაშინაც ასე იყო. მანქანა მე მომყავდა, რეზო მოკვდა. ის ჩემ გვერდზე იჯდა, მე გადავრჩი. თუმცა მე დავეჯახე პირველი სუდაბეკერს. მერე ვიჯექი, ციხე. ახლა ისევ მარცხი. თუმცა მანქანა სხვაა. მაინც ვინ დამიჯერებს. ის უკვე დაიხრჩო, მე კი, მე კი შეიძლება, არ ვიცი. ჰო, შეიძლება ისევ მომიწიოს. როგორ ვთქვა ხალხში, ან რომ ვთქვა, რას ვუშველი, ჯობია კიდეც, არა ვთქვა. სანამ მკვდარს არ ნახავენ, ყოველთვის იმედი აქვთ, რომ ის ცოცხალია, ცოდოა მაგის დედ-მამაც, ჯობია დაკარგული ეგონოთ, ვიდრე მკვდარი. საწყლებს მეტი არავინა ჰყავთ. ხო, ჯობია, ჩემთვისაც ჯობია, თუმცა მე რა შუაში ვარ, მე გინდა გამჭორონ, გინდა

დამიჭირონ, ხალხს ვინ დააჯერებს, რომ იქ არ შეიძლებოდა იმის გადარჩენა, ყველა იფიქრებს, რომ მე მშიშარა ვარ, დედალი. ის დაიხრჩო, მე კი გადავრჩი, მე კი გადავრჩი. ხო, შეიძლება მეც ეგრე მელაპარაკა სხვაზე, მეც ეგრე მელაპარაკა სხვაზე, როგორც ჩემზე ილაპარაკებენ. შეიძლებოდა სწორიც ყოფილიყო. ისევ ჩაიყო ჯიბეში ხელი, პრიმა ამოიღო. ასანთი ნესტიანი იყო და არ მოეკიდა. მხოლოდ ოდნავ გაჰკრა ნაპერწკალმა სიბნელეში. ისევ ჩაიდო ხალათის ჯიბეში და რაღაც უსიამო გრძნობამ აიტანა. მის ხალათს ჯიბეები არა ჰქონდა. ამას კი ჯიბეები ჰქონდა და იმისი იყო ვინც დაიხრჩო. არც ლოდზე, არც სილაზე თავისი ხალათი არ იყო. ისევ აიტანა შიშმა. არ იცოდა რითი წასულიყო, წასულიყო ტიტველი, უარესი იყო, მისი ხალათით წასულიყო, უფრო უარესი. ისინი ერთად წამოვიდნენ, ისე კიდე იტყოდა, რომ ის მარტო წავიდა. თვითონ კი არც უცურავია, სოფელში იყო ან გოგოსთან პაემანზე. ახლა, ახლა კი ყველაფერი ცხადი გახდა სხვისთვისაც.

«რა ბნელია ზღვა», გაიფიქრა რატომღაც. მერე იმისი ხალათი გაიძრო, შიგ მისი შარვალი და ფეხსაცმელები შეახვია. ზღვა მართლა ბნელი იყო, ცა მოიწმინდა და ქარი სულ ჩადგა. იმას გახვეული ტანისამოსი ხელში ეჭირა. ზღვის ხმაური ნელა წყდებოდა. გზა ჯერ კლდიანი იყო, მერე მწვანე ტყე იწყებოდა. ის ახლა შავი ჩანდა და საშიშად შრიალებდა.

[1957 წლის სექტემბერი]

"ახლა ჭალაში ჩავიდა მოტოციკლეტი..."

ახლა ჭალაში ჩავიდა მოტოციკლეტი. ჭალიდან გზა უფრო ქვევით ჩაეშვა ხევში. გურამმა პირველ სვლაში გადააგდო. მოტორი ახრიალდა. მძიმედ ჩაგორდა დაღმართზე. ხევში გზა სწორი იყო, მაგრამ გაფუჭებული. გურამმა გამომთიშავს ხელი მოუჭირა და მეორეში გადააგდო, მერე მესამეში. მსუბუქად დაიწყო ხტუნაობა მანქანამ რიყის ქვებზე. ყველაზე მრგვალი ქვები შინებს ქვევიდან შხრიალით ვარდებოდნენ. ერთი, ნახევრად მრგვალი, ყველაზე შორს გახტა და გუბეში ჩავარდა. გუბე ძველი იყო და აშმორებული. შმორის სუნი პატარა ტალღამ ცოტა გაფანტა. მერე ის ისევ ჩაიბურა. დადგა. კოღოები ისევ დაასხდნენ მიმპალ ფოთლებს. მოტორი კი ისევ გრიალებდა, ოღონდ ახლა უფრო მსუბუქად მიდიოდა წინ. წინ ხევში უკვე ბინდი დაწვა. ზევით ტყის ნახევარი განათებული იყო. მზე სულ შორიდან ანათებდა. ფოთლები მოჩანდა ჭრელი, წითელი, ყვითელი, მაგრამ მწვანე არა. ქვევით ჩრდილი იყო და ტყე რუხი ჩანდა. წინ ხეობა უკვე ბინდში ეხვეოდა. მერე მზის ზოლმა უფრო ზევით აიწია.

მოტორი გრიალით მიდიოდა.

«ნეტა ხევში არ დამიღამდეს», ფიქრობდა გურამი.

რაღაც ხმაურობდა მოტორში მუშაობისას. ხან გაჩერდებოდა, შემდეგ ისევ ხმაურობდა. «სტუკი აქვს მურტალი, ნეტა ხევში არ გამიჩერდეს», ფიქრობდა გურამი.

გზა ზევით ჩაშლილი იყო და ქვევით ხევში წყალი მოდიოდა. წყლის იქით გრძელდებოდა რიყის შარა. წყალი გამჭვირვალე იყო. შიგ ბრტყელი ქვები და მრგვალი ქვები მრგვალად მოჩანდა. მოტოციკლეტი იდგა ნაპირთან. მოტორი გამოთიშული იყო და ისვენებდა. გურამი წყლის ნაპირას იჯდა. წყალი ტყიდან მოდიოდა. ტყე ბნელად იყო განათებული. სინათლესავით გამოდიოდა წყალი იქიდან. ის გამჭვირვალე იყო და ბრტყელი ქვებიც მრგვალი მოჩანდა. წყალი ცივი იყო, გემრიელი. გურამი იჯდა მის ნაპირას და ფიქრობდა. «ალბათ მოტორმა უკვე

დაისვენა, ახლა ვცდი გასვლას, თორე დამიღამდება ხევში, ნეტა არ გამიჩერდეს წყალში».

უცებ ადგა და დასაქოქს ჩამოჰკრა, როცა კიდე ჩამოჰკრა, ჩაირთო. ადგილზე ათუხთუხდა მოტორი. «სტუკი აღარა აქვს», გაიფიქრა გურამმა. მერე ჩუმადა თქვა, «ეშმაკ, ეშმაკ, გამიყვანე, ეშმაკ, ეშმაკ, გამიყვანე». თავის ნათქვამზე გაეღიმა, შემდეგ გადაჯდა, პირველ სიჩქარეში ჩააგდო. ნელა შევიდა წყალში მოტოციკლეტი. ქვევით სველი კენჭები სხლტებოდნენ, საჭე ძნელი დასაჭერი ხდებოდა და ცურავდა ხელიდან.

«გავედი», თქვა გურამმა ხმამაღლა, როცა გავიდა.

[1957 წლის შემოდგომა]

<u>ს ე ი თ ა</u>

სეითა, თექაში გახვეული, კლდის ნაპრალში იყო შეყუჟული. გაზუმპული მეცხვარული ბოხოხიდან დიდი წვეთები ჩასდიოდა კისერში. კისერი ჭუჭყიანი და აქირცნილი ჰქონდა, თექა ეხახუნებოდა დახორკლილ ტყავს. წინიდან კი ქარი სახეში ურტყამდა წვიმას. ერთმანეთს მიკრული ცხვარი კანკალებდა, მეხი იქვე კლდეებს ეცემოდა და შეშინებული პირუტყვი უფრო მაგრა ეკვროდა ერთმანეთს. სეითა კი იდგა კლდის ნაპრალში მარტო, უყურებდა ცხვარს. იმან არ იცოდა რომ ციოდა, არც ის იცოდა რო უკვე სულ სველი იყო. ასე იყო ის ყოველდღე, რაც ფეხი აიდგა მის შემდეგ. სეითას ტანი კანკალებდა, თვითონ კი ფიქრობდა, «ჩემი ცხვარი ხუთასცამეტია, ეს ოხერი ნადირი თუ მოვიდეს, დარჩება ხუთასთორმეტი, ან უფრო ცოტა, მერე რა ვუთხრა ბრიგადირს, თან ცხვარიც ცოდოა». ქუხილმა იმატა, მერე სეტყვა მოაყარა ფერდას. «ჩქარა დაღამდება», გაიფიქრა სეითამ და ცხვარს დაუარა. ნელა დაძრა ფარა ბინისკენ.

_ სუყველაა? – კითხა ბრიგადირმა

_ იახში, არის, – თქვა სეითამ და ცხვარი ბაკში შედენა, მერე თვითონ ბინაში შევიდა, კედლიდან გუდა ჩამოიღო: უმადოდ დაიწყო ამოღებული გორდილას ლოღვნა. დიდ გობში კალტი ეგდო, ის მიატანა ცივ მოხარშულ მჭადის ფქვილს.

_ ძაღლი ყეფს, ნახე, – ყრუდა თქვა ბრიგადირმა და ისევ გაეხვია ნაბადში.

სეითა გარეთ გავიდა, იქ ისევა წვიმდა და საჭმელი დაუსველდა. ახლა უფრო გემრიელად დაიწყო ლოღვნა.

_ არაფერია, – თქვა შემოსულმა სეითამ და თექაზე მიწვა.

_ აქაც წვიმს, _ თქვა ბრიგადირმა, მერე ნაბდიდან წყალი გადაიბერტყა.

ღამე წვიმამ გადაიღო, ღრუბელმა გადაიყარა. ნაწვიმარ ჰაერში ვარსკვლავები მკვეთრად ატანდნენ. ისინი ძალიან, ძალიან ბევრნი იყვნენ – ეს იცოდა მათ შესახებ სეითამ, ის ღია კარებიდან იყურებოდა ცაში და ფიქრობდა, «ღამე თუ ნადირი მოვიდეს, საქონელს წაიღებს, ბათო კი კარგი ძაღლია, უსუფაც კარგი ძაღლია». ის იწვა, ხან ხუჭავდა თვალებს, ხან აღებდა პატარა ხმაურზე ან ძაღლის ყეფაზე. სეითას ეძინა. იმას ყოველთვის ასე ეძინა და არ იცოდა, რომ შეიძლებოდა სხვანაირი ძილი.

დილით მზის ამოსვლამდე თენდებოდა მთაში. სეითა გორდილას ლოღნიდა და ბაკიდან ერეკებოდა ცხვარს. ცხვარი მწკრივზე გაშლილი გარბოდა ოთხ_ხუთ რიგად. სეითა ითვლიდა, მერე იწყებდა კივილს, სტვენას. წინ წასული თხები მწყემსის ხმაზე ბრუნდებოდნენ წყლისკენ; ფარა ნახევარი საათი სვამდა წყალს. მწყემსი ისევ კიოდა, შემდეგ ჩუმად მიჰყვებოდა უკან ფერდას შეფენილ ფარას. ცხვარი სულ ზევით

მიდიოდა იალაღის წვეროებისკენ, იქ უკვე მზე იყო. სხივები ცხვრის მატყლს ეხვეოდა შუადღისთვის. ცხვარი ერთმანეთს ეკვროდა, თავს მეორის ჩრდილში აფარებდა და მძიმედ იწყებდა სუნთქვას. მზე სეითასაც ურტყამდა თექაზე, უხურებდა დიდ ბოხოხს. ის ყველაზე მაღალ ადგილას იჯდა და დროდადრო უსტვენდა ცხვარს ხმამაღლა. ცხვარი თავს წევდა მაღლა.

_ მეე, – იძახოდა რომელიმე. სცხელოდა ცხვარს, სცხელოდა სეითას, არც სეითა იხდიდა თავის ბოხოხს და თექას, ვერც ცხვარი იძრობდა მატყლს. მზე უფრო აჭერდა. სეითას უხურდებოდა ხერხემალი, მერე მთელ ტანში უდგებოდა ნელი სითბო. ის იზმორებოდა. სითბო ემატებოდა ტანს, დიდ დაკოჟრილ ხელს უსვამდა ბარძაყებს და სიამოვნებდა. შემდეგ უფრო მაგრა იზელდა, ტანი მთლიანად დაძაბული ჰქონდა, ხერხემალში ნახევარ რკალად მოხრილი იჯდა და სახეზე ახურებდა. სხეულში რაღაც ივსებოდა პირამდე და იცლებოდა. მსუბუქად დგებოდა სეითა, ისევ უსტვენდა ცხვარს. იქითა ფერდას ქარი ურტყამდა, იქ გრილოდა და გაშლილი ცხვარი დაღამებამდე ჭამდა ბალახს.

აგვისტოს ბოლოს პარსვა დაეწყო ცხვარს. ახლა სეითა კანტორისკენ მირეკავდა ყოველდღე ფარას. აქ საპარსავში მანქანები იდგა ელექტრონის, ხმაურით სცილდებოდა მატყლი ხორცს. გახვლეპილი ცხვრები კუნტრუშით მირბოდნენ ადრევე გაპარსულებისაკენ. სამი ცხვარი აქ დაკლეს, საპარსავში, ახლა ფარაში ხუთას ათი დარჩა. უმატყლო პირუტყვი მთელი ღამე ძაგძაგებდა, დღისითაც ციოდა, როცა წვიმდა, მაგრამ ერთ კვირაში მატყლი წამოვიდა და ისევ დაათბო. ახლა ნერბვა დაეწყო ცხვარს. სეითა ყოველ დილას სანერბეში მირეკავდა ფარიდან ოცდაათ-ორმოც ცხვარს. მწყემსი თვითონ ეხმარებოდა თავისი ფარის დანერბვაში ზოოტექნიკს. ზოოტექნიკი იდგა თეთრ ჭუჭყიან ხალათში და იბღვირებოდა. სეითა ოთახში შედევნიდა ათ ცხვარს, მერე მიაყენებდა ბაგასთან. ცხვრები მორჩილად ყოფდნენ თავს აპეურში. ზევიდან ფიცრით იკეტებოდა. კისერგაყოფილი პირუტყვი ფიცხობდა, ხტუნაობდა. ზოოტექნიკი ჩადიოდა ამოღრმავებულ ადგილში ისე, რომ ცხვრის დუმისათვის პირდაპირ ეცქირა, მერე სეითა ფეხებს შუა მოიქცევდა ცხვრის უკანალს და დუმას უწევდა მაღლა. ზოოტექნიკი საშვილოსნოში შეყოფდა მრგვალ სარკეს ბოლომდე. ცხვარი კანკალებდა. ახლა დედლის კვერცხუჯრედში შეჰქონდა გრძელი იარაღი ყოჩის თესლით და ისროდა. ხელოვნურად განაყოფიერებული ცხვარი რჩებოდა გვერდზე, ახლა მეორეს უწევდა დუმას სეითა და ასე მთელი დღე, მეორე დღე, მესამე დღე. იღლებოდა სეითა. მაინც ფხიზლად ეძინა და ისევ ერეკებოდა დილით სანერბესაკენ. შესასვლელში სათესლედ არჩეული ყოჩები ტოკავდნენ, ერთმანეთს ასხდებოდნენ და დედა ცხვრისაკენ იწევდნენ.

ახლა ცხვარს სხვა გადააჯდა და დუმა აუწია. სეითა ზოოტექნიკის უკან იდგა. მრგვალი სარკე ტექნიკმა ბოლომდე შეიტანა შიგ. სუფთა სწორი საშვილოსნო გამოჩნდა, მერე კვერცხუჯრედი; მან გრძელი იარაღით ესროლა კვერცხი და სხვა ცხვარზე გადავიდა. სეითა ისევ უყურებდა, სულ შეუმჩნევლად გაუხურდა ხერხემალი. საღამოს ისევ გამორეკა ცხვარი ბინაში; მეორე დილით იალაღებისაკენ წაასხა, ხელოვნურად დანერბილი დედაცხვარი გაფართხული შეეფინა ფერდას. მზე ისევ აჭერდა და სეითა ფიქრობდა, რომ ჩქარა ავდარი მოვიდოდა.

შუადღეზე მზემ უფრო დააჭირა, სხივები თექაში ჩაეხლართა მწყემსს და ხერხემალი გაუხურა, ნელა შეეპარა ტანში სითბო, მერე სითბომ იმატა, უფრო სასიამოვნოდ ჩაიღვარა სხეულში. ერთმანეთთან მიყუჟული დედაცხვარი მძიმედ ქშინავდა, თან შეუმჩნევლად იწევდა წყლისაკენ. ფარის კიდეში დიდდუმიან შიშაქს ჰქონდა თავი შეყოფილი, ქშინვისაგან დუმა ირხეოდა, ძაგძაგებდა. ეს შიშაქი კარგად

იცოდა სეითამ რომელი იყო. საერთოდ ყველა ცხვარს ცნობდა სათითაოდ და ყველაზე დიდი დუმა ამ შიშაქს ჰქონდა, თვალებიც უფრო დიდი უჩანდა, წყლიანი. სეითამ სტვენა დაიწყო, მერე რატომღაც სასქესოაკრული ყოჩები მოაგონდა, ცხვარზე რო იწევდნენ. ახლა ის ნათლად ხედავდა დუმის ქვევით თეთრ გრძელ საშვილოსნოს მილს, იმის იქით კვერცხუჯრედს და ხელში აწეული დუმის სიმკვრივეს გრძნობდა. სეითამ უფრო ჩუმად დაიწყო სტვენა, ხერხემალი დაეძაბა, შემდეგ ნელა მიუახლოვდა ფარას. კიდურა შიშაქი იდგა უმოძრაოდ, მარტო დუმა ერხეოდა. ნელა დასწვდა მწყემსი ფეხში და თავისკენ მოიზიდა. მარცხენა ხელი წინა ფეხში ჩაავლო, მარჯვენათი დუმა აუწია, მერე ორივე ხელები წინა ფეხებში ჩაავლო, ზედ მიკრული გაირინდა. ცხვრის დუმა ქანაობდა ისევ, ოღონდ უფრო შეკრული და მძიმე.

განთავისუფლებული შიშაქი ტორტმანით წავიდა ფარისაკენ, გაფართხული ფეხებით მიათრევდა დუმას. საღამომდე კიდევ ერთხელ დაიჭირა შიშაქი სეითამ. ამ დღის მერე სეითას საღამოს მარილი გამოჰქონდა ან გორდილას ნაჭერი და ჩუმად აჭმევდა თავის შიშაქს. შიშაქიც შეეჩვია და საძოვარზე მასთან ახლო დადიოდა ტორტმანით, მერე მალაყებს აკეთებდა ჰაერში.

სექტემბრის ბოლოს ცხვარს მატყლი მოუვიდა და მოღონიერდა. მთელ საძოვრებზე ისმოდა კივილი, სტვენა. საზაფხულო ბინებს ურმებზე უდებდნენ, გზაზე გაშლილ ფარებს ძუნძულით მისდევდნენ ძაღლები. დიდი ვაცები ფარის წინ მიდიოდნენ, ბოხოხა ქუდიან მწყემსის უკან. გზები ვიწრო იყო, ტალახიანი, მერე იწყებოდა გაშლილი ვაკე ადიდებული წყლებით. ძლივს გადიოდა ცხვარი წყალში. ზოგან ურმებით გადაყავდათ. სეითა მუშაობდა ჩვეულებრივ, არც ერთგულად, არც არაერთგულად. ის ფეხის ადგმიდან აქ იყო და თავისი საქმე იცოდა, ვერც წარმოედგინა სხვა რამე. მხოლოდ მწირ ადგილებში თავის საგზლიდან აჭმევდა თავის შიშაქს და წყლებზე მხარით გადაყავდა. წყლებმა ქვევით იმატა, სადღაც რიყეზე ქვა დააჯახა სეითას შიშაქს. ფეხმოტეხილი ცხვარი უნდა დაიკლას. სეითამ მხარზე აიკიდა და ზამთრის ბინებამდე ისე ათრია, იქ თავისი ხელფასით იყიდა შიშაქი, დაკრეფილი ბალახით გაატანინა ზამთარი. გაზაფხულისთვის დამძიმდა ცხვარი. პირველი ბატკნები მარტის ათში გაჩნდნენ. აბღავლდა და აკივლდა საძოვარი. სეითას შიშაქს გვიან ეყოლა ბატკანი, ის პატარა იყო, ყველაზე სუსტი და რძეს ძლივსა წოვდა. სეითა გაკვირვებული უყურებდა ბატკანს და რატომღაც ბატკანი არ ეგონა. ისევ დაიძრა ბინები საზაფხულო საძოვრებისაკენ. უკან გზაზე სეითამ თავისი შიშაქი დაკლა და ხორცი გაყიდა. ახლა ბრიგადირმა ის ბატკანში გადაიყვანა. ხორცის ფულით თავის ბატკანს უყიდა სოსკა და ბოთლი, კიდევ რძე. სეითა თავისი ხელით ასმევდა რძეს თავის შიშაქის ბატკანს და მთაში ხურჯინში ჩასმული მიჰყავდა. გზა უფრო ზევით გადიოდა, მერე დიდი ქალაქი იდო, ხმაურიანი. ცხვარი გარეუბნებზე გადიოდა გამალებული და უკან ჭუჭყიან ქუჩას ტოვებდა. სეითა უსტვენდა ძველებურად, მთის მოახლოება უხაროდა და მხარზე გადაკიდებულ ხურჯინში ჩასმულ ბატკანს ჩუმად უსტვენდა.

გამოფენილი ხალხი მუშტრის თვალით უყურებდა ცხვარს.

_ ვა, რა დუმა აქვს, _ თქვა ყასაბმა ოთხი წლის დედა ცხვარზე და თავის შვილს კამფეტის მამალი მისცა, დილითვე ნაყიდი.

სეითამ მამალი დაინახა და რატომღაც თვითონვე მოუნდა იმისი ყიდვა, მაგრამ ცხვარი ჩქარა მიდიოდა და ყიდვის დრო არ იყო. შუადღისთვის ქალაქს გასცდა ფარა.

[1957 წლის შემოდგომა]

ბოზი და მისი ბავშვი

ცოლს ბავშვი ეჭირა ხელში და იცინოდა. მერე უფრო ხმამაღლა გადაიკისკისა, ლევანმა უცებ მიაბრუნა თავი მისკენ. ცოლს პირი ღია ჰქონდა, თეთრი კბილები უჩანდა სიცილის დროს, რაღაც არ ესიამოვნა ლევანს, ტუჩის ბოლოს ნაოჭი ყვრიმალამდე იხეოდა და რაღაც ნაძალადევი ჩანდა შიგ. წინათაც ამჩნევდა ამ ხაზს მისი სიცილისას, მაგრამ ახლა რატომღაც უფრო მიაქცია ყურადღება. გვერდზე სავარძელში ცოლის ნათესავი კაცი იჯდა, ქერა, მაღალი, გრძელი ლამაზი თითებით იჭერდა რადიოში რაღაცას. ბოლოს ვაშინგტონი მოძებნა. «როკ, როკ-როკ-როკ-როკენ-როულ», ისმოდა ადაპტერიდან. ის სავარძელში გადაწვა, გრძელი თხელი ფეხები ერთმანეთზე გადაკიდა. ახლა ლევანი ბავშვს უყურებდა. ის პირს აღებდა, დედა ტუჩებზე თითს უსვამდა. პრ-პრ-პრ _ აკეთებდნენ ბაგეები ერთმანეთზე დაჯახებისას. როკ-როკ-როკენ-როულ _ ისმოდა რადიოდან, ლევანი გრძნობდა, რომ ცოლის სიცილი აუტანელი ხდებოდა მისთვის. პირველად, როცა ის შეირთო, სიამოვნებდა მისი კისკისი, მერეც სიამოვნებდა, როცა ბავშვი ეყოლა. როდიდან აღარ სიამოვნებდა, აღარ ახსოვდა ახლა, შემდეგ გაიფიქრა, რომ, ალბათ, ყურადღებას არ აქცევდა საერთოდ მაშინ, თორემ. არა, მოაგონდა, რომ ისეთი სიცილი ქორწილის ღამესაც შეამჩნია, უფრო ადრეც, სანამ შეირთავდა. დღეს რატო არ ესიამოვნა, აღარ ახსოვდა, მერე ნელა წამოვიდა დღე თავში. სურათები დალაგდნენ როგორც ეკრანზე. დილით ციოდა, მოყინული თითებით შემოიტანა შეშა, ძლივს დაანთო ცეცხლი, ოთახში კვამლი დადგა, ჰაერის გასაწმენდად ფანჯრები დააღო. უფრო გაიყინა ოთახი, მერე ფანჯრები დახურა და დათბა. პატარამ გადაიხადა, იმას ფეხები მოკრუნჩხული ჰქონდა, თავი უკან გადავარდნილი, თითებით დედის ძუძუ ჰქონდა ჩაბღუჯული. დედას თბილად ეხურა, მარტო ცალი ძუძუ უჩანდა საბნიდან ამოვარდნილი. ოდნავ ეწყინა ლევანს, რომ დედას ასე ტკბილად ეძინა, როცა ბავშვი გადახდილი იყო; თვითონ დაახურა ბავშვს. ახლა პატარის მარტო სახე ჩანდა, გრძელი წამწამები ერთმანეთზე ჰქონდა მიკრული. «როგორა ჰგავს დედას», გაიფიქრა ლევანმა. მასავით გრძელი წამწამები, თეთრი კბილები და ეს ნაოჭი ყვრიმალამდე, ეს ცხვირი კი ჩემი აქვს, მგონი, ნიკაპიც; მერე მზერა კედელზე გადაიტანა, იქ ლევანის სურათი ეკიდა. ბავშვი ხელში ჰყავდა აყვანილი, იცინოდა თვითონაც, პატარაც. ეს დილაც ძალიან ჰგავდა სხვა დილებს. მხიარული ადგა ლევანი, ახლაც მხიარულად იყო, როცა თავის და ბავშვის სურათს უყურებდა, მერე მოულოდნელად თავს გამოუტყდა, რომ განგებ, ძალით ამხიარულებდა თავის თავს. დიდი ხანი იყო რაღაც არ სიამოვნებდა, მაგრამ ყოველთვის გაურბოდა იმაზე ფიქრს. ისაუზმეს. საუზმეზე ის ფანჯარაში იყურებოდა, მერე ცოლზე გადაჰქონდა მზერა, მერე ბავშვზე. ყოველთვის ფიქრობდა ბავშვზე. გონებაში გაზრდილს ხატავდა, აცმევდა, ავარჯიშებდა და ასწავლიდა თავისი გემოვნებით. ყოველთვის მის შეგრძნებაში ის ვაჟკაცი იყო, სიამოვნებით უყურებდა ოცნებით თავისი ვაჟკაცის მიღწევებს. რაღაც მაინც არ იყო ნორმალური მის სიმხიარულეში, ის, რაზე ფიქრსაც გაურბოდა, მაგრამ დღეს თავი ვეღარ შეიკავა თავის თავთან. საუზმეზე უყურებდა ბავშვს და ვერაფრით ვეღარ ფიქრობდა მის მომავალზე. მისი თვალები შეუმჩნევლად გადადიოდნენ კედელზე, სადაც მისი სურათი ეკიდა ბავშვთან ერთად. მერე დედაზე. საშინელი მოუსვენრობა ეტყობოდა.

_ რატო ხარ ასე მოუსვენრად, ლევან, – გაუღიმა ცოლმა, მერე ბავშვი აიყვანა და მეორე ოთახში გავიდა, იქიდან რაღაც რუსული ვალსის სიმღერის ხმა მოისმა. ჩვეულებრივ მოწყენილი, ოდნავ აღრენილი მისი მეუღლე დღეს განსაკუთრებით მხიარული ჩანდა. «რატო ვარ მოუსვენრად?» გაიმეორა ლევანმა თავისთვის,

რატომღაც არ უნდოდა ეს კითხვა დაესვა თავისთვის, მაგრამ ცოლმა დაასწრო, მისი გონება აყვა ამ კითხვას, არაფრით არ უნდოდა, რომ მართალი ეთქვა თავისთვის, მაგრამ თვალები თავისთავად უყურებდნენ ფანჯარაზე დაგდებულ დეპეშას, იქ ეწერა «ხვალ მოვალ თქვენთან, ვახტანგი».

ახლა ვახტანგი სავარძელში იჯდა. ფეხი ფეხზე ჰქონდა გადაკიდებული, იღიმებოდა. ლევანს თავისი ქორწილის ღამე აგონდებოდა. ვახტანგი სუფრის კუთხეში იჯდა თავისთვის, მაშინ არც მიუქცევია ყურადღება მისთვის, ახლა კი ნათლად დაინახა მისი ირონიულად მოღიმარი სახე. ნერვიულად გაიქნია თავი. ფიქრები შეინჯღრნენ თავში, აირივნენ, მერე უფრო მაგრა ჩაჯდნენ შიგ, ფოტო-ლენტივით წამოვიდნენ მისი და მეუღლის ერთად ყოფნის დღეები. ისევ გადევნა ფიქრები, ახლა ის ისევ კედელს უყურებდა. აშკარად გრძნობდა, რომ ის მსგავსება თავის შვილთან არ იყო ისეთი, როგორადაც თვითონ უნდოდა წარმოედგინა.

ცხვირი გაცილებით მაღალი და თხელი ჰქონდა ბავშვს, შუბლი კი უფრო ვიწრო, სახეზეც თეთრი იყო. ლევანი დაიძაბა, ნელა გამოუვიდა შუბლზე ოფლი, მერე ჰალსტუხი ოდნავ შეიხსნა, შემდეგ ისევ შეიკრა, ოფლი მოიწმინდა.

_ კარგი ბიჭი გვყავს, არა? – გაიცინა ცოლმა. სიტყვები გვიან მივიდა ლევანამდე, როცა ცოლს შეხედა ის ვახტანგისკენ იყურებოდა; ვახტანგი წამოდგა, ბავშვი აიყვანა ხელში, საჩვენებელი თითი ნიკაპზე ამოუსვა. პატარა არა ტიროდა, მერე კისერი მოეღიჩინა კოცნისგან, სიცილი დაიწყო. იცინოდა ძალიან და უხმოდ, იცინოდა ვახტანგიც. ისინი იმ კედლის ძირში იდგნენ, სადაც ლევანის და პატარას სურათი ეკიდა.

ლევანმა უაზროდ გაიღიმა.

მერე უფრო უაზროდ გაიღიმა.

_ უკაცრავად, – თქვა მან და გავიდა.

გარეთ ციოდა, სწრაფად აუყვა ქუჩას ზევით. ცივი ქარისგან სახე აუხურდა. იქით მისი ამხანაგი ცხოვრობდა, რომელსაც აპარატი ჰქონდა. ეს ამბავი წეღანვე გაიაზრა, რომ ვახტანგისა და პატარისათვის ერთად სურათი გადაეღო, მერე შეედარებინა თავისი სურათისათვის. წინათაც მოსვლია ის აზრი, როცა ვახტანგი მოდიოდა, მაგრამ არ აქცევდა ყურადღებას განგებ, ახლა კი ვეღარ შეძლო. ცოლის დილანდელმა შეკითხვამ «რატო ხარ ასე მოუსვენრად» დაარწმუნა, რომ მართლა მოუსვენრად იყო, მერე უკვე მიზეზი ვეღარ დაუმალა თავის თავს.

ახლა გამალებული მიდიოდა ზევით. იქიდან ქარი ურტყამდა და სახე უხურდა. გონებაში, თვალების უკან, ფოტოპლიონკა მოძრაობდა ძველი კადრებით, ისინი საიდანღაც თავის სიღრმიდან გამოდიოდნენ, მერე ისევ შედიოდნენ და ახლები იჭერდნენ მათ ადგილს. ის რასაც აკავებდა, თავის თვალებს არიდებდა, გამოვიდა გარეთ. შორს ხედავდა თავის თავს, ის იჯდა ბაღში და უცდიდა თავის საცოლეს. ის ხეივნიდან მოდიოდა, ვიღაც კაცს მის მხარზე ჰქონდა დადებული ხელი.

_ გაიცანი. ეს ჩემი ბიძაშვილია, – თქვა ქალმა. ლევანმა ხელი ჩამოართვა, მერე უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ვახტანგი კი ალაპარაკდა, იცინოდა, რაღაც მაგალითები მოყავდა. ზევით დუქანში ვიღაც მთვრალი იგინებოდა, ახლა ახალმა კადრმა დაიჭირა ადგილი ლევანის თავში, მთვრალი ვახტანგი იგინებოდა დედას, მისი უკვე მეუღლე ხელზე ეკიდა, თვითონ მას წყალი მოჰქონდა. ცოლმა, როგორც ახლა იგრძნო, მასზე ანიშნა ვახტანგს. «ერთი მაგისი», თქვა ვახტანგმა. «ჩუუ», ცოლმა ხელი მიაფარა პირზე. «აუტანელი ნათესავი მყავს», თქვა მან.

მეორე დღეს მეზობელმა ჰკითხა ლევანს:

_ ის კაცი ვინ იყო?

_ ცოლის ბიძაშვილი.

_ ჰმ, – თქვა მეზობელმა, – რა ბიძაშვილები არა ჰყავთ ქალებს.

ლევანი მაშინვე დაიძაბა რატომღაც, მაგრამ თავი გააქნია ფიქრების გასაყრელად, ახლა რატომღაც უცებ მოაგონდა, რომ იმ ამბამდე სამი დღით წინ, ადრე დაბრუნდა სახლში. ეზოს კარები გაიღო და დაიხურა, ცოლი მარტო იწვა ლოგინში.

_ ვინ იყო? _ იკითხა ლევანმა.

_ რა კითხვებს იძლევი, არავინაც არ იყო, _ უხეშად უპასუხა ცოლმა.

ლევანმა ნაბიჯებს აუჩქარა, დარწმუნებული იყო, რომ ქუჩაში როცა გადაიხედა, ვახტანგის ზურგი დაინახა, მაშინ რატომღაც არ გამოუტყდა თავს, მხოლოდ ცუდ ხასიათზე დადგა.

_ შენმა უხასიათობამ მომკლა, _ უთხრა ცოლმა.

ვახტანგმა ისევ გაიქნია თავი, ლენტა ფოკუსიდან ამოვარდა, სურათები ისევ გადიოდნენ, მაგრამ ბუნდოვნად, ახლა ბავშვის სახე ედგა, ვახტანგს რო ეჭირა ხელში და მასთან ერთად იცინოდა.... «ნუთუ, ნუთუ ისიც», გამოუტყდა თავს და კედელს მიეყუდა. ციოდა. მტვრიანი ქარი ოფლიან შუბლს ეკვროდა, ქუჩაზე გრიალით მიდიოდა ტრამვაი. «ნეტა რამდენი კაცია ტრამვაიში», მოულოდნელად გაიფიქრა ლევანმა. ახლა თვალწინ ვაგონი ედგა ხალხით სავსე, თვითონ ქუჩაში იდგა, მგონი კვირის, ან თვის წინ ფანჯარაში ცოლი დაინახა და მგონი ვახტანგის სილუეტი.... «ნეტა რამდენი კაცი ჰყავს გატანილი ტრამვაის». რატომღაც მოაგონდა, რომ სწორედ ბაზრიდან მიმავალი კაცის გაჭყლეტას უყურა გუშინწინ. ჩანთიდან ამოვარდნილი კომბოსტოს თავი, წყლის ჩასასვლელთან მიგორდა, შიგ ვერ გაეტია და გაჩერდა, პატარა ხახვები ჩაცვივდნენ, მარტო ოთხი კარტოფილი არ ჩავარდა. ისინი კომბოსტოს თავის გვერდზე გაჩერდნენ. ხალხით გაიტენა ქუჩა, ლევანს გული ჰქონდა ცუდად. თავისი თვალით უყურა, როგორ გადაუტრიალდა ვაგონის ქვეშ კაცს თვალები, მერე უაზროდ გააყოლა თვალი ჩანთიდან გაგორებულ კომბოსტოს, ის წყლის ჩასავალთან გაჩერდა და გვერდზე ოთხი კარტოფილი მიუგორდა; ლევანმა უკან დაიხია, მათხოვარმა ჩანთაში ჩააწყო კომბოსტო ოთხი კარტოფილით და ხალხს შეუერთდა, საოცარი ზიზღი იგრძნო მათხოვრისადმი. ახლაც საოცარ ზიზღს გრძნობდა, ზიზღი უფრო გაიზარდა და ისევ ნათლად დაინახა ცოლი, მოკისკისე ცოლი, ის ხაზი უფრო ღრმა იყო, შავი, რომელიც ყვრიმალამდე ასდევდა, ცოლი იცინოდა, ვახტანგს ბავშვი ეჭირა, ორივენი იცინოდნენ.

ლევანი იდგა და მთელი ძალით რეკავდა ამხანაგის ზარს.

_ რა იყო, ბიჭო, – გამოვარდა თენგიზი.

_ ჰა? – იკითხა ლევანმა და უკან დაიხია, რატომღაც ვერ წარმოიდგინა, რომ ამხანაგთან იყო.

_ რა იყო, ბიჭო, ჰა? – ისევ ჰკითხა თენგიზმა, როცა ლევანი დაჯდა და ისევ ადგა.

[1957 წლის სექტემბერი]

"ქუჩაში ცოტა ხალხი იყო..."

ქუჩაში ცოტა ხალხი იყო და ქარი ქროდა. ქარი თბილი იყო, უსიამოვნო. მტვერი ჯდებოდა თვალებში, ყურებში, თმებში. ქუჩის შუაში თეთრ ხაზზე თეთრხალათიანი მილიციონერი დადიოდა ცარიელი კაბურით.

_ მე რო ცოლი მყავდეს და მქონდეს მაგნიტოფონი, იმსაჩი თავს დავანებებდი ქურდობას, – თქვა მალხაზმა.

მერე კიდევ მოითხოვა ნახევარბოთლიანი – სმასაც თავს დავანებებდი _ დაასხა ასგრამიანებში არაყი. ასგრამიანი ჭიქა სულ ორი იყო. ნოდარი ჩუმად უსმენდა.

_ რად გინდა ცოლი, ისე ინატრე ფული, – თქვა ნოდარმა.

_ არა, მინდა.

_ არა, შენ ფული გინდა.

_ ჰო, ფული მინდა.

მალხაზს დალევისას სახე დაემანჭა. ჭიქა დადგა. ვობლები არეული ეყარა დახლზე. მან ერთი გახლიჩა, მარტო იკრა ამოუღო მუცლიდან. შეჭამა და გადააგდო.

_ რატო აგდებ, იკრაზე კარგი ეგ არის, – თვალი გააყოლა გადავარდნილ თევზს ნოდარმა.

_ მე ვობლა აღარ მინდა, დავიღალე, – ჩამოჯდა დახლზე მალხაზი.

_ მანდ ჯდომა არ შეიძლება, – თქვა ოფიციანტმა.

მალხაზი ჩამოვიდა დახლიდან და ალმაცერად შეხედა არყის ბოთლს. იქ ნახევარზე მეტი იდგა, მძიმედ მოჰკიდა ხელი და დაასხა ასგრამიანებში. სახე დაღლილი ჰქონდა, გაუპარსავი, ფეხების ტკივილს უკვე ვეღარა გრძნობდა. ის ფიქრობდა, რომ კარგი იყო ბევრი ფული, ექნებოდა მანქანა, საკუთარი ორი ოთახი, სამზარეულო, მაცივარი და მაგნიტოფონი 3600 მანეთიანი უეჭველად, იმიტომ რომ 1800-იანი ხრიალებდა ზოგჯერ, მალხაზს არ სიამოვნებდა ხრიალი, ის დაიღალა და უნდოდა მშვიდად ესმინა მუსიკისათვის.

დუქანში იურიკა შემოვიდა. პირდაპირ მივიდა მათთან და გაიცინა.

_ გაჭირდა შოვნა, – თქვა მან, – მთელი დღეა დავრბივარ და ხუთი თუმანი ძლივს ვიშოვნე, კიდე ეს წავიღე. მან ჯიბიდან ექიმის გულისცემის აპარატი ამოიღო, ის ახალი იყო და გერმანულად ეწერა რაღაც.

_ ზაგრანიჩნია, – თქვა ნოდარმა, მალხაზმა დაათვალიერა, ერთი ბოლო ყურში შეიდო, მეორეს შედება დაეზარა, პირველიც გამოიღო და იურიკას მისცა.

_ რამდენში გავა, – იკითხა იურიკამ.

_ კლიენტზეა.

_ მე წავედი, კარგად, – თქვა მალხაზმა. არაყი გადაკრა და გავიდა.

დარჩენილებმა თვალი გააყოლეს. ვობლები ისევ ეყარა დახლზე. ისინი იკრიანები იყო, დაბერილი. მუშამ ახალი კასრი შემოაგორა, ფეხზე დააყენა, დახლიდარმა რკინის დარტყმით ჩააგდო ხის საცობი შიგ, უცებ დაახურა ნაროს მიბმული ჩამოსასხმელი. პირველი კათხა მღვრიე და ქაფიანი ამოვიდა.

_ თითო მაიტა. – დაუძახა იურიკამ.

_ ახლა კარგია, ჰოო.

_ ტყუილა წავიდა ის.

_ ერთი მაგისი.

_ კარგი ბიჭია, ისე, ოღონ ეტყობა ეზარება სირბილი უკვე, დაიღალა.

_ რა დაიღალა, ნაშას აბამს, ფულიანიაო, ამბობს.

_ გაგვიმარჯოს, – თქვა იურიკამ. ლუდი ცივი იყო, ქაფი დაიწმინდა. სასიამოვნოდ გადადიოდა ყელში.

_ ტყუილა წავიდა.

_ მე მგონი, იმ ნაშას ფულიც არა აქვს, ერთხელ მალხაზმა თქვა თვითონ.

_ მეც ეგრე მგონია, ფული რო ჰქონდეს, ჩაიცვამდა მაინც კარგად, ჰო, თვითონაც თქვა. ახლა იძახის, მილიონერიაო. არ გამოვიდა ფულის ვარიანტი და სცხვენია.

_ რისი სცხვენია, დაანებოს და მორჩა.

_ საქმეც ეგ არის, ვერც ეშვება!

_ ალბათ შეუყვარდა.

ორივემ გაიცინა, მერე იურიკამ ცარიელა არყის ბოთლი დახლიდარს მიაწოდა. გარეთ ისევ თბილი ქარი ქროდა და ოფლიან ტანს მტვერი ეკრობოდა, შიგ ეზილებოდა. მალხაზი თავდაღმართზე მიდიოდა განერვიულებული. გუშინ გაიგო, რომ იმ გოგოს ფული არა ჰქონდა, ადრე მაინც გაეგო, გაიგო და მაინც არ უნდოდა თავის დანებება. მისი სახე წარმოიდგინა, რაღაც არ ესიამოვნა. წარმოდგენითაც კი უშნო იყო, თითქმის მახინჯი, იმისი ცოლად წაყვანა მარტო ფულისთვის ღირდა. რატომღაც 3600-იანი მაგნიტოფონი მოაგონდა, უხმაუროდ რო უკრავდა და თან მთელი საათი, კასეტის გამოცვლის გარეშე. ძალიან, ძალიან მოუნდა ეგდო მისი ხმისთვის ყური სავარძელში მჯდარს. ცალ ხელში ახალი გრძელი პაპიროსი სჭეროდა ოქროს ვარაყით, გვერდზე კი ის გოგო სჯდომოდა ან სხვა, ოღონდ მისი ცოლი მოსაჩანგლი და საწვალებელი რო არ ყოფილიყო. ის დაიღალა. აღარ უნდოდა წვალება, აღარც ფულისთვის ტროლეიბუსებში სირბილი. ახლა კი გამოირკვა, რომ იმ გოგოს არაფერი არა აქვს, მეორეს კი, იმისი ბიძაშვილისაგან იცოდა, ჰქონდა, თანაც იმ მეორეს მოსწონდა ის, მიუხედავად ამისა, მაინც უნდოდა რაღაც წვალება, თეატრში წაყვანა, კინოში წაყვანა, ლაპარაკი რამეზე და სიყვარულის ახსნა, მალხაზი კი დაიღალა. ის ახლა დაღმართზე მიდიოდა და ფიქრობდა იმ გოგოზე, რომელსაც ფული არა ჰქონდა და იყო მისი. აღარც სიყვარულის ახსნა იყო საჭირო, არც თეატრში ან კინოში წაყვანა. ხვალ წავიდოდა, მოაწერდა ხელს. მერე წაიყვანდა თავის პატარა ოთახში. წამოწვებოდა ტახტზე, ტახტის თავში იმას დასვამდა, თავს კალთაში ჩაუდებდა. გოგოს სახე უშნო და მახინჯი ჰქონდა, მაგრამ მალხაზისთვის სულ ერთი იყო, მას არც უნდოდა მისი სახის ყურება, მხოლოდ თავი ედებოდა რბილად და 3600 მანეთიან მაგნიტოფონს დაუგდებდა ყურს.

წელი 1957. ოქტომბრის 9.

<u>მ ა ლ ხ ა ზ ი დ ა მ ე</u>

მე ვზივარ მარტო, რუსთაველის გამზირისა და ბარნოვის ქუჩის კუთხეში რომ ბორჯომის წყლებია, იმ კაფეში. აქედან ჩანს მთელი მოედანი, რომლის შუაშიც დიდი თეთრი რგოლია. მას მანქანები გარშემო უვლიან; მხოლოდ ზოგის გორგოლა ჭრის რგოლის ნაწილს. მე ვუყურებ და ვცდილობ გამოვიცნო რომელი გადაჭრის და რომელი არა. ქვევიდან ვიღაცეები მოდიან, მგონი ნაცნობი გოგოები უნდა იყვნენ. ბორჯომის ბოთლს ვიყუდებ და ვფიქრობ: ნეტა ნაცნობები არიან თუ არა. ისინი ქუჩაზე გადმოდიან. მწვანეკაბიანი გადასასვლელის თეთრ ხაზს ჭრის და ზურგით მდგარ მილიციელს ენას უყოფს. სხვები ხარხარებენ. მე მეღიმება. მერე გოგოები კაფესკენ მოდიან. ვიშმუშნები. ვცდილობ რაც შეიძლება კარგად მოვეწყო სკამზე. ისევ ვიყუდებ ბორჯომის ბოთლს. ახლა ისინი თამაზს ელაპარაკებიან. თამაზი ხელებს შლის და აცინებს. მე მშვენივრად ვხედავ ყველას. ნეტა მე თუ მხედავენ ისინი, არა მგონია, იმიტომ რო, როცა სხვა ზის ხოლმე აქ, ჩემ ადგილას, და მე გარედან ვუყურებ, ვერა ვხედავ. ალბათ, ვერც გოგოები მხედავენ. მე კი მშვენივრად ვხედავ. თამაზი ხელმკლავს დებს ორ გოგოს – ყველანი იცინიან. არც ერთი ნაცნობი არ არის იმათში. იქ, გადასასვლელთან, ხალხი ჩოჩქოლებს. მილიციელს ვიღაცისთვის მოუკიდია

ხელი და ჯარიმას ახდევინებს. რატომღაც ვეღარ ვისვენებ. მერე ვხედავ, რომ მამაჩემი გადმოდის ქუჩაზე. ვიშმუშნები. ის პირდაპირ ჩემკენ იყურება. დარწმუნებული არა ვარ, რომ მხედავს. არც მინდა მისი დანახვა. ვიცი სახლში წამიყვანს. მე კი აქ ჯდომა მინდა. ვცდილობ მოვეფარო რამეს, მაგრამ შუშა დიდია, კაფე ცარიელი. მამა კი იყურება ჩემკენ და მიღიმის. დამინახა. ვდგები ფეხზე, რომ გარეთ გავიდე მის შესახვედრად. მამა უფრო იღიმება და სხვა მხარეს იხედება. ზევიდან ვიღაც ქალი მოდის. მამაჩემის დანახვაზე ტუჩები ყურებამდე ეხევა. მე ასე მეჩვენება, რომ ტუჩები ყურებამდე ეხევა – აქედან მხოლოდ ქალის მაღალი წელი, ლამაზი დაქანებული მხრები და ბეჭებზე დაყრილი თმა ჩანს. მერე მამაჩემი და ის აქეთ წამოვიდნენ. ჩაუარეს წყლებს და ზევით აუყვნენ. ვერ დამინახა. აქედან ყველაფერი კარგად მოჩანს, იქიდან კი ვერ დაინახავ შიგ ვერაფერს. როცა მე გარეთა ვარ და სხვა ჩემ ადგილზე ზის, მეც ვერა ვხედავ ხოლმე მას. კარგია აქ მარტო ჯდომა. იცი, რომ არავინ დაგინახავს, შენ კი ყველას უყურებ. ვზივარ და მსიამოვნებს მარტო ყოფნა, თან გარშემო ხალხია. ჩემ პირდაპირ საათია. ისარი ექვსს უახლოვდება. ისრის დანახვაზე მაგონდება, რომ მალხაზი უნდა მოვიდეს ექვსს საათზე. ისევ ვუყურებ საათს, ექვსს ხუთი უკლია ე.ი. ხუთ წუთში მოვა მალხაზი. მინდა, რომ ვინმეს ველაპარაკო. ნეტა არ დაიგვიანოს, ვფიქრობ, თან ქუჩას ვუყურებ. ქუჩაში კი ისევ დადიან მანქანები და ხალხი. მერე მე მხოლოდ მალხაზს ვხედავ. ის მაღალია და გამხდარი. ქანაობით მოდის. მე ვიცი, რომ ის ჯერ ვერა მხედავს, მაგრამ იცის, რომ მე აქ ვზივარ. შორიდანვე იქნევს ხელს, მე ვუცინი. რაღაცას მანიშნებს. ყოველთვის ასეა: როცა ის მიცდის აქ, მეც ვანიშნებ ხოლმე. დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. შევეჩვიეთ. ის ტაატით მოდის ჩემკენ. მე მხოლოდ მას ვხედავ ქუჩაზე. მერე შემოდის. ჯდება. ახლა მოედანზე ისევ დადიან მანქანები და ხალხი.

_ დიდი ხანია ზიხარ? – მეკითხება ის.

_ ისე რა, – ვამბობ მე.

_ ჩავაბარე.

_ რამდენზე?

მალხაზი იღრიჭება.

_ სამიანი და ჯანმრთელობა? – ვიღიმები მე.

მალხაზი თავის დიდ თათს მიწვდის.

_ მაიტა თათი, – ამბობს.

მე ვურტყამ ზედ ჩემს ხელს.

_ ბიჭო, რამე ფული არა გაქვს? მშია, – ამბობს ის.

_ ნახევარი ბოთლის.

_ საჭმლის არა?

_ ერთ ხაჭაპურს გიყიდი.

_ კარგი, მაიტა, – ხელს იშვერს ის. – მანამ გადადი, იყიდე არაყი, აჭა, აბაზი. ხო იცი, ოცდაერთი და ერთი აბაზი ღირს, ოცდაორი რო მისცე, ხურდას აღარ მოგცემენ.

მე ვართმევ აბაზს და მივდივარ. მისი ბოლო სიტყვები ძლივს მესმის. გარეთ სავსეა ხალხი. ძუნძულით გადავრბივარ ქუჩაზე. იქით ქვაფენილიდან ვიღაცას ვეჯახები. ვბუზღუნებ.

_ თვითონ მეჯახები, კიდე შენ ჯავრობ, – მიტევს ის. მე ხმას არა ვცემ და შევდივარ მაღაზიაში. გამყიდველი მაწვდის ნახევარბოთლიანს.

_ ქაღალდში შემიხვიე, – ვეუბნები მე.

ის ზუსტად მიცემულ ფულს უყურებს და ზარმაცად ახვევს ბოთლს. მივდივარ კაფესკენ. სულ არა ვარ კარგ ხასიათზე, მაგრამ რატომღაც მეღიმება. შეხვეულს მაღლა

ვწევ. უფრო მეღიმება. რაღაცეებს ვანიშნებ კაფეს მიმართულებით. მალხაზი არა ჩანს, მაგრამ ვიცი, რომ მე მხედავს. მეც, როცა მის ადგილას ვზივარ, ვხედავ ხოლმე მას. ვიღაცეები ყაყანებენ ქვაფენილთან, მერე მგონი შოფერი მაგინებს. მანქანა ძლივს მივლის გვერდს. მიქრის, «რა მიაქროლებს ეგრე», ვიძახი გულში, მერე კაფეში შევდივარ. აქედან ისევ კარგადა ჩანს ქუჩა. მანქანები თეთრ რგოლს ან სუფთად უვლიან გვერდს ან გორგოლითა ჭრიან. მალხაზს ხაჭაპური მოუტანია და ჭამს.

_ გგურამ, – ამბობს ის.

მე მეცინება. მალხაზს ცოტა ენა ებმება სმის წინ ან სმის მერე და იმიტომ.

_ გგურამ, რა მაზალოა არა? აქედან ჩანს ყველაფერი, იქქიდან კი არა, არა?

_ ჰო, – ვამბობ მე.

მერე მალხაზი არყის ბოთლის ძირს ურტყამს თათს. მესამე ამორტყმაზე საცობი ხტება ბოთლიდან და კაფეს შუშას ეხეთქება არყის ყლუპთან ერთად.

_ ოოცდახუთი გრამი მაინც დაიქცა, – ამბობს მალხაზი.

_ მერე რა, – ვამბობ მე.

_ ჩჩქარა დავლიოთ თთორე, იცი რაშია საქმე. ვინმე მმოვა, და ხო იცი.

_ მოვიდეს რა.

_ ჯერ ერთი, დალევა არ შშეიძლება კაფეში, მმეორეც, ნაცნობი რომ მოვიდეს, ხომ უნდა დაალევინო, მერე ჩვენ რაღა დაგვრჩება, ჰა?

მე ჩუმადა ვარ: რა უნდა ვთქვა, სწორეა. ის პირამდე ავსებს ჩაის ჭიქას და ცლის, მერე მე მივსებს. ვცლი. სახე მემანჭება, ვეძებ ხაჭაპურის ნარჩენს, მაგრამ მალხაზს სულ მოუსუფთავებია.

_ ვერ დატოვე? – ვამბობ მე.

მალხაზი იღრიჭება.

მე ბორჯომის ბოთლს ვიყუდებ. შიგ დარჩენილი რამდენიმე წვეთი სასას მისველებს. ბორჯომის ბოთლიდან არყის სუნი მცემს. ზიზღითა ვდგამ მაგიდაზე. მალხაზი ახლა დარჩენილ არაყს ანაწილებს. ჯიბიდან ასანთს იღებს, ჩაის ჭიქას უდგამს გვერდით. არაყი წურწურით ჩადის ჭიქაში და ასანთის ზედა კიდეს უსწორდება. ახლა მეორე ჭიქას იღებს, მას უდგამს გვერდით ასანთის კოლოფს. ასხამს.

_ კიდე დარჩენილა ას-ასი, _ ამბობს ის.

მე ამღვრეული თვალებით ვუყურებ. ჭიქებში ტოლად ასხია – ნახევარ-ნახევარი. რატომღაც ნერვები მეშლება, ასე რომ ანაწილებს არაყს.

_ რად გინდა ეგ, – ვამბობ ჩემთვის.

მალხაზი იყუდებს და სვამს. იღმანჭება. თუ ეზიზღება, რაღასა სვამს, ვფიქრობ. ვცდილობ არ ვუყურო მას. ის კი ფშვინავს. მერე უკვე გამოცლილ ბორჯომის ბოთლს იყუდებს. მე ერთი ყლუპითა ვსვამ. სახე გვერდზე მექცევა. მაღაზიაში ბორჯომი გამოილია.

_ ახლა კარგია ბორჯომი, _ ვამბობ.

მალხაზი გარეთ იყურება. იქ ისევ დადიან მანქანები და ხალხი.

_ სსანამ თვითონ არ უთქვამთ, წავიდეთ, – ამბობს მალხაზი.

მე არაყი მერევა და ვდგები. დგება მალხაზიც, ის გრძელია და ძალიან მაღალი. ზევიდან დამყურებს. უაზროდ მიცინის. ნეტა რა აცინებს, ვფიქრობ. მერე კიბეებზე ჩამოვდივართ. ჩვენ გარშემო ხალხი მოძრაობს. ნელა მივყვებით ქუჩას. მალხაზი ხელსა მხვევს და ხმამაღლა უსტვენს. შემდეგ მეჩხერ კბილებს აჩენს. ამთქნარებს. პირზე ხელს იფარებს, მერე თავზე ისვამს. მე ვუყურებ და ვფიქრობ: ჩემზე მთვრალია, საერთოდ ყოველთვის მასზე მეტსა ვსვამ.

ქუჩის ზევიდან გრიალით მორბის გრძელი ლაპლაპა მანქანა.

ხალხი ჩერდება გადასასვლელებზე.

_ Ттбил – мя – со – молло – очнные ппро – ду – кты.

_ მარცვლავს მალხაზი. მანქანის წარწერას თვალს აყოლებს.

საღამოვდება.

ქუჩაში ხალხი მატულობს.

ზოგი ზევით მიდის, ზოგი ქვევით. ჩვენ ჯერ ზევით მივდივართ, მერე კინოსთან ვბრუნდებით და მივდივართ ქვევით.

[1957 წლის ოქტომბერი]

"საშინლად იკბინება მზე..."

საშინლად იკბინება მზე. გარეშემო ღრუბლები ახვევია და შიგნიდან იხედება. ჰაერი ჩახუთულია.

_ უეჭველად წვიმა მოვა, _ ვეუბნები ნუგზარს.

_ უეჭველად მოვა, _ ამბობს ნუგზარიც.

_ ისე ჩამოიხუთა ცა, რო...

_ ჰო, ძალიან დაიხუთა.

_ საერთოდ, ყოველთვის ვიტყვი წინდაწინ, მოვა თუ არა წვიმა.

_ მაგას ობსერვატორია ვერ იცნობს, _ ამბობს ნუგზარი, _ შენ კი არა.

მე ვიცოდი, რო ეს უნდა ეთქვა. სხვას რას იტყოდა. რატომღაც მაინც ვიცინი.

_ ძალიან ცხელა, _ ამბობს ნუგზარი.

_ პიჯაკი უნდა გავიხადო ხვალიდან, _ ვამბობ მე.

_ მეც გავიხდი.

_ რაც გინდა თქვან, მე მაინც გავიხდი, _ კიდევ ვამბობ მე.

_ მეც, _ ნუგზარს სახეზე სიმტკიცე ემატება.

ქუჩაზე დადიან ტრამვაები, ავტობუსები და ხალხი. ჩვენც მივდივართ. მერე ვჩერდებით. რატო ვჩერდებით, არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ აქ საათია, რომლის პირდაპირაც, რუსთაველის გამზირისა და ბარნოვის ქუჩის კუთხეში რომ წყლებია, ის არის. ამ ადგილს ზემელი ჰქვია. აქ ვჩერდებით ყოველთვის. აქ გავჩერდით ახლაც. ქუჩაზე გრიალით მიდის ტრამვაი. მაგრამ მე ხმა არ მესმის. რატომღაც ვიძაბები. მერე თავსა ვწევ.

_ ხედავ შიმხონს? _ ამბობს ნუგზარი. _ აფსუს მალხაზა ახლა.

მე რაღაც, მოულოდნელს ვგრძნობ.

_ აგერ ისიც, _ იძახის ნუგზარი.

ტრამვაის ქუჩის იქითა მხრიდან ტორტმანით მისდევს მალხაზი, მერე აქეთ გადმორბის და ახტება. ჩვენკენ არც კი მოუხედია. მე თითქოს ველოდი. არ მიკვირს.

_ კარგი სიმონა იყო, _ ამბობს ნუგზარი.

_ დღისით? _ ვეჭვობ მე.

მერე ნუგზარი მიყვება დიპლომის ამბავს. ჯერ ლექტორს დაუცხია, მერე ის მისდგომია და დაუმტკიცებია თავისი სიმართლე, მერე ვიღაც დიდ კრიტიკოსს უთქვამს, ასეთი თემა ამ თემაზე ტყუილიაო. მე ყველაფერი ეს ვიცი და ზარმაცად ვუსმენ. ნუგზარმაც იცის, რო ვიცი, მაინც ყვება, ბოლოს ჩერდება. ახლა მე ვყვები

რუსიშვილის ამბავს. რუსიშვილმა ვიღაც გოგო დააბა. არაუჭირს გოგოა, უფრო უშნოა, ვიდრე ლამაზი, აიკლო ქებით, ეგეთი გოგო ტყუილიაო.

_ რა ტრაბახაა რუსიშვილი, _ ამბობს ნუგზარი.

_ აბა კაცო, _ ვამბობ მე.

ორივემ ვიცით ეს ამბავი, ისიც ვიცით რო რუსიშვილი ტრაბახაა, მაინც ვყვებით. აბა რა უნდა ვაკეთოთ; თან გვსიამოვნებს, რომ რუსიშვილი ტრაბახაა და ამდენი რამის ლაპარაკი შეიძლება მასზე.

_ ვა რა ტრაბახაა, _ ამბობს ნუგზარი. - მაგას რო ჩემისთანა გოგოები ჰყავდეს გამოცვლილი, ვეღარ გაუძლებდით ვერავინ, ჯერ მარტო იზა იყიდის მაგის ოთხივე გოგოს, ვინც კი ჰყოლია დაბადებიდან, არა რო, შენ თითონა თქვი.

_ ჰო, მა რა, _ ვამბობ მე, თან ვფიქრობ, რა ტრაბახაა ნუგზარიც, ერთი იზა იყო ლამაზი, მეორე ის, რუსიშვილმა რო მოჩანგლა, მაგათ რო მერისთან ევლოთ ქვეყანას აიკლებდნენ.

ახლა მზე აღარ აცხუნებს. ქვაფენილზე რამდენიმე სქელი წვეთი ეცემა. ჩვენ პირდაპირ დიდი კოლონებია, წყლების მარცხნივ, და იქ შეგვიძლია შევაფაროთ თავი. მაგრამ ჯერ მსხვილი წვიმა არ დაწყებულა. თან მალხაზს ვუცდით. წვეთები ხშირდება, მერე წყდება. ნუგზარს ახალი კოსტუმი აცვია, ორი ბორტით, ლურჯია, თეთრი ზოლები აქვს.

_ გადავიდეთ, _ ამბობს და ბორტებზე იხედება.

_ მერე მალხაზა? _ ვამბობ მე.

ნუგზარი თავს იქნევს, მერე კედელთან იყუჟება. «როგორ უფრთხილდება ტანსაცმელს», ვფიქრობ. ჩქარა ქუჩაზე მალხაზაც გადმორბის ღიმილით.

_ გგამარჯობათ, _ იძახის შორიდანვე.

_ უეჭველი ფულია, ენა ებმება, _ მეუბნება ნუგზარი, შემდეგ მალხაზისკენ მიდის, ართმევს ხელს.

_ ზზოგჯერ დღისითაც შეხვდები კარგ სიმონას, _ ამბობს მალხაზი.

_ რა იყო, ჰა?

_ ორასი წავიღე.

_ უჰ, რა სასმელი ამინდია, _ ამბობს ნუგზარი. მე ხმას არ ვიღებ. ვიცი. ფუნიკულიორი ზედა გვაქვს.

_ მმანქანა გააჩერე, - ამბობს მალხაზი. ნუგზარი ზურგით ბრუნდება ჩემკენ.

_ გამიწმინდე, რა, _ ამბობს. _ მგონი, კედელზე გამესვარა. მე ჩემი პიჯაკის სახელოს ვუსვამ. ის ძველია და დახეული. რა კაცია ვფიქრობ, ტანისამოსი რო არ ავიწყდება არასდროს.

მერე მანქანაში ვსხდებით.

მანქანის შოფერი რუსია.

_ როგორც ეტყობა, ქართული იცის, _ ჩურჩულებს მალხაზი.

_ მარცხნივ, _ ვეუბნები მე ქართულად.

მანქანა უხვევს მარცხნივ.

_ ხხო გითხარი, _ ამბობს მალხაზი.

მე ისეთ სახეს ვიღებ, რომ ყველაფერი მესმის უსიტყვოდ. ნუგზარი ჩურჩულით კითხულობს.

_ რა? რა?

_ არრაფერი, მერე გაიგებ, _ ეუბნება მალხაზი. მანქანა ფუნიკულიორის ძირში ჩერდება. მალხაზი თუმნიანს აძლევს.

_ ННН а здоровие, _ ეუბნება.

ზევით, ვერანდაზეც, ცხელა. ახლა ძალიან მინდა წვიმა. კარგია წვიმიან ამინდში სმა. წვეთები ისევ მოდიან. ისინი არიან მძიმე და მსხვილი. მერე წყდებიან, მერე ისევ მოდიან, ახლა ხშირად, მერე უფრო ხშირად, წვიმს. კარგია ზაფხულში წვიმა. თან როცა სვამ, თან ასეთ ადგილას.

ქვევით ქალაქი ბინდში ეხვევა წვიმისგან. წვეთები მატულობენ.

_ კკოკისპირულად წვიმს, _ ამბობს მალხაზი. ქვევით ქუჩაზე ვიღაც გადარბის. ის სულ წერტილის ტოლად ჩანს. მარტო მანქანები, ტროლეიბუსები და ტრამვაები დადიან ქუჩებში. ხალხი სახლშია, ან პოდიეზდში, ან კინოში, ან რესტორანში. მაინც ყველას რესტორანში ჯდომა სჯობია, ვფიქრობ, მერე მწვადს დავცქერი. მალხაზი ღვინოს ასხამს. მწვადი გემრიელია შოთ პურთან ერთად.

_ ჩჩვენ თთავშეყრას გაუმარჯოს, _ ამბობს მალხაზი.

_ პირველი არ არის, არც უკანასკნელი ყოფილიყოს, ასეთი პურმარილი კი არა, მრავალი უფრო ტკბილი და უფრო კარგი უნდა ვუსურვოთ ერთმანეთს, _ ამბობს ნუგზარი. ვატყობ, კიდე რაღაცის თქმა უნდა.

_ გაგვიმარჯოს, _ ვამბობ და ვსვამ.

სვამს ნუგზარიც.

კიდე ვსვამთ.

მერე კიდე.

ნელა გვეკიდება ღვინო. მალხაზს უფრო ებმება ენა.

_ მმოდი, ჩჩვენ მმეორრე ნახევრებს გაუმარჯოს, ჩვენ მომავალ მეორე ნნახევრებს, _ მარცვლავს მალხაზი.

ნუგზარი ჭიქას იყუდებს. მე ქალაქში ვიხედები. იქ ისევ წვიმს. აქ კი გადაიღო.

ყველანი ვსვამთ.

მალხაზი ლეილაზე ლაპარაკობს. ძალიან უყვარს ის გოგო. მართლა კარგი გოგოა, მერე როგორ უყვარს. იმან იცის, რო ქურდობს მალხაზი, გინდაც არ ქურდობდეს, მაინც ძნელი იქნებოდა მასთან საქმის გაკეთება.

_ მოგიტაცებთ იმ გოგოს, _ ამბობს ნუგზარი.

_ მოტაცებული რათ მინდა, _ ამბობს მალხაზი. მე ვარწმუნებ, რომ მოტაცებული უფრო შეიყვარებს, შეეჩვევა, განსაკუთრებით, თუ იქ კარგად მოექცევა.

_ თთქვენ თქვენთვის იშოვეთ, _ ამბობს მალხაზი..., მმე მიყვარს ის და ვერ ვვაწყენინებ.

_ ჩემთვის რა, _ ამბობს ნუგზარი, _ სამასი ათასი თუ არ ექნა, არ შევირთავ.

_ მმახინჯიც რო იყოს?

_ თუ ძალიან არ იქნება მახინჯი.

_ მართლა შეირთავ? _ ვეკითხები მე.

_ სამასიათასად? მართლა.

_ მერე ვინ გაძლევს.

_ არავინ, რო იძლეოდნენ-მეთქი, _ ამბობს ნუგზარი.

_ მმე ეგეთ საქმეს ვერ ვიზამ, _ ამბობს მალხაზი.

_ რატო ვერ იზამ, სინდისი გიშლის? _ ცხარდება ნუგზარი.

_ სინნდისი, არა. მაინც ვერ ვიზამ, თუ არ მომწონს, ვერ ვიზამ, ვერც წარმომიდგენია.

_ სწორე ხარ, მალხაზ, _ ვამხნევებ მე.

_ ბიჭო, ბინას ვიყიდი, მანქანა, ჩაცმა _ ყველაფერი, ეჰ, _ ამბობს ნუგზარი.

_ არრ მინდა არაფერი, მირჩევნია მოვიპარო, _ უკან არ იხევს მალხაზი.

მე ჩუმადა ვარ, მერე ქვევით ვიხედები. ახლა იქაც გამოიდარა. ნეტა მე რას ვიზამ სამასი ათასს რო მომცემდნენ? _ ვფიქრობ. გიჟი ვარ, შევირთო მაგდენად, ან საერთოდ ფულზე, არ მინდა, არა. მილიონი რო იყოს ნაღდი, კიდე ჰო. მილიონი ბევრი ფულია. იმითი ორ სახლს აიშენებ, ორ მანქანას იყიდი, მერე ცოლს გაეყრები, ერთში იმას გაუშვებ, მეორე შენ დაგრჩება. მილიონი რო იყოს, კიდე ჰო, მაგრამ მაგდენი ვისა აქვს, გინდა ჰქონდეს, ვინ იცის. ვფიქრობ, მერე ძვალსა ვღრღნი. ძვალი გემრიელია და ზედ საკმაოდაა დარჩენილი ხორცი. მილიონი რო იყოს, კიდე ჰო, _ ვფიქრობ.

[1957 წელი. სექტემბერი.]

"მთელი თვე ვუშლიდი..."

მთელი თვე ვუშლიდი მალხაზს სირბილს. ის მაინც დარბოდა უჩემოდ. მერე ერთი კვირა ქალაქში არ ვიყავი, როცა ჩამოვედი, მალხაზი ისევ ზემელზე იდგა და იღიმებოდა.

_ სსად იყავი? _ თქვა მან.

_ არსად, ახლომახლო, _ ვთქვი მე.

მეტი სალაპარაკოდ არ ეცალა. ხალხის თავების ზევიდან უყურებდა ტრანსპორტს. ამ დროს ის მტაცებელ ფრინველს ჰგავდა. თვალები დაურბოდნენ, თვითონ უმოძრაოდ იდგა. სულ ყველაზე შორ კუნჭულებს ხედავდა ტროლეიბუსში.

_ აგერ შიმხონი, – უცებ შევამჩნიე მე ავტობუსში მძინარე კაცი. მალხაზმა ხმა არ გამცა. ის ტროლეიბუსს უყურებდა.

_ არა, _ თქვა მან.

_ რა არა, _ ვთქვი მე.

_ არც იქ იყო შიმხონი, არც იქ. _ ნუთუ არ იცი, რომ კაცი, რომელიც ძალიან მთვრალია, ეგრე მოხერხებულად ვერ ამოიდებს თავქვეშ ხელს. ეგ ცოტა ნასვამია და მორჩა. შშეიძლება მშიერიც კი იყოს ან დაღლილი.

ზევიდან გრიალით მოდიოდა ტრამვაი. ის უცებ გამოითიშა.

_ აგე შიმხონი, _ თქვა მან.

ტრამვაიში ვიღაცას ხელები ჩამოეყარა, თავი დაეკიდა და ისე ყვინთავდა.

_ ხხედავ, იმის თავიც არა აქვს, რომ ხელები შეიწყოს თავქვეშ.

_ მერე რატო არ მისდევ, – ვთქვი მე.

_ მაგან წეღან აიარა, ორი შიმხონისტი მისდევდა, ვვერა ნახე მუსარა და რეზო, ახლა უკვე ტილიანი იქნება, მაგ დროს ყოველთვის უნდა დაიხსომო ტრამვაის ნომერი, რომ ტყუილა არა სდიო.

_ პაკრიშკა რა იქნა? _ ვკითხე მე.

_ დაიჭირეს, კიდე ექვსი შიმხონისტი დაიჭირეს.

მე უკვე ვიცოდი, რომ პაკრიშკა დაიჭირეს და კიდე ექვსი შიმხონისტი.

_ მეტი აღარ ირბენ შენ, _ მტკიცედ ვთქვი მე. მალხაზი ყურადღებას არ მაქცევდა, მერე ადგილს მოწყდა. მე გამოვუდექი. ორივენი შევახტით ტრამვაის. ვაგონში ცოტა ხალხი იყო. წინა სკამზე ვიღაც რუსს ხელები ჩამოეყარა და თვლემდა. მალხაზმა ჯერ კონდუქტორი შეათვალიერა, შემდეგ ხალხი. ბოლოს წინ წავიდა. წავედი მეც. მუხლისთავი გაჰკრა მთვრალს. მთვრალი არ ინძრეოდა. მალხაზი გვერდით მოუჯდა. მე წინ ჩამოვეფარე. მეჩვენებოდა, რომ მთელი ტროლეიბუსი მე მიყურებდა. ხვითქად ჩამომდიოდა ოფლი. ძალიან მინდოდა ჩახტომა, მაგრამ ვიდექი. დიდი რამე, ვფიქრობდი, მალხაზი დღეში ათჯერ აკეთებს ასე, იმას ხო ვჭამ, ახლა რო ჩავარდეს,

ჩემი ბრალი იქნება, არა, მოვეფარები. მალხაზმა მარჯვენა ქვევით დაკიდა, მარცხენა თავის იღლიაში ამოუყარა და ღრმად შეუცურა უბეში.

ტრამვაი გაჩერდა.

მალხაზმა მარცხენა ნიკაპქვეშ ამოიდო და ნაზად დაუსტვინა. თან მიღიმოდა. მე ყოველი შლიაპიანი გადაცმული თანამშრომელი მეგონა. შეუმჩნევლად ვკრავდი ფეხს მალხაზს, ვანიშნებდი, რომ ჩამომხტარიყო. ის იღიმებოდა. მერე მუშაობა განაგრძო.

ახლა კი ნამდვილად დამინახეს. კარტუზიანმა თვალი გამისწორა. ჩავვარდი, გავიფიქრე. წამოვწითლდი. მალხაზი კი იჯდა, მუშაობდა. სირცხვილი გაქრა. კარტუზიანი წამოდგა. ჩავვარდი, კიდევ გავიფიქრე, უეჭველად დამიჭირეს. კარტუზიანი ნელა წამოვიდა ჩვენკენ.

_ მალხაზ, _ დავიძახე და ორი მოძრაობით კიბესთან გავჩნდი, მერე ჩავხტი. უკან მომყვა მალხაზიც.

_ რაა იყო, _ თქვა მან.

მე პოდიეზდში შევუხვიე.

_ რა და ვერა ნახე კარტუზიანი, ცოტაც და ვვარდებოდით.

მალხაზმა ბუზღუნი დაიწყო. უბეების გაჩხრეკა ვერ მოესწრო და იმიტომ.

რა სირცხვილია, რა სირცხვილი, რამდენი გიყურებს, ვფიქრობდი მე, მერე შეიძლება ჩავარდე, ჩავარდნა კიდე უარესი. ნეტა უფრო შემრცხვა თუ შემეშინდა. ალბათ, ორივე. რო მცოდნოდა, რომ ის გადაცმული თანამშრომელი არ იყო, ხო არ ჩამოვხტებოდი, ალბათ არა, ალბათ კი, არა, ნამდვილად არა. ე.ი. შემეშინდა ჩავარდნის. ჩემ თავზე ბრაზი მომივიდა. მშიშარა ვარ, მშიშარა, ვიმეორებდი გულში. მალხაზს კი არ ეშინია. ყოჩაღ, ბიჭო. მართლა რა ძნელი ყოფილა. ნამდვილად გულადია მალხაზი. ყოველთვის ამდენი ხალხი უყურებს, მერე ვინ იცის, ვინ არის მათში, მაინც იპარავს. მე კი ისე დგომის შემეშინდა. თუმცა შემრცხვა კიდეც. არა, უფრო შემეშინდა, იმიტომ რომ, როცა ის წამოვიდა, მაშინ ჩავხტი, მანამდე კი ქალები მიყურებდნენ, _ მაინც ვიდექი. მერე დავიწყე მთვრალზე ფიქრი. საწყალ რუსს ხელები ჩამოეყარა და ისე ყვინთავდა. ქუდზე კირის წინწკლები ჰქონდა, ეტყობოდა მღებავი იყო. ალბათ, სამუშაოში აღებული ფულით დალია, დანარჩენი სახლში მიჰქონდა, მალხაზმა კი, კიდე კარგი, ვერ ამოაცალა. ვინ იცის, ვინ ელოდა სახლში.

_ წწამო, დავლიოთ, – თქვა მალხაზმა. მე დალევა არ მინდოდა, რატომღაც მაინც ვიკითხე:

_ რითი?

მალხაზმა ორასი მანეთი დამანახა.

_ მმე ისე ჩამოვხტებოდი? _ თქვა მან.

მე შემეზიზღა მალხაზი, არაყიც, ღვინოც.

_ მე არ წამოვალ, – ვთქვი მე.

მალხაზი გაკვირვებული მიყურებდა. მერე თქვა.

_ წწამო სიმონას სადღეგრძელო დავლიოთ. სსაწყალი მღებავი ჩანდა.

_ მერე რატო წაიღე? – ხმას ავუწიე მე

_ აბა, რა მექნა.

_ არა გრცხვენია, არ მინდა, მე მაგ ფულით ვერ დავლევ.

მალხაზს ტუჩები ყურებამდე აეხია. – ჯჯერ არ დაგილევია! – თქვა მან. «მართლა და ჯერ არ დამილევია», გავიფიქრე მე, ახლა ისევ მომეჩვენა იმ რუსის სახე; «ერთი იმისი, ნუ დათვრება ისე, ან თუ დათვრება, ფული შეინახოს, არა, მაინც არ წავალ, ცოდვაა», ვფიქრობდი და რესტორნისაკენ მივყვებოდი მალხაზს.

_ ჩჩქარა იმ რუსის სადღეგრძელოს დავლევთ, ისიც კაცია, რა ქნას, ზზოგი ისეთია, მოიპარავს და იმის სადღეგრძელოსაც არა სვამს, მე კი, შენც იცი, ყოველთვისა ვსვამ, არა, თქვი შენ თვითონ.

მე ნელა მოვდივარ ხასიათზე. მშია.

_ ჰო, აბა რა, _ ვეთანხმები.

ახლა თვალწინ მწვადი და წინანდალი მიდგას.

[1957 წლის სექტემბერი]

პირველი დღე ზღვაზე, მივლინებაში

შორს, მთელ ჰორიზონტზე, მოჩანდა დიდი და ლურჯი ზღვა, ის აჭრილი იყო ფერებად მუქი ლურჯიდან თეთრამდე. ზღვის აქეთ მწვანე ბორცვები ეყარა თეთრი ერთსართულიანი სახლებით. ბორცვებს შუა მდორე ფშანი მიდიოდა, მერე ორად გაყოფილი ერთვოდა ზღვას. ქვევით გორაკები შეთხელდა, გზა დაეშვა; ახლა მანქანა ზღვის პირას მირბოდა. ჰორიზონტზე გემი გამოჩნდა, ჯერ ორთქლი დავინახე, შემდეგ მთელ სიგრძეზე გაწვა ის და სოხუმისკენ გაცურა, მე სოხუმიდან მოვდიოდი, ჩქარა მანქანა უფრო წინ გავარდა და გემი უკან დარჩა. ავტობუსში ოცდახუთამდე კაცი იყო, ყველა დაღლილი ჩანდა, ისინი ისხდნენ, იყურებოდნენ წინ და ყვინთავდნენ. მათთვის ზღვა არ არსებობდა როგორც სანახაობა.

_ შენ ახლა ჩამოხვედი? – მკითხა ჩემ გვერდზე მჯდომმა მეთევზემ, მერე პაპიროსი მომთხოვა. მე მივეცი და თავი დავუქნიე.

_ რა კარგი ზღვაა, არა? – ვკითხე.

_ წელს ცოტა თევზი იყო, – თქვა მან.

ასანთი ამოვიღე, გავკარი, იმან მოუკიდა, მთელი ფილტვებით მოქაჩა. შემდეგ მითხრა, რომ ზღვამ გაზაფხულზე მთელი ზამთრის ნაქსოვი ბადეები დაგლიჯა, ისეთი ღელვა იყო. ახლა პაპიროსი მეც გავაბოლე. ავტობუსი ისევ მოწყენილი იყო, თითქმის ვნანობდი, რომ საერთოდ წამოვედი აქეთ; მგზავრობის დასაწყისის მიხედვით, მთელი კვირა უქმად, მოწყენილი ჯდომა მელოდა. ფიქრები გამეფანტა, მეც გადამედო საერთო ნირვანა. უცებ მანქანამ მთელ სვლაზე დაამუხრუჭა და ისევ გაიქცა წინ. გზის მეორე მხარეს გადარბენილი ბიჭი უშნოდ იმანჭებოდა. დამუხრუჭებისას ყველანი ინერციის დაკარგვისგან გადავცვივდით. ჩემ წინ მჯდარი ოცდაათი წლის დედაკაცი თითქმის გადაემხო მის წინა სკამს და სქელი სავსე გავების დასაწყისი გამოუჩნდა. ვიღაც ქალი სახლში დატოვებულ ბავშვზე ალაპარაკდა, ულვაშა კაცმა ქალების ლანძღვა დაიწყო – საშინელი დაუდევრები არიან, ბავშვებს უპატრონოდ ტოვებენო, უკან ვიღაცამ შოფერი გაჭორა, ასეთი სიჩქარით მარტო მაგ ლოთებს დაყავთო. გამოცოცხლდა ავტობუსი. მეც სიცოცხლე შემეპარა სხეულში. ჯერ ჩემი პატარა ბიძაშვილი მომაგონდა ქუჩაში ფეხბურთის თამაშის დროს, მერე ისევ დამებურა აზრები. ვცდილობდი ზღვისთვის მეყურებინა, მაგრამ ქალის გავების გამოსახულებას ვერ ვიშორებდი თავიდან. მანქანა ინჯღრეოდა ოღროჩოღრო ასფალტზე, ირხეოდა ჩემ წინ მჯდარი ქალის ტანიც, უფრო მეტი სითბო იღვრებოდა ჩემს სხეულში. ოცნებაში წავედი. ვიხატავდი საკუთარ ნავს თექვსმეტი წლის ჩექმებიანი გრძელნაწნავებიანი კაზაჩკით, ღელვას, ტალღებს, ხიფათს, მშვიდობიანად გადარჩენას გოგოსთან ერთად და კიდევ ბევრ რამეს.

ახალ ათონში ხალხი დაგვემატა, თითქმის მუხლებზე მაჯდა ვიღაც მოსკოველი ქალი, ის უშნო იყო და ბევრს იცინოდა, რაც შეიძლებოდა მივიყუჟე კუთხისკენ. ზღვაში კი ისევ კაზაჩკიან ნავს ვხედავდი ოცნებით.

პრიმორსკში ძლივს გადმოვედი გაჭედილი ავტობუსიდან. ცხელოდა. რუსების სოფელი ზევით გორაკში შედიოდა, იქვე იფანტებოდა ფშანის ნაპირზე, მე ზღვისკენ ჩავუხვიე. მწვანეში თეთრი სახლი იდგა, ცალფეხა ქალი მრგვალ ქვებს აგროვებდა კალათში. მე შევეკითხე, იმ სახლის დიასახლისი ვინ იყო, ის ღობესთან მივიდა და დაუძახა. სანამ ის უძახდა, ზღვიდან ახალგაზრდა მოსული რუსი გოგო ამოვიდა, ხალათი მოიცვა, მერე გვერდზე ჩაგვიარა ღიმილით და ეზოში შევიდა. გულში გადავწყვიტე უეჭველად ამ სახლში გავჩერებულიყავი. რუსი გოგოს დანახვამ სულ მიმავიწყა ჩემი მიზანი _ «მეთევზეთა ცხოვრების შესწავლა». ჩქარა ხელების წმენდით გამოვიდა დიასახლისი.

_ აი, – თქვა ჩემზე იმ ქალმა, რომელმაც მომიყვანა და წავიდა.

_ გამარჯობათ, – მივესალმე მე დიასახლისს, ისიც მომესალმა ღიმილით. ღიმილმა იმედი მომცა, რომ ოთახს სწორედ აქ ვიქირავებდი, მაგრამ მოვტყუვდი. დიასახლისი, მართლაც, სიმპათიური ქალი აღმოჩნდა. დამპატიჟა, საღამოობით მის ვერანდაზე მივსულიყავი დასასვენებლად, მაგრამ დაღლილობის გამო ოთახის მოქირავებაზე უარი მითხრა.

მოწყენილი გავუყევი სანაპიროს. იმ გოგოსთან დაშორებამ, რომელიც არც კი გამეცნო, ზღვასაც ხალისი დაუკარგა. ზლაზვნით შევედი მომდევნო ერთსართულიან სახლში. ფეხშიშველა მოხუცი რუსის დედაკაცი პაპიროსს აბოლებდა და იპურჭყებოდა. მე ვუთხარი, რომ მინდოდა ერთი ოთახის ქირაობა. იმან თქვა, რომ ღუმელი არა ჰქონდა, მე მხრები ავიჩეჩე. გარეშემო მზე იყო და ძალიან ცხელოდა.

_ შეიძლება გაავდრდეს, – თქვა ქალმა. – ისე, მოიცა, ჩემი მოვა და იმასა ვკითხოთ, აგერ, მოდის კიდეც. _ იმისი კაცი კოჭლობით, მეჩხერკბილებში ჩიბუხგაჩრილი მოდიოდა, ქუდიდან სწორე, მავთულივით თმა ჩამოშლოდა თვალებზე. ძლივს მესმოდა მისი ლაპარაკი. შემიყვანეს ოთახში. დედაკაცმა თქვა,, რომ ისინი აქ ახალი დასახლებულები იყვნენ, ის თვითონ 1933 წლის შიმშილობის დროს გადმოსახლდა ყუბანიდან, პირველი ქმარი იქ მოუკვდა და ის, აქ რო იჯდა, მისი მეორე ქმარი იყო, ის კი მისი მეხუთე ცოლი. ორივემ გაიცინა, მეც გამეცინა. ახლა კაცი ალაპარაკდა. მე ვუსმენდი და მსიამოვნებდა, რომ ასეთ ალალ ხალხს წავაწყდი. ისე მიყვებოდნენ თავის ამბებს, როგორც მახლობელს. კაცი დროდადრო იღებდა ჩიბუხს, გადმოყრიდა ფერფლს, ისევ ტენიდა. ბოლოს თავის შვილებზე ილაპარაკა და გაჩუმდა. მე შევეცადე ზღვაზე გადამეტანა საუბარი.

_ ხო, წელს ცოტა თევზი იყო, გაზაფხულზე ისეთი ღელვა ამოვარდა, მთელი ზამთრის ნაქსოვი ბადეები დაწყვიტა, – თქვა მან.

_ მაინც ძალიან ლამაზია აქ ზღვა, – გავუღიმე ქალს.

_ ზღვა კი ზღვაა, მაგრამ შარშან კოპერატივი იყო, თევზს ვაბარებდით. თევზიც ბევრი იყო, წელს კი თევზი ცოტაა. გაზაფხულზე ისეთი ღელვა იყო, მთელი ბადეები დაგლიჯა. ეხ, წელს უფრო გაჭირდა ცხოვრება. მე უცებ მივხვდი, ამდენი რატომ ილაპარაკეს სიდუხჭირეზე – ჯერ ფასზე არ ვიყავით მორიგებული – მაინც არ იყო მათი გულუბრყვილო სიეშმაკე უსიამოვნო. ბოლოს ოცი თუმანი მომთხოვეს რვა დღეში, თავისი ჭამით და ცალკე ოთახით. გამეღიმა, ვიფიქრე, ნეტა ამდენი იმიტომ ილაპარაკეს, რომ ასე ცოტა ეთხოვათ მეთქი, უხმოდ ამოვიღე ფული და პასპორტთან ერთად დავდე მაგიდაზე. მერე გარეთ გამოვედით, კაცმა ჩიბუხი მათხოვა. ახლა ზღვის პირას ბარკასებს შუა დავდიოდით. კაცს თევზაობის ამბებს ვაყოლინებდი.

დილით გადიოდნენ ზღვაში ან ღამე, მერე ექაჩებოდნენ ბადეებს და გამოყავდათ ან ბევრი თევზი, ან საშუალოდ, ან ცოტა. ცოტა მაინც ყოველთვის იყო. მზე უკვე დიდი ხანია გადავიდა ციდან და ახლა ზღვაში იხრჩობდა თავს, ეს გამოთქმა ძალიან მომეწონა, ხმამაღლა ვუთხარი მოხუცს და ჰორიზონტს მივაშტერდი, სადაც წითელ ზოლებად იწვა მზის სხივი.

_ ზოგი ახლა გადის სათევზაოდ, – გადააწიტა მოხუცმა, _ მე კი, პირადად, დილით მირჩევნია, ყველას თავისი აზრი აქვს, მე დილით უფრო კარგადა მაქვს დაცდილი. _ აშკარად მეწყინა, რომ ზღვის სილამაზეზე არც თვითონ იძახდა არაფერს, არც მე. გამომელაპარაკა. როცა სიტყვა ჩამოვუგდე, ოდნავი წყრომით ვუთხარი ჩემი აზრი.

_ ეხ, შენ, – თქვა იმან. – რაა სილამაზე იმაზე კარგი, რო აი, ამხელა თევზს დაიჭერ, – ამოაგდო მკლავი, ჩაიხითხითა, – თქვენ ჩამოდიხართ, ვითომ სილამაზე, არა? – დაიქნია თითი, ჩაიცინა. – ჩამოდიან, შენ, არ ვიცი, ყოველ ზაფხულს ჩამოდიან და მთელი დღეები გოგოებს დასდევენ, ელაპარაკებიან ზღვაზე და წელზე ხელი აქვთ მოხვეული, ეხ თქვენ, ვის თევზი, ვის გოგო, ვის ორივე, ყველა იმას ხედავს ზღვაში, რაც უნდა.

მე ჩუმად მივდიოდი, ზღვა საღამოს აღელდა და ახმაურდა. ისევ გამახსენდა მანქანაში ჩემ წინ გადაქცეული ქალის თეთრი ბარძაყები, ისევ ჩამეღვარა სხეულში სითბო.

_ მამა, ივახშმეთ, – მოისმა ბაღიდან. ჩვენ შევედით. იქ მაღალი, მოძრავტანიანი რუსის გოგო იდგა, ცოცხალი სახით, ზედ მარტო ვნება უთამაშებდა. ის განგებ არ მიყურებდა მე.

დაღლილი ვიყავი და ადრე დავწექი. ვფიქრობდი იმაზე, თუ რა მასალა შევაგროვე მეთევზეთა ცხოვრებაზე, მერე ძილთან ერთად ქალი შემოიპარა ჩემს ფიქრებში. მარტო ვიწექი ლოგინში, თბილი საბნის ქვეშ მცხელოდა, ლოგინის გარეთ კი ციოდა. ვისუნთქავდი ცივ ჰაერს, მეთევზეებზე ფიქრი თავისთავად გადაიდო მეორე დღისთვის. თავში მხოლოდ მეთევზის ქალის ტანი მიტრიალებდა. მაგონდებოდა ათასი ამბები ქალებზე: როგორ ცივად ეჭირათ თავი დღისით, როცა მგზავრი მოსწონდათ, ღამე კი ჩუმად შედიოდნენ ოთახში მასთან და დილით ისევ მიიპარებოდნენ ქმართან. ახლა მთლიანად ჩამიჭირეს ქალზე ფიქრებმა. გარეთ მატარებელი მიდიოდა რიტმული რახრახით, მეჩვენებოდა ნაბიჯების ხმა, ფეხაკრეფით წამოვდექი, ურდულზე დაკეტილი კარი გამოვაღე ყოველშემთხვევისათვის და ისევ თბილად გავეხვიე საბანში.

მეორე დილით სახლისპატრონმა გამაღვიძა, სხვა დღეებში მე თვითონ ვდგებოდი. ყოველ დილას გავდიოდით ზღვაში სათევზაოდ, მერე ვქეიფობდით თევზის ფულით. მეთევზეები საერთოდ ცოტას ლაპარაკობენ, განსაკუთრებით, თევზაობაზე.

სამი დღის თევზაობის შემდეგ ნელა დაიწყო იდეამ ჩასახვა მეთევზეთა ცხოვრებაზე, ჯერ სათაური მომივიდა თავში _ «მუნჯი ახმედი და სიცოცხლე», მერე უცებ დამიდგა თვალწინ ახმედის ცხოვრება. წამოსვლისთვის მოთხრობა შავად უკვე დამთავრებული მქონდა.

[1957 წლის. შემოდგომა.]

მუნჯი ახმედი და სიცოცხლე

ზღვაზე უმთვარო, მოწმენდილი ცა იყო. წყნარი, პატარა ტალღების ხმა ძლივს ისმოდა ქვიშიან ნაპირზე, ის მარტო ცოტა ზევით დაყრილ ლოდებზე ტყდებოდა ხმაურით. შიგ წყალში ვარსკლავების სინათლე იდგა; იქ მათ ბაც შუქში კატარღა მიცურავდა იმ ნაპირის გასწვრივ, სადაც სიბნელეში მოჩანდა მკრთალი, მბჟუტავი ნათურები. ზღვა წყნარი იყო, ნაპირზე სინათლეები ჩანდა და გემბანზე მშვიდად უკრავდა მეზღვაურის გარმონი. ასე იცურებდა კატარღა დილამდე, მერე შევიდოდა ნავსადგურში, აიღებდა სანოვაგეს; შუადღისთვის უკან დაბრუნდებოდა ზღვაში; ღამე სიწყნარეში ისევ გამოჩნდებოდნენ ნაპირის სინათლეები, ზოგი კაშკაშა, ზოგი მბჟუტავი; სხვა სინათლეები კი სულაც არ ჩანდნენ კატარღიდან. არ ჩანდა ნაპირიდან მოშორებული შუქები, არ ჩანდა ფარდაჩამოფარებული სახლებიდან ის სინათლე, რომელიც ძლივსღა ბჟუტავდა თავის კერაში.

აქ, ნაპირზე, მიმქრალ ცეცხლთან იჯდა ბებერი მეთევზე, მუნჯი ახმედი, გამხდარი ჩამოყრილი მხრებით და უძლური სხეულით სიცოცხლეს უნარჩუნებდა კერას; შუამდე დამწვარ ფიჩხს შეწევდა ღრმად, ალი მაღლა იწევდა, ამ დროს კატარღიდან ჩანდა ეს შუქი სხვა სინათლეებთან ერთად, მერე ისევ ეფარებოდა ნაცარი ალს, ნაცრის ქვეშ ძლივსღა ცოცხლობდა ცეცხლი. მიმქრალ ნაღვერდალს ახლიდან აღვივებდა ახმედი. ალი უნათებდა შეკრულ კრიჭებს, დანაოჭებულ სახეს და ბერვის დროს წინ გაშვერილ ტუჩებს. ძაღლის ლეკვი იწვა ცეცხლის პირას, პატრონის შიშველ, ცივ ფეხზე ედო თავი და თვლემდა. ძაღლის სითბო გადადიოდა პატრონში, ახმედი იყუდებდა თუნგს, დიდი, მძიმე ყლუპებითა სვამდა წყალს. მერე შემოვიდოდა სედა, მოხუცებული ქალი, რომელიც სიბერისას შეიკედლა მეთევზემ, ისიც დაჯდებოდა ცეცხლის პირას და ყვინთავდა. არც ერთს არ აგონდებოდა არაფერი, შავი გადაფარებოდა ახმედის მეხსიერებას, არც ჰქონდა ბევრი რამე გასახსენებელი, მაგრამ რომ შეძლებოდა, მოიგონებდა თავის დიდ ბარკასს, წყლით გაბერილ სახეებს, რომელთაც თავისი სიცოცხლის ფასად გამოსტაცებდა ხოლმე აღელვებულ ზღვას. მოიგონებდა მამას, რომელმაც ასწავლა თევზაობა. მაინც ახსოვდა რაღაც ახმედს. ეს უფრო ტკივილს ჰგავდა, ვიდრე მოგონებას – ეს იყო ლილი _ «ზღვის საჩუქარი», რომელიც შემდეგ მისი ცოლი გახდა.

ყველა ამ მოგონებებიდან ახლა მხოლოდ ყრუ, უფერული შეგრძნება ჰქონდა მოხუცს გულში. წინათ, სულ წინათ, ამ ახმედისაგან შორს, რომელიც აქ იჯდა ბებერი და უძლური, იყო სხვა ახმედი, ღონიერი, ახალგაზრდა, ახმედი, რომელსაც ჰყავდა ლილი.

ახმედი მიდიოდა ლილისთან ერთად ზღვის ნაპირზე, მერე მკლაურით ჭრიდა ტალღებს, ყვინთავდა, დიდხანს არ ყოფდა თავს წყლიდან, შეშინებული გოგო მუხლამდე შედიოდა ზღვაში, ნაპირთან მიცურებული ახმედი ფეხში ჰკიდებდა ხელს, შიგ ითრევდა.

შემდეგ ისევ მიდიოდნენ ნაპირის გასწვრივ. ნახევრად შიშველ ახმედს მხოლოდ ძველი, დაკერებული შარვალი ეცვა. უზარმაზარ თათებს უხერხულად აქანავებდა, ხანდახან გოგოს დაადებდა მხარზე, მხარი ყვებოდა ძალას და მორჩილად იხრებოდა მკლავის სიმძიმის ქვეშ. ქვიშიან ნაპირზე სხდებოდნენ ორივენი, უყურებდნენ ღელვის მატებას და ფიქრობდნენ ერთმანეთზე. ლილიმ იცოდა, რომ ახმედისთანა მეთევზე არავინ იყო, არც იმისთანა მძლავრი მკლავები ჰქონდა ვინმეს; ლილიმ იცოდა, რომ ახმედი თითქმის ნავში გაიზარდა, თმები ზღვის წყლისაგან დიდ გაშლილ კულულებად ეყარა შუბლზე და ისინი ძალიან სასიამოვნო იყო ხელის

მოსაკიდებლად. თვითონ ლილი ხუთი წლის წინ მიატოვა ვიღაც კაცმა, რომლისაც მას ეშინოდა. მიატოვა იმის შემდეგ, რაც ის ქალი გარდაიცვალა, რომელსაც დეიდა იულიას ეძახდა. დეიდა იულია ზღვაში მოკვდა, ღელვისას ბარკასს დაარტყა თავი. მაშინ ისინი შუა ზღვაში იყვნენ, იმ კაცმა ქალის ცხედარი ბრეზენტის ტომარაში შეახვია და წყალში ჩაუშვა. ბევრი იტირა ლილიმ; როცა ნაპირზე გამოვიდნენ, ხუთი დღის შემდეგ ის კაცი სწრაფად მიიმალა. შიმშილით გულშეწუხებული პატარა გოგო მარტო დარჩა ნავში. იმ ადგილებში თევზაობდა ახმედი მამასთან ერთად, მან პირველმა დაინახა ცარიელი ბარკასი, რომელიც ტალღებზე ქანაობდა. იქით გაცურა. ნავის ძირზე პატარა გოგოს უმოძრაო სხეული დახვდა. ნაპირზე ძლივს მოასულიერეს ის, ვინც თავის თავს ლილი დაუძახა.

ახმედი გოგოზე სამი-ოთხი წლით იყო უფროსი. მის პოვნამდე მან იცოდა მხოლოდ, რომ ჰყავდა მამა, ჰქონდა ქოხი და იყო ზღვა. ზღვას მაშინ ეძახდა კარგს, როცა ბევრი თევზის დაჭერა შეიძლებოდა. ადრე დავაჟკაცდა ის ფიზიკურად. თხუთმეტი წლისა ზღვაში ღრმად შესული ათენებდა ღამეს. მისთვის წყალი ისეთივე ნიადაგი იყო, როგორც მიწა, უფრო მეტიც: ის აძლევდა თევზს, რითაც ცხოვრობდა. ზღვა მისთვის არც ლამაზი იყო, არც უშნო. ზღვა იყო ის, ურომლისოდაც ცხოვრებაც ვერ წარმოედგინა ახმედს. მისი სწორები ზღვისპირა ჯაგებში თამაშობდნენ, ის კი, თუ თევზაობის დრო არ იყო, შეცურდებოდა ნავით შორს, დაწვებოდა ძირზე; მზე უწვავდა დაკუნთულ ბეჭებს, სიამოვნებისგან ინაბებოდა ბიჭი.

წინა შემოდგომის ბოლოს, სანამ ლილის იპოვნიდნენ, ზღვაში ღელვამ მათი ბადეები დაწყვიტა, დაუმსხვრია ნავიც. გრძელ ზამთრის ღამეებში იჯდა ცეცხლის პირას ახმედი და ახალ ბადეებსა ქსოვდა. მოიწყინა უზღვოდ, უნავოდ კი წყალი არ უყვარდა. საათობით დადიოდა ქსოვის შემდეგ ქვიშიან ნაპირზე მარტო, მოწყენილი. ზამთრის ბოლოს ზღვამ დამტვრეული ნავი გამორიყა. ახმედმა ის სეზონის დაწყებამდე გააკეთა, მერე მარტო შეცურა ზღვაში ბადეების დასაგებად. ამდენი ხნის დაშორების შემდეგ წყალში შეცურვას არ გამოუწვევია მის გულში დიდი სიხარული. ეს ამბავი მისმა სხეულმა მიიღო როგორც აუცილებელი, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მისი არსებობა. პირველივე ბადეები თევზით სავსე ამოვიდა, სანაპიროზე კი თევზი იშვიათი საშოვნელი გახდა. კარგ ფასში გაყიდეს ნანადირევი. ახმედის გულში იმედი შეიპარა, რომ მეორე სეზონისათვის ახალ დიდ ნავს იყიდდა თავისი იალქნით. მას სჯეროდა ზღვის. ზღვა აძლევდა საჭმელს, ზღვამ მისცა ძველი ნავი, იქ დაიჭირა ყველაზე მეტი თევზი და ისევ აყიდინებდა ახალ, დიდ აფრებიან ნავს. ერთ დღეს, როდესაც ბადეები სავსე იყო თევზით, ზღვამ მოუტანა ახმედს ლილი. ის სუსტი იყო, სიცოცხლე ოდნავ ცხოვრობდა მის სხეულში და ახმედმა გააღვიძა იგი. თბილად დააწვინა თავის ქოხში, შენახული ფულით საჭმელი მოჰქონდა, ძირითადად თევზი, რადგან სწამდა, რომ ზღვის ყველაფერი კარგი და მარგებელი იქნებოდა; ლილიც ხომ ზღვამ მოუტანა ახმედს; გოგო მალე წამოდგა ფეხზე, ის პატარა იყო, თხელი, სულ თორმეტი წლის. დახეული კაბით და ხშირი, ჩამოყრილი კულულებით. დააბიჯებდა ახმედის გვერდით ზღვის ნაპირას. ბიჭის ფართე ნაფეხურები ღრმად აჩნდებოდა ქვიშას, გოგო კი თითქოს ფეხსაც არ აკარებდა მიწას, ისეთი მკრთალი იყო მისი ნატერფალი. ახმედთან ერთად დაიწყო ლილიმ თევზების ჭერა; დაჯდებოდა ნავში, შიშველ ფეხებს წყალში ჩაყრიდა და მღეროდა. სიმღერა სულ ბუნდოვნად ახსოვდა, სადღაც გაგონილი, ხმა ზღვის ჰაერისაგან ადრე გაუუხეშდა, მღეროდა უსწოროდ, უსმენოდ. ახმედი უსვამდა ნიჩბებს, ზორბა მკლავებზე კუნთები ბორცვებად აჯდებოდა და თვითონაც ჰყვებოდა სიმღერებს სახის მოძრაობით, მერე გოგო ბადის ამოღებაში ეშველებოდა, ნაპირზე გამოტანილი

ნადავლი ბაზარზე მიჰქონდა გასაყიდად. ახმედი კი იჯდა ზღვის პირას და იმ ბარკასს აკეთებდა, რომელმაც გამორიყა ლილი. იჯდა მარტო, უყურებდა ზღვას, ის არც უყვარდა, არც ეჯავრებოდა; ზღვა იყო აუცილებელი მისი არსებისათვის, ის აძლევდა ყველაფერს, რაც უნდოდა, ზღვამ მისცა პატარა ამხანაგი ლილი, რომელიც თევზაობაში ეშველებოდა, მღეროდა და დაჭერილ სტავრიდკას ყიდდა ბაზარში.

გადიოდა დრო და ახმედი გრძნობდა, რომ ზღვამ უფრო მეტი მისცა მას, ვიდრე თევზაობაში მომხმარებელი. ამას სულ ბუნდოვნად გრძნობდა და არ იცოდა ამ საჩუქრისთვის რა სახელი დაერქმია.

ახლა კი ისხდნენ ორივენი წყლის პირას, ღელვა მატულობდა, ახმედი მალულად უყურებდა ლილის მუცელს, უკვირდა, რომ ასე უცბად მოხდა ყველაფერი. ეს უცებ მოხდა, ერთი წლის წინ, წინა სეზონში. ლილი მღეროდა, შიშველი ფეხები წყალში ჰქონდა ჩაშვებული, ახმედი ბადეს ეზიდებოდა, მერე ლილიც ეზიდებოდა მასთან ერთად, გოგოს მკერდი ხვდებოდა მის მკლავს ბადის ქაჩვისას და სასიამოვნო სითბო ეღვრებოდა სხეულში. ახმედი დიდხანს აჭიანურებდა ბადის ამოღებას, თევზი გარბოდა, მაგრამ ამას აღარ აქცევდა ყურადღებას, მას უნდოდა, რომ ბადე ძალიან, ძალიან გაგრძელებულიყო. ლილიც უფრო ახლოს იწევდა ნახევრადშიშველი ამობურცული მკერდით. თევზი კი გარბოდა. წინადაც ხდებოდა ასე, მაგრამ ახმედი ძლევდა თავს, ლილიც აშორებდა ხოლმე მკერდს მის მკლავს, ეზიდებოდნენ თევზით სავსე ბადეს და ქალიც რჩებოდა მხოლოდ მის დამხმარედ.

დამხმარეზე მეტი ლილი მხოლოდ ახმედის გულში იყო, მაგრამ არ იცოდა ვაჟმა, იმ მეტისთვის რა სახელი დაერქმია.

ახლა განსაკუთრებით ნელა ქაჩავდნენ ბადეს, მერე ახმედმა ხელი შეუშვა, ბადე წყებ-წყებად ჩაიშალა წყალში და თევზი გაიქცა. «ოჰ, თევზი», დაიძახა ლილიმ და უკან გადაიწია, დაძონძილ კაბაში მზისგან დამწვარი კანჭები გამოჩნდა. ახმედმა ბარძაყში მოჰკიდა ხელი, მაღლა აიყვანა და მიიკრა. გოგო თმებში ჩაეჭიდა, მაგრად მოქაჩა, მერე ძალაგამოლეულმა ჩატოვა შიგ სუსტი თითები; ნავი ქანაობდა და ორივე შეიძლებოდა ასე ფეხზე მდგომელა წყალში გადაეყარა. ახმედმა ფრთხილად დააწვინა ლილი ნავის ძირზე. დიდხანს იწვნენ ასე, ზევიდან ღრუბლებში გაჩხერილი მზე აცხუნებდა, ნავი ირხეოდა ტალღებზე და ის რხევისაგან უფრო სასიამოვნო იყო. როცა ლილი სკამზე დაჯდა, თვალები ცრემლიანი, მაგრამ მხიარული ჰქონდა და ზურგზე ნავის ძირს დაგებული სწორი, დატიხრული ფიცრის ანაბეჭდები ეტყობოდა. ახმედი მძიმედ უსვამდა ნიჩბებს, ახლა მან იცოდა, რომ ზღვამ, თევზის ჭერაში დამხმარესთან ერთად, აჩუქა ცოლი, ისეთი, როგორიც ჰყავდა მამამისს მისი დედა, რომელიც კარგად ახსოვდა: დედა მას სცემდა ხოლმე ზოგჯერ, ზოგჯერ კალთაში ისვამდა და ტკბილეულს აჭმევდა.

ყველაფერი ეს მოხდა ერთი წლის წინ.

ახლა იჯდა ახმედი ლილის გვერდზე, ზღვის ღელვას უყურებდა, რომელიც სულ უფრო მატულობდა. უყურებდა დიდ დატეხილ ტალღებს, ჰორიზონტზე გაწოლილ შავ ღრუბლებს, ზოგ ადგილას სხივებისაგან დაწითლებულ წყალს და ძალიან უნდოდა ეთქვა რამე ლილისთვის: მას უყვარდა ზღვა, ზღვაზე უფრო მისი საჩუქარი, თავისი ცოლი, მაგრამ არ იცოდა როგორ გამოეხატა ეს გრძნობა. მან არც ის იცოდა, რა ერქვა იმას, როცა რაიმე სიამოვნებდა, თანაც ყველაზე ძალიან. ყრუ ტკივილი იგრძნო, რომ ვერ გააგებინა ცოლს თავისი ფიქრი, წამოდგა, მძლავრი ბიძგით შეაცურა ნავი წყალში, პირველივე ნიჩბის მოსმით გადაახტუნა ერთ ტალღას, მერე მეორეს. ლილი ნაპირზე იდგა და ხელს უქნევდა, ის ხმამაღლა კისკისებდა, ახმედმა მარცხენა მაღლა

აწია, თეთრი, მსხვილი კბილები გამოაჩინა გაცინების მაგიერ. ის ბედნიერი იყო, ზღვაში შესული ახმედის ესმოდა ცოლს.

საღამოს ლილი მარტო იჯდა ქოხში. შუა ცეცხლზე წყალი დუღდა; თვითონ ახმედის წითელ ხალათს აკერებდა, რომლის ჩაცმის დროსაც მისი ქმარი ყოველთვის კმაყოფილ სახეს იღებდა და კუნთებს ბერავდა.

შებინდებისას ბადეების დაგებას მორჩნენ მამა-შვილი, ახლა დიდხანს ზღვაში ყოფნა აღარ სიამოვნებდა ახმედს, თუ ლილი თან არა ჰყავდა წაყვანილი, თევზაობის მერე გამალებული უსვამდა ნიჩბებს ნაპირისაკენ. ამ დროს თვალები ებერებოდა, შეკრული კრიჭები ხრჭიალებდნენ და დაბერილი ნესტოებიდან მძიმედ უშვებდა ჰაერს. ძალიან ეჩქარებოდა უკან დაბრუნება ყოველთვის, როცა ლილი მარტო იყო სახლში. შიში რა იყო, არ იცოდა მან, არც ის იცოდა, თუ რა იყო უშიშრობა, მაგრამ მისთვის გამოუცნობი ძალა ეუბნებოდა, რომ საჩუქარი, რომელიც ზღვამ მოუტანა, შეიძლებოდა ისევ უკან წაეღო რამეს.

მთელი ქანით შეაგდო ნავი ნაპირზე. ლილი ქოხის კარებში იდგა. ახმედმა თავი აწია, კბილები გამოაჩინა, მერე ზურგი შეუქცია და ნელა დაიწყო ნავის ნაპირზე გამოთრევა: ასაღელვებელი უკვე აღარ იყო არაფერი. ახმედის მამა ჯანბეგმა შიშველ ფეხებით გამოტოპა წყალში, მერე ქოხში შევიდა და ბადეები დაყარა.

_ ნახე, რა დიდია და ხორციანი, _ თქვა მან და ხელზე დადებული თევზი დაანახვა ლილის.

_ ეგ, ვიცი, რა თევზიც არის, ახანში მოხვდა, ალბათ, _ გაიცინა ქალმა.

_ არა, ახმედმა დაიჭირა ანკესით, აჰა, ბიჭო, ტყავი გააცალე. _ გადაუგდო მამამ თევზი. ახმედმა დაიჭირა, ქამარზე ჩამოკიდებული პატარა დანა დააძრო და მუცლიდან აფატრა.

_ შენ დაიჭირე, არა, ახმედ? _ მივიდა მასთან ლილი. ახმედმა თეთრი კბილები გამოაჩინა, ლილიმ თმებში ჩასჭიდა ხელი, თავისკენ მოწია.

_ გიყვარვარ, ახმედ?

_ უყვარხარ, მერე როგორ, – გაიშხლართა ჯანბეგი ტახტზე და კედლისკენ გადაბრუნდა. _ წინათ სულ მოღუშული იყო, ახლა დაავიწყდა კიდეც, რომ ლაპარაკი არ შეუძლია.

ახმედი იღიმებოდა. თევზის ქერცლები ცეცხლის პირას ცვიოდა, ზოგ ახლად დაცემულს ალი იტაცებდა, ატკაცუნებდა. მან ჯოხისაგან შამფური გამოთალა, ზედ წამოაცვა, მერე ლილის დაანახვა.

_ ჰო, შეწვი, _ თქვა ქალმა.

ის ჩაცუცქდა, ცეცხლი გაქექა და შამფური ნაკვერჩხალზე დადო, თან მხიარულად გაიქნია თავი.

_ ეგ, იცი, რა გემრიელია შემწვარი, უ, რამდენი მე ეგ მიჭამია წინათ! _ კედლისკენ თქვა ჯანბეგმა.

_ ეტყობა. ახმედსაც უყვარს. _ ლილიმ ისევ მოჰკიდა ქმარს თმებში ხელი.

_ უყვარს, მაშ, მაგ თევზით გავზარდე, იმიტომ არის ეგეთი ღონიერი.

_ ღონიერი ხარ, ახმედ? _ მოქაჩა ქალმა თმები.

_ ეგეთი ღონიერი, ტყუილია.

_ ღონიერია, მა რა, ხო, ახმედ. _ ისევ მოქაჩა თმები.

ახმედმა შამფური გადააბრუნა.

_ ვერ ლაპარაკობს, არა? – თქვა ლილიმ, თითქოს პირველად გაიგო და თმებზე ხელი შეუშვა.

ჯანბეგს ხმა არ ამოუღია, ახმედმა იგრძნო, რომ ლილი შეიცვალა, დანაღვლიანდა, მორცხვი ღიმილით ახედა, ქალი დაიხარა და თავისი პატარა ცხვირი მოუსვა ლოყაზე.

_ უნდა გაიპარსო უკვე, _ თქვა მან.

_ ხვალ მივცემ ფულს და წავყვები, – წამოჯდა ჯანბეგი ტახტზე და მუგუზლებზე დამსკდარ თევზს დააშტერდა, მერე მზერა ლილის წამოსულ მუცელზე გადაიტანა. – თევზის ფულებიც ასაღები გვაქვს, თორე ჩქარა სტუმარი გვეყოლება, არა?

ახმედმა თავი ასწია, ლილი კიდობნისკენ წავიდა, პატარა წითელი პერანგი ამოიღო და ქმარს დაანახვა. ახმედს თვალები აუპრიალდა, ჯანბეგმა კმაყოფილად ჩაიბუზღუნა:

_ შენ შეკერე? ძალიან კარგია, ახლა შარვალი გააკეთე, ხო იცი, ბიჭი იქნება!

ლილიმ სკივრიდან მწვანე შარვალი ამოიღო.

_ აი, _ თქვა მან, _ ესეც...

ახმედს სიამოვნებისგან ტუჩები აეხა, შეკრული კრიჭები მოუდუნდა და გაუბედავად დაადო ლილის მუცელზე თითი.

_ ჰო, ჰო, _ თავი დაუქნია ცოლმა.

ღამდებოდა და თენდებოდა.

კმაყოფილების რიტმით ივსებოდა ახმედის გული. ის გრძნობდა თავის ჭარბ ძალას კუნთებში, რომლითაც უსვამდა ნიჩბებს და რომლითაც ბავშვივით აყვანილი ეჭირა ლილი. ახლა მისი ასე ტარება ყველაზე ძალიან შეუყვარდა ახმედს. დადიოდა ქვიშიან ნაპირზე, მკლავებზე გადაწვენილ ცოლს არწევდა, თან მის წამოსულ მუცელს უყურებდა. ახალი ძალა იღვრებოდა მის გულში, ებერებოდა ბიცებსებიც. ის ფიქრობდა, რომ ის თევზი, რომელსაც აქამდე იჭერდა, აღარ იქნებოდა საკმარი, ის ქოხი, სადაც ის ცხოვრობდა, გაცილებით პატარა და უშნო იყო, ვიდრე იმათი ქოხები, სოფელში რომ იდგნენ; იმ ქოხებში ყველგან დარბოდნენ პატარა, ლილიმ რომ შეკერა და აჩვენა, ისეთ პერანგჩამოცმული ბავშვები. საღამოს მარტო მიდიოდა ბაზრისაკენ, ლილის სიარული აღარ შეეძლო, ის იწვა და ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა. ვერ იტანდა ახმედის გული ცოლის ტანჯვის ყურებას.

მიდიოდა ბაზრისკენ, რომელიც ამ დროისთვის უკვე დაკეტილი იყო; გზადაგზა გრძელხისფეხებზე შესკუპულ ქოხებს ათვალიერებდა, მიწას რომ ხის კიბით უერთდებოდნენ. ერთხელ, ასეთი სეირნობის დროს, დიდი ბარკასის უფროსმა მეთევზემ შეიპატიჟა, მაგიდასთან დასვა. აქ ღვინო დალია ახმედმა, სასმელი თბილ სითხედ ჩაიღვარა მის სხეულში, მგრძნობიარე და რბილი გახადა ის. შეუჩვეველი ჩქარა დაითრო, თვალები გაუფართოვდა, ხარბად უყურებდა კედელზე ჩამოკიდებულ დიდ, ჭრელ ფარდაგს _ მის შუაში გაკრული არშიებიანი თეთრი პირსახოცით, მერე მზერა კარადაზე გადაიტანა, საიდანაც საჭმელი გამოიღო დიასახლისმა. მასპინძელი იცინოდა, მხარზე ხელს ურტყამდა. რაღაცას უსურვებდა. ახმედმა იცოდა, რომ ის სურვილი ეკუთვნოდა ლილის კარგად ყოფნას, რომელიც ავადმყოფი იწვა მის ძველ ტახტზე და ბავშვს ელოდებოდა. უცებ დაეპატრონა ახმედის გონებას ცოლის სახე. ავადმყოფურად მოუნდა მისი ნახვა, წამოდგა და გამოუმშვიდობებლად დაეშვა კიბეებზე. მასპინძელი გარეთ გამოჰყვა.

_ წავიდა? – ხმამაღლა იკითხა მეორე ოთახიდან მასპინძლის ცოლმა, როცა კაცი უკან შებრუნდა.

_ წავიდა, ზღვასთან ყოფნა მოუნდა მუნჯს, – თქვა ღიმილით ქმარმა.

ახმედი მირბოდა ზღვის გასწვრივ, წვრილი ქვიშა იწეოდა გვერდებზე, ხრაშუნობდა; ზღვის შუაში მთვარის შუქი იყო ჩაღვრილი. გარშემო ტალღებზე

ღრუბლის ჩრდილები დადიოდნენ, მერე მთვარე დაიმალა და შორს ზღვაში ნაპირისაკენ მომავალი გემის სინათლე გამოჩნდა. ახმედმა ზღვას გახედა და უფრო მოუმატა სირბილს. მის ქოხში სიბნელე იყო, შიგ შევარდნილ ახმედს ღრუბლებიდან გამოსული მთვარის სინათლე დაეცა ზურგზე. ლილის თავი უკან ჰქონდა გადავარდნილი, სხივები მის მოდუნებულ სახეს კიდევ უფრო აფერმკრთალებდნენ, ახმედი ჩამოჯდომას აპირებდა ტახტზე, მაგრამ ქალი უცებ გაიმართა, ხელი ჰკრა სუსტად და საბნის ნაგლეჯში გახვეული რაღაც მიიხუტა. ახმედი სიბნელეში იდგა. მთვარე ლილის გრძელ, ჩამოყრილ თმებს, გაშტერებულ, უცრემლო თვალებს და იმ ნაგლეჯში გახვეულ რაღაცას ანათებდა, რომლის მხოლოდ დამანჭული სახე მოჩანდა. დიდხანს იჯდა ასე ქალი. თვალები ამოუშრა მთვარის შუქისაგან, სხივები შედიოდნენ მის გუგებში, უფართოვებდნენ, ითრევდნენ თავის სამფლობელოში და დედაც გაშტერებული უყურებდა მრგვალ, წითელ დისკს. ახმედი მიყუჟული იდგა. მისი სხეული გრძნობდა, რომ რაღაც ცუდი მოხდა. ზღვა კი ხმაურობდა, შავი ღრუბლები დადიოდნენ აჭრილ წყლებზე, მერე ღრუბლებმა მთვარე დაფარეს და ახმედის ქოხში მთლიანად დაბნელდა. სიბნელეში ქვითინის ხმა გაისმა. ქვითინებდა ბავშვზე დამხობილი დედა, მერე საბანი გადააცალა, თავს უსვამდა მის სხეულს, თმებით ფარავდა ახლად გაჩენილის ერთიბეწო ტანს. ახმედმა თავისდაუნებურად დაანთო ცეცხლი. ჯერ ცოტათი მოეკიდა ხიწაწს, მერე ალმა იმატა, ნელა გაანათა ოთახი. დედის სხეულის ქვეშ იწვა უმოძრაო ბავშვი კისერზე დახვეული ჭიპით, რომელსაც ის დაბადებამდე დაეხრჩო.

გვიან შევიდა ქოხში მოხუცი ჯანბეგი, მდუმარედ მივიდა ცეცხლთან, რომლის ალიც ძლივსღა ბღუტავდა, უმოძრაოდ მჯდარ ახმედს დაადო მხარზე ხელი. მას მამის შემოსვლა არ გაუგია. ოდნავ შეაკრთო ხელის შეხებამ. მოხუციც მის გვერდზე ჩამოჯდა. ლილი აღარ ქვითინებდა, ის ბავშვზე დამხობილი უმოძრაოდ იწვა.

_ ჯერ ახალგაზრდები ხართ, _ ყრუდა თქვა ჯანბეგმა. ლილიმ ამოისლუკუნა, ახმედმა სიბნელეში გაარჩია, როგორ შეირხა მისი ცოლის მხრები და გული შეეკუმშა. მისი სხეული ჰაერში სიკვდილის, სიმარტოვის სუნსა გრძნობდა; პირველად თავის სიცოცხლეში მოუნდა ტირილი, მაგრამ არ შეეძლო, არც ლილისთან მისვლა შეეძლო, რომ მოფერებოდა.

_ ჯერ... – დაიწყო ისევ ჯანბეგმა, – რას იზამ, შვილო, ახალგაზრდები ხართ.

ქალი ნერვიულად იქნევდა თავს, დიდ კურცხლებად ჩამოსდიოდნენ ცრემლები.

_ ახმედ, ასეთი გაჩნდა, იცი? მკვდარი! – ქვითინებდა ის. ახლა, როგორც არასოდეს, უნდოდა, რომ ქმარი მისულიყო და მოალერსებოდა; ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი _ პატარა, მაგრამ საშიში და უცნობი.

მეორე დღეს დაასაფლავეს ბავშვი ქოხის გვერდზე, ახმედმა ყვავილები დაკრიფა, ლილიმ მიიტანა და დააწყო.

გადიოდა დრო.

აღარავინ არ იგონებდა იმ სიკვდილს, მაგრამ ის ჩანდა ყველაფერში. ჩუმი გახდა ლილი, ახმედი უფრო მეტ ხანს რჩებოდა ზღვაში და თავის ცოლს დამნაშავესავით მორიდებულად უყურებდა. მხოლოდ ჯანბეგის ლაპარაკს შეჰქონდა პატარა სიცოცხლე ოჯახში. იტანჯებოდა ახმედის გული, მაგრამ არაფრის თქმა არ შეეძლო, მხოლოდ კუნთები ჰქონდა ძველებურად ძლიერი, უსვამდა ნიჩბებს, ექაჩებოდა მარტო უზარმაზარ ბადეებს. ღამით იწვა ძველ ტახტზე, ზორბა მკლავებში მოქცეულ ლილის ჰკოცნიდა თვალებზე. აწყნარებდა. ახმედს უნდოდა, რომ ცოლთან ერთად გატარებული ყოველი ღამე უსასრულო გამხდარიყო. დილა კი აბოლოებდა ამ

უსასრულობას, ტოვებდა მას უცოლოდ. მთელი დღე მის გონებაში იდგა ის დრო, როცა ლილი დაწვებოდა მასთან, წინათ არ იცოდა ახმედმა, ეს დრო თუ უსასრულო არ იყო, ახლა კი ხვდებოდა და ეშინოდა შეუცნობლად. ამ აღმოჩენამ უფრო ააფორიაქა ის, აქამდე ეგონა, რომ დარდის მიზეზი მარტო ბავშვის სიკვდილიდან იწყებოდა, ნაწილობრივ ეს სწორეც იყო, მისი სიკვდილის შემდეგ დაებადა შეუცნობელი შიშის გრძნობა, რომლითაც ხვდებოდა ყოველ დილას.

სწორედ დილით ებადებოდა ტახტიდან ადგომისას ეს აზრები, როდესაც მარტო რჩებოდა ლილი. ეს აზრები მიჰყვებოდნენ მთელი დღე თევზაობის თუ ბადეების ქსოვის დროს და კვდებოდნენ დაღამებასთან ერთად, როცა ცოლს თავის მძლავრ მკლავებში გრძნობდა.

მარტო ჯანბეგი იყო თავისთვის, შეუმჩნევლად, როცა ლილის ახმედთან ლაპარაკი უნდოდა, გაგებინებით ისინი აგებინებდნენ ერთმანეთს, მაგრამ, როცა ხმის გაცემა უნდოდა, მაშინ ელაპარაკებოდა მოხუცს, ისიც შეეჩვია ამ როლს. მათი საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო, ის გრძელდებოდა ვახშმისას, მის მერეც, როცა ლილი ახმედის გვერდზე იწვა, ჯანბეგი კი თვლემდა კუთხეში დაგებულ ტყავებზე. ამ დროს ახმედი თავს კარგადა გრძნობდა, მათ საუბარს თავის კუთვნილებად იღებდა. ლაპარაკი ქალს უქრობდა შიშს, რომელიც სიჩუმეში იბადებოდა მეთევზის ფარღალალა ქოხში, შიში მოდიოდა ზღვიდან და ხმელეთის იქით გადაჭიმულ შრიალა ტყეებიდან. ასეთი შიშის დროს ღამე ჭუჭრუტანებიდან შემოდიოდნენ ეშმაკები, ან ორთავა დევები ხარხარით, ცეცხლი ღვივდებოდა კერაში, ნაკვერცხლდებოდა. მოჩვენებები ცეკვავდნენ ცეცხლის ენების გარშემო და ყელზეჭიპშემოხვეული ბავშვის ხორცსა ჭამდნენ. შეშინებული ახელდა თვალებს ქალი, ახმედის მკლავები მაგრად უჭერდნენ მის ტანს, მაგრამ მოჩვენებები უფრო გათამამებული ახტებოდნენ ნიჩბებს, არღვევდნენ ზღვას, მოათრევდნენ ნავებს, ძვირფას განძეულს და იტაცებდნენ მას ახმედის მკლავებიდან; კანკალებდა ლილი.

_ ჯანბეგ, ჯანბეგ, თენდება არა?! – იძახდა ის.

_ ჩქარა, ჩქარა ამოვა, - ბოხი, ჩახლეწილი ხმით პასუხობდა ბებერი მეთევზე.

ადამიანის ხმების ეშინოდათ სულებს და გარბოდნენ. ცარიელდებოდა ოთახი, გარეთ ზღვა ხმაურობდა, ხმელეთიდან ისმოდა ხეების შრიალი, ძაღლების ყეფასთან ერთად, ალიონზე ყიოდა მამალი. ახმედის მკლავები, რომლებიც ისევ მაგრა შემოხვეოდნენ მის სხეულს, კვლავ საიმედო საფარველი ხდებოდა.

ავად გახდა ზამთარში ჯანბეგი. იწვა სიცხიანი და ბოდავდა. ბოდვის ხმები მთელი ღამე ებრძოდნენ სულებს, ბოლოს ხმები იმარჯვებდნენ, ცარიელდებოდა ოთახი მოჩვენებებისაგან. ისვენებდა ლილი.

მომდევნო ღამეებში ხმები მისუსტდა; ერთხელაც, როცა მთვარეს ღრუბელი აეფარა, სულ მისუსტდა ჯანბეგი.

სულებს აღარ შეეშინდათ მისი უაზრო ბგერების და მოჩვენებებით აივსო ოთახი. ლილის ძახილზე მოხუცი იწვა ჩუმად, მას აღარ აწუხებდა სიცხე, აღარ აწუხებდა შვილიშვილის მკვდრად დაბადება და მუნჯი შვილის მარტო დატოვება ამ ქვეყანაზე.

დილითაც იწვა ის, მერე მთელი დღე იწვა კიდევ. ცხედრის დასაფლავება მესამე დღეს გადაწყვიტეს, როცა ახმედი ძველი ნავის ფიცრებისგან კუბოს გააკეთებდა. ღამისთვის მორჩა დურგლობას, კუბო ქოხის კუთხეში ააყუდა. ლილი ტახტზე იჯდა პატარა სხეულად მოყუჟული, მერე ფეხაკრეფით ადგა, მივიდა შუაცეცხლთან, რომელიც ოდნავ ბჟუტავდა, გრძელი ალმოდებული ფიჩხი აიღო და ჭრაქს მოუკიდა; ჭრაქმა ჯერ პარპალი დაიწყო, მერე აინთო, ძველი ქოხის კედლები გამოაჩინა. ჭერში თოკზე ასხმული გამომხმარი თევზები ეკიდა მძიმე ბადეების გვერდზე, ისინი

საცობებით იყო მოკაზმული წყალზე სატივტივოდ, კოჭებში ორი მთელი ნიჩაბი ჩანდა პირდაპირ გარჭობილი, რომელზედაც მეთევზის ფაცხები და დამტვრეული ნიჩბები ეყარა. პირდაპირ ეკიდა ახმედის დაკერებული ტანისამოსი, ახმედი კარებთან იჯდა ხის ურდულის ქვეშ, დროდადრო თავმომწვარ ფიჩხს უნთებდა ცეცხლს, ალი ცოტა ხნით ვარდებოდა ახალი შეშის მიმატებამდე.

ლილი გარეთ გავიდა. კარები ჭრიალით გაიღო, როცა შემოვიდა, კარებმა ისევ დაიჭრიალა. მან ქვაბით წყალი შემოიტანა, შუა ცეცხლის თავზე დაკიდებულ კავში ჩაკიდა, ახლა თვითონ მიუმარჯვა ფიჩხი. ალმა ქოხის ძველი, სუფთა კედლები გაანათა. ლილიმ ცოცხს მოჰკიდა ხელი, სინათლეზე გამოჩენილი აბლაბუდა ჩამოწმინდა, შემდეგ თევზი გამოშიგნა. დაღლილი მიუჯდა ახმედს გვერდით. ცეცხლმა იკლო. ახმედმა ხელი გადახვია, ქალი სუსტი მხრებით მიეკრა მის მკერდს. ის კანკალებდა, ეშინოდა ქოხის სიჩუმის და ცდილობდა ჭრაქის მხარეს არ ეყურებინა. იქ, ჭრაქის ქვეშ, ახმედის მკვდარი მამა იწვა საბანგადაფარებული. ერთხანს ასე ისხდნენ, შემდეგ ახმედი წამოდგა, ცულს დაავლო ხელი, თაროდან ლურსმნები ჩამოიღო. დილითვე დამზადებული ფიცრებისგან კუბოს თავსახურის ჭედება დაიწყო. კაკუნის ხმამ ლილი გაამხნევა. მოუნდა ვინმეს დალაპარაკებოდა, მაგრამ ჯანბეგი უკვე მკვდარი იყო, ნიშნებით კი არ შეეძლო ახმედისთვის ყველაფერი ეთქვა, თან ასეთი ლაპარაკი ღამით უფრო აშინებდა.

ახმედმა კუბოს თავი გააკეთა, ისევ მიუჯდა ლილის და ხელი გადახვია. კერაში ცეცხლი სულ მიქრა, ქვაბში ჩაყრილი თევზი მოიხარშა. აღარავის შეუკეთებია ფიჩხი, მარტო თაროზე მდგარი ჭრაქი ბჟუტავდა, რომლის ქვევითაც საბანგადაფარებული კაცის ცხედარი იდო. ქოხს მხოლოდ შიში და სიცარიელე პატრონობდა ლილისათვის. ახმედის მკლავები მას მანამდე იფარავდნენ, სანამ სინათლე ენთო. ჭრაქში კი საწვავი თავდებოდა. ახმედისთვის ამ წუთში არ იყო არც შიში, არც სიცარიელე. იყო მხოლოდ ლილი, რომლისთვისაც ხელი ჰქონდა გადახვეული და რომელიც თრთოდა მის მკლავებში.

მთელი ღამე მოდიოდნენ სულები. ახლა დევები უფრო დიდები იყვნენ, პატარა ეშმაკებმა დაიკავეს ყველა კავები ქოხში. ხითხითებდნენ, ენას ყოფდნენ, იმანჭებოდნენ. კუთხეში შავად მდგარი კუბოდან გამომძვრალი ვიღაც ასფეხა ცეცხლის ენებში ცეკვავდა, გრძელი ხელები იგრიხებოდნენ, თითქმის ხვდებოდნენ ქალის სახეს, მერე ჯოჯოებმა ზურგით შემოათრიეს კიდობანი, იქიდან შამფურზე წამოცმული ყელზეჭიპშემოხვეული ბავშვი ამოიღეს, შეწვეს, ხარბად დაიწყეს ჭამა; როცა მორჩნენ, სხვა, დიდი სხეული, ამოიღეს და შეწვა დაუწყეს, ხორცმა სუნი აუშვა, ის მოხუცის იყო, ჯანბეგის თავით, მაგრამ უსულო, საშიში.

_ ჯანბეგ, ჯანბეგ! – ყვიროდა ლილი.

ჯანბეგი დუმდა, დევები უსულოს ჭამას განაგრძნობდნენ. მარტო ქალის ხმის არ ეშინოდათ. უპასუხოდ დარჩენილი ძახილისგან უფრო გათამამებული დარბოდნენ ეშმაკები.

_ ჯანბეგ, ჯანბეგ! – ისევ ყვიროდა მთელი ხმით ის.

გაღვიძებული ახმედი კუნთებს ბერავდა, კბილებს ახრჭიალებდა. ახლა ისიც დევს ჰგავდა, ქალს გადახტომა უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო, მკლავები არ უშვებდნენ.

_ მიშველეთ, მიშველეთ! – განწირულად დაიწივლა მან და უცებ გაქრნენ სულები. თვალებდაჭყეტილი ლილი საწოლზე იჯდა, ახმედს კეტისთვის დაევლო ხელი. ღია კარებში ცოცხალი კაცის სილუეტი ჩანდა, მის უკან კი ზღვა იყო წყნარი, თეთრი.

_ მე ვარ, ეს ახმედ. – თქვა სილუეტმა. ახმედმა იცნო ახალგაზრდა მეთევზე დიდი ბარკასიდან, _ აქეთ მოვდიოდი და შენი ყვირილი შემომესმა, ლილი. _ ახმედმა

ზურგი შეაქცია და ტახტზე დაწვა. ის კაცი წავიდა, ადამიანის ხმისაგან დამფრთხალი სულები მთელი ღამე იმალებოდნენ.

დილა წყნარი იყო და მზიანი.

აფორიაქდა ახმედის გული. გათავდა ღამე. გათავდა ლილისთან ერთად წოლის კიდევ ერთი დღე. საღამომდე ვერ ნახავდა მას. უსვამდა ნიჩბებს ზღვის სიღრმისკენ. ის არ ფიქრობდა არც შიშზე, არც ლილიზე, მხოლოდ შეუცნობელი ცუდის რიტმი იყო მის გულში. გათავდა ღამე, რომელიც გაატარა ცოლთან ერთად და არ იცოდა მეორე ღამეს გაატარებდა თუ არა მასთან, რადგან გრძნობდა, რომ ისევე, როგორც ცვლიდა ღამეს განშორების დილა, შეიძლებოდა შეცვლილიყო ასეთი ცხოვრება ცოლთან ერთად სხვა ცხოვრებით. მამის დასაფლავების შემდეგ უფრო დაეპატრონა ეს განცდა. ის ნაწილი, რასაც ავსებდა ჯანბეგი თავისი ლაპარაკით ლილისთან, ცარიელი იყო. ამ სიცარიელისა ეშინოდა ახმედს, ეს სიცარიელე ხელს უშლიდა, რომ ძველებურად ყოფილიყო ცოლთან. პირველად ეს სიმყუდროვე დაარღვია სიკვდილმა – ის სიკვდილი ეკუთვნოდა ბავშვს, მეორედ სიმყუდროვე ისევ სიკვდილმა დაარღვია, ქოხის უკან დაასაფლავეს ჯანბეგი.

ამ ამბების მერე მოიწყინა ლილიმ, აღარ იყო მხიარული, აღარ ეალერსებოდა ახმედს, ღამე საშინელ სიზმრებს ხედავდა, თრთოდა, ყვიროდა. ამ სიკვდილების მერე მოხდა ის ამბავი, რომ თევზაობიდან დაბრუნებულ ახმედს სახლი ცარიელი დაუხვდა.

აღარ იყო იქ ლილი. იჯდა ახმედი მარტო ცივ, პატარა ქოხში და გრძნობდა, რომ ის, ვინც უკითხავად წავიდა, აღარასოდეს დაბრუნდებოდა, ზღვა დარჩა მხოლოდ მისი ერთგული. ღამე, დიდი ქარისა და ტალღების ხმაურის დროს, ეჩვენებოდა ქალის ყვირილი, დაფეთებული გარბოდა გარეთ, მერე ცურვით შედიოდა წყალში. თავისი სიცოცხლის საფრთხის ფასად გამოყავდა წყლით გაბერილი ადამიანი, წყალს წურავდა მისი სხეულიდან და სიცოცხლეს უბრუნებდა.

თევზაობის შემდეგ ხშირად ეგდო ნახევრად შიშველი ზღვის ნაპირას და ელოდა დამტვრეული ბარკასის პოვნას, რომლის ძირზეც იწვებოდა ზღვის საჩუქარი. ყოველ ღამე ტკივილით ევსებოდა გული. იწვა მარტო და იმედად მხოლოდ დილა ჰქონდა. დილას შეეძლო მოეტანა ნავი, დაებრუნებინა ლილი. მზის ამოსვლამდე ჯდებოდა ახმედი ნავში, რკინის კუნთებით უსვამდა ნიჩბებს, შორს გადიოდა ზღვაში. ერთადერთი, რაც დარჩა მას, იყო ძალა. ძალა უნაზღაურებდა ყველაფერს და უძალოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა მის სხეულს.

გადიოდა დრო.

ახმედის ძალა ეხმარებოდა თევზით ღარიბებს, იკედლებდა ღამის გასათევად მგზავრებს, არჩენდა ზღვის ტალღებიდან სხვის სიცოცხლეს. მისთვის სიცოცხლის გადასარჩენად არ არსებობდა წინააღმდეგობა, მან, მარტო დარჩენილმა, ყველაზე კარგად იცოდა, რა იყო სიკვდილი. მას ხომ სიკვდილმა წაართვა ლილიც – ასე თვლიდა ის.

კიდე გადიოდა დრო.

და დაბერდა ახმედი. ზღვის წყალმა მხედველობის ნაწილი დაუკარგა. ახლა კარგის და ცუდის შეგრძნება აღარ იღვიძებდა ისე ძლიერად მის გულში. ის მოდუნდა. მან დაივიწყა წინანდელი დარდი, დაივიწყა ის სიხარული, რასაც იწვევდა სხვისი შველა;

კიდე გადიოდა დრო და ახმედმა დაკარგა ძალა, თავისი ერთადერთი იმედი. მაშინ შეიკედლა მოხუცი სედა _ ნახევრად გიჟი მოხუცი ქალი ბაზრიდან და ძაღლის გადაგდებული ლეკვი.

ღამე ძაღლის ლეკვი კარებთან წკმუტუნებდა, მერე, გულზე მოსული, უყეფდა ლანდებს სიბნელეში. ახმედი იჯდა წელში მოხრილი ცეცხლის პირას, ფიჩხს ქექავდა, უბერავდა ნაღვერდალს. დასუსტებულ ძვლებზე დამჭკნარ ხორცად დაკიდებული, ერთ დროს ძლიერი ბიცებსები ჟანგისფრად მოჩანდა ალზე. ბრუ ეხვეოდა, მაგრამ მიუძლურებულს რატომღაც არ სწყინდა თავისი უმწეობა, ვეღარცა გრძნობდა.

გარეთ ლეკვი ყეფდა, მერე შევარდა ქოხში კუდის ქიცინით და ისევ გაიქცა. ახმედმა იცოდა, რომ ახლა ბებერი სედა შევიდოდა. ბებერმა სედამ წყლიანი თუნგი დაუდგა გვერდზე ბებერ მეთევზეს; იქვე დაჯდა თვითონაც ცეცხლთან. მიმჭკნარ ბარძაყებს უნათებდა ალი. ის იჯდა თავდახრილი, ყვინთავდა; მერე თბილ მიწაზე იწვა და ეძინა. ახმედმა ისევ გაქექა ცეცხლი. სედას დამჭკნარი ბარძაყები დახეული კაბიდან წითლად და თეთრად გამოჩნდა. ახმედის ფეხთან ლეკვი წკმუტუნებდა, ცხელი ენით ულოკავდა ხელის გულს, სულ ბუნდოვნად იღვიძებდა ვიღაც ქალისგან განცდილი გრძნობა მიბერებული მეთევზის გულში. იმ ქალის ამბავი იცოდა ახმედმა, მაგრამ ის ისე შორს იყო, რომ გახსენება აღარ შეეძლო მის გონებას; გრძნობა დიდი ხანია ჩაუქრა მას, მხოლოდ დარჩა ის ინსტინქტი, რომელსაც ოდესღაც იწვევდა ლილის შიშველი ხორცის დანახვა. ეს ახლა თითქმის გაუფერულებული განცდა შეინარჩუნა მისმა გულმა ძველი ამბებიდან, სიყვარულის, იმედის გაცრუების და სიკვდილის სიძულვილის ყრუ ტკივილთან ერთად.

სადღაც გაიქექა მისი შეგრძნება, მის შემდეგ აღარ ენახა ასე ქალის სხეული, ახლა უყურებდა და ოდესღაც განცდილი მკრთალად უფორიაქებდა მიბერებულ სხეულს, ძაღლი კი ულოკავდა მლაშე ხელისგულს, სასიამოვნოდ უთბობდა. ნელა წამოდგა, ჩოჩვით გადაჯდა მიწაზე მოხუცი ქალის გვერდზე, ისევ გაქექა ცეცხლი, დიდხანს უყურა სიშიშვლეს, მერე რაღაცამ უკარნახა, რომ უფრო კარგად შეგრძნებისთვის ხელი უნდა მოეკიდა. დამჭკნარი თითი დაადო ქალის ბარძაყს, მოუჭირა. სადღაც გაქრა გაღვიძებული შეგრძნება, ბარძაყი ცივი, უგრძნობელი იყო. გარეთ გავარდნილი ლეკვი ისევ უღრენდა ლანდებს. წელათრევით გადმოჯდა თავის ადგილას ახმედი; ახლა სიშიშვლეს ვეღარა ხედავდა; მხოლოდ გრძნობდა, რომ სწყუროდა წყალი. თუნგი მოიყუდა. სვამდა დიდი, მძიმე ყლუპებით და უფორმო სიცოცხლე იპყრობდა მის სხეულს. ცივი წყალი გადადიოდა ყელში, ეღვრებოდა გულზე. სხეული გრძნობდა, რომ ის ცოცხალი იყო. ეს სიცოცხლე იჯდა დანგრეულ ქოხში, ნახევრადმიმქრალ ცეცხლთან, რომლის პირასაც იწვა ბებერი ქალი, ეს სიცოცხლე გრძნობდა, რომ ლეკვი, რომელიც გარეთ ყეფდა, შემოვიდოდა და ხელისგულს აულოკავდა, ცეცხლი, რომელიც ქრებოდა ფიჩხის შეკეთებისას, ისევ დაიწყებდა თამაშს, ისევ გაანათებდა შიშველ ბარძაყებს ლეკვის ენას და კედელზე ჩამოკიდებულ ბადეებს.

[1957 წლის შემოდგომა]

"ის ერთი კვირა ყოველდღე გადიოდა ზღვაში..."

ის ერთი კვირა ყოველდღე გადიოდა ზღვაში მეთევზეებთან ერთად, ადრე, მზის ამოსვლამდე, მერეღა ნათდებოდა აღმოსავლეთი. ამ დროს ზღვაში ციოდა, სახეში დასავლეთის ქარი სცემდა; უცებ იშლებოდა ხუჭუჭა ტალღები, მერე იზრდებოდა და ნავი იწყებდა ქანაობას. ღელვასა და სუსხში განსაკუთრებით სიამოვნებდა მას ნიჩბების მოსმა. მეთევზეები ჩუმად ისხდნენ, მერე ერთი მეორეს პაპიროსსა სთხოვდა.

შუადღეზე გადამყიდველს ნარდად მიჰქონდა თევზი. ის იჯდა მეთევზეებთან ერთად მიწაზე ამოთრეული დიდი ბარკასის ძირში ბადეებზე და ერთნახად არაყსა სვამდა დილით დაჭერილ თევზში აღებული ფულით. არაყი ენას უხსნიდა ყველას, მიდიოდა გრძელი ტრაბახი, ზოგი იმაზე ნაკლებს ამბობდა, რაც მართლა გაკეთებული ჰქონდა, მაგრამ ტრაბახით, ალბათ, ნამდვილი გაჭირვება ავიწყდებოდა და ეს პატარაც უკვე გაბერილი ტრაბახი ეგონა. ყველანი ლაპარაკობდნენ თევზზე, თევზაობაზე ზღვის ღელვის დროს. ძალიან როცა თვრებოდნენ, დაიწყებდნენ თავისი ცოლის შერთვის ამბავს. სამოცდასამი წლის მთვრალი ლიონია მეთევზე ყველას სათითაოდ არწმუნებდა, ამ ხნის კაცი მაინც ყოველღამე ვწევარ ცოლთანო. კარგი და უცხო იყო ყველაფერი ეს გიოსათვის პირველი ოთხი დღე, მერე უცებ მოსწყინდა თევზაობაც და მეთევზეების ყურის გდებაც. მითუმეტეს, რომ თვითონ შეყვარებული იყო, თანაც პირველად თავის სიცოცხლეში. ქალაქიდან რომ მოდიოდა, არ იცოდა ეს, ახლა კი, როცა მეთევზეები თავის ცოლებზე იწყებდნენ ლაპარაკს, ის იჯდა და იმ გოგოზე ფიქრობდა. თან უკვირდა, რომ აქამდე არავინ შეყვარებია. თუ უყვარდა, იმას არ ეძახდა სიყვარულს. ახლა აქ, არყის სმის დროს, დარწმუნებული იყო, რომ პირველად შეუყვარდა გოგო. ის გოგო თხელი იყო, გრძელი წამწამებით და გრძელი, ბეჭებზე დაყრილი თმებით, ერქვა კატა. ახლაც, როცა ისევა სვამდა არაყს, იმ გოგოზე ფიქრობდა. თანდათან უფრო უნდებოდა უკან, ქალაქში დაბრუნება და მისი ნახვა.

მეორე დილით აღარ წავიდა სათევზაოდ. ფანჯარაში იდგა და უყურებდა მეთევზეებს, რომლებთანაც ერთად მთელი კვირა გადიოდა ზღვაში. იმათ ნავი მიათრიეს ზღვასთან, ნახევრად ჩაიყვანეს შიგ, შემდეგ ორი ჩაჯდა, მესამემ ხელი ჰკრა, მერე თვითონაც დაახტა. ნავი ტალღებზე ხტუნაობით გაცურდა და ბურუსში მიიმალა. გული დასწყდა გიოს, რომ არც დაუძახეს, არც კი მოიხედეს იმისი სახლისკენ, თუმცა არც წინათ ეძახდნენ, თვითონ გადიოდა ხოლმე, მაგრამ მაშინ არ აქცევდა იმას ყურადღებას. ახლა კი გული დასწყდა, ხალათი მოიცვა, რკინიგზაზე გავიდა და შპალებს დაუყვა სადგურისაკენ. გზაზე დიდი, მეთევზის ჩიბუხი დააძრო, მწარე წეკოთი გატენილი. ციოდა. გიო ეწეოდა ჩიბუხს, ბოხად ახველებდა, სიამოვნებდა, რომ ეს ერთი, იყო რაც გამოჰყვა იქიდან, მას ეკუთვნოდა და, როცა მოუნდებოდა, მაშინ მოწევდა. ჩიბუხის გახურებული თავი ხელის გულს უთბობდა, ბოლი რუხად ამოდიოდა იქიდან, ნაწილი ფილტვებში ჩადიოდა ნოყიერად და აძღობდა.

მატარებელში ცხელოდა. გიო კიბეზე დაჯდა, ლიანდაგი ზღვის პირას მიდიოდა და ისმოდა ტალღების ჩხრიალი. «ახლა უკვე ბადეს იღებენ ისინი», გაიფიქრა მან, მერე სოხუმის სადგურზე ჩამოვიდა. გადაწყვიტა ეს დღე აქ გაეტარებინა და მერე წასულიყო ქალაქისაკენ. გამცილებლები ახლად დაძრულ მოსკოვ_სოხუმის ვაგონებიდან თავგამოჩრილ მგზავრებს ხელს უქნევდნენ. გიომ ბოლომდე გააყოლა თვალი შემადგენლობას, მერე კიოსკთან მივიდა და გასამხიარულებლად კროკოდილის ბოლო ნომერი იყიდა. იქვე ჩამოჯდა სკამზე. მის გვერდზე ვიღაც ოჯახი მოკალათდა. დედა-შვილი სკამზე დასხდნენ, მამა ჩემოდანზე ჩამოჯდა, მერე ჩემოდანი სუფრის მაგიერ დაიდეს შუაში. დედამ ჩანთიდან ყველი, პური, კვერცხები და ტაბაკა დააძრო. სამივემ ერთად დაიწყო ჩქარ-ჩქარა ჭამა. გიომ უფრო მოიწყინა «კროკოდილისგან». არაფერი არ იყო შიგ სასაცილო. ბაქანზე ბავშვმოკიდებულმა ბოშა ქალმა თავიდანვე ამოიღო მიზანში სკამზე მარტო მჯდომი მოწყენილი ბიჭი, რომელიც ჩიბუხს აბოლებდა და რაღაც სევდიანს კითხულობდა. არც უფიქრია რა ეთქვა, ისე წავიდა მისკენ, ჩაუარა, მერე მობრუნდა. გიო მექანიკურად ავლებდა თვალს ასოებს. არავისზე არა ფიქრობდა, ისე იყო მოწყენილი. არც უკან დაბრუნება

უნდოდა, არც თბილისში წასვლა. ბოშამ ნელა ჩაუარა და ისე, თავისთვის, თქვა გიოს გასაგონად.

_ შენ პირველმა სიყვარულმა გიღალატა. _ ბიჭმა ვერ გაიგო რა თქვა ქალმა, მაგრამ სიყვარული ნათლად გაარჩია და უცებ წამოწია თავი. ბოშა ქალი ნახევრად შემობრუნებული გაჩერდა, ხელი მისკენ გაიშვირა.

_ ნუ კითხულობ სევდიან წიგნს, შენ ისეც ბევრი სევდა გაქვს.

გიომ «კროკოდილს» დახედა. გაეღიმა.

ახლაღა შეამჩნია ქალმა, რომ ის წიგნი «კროკოდილი» იყო.

_ ყველა საკითხავი სევდიანია, როცა გულზე ჯავრი გაქვს, - განაგრძო მან ჩვეულებრივ, თითქოს ადრევე იცოდა, რომ იმას «კროკოდილი» ეჭირა. გიომ გაიფიქრა, რომ ის ქალი მართალს ამბობდა, ალბათ, სასაცილო რამეები ეწერა, მარგამ რახან თვითონ ცუდ ხასიათზე იყო, ვერ ამჩნევდა.

ბოშა ქალი უცებ მოტრიალდა, მის წინ ჩაიცუცქა და სამი კარტი გაშალა.

_ მოიტა, დადე, გიმარჩიელო. _ გიომ ხუთი მანეთი დაუდო.

_ არა მჯერა, მაინც თქვი, _ თქვა მან. «ნეტა რას იტყვის», გაიფიქრა.

_ შენ შეყვარებული ხარ, _ ახლა უფრო ფრთხილად დაიწყო ბოშამ _ აი, ჩაიფიქრე რაც გინდა ამ ორ კარტზე.

გიო დაფიქრდა და სერიოზულად ჩაიფიქრა.

ქალი დიდხანს ლაპარაკობდა, გიო, მისი თქმით, ალალი, გულღია, გულუხვი, მაგრამ დროებით უბედური იყო. ბიჭს გულში სჯეროდა და ფიქრობდა, რომ სწორად ცნობდა ბოშა ქალი ყველაფერს.

მერე ბოშამ თქვა:

_ ერთ კვირაში ის, ვინც შენ გინდა, ის, ვისზეც შენ ფიქრობ, შენი იქნება, ერთი თვის შემდეგ გექნება უსიამოვნება და მერე საბოლოოდ გახდება შენი, ახლა დაწიე თავი.

გიომ დაწია, მან უცებ ამოაცალა სამი ბალანი, ქაღალდში შეახვია.

_ დაადე ახლა ამას ორი ფული.

გიო შეყოყმანდა.

_ ისე არ მიმაქვს. _ გიომ ორი ოცდახუთიანი ამოიღო.

_ ეგ შენ, _ მისცა ერთი უკან გიოს, _ ეს _ თუ, თუ, თუ _ შეუბერა ახლა შენ შეუბერე. გიომაც შეუბერა. _ასე, ხ-თფუ. _ დააფურთხა ბოშამ, _ აი, წაიღებ ამას, _ მისცა ქაღალდში გახვეული თმები. მე ამას ვყიდულობ ამ ფულად და ეს იქნება შენი ბედნიერება, მომიგონე, ერთი კვირის და ერთი თვის მერე.

ის წამოდგა.

გიო ჩუმად უსმენდა, კენტად დარჩენილ ოცდახუთმანეთს დახედა, ჯიბეში ჩაიდო, მერე ყალიონი გააბოლა და ფეხზე წამოდგა; გაეღიმა _ მოაგონდა, რომ თბილისამდე ბილეთი ორმოცდათხუთმეტი მანეთი ღირდა.

_ მოდი აქ, _ გაუღიმა ბოშა ქალს.

ბოშა დაბრუნდა და თვალებში ჩააშტერდა. უნდოდა გაეგო, რას ფიქრობდა გიო.

_ ახლა მოიტა ეგ ფული უკან.

_ ეს მე მოგყიდე შენი თმები. _ გიო უცებ გაბრაზდა, გამოერკვა, სწვდა ბოშას თმაში და სამი ღერი ამოაცალა.

_ აჰა, ახლა ჩემგან იყიდე, ოღონდ შენი გრძელია და ის ხუთმანეთიანიც დაადე, თორე!

მოუღერა მუშტი ქვევიდან, ბოშამ შეატყო, რო აღარა ხუმრობდა, მილიციელი ალმაცერად უყურებდა მარჩიელს. «ცუდად წავა ჩემი საქმე, მცემენ კიდეც, დამიჭერენ», გაიფიქრა მან და ოცდახუთიანი დაუბრუნა.

_ ხუთიც, _ ხმას აუწია გიომ.

_ ოი, რა კარგი ბიჭი ხარ, ოღონდ ფიცხი, რა გეშველება.

_ მაიტა ჩქარა ეგეც.

_ შენ ხომ მეთევზე ხარ, კეთილი. _ დახედა მარჩიელმა ჩიბუხს და ქუდს.

_ ჩქარა, _ დაიბღვირა გიომ და ჩიბუხი მოქაჩა.

_ ოი, _ თქვა ბოშამ. შენ ბიჭო ბევრს წევ, არ ვარგა.

_ ჰა! _ დაიღრინა გიომ.

ბოშამ ნელა დაუდო უკან ხუთმანეთიანიც და წელში გაიმართა, მერე ხელი დააგრძელა.

_ შენ რომ გადაგიბრუნდეს ის, რაშიც ჩაჯდები პირველად ის ნავი, ის მანქანა. ძუნწო უხ!

ის სწრაფად მიბრუნდა და წავიდა.

გიოს არ ესიამოვნა წყევლა, მარჩიელს თვალები უელავდა, მისი ბავშვი ჩხაოდა, მაინც გაიღიმა და დაჯდა. «რა ფასი აქვს მაგის ლაპარაკს», გაიფიქრა. ის მარტო იჯდა დიდ, ცარიელ ბაქანზე, ყალიონის ბოლი მაღლა მიდიოდა, იქ იშლებოდა, ჰაერში დაკარგვამდე. სიმარტოვემ ისევ მოაგონა კატა, გრძელი წამწამებით, ბეჭებზე დაყრილი თმებით. ის თავისდაუნებურად ფიქრობდა ბოშას სიტყვებზე და რატომღაც იმედი ეძლეოდა, რომ ერთ კვირაში მართლა მისი გახდებოდა ის გოგო, მერე კი, რაც უნდა მომხდარიყო, ბოშა ქალის თქმით, ჯერ კარგი ელოდა, ის ჩაეჭიდა ამ სიტყვებს, ოცნებაში გაერთო.

ჩქარა ხალხმა იმატა ბაქანზე. რადიოში რაღაც გურული მოძახილი იყო, მერე «სოხუმი-თბილისი» ჩამოდგა.

გიო დაძრულ მატარებელს შეახტა. ახლაღა მოაგონდა ბოშა ქალის წყევლა. თვალწინ ედგა ერთი კვირის მერე ის და კატა ერთად, კატას თმები მუჭაში ჰქონდა ჩაბღუჯული, ჰკოცნიდა. მატარებელი სვლას იღებდა. დიდ მოაჯირებიან ხიდზე გამალებულმა გაირბინა. «თუ ის მართალია, ესეც მართალი გამოდგება, უეჭველად გადაბრუნდება მატარებელი, მაგრამ, თუ არ გადაბრუნდა, თუ წყევლა არ გამართლდა, მაშინ ის კატას სიყვარულიც ერთ კვირაში ტყუილია, ერთი თვის შემდეგ კარგი ბოლოც ტყუილია, მაგრამ თუ ეს გამართლდა და გადაბრუნდა, მაშინ ის აღარ მოხდება, თუმცა ხომ შეიძლება გადაბრუნდეს, მე არ მოვკვდე, არც დავიმტვრე, ბოშას არც უთქვამს შენ მოკვდებიო, ხო შეიძლება, რამდენიც გინდა, იმდენი შემთხვევაა, ბრუნდება მანქანა ან მატარებელი, ზოგი რჩება».

ახლა ისევ კატაზე დაიწყო ფიქრი, მერე ტაბურში ავიდა და ისეთ ადგილზე დადგა, რომ გადაბრუნებისას არაფერი მოსვლოდა. იდგა და იყურებოდა გარეთ, იქ კი ზღვა იყო პატარა ნავებით, სადაც წყვილები ან მარტო იჯდა ვინმე და უსვამდა ნიჩბებს, ზღვის აქეთ შიშველა პლიაჟზე ეყარა შიშველი ხალხი, მზე მწვავე იყო და მლაშე წყალში ცურაობის შემდეგ განსაკუთრებით სასიამოვნო.

გიო კი იდგა ფანჯარასთან და იყურებოდა იქით, შორს, ზღვის სიღრმეში, სადაც არაფერი არა ჩანდა, გულში კი თავისი გრძნობები და თავისი თავი ჰქონდა მარტო.

[1957 წლის შემოდგომა]

“კედელთან მიდგმულ უზარმაზარ ხის საწოლზე...”

კედელთან მიდგმულ უზარმაზარ ხის საწოლზე ბაბუა იწვა. ღუმელი ჯერ არ იყო გახურებული, ცოტა ციოდა; დიდი საბნიდან ძლივს მოჩანდა მისი ჩეპჩიკიანი თავი, რომელიც მოხუჭული თვალებით უყურებდა მოქარგულ ხალიჩას. ფანჯრებზე მძიმე ყავისფერი ფარდები ეკიდა ნახევრადგახსნილი. ერთბაშად დაცხა ოთახში. ქვანახშირმა ღუმელი გაახურა და ზამთრის მზემ მთელ დერეფანში შეანათა. სხივი გრძელ ზოლად დაეცა ხის საწოლს, ზედ კეფაზე გადაუარა ავადმყოფს. მერე კედელს აუყვა ჭერამდე. პატარა, ნახევრად საბანგადაფარებული თავი შეტოკდა, მზე კისრიდან ყურის გაყოლებით აცხუნებდა შუბლამდე. ცოტა ხნის შემდეგ შუბლზე ოფლის წვეთები დააჯდა, კიდევ შეინძრა თავი, საბანი უმნიშვნელოდ შეირხა. შიგ დიდი წვალებით ამოტრიალდა ტანი და გულაღმა დაწვა, ახლა სხივი ნიკაპიდან მარცხენა თვალამდე დაეცა. ნელა გააღო ჩამოსიებული უპე, სინათლე შიგ ჩაიღვარა. დიდი, ფართო ცრემლი ჩამოუცურდა დანაოჭებულ ღაწვებში და იქვე მიხმა. ახლა მარჯვენა თვალი გაახილა, მთელ სახეზე დააჯდა ოფლის წვრილი, მშრალი წვეთები.

_ რა, ბაბუა, გტკივათ რამე? – ჩამოუჯდა გურამი საწოლზე.

_ აარა, ჰა? – ბაბუამ პროტეზიანი კბილები დაატკაპუნა ერთმანეთზე.

_ აბა მოგცეთ ქილა?

_ აარაა, – დაძაბულობისგან უფრო დაუსველდა სახე. ოფლი ყვითელი და უხორცო იყო, მზისგან ლაქებად უხმებოდა სახეზე. გურამმა ცხვირსახოცით მოსწმინდა. ბაბუამ თავი აამოძრავა, დიდი შავი ფერიჭამია გამოჩნდა ცხვირის წვერზე სამი შავი თმით.

_ იის, – თქვა მან.

გურამი ფარდასთან მივიდა და ჩამოაფარა.

_ ესა ხო? – ჰკითხა _ კიდე ხო არაფერი გინდათ, ჰა.

ბაბუა ოდნავ გასაგონად ჩურჩულებდა. პროტეზის ხმისგან ბგერები არ ისმოდა, შვილიშვილმა ყური მიუტანა ტუჩებთან. – ჰა? რას ამბობთ? – გაუმეორა. მოხუცმა ისევ აამოძრავა ტუჩები. შემდეგ თავი გვერდზე გადააგდო, გაყუჩდა.

_ რას ამბობთ, ბაბუა კოტე, რა დროს სიკვდილია.

მოხუცმა თავი დაიქნია, ახლა უფრო გარკვევით მოისმა:

– დროა, დროა.

გურამმა მაჯა აიღო ხელში, ის მკვეთრად ცემდა: ერთი, ორი, სამი, მერე ჩერდებოდა და ისევ ცემდა. ახლა ექვსამდე ან შვიდამდე. «ექვსამდე კარგად ცემს, ზოგჯერ _ შვიდამდეც, შემდეგ ჩერდება ორი-სამი დათვლა, ის შეჩერება ალბათ არის წამი, მაინც რომ გაგრძელდეს, მოკვდება, საწყალი. იქნებ სჯობდეს კიდეც ამდენ წამებას, ნამდვილად ჯობია მოწამლო, მაგრამ ეგოისტები ვართ ალბათ ყველანი, მე სხვაზე მეტად, ვიცი ეს და მაინც ვერ ვწამლავ იმისთვის, რომ ერთი დღით მეტი ვუყურო ე.ი. ერთი დღით გვიან ვიდარდო მისი სიკვდილი. ვტანჯავ რაც შეიძლება მეტ ხანს.”

მოხუცმა ისევ აამოძრავა ტუჩები, სხეულის შიგნიდან ბუყბუყი მოისმა, გურამმა კისერში მოჰკიდა ხელი და პირთან ტაშტი მიუტანა. «დღეს უკვე მესამედ მოუვიდა», _ გაიფიქრა, _ «ე.ი. რაც ჭამა გინდაც არ ეჭამოს, საინტერესოა კიდე როგორ ცოცხლობს, ალბათ გული აქვს მაგარი, თან ახლა არ მინდა რო რამე მოუვიდეს, ძალიან შევეჩვიე». ბაბუამ ხშირი სუნთქვა დაიწყო, თვალები უკან გადაუვარდა, შუბლზე კოპებივით დააჯდა. ხრიალს უმატა, ნახევრად ღია თვალებიდან მხოლოდ თეთრი გარსი მოუჩანდა, თანაც ერთი თვალი უფრო დაღებული იყო თეთრად.

ხრიალს უმატა. ნახევრად ღია პირიდან პროტეზი მოჩანდა ვერცხლის კბილებით. «რო მოკვდეს, მგონი თვალები უნდა დავუხუჭო და ყბა ავუკრა, ჩამოვარდნილი რომ არ დარჩეს». შეუმჩნევლად განაგრძობდა ფიქრს გურამი. ბაბუამ უფრო უმატა სუნთქვას. სული ამოსდიოდა, შორდებოდა და ისევ ჩადიოდა უკან. გურამი აშკარად ხედავდა სულის მოძრაობას მის ტუჩებთან. «ახლა ამოვა სული, ახლა". მან თვალი გააყოლა ჭავლს, ის სხივთან ერთად გადიოდა გარეთ.

_ მმტკივა�ა, გურამ, ჰა, არა? – მოულოდნელად ხმამაღლა ამოიხრიალა მოხუცმა. შვილიშვილმა ქილა ჩაუდგა. ბაბუა ერთხანს გაყუჩდა. მერე დაძაბვისაგან შუბლზე ძარღვები დააჯდა. «ასეთი ძალა თუ ჰქონდა, არც მეგონა», გაიფიქრა გურამმა.

_ მიშველე! _ ამოიხრიალა მოხუცმა ყელში ხმამაღლა. ტკივილმა ძალა მისცა – ვკვდები, არ მინდა! – ისევ დაიხრიალა. ახლა მართლა აღარ უნდოდა სიკვდილი, ტკივილმა სხეული აგრძნობინა, ახლა მას მხოლოდ სტკიოდა და უნდოდა, რომ არ სტკიებოდა. სხეულში დაგროვილი შარდი ზევით მოაწვა, ახლა უგონოდ გმინავდა ის. «რა იქნება რო არ გავუწმინდო, ალბათ ნახევრ საათში ისევ დაისველებს,» _ გაიფიქრა გურამმა და ტელეფონთან მივიდა. დარეკვის ნიშანი ყრუდ მოისმა.

_ ისევ მანდ? შარდი არა? – შეეკითხა ქალის ხმა სასწრაფო დახმარებიდან, – ჯერ მანქანა არ არის, ჩქარა მოვა.

მოხუცი ახლა წელამდე ამოვიდა საბნიდან. სახე გაებერა და ფორმა დაკარგა.

_ მიიშველე, გურამ! – ამოიგმინა. გურამს ოფლმა დაასხა. თვითონაც იგრძნო ტკივილი, სწრაფად მივარდა ისევ ტელეფონთან.

_ უკვე გამოვიდნენ, – თქვა იქიდან ქალმა.

გურამმა ზარამდე გააღო კარები.

_ გამარჯობათ, – მიესალმა ნაცნობ ექიმს. – ჰო, ისევ შარდი შეეხუთა.

_ წყალი დადგით?

_ ჰო.

ექიმი სამზარეულოსკენ წავიდა, უკან ბაჯბაჯით მიჰყვა ჩასუქებული, შავი ექთანი.

_ სკამები მოიტათ, – რუსული აქცენტითა თქვა ახმახმა სანიტარმა, რომელსაც ყურებიანი ბოხოხი ეხურა თავზე, – ისევ შარდი? ჰო, როგორც ჩვენები იტყვიან, «старость не радость". ექთანმა კათეტერი ჩააგდო გამოსახარშად წყალში. ექიმი თავით დაუჯდა მოხუცს, ის ცოტა დაწყნარდა, თეთრხალათიანების დანახვაზე იმედიანად იგრძნო თავი.

_ ძალიან გაწვალებთ არა, ბატონო? – ჰკითხა ექიმმა.

_ ჰო, ბატონო, ნამეტანი, _ წაიჩურჩულა ბაბუამ.

_ დილიდან ვმუშაობთ. უკვე ორი წავიყვანეთ საავადმყოფოში, –ალაპარაკდა სანიტარი. დიდი მხრები რაღაცნაირად უძრავად ჰქონდა გაჩერებული და ხმა პირდაპირ სიღრმიდან ამოდიოდა. – ექთანი სამზარეულოში ფუსფუსებდა. – ეს ექთანი, მარგოზე ვამბობ, – მიუბრუნდა ექიმს, – კაცივით არის. არ იღლება, საწყალი მოხუცი, – მიხედა ბაბუასაც.

_ რაღაა მაგისი სიცოცხლე, – თქვა გურამმა. – თვითონაც უნდა სიკვდილი, ოღონდ ახლა სტკივა. მეხვეწებოდა მიშველეო.

_ ოღონდაც, – ჩამოჯდა ისევ უმოძრაოდ სანიტარი, ბოხოხის ქვევიდან ოფლის წვეთები გამოუვიდა.

_ ყველგან ცივა, აქ კი ცხელა, შუშაბანდი იჭერს სიცხეს, მზეც ბოლომდე შემოდის, ოღონდაც თუ კვდება კაცი, უნდა უცებ მოკვდეს ან მშვიდად, სიმშვიდეში ადვილია. როცა გტკივა, არ გინდა სიკვდილი. აი იმ დღესაც გოგომ მოიკლა თავი ე.ი. ვერ მოიკლა, ტყვიამ ფილტვში გაუარა, ჰაერი ამოდიოდა იქიდან და სტკიოდა საშინლად.

ჩვენ წავიყვანეთ კამოს სასწრაფო დახმარებაში. იცით, როგორ ითხოვდა, მიშველეთო, მტკივაო, ცრემლებიც კი გამომივიდა. ის კი ყვიროდა, მიშველეთ ძიაო, ესეა სიკვდილს იტანენ, ტკივილს კი ვერა.

_ ჰო სიკვდილი უფრო ადვილია, – ჩაურთო გურამმა და ექთანთან გავიდა.

_ ადვილი? ჰმ – განაგრძობდა სანიტარი ივანე. _ რა ადვილი? ის არც ადვილია და არც ძნელი, უბრალოდ არ იცი რა არის, იმიტომ უფრო გინდა თუ არ გტკივა, რასაკვირველია. როცა მოკვდები, ბასტა! _ აღარც ის, აღარც ის.

ექთანმა მოხარშული კათეტერი შემოიტანა, მერე ქაფურს თავი წაამტვრია, _ მე გავუკეთებ, _ თქვა მან.

_ არა, მე თვითონ, _ წამოდგა ექიმი. საბანი გადახადა, მოხუცი შვების მოლოდინში გაინაბა.

_ ქილა მომეცით, _ თქვა ექიმმა, გურამმა მოაწოდა. ექიმმა ჩაუდგა, მერე მარლით ამოუღო და ნელა შეუცურა შარდსადინარში რეზინის მილი.

_ უუჰ, _ ამოიკვნესა მოხუცმა, მთელი სახე დაუწითლდა ისევ.

_ ისევ ტკივილი, – თქვა ივანმა, – შვება უნდა, ტკივილს ვერ იტანს, განთავისუფლდება, იტყვის, სიკვდილი მინდაო. რა სუსტია კაცი ტკივილთან.

ექიმმა უფრო ღრმად შეწია შიგ მილი, მერე საშარდე ბუშტზე დააჭირა ხელი.

_ არ გამოდის, – თქვა მან და უფრო ღრმად შეწია.

_ უჰ, _ ამოიგმინა მოხუცმა.

შარდი მოწმეების თანდასწრებით წკარუნით წამოვიდა მილიდან ქილაში. ნელა დაუწყნარდა ბაბუას სახე, მისუსტდა და თვალები მიხუჭა. ქილა თითქმის გაივსო.

_ ცუდად იქნებოდა მა რა, – გაიტანა ქილა გადასაღვრელად ექთანმა, მერე ექიმიც გავიდა ხელის დასაბანად.

_ ახლა კარგად არის ვითომ? – ალაპარაკდა სანიტარი, – ისევ წვალობს, ოღონდ უფრო ნელა და მეტად, დაგენიძლავებით, თქვენც მოგივიდოდათ აზრად, რომ მაგის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, არა, იქნებ მოწამვლაც გადაწყვიტეთ. არა, რომ გაგეთავისუფლებინათ, მაგრამ ვერ გაბედეთ, ხო, რა სუსტები ვართ, ოღონდ ერთი-ორი დღით გვიან შევიცხადოთ და შეგვიძლია მთელი თვე ვაწვალოთ კაცი, ჩვენს წვალებას მისი მოვლის დროს თავი დაანებე, სწორი ვარ თუ არა, თქვით, თუმცა რა საჭიროა რამის თქმა, იტყვით «არა», გულში კი ფიქრობდით, ალბათ, «ჰოო».

_ რატომ ვიტყვი «არაო», მეც მაგას ვფიქრობ, მაგრამ სუსტები ვართ, ისე, რომ მოკვდეს, მართლა ჯობია, საერთოდ დავანებოთ მაგაზე ლაპარაკს თავი.

_ კარგი, დავანებოთ, რას აკეთებენ ის ქალები ამდენ ხანს ნეტა, თუმცა რაც უნდა ის აკეთონ, მაინც მორიგე ვარ ხვალ დილამდე.

გურამმა ღვინო გამოუღო და დაალევინა. ივანმა უმოძრაო სახით გადაკრა ორი ჭიქა, მერე სამი და მარტო ყველი მიატანა.

_ დილამდე მეყოფა, _ თქვა მან, _ თქვენ გაგიმარჯოთ, ბაბუა, ასი წლის მერე კიდე მენახეთ, ოღონდ ჯანმრთელი, კარგად მყოფი, შენც დალიე, – მიუბრუნდა გურამს. გურამმა ბაბუა დალოცა. «ახლა კარგად იქნებით», _ უთხრა. – ჩემს შვილიშვილებს უნდა მოგასწროთ, ისე მოგივლით».

_ მაშ თქვენ გაგიმარჯოთ ისევ, ბაბუა. ახლა აღარაფერს გაგიჭირვებთ, – ისევ მოიყუდა ივანმა.

ბაბუა ყურს უგდებდა, სახე ისევ დაეძაბა, ოღონდ რაღაცნაირად მოშვებულად და კეთილად, შუბლიც დაეწმინდა, მაინც გაიქნია თავი.

– ხედავ, ხედავ, _ ჩუმად დაიწყო ივანმა, _ როგორ მოუნდა სიცოცხლე. რა ოხერია კაცი. მამაძაღლები ვართ, თქვენც, ახალგაზრდები, ან ყველაფერზე თავს იქნევთ, ან

ყველაფერზე იძახით, არ არისო სწორი. ნუთუ მაგის მოწამვლა იქნება, ან სიკვდილის დაჩქარება, თუნდაც იმითი, რომ არ მოვუაროთ კარგად. განა ყველა მაგ ერთი წამისთვის არა ვცხოვრობთ? გაუშვი იყოს ტანჯვა, ათჯერ მეტი, ის მაინც სიცოცხლეა, აი, ეგეთი ოდნავ იმედიანი გამოხედვისთვისაც, ახლა რო ჰქონდა მას, ღირს სიცოცხლე, თუნდა ასი წელი ტანჯვა, ან რა არის ასი წელი ან წამი სიცოცხლისთვის; ერთი და იგივე – წამი, მხოლოდ წამი – როცა მართლა ცხოვრობ, გესმის? იქ _ ჯანდაბაში აღარაფერი აღარ არის, აღარც ტანჯვაა, ტანჯვა? ამ სიტყვას, უფრო სწორად განცდას, ეგრე ნუ უყურებთ. ეგ მაღლა დგას ყველაფერზე, ეგ ყველაზე სასიამოვნო განცდაა, როცა იტანჯები, განსაკუთრებით როცა იმ ტანჯვას სხვები ხედავენ, აი, ქრისტეც მაგიტომ ეწამა, რომ დაენახათ, მართალია, ის ხალხისთვის, ეს კი თავისთვის, მაგრამ ტანჯვის სურვილისთვის, ეს ერთი და იგივეა. ჩვენებური კარგი თქმაა ერთი: «Дайте сердцу воли сердцу воли и он захочет боли».

_ მაგ მოხუცის, ბაბუაჩემის, გულს არავინ აძლევს მაგ თავისუფლებას, იმიტომაა ცოდო.

_ დაე ნუ მისცემს და ეშმაკმა დალახვროს ყველა ტანჯვა, თვით ქრისტესიც, მე ვამბობ, რომ წამი არის სიცოცხლე როგორიც არ უნდა იყოს და თითოეულის მარადიულობა. ბავშვი, რომელიც ცხოვრობს ოთხი წელი ან ათი, ის ცხოვრობს მუდმივად თავის თავისთვის, რასაკვირველია. ეეხ! კიდე გადაკრა – ცხოვრობს? ეს ნიშნავს იცი, რას? _ ისევ აპირებდა გაგრძელებას, მაგრამ იქითა ოთახიდან ექიმი გამოვიდა.

_ მადლობთ, – თქვა გურამმა, – ქალმა მოხუცს გაუღიმა. ექიმს ექთანი მიჰყვა, ისინი სწრაფად გავიდნენ. სანიტარი გაიმართა, ყუთი აიღო და იდგა.

_ გეყო, ივან, ფილოსოფია ყველა ავადმყოფთან, მარტო ღლი მათ, – დაუძახა ექიმმა.

_ თუ არ გადაკრა, არ შეიძლება, – დაატანა ექთანმა. ივანე დიდი გაშეშებული სახით გავიდა. პატარა თეთრი ხალათი წელის შუამდეც არა ჰქონდა მოცმული და შიგნიდან ჭუჭყიანი ტელაგრეიკა მოუჩანდა სადეზინფექციო შტამპით.

შუშაბანდში უფრო დაცხა. გურამმა ფანჯარა გამოაღო, მერე ბაბუასთან მივიდა, თოკივით მოშვებული ხელები საბანში ჩაუყო, ზევიდან მეორე საბანი გადაახურა. მოხუცი უმოძრაოდ იწვა მორჩილი, უაზრო თვალებით იყურებოდა მაღლა. «ნეტა მე მიყურებს?» გაიფიქრა მან, ცოტა უკან დაიწია და ისე შეხედა. ბაბუა ისევ იქით იცქირებოდა. რატომღაც ეწყინა გურამს, რომ ბაბუა მას არ უყურებდა, თან ისეთი უმწეო იყო, რომ მასზე გაბრაზებაც კი არ შეიძლებოდა, ახლა ჩეჩჩიკი ჩამოახურა შუბლზე თვალებამდე, ოთახში ცივი ჰაერი შემოვიდა; მოხუცმა ცხვირი შეარხია, სუსტად დაიწყო სუნთქვა. გურამი თავთან უჯდა და მის ცხვირზე ამოსულ სამ შავ თმას უყურებდა. ისინი უშნოდ ირხეოდნენ ცხვირის განძრევისას. თავისდაუნებურად წაიღო ხელი, გრძელი ფრჩხილებით ჩაეჭიდა ერთს, მოწია. ღერი სულ ადვილად ამოძვრა და ცხვირზე პატარა სისხლისფერი ორმო დატოვა. მოულოდნელად წარმოუდგა გურამს კუბო თეთრი საფენით და ყვავილებით, კუბოს თავში იდო ბაბუას დამჭკნარი, პატარა თავი ოდნავ გასიებული თეთრი ცხვირით, რომლის წვერზეც დიდი შავი ფერიჭამია და ორი ღერი თმა ჩანდა. «მერე ველარ ამოვაძრობ», გაიფიქრა ბუნდოვნად. როდის მერე, ამაზე აღარ უნდოდა ეფიქრა უფრო ცხადად. მეორე ღერი უფრო მაგრად იყო ჩასობილი.

_ რას შობი, რას! – ეტკინა მოხუცს და ცხვირი ააცმაცუნა. გურამი ახლად ამოძრობილ თმას უყურებდა, მერე წამოდგა და ფანჯარა დაკეტა. ისევ დაიწყო სიცხემ დაგუბება.

ის ძალიან დაღლილი იყო. მისი გონება ყველაფერზე ერთად ფიქრობდა გაფანტულად. საშინლად ეძინებოდა, მაგრამ რატომღაც ვერ დაიძინა. ეჩვენებოდა გვირგვინები, აუარებელი ყვავილები და ბრაზი მოდიოდა. «სულ სამი დღის სამყოფი ფული მაქვს», _ ფიქრობდა და ისევ ეფანტებოდა გონება. ის ბუნდოვნად აზროვნებდა: თითო გვირგვინი ღირს ასორმოცდაათი, ბევრი არ იქნება, ვინ მოიტანს, იტყვიან მოხუციაო, მაინც ათიც რო იყოს, ჯობია ის ფული მომცენ, ვიცხოვრებ _ ათჯერ ასორმოცდაათი ათასხუთასი _ ერთი თვე მაინც ან კარგ ქელეხს გადავიხდი, აი უარესი, ასვა და აჭამო ვიღაცებს, რატო? ან საერთოდ რას მოდიან, მარტოც მოვუვლი.

_ უუ, – მოისმა ბაბუას ხმა.

გურამი მივიდა და საბანი გადახადა, მოხუცი სულ ოფლში ცურავდა, გურამს ისევ ეწყინა, რომ ერთი ბეწო სიცხეც კი ვერ აიტანა ავადმყოფმა, რომლისთვისაც ამდენს წვალობდა. ის გვერდზე ტახტზე მიწვა, ზევით თეთრი ჭერი იყო შავი, ბუზის ნაჯდომი წერტილებით. მზე პირდაპირ ჭერს ურტყამდა, უზარმაზარი დერეფანი ძალიან ნათელი და საშიში იყო. მთელ ტანში იგრძნო სიცარიელე, ამდენ სინათლეში თავისი სხეული ერთიბეწო, უძლური ეჩვენა. შეუმჩნეველმა კანკალმა აიტანა, იქით ვეება საწოლიდან ბაბუას კვნესა გაისმა, ამ ხმამ დერეფნის სიცარიელე თითქოს შეავსო, ნელა დაწყნარდა გურამი და მიიძინა, ისევ გაეღვიძა ჩქარა, ცხადივით ახსოვდა მოკლე სიზმარი, ბაბუას ეძინა და მშვიდად ფშვინავდა, ჭერიდან მზე შუშაბანდის კიდემდე იყო გადასული ფანჯრისკენ. «ჩქარა ჩავა მზეც» გაიფიქრა და ისევ აუფორიაქდა გონება «წეღან თითქო არ მინდოდა ხალხი, ფიქრობდა, _ ახლა კი სიზმარში აღარ მყოფნიდა, მთელი ქუჩები სავსე იყო და მაინც, თანაც მესამე მანქანაზე ორი გვირგვინის ადგილი დარჩა, რამდენი ვიდარდე იმაზე», მარტოკას ყრუდ გაეცინა. «ყველაზე კარგი ის იყო, რომ შკაფი გავყიდე, კიდე ხის საწოლი ბაბუასი და ისე გადავიხადე ქელეხი, ხო, ხო, ხა, ხა». დაიწყო ხითხითი. ნერვიულ _ კარგ ხასიათზე დადგა. ოთახში დაბნელება დაიწყო, მზე შორს მთას მოეფარა «რას არ ნახავს კაცი სიზმარში ხომ, ხო, არა»? – გააჯავრა თავის თავს. «ხო, ხო, ხო, ხა, ხა, რა კარგია. არა, მართლა კარგი იქნება სიმონიანი რომ მოვიდეს, რაც გინდა იყოს, ოდესღაც იცნობდა ბაბუას, ახლაც შეიძლება მოვიდეს, მე ხო არ მივალ, ისე უხერხულია, მიხვიდე და სთხოვო სამუშაო, აქ კი, როცა ნახავს ჩემს მდგომარეობას, თვითონ მეტყვის ალბათ, თანაც იმ ქარხანაში მინდა ყველაზე ძალიან», ნერვიულად გაიქნია თავი, გულში იცოდა, რომ არც ის სიმონიანი უნდოდა და არც მისი ქარხანა, არაფრით არ უტყდებოდა თავს, რომ პანაშვიდზე შეიძლება მოსულიყო ლეილა, ისიც შეიძლება. არა, უეჭველად მოვიდოდა, თვითონ კი არ მიდიოდა, ისიც ჯიუტი იყო. ახლა, როცა იშოვიდა მიზეზს, შეხვდებოდნენ და ყველაფერი დაიწყებოდა ახლიდან, სანამ... გურამი დაიღალა, დაღალა იმის შეგრძნებამ, რომ ყველაფერი ახლიდან უნდა დაწყებულიყო ან გაგრძელებულიყო, რასაც უკვე მორჩა. ახლა აზრები უფრო ცხადი გახდა, გაბრაზდა თავის თავზე «რაღა მის სიკვდილს ველი, თუ მინდა მისვლა, დღესვე მივალ, მაგრამ ეგრე ფასი არა აქვს, თუ რამე დიდი მსხვერპლი არ გაიღე, არ გინდა ისე არაფერი, სწორე იყო სანიტარი რო ამბობდა, კაცი ტანჯვისთვის ცოდო არ არის, პირდაპირ არავის არ უნდა არაფერი ის კი არა, ფულს რო ნატრობენ, ხო, გუშინწინ იძახდა ნოდარი, ნეტა ეგ შახტსტროის სახლი ჩემი იყოსო, გავაქირავებდი, ოთახებიდან ფულს ავიღებდი, ვიცხოვრებდიო ბედნიერად, უხ, რა მამაძაღლია კაცი, პირდაპირ ფულს კი არ ნატრობს, ეგრეც უნდა, მა რა»!

_ ბიიჭო.

გურამი წამოდგა.

_ რა, ბაბუა?

ბაბუას მთელ შუბლზე ახურებდა, პირი ნახევრად ღია ჰქონდა. მთელი ტანით რაღაც საშიშად ხრიალებდა. გურამი მივიდა, სინათლე აანთო. ოთახი უცებ შემოისაზღვრა და რაღაცნაირად ჩამყუდროვდა. მთლიანად გაუქრა სიცარიელის შეგრძნება.

_ რა, ბაბუა? _ ისევ ჰკითხა.

მოხუცი ხმას არ იღებდა. «ვერ იტანს, რო ვზივარ ან ვწევარ» გაიფიქრა მან და უცებ საშინელმა აზრმა შეიპყრო, რომ ყველაფერი ის, რაზეც ფიქრობდა _ სამუშაოც, ლეილაც _ ტყუილი იყო. არც ერთი არ უნდოდა, მხოლოდ ლოდინი, სიკვდილის მოლოდინი მთელი ერთი წელი იყო აუტანელი მისთვის, უკვე უნდოდა, რომ დასმოდა წერტილი, გინდ ის ათჯერ უარესიც ყოფილიყო. საშინლად არ ესიამოვნა ასეთი აღმოჩენა. ყრუდ იგრძნო გულში ტკივილი, შეუმჩნევლად შეეცოდა თავისი თავი. ბაბუა ხმამაღლა ოხრავდა თვალებდახუჭული, ახლა მხოლოდ მისი სხეული იყო ცოცხალი და გურამი ცხადად გრძნობდა როგორ აახლოებდა მასაც სიკვდილთან მომაკვდავი ბაბუის ყველა ამოოხვრა. აახლოებდა ზუსტად ერთი თაობით, ის შეეჩვია, რომ ყოფილიყო შვილიშვილი, ახლა კი აღარ იქნებოდა ის აღარასოდეს, პირიქით, თითონ გახდებოდა მამა, მერე ბაბუაც». ეს ყველაფერი ბუნდოვნად უტრიალებდა თავში, ახლა ისევ მოუნდა ბაბუას დიდხანს სიცოცხლე, ოღონდ თვითონ მოხუცისთვის. წინა აზრები როგორც მოვიდნენ, ისევე უცებ გაქრნენ.

ღამე სინათლემ იმატა. ნახევრად ღია გუგებში დაჭიმული სისხლის ძარღვები გამოუჩნდა მოხუცს. შვილიშვილმა დიდი ნათურა ჩააქრო. ახლა ტუმბოჩკაზე ღამის მწვანე სინათლე ენთო. ავადმყოფი იწვა უმოძრაოდ, ძლივს უჩანდა მწვანეგადაკრული სახე დიდი ბომბოლა საბნიდან, რომელიც უზარმაზარი ხის საწოლის ნახევარსაც ძლივს ფარავდა.

ოთახი სავსე, მყუდრო და შეუმჩნევლად საშიში იყო.

_ ქილა, ბიჭო, _ ძლივს გასაგონად თქვა ბაბუამ. გურამმა მიაწოდა. ფიქრები ისევ გამოფხიზლდნენ, გრძნობდა, რომ კეფამდე გადიოდნენ ისინი, იქ აწვებოდნენ _ მთელი თავი იძაბებოდა და იღლებოდა.

_ მოვრჩი, მგონი, _ თქვა ისევ ბაბუამ.

_ კარგი.

_ იყო რამე? _ მიდო ბალიშზე თავი მოხუცმა.

_ კარგად, – ჩახრეწილად თქვა გურამმა, მერე ქილა გაიტანა და ბაბუას თავით დაუჯდა. ავადმყოფს მთელ ტანზე ახურებდა, გული დიდი ყოვნებით მძიმედა სცემდა. ცუდად იყო ბაბუას სიცოცხლის საქმე. ამოტრიალებული თვალები ამომშრალი და ჩასისიხლიანებული ჰქონდა. ნელ-ნელა ოხრავდა ახლა ის, მერე ოხვრა მიწყდა, _ როგორც იყო მიიძინა.

უცებ დარეკეს, წამოდგა გურამი. არ ელოდა ტელეფონის ზარს. ბაბუას ისევ ეძინა. «კარგია, რო არ გაეღვიძა», _ გაიფიქრა და ყურმილი აიღო.

_ შარდის საქმე როგორ არის, სასწრაფოდანა ვარ გენაცვალე, _ მოისმა ქალის სასიამოვნო ხმა. – მარტო ხართ, ვიცი, დაგირეკეთ.

_ მადლობთ, შარდი კარგად მოდის, ნელ-ნელა. _ გურამმა ყურმილი დაკიდა და უზარმაზარი ხის საწოლის გვერდზე მიდგმულ ტახტზე დაწვა.

[1957 წ. ნოემბერი]

“ბაცი სათოვლე ღამე...”

ბაცი სათოვლე ღამე ჩაწვა მუქი ლიანდაგების შუაში. გურამმა შპალებიდან შარაზე გადაუხვია, ქარი ზევიდან მოდიოდა და შუბლში ურტყამდა. უფრო დაღამდა, ცა თეთრად გაშავდა და თოვა დაიწყო.

გზის ერთ მხარეს სიმინდის გადაჭრილ ფუჩეჩებს ამოუყვიათ თავი თეთრი მინდვრებიდან, მეორე მხარეს რუხი ღობეებია ჩაწნული, რომლების უკანაც გაუთავებელი უფოთლო ვენახი მიდის.

თხელი თოვლი ჭრიალებს ფეხებში, გურამი ნაბიჯს უჩქარებს, უნდა დროზე მივიდეს ბებიამისისეულ სოფელში. იქ ნათესავი აღარავინა ჰყავს, მაგრამ გლეხები, ძველი ნაცნობები მისი წინაპრებისა, ელიან. მიახლოებული უკვე ნელა, დინჯად შედის ფერდაზე შეფენილ ხოვლეში.

სიმონის სახლის წინ თოვლი ბრჭყვიალებს, ფანჯრებიდან სინათლე გამოდის, წამოსულ ფიფქებსა კვეთს და ძირს ეცემა. ლეგა ქოფაკის ლეკვი აივნიდან ჩამორბის წკავწკავით, მერე გურამს მიჰყვება უკან ძუნძულით. ოთახში სიჩუმეა, სიმონი დაბალ სამფეხა სკამზე ზის, ყური მეორე ოთახისკენა აქვს. დიდ დარბაზში მარტო მისი ქალი თეკლე ფუსფუსებს.

_ მოდი, გურამ, მოდი, _ ამბობს ის მორცხვად, ხელს ართმევს და დაბნეული უყურებს მამამისს. – როგორა ხარ, გურამ, – დგება სიმონი სკამიდან. – დიდი ხანია აღარ ჩამოსულხარ, დაგვივიწყე, ცუდ დროს კი შეგვხვდი ახლა..., ვინ იცის ლხინის მაგიერ, თუმცა ნუ გეშინია, დედას ვუტირებ დედაკაცებს, რაც უნდა მოხდეს, ჩემი ბუხრიდან ამაღამ სიმღერის ხმა ავარდება ახალწელთან ერთად.

გურამი ჩუმად უსმენს, არ უნდა პირველმა ჰკითხოს მიზეზი ასეთი ხასიათის. იქითა ოთახიდან ჩუმი შეკივლება ისმის, მერე მოძრაობის, შრიალის ხმები, გარედან ყეფა, მეორე კიბიდან ვიღაცა აჰყავთ. სიმონი ღვინოს იღებს, დიდ ჭიქებში ასხამს.

_ მოდი, დავლიოთ ახალწლამდე, მეტიმეტი ღვინის სმა დაგვებედოს, ჰა?. . . . . .

. . . . . .

იმაზე უარესი რა უნდა დაგვებედოს, ბიჭო, რაც იქა ხდება, თან რა ვიდარდო, არ ვიცი. ჩემს უფროს ქალს ხო იცნობ, არა? ახლაც არ ამბობს, ვისგან, ქალაქში სწავლობდა სამკერვალოზე, ეს მეხუთე თვეა შეიცვალა, ჩამოვიდა, გარეთ აღარ დადის, ხმას არ იღებს, ბოლოს გავიგეთ, რომ ფეხმძიმედ იყო, თავს იკლავს, არ ამბობს ვაჟის სახელს, მეზიზღებაო, იძახის, რომ მითხოვოს კიდეც, სიკვდილი მირჩევნიაო მასთან ცხოვრებას; ვერც გვარი ვათქმევინეთ, ვერც სახელი, გესმის, ბიჭო, რა ახალი წელი თენდება, ჰა?

_ ნუ გეშინიათ, პაპა სიმონ, ქალიც გადარჩება, ბავშვიც.

_ არა, მაგის არ მეშინია, თუნდა დახოცილან, უკეთესია, რაა? ვტყუი, ბიჭო, ვტყუი, პირველი შვილიშვილი მებადება, ისიც უგვარო, იმის გაჩენას ვენაცვალე, არ ვიცი, არა, _ ისევ გაუფუჭდა ხასიათი. _ რა ვიდარდო, ცოცხლად გადარჩენა თუ სიკვდილი, ჰა? მოდი ერთიც დავლიოთ, დაგვებედოს რა, მეტიმეტი სიმთვრალე დაგვებედოს, ჰა?

იქითა ოთახიდან კივილი ძლიერდება, მოხუცი ფეხზე დგება, ქალები მოძრაობენ. ტუკ-ტუკ-ტუკ, – ისმის შუალედებში საათის ხმა. გრძელი, გირამობმული ძეწკვი თითქმის ბოლომდეა დაშვებული.

_ მე აღარ მინდა, პაპა სიმონ, დალევა, ერთი შენს ცხენზე გადავჯდები, – დგება გურამიც უხერხულობის გასაფანტად.

_ გადაჯექი, კარგი, იქვე აბია, ოღონდ იცოდე, არ დააგვიანო, ახალწელს სახლში უნდა შეხვდე, გარეთ არ დაგებედოს, გესმის?!

გურამი თავლაში ჩადის, ფიქრობს საწყალ ქალზე, არა, უფრო სწორად, უკანონოდ დასაბადებელ ბავშვზე. საჯინიბოში წივისა და თივის სუნი დგას, სიბნელეში ლაშების შმაშუნსა გრძნობს და პირდაპირ ეხლება ცხენს:

მაგრად გადაუსვა გავაზე ხელი, მთელ წელზე გადმოუტარა; ცოტა შეაჩვია სიბნელეს თვალი, კედელზე დაკიდებული ლაგამი ამოსდო სიმონას შამილას დაკრეჭილ კბილებში; ნასვენი ცხენი ტორტმანით აჰყვა აღვირს და თავის ქნევა დაიწყო.

ერთხანს ორღობეში მიაჭენებდა მოკლე ოთხით, მერე მინდორში გაუშვა ნებაზე, სასაფლაოსაკენ, სადაც ბებიამისის ნათესავები ასვენიან, ჯავახიშვილები, რატომღაც მოუნდა ახალწლამდე ენახა ის ადგილი; უცებ გააჩერა ცხენი, მოატრიალა და ოთხით დაძრა უკან. თავდაღმართზე ცურაობით ჩადიოდა ფლოქვები ახლად დადებულ თოვლში, მერე ხრაშუნით გადავიდა ხევზე. დაიწყო სწორი, ნაცნობი მინდორი. მთლიანად მიუშვა ლაგამს, გახელდა ცხენი, მაგრამ თავმიშვებულს ჩქარა მოსწყინდა სირბილი, ნაბიჯს უკლო; ისევ მოზიდა, დააოთხა. გახურდა თვითონაც, ჭენებამ თავისი რიტმით ააკანკალა, თითქმის გაუჩერებლივ გადახტა ცხენიდან, ფეხი აუცურდა და რბილად დაეპერტყა ახლადგათხრილ ნაქალაქარის კედელთან. გაეცინა, თოვლით მოისრისა გახურებული სახე, შამილა იქვე მიაბა ბოძზე. თვითონ გალავანს გაუყვა, შიგ გადავიდა და ბორცვის თავისაკენ გასწია. თოვლი გათხრილი ოთახების ძირებზე უკვე კარგად იდო, შავად მარტო ნახევრადდანგრეული შიშველი კედლები მოჩანდნენ.

ფიფქები უფრო გახშირდა, გურამმა ქუდი მოიხადა. თოვლი ყინვასთან ერთად ჩაიპარა თმებში, ჩაახვია, სასიამოვნოდ მოუჭირა შუბლზე. თითქმის არაფერზე არა ფიქრობდა, უბრალოდ იცოდა, რომ უფრო ძველი, სულ ძველი წინაპრები აქა ცხოვრობდნენ, საფლავები კი შორს იყო აქედან, მათ უკანასკნელ სამყოფელს მაინც აქ უფრო კარგადა გრძნობდა; ამიტომ იჯდა გარინდული, უმოძრაოდ, უფიქრელად, გარშემო კი ფანტავდა თოვლი და ნელა ეკიდებოდა შავ, ნახევრადდანგრეულ კედლებს.

ბუნდოვნად გაარჩია ცხენის კმაყოფილი ჩახვიხვინება, ტორის დაცემასთან ერთად. ,,სიამოვნებს ჰაერი თავლის შემდეგ», გაიფიქრა. ისევ დაიხვიხვინა ცხენმა, გურამმა დაუსტვინა. თოვლში ხმა დაიფანტა, დაგუბდა და თვითონვე ჩაუდგა ყურებში. აფორიაქდა, იგრძნო, რომ უკვე მოუვიდა ახალი წლის დრო აქ, ამ მინდორში; დაცემ-დაცემით ეშვება ციხის თავიდან.

ფეხით მიდის სოფლისკენ, ცხენი აღვირით მიჰყავს, მსხვილლანჩა მაღალყელიანები ხრაშუნობენ თოვლში რაღაცნაირად, ჭრიალით, ცხენის ფლოქვები კი ყრუდა სცემენ: დუმ, დუმ, მ. _ თავი გაიქნია გურამმა, ამჩატდა, ცხენივით დაიჭიხვინა და ზურგზე მოექცა უბელოს.

_ ბუფ, ბუფ.

_ ბუფ, ბუფ, ბუფ.

_ ბუფ.

ისმის სოფლიდან ორლულიანის ხმები, ზოგი ზედ ნაგანს აყოლებს: კრახ, კრახ _ წუუ... ,,დავიგვიანე, გზაში შევხვდი ახალ წელს, დამებედება,» _ გაურბინეს თავში და ადგილს მოსწყვიტა ცხენი... გაენთო თოფის ხმისგან ჟინზე მოსული. «გზა მებედება, გარეთ ყოფნა, ყველა სახლშია, ეგეთია წესი, იქ უნდა შევხვედროდი, ოჯახში, ისე ცუდია, ამბობენ,» ჭენების რიტმში უტრიალებს თავში გურამს. თოფის ხმები გრიალით აწყდებიან გარშემო მთებს და არეკლილი იკარგებიან მტკვრის ველებში, მთელი ძალით მოზიდა ლაგამი, არეული იორღით შემოახვევინა ცხენს და უკან

მიუშვა მინდვრებში, მოყინულ თოვლის გოროხებზე მალაყებით გადადის სიმონის შამილა. ,,დამებედოს, გაუშვი დამებედოს», _ დახტიან გურამის თავში. _ ,,დამებედოს გზა, ხიფათი, გარეთ ყოფნა, ჭენება, დაე, დამებედოს, ეშმაკმა წაიღოს სახლში ჯდომის დაბედება, გაუშვი, დამებედოს ეგეთი ბედი.»

_ ییییჰიჰჰჰო, _ ჭიხვინებს თვითონ, ცხენმაც წინ წაწია თავი, მაგრამ ჭენებისგან გახელებულმა ვერ შეძლო.

_ ییییჰჰჰუჰი – ისევ დაიხვიხვინა გურამმა.

დიდ დარბაზში მთელი ოჯახი ხვდებოდა ერთად ახალ წელს. სუფრის თავში სიმონი იდგა ჩაწითლებული სიფათითა და დიდი ყანწით. თვალები ვაჟივით უელავდა ოთხმოცსმიღწეულს.

_ სტუმარო, – გადასძახა გურამს, – წელს ჩვენი მეკვლე ხარ, ამ სუფრაზე ჩემი მოადგილე, აბა დაუჯერეთ მაგას, ქალებო, – სიმონის ცოლი და უფროსი ქალიშვილი საახალწლოდ იღიმებიან ნამტირალევი თვალებიდან. _ მოადგილევ, – გუგუნებს ისევ სიმონი, – მრავალ ახალ წელს დაასწროს ჩვენი მიწა გამჩენმა, ეგ ერთია იმედიანი ჩვენთვის, შენც ამ მიწისა ხარ, ამ ძირების, მაგას ვენაცვალე. აგე ჩემი ქვევრები, აგე ჭირნახული, აგე ცოლშვილი და ახლად შეძენილი შვილიშვილი. დედას უტირებს ეგ მიწა ელიას _ დასეტყვავს? სამი კუფხალი რო დარჩეს, მაინც გამივსებს სამყოფ ღვინოს; მზე დაგოლავს, დახეთქავს ამ ბარაქასა _ იმდენი მაინც მოვა თავთავი, რო სხვასთან არ წავიდე სათხოვნელადა. ეგ ბუშიც ახლა ჩვენია, ჩვენი მიწის შვილი, სიკვდილს რა უნდა მაგასთან. ამინ! გაუმარჯოს ახალ წელს, ახალ შვილიშვილს, ამ მიწის პატარა შვილს.

გურამმა ყანწი ჩამოართვა, თქვა და დაცალა. დედაკაცებმაც მიიღეს ღვინო.

_ აბა, ქართული, ჩვენებური «ჰაი და მუმლი და მუხასაო», – გაჭიმა სიმონმა. – დაგვინახეთ, ვმღერივართ თქვენთან ერთად, მეზობლებო, ნუ შეგაშინებთ ჩემი ჭირი, ახლა მოვრჩი უკვე დარდისაგან, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, ჰაი, ჰე, ჰი...

გახურდა სმა.

გარეთ უკვე აყივლდნენ მამლები.

სიმონი და გურამი მარტო სხედან სუფრასთან.

_ ბიჭო, _ დაიწყო ჩუმად სიმონმა, – ეგ ბავშვი მადარდებს, რა ვუყოთ, ჰა? ჩემ გვარზე არ მინდა დავწერო, დედისაზე, შენც იცი სოფლის ამბავი, მოიზრდება. ტოლებში... ვინ იცის, რა იქნება.

გარედან სიმღერა ისმის. ფეხების ბრახუნით შემოდიან გლეხები ახალი წლის მოსალოცად, ლოცავენ ოჯახს, ლოცავენ ბავშვს, გურამს თვალები ევსება თქმის ჟინით, დინჯად იღებს უზარმაზარ ყანწს.

შეუვსეს.

_ სიმონ, _ დაიწყო მან – ეგ ბავშვი მე მომანათვლინე, გვარსაც მე მივცემ, სახელსაც, ბებიაჩემის ხსოვნას გაფიცებ.

გლეხები ფეხზე ამდგარი ჩუმად ისმენენ.

_ სიმონ! ჯავახიშვილები აღარ არიან ამ სოფელში, გადავიდნენ ქალაქში, იყოს მაგისი გვარი ჯავახიშვილი, სახელი გიორგი, დავლიო, სიმონ?!

სიმონი აცრემლებული მიდის მასთან, ვახტანგურად გადაეჯვარედინა ორი ყანწი.

_ ამდენი მტერი დარჩეს, ჯობია, – დაასხა ცოტა ღვინო ოჯახის უფროსმა სუფრაზე. – ჯობია, ფხიზლად იქნება.

_ ჯავახიშვილ გიორგის მომავალ კაცობას გაუმარჯოს! – დაჭექა ზორბა გლეხმა, სხვებიც აჰყვნენ და ისევ დაიწყო ,,მუმლი მუხასაო... მუხა რჩებოდაო, მუმლი კვდებოდაო.» ოღონდ უფრო ძლიერი, ბევრხმიანი, ომახიანი.

ნამთვრალევი გამოვიდა გურამი გარეთ. მთელი ფილტვებით იწოვდა ყინვას, გახურებულს, სიცივეზე საფეთქლები უცემდა. თოვას გადაეღო. უფოთლო ხეები, თოვლისაგან წელში გაზნექილი, ებჯინებოდნენ მიწას; შორს ხოვლიგორის ნაქალაქარზე ყველაფერი გადათეთრებული იყო, თეთრებში იჯდა საპატარძლოსავით სოფელიც, მარტო საკვამურები მოჩანდა შავად, გარშემო გამდნარი თოვლითა და სქელი ქულა ბოლებით. ყინვაში გიორგი ჯავახიშვილის ტირილის ხმა იჭრებოდა.
გურამი დიდ დათოვლილ ხესთან მივიდა; თვალწინ ბავშვის ერთიბეწო დაწითლებული სახე ედგა, რომელიც დილით აჩვენეს, მერე პატარამ გაიღიმა მის გონებაში. გურამმა ხელი დაჰკრა დაბლა დაწეულ ტოტს, ერთად ჩამოყრილ თოვლს შეუშვირა გახურებული შუბლი, ნელა მიაბრუნა გუნდებისგან გათეთრებული ხუჭუჭა თავი საჯინიბოსკენ და ჩუმად ჩაიფრუტუნა თავისთვის.

[1957 წლის გვიანი შემოდგომა]

“გიოს ვუთხარი...”

გიოს ვუთხარი:
_ გადმოდი ჩვენთან.
გიო გაწითლდა, დაიბნა.
_ ჰა? – იკითხა.
_ არაფერი, გამოიარე ჩვენთან. ხევს გაღმა როა, იმიტომ გითხარი გადმოდი მეთქი.
გიო უფრო გაწითლდა, გაიღიმა.

[1957 წლის შემოდგომა]

“მეკითხებიან რას აკეთებ...”

მეკითხებიან:
_ რას აკეთებ?
_ ვუსაქმურობ.
_ მერე?
_ ვწერ.
_ მერე?
_ ვიწერ რედაქციისთვის, ვაბეჭდინებ თუ დაბეჭდეს.
_ მერე?
_ გამომაქვს ჰონორარი.
_ მერე?
_ ციკლი იწყება ახლიდან.

[1957 წლის შემოდგომა]

“ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა...”

ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა. ტექნიკურად არ იყო ძლიერი: ეს მეც კარგად ვიცოდი. ეს მხარე რომ დაეწუნებინათ, არც ისე მეწყინებოდა ან სულ არ მეწყინებოდა. კომპოზიციის სუსტად ჩათვლა? თითქმის მავნებლობა იყო. მოგონება ისევ მაგზნებდა. ბოღმა ყელში მაწვებოდა. როგორ შეიძლებოდა კომპოზიციის დაწუნება? ტექნიკური მხარე რომ დაეწუნებინათ, კიდე ჰო. მერე როგორც გავიაზრე, ისე იყო გაკეთებული, ზუსტად დამემორჩილა ფუნჯი. თავში მედგა, ვერაფრით ვერ მოვიშორე. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი: როგორ დამიწუნეს, როგორ დამიწუნეს და ბრაზი მემატებოდა.

მხოლოდ მაშინ მივხვდი, ტრამვაიში რომ ვიდექი, როცა ჩამოვედი. ნელა დავუყევი ქუჩას. ტრამვაიმ ჯერ წყნარად აიღო სვლა, მერე ჩამიარა, მერე გრიალით დაეშვა ქვევით.

მე მივყვებოდი აღმართს.

ახლა მხოლოდ ყრუდა ვგრძნობდი ტკივილს. ცხელოდა.

კარები მგონი დედამ გამიღო. უღონოდ დავჯექი სკამზე და რამდენიმე შტრიხით დავხატე ჩემი დაწუნებული ნახატის გეგმა. მთელ ტილოზე წინ ვაჟკაცის მკლავი ჩანდა, სახსარში მოხრილი. ის დახლს ეყრდნობოდა. მტევანი დიდი იყო, გრძელი, ძლიერი თითებით, რომელშიაც თავი იყო ჩაფლული. ხშირი შავი თმა ზევიდან ეფინებოდა შიგ შეჭრილ თითებს, ცერი ყურზე ჰქონდა მიდებული. ყური მოჩანდა ძლიერი და შემართული. დანარჩენი კორპუსი სიბნელეში იყო. სიბნელიდანვე მოჩანდნენ კედელს აკრული ლანდები დიდი კათხებით ხელში. მხოლოდ თვალები უელავდათ. არა, ფერები და სინათლე შეუდარებელი გამომივიდა. პროპორცია მართალი იყო, სადღაც ირღვეოდა, მაგრამ განგებ გავაკეთე ასე. წინა პლანზე მინდოდა ფიზიკური ვაჟკაცობა დამედო. გამომივიდა კიდეც. მთელი დუქანი გლოვობდა. ჩაბნელებული მოდღლეზილი კორპუსები და ჩავარდნილი სიმწუხარისგან თვალები, რომლებიც ოდნავ სადღაც ელავდნენ. დახლის წინ ქონდრის კაცის ტოლა ოფიციანტი იდგა დიდი კათხით ხელში. სახეზე სიფლიდის მაგვარი ჰქონდა, მაგრამ თვალები მწუხარე. ისიც ნამდვილად განიცდიდა. ყველაზე ძალიან მაინც წინა პლანზე დახატული ბიჭი მომწონდა, რომელსაც დახლზე ჰქონდა ხელი დადებული და თავი ჩარგული თმებში. ისევ გამიტაცა ჩემმა ნახატმა: მისი ყოველი წვრიმალი წარმოვიდგინე. ნეტა აქა მქონდეს, გავიფიქრე. მერე ისევ ეჭვებმა შემიპყრო, იქნებ არც ისე კარგი იყო, როგორც მე მეგონა. არა, არ შეიძლებოდა უბრალოდ, ტექნიკური მხარე რომ დაეწუნებინათ კიდე ჰო, მაგრამ კომპოზიცია? არ ვიცი. დარწმუნებული ვარ, ვერც გაიგეს. ახვლედიანმა და ჯაფარიძემ გაიგეს. მოეწონათ კიდევაც ძალიან. ჯერ დაცვის წინ მითხრეს, ბრწყინვალეაო. ახალი გააზრება ნახეს შიგ ამბის, ბრწყინვალე ფერობრივი შესრულებით. ნამდვილად იმ რუსის ბრალი იყო. ის ვერ მიხვდა ან საიდან მიხვდებოდა. ჯერ იმაზე მომდო შარი, რატო ქვიაო ,,შესანდობარი» და ,,ლადო მოკვდაო» ორივე ერთად, ან ერთიც თუნდა. მე ძლივს ვამტვრევ რუსულს. უფრო დავაბნიე. მას კი რაც შეიძლება მჟავე სახე ჰქონდა. მთელი იმედები ჯაფარიძეზე დამრჩა, მაგრამ როცა ნახა ჩამოსული რუსი მხატვრის აზრი, რატომღაც თვითონაც შეიცვალა. რაღაცეები აუხსნა, მაგრამ ძირითადში დაეთანხმა. ვიჯექი და მახრჩობდა ბრაზი: საიდან უნდა გაეგო რუსს ,,შესანდობარი» ან ,,ლადოს სიკვდილი». ვერაფრით ვერ დავუმტვრიე, რომ ლადო ვაჟკაცი იყო. მოჩხუბარი, დამრტყმელი, ერთი ერთზე ჩხუბობდა. ყველას სცემდა, მერე დანით მოკლეს. მას გლოვობენ-მეთქი დუქანში ბიჭები. ის მკლავი კი, რომელიც

დახლზე დევს და რომელიც ყველაზე მეტად არის განათებული, სიმბოლოსავით არის მეთქი მისი ვაჟკაცობის. არაფერი გავიდა. ვერ გავარკვიე. ,,Значит был хулиган, да» იძახდა, მერე ხითხითი დაიწყო ,,Диплом, а нарисовал как смерть хулигана оплакивают хулиганы». კინაღამ არ მოვადე, ერთი კი მივიწიე, მაგრამ ნოდარმა მტაცა ხელი. გამოვედი. კედლებზე სურათები აფართხალდნენ, ისე მოვიჯახუნე კარები. უ, მაგისი! ჩვენს ვაჟკაცობას დასცინის, ვფიქრობდი, დასაცინიც არის. ვისაც რაღაც შეუძლია, ხმას არ იღებს. ჯაფარიძეს რა არ მოეწონა, თვითონა თქვა, შესანიშნავიაო, მაგრამ იქ შეეშინდა, მოსკოვის მხატვართა კავშირის პარტკომის, უ მაგათი, მართლა ახია ჩვენზე. საკმარისია რაღაც დაუსტვინონ იმათ, ჩვენი ,,თავები» უსიტყვოდ იხრებიან. უფრო მეშლება ნერვები. არ შემიძლია ჭამა. დედა კი უკვე დიდიხანია მეძახის, მგონი. მე არ გავდივარ. ის მოდის და ძალით მივყევარ. მოშვებული ვარ და მივყვები. ის ისევ გამოდის აქეთ. მე სავსე მათლაფა ლობიოს ვიღებ და უკანვე ვასხამ ქვაბში, სანამ არ შევჭამ არ მომეშვება, ვიცი, მე კი ჭამის თავი არა მაქვს. რაღაც მეცობა ყელში. ახლა ნახატზე აღარა ვფიქრობ. მინდა ვინმეს ვუთხრა ჩემი დარდი, ვინ გამიგებს, შორენა რომ იყოს აქ, კიდე ჰო. ნელა ვდგები და ტახტისკენ მივდივარ.

_ რა ქენი, ჭამე? – ამბობს დედა.

_ ჰო, – ვეუბნები მე.

მას თვალები ცრემლიანი აქვს. ხვდება, რომ რაღაც მეწყინა. ეს კიდე უფრო მოქმედებს ჩემზე. საშინელებაა უყურო ყოველდღე, თუ როგორ დარდობენ შენზე. საშინლადა მაქვს გაღიზიანებული შეგრძნება. ყველაფერი მოქმედებს. ოდნავი შეხებაც კი. დედის ცრემლებმა ახალი სიბრაზე გამოიწვია ჩემში. ვწვები ტახტზე და ვერაფერზე ვერა ვფიქრობ. ახლა მხოლოდ ბუნდოვნადა ვგრძნობ, რომ რაღაცაზე ვარ ნაწყენი. ვცდილობ დავიძინო, თითქოს წამთვლიმა კიდეც. მაგრამ რაღაც არ მაძინებს. ნელა ვაპარებ ხელს და ბარძაყს ვუჭერ. მთელ ტანში მაჟრიალებს. ლეილა მაინც იყოს აქ, ვფიქრობ. უფრო ვუჭერ ბარძაყს ხელს. ლეილა, ლეილა, ვიმეორებ, მერე ჩემ შეგრძნებამდე მოდის, რომ ლეილას ბრალია ჩემი ასეთი რეაქცია ნახატზე. თორემ ნახატის დაწუნება ჩვეულებრივი ამბავი გახდა, სულ ლეილას ბრალია. ნეტა მიყვარს? ვფიქრობ. არ ვიცი. ახლა აღარ მიყვარს! სამი დღის წინ კი მიყვარდა. ის ჩემს ქვევით იწვა, მე ზევიდან ვეწექი. ათქვირებული ტანი მოძრაობდა. ტუჩებით ვაკვდებოდი მის ტუჩებს, მერე ავაძრობდი ისევ. შემდეგი კოცნა უფრო გემრიელი იყო. ბოლოს ნელა წავიღე ხელი. კაბა და ჩემი თითები მის ბარძაყებს აყვნენ და გაჩერდნენ. სითბო მომხვდა ხელზე, გავინაბე, უფრო დავიძაბე. ჩუმად ჩავაპარე ხელი. ვიწექით ასე. იმას თვალები დახუჭული ჰქონდა, მე ხან ღია, ხან დახუჭული. ტუჩებით დროდადრო ვუწმენდავდი თვალებზე მომდგარ ცრემლებს, მერე ის ტიროდა, მერე გაჩერდა და დაიძინასავით; მე ახლა მის გვერდზე ვიწექი, იმას ჩემ ბეჭებზე ჰქონდა დადებული თავი. ტუჩებით მისველებდა კანს.

უცებ წამოვხტი ტახტიდან.

ხელი ისევ მეკიდა ბარძაყზე.

რატომღაც გამეღიმა, მერე უფრო მოვიღუშე.

პიჯაკს დავავლე ხელი და გარეთ გამოვვარდი.

_ სად მიდიხარ? – მომესმა დედის ხმა.

_ კუს ტბაზე, – დავიძახე შორიდანვე.

მერე მექანიკურად ავუყევი აღმართს. სად წავიდე, ვფიქრობდი. აღმართი კუს ტბისკენ მიდიოდა. თვალწინ ისევ ლეილა მედგა. რა ტკბილი იყო ყოველთვის და გუშინ რა ქნა. ვუთხარი, ვთხოვე და მაინც წავიდა; თან მომატყუა და ისე წავიდა. ნამდვილად არ მინდოდა მისი დაკარგვა. თან ვიცოდი, რომ ხმას არ გავცემდი ე.ი.

გავცემ მაგრამ ჩვენ შორის ყველაფერი მორჩენილია. თანაც სამუდამოდ ან დიდი ხნით. მე ვერ ვაპატიებ ჩემ მოტყუებას. როგორც არ უნდა მინდოდეს, მაინც ვერ ვაპატიებ, რომ მე ვუთხარი და ის წავიდა. თან იცოდა, მე კი არ ავუკრძალე, ვთხოვე, ვუთხარი: «მე მხოლოდ ის დაჯერება მწამს, როცა გიყვარს ვინმე და უჯერებ. თუ არ გინდა სიყვარულის დაჯერება წადიმეთქი», ის შემპირდა, რომ არ წავიდოდა და მაინც წავიდა.

ვიყურებოდი წინ და ვგრძნობდი, რომ სახლები უფრო და უფრო პატარები იყო. მერე გათავდა. ახლა ზევით კლდიანი ბილიკი მიდიოდა. შემოვბრუნდი, მერე ქანზე წამოვწექი. ჩემ ქვევით თბილისი იყო. პირდაპირ რაღაც სწორე ქუჩა მიდიოდა. გვერდზე მაღალი და დაბალი სახლები ედგა, შორს მოჩანდა მტკვარი. ის დიდხანს მოჩანდა, მერე იკარგებოდა სადღაც, სულ შორს ისევ მოჩანდა, ბოლოს აღარ ჩანდა.

«როგორ გააკეთა ეგ ლეილამ» ვფიქრობდი. «ალბათ, აღარ ვუყვარვარ, ჩემი ბრალი იყო. რატო, არ ვიცი, მაინც ჩემი ბრალი იყო რაღაც. მთელი ექვსი თვე ისე დავდიოდით, რომ არ მყვარებია, ერთი კვირის წინ იმ ამბის მერე შემიყვარდა. იმასაც ვუყვარდი, იმას ადრევეც ვუყვარდი, მაშინ ტიროდა ჩემთან, მეც წამომივიდა ცრემლები. უჰ, ის ცრემლები ვერ მომენელებინა. აქამდე ვერ მიპატიებია თავისთვის, როგორ ვაჩვენე გოგოს ცრემლები. როგორ!»

ისევ დავიძაბე.

ქვევით კი ისევ სწორი ქუჩა იყო, სადღაც ჩანდა და იკარგებოდა მტკვარი.

თვალწინ ისევ ლეილა მედგა. «ეს ტყუილი მისგან ღალატის ტოლია», ვფიქრობდი, «იცოდა, როგორც ვუთხარი, ისიც იცოდა, რომ დავკარგავდი, მაინც წავიდა ე.ი. თვითონ უნდოდა ის. მე კი არ მინდოდა მისი დაკარგვა.» ისევ წარმოვიდგინე მისი სხეული. ტუჩები. მოქცევა. არა, მიყვარდა. ახლა უფრო მიყვარდა, ე.ი. არასოდეს არ მყვარებია ისე, როგორც ახლა. ახია ჩემზე, როცა იმას ვუყვარდი, მე ცივი ვიყავი, ახლა კი, ახია ჩემზე. ყველაზე ძალიან ახლა მიყვარდა და მაინც არ გავცემდი ხმას, ე.ი. მაინც კი არა, უფრო მაგიტომ. ის ჩემი ცრემლები ვერ მომენელებინა.

გადავწყვიტე დამეწერა მისთვის: ,,არ გეგონოს, რომ იმიტომ ვიტირე მაშინ, ე.ი. იმიტომ რომ შენ მიყვარდი. არა, ვიტირე იმიტომ, რომ შენ სიმართლე თქვი, სიმართლე კი ყოველთვის ცრემლებს იწვევს ჩემში, მისი გაგონებისას ყოველთვის ვტირივარ. ე.ი. თითქმის არასოდეს არ ვტირივარ, რადგან სიმართლეს თითქმის არ ამბობენ». წერილი არა, არ ვარგა, ჯობია მივცემ წიგნს და წავალ. ასე ჯობია, ხმის გაცემა კი არაფრით. თუნდაც იმიტომ, რომ ახლა ასე მიყვარს, არა აღარ მიყვარს, სამი დღის წინ უფრო მიყვარდა, როცა ის ამბავი გავიგე მასზე, ახლა მომატყუა, აღარ მიყვარს, ახლა მინდა, ძალიან მინდა.

ისევ გამეფანტა გონება.

«კიდე კარგი, დღეს ნახატის დაცვაზეც არ ვიტირე», გავიფიქრე. «თუმცა რატომ უნდა მეტირა, იქ ხომ სიმართლე არ უთქვამთ». ნახატის მოგონებამ თითქოს დამამშვიდა. ისევ ჩავვარდი ბურანში. ვუყურებდი ქალაქს და თავში ახალი კომპოზიცია მიჯდებოდა. ისევ გავერთე გონებაში ხატვით. მერე ნახატის ერთ ადგილას გოგო იდგა. «ლეილაა», გავიფიქრე და ისევ შემომაწვა სიყვარულის ბრაზი. მიყვარდა. და სწორედ იმიტომ არ გავცემდი ხმას. მაგის საშუალებას არ მაძლევდა ჩემი რაღაც მე, არა, ყველაფერი მორჩენილი იყო, «თუ ჩემ ფეხებთან არ დაეცემა ტირილით, არ შევურიგდები», გავიფიქრე. მას კი იმდენი თავი არა აქვს, ეგ გააკეთოს, როგორც არ უნდა ვუყვარდე. ყველაფერი მორჩა. მერე რა, ახლა ახალ ნახატს ჩავუჯდები, მაგრამ თუ ისიც დამიწუნეს, მერე რა, სუ ის რუსი ხომ არ იქნება.»

წამოვდექი.

ცოტა აგრილდა.

მიწა ნაწვიმარი იყო და ტალახიანი, ქანი კი ნესტიანი.

ნელა მივდიოდი ზევით: თვალწინ ჩემი დღევანდელი ნახატი და ლეილა მედგა. ნეტა რომელი უფრო მეწყინა, ნეტა რომელი. რატომღაც ამეკვიატა აზრი. ახლა ორივენი შორს იყვნენ, ნახატი აკადემიაში იდო, ლეილა სოფელში. ამ გზაზე ერთად გვივლია მე და ლეილას. სიცოცხლე მაინც სულ სხვაა. უზომოდ მომინდა ისევ ლეილა, მაგრამ ვიცოდი, რომ ხმას არ გავცემდი. ჩემი სიამაყე არ გამიშვებდა. ისევ წამოვიდა ახლა კომპოზიცია, ლეილა ისევ იდგა სურათის კუთხეში. ,,საკმარისია ასეთი ძლიერი განცდა, რომ ახალი ნახატის იდეა მომივიდეს. არა, მოვკლავ ხატვაში ლეილას. თუმცა, ახლა მირჩევნია ლეილა იყოს აქ და მოკლას ხატვა. არ ვიფიქრო არაფერზე, მარტო ვიჯდე, მისი თავი მედოს კალთაში ან მას ედოს ჩემი თავი კალთაში. არც ვაკოცებდი, ვიჯდებოდი და არაფერზე არ ვიფიქრებდი.

ვერც შევამჩნიე ისე გაივაკა გზამ.

შორიდან რაღაც ხმა მომესმა, მერე ორი რუსი სალდათი დავინახე. ისინი რაღაცას მიყვიროდნენ. მე ნაბიჯისთვის არ ამიჩქარებია. ვერ მოიცდიან? ხო მივდივარ, ვფიქრობდი, მერე გავარჩიე.

_ Где Лисье озеро? – ყვიროდა ერთი.

მე მთელი ტანით შევბრუნდი და ხელი გავიშვირე.

_ А мы куда идем? – თქვა მეორემ.

_ На Черепашье озеро. – ვუთხარი მე.

ნელა გავაბით ლაპარაკი. პირველი სალდათი ხშირად კითხულობდა რაღაცეებს, აინტერესებდა შეიძლება თუ არა ბანაობა.

გავერთე.

სადღაც მომაგონდა, რომ არ მიყვარდა რუსი. მხატვრის სახეც წამომივიდა, ნახატი რომ დამიწუნა, მაგრამ ისე აღარ ვჯავრობდი. სადღაც გაქრა სიბრაზე. ხალხი მაინც სულ სხვაა. სალდათები რაღაცას ხუმრობდნენ. მე მეღიმებოდა.

ბოლოს ტბასთან მივედით.

_ თბილია? – ვკითხე ბიჭს, რომელსაც შარვალი დაეკაპიწებინა და ანკესი ეჭირა.

_ თვითონ ნახე, – თქვა მან.

მე დავიკუზე, ნელა ჩავყავი ხელი წყალში. მეშინოდა ცივი არ ყოფილიყო.

წყალი იყო თბილი და სასიამოვნო. იქვე ქედზე ჩამოვჯექი და გახდა დავიწყე.

[1957 წელი. დეკემბერი]

<u>შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი</u>

ნადირობა

არქივში ინახება ამ მოთხრობის შავი(1+1_40გვ.) და თეთრი(1+1_29გვ.) ავტოგრაფები და ნაბეჭდი ვარიანტი. ხელნაწერი გადაბეჭდილი უნდა იყოს 1960 წლამდე, რადგან ტექსტში ჩაწერილი რუსული სიტყვა «რჯყტწ» ეკუთვნის ავტორს (შედარებულია თეთრ ავტოგრაფთან). შავი მელნით გაკეთებული პუნქტუაციის ნიშნები და სხვა სწორებები რედაქტორისეულია. როგორცა ჩანს, ტექსტი მზადდებოდა გამოსაცემად «ცისკრის» 1961 წლის მეცხრე ნომრისათვის.

დასათაურებულია ორივე ავტოგრაფი. დათარიღებულია მხოლოდ თეთრი და ნაბეჭდი ვარიანტი.

შავი ხელნაწერის თავფურცელი მთლიანად შევსებულია დიდი ასოებით, გაკრული ხელით დაწერილი სათაურით, ქვესათაურითა და ეპიგრაფით. რამდენიმე წინადადება წერია საგანგებოდ გამოყვანილი ხელით. შემდეგ კი გაკრული, გაშლილი, ხალვათი ხელწერით შევსებულია ოცდათორმეტი გვერდი. ოცდამეცამეტე გვერდიდან ბოლომდე ნაწერია მოიისფრო, მოსქო თაბახის ფურცლებზე (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ერთ-ორ ადგილას ტექსტი გასწორებულია წითელი ფანქრით.

ასევეა გაფორმებული თეთრი ავტოგრაფის თავფურცელიც, ოღონდ გამორჩეულად ლამაზი ხელწერით. ფურცლის შევსების თავისებურება _ მსხვილი, გაშლილი, ხალვათი ხელწერა და თითქოს საგანგებოდ გამოყვანილი ასოები შენარჩუნებულია მთელ ავტოგრაფში. მოთხრობის ბოლოს ასეთივე ხელით წერია თარიღიც: «წელი 1956. იანვრის 31».

1956 წლის შემოდგომაზე დაწერილია «სათაგური». ამ მოთხრობის შავი ვარიანტისათვის გაკეთებული ჩანაწერის მეორე ცარიელ გვერდზე გვხვდება ამონაწერი შექსპირის «მეთორმეტე ღამიდან». ეს ციტატა შექსპირიდან გურამმა «სათაგურის» დაწერიდან ორი თვის შემდეგ ეპიგრაფად წაუმძღვარა «ნადირობას.»

თეთრი ავტოგრაფი მწერლის მიერ შეცდომითაა დათარიღებული (1956 წლის იანვრის 31). ეს გახდა საფუძველი რჩეულიშვილის მოთხრობათა პირველ კრებულში _ «სალამურა» _ მისი მცდარი დათარიღებისა. (მწერლის მიერ არასწორი დათარიღების სხვა შემთხვევების შესახებ იხ. წინა ტომის შენიშვნები და ბოლოსიტყვაობა: ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

1956 წლის გვიანი შემოდგომის მოთხრობებისა და 1957 წლის თებერვლის დასაწყისში დაწერილ მოთხრობათა თეთრი ავტოგრაფები ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს დაწერილი, სავარაუდოა, თებერვლის პირველ რიცხვებში. ამის საფუძველს გვაძლევს ამ ავტოგრაფების მსგავსი ხელწერა, ერთი და იგივე მელანი, საწერ-კალამი, მსგავსი ფურცლები. მოსაზრებას განამტკიცებს სასვენ ნიშნად ორწერტილის ინტენსიური ხმარება ამ მოთხრობათა მხოლოდ თეთრ ავტოგრაფებში (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). სავარაუდოა, თავდაპირველად დაიწერა «ნადირობის» თეთრი ავტოგრაფი შავი ავტოგრაფისაგან განსხვავებული პუნქტუაციით (იგულისხმება ორწერტილის ხშირი ხმარება), შემდეგ კი უკვე 1956 წლის გვიანი შემოდგომის მოთხრობათა თეთრი ავტოგრაფები. ჩემი აზრით, ამ ნაწარმოებებში ერთი და იმავე თემის გავლა (ამ თემას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მოლოდინის თემა) რეტროსპექტულად მინიშნებულია ორწერტილით. ეს სასვენი ნიშანი «ნადირობაში» აშკარად დატვირთულია ფუნქციურად. თეთრი ავტოგრაფის მეცხრე გვერდზე ორწერტილის სემანტიკური მნიშვნელობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, როდესაც ერთ-ერთ დიალოგში, ორწერტილის შემდეგ მწერალმა სასვენ ნიშნად _ აშკარად, გამოკვეთილად და არა შემთხვევით _ დასვა მძიმე (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

მწერლისეულ დათარიღებაში თავდაპირველად ეჭვი შევიტანეთ ნაწარმოების სტილის გამო. ასეთი დათარიღებისას გამოდიოდა, რომ «ნადირობა» არის გურამ რჩეულიშვილის პირველი მოთხრობა, რაც არ არის სწორი (იხ. ტომი 1, შენიშვნები პირველი მოთხრობებისათვის: «მთის კალთაზე მეჩხერ ტყეში ...», «ცქიტო და სელიოდკა» და სხვები). ვფიქრობ, მწერლისეულ დათარიღებაში ეჭვი შეიტანა რჩეულიშვილის ნაწარმოებების პირველმა რედაქტორმა გიორგი შატბერაშვილმაც

(გადაბეჭდილი ტექსტი უნდა წარმოადგენდეს ორიგინალის ასლს. სავარაუდოა, რომ ეს ვარიანტი შავი მელნით მის მიერაა ნასწორები). მან ტექსტის ბოლოს თარიღს მიაწერა 57 წელიც: «1956/57» და ბოლო ვარიანტი არ დააზუსტა. შემდეგ, უკვე ორიგინალის მიხედვით, სხვის მიერ, ეს თარიღი კვლავ გადმოკეთდა 1956 წლად და ასევე შევიდა 1965 წლის კრებულში «მოთხრობები. პიესა». ბუნებრივია, მცდარი დათარიღება განმეორდა მომდევნო კრებულშიც «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

1957 წლის სასარგებლოდ მეტყველებს მოთხრობის სიუჟეტიც, რაც ეყრდნობა რეალურ ფაქტს: აქ ჩანს, რომ გურამის ბებო (დედის დედა, ანეტა კიკნაძე) უკვე კარგა ხნის გარდაცვლილია, განსხვავებით 1956 წლის 28 ნოემბრით დათარიღებული მოთხრობისა «კიდე კარგი». ამ ნაწარმოების დაწერის თარიღი ემთხვევა ბებოს გარდაცვალების თარიღს. მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, აგრეთვე, რომ მოთხრობის გმირი არის ვაჟა ჯანდიერი. ის გურამის შემოქმედებაში მოგვიანებით შემოვიდა.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცვლილება გამოვლინდა შავი და თეთრი ავტოგრაფების შედარებისას:

თეთრ ავტოგრაფში შავი ავტოგრაფის სხვადასვა სასვენი ნიშანი შეცვლილია ორწერტილით. საერთოდაც, შეიძლება ითქვას, რომ შავი ავტოგრაფის პუნქტუაცია ექვემდებარება ტრადიციულს, განსხვავებით თეთრი ავტოგრაფისაგან. «ნადირობაში» ხშირად ხმარებულ ორწერტილს შემოაქვს თითქოს, როგორც აღვნიშნეთ, მოლოდინის თემა: გმირი ყოველ წამს მზად არის ნაწარმოების შესაქმნელად, შემოქმედებითი პროცესი კი არა და არ იწყება. ეს თემა, უმთავრესად, სწორედ, პუქტუაციის ამ ნიშნის საშუალებით ლაიტმოტივივით მიჰყვება მთელ ნაწარმოებს და ფარულ კავშირში იმყოფება სათაურსა და ეპიგრაფთან.

თეთრ ავტოგრაფში შეცვლილია აბზაცები. ჩამატებულია მთელი აბზაცი სიტყვებიდან: «ახლა უყურებდა კინოს...» სიტყვებამდე «აინთო სინათლე...»

შავ ავტოგრაფში შენარჩუნებულია მოთხრობის პერსონაჟების პროტოტიპთა _ გურამის ბიძების, ბიძაშვილისა და ბებია-ბაბუის სახელები. თეთრში ეს სახელები შეცვლილია გამოგონილით: ირაკლი შეცვლილია ნოდარით, სოსო _ კოტეთი, შალვა _ ოთარით, ვანია _ ვასოთი. თეთრ ავტოგრაფში არ არის გადატანილი შემდეგი აბზაცი: *«აბრეშუმის საქსოვი ქარხანა ცოცხალი თავით არა სთმობდა საამური ცხოვრების მომტანის სურათს. მერე შინაარსი გაახსენდა წარწერის: მოაგონდა, რომ სკოლაში სწავლის დროს სამიანიც კი გამოაყოლეს მეოთხედის ბოლოს, როცა სტალინური მარშრუტით მეოთხედ მგზავრობისათვის თუმნიანის მიტანაზე უარი თქვა.»*

როგორცა ჩანს, შავი ავტოგრაფის ბოლო წინადადება *«ვაჟამ წერა დილისათვის გადადო.»* თეთრი ავტოგრაფის ქვეტექსტში გადავიდა.

1 სიაში: «ნადირობა.»

პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს, ცისკრის მეცხრე ნომერში, შემდეგ _ 1965 წელს წიგნში «მოთხრობები. პიესა», 1985 წელს _ წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

მოუნდა

არქივში ინახება როგორც შავი(1+1_13გვ.), ასევე, თეთრი(1+1_13გვ.) ავტოგრაფი თავისი თარიღითა და სათაურით.

შავი ავტოგრაფი ნაწერია დიდი ასოებით, ხალვათად. ერთ-ორ ადგილას წითელი ფანქრით გაკეთებულია უმნიშვნელო სწორებები. მაგ. შავში: *«აპრეხილი ცხვირი წინა*

ჰქონდა გაშვერილი» შესწორებულია როგორც: *«აპრეხილი ცხვირი წინ გაეშვირა».* ბოლოს გვაქვს თარიღი ხელმოწერით: *«წელი 1957, 5 თებერვალი. გ. რჩეულიშვილი.»*

თეთრი ავტოგრაფის თავფურცლის ზედა ნახევარზე წერია სათაური, მოთხრობის ბოლოს _ თარიღი.

შავი ავტოგრაფის დასასრული: *«როგორც იყო გაიხადა ტანზე და ჩაიძინა. მეორე დილით კოხტაზე აპირებდა წასვლას.»* თეთრი ავტოგრაფის დასასრულისათვის იხ. ნაბეჭდი ტექსტი.

პუნქტუაციის თავისებურებისათვის:

თეთრი ავტოგრაფი თავისი პუნქტუაციით მსგავსია 1957 წლის თებერვალში დაწერილი სხვა თეთრი ავტოგრაფებისა: შავისაგან განსხვავებით, ხშირად იხმარება ორწერტილი. მოკლე აბზაცებად გამოყოფილი წინადადებები და დიალოგები არც ერთ ავტოგრაფში არ მთავრდება სასვენი ნიშნებით. თუმცა, ამ მხრივ, უფრო თანმიმდევრულია თეთრი ავტოგრაფი. თეთრი ავტოგრაფის მერვე გვერდზე სიტყვის _ *«ცხელოდა»* _ შემდეგ მწერლის მიერ თავდაპირველად დაწერილი წერტილი მის მიერვეა გადაშლილი. ასევე გადაშლილია მეთერთმეტე გვერდზე წინადადების _ *«მერე თოვლი შეწყდა»* _ შემდეგ დაწერილი წერტილი.

«მოუნდა» ერთ-ერთი იმ მოთხრობათაგანია, რომლის თეთრი ავტოგრაფი, შავისაგან განსხვავებით, არ მთავრდება წერტილით. ნაწარმოების დამთავრება უწერტილოდ (წერტილი, ცხადია, მიუთითებს ნაწარმოების დასასრულზე) თითქოს არღვევს მხატვრული ნაწარმოების ბუნებრივ ჩარჩოს, საზღვარს, მის სასრულობას.

შესაძლოა, ამ შემთხვევისათვის ყურადღება არ მიმექცია, რომ ის განმტკიცებული არ იყოს სხვა მაგალითებითაც (იხ. ტომი I, ბოლოსიტყვაობა, ავტოგრაფების დახასიათებისათვის, პუნქტუაციისათვის).

«ჩემზე რომ იყოს, ნაწარმოებს დასასრულის გარეშე დავტოვებდი» (მწერლის ჩანაწერებიდან).

აგი აბაშიძე იგონებს, რომ ერთხელ, თურმე, ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1956 წელს, გურამი დილის რვა საათზე ესტუმრა მას. აგი იწვა, შეიძლება ეძინა კიდეც, რადგან, ჩვეულებრივ, შუაღამემდე უყვარდა მუშაობა და გვიან იღვიძებდა. გურამი ჩამოუჯდა საწოლზე და დაიწყო ლიტერატურაზე ლაპარაკი. აგის უთქვამს: მომწონს შენი ჩანახატი (რომელ ჩანახატზე იყო საუბარი, აგის არ ახსოვს), მაგრამ, ვფიქრობ, ის უნდა იყოს რაღაც უფრო დიდი მოთხრობის სიუჟეტის ნაწილი და არა ცალკე ნაწარმოები. საერთოდაც, ნაწარმოებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს რაიმე სიუჟეტიო. გურამმა უპასუხა, რომ სიუჟეტი არ არის აუცილებელი. მოთხრობა შეიძლება იყოს უსიუჟეტო, დასაწყისისა და დასასრულის გარეშეც კი.

ვფიქრობ, რომ «მოუნდა», რომელიც, მართლაც, თითქოს დასაწყისის გარეშე იწყება («მერე თეზიკამ ფეხით შეაღო...» იხ. აგრეთვე ამავე ტომში მოთხრობა: «ახლა ჭალაში ჩავიდა მოტოციკლეტი...») და უწერტილოდ მთავრდება, ამის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.

«მერე» _ მოთხრობის პირველი სიტყვა, ძალიან ხშირად იხმარება მწერლის შემოქმედებაში. ერთხელ გურამმა, ისე რომ არ დააზუსტა რატომ, თქვა: «ძალიან მიყვარს «მერეს» ხმარება.» შეიძლება ეს უბრალო სიტყვა გამოხატავდა მისთვის ცხოვრების მდინარებას, რომელიც ძნელია გაიგო, საიდან იწყება და სად მიდის. ამიტომ ემპირიული სამყაროდან გამონაგონში გადასვლა შეიძლება დაიწყოს ნებისმიერი წერტილიდან ყოველგვარი შემზადების გარეშე. ნებისმიერი მდგომარეობა, ვფიქრობ, გამოვხატავ გურამის აზრს, მწერლისათვის შეიძლება იქცეს შემოქმედებითი პროცესის დასაწყისად.

სულ უმნიშვნელო ცხოვრებისეული ეპიზოდის განზოგადება, მხატვრული ნაწარმოების, ანუ უსასრულო სამყაროს სასრული, სივრცობრივად შემოსაზღვრული, ჩაკეტილი მოდელის შექმნა და შემდეგ იმავე მხატვრულ ქსოვილში ამ საზღვრების გადალახვა დამახასიათებელია მწერლის ოთხწლიანი შემოქმედებითი პროცესისათვის. ეს თავისებურება სხვადასხვა წლებში სხვადასხვანაირად იჩენს თავს (იხ. ამავე ტომში სხვა მოთხრობათა შენიშვნები).

I სიაში: «19. მოუნდა».

II სიაში: «3. მოუნდა».

ავტობიოგრაფიულია ბაკურიანის სიტუაცია და თვითონ მოქმედი პირებიც.

თავდაპირველად გურამი ბაკურიანში წავიდა 1956 წლის დეკემბრის ბოლოს და დარჩა იანვრის დასაწყისში მოსწავლეთა არდადეგებზეც. იქ დაუახლოვდა თავისი მეგობრის დას რ.თ.-ს. მასთან გურამს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თითქმის მთელი 1957 წელი. მიუხედავად იმისა, რომ გურამს, როგორც ახლა ვფიქრობ, მაინცადამაინც არ უნდა სდომებოდა 1957 წლის იანვრის ბოლოს ჩემთან ერთად, უკვე სტუდენტების არდადეგებზე, ბაკურიანში ხელახლა წასვლა და, ცხადია, ერჩივნა თბილისში თავის ახლად შეძენილ მეგობართან ერთად სეირნობა, მან მაინც, როგორც იცოდა ხოლმე, შეასრულა დანაპირები და მთელი ორი კვირით წამიყვანა ბაკურიანში (გურამი სიტყვას თითქოს რაღაც მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნათქვამი სიტყვა მისთვის, ისე როგორც გულისთქმა, მოქმედების ტოლფასი იყო. სწრაფვა სიტყვისა და საქმის დამთხვევისაკენ მაგისტრალურ სიუჟეტად მიჰყვება ჩემი ძმის მთელ ხანმოკლე ცხოვ-რება_შემოქმედებას და ცხოვრებაში, ხშირად გზაჯვარედინებზე, მის არჩევანს განაპირობებს. ეს ხდებოდა ცხოვრებისეული სიტუაციების ყველა, ხანდახან სხვა თვალისათვის სრულიად უაზრო, დონეზეც კი. მახსოვს, ერთხელ, 1957 წლის შემოდგომაზე, სხვათა შორის თქვა: მომბეზრდა თბილისში ყოფნა, უნდა წავიდე მოსკოვში. მერე აღარ უნდოდა, მაინც წავიდა: უკვე ვთქვი და სიტყვას ვერ გადავალო). მთის ქუჩაზე ერთ ოთახში ვცხოვრობდით: გურამ რუსიშვილი, გურამ სიხარულიძე, მერაბ ელიოზიშვილი (გურამის მეგობრები. იხ. სხვა მოთხრობათა შენიშვნები), გურამი და მე.

ჩვენი ბაკურიანში ყოფნის დროს მას, როგორცა ჩანს, უკვე მობეზრებული ჰქონდა თხილამურებზე სრიალიც. ალბათ, ამის გამო, უმეტესად, მოწყენილი, მაყურებლის როლში იყო ხოლმე. (გურამის ეს განწყობა კარგადა ჩანს მომდევნო მოთხრობის «თოვლი დნება» შავ ავტოგრაფში: *«ძლივს წამოვედი ბაკურიანიდან, მომწყინდა იქ მარტო ჯდომა»*). ავტობიოგრაფიულია ამ მოთხრობის სხვა, პატარ-პატარა ეპიზოდებიც.

ქვეყნდება პირველად.

თოვლი დნება

გვაქვს დათარიღებული და დასათაურებული ორი ავტოგრაფი: შავი(1+1_12გვ.) და თეთრი(1+1_8გვ.).

შავი ავტოგრაფის თავფურცლის ქვედა ნახევრის ზედა ნაწილში ჩემი (მ.რჩ.) ხელით წერია სათაური. ქვემოთ ავტორის ხელით _ «...დან». ავტოგრაფი ნაწერია დიდი ასოებით, გაკრული ხელით.

თეთრი ავტოგრაფის თავფურცლის ზედა ნახევარზე წერია სათაური მომსხო, გამოყვანილი, ლამაზი ასოებით. ასევეა ნაწერი მთელი ავტოგრაფი. ქვედა ნახევარზე

მოტანილია იაპონური პოეზიიდან პატარა ლექსი ავტორის გვარით (იხ. ტექსტი «Японская Лоэзия», პატარა, მუქშინდისფერყდიანი წიგნი, შავად ამოტვიფრული ასოებით _ 1956-57 წლებში გურამის სამაგიდო წიგნი იყო. (იხ. მომდევნო მოთხრობები და ტომი 4, ლექსები, მინიატურები).

I სიაში: «26. თოვლი დნება.»

II სიაში: «4. თოვლი დნება.»

ამ ავტოგრაფში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ავტორისეული დამოკიდებულება პუნქტუაციისადმი: შავ ავტოგრაფში აბზაცებად გამოყოფილი სიტყვების შემდეგ გვხვდება წერტილები, თეთრში _ არა. შავ ავტოგრაფში, თეთრისაგან განსხვავებით, არ იხმარება ორწერტილი (იხ. «ნადირობის», «მოუნდას» შენიშვნები. აგრეთვე, ტომი I, ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

შავ და თეთრ ავტოგრაფებს შორის უმნიშვნელო სხვაობაა. შავში, გვ. 3: «ჰოდა, *საკონცენტრაციო*_ბანაკიდან მთელი თვე...» თეთრში იქვე: «ჰოდა, *კონცლაგერიდან...*». შავში, გვ.5: *«უზომოდ* პატარა ციანი კარტუზი...» თეთრში, თავდაპირველად დაწერილი «*უზომოდ*» გადაშლილია ავტორის მიერ. თეთრში, გვ.4, ჩამატებულია: «გოგოს უკან გაუშვებდა საღამომდის.» შავში, გვ.10: «ამ დროს ყველაზე *ბედნიერი* იყო.» თეთრში, იქვე: «ამ დროს მართლა *კმაყოფილი*_იყო.» შავში, გვ. 11: «გადავრჩი*თ*», თეთრში იქვე «გადავრ*ჩი*».

სურვილი, დაიღუპოს მაქსიმალური სიყვარულის, სრულყოფილი ბედნიერების შეგრძნების მომენტში არ იფარგლება ამ მოთხრობით. ის თითქოს ღიაა და ყოველთვის იჩენს თავს, როდესაც მწერლის შემოქმედებასა და ცხოვრებაში შემოდის ზღვრული ქრონოტოპი. აქ: გარდამავალი სივრცე _ ხიდი, გარდამავალი დრო _ წამი. (*«წამი ეს ხომ გარდამავალი საფეხურია, ა?»* _ 1958 წელს ქაღალდის ნაგლეჯზე გაკეთებული ჩანაწერიდან).

ზურღან გემეზაშვილის (გურამის მეგობარი უნივერსიტეტიდან, ლიტერატორი, მთარგმნელი) მონაყოლი: ერთხელ ალპინიადაზე მოულოდნელად დაიწყო კლდიდან ქვათა ცვენა. აქეთ-იქით კლდეებს შევაფარეთ თავი. შეშინებულები ვუყურებდით გურამს. ის იდგა შუაში და სიცილით, რიუკზაკით იგერიებდა კლდიდან ჩამოცვენილ უზარმაზარ ქვებს. საოცრად ბედნიერი ჩანდა. ეს იყო თამაში სიკვდილთან. გურამზე რამის თქმა ან დაწერა ძნელია. ზღვარზე იყო ყველაფერი. რომ თქვა, უნდა თქვა ერთი რაღაც, მერე მეორე, ამიტომ ტყუილი გამოვა. აქ ერთდროულად იყო ყველაფერი. სიტყვას არ ემორჩილება.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

«ვერაგობა და სიყვარული»
ოთხი ამბავი ერთი ხელის მოსმით

დილით ოპერაციაა
«სურათში ყველა ლამაზია»
მილიციელი ვანო
«რამდენი წლისაა ჰამლეტი?»

ეს ნაწარმოები შედგება პატარ-პატარა მოთხრობებისაგან, ამბებისაგან. გვაქვს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1_5+1_2+1_4+1_5გვ.), თარიღითა და სათაურით. თავფურცლის ზემოთა მარჯვენა კუთხეში, ბრჭყალებში, შედარებით პატარა

ასოებით, წერია ამ ოთხი ამბის საერთო სათაური. ამას მოსდევს და მთელი გვერდი უჭირავს ჟანრის განსაზღვრას და პატარა კომენტარს (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). ფურცლის ბოლოს წვრილი ასოებით წერია სახუმაროდ გადაკეთებული აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის დასაწყისი, «ავტორის» გვარით. ეს სტროფი წარმოადგენს იმ დროს გავრცელებული ანეკდოტის რემინისცენციას. ნუგზარ წერეთლის გადმოცემით, ამ ამბის მოყოლა უყვარდა ხოლმე გურამს: იყო თურმე ვინმე გოზალოვი, მგონი, მედუდუკე, თანაც, პოეტობდა. მან რედაქციაში მიიტანა «საკუთარი» ლექსი:

«გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია,
მოგილოცავთ პირველ მაისს
თქვენი ძია გოზალოვი.»

რედაქციაში ლექსი თურმე დაუწუნეს ურითმობის გამო. გოზალოვმა ლექსზე «იმუშავა», გადააკეთ-გადმოაკეთა და ცოტა ხანში ხელახლა მიიტანა რედაქციაში უკვე შესწორებული ვარიანტი:

«გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია,
მოგილოცავთ პირველ მაისს
თქვენი გოზალოვი ძია».

ლექსის გვერდზე ხატია გრძელყლორტიანი მცენარე (შეიძლება ყვავილი), ძირი გამაგრებული აქვს ჯოხებით, ალბათ, ყლორტის სისუსტის გამო. მცენარისა თუ ყვავილის ღეროს ორსავე მხარეს დიდი ფიგურული ასოებით წერია: «აი ია».

თებერვლის ბოლოსა და გაზაფხულზე დაწერილი ავტოგრაფების უმეტესობა შავი ვარიანტითაა წარმოდგენილი. ამ თვეების ხელნაწერებში უფრო ძნელი აღმოჩნდა დღიურებისა და მინაწერების ტექსტად მიჩნევა-არ მიჩნევისათვის მყარი კრიტერიუმის შემუშავება, ვიდრე 1956 წლის ნაწერებში (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ამიტომაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ პრობლემის გადაწყვეტა თავიდან ხდებოდა საჭირო. ზოგჯერ ვიხმობდი ინტუიციასაც. ის მინაწერები თუ დღიურები, რაც ტექსტში არ არის შესული, შეტანილია შენიშვნებში. ამ ნაწარმოებთა რედაქციის დროს ვითვალისწინებდი გურამის ერთ დღიურში გამოთქმულ მოსაზრებასაც სერიოზულისა და სახუმაროს შესახებ («რა არის იმაზე ადვილი, სერიოზულობის დროს იყო სერიოზული და ხუმრობის დროს ხუმარა. აბა, სცადე შებრუნებით.»), ისე როგორც მის მთლიან შემოქმედებას, სადაც სერიოზული და სახუმარო, მართლაც რომ, ხანდახან გადახლართულია ერთმანეთთან და ერთYმთლიანობას ქმნის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გურამის ამ პერიოდის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ოპოზიციების შექმნა, ჩამოყალიბება, მათი ამბივალენტური გააზრება და არა მოხსნა.

აქვე მინდა მკითხველს გავაცნო ამონაწერი გურამის 1960 წლის რვეულიდან, რომელიც, შესაძლოა, ჯობდა მომეყვანა, როდესაც გურამის ნაწარმოებთა ზოგად რედაქციაზე ვწერდი I ტომის ბოლოსიტყვაობაში:

«გუშინ რაც შეიძლება მსუბუქად, ოღონდ პირდაპირ მიმითითა ვახტანგ ჭელიძემ, რომ ვწერ ისეთ საგნებზე, რომლებიც არ არიან სასიამოვნო, ვწერ, ამასთანავე, ცუდი ენით, მიმითითა ინანიშვილის ენაზე, შატბერაშვილმა თითქოს სცადა ჩემი დაცვა, თქვა, რომ ინანიშვილის ენით, რასაკვირველია, რჩეულიშვილი ვერ გადმოსცემსო თავის აზრებს...

ლიტერატურის აზრი, იდეა ეს ხომ ადამიანთა ვნებების, მოქმედებების ყველაზე მძაფრი სიტუაციების, სიცოცხლისმიერი სიტუაციების ასახვაა, გამოწვეული როგორც

სულიერი, ისევე, თითქოს ბიოლოგიური მოთხოვნილებითაც, დაახლოებით ისეთივე, როგორც ლომისათვის არის ღმუილი და მისი მსხვერპლისათვის დაწკნავლება. ხოლო ნაწარმოების ენა, სტილი ეს არის ლიტერატურის გარეგნული მხარე, ზუსტად ისეთი, როგორც არის ტანსაცმელი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირი.

მე ცუდი ენა მაქვს, სწორეა, ოღონდ საქმე იმაშია, რომ ჩემი დროის საქართველოსათვის სწორედ ეს ცუდი ენა არის ნამდვილი ენა, ასეთია ჩვენი შინაგანი ბუნების გარეგნობა, მე რომ ასე არ ვწერო: ჯერ ერთი, ვერც დავწერ სხვანაირად, მეორეც, უნდა ვიყალბო... «

ამავე თავფურცლის მეორე გვერდზე, ჩარჩოში, ფანქრით ჩახატულია კაცის პორტრეტი, სავარაუდოა, ავტოპორტრეტი: გულხელდაკრეფილი ახალგაზრდა კაცი, ოდნავ დაფიქრებულ-დაბღვერილი, იყურება წინ. ჩარჩოს ქვემოთა კუთხეში ირიბად გასმულია ხაზი. ხაზის ქვეშ წერია: «ნადირობა.» უფრო ქვემოთ ხატია მონადირის ატრიბუტები: სანადირო თოფი, ქარქაშიანი ხანჯალი, უფრო ქვემოთ კი ჩანს წვრილად ნაწერი გაშლილი რვეული. რვეულს ეყრდნობა ბატის ფრთა თავისი წვერით. ამ ჩანახატში გაერთიანებულია «ნადირობის» პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები (იხ. აგრეთვე მოთხრობა «ნადირობა»).

პირველი ამბავი ნაწერია დიდი ასოებით, ბოლოს უზის თარიღი: «ოქტომბრის 10, დილის 4.30.» ჩემი აზრით, აქ თვე არასწორადაა მითითებული (არასწორი დათარიღების სხვა შემთხვევები იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ამ მოსაზრების საფუძველს იძლევა ამავე თავფურცლის ქვემოთ მოთავსებული სხვა სამი ამბისა და ამ პატარა ამბის მსგავსი ხელწერა, ფურცელი, თარიღის გაფორმების სტილი, თვითონ მოთხრობის სტილი, აგრეთვე, ორი მოთხრობის გამაერთიანებელი საკუთარი სახელი *ციცკა*. მოთხრობა, ყველა პარამეტრით, ოქტომბრის ნაწარმოებებთან სრულიად უადგილოდ გამოიყურება. ეს არის პერიოდი, როდესაც გურამი, როგორც თვითონ წერს 1957 წლის გაზაფხულის ერთ-ერთ დღიურში, _ «დიდს, სულ ოდნავ დიდსაც კი» ვერაფერს წერდა. 1957 წლის ზაფხულისათვის კი თითქოს შეიცვალა რჩეულიშვილის ნაწარმოებების სტილი. განსხვავებულია ფურცლის ფაქტურაც.

1 სიაში ორი მოთხრობა ამ ციკლიდან ასეა შეტანილი: «43. დილით ოპერაციაა» (შეკვრიდან მეორე ნოველა), იქვე მეოთხე: «მილიციელი ვანო.»

ეს სიაც იძლევა დამატებით ინფორმაციას დათარიღებისათვის. ჩანს, რომ ეს ორი მოთხრობა თავდაპირველად ერთად იყო. «დილით ოპერაციაა» დასახელებულია მეორე ნომრად, «მილიციელი ვანო» კი _ მეოთხედ. არქივში ეს მოთხრობები პირველი დალაგების შემდეგ მოთავსებული იყო სხვადასხვა საქაღალდეში, ვფიქრობ, სწორედ ამ არასწორი დათარიღების გამო. მოთხრობები ქრონოლოგიურად დავალაგე ავტოგრაფში თითოეული «ამბის» შემდეგ აღნიშნული საათების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობების დაწერის დრო და მოთხრობის სიუჟეტის დრო ერთმანეთს მთლიანად ემთხვევა. ესეც, ვფიქრობ, გვაძლევს დამატებით ინფორმაციას ამ ნაწარმოების ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოსათავსებლად.

«მილიციელ ვანოში» მწერლის მიერ გადაშლილია ბოლო წინადადება: *«მთელი თვე მიდიოდა ასე მშვიდად. არც ერთი შემთხვევა.»*

აღსანიშნავია, რომ «მილიციელ ვანოს», ისე როგორც მთელ ამ პერიოდში დაწერილ ნაწარმოებებს, გასდევს ამბის, ანუ გმირის მიერ ჩვეული გარემოს, საზღვრის გადალახვის (იხ. ი. ლოტმანი, «Ѣструктура художественного текста” “Событием в тексте является перемещение персонажа через границу самантического

поля”) მძაფრი _ ზოგჯერ კი პასიური, ადამიანისათვის უკვე ჩვევად გამხდარი _ მოლოდინი და ზღვრული ქრონოტოპის შეგრძნება (იხ. «თოვლი დნება», აგრეთვე, მომდევნო «ამბები» და შენიშვნები). ვფიქრობ, რომ სიტყვა «ამბავი» ამ თვეებში დაწერილ ნაწარმოებთა სათაურებში სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს. გურამის მთელი შემოქმედება მოწმობს, რომ ამბავი მისთვის არსებობს ყველგან და ყველაფერში როგორც შესაძლებლობა. მომდევნო ნაწარმოებებში თანდათანობით უფრო გამოიკვეთება ამბის გურამისეული გაგება, მწერლის მიერ გავლებული გამყოფი ხაზი ამბავსა და უამბობას შორის. ამ პერიოდში გურამი თითქოს ძიების პროცესშია. ეს უნდა ედოს საფუძვლად 1957 წლის ნაწერებში სიტყვა «რაღაცის» ძალიან ხშირ ხმარებას. ამ გაგებით *«რაღაცის»* სემანტიკურ ველს უნდა მიეკუთვნებოდეს შემდეგი სიტყვები და ფრაზები: *«ბოდვა,» «ბურუსი», «თაბრუ მეხვევა», «პახმელია», «სიმთვრალე», «რა? არ ვიცი. რატომ? არ ვიცი» «ვნახოთ. ვნახოთ და ვნახოთ», «ვიცლები, არა, მგონი ვივსები»* და სხვ.

ამონაწერები:

«... მე მინდა ვიყო მწერალი, თანაც დიდი, მერე რა, მე ჩემი ფიქრებისა არ მეშინია ... ასე იყო ბავშვობიდან _ მთვარეზე მივფრინავდი და საკაცობრიო საქმეს ვაკეთებდი ... იმხელა გაქანება მაქვს აზრების, რომ ამათგან მარტო ერთი ვერ დამაკმაყოფილებს. ვეხვევი ბურუსში...» (1956 წელი)

«ბოლო ორი ფურცელი უკვე ბოდვაა. ასეთივე ბოდვაა ყოველდღიური ჩვენი ლაპარაკი, ქცევა, მაგრამ თვით უდიდეს ბოდვასაც აქვს თავისი გეგმა, სიმართლის ნაწილი, თავისი მიზეზი და მიზანი.» (1956 წელი)

«ბოლოს და ბოლოს ეს თავის დამცირება სამუშაოთი თუ უმუშევრობით რა არის? მართლა ამიტომ დარდობს თუ არა? არა _ ან ეს სიყვარული, გაგება, თავის შეცოდება. ამისთვის? არა. აბა? _ ის რაღაც არ იცის.»

«წერა კი მინდა გიჟივით.

ესეც ლოთობაა? ვინ იცის»

«ნამთვრალევი თუ მთვრალი ვბოდავ».

«სისუსტეა ჩემი ძალა».

«დავეხეტები და დავეძებ.»

«მონაბოდი.»

«ხალხი იმიტომ წერს, რომ რაღაც იცის ქვეშეცნეულად, მე კი არ ვიცი - მე უნდა გავიგო»

«ნეტა გამარკვია ჩემს ფიქრებში»

«ძაგანიას რაღაც რა არის, ჯერ მე თვითონ უნდა გავარკვიო...» (1958 წელი. «შაშას რევოლუციისათვის» გაკეთებული ჩანაწერებიდან).

«что-то есть бог» (ამონაწერი ტოლსტოიდან. 1958 წლის ოდესის დღიური)

«ბუნდოვანება, რომლის ყველა ნაწილი სინათლით სუნთქავს.» (1959 წელი)

საინტერესოა, რომ გურამი არქმევს ამბავს და ძირითადად ათარიღებს მხოლოდ ამ პატარ-პატარა მხატვრულ ნაწარმოებებს და არა მათ შორის მოთავსებულ მოკლე დღიურებს: რეალურ, ყოველდღიურ ფაქტებს. ფაქტში, გარდა მოქმედებისა, ცხადია, იგულისხმება აზრი, ფიქრი, განცდა. თარიღით ის თითქოს ქმნის ამ ნაწარმოებთა ჩარჩოს, ამ შემთხვევაში _ დასასრულს, რაც მათ, ერთი მხრივ, განუყოფლად აკავშირებს კონკრეტულ დროსა და სივრცესთან და, მეორე მხრივ კი, განაზოგადებს მასში გადმოცემულ ამბავს და გადააქვს მუდმივობის სამყაროში, სწორედაც რომ, გურამისეული გაგებით, აქცევს ამბად. «ამბებს» შორის მოთავსებული უთარიღო დღიურები თავიანთი ამორფულობით, რაც ხშირად მათ შინაარსშიც დევს (*«ძალიან*

მომწონს ჩემი დღიურები იმით, რომ ჩემს გარდა არავის ესმის», ან კიდევ *«ვეხვევი ბურუსში», «მთვრალი ვბოდავ»* და სხვ.), თითქოს ცდილობენ გაარღვიონ, დაამდაბლონ ამბების მითოლოგიური, ზოგადი შინაარსი რეალური ცხოვრებიდან შემოტანილი ფაბულით. იქმნება ახალი ტექსტი, რომლის არსი მდგომარეობს სწორედ ამ «ამბების» და დღიურების, მითოლოგიზირებული ტექსტისა და ფაბულის ურთიერთჭიდილში. მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ ეს «ამბები» მთავრდება თითქმის ყოველთვის დღიურებით, თითქოს ფაბულასთან დაბრუნებით. გურამის შემოქმედების ეს მხატვრული თავისებურება მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ოთხი წლის განმავლობაში სხვადასხვა ფორმას იღებს (იხ. შენიშვნა მოთხრობისათვის «მოუნდა». აგრეთვე, შენიშვნები მესამე ტომის მოთხრობებისათვის). თუმცა ეს, ნაწილობრივ, ამავე ტომშიც ჩანს (იხ შენიშვნები მოთხრობისათვის «ჯუნგლებში», «სადიპლომო ნამუშევარი» და სხვ.).

იური ლოტმანის აზრით (იხ. ზემოთ დასახელებულ წიგნში), თანამედროვე მხატვრული ნაწარმოების აგების საფუძველს ქმნის სწორედ ეს სტრუქტურული დაძაბულობა, დაჭიმულობა, კონფლიქტი ერთსა და იმავე ტექსტში მითოლოგიურსა და ფაბულურ ტენდენციებს შორის. რომელთაგან პირველი მიისწრაფვის სასრულობისაკენ, ჩარჩოსაკენ, მეორე კი _ ამ ჩარჩოდან განთავისუფლებისაკენ (იხ. სხვა ნაწარმოებთა შენიშვნები).

ასე რომ, «სამ-სამ ამბებში» კონცენტრირებულია გურამ რჩეულიშვილის ერთი მხატვრული თავისებურება: ფაბულის მითოლოგიზაციით და იქვე მისი რღვევით, დამდაბლებით, შექმნას ისეთი ტექსტი, მხატვრული ნაწარმოები, რომელიც უარყოფს, ამდაბლებს მის მიერ შექმნილ მხატვრულ სინამდვილეს და კვლავ უბრუნდება ცხოვრებას. (იხ. აგრეთვე, შენიშვნები ტრაგედიისათვის «იულონი». ტომი IV).

ამ ნაწარმოებში თითოეული «ამბის» გვერდების ნუმერაცია იწყება თავიდან.

სათაურში, ისე როგორც მომდევნო თვეების ავტოგრაფების სხვა სათაურებში, განსხვავებით 1956 წლის ავტოგრაფებისაგან, დავტოვე ბრჭყალები. ბრჭყალები გვეხმარება ეს სათაურები აღვიქვათ ალუზიად (ამჯერად ის ეხმაურება შილერის ტრაგედიის სათაურს _ «ვერაგობა და სიყვარული»).

«დილით ოპერაციაა,» სათაურით «ციცკა», პირველად დაიბეჭდა ცალკე 1965 წელს წიგნში «მოთხრობები. პიესა.» 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს» გამოქვეყნებულია ერთი მოთხრობა _ «მილიციელი ვანო.» მთლიანად ქვეყნდება პირველად.

«სიყვარულსა მალვა უნდა»

სამი ამბავი და ორი დღიური

გაწითლება

ამბავი I: ნუგზარი, თემო და ნოდარი

ამბავი II: ნოდარი, თემო და თინა

ამბავი III: მზია და ნანა (დაქალები)

გვაქვს დასათაურებული და დათარიღებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1+1_2+1+1_4+1_2გვ.). პირველი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს ზოგადი სათაურით, ჟანრის განსაზღვრითა და კომენტარით. «სამ ამბად» გაერთიანებული ეს პატარა მოთხრობები (ამბები) პირველ სიაში ცალ-ცალკეა შეტანილი:

«46. ნაზაროვა ლომებთან

1. გაწითლება
2. სკვაზნოი მანქანა»

«61. მზია და ნანა _ ჩანჩქერი.»

ამ შემთხვევაში ავირჩიე განსხვავებული გზა და ტექსტის დასადგენად დავეყრდენი მთლიანად ავტოგრაფს (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის, ტომი1).

თითოეული ამბის გვერდების ნუმერაცია იწყება თავიდან. თავფურცლის მომდევნო გვერდზე წერია ამ სამი ამბის საერთო სათაური და დღიური (იხ. ტექსტი). დღიურის ბოლოს აღნიშნული თარიღის შემდეგ და არა თავფურცელზე, როგორც სხვა ავტოგრაფებში, _ მითითებულია მომდევნო «სამი ამბის» გამაერთიანებელი ჟანრი (იხ. ტექსტი), რაც ჩვეულებრივ, სხვა ავტოგრაფებში წერია ხოლმე მხოლოდ თავფურცელზე.

გამოუქვეყნებელია.

«მე განა სიყვარული მინდოდა?»

სამი ამბავი

ამბავი I: გურამი, ვალია და ოფლი.
ამბავი II: გელა და ვიღაცეები
ამბავი III: ჩემი დღე

გვაქვს დასათაურებული და დათარიღებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1+1_4+1_3+1_2გვ.). პირველი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს სათაურით, კომენტარით, თარიღითა და მინაწერით (იხ. ნაბეჭდი ტექსტი). ბოლო ორ ამბავთან სათაურები დასმულია გვერდის ზედა კიდეში უფრო პატარა ასოებით. ისინი, ვფიქრობ, ავტორის მიერ შემდეგ უნდა იყოს ჩაწერილი.

მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას «ჩემი დღის» მარტივ, უბრალო სიუჟეტზე, სადაც, ჩაკეტილ დროსა და სივრცეში განსხეულდება ადამიანის ცხოვრების ძირითადი სიუჟეტი, «ყველა სიუჟეტის სიუჟეტი».

ამონაწერები 1958 წლის შემოდგომის დღიურებიდან:

« ... სამყაროსათვის, რომელსაც არა აქვს დრო და სივრცე, ზუსტად ერთი და იგივე წონა აქვს ცხენის ჭენებას და გინდ დედამიწისათვის საჭის გაკეთებას _ ერთ წერტილს და მილიონ გალაქტიკას ერთად, ამიტომ არის ადამიანი ყველაზე ჭკვიანი არსება (ცხოველიც), რომ წვრიმალად არ თვლის არაფერს, დიდთან შედარებით. რადგან არ არსებობს დიდი უსასრულობისათვის (შედარებითიც კი) და მისთვის ტოლფასოვანია კაცის სიკვდილი და ოთხი მილიონი გალაკტიკის ერთად ნგრევა. ამიტომ არის ყველა წერტილი სამყაროს ცენტრი, ამიტომ არის ყველას განცდა ცენტრი სხვა განცდებისა ... რადგან არ არსებობს დიდი და პატარა და რადგან ერთი წერტილი ან განცდა ისეთივე დიდია, როგორც ჩვენთვის მოჩვენებითი სიმრავლე და სიდიდე...»

« ... ეს არის ჩემი აბსტრაქტული ჭვრეტა, რომელიც მეუბნება, რომ არ არსებობს ახლო და შორს, ისევე როგორც არ არსებობს პატარა და დიდი მატერიისათვის და სულისათვის. ამიტომ ორი სიდიდიდან, ვთქვათ, ერი და ჩემი და _ ორივე უსასრულობისათვის არის ტოლი სიდიდე, ... მე ისევ ავურიე, ისევ გადავედი, მაგრამ

იმდენად ცხადად, მარტივად და კარგა ვხედავ ამ ზომების უაზრობას დროში, სივრცეში, რომ ვერავითარ განსხვავებას ვერა ვგრძნობ გლეხის კარმიდამოსა და მთელ სამყაროს შორის, ჩემ სულიერ განცდებსა და ყველა სხვა სულებს შორის, რომელიც მაინც უსასრულოდ პატარა რჩება.

ეს არ ნიშნავს, რომ მე არ ვაგდებ არაფერს არაფრად _ ე.ი. პირიქითა ხდება. ყველაფერს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ისეთივე გასაფრთხილებელია ერთი ადამიანის სიცოცხლე, როგორც მთელი დედამიწისა, რადგან ეს ადამიანი თავისთავად წარმოადგენს ცალკე სამყაროს ტოლს და თუ არ მიაქცევ მის სიკვდილს ყურადღებას, არ უნდა მიაქციო ყურადღება დედამიწის ატომით ორბიტიდან ამოვარდნასაც _ უსასრულობისათვის, ორივეს ერთი ზომა აქვს ...»

გამოუქვეყნებელია.

თებერვალში ნადირობა ყველაფერზე აკრძალულია: მე ხომ ბრაკონიერი ვარ:

სამი ამბავ-დღიური და სამი დღიურ-ამბავი

«ნეტა ჩხუბი არ ატყდეს...»
«ცქიტომ თოფი მოიმარჯვა...»
ესტატეს სიამაყე

გვაქვს დასათაურებული და დათარიღებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_2+1_3+1_2გვ.). პირველი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს. თავფურცელზე აღბეჭდილია მისი გაფორმების კვალი:

თავდაპირველად, როგორცა ჩანს, ეწერა «სამი ამბავი დღიური და სამი დღიური ამბავი.» შემდეგ სათაურში შესწორებულია ჟანრული განსაზღვრა: «სამი ამბავ-დღიური და სამი დღიურ-ამბავი» და ჩასმულია თითქოსდა აბრაში. აბრა ჭიკარტებითაა რაღაცაზე დამაგრებული. სავარაუდოა, რომ წინადადება უფრო პატარა ასოებით _ «მე ხომ ბრაკონიერი ვარ» _ სათაურსა: «თებერვალში ნადირობა ყველაფერზე აკრძალულია» და ჟანრის განსაზღვრას შორის შემდეგაა ჩაწერილი. ასევე, დაყირავებულად, შემდეგ უნდა იყოს დასმული თარიღიც სათაურის გვერდით: «წელი 1957. თებერვლის 21. 11 _ 12. 20.» სათაურის მომდევნო დღიურ-ეპიგრაფში სიტყვაში «რომანივით» ბოლო «ვით» ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. ამის აღქმა სხვადასხვანაირად შეიძლება. ამ ნაწარმოების თავფურცელზე მოთავსებული სათაურის (ჟანრის განსაზღვრის) გაფორმება იძლევა კიდევ ერთ დამატებით ინფორმაციას დღიურისა და ამბის (გამონაგონის) ერთ ტექსტად გაერთიანებისათვის. თავდაპირველად თითოეული მოთხრობის გვერდების ნუმერაცია იწყებოდა ახლიდან. შემდეგ მთელ ავტოგრაფში გაკეთებულია გვერდების საერთო პაგინაცია, ნომრები ჩასმულია წრეებში ან ავტორის მიერ, ან იმ ადამიანის მიერ, ვინც, ვფიქრობ, ამ ნაწარმოების დამთავრებისას, მისი წაკითხვის შემდეგ, იქვე იყო და ერთ-ერთი მოთხრობის გურამისეულ კომენტარს, *«მე სულ დავაფრინე»* მიაწერა _ *«მართალია.»* ავტორის გარდა, შეუძლებელია ეს ტექსტი ვინმეს აღექვა ერთ ნაწარმოებად. ავტოგრაფის მერვე გვერდზე დღიურში, სიტყვებთან *«ვიპოვი ახალს»*, სხვა ხელით ფრჩხილებში წერია «*იდეას*», _ რაც იმასვე მოწმობს. ნაწარმოების დამთავრება უთარიღო დღიურით (დათარიღებულია «ამბები» და არა დღიურები) ნაწარმოებს თითქოს ღია დასასრულისაკენ მისწრაფულსა ხდის (იხ. წინა მოთხრობების შენიშვნები).

მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ მეორე ამბავში _ «ცქიტომ თოფი მოიმარჯვა» _ ორი მოქმედი პირია: ცქიტო, 1956 წლის ლირიკული გმირი (მართალია, ამ პერიოდის მოთხრობებში არიან სხვა გმირებიც, მაგრამ ლირიკული გმირი, მწერლის ალტერ ეგო, არის ცქიტო), რომელიც აგვისტოდან შეცვალა ვაჟა ან ვამეხ ჯანდიერმა, და გურამი, 1957 წლის მეორე ნახევრის და 1958 წლის მოთხრობების გმირი. ამ პატარა მოთხრობაში გურამი ჯობნის ცქიტოს, თავს აღარ უყადრებს, უკან აღარ იხედება და წინ მიდის. ცქიტო გულდაწყვეტილია.

ცქიტო მარცხდება, აგრეთვე, ამავე პერიოდში დაწერილ ერთ პატარა მოთხრობაში «ნუგეში.»

გამოუქვეყნებელია.

კიდევ სამი ამბავი, ორი დღიური

ცეხში ამოსვრილი მაზუთიანი ქალი და ხურუში

მაგი ცირკში

ლამაზია გურჯის ქალი

გვაქვს ამ სამი ამბის შავი ავტოგრაფები (1+1_4+1_6+1_4გვ.). გადათეთრებულია მხოლოდ მესამე ამბავი(1-2გვ.). პირველი ორი უსათაურო ამბავი დათარიღებულია. აქ დასათაურებულია I სიის მიხედვით. თეთრ ავტოგრაფს აქვს სათაურიცა და თარიღიც. თავფურცლის შუაში ჟანრის განსაზღვრა ჩასმულია ჩარჩოში. თარიღი აღნიშნულია ჩარჩოს გარეთ.

I სიაში: «44. ა. ცეხში ამოსვრილი მაზუთიანი ქალი და ხურუში

ბ. მაგი ცირკში

გ. ლამაზია გურჯის ქალი.»

მეორე გვერდზე ინგლისური სიტყვები წერია სხვა ხელით. მთელ ავტოგრაფში ფანქრით აღნიშვნები სხვას ეკუთვნის. ავტოგრაფი ნაწერია მსხვილი ასოებით, გაკრული ხელით. მესამე ამბის თეთრი ავტოგრაფი დაწერილია გამოყვანილი, ლამაზი ხელით, გაშლილად, მომსხო ასოებით. ამ ნაწარმოების მომდევნო დღიური თეთრ ავტოგრაფში შავიდან გადატანილი არ არის (იხ. ტექსტი).

შესაძლოა, გურამი აპირებდა «ლამაზია გურჯის ქალის» ცალკე დაბეჭდვას, თუმცა დამაფიქრებელია, რომ პირველ სიაში ის დასახელებულია მესამე მოთხრობად. გურამი მომდევნო წლებში ხშირად წერდა ხოლმე ქართული ხასიათის, საქართველოს ისტორიის კვლევასთან დაკავშირებულ გეგმებზე. «ლამაზია გურჯის ქალი», ამ მხრივ, პირველი ნაწარმოებია.

თეთრსა და შავ ავტოგრაფებს შორის სხვაობა არ არის.

ერთად ქვეყნდება პირველად.

«ლამაზია გურჯის ქალი» ცალკე დაიბეჭდა პირველად 1965 წელს წიგნში «მოთხრობები. პიესა.» «მაგი ცირკში», სათაურით «ცირკში», ცალკე პირველად დაიბეჭდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

სამი ამბავი, სხვადასხვა დროს ნაწერი

ამბავი I: შემოდგომის მერე ზამთარია

ამბავი II. «ქურდობაზე უკანასკნელი საქმე»

ამბავი III: გოგის დასაფლავების მერე

არსებობს ამ მოთხრობის მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-4+1-3გვ), უსათაურო და დაუთარიღებელი.

მოთხრობის თავფურცელს ეტყობა მისი შევსების თანმიმდევრობა. თავდაპირველად ძალიან გაკრული ხელით წერია «23 თებერვალი». «23»-ის ქვეშ ერთნაირი (უკვე განსხვავებული) ხელით _ როგორცა ჩანს, ნაწარმოების დამთავრების შემდეგ, ერთსა და იმავე დროს _ ჩამატებულია ორი თარიღი «26» და «27» და აღნიშნულია, აგრეთვე, ჟანრი. (იხ. ტექსტის სათაური).

ავტოგრაფის მომდევნო გვერდის ზედა ნაწილში სხვადასხვა ტიპის გაურკვეველი ჩანახატებია, არის, აგრეთვე, მწერლის ორი ხელმოწერა. მარცხენა კუთხეში ერთ ჩანახატს რომბის ფორმა აქვს. აქ ჩახატულია ერთმანეთთან წვერით შეერთებული ორი სამკუთხედი. რომბის ოთხივე კუთხიდან ცენტრისაკენ, სამკუთხედების შეერთების წერტილისაკენ, მიმართულია ფოჩიანი ისრები. ორი ისარი ცენტრთან ახლოსაა, ორი _ შორს. შემდეგ გამოსახულია მსხლის ფორმის ფიგურა, რომელიც სავსე ნაწილით ოთკუთხედის ერთ-ერთი გვერდიდან გამომავალ ხაზთან არის დაკავშირებული. ამ ფიგურაში შტრიხებით, ჩრდილებივით, ჩახატულია სამი სამკუთხედი. დიდი ასოებით გვერდით კი მწერლის ხელმოწერაა. ქვეშ, მარჯვენა მხარეს დიდი კვადრატული ასოებით წერია «ცქიტო». «ცქიტოს» ქვეშ, ისევ დიდი ფიგურული ასოებით, კვლავ მწერლის ხელმოწერაა: «გ. რჩეულიშვილი», ქვემოთ კი, მოთხრობის სათაურის ზევით, განსაკუთრებით წაგრძელებული ასოებით, წერია სიტყვა, რომლის ამოკითხვა ვერ მოხერხდა, ამ სიტყვის ქვემოთ კი _ სათაური. მეორე ამბის პირველი გვერდის ზედა მარცხენა კუთხეში გაურკვეველი ჩანახატია: ან გაშლილი რვეული ან სასაფლაო _ ამ ჩანახატს თავზე ადგას ჯვარი დახრილი ფრთებით. წააგავს ნინოს ჯვარს. ეს ჯვარი შედგენილია ისეთივე ოთხკუთხედებისაგან, როგორებიც შემდეგ ავტოგრაფებში წრეშია ჩახატული (იხ. მომდევნო ავტოგრაფების შენიშვნები). მარჯვნივ ეპიგრაფია. ამ ამბის ბოლოს, თარიღის შემდეგ, წერია მომდევნო ამბის ან სათაური, ან უბრალოდ ფრაზა, დაკავშირებული ამ ამბავთან: «გოგის დასაფლავების მერე». სიტყვასთან «ვანკამ», მიწერილია «ან ივან ივანიჩმა». მესამე ამბის ბოლო გვერდზე ისევ გაურკვეველი ჩანახატია, ჩასმული მრავალკუთხედში. იქვე, ამ მრავალკუთხედიდან, იწყება ხელმოწერა. მესამე ამბავი რომ მოთხრობაა და არა დღიური, იქიდანაც ჩანს, რომ ბოლოს უზის თარიღი, რაც ამ პერიოდში მხოლოდ მოთხრობების ბოლოსა გვხვდება. მესამე ამბის თაბახის ფურცლის ბოლოს წერია მომდევნო ნაწარმოების სათაური: «რობერტ სკოტი».

მეორე ამბავთან («ქურდობაზე უკანასკნელი საქმე...») დაკავშირებით მკითხველისათვის შეიძლება საინტერესო იყოს ამონაწერი გურამის 1959 წლის ჩანაწერებიდან:

«არ არის დიდი და პატარა, უსასრულოდ პატარა, უსასრულოდ დიდი _ განუსაზღვრელია ორივე და ტოლი განუსაზღვრელობით. გადმოდის ადამიანის ხასიათშიც. აქლემის და ნემსის ქურდი. დიდი და პატარა ცოდვა. ცოდნა: სტალინმა მოკლა ერთი, მოკლა მილიონი _ ცოდვა არ გაზრდილა. ეს იცოდა, ამიტომ გაიმარჯვა.»

ქვეყნდება პირველად.

ჯუნგლებში

სამი ამბავი და მგონი ორი დღიური

სიქსტის მადონა მოსკოვში
მძინარე ვენერა
პაბლო პიკასო

გვაქვს დასათაურებული და დათარიღებული მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-6+1-4+1-4გვ.).

თავფურცლის მარჯვენა მხარეს ნახევარ გვერდზე მეტი უჭირავს სათაურს. აქვე მითითებულია ჟანრი და თარიღი. გვერდის მარცხენა კუთხეში ხატია წრე. წრეში ჩახატულია სხვადასხვა სიგრძე_სიგანის ოთხკუთხედები, რომლებიც, ჩემი აზრით, შეიძლება აღქმულ იქნას როგორც მედალიონში ამოტვიფრული ქართული ტოლკუთხა (ბოლნური) ჯვარი. შეიძლება აღქმულ იქნას აგრეთვე როგორც ლაბირინთი და დაკავშირდეს საერთო სათაურთან «ჯუნგლებში». ასეთი წრე პირველად გვხვდება იმავე პერიოდში დაწერილი «მინიატურების» ერთ-ერთ გვერდზე. წრეს ქვეშ მიწერილი აქვს: *«მაგიური წრე»* (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის და შემდეგი ავტოგრაფები).

თავფურცელი მოძიებულია ცალკე საქაღალდეში, სადაც უმისამართო ფურცლები ეწყო და ამჟამად აღდგენილია, როგორც ამ ნაწარმოების თავფურცელი, თარიღის, ჟანრის განსაზღვრისა და სათაურის მიხედვით. ამის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ფურცელი, კალამი, მელანი.

ერთ-ერთი ამბის ბოლო გვერდზე სხვა ხელით რუსულ ენაზე გაკეთებულია მინაწერი. «სიქსტის მადონას» მეორე გვერდზე, ბოლო სიტყვასთან *«შესანიშნავი»* თავდაპიველად დასმული წერტილი, ეტყობა, მაშინვეა გადაშლილი გურამის მიერ. ასევე, გადაშლილია წერტილი მწერლის მიერ წინადადებასთან *«ჩქარა ჩაიღებენ დრეზდენში»* და სიტყვა *«აბას»* შემდეგ. თავფურცელი დაწერილი უნდა იყოს სულ ბოლოს, რადგან აქ მოთხრობების დასრულების საათიცაა აღნიშნული.

«სიქსტის მადონა» და «პაბლო პიკასო» ცალ-ცალკე პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

სამი ამბავი ისევ

რობერტ სკოტი
თამარ მეფე
სადღაც წუოდა კოღო

არსებობს ამ სამი ამბის დასათაურებული და დათარიღებული შავი ავტოგრაფი (1+1-4+1-6+1-3+1გვ.), აგრეთვე პირველი და მესამე ამბის თეთრი ავტოგრაფები: (1_2გვ.). ორჯერ გვხვდება მწერლის ხელმოწერა.

ეს მოთხრობები სამ ამბად გაერთიანებულია მწერლის მიერ. პირველი სია: «62. რობერტ სკოტი, თამარ მეფე, სადღაც წუოდა კოღო» (პირველ სიაში «სადღაც წუოდა კოღო» ორჯერაა შეტანილი). ეს მოთხრობები თავდაპირველად სხვადასხვა საქაღალდეებში იყო მოთავსებული. გარდა სიისა, მათი გაერთიანების საფუძველს გვაძლევს ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმიც (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

თავფურცელზე მითითებულია ჟანრი და დაწერილია შესავალი დღიური (იხ. ტექსტი). მინიატურები, რომლებიც შესავალ დღიურშია ნახსენები, დაიბეჭდება მეოთხე ტომში: «ლექსები, მინიატურები, პიესები, კინომოთხრობები». პირველი ამბის მარცხენა კუთხეში შტრიხებით ჩახაზული კვადრატის ქვეშ ხელმოწერაა, შემდეგ ზის თარიღი. სათაური «რობერტ სკოტი» პირველად ნახსენებია 26 თებერვლით დათარიღებული მოთხრობის თეთრი ავტოგრაფის ბოლოს. მოთხრობის თეთრ ავტოგრაფში გადატანილი არაა შავი ავტოგრაფის უკანასკნელი წინადადება მწერლის ხელმოწერით: *«სკოტის დღიურები მრავალჯერაა მრავალ ენაზე ნათარგმნი. გ. რჩეულიშვილი»*. ან მომდევნო გვერდი, რომელიც, შესაძლოა, ამ წინადადებით იწყებოდა, დაიკარგა (თეთრი ავტოგრაფის მეორე გვერდი მთლიანადაა შევსებული და არც თარიღი უზის), ან ეს წინადადება თეთრში საერთოდ არ არის გადატანილი. ეს აზრი უფრო სავარაუდოა, ვინაიდან თარიღი არც მომდევნო მოთხრობის თეთრ ავტოგრაფსა აქვს.

არის ზოგიერთი განსხვავება შავსა და თეთრ ავტოგრაფებს შორის:

პირველ ამბავში «*ურჩი*» შეცვლილია *«გამარჯვებით»*. თეთრი ავტოგრაფის სათაურში «ტ» ფიგურულადაა დაწერილი (ასოს თავში ჩახატულია ადამიანის სახე). ამბავი «სადღაც წუოდა კოღო» ასევე ფიგურული «ტ»-ით იწყება. თავფურცელზე დედაჩემის ხელით მიწერილია: *«კიდევ ერთი აუტანელი დღიური»*, რაც მოწმობს, სხვა ფაქტებთან ერთად, რომ ერთ დროს გურამის დედაც აპირებდა, თავის მხრივ, არქივის დალაგება-მოწესრიგებას. მეორე ამბის გვერდების ნუმერაციაში იწყება «1»-ისათვის თითქოს ისრისა თუ ჯვრის, თუ ორივესი ერთდროულად, ფორმის მიცემა, რაც შემდეგ ამ პერიოდის ბევრ ავტოგრაფს გასდევს.

«სადღაც წუოდა კოღო» ცალკე გამოქვეყნდა 1965 წელს წიგნში «სალამურა».

ერთად ქვეყნდება პირველად.

ნათქვამია, ღმერთს სამება უყვარსო

ისევ სამი ამბავი, სულ სხვადასხვა

«ცქიტო წინ გავარდა...»

ჭორი

ტკივილი? _ არა, რაღაც და გათავდა.

არსებობს სამივე ამბის შავი, დათარიღებული და დასათაურებული ავტოგრაფი (1+1-4+1-7+1-2გვ.) და მხოლოდ მესამე ამბის თეთრი ავტოგრაფი (1_2გვ.).

თავფურცლის დასაწყისში აღნიშნულია თარიღი, არის სათაური, ქვესათაური და ე.წ. ეპიგრაფი: შესავალი-დღიური. მეორე ამბის ერთ განცალკევებულ გვერდს აწერია *«იმისათვის»,* რაც უნდა გულისხმობდეს მეორე ამბავში ჩასამატებელ ტექსტს. შევიტანეთ ნაწარმოებში შინაარსის მიხედვით. ავტოგრაფის ამ გვერდზე ერთმანეთის ქვეშ დასმული მრავალწერტილი უნდა მიანიშნებდეს მწერლის განზრახვას «ტელის» მონოლოგიდან რაიმეს ციტირებისა. მეორე ამბავში გვერდის აღმნიშვნელი ციფრიდან «1» მოდის და მისკენ მიემართება ერთმანეთზე მსხვილი ღეროებით გადაბმული წრეების ჯაჭვი. წრეები მწერლის მიერ პატარა შტრიხებით არის შევსებული. სულ რვა წრეა. მესამე ამბის შავ ავტოგრაფში, ისე როგორც შემდეგ თეთრში, თავდაპირველად ეწერა:

«_ ჩქარა შევჭამთ მამა?

_ ხვალ _ თქვა მამამ».

თეთრ ავტოგრაფში ეს ტექსტი გადაშლილია და თარიღის შემდეგ მიწერილია: «*მამა ფეხები* _» დასასრულამდე.

პირველ სიაში «34. სამი ამბავი: ა. ბაჭია.

ბ. ცქიტო წინ გავარდა

გ. ჭორი მთაში».

«ბაჭია» უნდა იყოს იგივე «ტკივილი?» _ ხოლო «ჭორი მთაში» _ იგივე «ჭორი». ამ ავტოგრაფში სათაურის შემდეგ, «ღმერთს სამება უყვარს» წერია მხოლოდ ორი მოთხრობა: «ცქიტო წინ გავარდა» და «ჭორი». ეს სამი მოთხრობა გურამის მიერაა ერთად თავმოყრილი. ორი პატარა მოთხრობა გადათეთრებულია. გადათეთრებულებს არ ახლავთ დღიურები.

«ბაჭია» სათაურით «ტკივილი? არა, რაღაც და გათავდა», პირველად გამოქვეყნდა 1965 წელს წიგნში «მოთხრობები. პიესა», «ჭორი მთაში» და «ცქიტო წინ გავარდა» _ 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

სეირნობა

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1+1-9გვ.), დასათაურებული და დათარიღებული. პირველი გვერდი თავფურცელია. თავფურცელზე წერია სათაური, ეპიგრაფი, თარიღი და დღიური. დღიური, მიუხედავად გრაფიკული სტრუქტურისა, არ მივიჩნიეთ ტექსტის ნაწილად (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის, ტომი 1, იქვე შენიშვნები მოთხრობებისა: «ასვლა», «პაპა გოგოთური» და სხვ.).

დღიური: *«გაზაფხულდა.*

ჯერ არ გავხურებულვარ მაინც. აპრილში დამეწყება ალბათ. ის მეცოდება მხოლოდ.

_ ვნახოთ.

_ *ვნახოთ და ვნახოთ».*

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

ვახო ოთახში თვრება

არსებობს მხოლოდ შავი, დათარიღებული და უსათაურო, ავტოგრაფი. შინაარსისა და მთავარი გმირის სახელის მიხედვით, ეს უნდა იყოს მოთხრობა, რომელიც პირველ სიაში მოიხსენიება როგორც «45. ვახო ოთახში თვრება.» მოთხრობის ბოლოს, თარიღის შემდეგ, არის მინაწერი: «*2 საათია. მამა ჩამოვიდა. უკვე დავითვერი.»*

ქვეყნდება პირველად.

სამი ამბავი:

1. გურამი მარტო, მერე რესტორანში
2. როცა საქმე არ არის
3. გუთნის გვერდზე, ჩრდილში, ვნება

გვაქვს ამ სამი ამბის მხოლოდ შავი ავტოგრაფები (1-6+1-8+1-2გვ). სათაური აქვს მხოლოდ მეორე ამბავს. ნაწარმოები დაუთარიღებელია. არ გამოქვეყნებულა.

ეს მოთხრობები «სამ ამბად» გაერთიანებულია პირველი სიის მიხედვით: «26. 1. გურამი მარტო, მერე რესტორანში 2. გურამი, ლევანი, ლია 3. გუთნის გვერდზე, ჩრდილში, ვნება.»

მოთხრობები არქივში გაბნეული იყო სხვადასხვა საქაღალდეებში. მოძიებულია ჩემ მიერ და ერთად თავმოყრილი თავდაპირველად მხოლოდ ხელწერის მიხედვით: გურამისათვის უჩვეულო, ოდნავ დაქანებული, გაკრული ხელწერა, რაც განსხვავდება სხვა თეთრი და შავი ავტოგრაფების სწორი, გამართული ასოებისაგან. მსგავსია სამივე ავტოგრაფის ქაღალდის ფორმატი, ხარისხი, აგრეთვე, სტილი. სათაურები ამ მოთხრობებს მიცემული აქვთ «პირველი სიის» მიხედვით. მხოლოდ მეორე მოთხრობას აქვს ავტოგრაფის სათაური.

პირველ სიაში შეცვლილია მეორე მოთხრობის საკუთარი სახელები («სიაში»: გურამი, ვახტანგი, ნათელა). მეშვიდე გვერდზე, *გურამის* მაგივრად აპირებდა დაეწერა *ლევანი.* მერვე გვერდზე კი, *ვახტანგის* ნაცვლად წერია *ლევანი.* ასე რომ, შესაძლებელია, *ნათელაც* შემდეგ შეეცვალა *ლიათი.* მეორე ამბავში დავტოვე ავტოგრაფის სახელები, მხოლოდ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შევცვალე *ლევანი ვახტანგად* მერვე გვერდზე.

დათარიღებისათვის დამატებითი ინფორმაცია მომცა წინა ნაწარმოების («ვახო ოთახში თვრება») ავტოგრაფმა, რომელიც დაწერილია 2 მარტს მსგავს ფურცლებზე და მსგავსი ხელწერით. მსგავსია თემატიკაც: «გაღვიძებული ამური გაზაფხულზე». აგრეთვე რიცხვი «1»-ის ფიგურული გაფორმებაც. ის აქაც წააგავს ისარს, რაც ამ პერიოდის ავტოგრაფებისათვისაა დამახასიათებელი. ასევე, ფიგურული ასო «ტ», რაც ინტენსიურად იხმარება მხოლოდ 6 მარტის შემდეგ, ამ ავტოგრაფში არც ერთხელ არა გვხვდება. ეს მაფიქრებინებს, რომ ნაწარმოები დაწერილი უნდა იყოს 6 მარტამდე.

ამ ნაწარმოების პირველი ამბის დასასრული გადაშლილია მწერლის მიერ: «*მარტო არ მომივიდა ლექსის რითმა. ვერაფრით ვერ ვფიქრობდი ერთ რამეზე, გარშემო ყველაფერი ერთფეროვანი იყო. ჩემს უკან ხმები ისმოდა. დახლთან ახლა ახლები შემოვიდნენ. გონებაში მიტრიალებდა რითმა, მერე დავიწყე წერა. აქ უფრო მარტო ვიყავი, ვიდრე იქ, არ მიფიქრია. ასე მივხვდი, როცა ლექსი მოვათავე.*

_ თქვენ რას ინებებთ... მკითხა მომტანმა

_ მე? _ ვთქვი მე

_ ჰო, თქვენ

_ არაფერს

მან მწყრალად გადმომხედა. მე ავდექი და გამოვედი».

მესამე მოთხრობა «გუთნის გვერდზე, ჩრდილში», სათაურით «მაიცა ერთი და...» პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

ავტოგრაფის პირველი გვერდის დასაწყისში ფანქრით, სხვა ხელით წერია «მაიცა ერთი და...». როგორც ჩანს, ხელნაწერი მზადდებოდა გამოსაცემად.

სხვა მოთხრობები ქვეყნდება პირველად.

«ჯერ ძალიან ბნელოდა...»

არსებობს უთარიღო და უსათაურო მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_5გვ.). თარიღი დადგენილია მიახლოებით ფურცლის ფორმატის, ხარისხის, ხელწერის (შიგადაშიგ

ოდნავ დაქანებული), საკუთარი სახელების, სტილისა და თემატიკის მიხედვით (იხ. წინა ნაწარმოებების შენიშვნები). დათარიღებისათვის დამატებითი ინფორმაცია მომცა ავტოგრაფის გაფორმებამ (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის, ჩანახატ-ჩანახაზები, ტომი 1). ლურჯი მელნით, დაქანებული ხელწერით შევსებული ავტოგრაფის მესამე გვერდზე მკრთალად ხატია ბატი, კაცის პროფილი მთების ფონზე და ცული. შესაძლოა, ისინი ადრევე ეხატა ფურცელზე და უკვე შემდეგ ზევიდან დაწერა მოთხრობა. თუმცა ცული (შეიძლება ეს იყოს პატარა ნაჯახი), აშკარად, მოთხრობის დაწერის შემდეგაა მიხატული გვერდის მარჯვენა კუთხეში. რამდენიმე ასოს ფიგურულადა აქვს შემოვლებული ხაზები. ესეც დამახასიათებელია ამ პერიოდის ავტოგრაფებისათვის.

1957 წლის გაზაფხულზე გურამის ამ პატარ-პატარა მოთხრობებსა და ამბებში (იხ. წინა და მომდევნო მოთხრობები) ძლიერად დაიძრა ეროტიკული ნაკადი. ეს ნაკადი თითქოს ჩაენაცვლა 1956 წლის მოთხრობებში «სიყვარულის პირველ კომპენსაციას», რაც დაკავშირებული იყო, როგორც თვითონაც წერს, მის პირველ სიყვარულთან. ეროტიკული ნაკადის დაძვრისათვის ხელი უნდა შეეწყო, ჩემი აზრით, მის ურთიერთობას გოგონასთან, რომელიც ამ მოთხრობაში მოხსენიებულია როგორც ნანა. ამონაწერი ამ მოთხრობიდან: *«რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ლია უფრო მიყვარდა ვიდრე ნანა. ალბათ იმიტომ, რომ მას დიდი ხამხამა თვალები და თხელი მაღალი ტანი ჰქონდა, თუმცა ნანას შავი თმა და სწორი პროფილი, რის პროფილი... სქელი ტუჩები: სულ ნელა რომ სუნთქავდნენ ... არა, არ ვიცოდი რომელი უფრო მიყვარდა.»*

ეროტიკული მგრძნობელობა, რომლის ძლიერ მოწოლასაც გურამი ყოველთვის გრძნობდა და სურვილი გადაელახა ის _ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, _ სურვილი, სხვა ხარისხებში აეყვანა იგი (უარყოფა გურამს თითქოს შეურაცხყოფას აყენებდა), მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მისი ცხოვრება-შემოქმედების სიუჟეტური ხაზის წარმართვაში (ამასთან დაკავშირებით იხ. მომდევნო ტომები). ამონაწერი 1956 წლის გაზაფხულის დღიურიდან: *«ჩემს გულს ორივე უნდა, ორივე ერთი გაგებით, რომ ერთში იყოს როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვისება სიყვარულის... მე მინდა სიყვარული, ტოლი ჩემი თავისი სულით და ხორცით. აი, ჩემი საგაზაფხულო სევდის მიზეზი... უახლოვდება ბუნება აპრილს, კვირტები უკვე შესამჩნევი ხდება, ნაკადულები ხმაურს უმატებენ. ხმა ემატება ჩემს გულში დაფლულ ამ გრძნობასაც. ჩემი ყვირილი ღრიალში იზრდება და საცაა დამაყრუებს . . . იძულებული ვარ ჩემი ფიქრები, ჩემი სქესის მოძახილი ლექტორის უნიჭო ლაპარაკის დროს ქაღალდზე გადავიტანო, რადგან ლაპარაკი აკრძალული მაქვს. ამურის ძახილი კი ისე ძლიერ მესმის ყურებში, რომ თუ რამეში არ გადავიტანე, საშინელ ყვირილს მოვრთავ და გარეთ გავვარდები...».*

გურამის ცხოვრება-შემოქმედების ფონზე, ჩემი აზრით, სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ამ პატარა მოთხრობის ბოლო წინადადება: *«ვიღაც ახმახს ხელი გამოედო ორი გოგოსათვის და რაღაცას უყვებოდა.»*

ქვეყნდება პირველად.

ვანო ჩემკენ ზურგით დადგა

ეს უსათაურო ავტოგრაფი (1-2გვ.) დათარიღებულია ფურცლის ხარისხის, ფორმატის, ხელწერის მიხედვით. თაბახის ფურცლის ბოლოს წერია დაუბოლოებელი

წინადადება: *«არა მარტო ის, რომ რუსიშვილი...».* ის ტექსტიდან ხაზითაა გამოყოფილი. მოთხრობა არ არის დამთავრებული.

ქვეყნდება პირველად.

ცხოვრებაში, აბანოში

არქივში ინახება ამ მოთხრობის თუ ჩანახატის როგორც შავი (1-3გვ.), ასევე თეთრი (1-4გვ) ავტოგრაფი, დასათაურებულია მხოლოდ შავი. დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია ასო «ტ»-ს თავისებური გაფორმებაც. ის ამ ნაწარმოების თეთრ ავტოგრაფში გვხვდება შემდეგ სიტყვებში «ასფალტის», «ხის ძირები ტკაპუნობენ», «ტახტზე» და სხვ. (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის. ტომი 1). თეთრ ავტოგრაფში თავისებურადაა გაფორმებული ასო «ქ»-ც. ის მსგავსია 1957 წლის 4 მარტით დათარიღებული მოთხრობის ერთ-ერთი სიტყვის ასო «ქ»-სი. თეთრში ყველგან შავი ავტოგრაფის *«ტყაპუნობდნენ»* შეცვლილია _ *«ტკაპუნობდნენ»*-ით.

მოთხრობის ბოლოს, ფრჩხილებში, მოთავსებულია მინაწერი ფანქრით, «(სერიისათვის)». 1 სიაში: « 23. ცხოვრებაში, აბანოში».

ქვეყნდება პირველად.

კისკისებენ ქალები

არსებობს დასათაურებული და დათარიღებული ორი ავტოგრაფი: შავი (1+1-10გვ.) და თეთრი (1-8გვ.). შავი ავტოგრაფის (1+1-10გვ.) თავფურცელზე დიდი ფიგურული ასოებით წერია სათაური, თარიღი, ეპიგრაფი. ეპიგრაფი აქვს მხოლოდ შავ ავტოგრაფს (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

ამავე თავფურცლის ქვედა ნახევარზე ჩახატულია შიშველი ქალების ფიგურები. პირველი გვერდის მარჯვენა კუთხეში ხატია ისეთივე ისრები, როგორიც ავტოგრაფში მოთხრობისა «მტერი ჩავარდა ხალხის ყბაში», აგრეთვე, მოთხრობის «ნათქვამია ღმერთს სამება უყვარსო» მეორე ამბის ავტოგრაფში. ყველა ეს ისარი მიმართულია თაბახის გვერდის ზევითა კუთხისაკენ, ფურცლის გარეთ _ სამი ერთად, ერთი მათ ქვევით. გრძელ მეექვსე ისარს, რომელიც სამი ისრის ქვემოთ ხატია, იგივე მიმართულება აქვს. ფურცლის მარჯვენა კუთხეში დახატულია შხაპი. წყალი თავზე ესხმება მთელი ფურცლის სიგრძეზე გამოსახულ შიშველი მოხუცის ფიგურას გადიდებული ფალოსით. ხელნაწერი ალაგ-ალაგ ნასწორებია მწერლის მიერ. ბოლოს უზის თარიღი. თეთრი ავტოგრაფი ნაწერია ლამაზი, გამოყვანილი ასოებით. შავსა და თეთრ ავტოგრაფებს შორის არ არის სხვაობა.

1 სიაში: «38. კისკისებენ ქალები».

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

დღიურ-ამბავი გაზაფხული

არსებობს დასათაურებული და დათარიღებული როგორც შავი (1-4გვ), ასევე თეთრი (1-3გვ.) ავტოგრაფი. შავი ავტოგრაფის დასაწყისშივე სათაურია, შემდეგ _ ჩანახატი: ან ლირა, ან სავსე სასმისი. შავი ხელნაწერის მეოთხე გვერდზე პაგინაციის აღმნიშვნელი რიცხვი «4» წერია ფიგურულად. მის ქვეშ, ასევე ფიგურულად,

მსხვილად დაწერილია რიცხვი «5». აქვეა გაუგებარი ჩანახატი. მოთხრობის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ეს იყოს სპილოს ხორთუმი.

თეთრ ავტოგრაფში სათაური დაწერილია გამოყვანილი ხელით. ასეთივე ხელითაა აღნიშნული ნაწარმოების ჟანრი. სავარაუდოა, რომ I სიაში «25. დღიური-ამბავი» იგულისხმება ეს პატარა ჩანახატი. აქ მოყვანილი ყველა ამბავი შეესაბამება სინამდვილეს, ერთი დღის ქრონიკაა. მომდევნო მოთხრობის მინაწერიდან ჩანს, რომ თინა სოხაძის ძმისა და ნოდარ იაკობაშვილის დაკრძალვა ერთსა და იმავე დღეს იყო. თეთრ ავტოგრაფში შეცვლილია მხოლოდ გრაფიკული სტრუქტურა (თინა სოხაძე - ჩემი ბავშვობის მეგობარი. ნოდარ იაკობაშვილი - გურამის ამხანაგი).

ქვეყნდება პირველად.

მოთხრობები დიალოგებით

დონბასელი მემაღაროელები
სადილი იწვება!

არსებობს დათარიღებული და დასათაურებული პირველი(1+1_10გვ.) და მეორე დიალოგის(1_10გვ) შავი ავტოგრაფები. ავტოგრაფის თავფურცელზე გვაქვს მწერლის ხელმოწერა. მწერლის ხელმოწერაა აგრეთვე ერთ-ერთ სხვა თავფურცელზე.

თავფურცელზე სათაური ჩასმულია ჩარჩოში. წერია: «დონბასელი მეშახტეები.» *«მეშახტეების»* თავზე წერია *«მემაღაროელები.»* ქვემოთა ნახევარზე სხვადასხვა ჩანახატებია: დატოტვილი, უფოთლო ხე, ქალისა და კაცის პროფილი და კაცის ანფასი. მეორდება, აგრეთვე, «მაგიური წრე» (იხ. წინა მოთხრობების შენიშვნები და ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ქვემოთა მარჯვენა კუთხეში ისევ დატოტვილი, უფოთლო ხეა, ოღონდ უფრო პატარა. მინაწერი პირველი დიალოგის ბოლოს თარიღის შემდეგ: «დედაა ძალიან ავად. მე სულ დაპოტნილი ვარ. ნუგზარმა და მე ვიჩხუბეთ. შუაში რუსიშვილი იდგა, იმასაც მოხვედრია ბლომად ... დღეს თინა სოხაძის ძმის და ნოდარის დასაფლავებაა. სახე გაოხრებული მაქვს.»

I სიაში: «სამი დიალოგი ა. დონბასელი მეშახტეები.
ბ. სადილი იწვება.»

მესამე დიალოგი არა ჩანს. ან საერთოდ არ არის დაწერილი, ან დაიკარგა, ან ამ ორ დიალოგთან ერთად აპირებდა რომელიმე სხვა, უკვე დაწერილი დიალოგის დაჯგუფებას. სათაური და თავფურცელი გაფორმებულია სხვა დროს, სხვა ფერის მელნით.

ქვეყნდება პირველად.

კიდევ სამი ამბავი

სადღაც ვიწროებში
უდაბნოში შუადღეზე
სოფლიდან კივილი ისმოდა

არქივში ინახება დასათაურებული და დათარიღებული სამივე ამბის როგორც შავი, ასევე თეთრი ავტოგრაფები. თავფურცელი უძღვის სამივე ამბავს ერთად. შესავალი დღიური მიჩნეულია ტექსტის ნაწილად. პირველი ამბის «სადღაც ვიწროებში» შავი და თეთრი ავტოგრაფები შეიცავენ ორ-ორ გვერდს. მეორე ამბის

«უდაბნოში შუა დღეზე» შავი ავტოგრაფი შეიცავს ოთხ გვერდს, თეთრი _ სამს. მესამე ამბის «სოფლიდან კივილი ისმოდა» შავი და თეთრი ავტოგრაფები შეიცავენ ოთხ-ოთხ გვერდს. სხვაობა შავსა და თეთრ ავტოგრაფებს შორის მხოლოდ ზოგიერთ სასვენ ნიშანშია. მეორე ამბის თეთრი ავტოგრაფის მესამე გვერდზე ფრაზასთან «მე კაცი მეგონა მოკლეს _ თქვა მეველემ « მძიმე გადაშლილია მწერლის მიერ. შავ ავტოგრაფში მოკლე წინადადებიანი აბზაცების ბოლოს წერია წერტილები, თეთრში _ არა. ერთ-ერთ ავტოგრაფს სხვა ხელით აწერია სათაური: «სოფლიდან კივილი ისმოდა». ერთ-ერთი ავტოგრაფის ცარიელ გვერდზე ხატია თუშურქუდიანი კაცის პროფილი. ჩახატულია მელნით. შესაძლებელია, ეს იყოს მენახირე, ერთ-ერთი მოთხრობის პერსონაჟი. მეორე ავტოგრაფის პირველი გვერდის სათაურის მარცხენა კუთხეში ჩანახატია: აბლაბუდები ან დახაზული ჭერის კუთხე. მის ქვეშ ხატია მონადირის თოფი. თოფის ლულა მიშვერილია აბლაბუდებიდან გარეთ.

ამ მოთხრობებში თითქოს უფრო გამოიკვეთა «ამბის» გურამისეული გაგება. ამბის მოლოდინი მუხტავს მოთხრობას და მკითხველს რაღაც ამოუხსნელი საიდუმლოს ზღვართან აჩერებს. სამივეში არის თითქოს განგაშის, უბედურების მაუწყებელი ნიშანი: თოფის ხმა, კივილი..., რაც უშუალო შეჯახებისას აღიქმება მხოლოდ კოღოს წუილად, ძაღლის წკმუტუნად და სხვ. კაცის სიკვდილი არც ერთ მოთხრობაში არ იქცევა ამბად, არსად არ გადაილახება ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი, ჩვეული გარემო, ყოველდღიურობის განცდა, რაც, ისე როგორც «მილიციელ ვანოში», უამბობის ფონსა ქმნის. ასე რომ, ამ სამ პატარა მოთხრობაში არის, ერთი მხრივ, ბუნებრიობა ამ სიკვდილებისა, ის, რომ სიკვდილი ამბავი არ არის და, მეორე მხრივ, სტილში, დამუხტულ ატმოსფეროში იგრძნობა განცდა და ტკივილი იმის გამო, რომ სიკვდილი არაფერია, რომ ის არ იქცევა ამბად (იხ. ტომი 1, «ნელი ტანგოს» შენიშვნები).

I სიაში ეს სამი მოთხრობა ცალ-ცალკეა შეტანილი: «8. სადღაც ვიწროებში», «9. უდაბნოში შუადღეზე», «6. «სადღაც წუოდა კოღო.»

პირველად გამოქვეყნდა «სადღაც ვიწროებში» და «უდაბნოში შუა დღეზე» _ 1961 წელს წიგნში «სალამურა.» ერთად ქვეყნდება პირველად.

დიალოგები

ქარია, ცივა
ცხელა, დავიძინოთ
მე ხომ გუშინ გაგიცანი

პირველი გვერდი წარმოადგენს სამივე დიალოგის თავფურცელს. თავფურცელზე, საერთო სათაურის გარდა (იხ. ნაბეჭდი ტექსტი), წერია შესავალი-დიალოგი. არსებობს ამ შესავალი-დიალოგის როგორც შავი, ასევე თეთრი ავტოგრაფი. არქივში ინახება, აგრეთვე, ამ დიალოგების დათარიღებული და დასათაურებული შავი და თეთრი ავტოგრაფები. პირველი დიალოგის «ქარია, ცივა» შავი ავტოგრაფი შეიცავს ოთხ გვერდს, თეთრი _ ექვს გვერდს. მეორე დიალოგის «ცხელა, დავიძინოთ» შავი ავტოგრაფის პირველ გვერდზე ჩახატულია გრძელი და ფართოცხვირა კაცის პროფილი, მეგობრული შარჟის მსგავსი. თეთრი ავტოგრაფი შეიცავს ოთხ გვერდს. მესამე დიალოგის «მე ხომ გუშინ გაგიცანი» შავი ავტოგრაფი შეიცავს შვიდ გვერდს.

თეთრი _ 8 გვერდს. ერთ-ერთი ავტოგრაფის სათაურის ქვეშ დახატულია კაცის პროფილი ფრინველის მაგვარი ცხვირითა და პირით.

პირველ სიაში: «36. სიყვარულზე
ცხელა, დავიძინოთ
ქარია, ცივა.»

ვფიქრობ, მოთხრობა «სიყვარულზე» იგივეა, რაც «მე ხომ გუშინ გაგიცანი.» ამ სათაურით დაიბეჭდა ის ცალკე 1965 წელს წიგნში «მოთხრობები. პიესა.»

ერთად იბეჭდება პირველად.

კიდევ სამი დიალოგი

რვას ათი უკლია
«ხან ცხელა, ხან ცივა»
სათაური: როგორც არი

არქივში ინახება სხვადასხვანაირად დათარიღებული, ნაწილობრივ, დასათაურებულიც, ამ ნაწარმოების რამდენიმე შავი და ერთი თეთრი ავტოგრაფი. პირველი და მეორე დიალოგის მხოლოდ შავი ავტოგრაფებია(1-5გვ. 1-4გვ.) მესამე დიალოგისა კი _ როგორც შავი(1გვ.), ასევე თეთრი(1_6გვ.) ავტოგრაფი. მესამე დიალოგის ბოლოს მწერლის ხელმოწერაა.

ერთ-ერთ დიალოგში «რვას ათი უკლია» სიტყვა «სახე» წერია ისე, რომ გამოვიდეს ადამიანის სახე. დასაწყისში იხმარება ფიგურული «ტ».

პირველ სიაში გვხვდება ასეთი აღნიშვნა: «49. კიდევ სამი დიალოგი» ცალ-ცალკე სათაურების აღუნიშნავად. ამავე დროს, მარტის თვეში დაწერილი დიალოგებიდან უმისამართოდ დარჩენილია სამი დიალოგი. ვფიქრობ, გურამი ამ დიალოგების გაერთიანებას აპირებდა ერთ ნაწარმოებად. დიალოგები დავალაგე ქრონოლოგიურად. მესამე დიალოგის ავტოგრაფში ტექსტის ბოლოს აღნიშნულია მხოლოდ წელი და რიცხვი. თვე მიახლოებით დადგენილია ნაწარმოების ჟანრის, სტილის, ხელწერის, ფურცლის ხარისხისა და ფორმატის მიხედვით. პირველ დიალოგში პირველი ფურცლის ზედა ნახევარზე არის ქაოტური ჩანახატი, რომლის ქვემოთ მომსხო ასოებით წერია «სიზმარი.» მარჯვნივ ხელმოწერაა. როგორცა ჩანს, გურამს უნდოდა თავისი სიზმრის ჩახატვა. ჩანახატებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფიგურა, რაც შემდეგ ავტოგრაფებში ლაიტმოტივივით გასდევს ზოგიერთ მომდევნო ჩანახატს: მიმქროლავი მატარებელი, უზარმაზარეშვებიანი, დაკრეჭილკბილებიანი თავი, შესაძლოა, დევის. რქებიანი თავი, სახეზე მხოლოდ თვალებით, შესაძლოა, მიანიშნებდეს ეშმაკს. ეშმაკს უნდა მიანიშნებდეს ამ ჩანახატის კიდევ რამდენიმე ფიგურა. მთელ სიგრძე-სიგანეზე ხატია მაღალ შეერთებულ ფეხებზე შემდგარი ფრინველი, დაკეცილი ფრთებით, ალბათ, წერო. ამ ჩანახატების ფონს ქმნის უზარმაზარი დაკრეჭილი კბილები. ფიგურულია გვერდის ნომერიც «1». ჩანახატის ქვემოთ ჩარჩოში ჩასმულია სათაური: «სათაური: როგორც არი.» ბოლოს, თარიღის შემდეგ, არის ჩანახატი - ცალთვალა, ნახევრად შიშველი, შლიაპიანი კაცი გიტარით (იხ. «ნელი ტანგოს» შენიშვნები). შავ ავტოგრაფში, აბრაში, თეთრი ავტოგრაფის ტექსტი დაწერილია რუსულად. შავი ავტოგრაფი, თეთრისაგან განსხვავებით, მთავრდება სიტყვებით: «ბიჭებმა ბილეთის ფული გადააწოდეს შლიაპიანს.»

ქვეყნდება პირველად.

სადღეგრძელოს მადლი შეგეწიოთ

არსებობს უთარიღო შავი ავტოგრაფი(1_2გვ.). დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმის საფუძველზე.
ქვეყნდება პირველად.

ისევ სამი ამბავი

მოხუცი და პეტო

არსებობს უსათაურო და დათარიღებული შავი ავტოგრაფი(1+1_6გვ.). თავფურცელზე მოცემულია ზოგადი სათაური: «ისევ სამი ამბავი», თარიღი _ «1957 წ. მარტის 10» და დღიური, რომელიც გაშლილია მთელ გვერდზე (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

მოთხრობა დასათაურებულია პირველი სიის მიხედვით: «51. მოხუცი და პეტო.» ტექსტს მოსდევს თარიღი. როგორცა ჩანს, განზრახვა «ისევ სამი ამბის» შექმნისა ვერ განხორციელდა.
გურამის შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი «მოქმედი პირია» _ მზე (მთვარე). მზის, ნათლის სემანტიკური ველი მწერლის შემოქმედებით პროცესში, დროის მსვლელობასთან ერთად, ფართოვდება, იკრებს ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებულ, ხანდახან საპირისპირო სიტყვებსაც კი და მკითხველს, მკვლევარს ექმნება შთაბეჭდილება, რომ გზა ნაწარმოების სიღრმისეული შრეებისაკენ მასზე გადის. დასაწყისში, თავდაპირველად, თუნდაც პირველივე მოთხრობაში მოხუც მონადირეზე, ის სრულიად შეუმჩნევლად, ჩვეულებრივ შემოდის ნაწარმოებში როგორც თხრობის ელემენტი, როგორც ბუნების ნაწილი _ ქარი, მთა, მდინარე, ტყე და სხვ.: «ჩამავალი მზის სხივებით განათებული თვალები», მოხუცი მონადირე, რომელიც «თვალს უსწორებს მზის უძლურ სხივებს» და უკანასკნელი სხივის ჩასვლასთან ერთად დაეცემა მიწაზე. «პაპა გოგოთურში» მზის სხივი აცხუნებს პაპა გოგოთურის ჭაღარა გრუზა თმას და მისი ფილტვებიდან შეკრული, ფართო ზოლით ამოვარდნილი ბოლი მიჰყვება მზის სხივს, მის შუქზე ზიგზაგებად იშლება და ნელ-ნელა იწყებს ჭუჭრუტანიდან ამოსვლას. ნაწარმოების დასასრულს კი ფილტვებიდან შეკრულად ამოვარდნილი თეთრი ბოლი იშლება და ამჯერად მთვარის მკრთალ სხივს აჰყვება ჭერში საცეცხლურად დატოვებული ჭუჭრუტანისაკენ. მოთხრობაში «დღე იწყება, ადექი» წვიმის გადასვლის შემდეგ ნაოჭა მთის ფერდებში ჩასული მზის სხივები თითქოს გადაულახავი პრობლემების წინაშე მდგარ, პატარ-პატარა ცოდვებით დატვირთულ გმირს, გამოფხიზლებისა და გათენებისაც კი რომ ეშინია, სინათლით ავსებს და სიცოცხლის ხალისს უბრუნებს, ახსენებს, რომ არსებობს მზე, რომელმაც უკვე თავის სხივებში გაახვია ყველაფერი. მოთხრობაში «კედელთან მიდგმულ უზარმაზარ ხის საწოლზე...» გმირს აქვს განცდა, რომ «ბაბუას სული ..... სარკმლიდან შემოსულ სხივს მიჰყვება» და ასე შემდეგ (იხ. აგრეთვე ამავე ტომში მოთხრობები «ახლა ჭალაში ჩავიდა მოტოციკლეტი...» «პაპა და შვილიშვილი» და სხვ.). 1958 წელს დაწერილი მოთხრობის «ირინა და მე» (იხ. მესამე ტომი) კულმინაციურ მომენტში კი მთვარე უკვე «მოქმედი პირივით გამოდის შავი

ღრუბლებიდან სცენაზე» (იხ. გურამის შემოქმედებაში მზის და სინათლის სიმბოლიკასთან დაკავშირებით მომდევნო ტომები. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ გურამ რჩეულიშვილის, ერთი შეხედვით, სრულიად რეალისტური პროზა ფარული სიმბოლიკის შემცველია. ეს ფარული მნიშვნელობა თითქოს მწერლისათვისაც მოულოდნელად იხსნება დროის მსვლელობასთან ერთად. გურამის აზრი სიმბოლოს, ნაწარმოების სიმბოლურობის შესახებ იხ. ამავე ტომში მოთხრობის «გოგო ტახტზე გდია...» შენიშვნებში).

ქვეყნდება პირველად.

ერთხელ:

არსებობს მოთხრობის მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_2გვ.), შავი ფანქრით ნაწერი, უთარიღო. დათარიღებულია სტილის, თაბახის ფურცლისა და ფორმატის მიხედვით. ავტოგრაფში ვხვდებით, აგრეთვე, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ ჩანახატებსაც: გვერდის თავში, მარჯვენა მხარეს კაცის პროფილი, წარწერით «ოტო (ის)». შემდეგ, მარცხნივ _ კაცის ანფასი, წარწერით: «აი, ეს კაცი.» თაბახის ფურცლის მთელ სიგრძეზე მოთავსებული ჩანახატები, მინაწერები, სათაური და მთლიანი ტექსტის როგორც პირველი, ასევე მეორე გვერდი ჩასმულია ცალ-ცალკე ჩარჩოებში. ასე რომ, ხელნაწერში ჩარჩოში ჩასმული გამოდის მთელი ეს პატარა მოთხრობა. ცხადია, ეს რეალური ჩარჩო განზრახული არ არის მკითხველისათვის. ამ ჩარჩოთი მწერალი თითქოს თავისთვის ხილულად აქცევს თავის შემოქმედებით ლაბორატორიას, იმ კონტურებს, საზღვრებს, რაც მისი ობიექტივის თვალთახედვის არეში მოექცა და რამაც ტექსტი, მხატვრული ნაწარმოები, გამოყო არატექსტიდან. ბევრმა მკითხველმა, ვინც ხელნაწერში გაეცნო გურამის ამ პატარ-პატარა ნაწარმოებებს («გოგო ტახტზე გდია...», «გიოს ვუთხარი..», «ვიქტორის ბიოგრაფია» და სხვ.), იფიქრა, რომ ეს არის უბრალო ვარჯიში და არა მხატვრული ტექსტი. მათი აზრით, ასე მიაჩნდა, ალბათ, თვითონ მწერალსაც და არც მათ დაბეჭვდაზე იფიქრებდა ოდესმე. გარდა ჩემი ზემოთ გამოთქმული მოსაზრებისა (ამასთან დაკავშირებით იხ. ტომი 1, წინასიტყვაობა, ავტოგრაფების დახასიათებისათვის), ამ პატარ-პატარა ტექსტების სიუჟეტურ-კომპოზიციური აგებულება და, საერთოდ, სტილის ყველა ელემენტი, რაც ნაწარმოების შინაგან ორგანიზებულობას ქმნის, ავტოგრაფის გრაფიკული გაფორმებაც კი, მოწმობს, რომ ისინი მხატვრული ნაწარმოებებია. ამ პატარ-პატარა ტექსტებში, ისე როგორც, ჩვეულებრივ, ყველა მხატვრულ ნაწარმოებში, მწერალი სამყაროს მოდელირებას ახდენს, თითქოს სულ უმნიშვნელო ფაბულის მითოლოგიზაციას. უბრალოდ, ეს არის მწერლის ცხოვრების ის პერიოდი, როდესაც გურამი, როგორც აღვნიშნეთ, «დიდს, სულ ოდნავ დიდსაც კი ვეღარაფერს წერდა» («როცა მიყვარდა ვერა ვწერდი. ასე იყო მზიას დროს, ასე იყო რუსიკოს დროს.» იხ. აგრეთვე, სხვა ნაწარმოებების შენიშვნები). თხრობის ეს სტილი შეიცვალა 1957 წლის ზაფხულისათვის. პირველი ნაწარმოები იყო «უღელტეხილი» და შემდეგ _ «უსახელო უფლისციხელი».

ამ მოთხრობაში ნახსენებ «ჭაუხებთან» ერთი მოგონებაა დაკავშირებული.

შოთა მირიანაშვილის მოგონებებიდან: «... იმ შორეულ 1954 წლის ალპინიადას ოთარ გიგინეიშვილი ხელმძღვანელობდა. ჭაუხებში გუდამაყრის ხეობით შევედით. ბანაკი სოფელ ჩოხში გვქონდა, სკოლის შენობაში. გვმასპინძლობდა ვანო წიკლაური. ოქტომბრის პირველი რიცხვები იდგა. ამ ალპინიადას იმიტომ ვიხსენებ, რომ მაშინ

ჩვენ ყველა ერთად ვიყავით: ჯუმბერ მემმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, გიგი აბაშიძე, გურამ რჩეულიშვილი, გურამ თიკანაძე, აგი აბაშიძე, ოთარ ხაზარაძე, რევაზ ხაზარაძე.... და სხვები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ასვლის დღეს ამინდი დილიდანვე სასიკეთოს არაფერს გვიქადდა, როცა ქედს მივაღწიეთ, საბოლოოდ გაავდრდა, თოვდა, ყოველმხრივ ნისლი გვიტევდა. როცა ვეშვებოდით, ნისლი წამით გაიფანტა და ცაში აზიდული მრისხანე მწვერვალები გამოჩნდა, ნისლებში გახვეულები ციხეებს წააგავდნენ. მერე ისევ ყველაფერი ნისლმა შთანთქა. მაშინ ჩამესახა გულში ჭაუხების ინტერესი. მინდოდა ოდესმე, წამით ნახულ მწვერვალებზე, მეგობრებთან ერთად დამედგა ფეხი.

მწვერვალი, რომელიც ჩვენ მაშინ დავიპყარით უსახელო იყო.

ცხადია, მაშინ არც ერთ ჩვენგანს აზრად არ მოსვლია, რომ მრავალი წლის შემდეგ (1974 წელს), ბედისწერის შედეგად საკმაოდ შეთხელებული შემადგენლობით, ჩვენ ამ მწვერვალზე კვლავ შევდგამდით ფეხს იმ ერთადერთი მიზნით, რომ მწვერვალისათვის გურამ რჩეულიშვილი დაგვერქმია.»

ქვეყნდება პირველად.

«იყო კვირა...»

ამ პატარა მოთხრობის თუ ჩანახატის შავი ავტოგრაფი (1_6გვ.) დათარიღებულია. მესამე გვერდის დასაწყისში ჩახატულია ახალგაზრდა ხუჭუჭთმიანი კაცის პროფილი, სავარაუდოა _ ავტოპორტრეტი. ბოლოს უზის თარიღი. მეორე გვერდზე არის მინაწერი:

«ვწერ ღამე. მთვრალი. იმიტომ რო დღეს არაფერი დამიწერია.

_ ესეც ლოთობაა

_ მა რა

_ ვითომ?

_ აბა რა.»

ქვეყნდება პირველად.

წვიმაში

(რას აკეთებენ წვიმის დროს)

არსებობს უთარიღო შავი ავტოგრაფი(1_2გვ.), თავისი სათაურით. დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე (იხ. ტომი 1, შესავალი).

პირველად გამოქვეყნდა 1965 წელს წიგნში «მოთხრობები. პიესა.»

სამი ამბავი

პაპა და შვილიშვილები. ქალაქი და წლოვანება

ლეილა სარკესთან

ნადირობა

ეს მოთხრობები სამ ამბად გაერთიანებულია პირველი სიის მიხედვით. პირველი ამბის («პაპა და შვილიშვილები») შავი ავტოგრაფი(1 _6გვ.), ისე როგორც თეთრი(1 _5გვ.), უსათაუროა და უთარიღო. სათაური მიცემული აქვს პირველი სიის მიხედვით. «47. პაპა და შვილიშვილები. ქალაქი და წლოვანება.» მეორე ამბის: («ლეილა სარკესთან»), როგორც შავი(1-5გვ.), ასევე თეთრი(1_5გვ.) ავტოგრაფი უსათაუროა. თეთრი ავტოგრაფის თავდაპირველი სათაური «ჩოლკა» გადაშლილია მწერლის მიერ. სათაური ამ მოთხრობასაც მივეცი პირველი სიის მიხედვით: «47. მზია სარკესთან». შეიცვალა მხოლოდ პერსონაჟი ქალის სახელი «მზია» «ლეილად», თეთრი ავტოგრაფის კვალდაკვალ. ავტოგრაფში «ლეილა სარკესთან» ქალის სახელი რამდენჯერმეა გადაკეთებული: თამილა _ მზიად, მერე _ ლეილად, პირველ სიაში კი _ ისევ მზიად. შავ ავტოგრაფს ბოლოს უზის თარიღი. თეთრი ავტოგრაფი უთარიღოა. მესამე მოთხრობის («ნადირობა») შავ ავტოგრაფს (1_3გვ.) აქვს თარიღი და სათაური. თეთრი ავტოგრაფი(1_2გვ.) მხოლოდ დასათაურებულია. ამ ავტოგრაფში ინტენსიურად იხმარება ფიგურული «ტ». თეთრ და შავ ავტოგრაფებს სხვადასხვა გრაფიკული სტრუქტურა აქვთ, შეცვლილია აბზაცები. თეთრი ავტოგრაფი ნაწერია განსაკუთრებით ლამაზი ხელით.

პირველი მოთხრობის დასასრული გადაშლილია მწერლის მიერ:

«_ მხოლოდ სახლში მოგხვდება

_ მერე რა

_ წავიდეთ

ბიჭები თივის ურემს დაახტნენ მალულად. «ნეტა რა დროა.» სულ ბუნდოვნად გაიფიქრა პაპამ, მერე მზეს გაუსწორა თვალები.»

მწერლის მიერ გადაშლილია მეორე მოთხრობის ბოლოც: «მერე ჩოლკად დავარცხნილი თმა შეათვალიერა, «უეჭველად მოეწონება ლადოს» გაიფიქრა, რატომღაც მოიღუშა და ჩაფიქრებული მიუჯდა მაგიდას. საუზმედ გრეჩიხა იყო. მზია ჭამდა და ფიქრობდა იმათზე და თვალწინ მხოლოდ ლადოს სახე ედგა.»

პუნქტუაციისათვის: მნიშვნელოვანია, რომ, ისე როგორც სხვა ავტოგრაფებში, მოკლე აბზაცები და დიალოგები არ მთავრდება სასვენი ნიშნებით. იხმარება, ისიც იშვიათად, მხოლოდ კითხვის ნიშანი.

«ლეილა სარკესთან», სათაურით « გოგონას ოცნება», პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს». «ნადირობა», სათაურით «ფშანთან», პირველად გამოქვეყნდა 1961 წელს წიგნში «სალამურა.»

ღამე ჭაობში

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_4გვ.) დასათაურებული და დათარიღებული. თავფურცლის მთელ სიგრძეზე წერია თარიღი და დღიური:

«რა ვიცი?

~~ღრმად~~ (გადაშლილია გურამის მიერ _მ.რჩ.) დარწმუნებულია, რომ არ მიყვარს: ცდება: მიყვარს. როცა მაბრაზებს, უფრო მიყვარს: ისეც მიყვარს, როცა არ მაბრაზებს. ხან ისე უფრო მიყვარს, ხან ასე. _ როგორც არის.

დღეს ხოშიანი იყო. მე სულ დავქლიავდი. ვზივარ და ვჩხაპნი.»

პირველი გვერდის მთელ სიგრძე-სიგანეზე გაკეთებულია რამდენიმე ჩანახატი: ისრის მაგვარი ფიგურა, მიმართული ფურცლის გარეთ. წრეში ჩახატული კვადრატები, რომელთაც ორ წინა ავტოგრაფში თითქოს მედალიონში ჩახატული

ქართული ჯვრის ფორმა ჰქონდათ, ამჯერად დაშლილია. წრის გარეთ, ზევით, მიმართულია ბუმბულიანი ისარი. ისარი თითქოს «მაგიური წრიდან» გასასვლელს მიუთითებს. არის აგრეთვე ჩარჩოში ჩასმული ჩანახატი. ამ ნახატში თითქოს ჩამალულია გრძელფეხა წეროს მაგვარი ფრინველი და სხვა ფიგურები წინა ავტოგრაფის «სიზმრიდან.» შეიძლება იფიქრო, რომ ოთკუთხა სურათის ჩარჩოში ჩახატულია ჭაობი, იხვი, ჭაობის მცენარეები. სურათის ფონს ქმნის ისევ დაკრეჭილკბილებიანი, ღოჯებიანი კაცის სახე და სხვ. ჩარჩოში, სურათის ქვევით, წერია სათაური დიდი ასოებით, ტექსტის ბოლოს _ თარიღი.

პირველად გამოქვეყნდა 1965 წელს წიგნში «მოთხრობები. პიესა.»

(«მინდია იწვა გულდაღმა და ყრუდ გმინავადა»)

არსებობს მხოლოდ შავი, დაუთარიღებელი და უსათაურო, ხელნაწერი(1_4გვ.). თარიღი მიახლოებით დადგენილია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე.

მწერლის მიერ «დათო იჯდა და ფიქრობდა»-ს შემდეგ გადაშლილია წინადადება: «რა ვაჟკაცი ხალხია ხევსურები, თავმდაბალი, არც უნდათ რო შეიმჩნიონ.»

ქვეყნდება პირველად.

ქიტესა იწვა და კვდებოდა

არსებობს ამ დაუსათაურებელი მოთხრობის მხოლოდ შავი ხელნაწერი(1_10გვ.). დასათაურებულია პირველი სიის მიხედვით: «53: ქიტესა იწვა და კვდებოდა.»

ფანქრით სწორებები გაკეთებულია გურამის მიერ. ჩამატებულია ალაგ-ალაგ სასვენი ნიშნები, თუმცა წინადადებების ბოლოს წერტილები არ არის დასმული.

სათაურით «ქიტესა» პირველად გამოქვეყნდა 1965 წელს წიგნში «მოთხრობები. პიესა.»

ცათამბჯენებიდან მოშორებით

არქივში ინახება ამ ნაწარმოების როგორც შავი(1_4გვ.), ასევე თეთრი, დათარიღებული და დასათაურებული ავტოგრაფი. ორივე ავტოგრაფში ინტენსიურად იხმარება ფიგურული ასო «ტ». შავი ავტოგრაფის მეოთხე გვერდზე არის მწერლის ხელმოწერა. თეთრ ავტოგრაფში გაკეთებულია ასო თავსართი «ქ», ავტოგრაფის პირველი ასო.

ორივე სიაში დასათაურებულია ერთნაირად: «12. ცათამბჯენებიდან მოშორებით». თეთრ ავტოგრაფში მწერლის მიერ გადაშლილია მეორე გვერდზე «ჩხკს» მერე: «ნეტა არ გაიგონ ხმა, მე რო ვუყურებ.» «კაცი შემობრუნდა»-ს შემდეგ _ «ის, ვიღაც, არც ქალი, არც კაცი იჯდა უმოძრაოდ,» «თავზე სხვა ნათურა ანათებდა-»ს შემდეგ: «ის ნათურაც გვერდზე გადასულ მიმპალ ბოძზე ეკიდა.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

«გიტარას შვიდი სიმი ჰქონდა...»

არსებობს ამ უსათაურო და უთარიღო ნაწარმოების მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_14გვ.). მოთხრობის ბოლო გვერდზე თავდაყირა ხატია მაგიდის ნათურა, მგონი, გატეხილი ღერძით. დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასო «ტ»ს ფიგურული ხმარება.

მახსოვს, ერთხელ გურამი გვიან საღამოს დაბრუნდა შინ. საოცრად აღელვებული იყო. მომიყვა: ვარაზის ხევის აღმართზე (ჩვენ მაშინ ვცხოვრობდით ლარსის ქუჩაზე და ამ აღმართით ავდიოდით სახლში) შემხვდა მოხუცებული ქალი, წყლით სავსე ვედროები ამოჰქონდა. სწრაფად დავეწიე, დახმარება შევთავაზე. მკაცრი უარი მითხრა, მეწყინა, ეს ჩემი საქმეაო. ამ აღმართზე ყოველდღე ამაქვს წყალი, შენ დღეს შემხვდი, ხვალ მაინც მე უნდა ავიტანოო.

თითქოს არაფერი იყო ამ სიტყვებში განსაკუთრებული. მე ოდნავ გაკვირვებით შევხედე. გურამმა დაამატა: «ის ქალი მართალია _ მე ხვალ ვერ დავეხმარები. იქ არ ვიქნები.» მერე მივხვდი _ ეს იყო მისთვის ერთ-ერთი შემთხვევა, რომელიც ადამიანთა ფატალურ დაშორებას გამოავლენდა. გურამი, ერთდროულად, ცხადია, აღიარებდა ამის ბუნებრიობას და თან ყოველ ახალ შემთხვევას ისე განიცდიდა, თითქოს პირველად აღმოაჩინაო (იხ. ამ მოთხრობაში: «ახლა წადი. მე ჩემი საქმე მაქვს. ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ. ჩვენთვის ვშრომობთ.» ან კიდევ

«_ ლამაზო, მომწონხარ.

_ მომეშვი!

_ არა, მართლა.

_ მერე რა?

ვაჟას გულზე უჩხვლიტეს. «როგორ მერე რა, გაიფიქრა. «არ უნდა უხაროდეს? რო დამინახონ, რას იტყვიან, მე არაფრად ვაგდებ. ის კი.») ამ ტექსტის კვალდაკვალ, მოხუცი ქალის უარზე გურამს ასეთი რამ უნდა გაელვებოდა გულში: «არ უნდა უხაროდეს? დროს ვკარგავ, ჯანს ვიკლებ, ეს მხოლოდ ჩემი სიკეთის გამო, ის კი? მადლობის მაგივრად...» გურამისათვის ფიქრის, გრძნობის გაელვება, გულისთქმა ისეთივე რეალობა იყო, როგორც ქმედება. მისი ასეთი აღელვების მიზეზი ესეც უნდა ყოფილიყო.

სათაურით «სიმგაწყვეტილი გიტარა», პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.

ზღაპარივით

არსებობს ამ ნაწარმოების მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_8გვ.), თავისი თარიღითა და სათაურით.

პირველ სიაში: «ზღაპარივით.»

ინტენსიურად იხმარება ფიგურული ასო «ტ.» გვერდის ნუმერაცია «1» ისევ ფიგურულია.

ქვეყნდება პირველად.

შარაზე, ღამით

ეს ნაწარმოები ნაწილობრივაა დათარიღებული: აღნიშნულია მხოლოდ თვე და დღე. დასათაურებულია სხვადასხვანაირად: შავი (1გვ.) _ «მგზავრი შარაზე, ღამით,» თეთრი (1გვ.) _ «შარაზე, ღამით».

ავტოგრაფის ერთ-ერთ გვერდზე ხატია ცარიელი წრე, შიგ ჩახატული ოთხკუთხედების გარეშე (იხ. ამ ტომში სხვა მოთხრობათა შენიშვნები). დაწერილია თაბახის ფურცლის ორივე მხარეს. ორივე ავტოგრაფში ხშირადაა ნახმარი ფიგურული «ტ,» რამაც დათარიღებისათვის, გარდა ზოგადი კრიტერიუმისა, მომცა დამატებითი ინფორმაცია.

ქვეყნდება პირველად.

ლოდინი

სამი პატარა ნაწარმოები, საერთო სათაურით «ლოდინი» (1გვ.), დაწერილია ერთ დიდი თაბახის ფურცელზე. თარიღში ზის მხოლოდ თვე და რიცხვი. წელი მიახლოებით დადგენილია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე. პირველი ნაწარმოები გადათეთრებულია.

ქვეყნდება პირველად.

ნუგეში

არქივში ინახება ამ ნაწარმოების მხოლოდ შავი, დასათაურებული ავტოგრაფი (1_4გვ.). წელი დადგენილია (თარიღში გვაქვს მხოლოდ თვე) ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე. მოთხრობა დაწერილია დიდ პრიალა თაბახის ფურცელზე. ასეთი ფურცელი გვხვდება მხოლოდ აპრილში.

საინტერესოა, რომ ცქიტო, 1956 წლის მოთხრობების ლირიკული გმირი, ამ მოთხრობაში მარცხდება. იხმარება ფიგურული ასო «ტ.» I სიაში: «55. ნუგეში.»

პირველად გამოქვეყნდა წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

მინდება

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_2გვ.), დასათაურებული და დათარიღებული. იხმარება ფიგურული «ტ.»

ქვეყნდება პირველად.

«პოდიეზდთან მანქანა იდგა ...»

არსებობს უსათაურო შავი ავტოგრაფი (1_2გვ.), უზის მხოლოდ წელი.

დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე. დათარიღებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასო «ტ»-ს და «1»-ის ფიგურულ მოხაზულობას (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

ბიჭები ყვებიან, რომ გურამმა კარგი ჩხუბი იცოდა. ჩხუბობდა თურმე საოცრად ხალისიანად, სიბოროტის გარეშე. უყვარდა ჩხუბის დროს ლაპარაკი, თითქოს

მოწინააღმდეგის გაღიზიანება, სიცილი, გეგონება სცენაზეაო. ცხადია, იმ დროის შესაბამისად, ყველა ჩხუბი ნამდვილი მუშტი-კრივი იყო ცივი და ცხელი იარაღის გარეშე. როგორც გოგი დემეტრაძემ (გურამის მეგობარი უნივერსიტეტიდან) თქვა, გურამის ჩხუბი იყო ყოველთვის ჩხუბი ჩხუბისათვის და მეტი არაფერი: «ბახ-ბუხ, ბახ-ბუხ», მერე დაძმაკაცება და რესტორანი. მაგრამ მაინც, ცხადია, რისკი ხშირად დიდი იყო. ნუგზარ წერეთელს თავის წიგნში («მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ» და «აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენ წინ») აღწერილი აქვს თავისი მეგობრის რამდენიმე ჩხუბი. გურამს შეეძლო შეირაღებული ბიჭების პირისპირ მარტო დარჩენილს ბრძოლა მოეგო, ზოგჯერ მხოლოდ უშიშრობით (გურამს ერთხელ უთქვამს: მე უშიშარი კი არა ვარ, შიშსა ვძლევო), ფსიქოლოგიურად, ხელის გაუნძრევლადაც კი. გოგი დემეტრაძე კარგი მოკრივე ყოფილა, ჩემპიონი. ერთხელ საჯარო სამკითხველოში გურამი, თურმე, მოულოდნელად რაღაცაზე აუტყდა. ბელინსკის ქუჩასთან დაიწყეს ჩხუბი და ჭადრაკის კლუბამდე არ გაჩერებულან. მუშტი-კრივი ორი დღე გრძელდებოდა. რაღაც მომენტში გურამი წაიქცა, გოგის უთხრა _ არ დამარტყაო. გოგიმ არ დაარტყა. გურამი უცებ წამოხტა და ისე მგლიჯაო, თქვა გოგიმ, რომ დავბარბაცდიო. გოგი მერე აღარ ელაპარაკებოდა, ნაწყენი იყო, მიზეზი არ იყო ჩხუბისათვის თურმე და იმიტომ. მერე სვანეთში შერიგდნენ, გოგის შეკითხვაზე რა გინდოდა, რატომ ამიტყდი, გურამმა უთხრა, ჩემი თავის გამოცდა მინდოდა, მეტი არაფერიო. გოგიმ თქვა: გამიხარდა, რომ გურამმა ამირჩია პარტნიორად.

ქვეყნდება პირველად.

მკერავზე

ეს უსათაურო და უთარიღო ავტოგრაფი შეიცავს 3 გვერდს. დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე: სტილი, ფურცლის ხარისხი, ფორმატი, ხელწერა, აგრეთვე ასო «ტ.» «1»-ს ამჯერად აშკარად გამოხატული ბუმბულიანი ისრის ფორმა აქვს. იხ., აგრეთვე, წინა მოთხრობების და მარტის სხვა მოთხრობათა ავტოგრაფები. ვფიქრობ, ეს არის მოთხრობა, პირველ სიაში მოხსენიებული როგორც «მკერავზე». ასევე დავასათაურეთ.

ქვეყნდება პირველად.

კონცერტი იწყება

არქივში ინახება ამ ნაწარმოების შავი(1_6გვ.) და თეთრი(1_5გვ.) უსათაურო ავტოგრაფები. თარიღიდან გვაქვს მხოლოდ თვე და რიცხვი შავ ავტოგრაფში. წელი დადგენილია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე. შავი და თეთრი ავტოგრაფები სხვადასხვა ხარისხის ფურცლებზეა დაწერილი, ისე როგორც 1957 წლის აპრილის თვის სხვა ავტოგრაფების შავი და თეთრი ვარიანტები. სავარაუდოა, რომ ამ მოთხრობათა შავი ავტოგრაფები ერთ დროსაა გადათეთრებული.

თეთრი ავტოგრაფი ნაწერია საგანგებოდ ლამაზი კალიგრაფიით.

პირველ სიაში: «60. ასეთი პატარა და უკვე შეყვარებული ჰყავს». თეთრ ავტოგრაფში შავი ავტოგრაფის «საყვარელი» შეცვლილია «შეყვარებულით», «ლომთათიძე» _ «ნეიჰაუზით.»

ამ მოთხრობაში არ იხმარება ფიგურულად ნაწერი ასო «ტ.»

სათაურით «ოპერაში,» პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

სასამართლო გადის განაჩენზე

არქივში ინახება გურამის პირველი რომანის შავი ხელნაწერი. ის შეიცავს გაკრული, მსხვილი ასოებით ნაწერ ორმოცდათვრამეტ გვერდს. თავდაპირველად ამ ავტოგრაფის ბევრი ფურცელი გაბნეული იყო სხვა უმისამართოდ დარჩენილ ფურცლებთან ერთად სხვადასხვა საქაღალდეში. ამჟამად დალაგებულია ერთდროულად ჟანრის (ამ ნაწარმოებს რომანს არქმევს თვითონ მწერალი. რომანული სივრცე იქმნება მწერლის ალტერ ეგოს ერთი წლის დღიურების გაერთიანებით), ფურცლის ხარისხისა და ფორმატის მიხედვით. თავფურცელი ინახებოდა ცალკე, ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად. თავფურცელზე თავდაპირველად ეწერა სათაური და თარიღი: «რომანი 3_17 აპრილი.» მოგვიანებით თარიღში «3» გადაკეთებულია «10»-ად ოდნავ მუქი მელნით. იმავე მელნით სათაურის ზევით წერია: «რუსიკოს გურამისაგან. ათი აპრილი» (რ.თ. _ გურამის ახლო მეგობრის, გ. თ-ის და. გურამი და რ. ამ პერიოდში მეგობრობდნენ). როგორცა ჩანს, თარიღი სპეციალურად არის გადაკეთებული დაბადების დღის თარიღის გამო. მახსოვს, გურამმა ერთხელ თქვა: დღეს რუსიკოს დაბადების დღეა. მხატვრები ჩუქნიან დაბადების დღეზე ნახატებს. მე ვაჩუქებ რომანს. რა განსხვავებაა! როგორც ჩანს, ეს დღე უნდა ყოფილიყო 1957 წლის 10 აპრილი.

ინტენსიურად იხმარება ფიგურული ასო «ტ». ხელნაწერს ეტყობა, რომ იწერებოდა ოთხი დღის განმავლობაში. წერა განახლებულია «10 დეკემბრიდან,» «30 იანვრიდან» და «27 თებერვლიდან.» ეს თარიღები აღებულია რომანის დღიურების წინ წამძღვარებული თარიღებიდან და არ შეესაბამება ნაწარმოების დაწერის რეალურ დროს. ხელნაწერის რომანად დალაგება რთული იყო, რადგან თითოეულ დღიურს აქვს ცალკე ნუმერაცია. არქივში გაბნეული გვერდები პირობითად დავალაგე ქრონოლოგიურად ზაფხულიდან ზაფხულამდე. დღიურში მოთხრობილი ბევრი ამბავი რეტროსპექტულად გადმოსცემს გასული დღეების ქრონიკას. შესაძლოა, თვით მწერლის მიერ განგებ იყოს არეული თარიღები და მოსათხრობ ამბავთა ქრონოლოგია. ცამეტი ივლისით დათარიღებული დღიურის ბოლო დიალოგი გადაშლილია მწერლის მიერ:

« _ სასამართლო მოდის _ აცხადებს მდივანი
ყველანი ფეხზე დგებიან.
მე თავი დაღუნული მაქვს და ვზივარ, მერე ჩუმად, ჩემდა უნებურად ვდგები.
_ დასხედით _ ისმის მდივნის ხმა.
ვსხდებით
მოსამართლე იწყებს განაჩენის კითხვას.»

ავტოგრაფიდან ამოკრეფილი ზოგიერთი თავისებურება:

ავტოგრაფის ოცდამეერთე გვერდზე წინადადების «მომეჩვენა, რომ თვალები ეშმაკურად მიყურებდნენ» (იგულისხმება ქრისტეს თვალები. იხ. ტექსტი), უკანასკნელი სიტყვის ზევით წრეში ჩაწერილია სამი კითხვის ნიშანი. მეთექვსმეტე გვერდის შემდეგ დაკარგულია გვერდები. აღვნიშნე პუნქტირით. ოცდამეორე გვერდზეEწინადადებაში «ვთქვი მე სიცილით» _ «სიცილით» ჩაწერილია შემდეგ და

ხაზგასმულია. ბოლოში უზის კითხვის ნიშანი. მეჩვიდმეტე გვერდის წინ, ვფიქრობ, რომ აკლია პირველი ორი გვერდი, რადგან თექვსმეტი აპრილის დღიურიდან ჩანს, რომ თმა უკვე გადაპარსულია და ჩალის შლიაპა ნაყიდი. 16 აპრილით დათარიღებული დღიურის მეათე გვერდზე ჩახატულია თავგადაპარსული კაცის ტორსი, როგორცა ჩანს, ავტოპორტრეტი. მის გვერდზე ხატია შლიაპა. შეესაბამება ამ დღიურის შინაარსს. პირველი გვერდის ნუმერაცია «1» გაფორმებულია ფიგურულად. გურამს ამ ერთიანისათვის რაღაც ფორმის მიცემა უნდოდა თითქოს _ რის, იალქნის? ბევრი «1» ფიგურულადაა გაფორმებული. თორმეტი ივლისის დღიურში «2-იც» შემოხაზულია ისე, რომ მიიღოს ისრის ფორმა.

ბევრი დღიური დაწერილია წარსულ დროში. წარსული დრო მწერლის მიერ ხელახალი გადაკითხვისას გადაკეთებულია აწმყოდ.

აღსანიშნავია, რომ სიონის ტაძარში ყოფნისას, მწერლის ალტერ ეგოში, მე მგონი, პირველად გაიელვებს სინანულის გრძნობა («გამახსენდა, რომ ეკლესიაში ჩემი თავი მეზარებოდა ცუდი საქციელისათვის»). სამი კითხვის ნიშანი წინადადებასთან: «ქრისტეს თვალები ეშმაკურად მიყურებდნენ», სავარაუდოა, რომ გამოავლენს მწერლის დაფიქრებას: რამდენად სწორია ასეთ კონტექსტში სიტყვა «ეშმაკურის» ხმარება.

რომანი, როგორც თვით მკითხველიც მიხვდება, ბოლომდე არ არის დამუშავებული ავტორის მიერ. ჩემი აზრით, არის უზუსტობები ნაწარმოების სიუჟეტში. მისი მნიშვნელობის გამო, მწერლის მთლიანი ცხოვრება_ შემოქმედების ევოლუციის თვალსაზრისით, მას მაინც ვბეჭდავთ ტომის ძირითად ნაწილში.

ბიოგრაფიიდან:

გურამი, როგორც ამ მოთხრობის გმირი, თავდაპირველად სწავლობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით, ის გატაცებით ეუფლებოდა ლურსმულ წარწერებს, პირველი კურსიდანვე მონაწილეობას იღებდა საუნივერსიტეტო კონფერენციებში და სხვ. მგონი, ერთ-ორ წელიწადში კათედრა დაიხურა. მთავრობამ საკმარისად მიიჩნია, რომ ეს განხრა მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში უკვე არსებობდა. ამჯერად გურამმა აირჩია ძველი მსოფლიოს ისტორია. მელიქიშვილი გურამს სახლში უტარებდა ლურსმულის გაკვეთილებს. დედას ძალიან უხაროდა, რომ ასე წვალებით ნასწავლი გერმანული მის შვილს უკვე გამოადგა: სახელმძღვანელო ლურსმულში მხოლოდ გერმანულად იყო. მელიქიშვილის რჩევით, გურამმა დაიწყო ინგლისურის შესწავლაც (გურამი ინგლისურს სწავლობდა ლეილა გამსახურდიასთან. არქივში ინახება დღიური, სადაც ამის შესახებაა ლაპარაკი. იხ. ტომი 5). კურსზე ერთად სწავლობდნენ: მარიკა საყვარელიძე, ერლომ ახვლედიანი, თემო ბერიძე, რეზო ერისთავი, დევი ბერძენიშვილი და სხვები.

ამ ნაწარმოებში ჩანს, თანდათანობით გურამში როგორ აღიძრა ეჭვი თავისი არჩეული პროფესიის მიმართ. დაახლოებით ნაწარმოების შუა ნაწილიდან უკვე იწყება გახუმრება გურამ-მეცნიერის სახესთან (იხ. აგრეთვე, ტომი 1, «პროფესორი ლევან ჯანდიერის» შენიშვნები). ეს კარგად ჩანს თუნდაც ირონიული შეფერილობის ფრაზაში, რომელიც მწერლის მიერ ხელახალი წაკითხვისას უნდა იყოს ჩამატებული: «მე მხოლოდ მეცნიერება მაინტერესებდა.» ან კიდევ სიტყვებში «თემომანია», «თემების კარგი დამწერი» და სხვ.

მეცნიერის «ფორმის» მისაღებად გურამს ადრეული ბავშვობიდან ამზადებდნენ. მიუხედავად საკმაოდ გაჭირვებული ცხოვრებისა, ის გერმანულს პატარაობიდანვე

ეუფლებოდა საუკეთესო პედაგოგთან (იხ. ტომი 1, შენიშვნები მოთხრობისათვის «სიყვარული შემოდგომაზე»). მახსოვს, გურამის გერმანული ენის მასწავლებლისათვის აღებული პროცენტიანი ვალის გასასტუმრებლად (მგონი, იყო სხვა ვალებიც, მაგრამ ეს იყო ძირითადი) ჩვენს მშობლებს დასჭირდათ თელავის საგვარეულო სახლის გაყიდვა. სკოლაში გურამი განსაკუთრებული მონდომებით სწავლობდა ისტორიას. დადიოდა როგორც სკოლის, ასევე პიონერთა სასახლის ისტორიის წრეში. არქივში დედას მიერ შემონახულია მწვანე ფერის, მოგრძო, მაგარყდიანი ბლოკნოტი წარწერით «შუა საუკუნეების ისტორიისათვის». ამ ბლოკნოტის გვერდები ლამაზი, გამოყვანილი ხელით არის შევსებული წიგნებიდან საგულდაგულოდ ამოხატული შუა საუკუნეების ცხოვრების ამსახველი სურათებით, თეზისებით და მოკლე კონსპექტებით. არქივში ინახება, აგრეთვე, სკოლაში და პიონერთა სასახლეში წაკითხული მოხსენებები: «მოგზაურობა დიდოეთში», «ძველი და ახალი ხევსურეთი,» «თანამედროვე შეხედულება დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ». ხელნაწერები გასწორებულია მამას ხელით. ამ პატარ-პატარა ნაშრომებს საფუძვლად უდევს გურამის მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა მხარეში და მამასთან კონსულტაციები.

დიდოეთში გურამმა იმოგზაურა მამასთან ერთად 13 წლისამ, 1947 წლის ზაფხულში 28 ივლისიდან 4 აგვისტომდე (იხ. აგრეთვე, ტომი 1, შენიშვნები მოთხრობისათვის «მთებიდან ქალაქამდე»). ძალიან პატარა ბლოკნოტში გურამს ჩაწერილი აქვს დღიურები. ამ დღიურებში, ძირითადად, აღწერილია წოვა თუშეთში და დიდოეთში მოგზაურობის მარშრუტი, ტოპონიმიკა, ლანდშაფტი და სხვ. აი, ამონაწერი ამ ბლოკნოტიდან: «თუშური გზის და ლაფანყურის გზის შეერთება. მაიაკი. ს. ლაფანყურიდან ცხენით გამოვედით 11 საათზე. მაიაკთან შევისვენეთ დაახ. 20 წუთი. მაიაკთან მივედით 12.20 ... წიფელი , რცხილა, კოპიტი... საზაფხულოდ ლაფანყურელები ცხოვრობენ (...). ალპიურის ზევით მდებარე გორას გორის ციხის გორა ეწოდება. აქ წინათ ციხე იყო, რომელიც ქართველებს აცნობებდა ხოლმე ლეკების შემოსევას. სურ. 2. _ მეძროხეობის ფერმა. 8 საათზე გამოვედით. მივედით შისახკომის ბინაზე. 2 საათზე გავედით. 3.50. წუთზე მივედით ვარდისუბნის ბინაზე და სხვ...» საინტერესოა, რომ ამ ჩანაწერებში გაკვრითაც კი არ არის ნახსენები ის განსაცდელი, რაც თორღვას აბანოდან დაშვებისას გადახდათ მათ (იხ. შენიშვნები მოთხრობისათვის «მთებიდან ქალაქამდე», ტომი 1.), ადგილი არ ეთმობა შთაბეჭდილებებს, ემოციებს, ბუნებას და, საერთოდ, რაიმეს, რაშიც შეიძლება მომავალი მწერლის სულიერი სამყარო დაგვენახა. აქ არის მშრალი ფაქტები, რომლებიც მხოლოდ მეცნიერული ნაშრომის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.

ამ ნაწარმოებში უკვე ჩანს გურამის თვალთახედვა მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ («წამო, გავიაროთ. _ არა, თემა მაქვს დასაწერი. შენ თემა ლექსის წერა ხომ არა გგონია»). ეს დაპირისპირება, რომელიც სხვა ნაწარმოებებში ცხოვრებისა და ხელოვნების დაპირისპირებად გამოვლინდება, სხვადასხვა სიძლიერით გასდევს ამ წელს დაწერილ ბევრ ნაწარმოებს: მაგ. «ჯუნგლებში», ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი» და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთდაპირისპირების ძიება (ეს ჩანს, თუნდაც, შემდეგ ფრაზაში: «უნივერსიტეტი იმის დროს არ მიტოვებდა (იგულისხმება სიყვარულის), ის კიდევ იმისას. ასე ვიყავი შუა გზაში გაჩერებული») ფაქტობრივად, გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების მაგისტრალურ სიუჟეტურ ხაზს წარმოადგენს. ის კულმინაციას აღწევს 1958 წელს დაწერილ მოთხრობაში «ირინა და მე». მზადდება შეგრძნება, რომ ხელოვნება დგას ყველაფერზე მაღლა. 1956 წლის დღიურიდან: «მე

ცხოვრება, ბედნიერება მიწერია, თუმცა რად მინდა, მე წერა მინდა.» ან კიდევ ისევ ამავე წლის დღიურიდან: «რატო ვსვამთ, ცოტაა საქმე გასაკეთებელი. აუჰ, რამდენი სამუშაოა, მოკლედ, ფიქრიც კი მაშინებს. თუმცა, ახლა ჩემს დარგს თავს ვანებებ და წერას ვიწყებ. მინდა ვწერო, რაღაც მაწვალებს.» «მერე მწერალი რა არის, ხელოვანი _ ოჰ, მაგის, დამსვა ერთი და მაწერინა.» აღსანიშნავია, რომ 1956 წლის ადრე გაზაფხულზე დაწერილ დღიურში ჩანს, რომ ჩაკეტილი წრე ოჯახური ტრადიციისა, მეცნიერის «ფორმის», ჯერ მთლიანად გარღვეული არ არის. გურამის ერთ-ერთი დღიურიდან ამოწერილ სიტყვებში ჯერ კიდევ ისმის დედაჩემის ხმა: «ამას (იგულისხმება წერას _ მ.რჩ.) შრომა ნაკლები სჭირდება, წიგნში ჩასახედი და სასწავლი არაფერია.» «...ახლა ვწერ ამ სისულეებს. რაღაცა შვებასა ვგრძნობ, რისგან მე თავად არ ვიცი. ალბათ, საქმიანობა, თუნდ ასეთი ფუჭიც, მამხნევებს ... განა ამ სისულეების წერა უსაქმობა არაა, როდესაც სასემინარო თემა არ დამიწერია.» 1956 _1957 წლებში, მიუხედავად დაპირისპირებისა, ხელოვნება და ცხოვრება ჯერ გურამისათვის ურთიერთგამომრიცხავი ცნებები არ არის, თუმცა უკვე იგრძნობა ორი სიუჟეტური ხაზის არსებობა: ერთი _ გარე სიუჟეტური ხაზი, «ჰეი_ჰო», გურამის ინტენსიური, თავგადასავლებით სავსე ცხოვრება. ეს ცხოვრება მიდიოდა ყველას თვალწინ, როგორც მოწმობა მისი თავისუფლებისმოყვარე, პირობითობაზე მაღლა მდგომი ბუნების, და მეორე _ შიდა სიუჟეტური ხაზი, სულიერი ცხოვრება, რომელიც არაჩვეულებრივი სისწრაფით მიდიიოდა წინ, კულმინაციისაკენ, რომ მთლიანად, უკომპრომისოდ დაეპყრო ის.

ამ რომანში მწერლის ალტერ ეგო პირველად წარდგა სასამართლოს წინაშე.

1953 წლის აგვისტოს თელავში გურამი, თავის უახლოეს მეგობრებთან ერთად (ნუგზარ წერეთელი, ედიშერ რჩეულიშვილი, თენგიზ ჯაშიაშვილი და სხვები), რეალურად გაასამართლეს. მიზეზი გახდა გურამის მიერ, როგორც ყოველთვის, დაბმული ცხენის აშვება და ჭენება. მართალია, გურამს არც უფიქრია და არც უცდია ცხენის გატაცება და ცოტა ხანში, მას შემდეგ რაც ჭენებით იჯერა გული, თვითონვე დააბრუნა ცხენი უკან, მაგრამ გახელებული სოფლელების დაშოშმინება ძნელი აღმოჩნდა. გაიმართა ხელჩართული ჩხუბი. ჩაერია მილიცია და სულ ერთ-ორ კვირაში, გამოძიების დამთავრებისთანავე, დაინიშნა სასამართლო. ამის შესახებ დეტალურადაა მოთხრობილი ნუგზარ წერეთლის წიგნში «აი, მე, გურამი, ვდგავარ თქვენ წინ.» სასამართლოს ვესწრებოდით მამა და მე. კარგად მახსოვს, როგორ წამოდგა გურამი და თავის საბოლოო სიტყვაში თქვა: «ყველაფერი ჩემი ბრალია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ.»

როგორც უკვე ვახსენე, ეს არის პირველი ოფიციალური სასამართლო გურამის შემოქმედებაში. სხვა სასამართლოების შესახებ იხ. მომდევნო ტომები.

ქვეყნდება პირველად.

მუსტანგები

არსებობს შავი, დათარიღებული(1_2გვ.), და თეთრი(1_2გვ.), დაუთარიღებელი ავტოგრაფები. დასათაურებულია მხოლოდ შავი: «სულ ნელა ბოლავდა სიცხისგან სტეპი.» ინტენსიურად იხმარება ასო «ტ» ორივე ხელნაწერში. შავი ხელნაწერის მეორე გვერდზე ჩარჩოში ჩასმულია რაღაც ჩანახატი. ამოიცნობა გურამის ამ პერიოდის ჩანახატების ლაიტმოტივური ფიგურები: წერო გრძელ ფეხებზე, ცენტრში _ ცალთვალახვეული, დაკრეჭილკბილებიანი კაცი. გარშემო შემოხაზული შტრიხებით იქმნება ისევ ოთხკუთხედი. ოთხივე კუთხეში ჩახატულია ცხოველები _

მიახლოებით ამოიცნობა კუ, მგელი, მელა. ჩარჩოს გარეთაც მოხაზულია გაურკვეველი ცხოველები, შესაძლოა _ დამფრთხალი მუსტანგები. ჩარჩოს გარეთ, ვფიქრობ, ხატია ჰაერში ჩამოკიდებული ფრანი. მოთხრობა ორივე სიაში მოიხსენიება როგორც «მუსტანგები.» «1»-ს ისევ გაურკვეველი მოხაზულობა აქვს.

ერლომ ახვლედიანმა გაიხსენა, რომ მაშინ ბევრი გურამის ამ მოთხრობას, ისევე როგორც სხვა მის მოთხრობებს, ჰემინგუეის მოთხრობებს ამსგავსებდა. თუმცა, მისივე აზრით, ეს არ შეესაბამება ჭეშმარიტებას: «მართალია, ფორმის მხრივ იყო რაღაც მსგავსება, მაგრამ გურამის მოთხრობებს სულ სხვა საფუძველი ჰქონდათ.»

ამონაწერი 1960 წელს ვახტანგ ჭელიძესთან მიწერილი წერილიდან:

«... დრომ მოიტანა მიმეცა ჩემი მოთხრობებისათვის იდეოლოგიური საწყისი, ბიძგი იმ შეუჩვეველი კულტურული მკითხველისათვის, ვისაც სულ ჰემინგუეი, რემარკი, დასავლური სევდა ეჩვენება ყველგან. მათ ეს მოთხრობები უნდა აღიქვან ისე, როგორც ავტორი ფიქრობს და არ დაამახინჯონ, უფრო მეტიც, შარი არ მოსდონ სხვა მხრიდან...

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მე მხვდება როგორც გადმომმღერებელს ევროპული თუ ამერიკული «დაკარგული თაობის» მოტივებისა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილმა მხატვრულთან კავშირში (იგულისხმება «ჩემი ლიტერატურული შეხედულებების» _ დაიბეჭდება მომდევნო წიგნში _ «თეორიული შესავალი» _ მ.რჩ.) *გააქარწყლოს ეს შეხედულება და ჩვენ (საზოგადოებამ, თქვენ და მე) ერთმანეთს პირდაპირ, გულწრფელად დავუწყოთ თვალებში ყურება...»*

პირველად გამოქვეყნდა წიგნში «მოთხრობები. პიესა.»

«ბოგო ტახტზე გდია»

ამ ნახევარგვერდიანი უსათაურო ჩანაწერის შავი ავტოგრაფი დათარიღებულია. გვერდის ნუმერაცია «1» მთელ ჩანახატადაა გადაქცეული: ხატია ბოძზე ჩამოკიდებული ნათურა, საიდანაც გამოდის სხივები. სხივები ეფინება გზას და კაცს. კაცი ზის ქვიშაზე, ნათურის ქვემოთ, გზის დასაწყისში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაცმა ამოიარა გზა და ახლა ისვენებს. შორს უნდა მოჩანდეს თითქოს ზღვის სანაპირო და პინგვინი.

ინტენსიურად იხმარება «ტ» მხოლოდ შავ ავტოგრაფში. შავი ავტოგრაფი დაწერილია წარსულ დროში, თეთრი _ აწმყოში. შავ ავტოგრაფში ჩამატებულია შემდეგი სიტყვები: «მერე ფანჯარასთან მივიდა. გაიხედა: ქუჩაში ბავშვები ფეხბურთს თამაშობდნენ. გოლებში გოგოები ედგათ და ისე.» ეს წინადადება თეთრ ავტოგრაფში არ არის გადატანილი. გურამის მთელი ცხოვრება-შემოქმედების ფონზე ფეხბურთის მოთამაშე ბიჭები, გოლებში გოგოებით, ჩემთვის სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ზოგადად სიყვარულს, კონკრეტულად ქალის სიყვარულს, ქორწინებას და საერთოდ ოჯახს. ეს უფრო გამოიკვეთა მომდევნო წლებში. ასე მგონია, რომ გურამმა ეს წინადადება თეთრში არ გადაიტანა სწორედ აშკარა სიმბოლურობის გამო, რაც მისი მხატვრული გემოვნებისათვის მიუღებელი იყო (იხილე, აგრეთვე, ამავე წიგნში მოთხრობა «პაბლო პიკასო»: «ცხენი ყალყზე იდგა. აღვირი ქალს ეჭირა ხელში.»)

1958 წელს მოსკოვიდან მოწერილი წერილიდან:

«ვერ ვიტან აშკარა სიმბოლოებს. სიმბოლო არასოდეს არ უნდა იგრძნობოდეს. აი, «ანა კარენინაში» ვრონსკიმ ისე გაუტეხა ხერხემალი თავის უსაყვარლეს ცხენს, რომ თვითონ ვერც იგრძნო. ეს ეპიზოდი სიმბოლურად გამოხატავს ვრონსკის დამოკიდებულებას ანასადმი. მაგრამ ამ ეპიზოდის სიმბოლურობას ძნელად აღიქვამ. ის ზედაპირზე არაა. შენ მიყვები სიუჟეტს და თავისთავად გაინტერესებს, გიტაცებს ამბავი.»

ქვეყნდება პირველად.

მეტივეები ცოლებთან იქნებიან ღამე...

არსებობს ამ ერთგვერდიანი უსათაურო, დათარიღებული ჩანახატის შავი და თეთრი ავტოგრაფი. შავი ავტოგრაფის გვერდის ნუმერაციას «1»-ს ახლა მოფარიკავის ფორმა აქვს მიცემული. გვერდის ქვევითა ნახევარზე ხატია კაცის ფიგურა მოძრაობაში _ ცალი ფეხი ზევით და წინ აქვს აშვერილი, ისე როგორც ჯარისკაცს სიარულის დროს. ხელში, მე მგონი, გრძელხიშტიანი თოფი უჭირავს. თავზე ახურავს კარტუზიანი ქუდი. შავ და თეთრ ავტოგრაფებს შორის განსხვავება, ძირითადად, თხრობის დროშია: შავი დაწერილია წარსულ დროში, თეთრი _ აწმყოში. ინტენსიურად იხმარება ფიგურული ასო «ტ» მხოლოდ შავ ავტოგრაფში.

I სიაში: «40. მეტივეები ცოლებთან იქნებიან ღამე.»

ქვეყნდება პირველად.

გურულები რესტორან «ნოვი თბილისში»

არსებობს ამ ოთხგვერდიანი დასათაურებული ნაწარმოების შავი და თეთრი ავტოგრაფები. შავი ავტოგრაფის დასაწყისში პატარა ჩანახატია გაკეთებული. «1»-ს ისევ ნათურის ფორმა აქვს, ისე როგორც წინა ნაწარმოებში. ოღონდ ახლა ნათურის აბაჟური ამობრუნებულია და იქიდან სხივები არ გამოდის. ჩახატულია კაცის ფიგურები, ერთი ფიგურა გადადის ცხოველის, ხარის სხეულში და იღებს კენტავრის მსგავს მოხაზულობას. ჩახატულია აგრეთვე დოქი, ჯამი. შავი ავტოგრაფი დაწერილია წარსულ დროში, თეთრი _ აწმყოში.

ქვეყნდება პირველად.

დღე იწყება, ადექი!

ამ დათარიღებული და დასათაურებული ნაწარმოების მხოლოდ შავი ავტოგრაფი არსებობს(1_9გვ.). პირველი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს, რომელზეც დიდი, ფიგურული ასოებით წერია სათაური და შესავალი დღიური (იხ. ტექსტი). დღიური მიჩნეულია ტექსტის ნაწილად გრაფიკული გაფორმების მიხედვით და შინაარსის გამო, რომელსაც აშკარად დღიური-ეპიგრაფისათვის დამახასიათებელი დასრულებული ფორმა აქვს (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ცალკე გვერდზე, ტექსტის ბოლოს, თარიღის შემდეგ არის მინაწერი: «ერთი თვის შესვენების მერე.»

ქვეყნდება პირველად.

ბაბუა, შვილიშვილი და თოვლის ბაბუა

ამ ნაწარმოებს არა აქვს არც თარიღი და არც სათაური. არის მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1 _ 4გვ.). თარიღი მიახლოებით არის დადგენილი ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე. დასათაურებულია პირველი სიის მიხედვით: «50. ბაბუა, შვილიშვილი და თოვლის ბაბუა.»

ამ მოთხრობასთან დაკავშირებულია გურამისა და ერლომ ახვლედიანის შემოქმედებითი ურთიერთობის ერთი ეპიზოდი:

ერლომი აპირებდა დაეწერა პიესა ხუთ მოქმედებად ბაბუასა და შვილიშვილზე. წაუკითხა გურამს დასაწყისი. ერლომის თქმით, გურამს ძალიან მოეწონა, უთქვამს, აზრები კარგია, მაგრამ ცოტა სქემატურია, ვნება აკლია, ერთ მოქმედებად გადააკეთეო. გურამი, როგორც ყოველთვის, ინტენსიურობისაკენ მიისწრაფვოდა. მერე თვითონაც დაწერა ამ მოტივებზე. ჩვენ ვამბობდით, თქვა ერლომმა, რომ აღარაა სივრცე ხელოვნებისათვის, ძაბვა აღარ ყოფნის, საწვავი არ არის, ის განწყობა დაიკარგა, რაც ნამდვილ ხელოვნებას სჭირდება. ისე როგორც ამ მოთხრობაშია, თოვლის ბაბუა ისეთი ვერ გამოდის, იმიტომ რომ თოვლი არაა საკმარისი და მიწასაც ითრევს გაკეთების დროს.

ამონაწერი 1960 წელს ვახტანგ ჭელიძისადმი მიწერილი გაუგზავნელი წერილიდან:

«თქვენ, როგორც თავად შემოქმედმა, კარგად იცით რა ძნელია ჩვენს ეპოქაში წერა, თავისი კლასიკური გაგებით (მე მხედველობაში არა მაქვს ცენზურა). ჩვენ ყველანი ვხედავთ რა დაცემის წინა დგას ხელოვნება საერთოდ მსოფლიოში. თუნდაც პიკასო, სიცოცხლეშივე გენიოსის გვირგვინით შემკული, ან ავიღოთ რომელიმე დიდი წარმომადგენელი აბსტრაქციონიზმისა. მიუხედავად, ერთი შეხედვით, მხოლოდ ემოციების, შინაგანი განწყობის, მხოლოდ განწყობის გადმოცემისა (ყველაზე დიდი პრეტენზიები მათ ამაზე აქვთ). თუ ჩავუღრმავდებით, უცნაური კედელი დგება ჩვენს წინ, კედელი ხელოვნებაში მხოლოდ ინტელექტუალური ხატვისა. პიკასოსთან წინასწარ, თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში, თითოეული ხაზი გონებაში იმდენად გააზრებულად მუშავდება (უცნაური, ერთგვარი ფოკუსური გზით), რომ მისი გონებრივი მუშაობის პროცესის ტექნიკური გადაღებაც კი გახდა შესაძლებელი სულ იოლი გზით.

ნუთუ ეს შესაძლებელი იყო დიდი ხელოვნების დროს, როდესაც ინტელექტის სიღრმავესთან ერთად ინტუიცია ხედავდა და ქმნიდა, უპირველეს ყოვლისა. განა რომელიმე ბერძენ მოქანდაკეზე ან აღორძინების ხანის ხელოვანზე შესაძლებელი იყო მსგავსი ცდის დამყარება, იმდენად უშუალო, შინაგანი და, უპირველეს ყოვლისა (მიუხედავად დიდი ინტელექტისა), ქვეშეცნეული იყო ყოველთვის ხელოვანის მუშაობა. ...ერთი ფრაზა, ყველაზე დამახასიათებელი ხელოვნებისათვის, მინდა მოვიყვანო ისევ შექსპირიდან. მავრი დასტირის თავის სიყვარულს და დროდადრო გადასაცემად ეუბნება მის გარშემო მდგომთ _ სთქვით, იცოდა თქო მან სიყვარული ჭეშმარიტი, თუმც არაბრძნული.

არ არსებობს სიბრძნე კაცის ვნებებისათვის, ხელოვნებას მარტო გულწრფელობა წამს. (რა თქმა უნდა მას შემდეგ, რაც მხატვრის ტალანტი უკვე მოცემულია.)....»

ერლომ ახვლედიანი(ამონაწერი ინტერვიუდან):

«ზოგჯერ არის ხოლმე, რომ ყველაფერი რიგზეა _ და ესეც ცუდია. როცა თავს უსვამ კითხვას _ გაღელვებს თუ არ გაღელვებს? რაღაც დაძაბულობა უნდა იგრძნო, უნდა იყოს ნერვიულობის მომენტი, სიცოცხლის გამომხატველი და არა ის _ სწორია თუ არა... ფაქტიურად, ჩვენ ყველამ ყველაფერი ვიცით. არ შეიძლება ყველა გრძნობის, ფიქრის რეალიზება, რაც მოგივა. ადამიანს უნდა შეეძლოს სიჩუმეც, დაგროვებაც ... ყველაფერი ძალიან სწორი გახდა, ყველაფერმა რაღაც წახნაგები დაკარგა, პროფესიულობა გაჩნდა, მეტისმეტად პროფესიონალები გავხდით: ყველა კარგად იღებს, ყველა კარგად წერს, ყველაფერი მესმის, მაგრამ ნაკლებად არის ის, რაც მაღელვებს. ღელვა სხვა არის. იქმნება სერიოზული ნაწარმოებები, მაგრამ ყველაფერი პროფესიონალიზმით განისაზღვრება. შესაძლოა, გურამ რჩეულიშვილს უამრავი ენობრივი შეცდომა აღმოუჩინოთ, მაგრამ აბა ნახეთ, გრძნობაში თუ აქვს სადმე შეცდომა. ვერ ნახავთ ასეთს! ყველაფერი უმაღლესი განცდისა და ვნების ნაყოფია. მახსოვს გიორგი შატბერაშვილმა მითხრა: პირველი პერიოდის ნაწარმოებები გაცილებით უფრო კარგი ლიტერატურული ენითაა დაწერილიო, ვიდრე შემდგომშიო. ბუნებრივია, მერე უფრო მეტი სათქმელი ჰქონდა და ვერ ტევდა...ვერ ვგრძნობ იმგვარ მოზღვავებას, ამის გარეშე კი არ არსებობს ხელოვნება.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

«მოდიოდა წყალი მღვრიე...»

ამ უთარიღო და უსათაურო ნაწარმოების მხოლოდ ოთხგვერდიანი შავი ავტოგრაფი არსებობს. თარიღი მიახლოებით დადგენილია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიგურული ასო «ტ»-ს. «1»-ს ისრის ფორმა აქვს ან ნაძვის ხის! ორი ერთმანეთთან შეერთებული ისრის თავი მიმართულია ფურცლის გარეთ.

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს სათაურით «ვეტექიმი» წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

სურათი ჩემს კედელზე

არქივში ინახება ამ უთარიღო და უსათაურო ნაწარმოების სამი ავტოგრაფი: ერთი შავი(1 _ 2გვ.) ავტოგრაფი გადათეთრებულია(1გვ.). მესამე ავტოგრაფის(1 _3 გვ.) მხოლოდ ერთი ვარიანტი არსებობს.

მწერლის ბოლო ნებად ჩავთვალე უფრო დიდი მოცულობის ხელნაწერი.

შავი ავტოგრაფი:

«ჩემს კედელზე ათი სურათია გაკრული: ორი ტიტველა ქალის, ორი ნახევრადტიტველასი, ერთის პორტრეტი პროფილში, ერთიც უშბის: ის მისი ორივე რქითა ჩანს, ერთიც ვიღაც მსახიობის. ერთი ამხანაგის ნახატია. ჩემი ნოველის ილუსტრაცია: პატეფონის ფირფიტის ფონზე შიშველა ცალთვალა კაცი უკრავს გიტარაზე _ ესეც შვიდი. დარჩენილი სამიდან ერთია დედის და მამის ერთად, ჩემი შეყვარებულის, ესეც ცხრა და ჩემი. «რა საჭიროა ჩემი სურათი, ვფიქრობ, მერე ხელში ვიღებ, ვინახავ. განვაგრძობ მუშაობას: ახლა კედელზე ცხრა სურათი კიდია.»

ხელნაწერი მიახლოებით არის დათარიღიბული ვერიკო ანჯაფარიძის საიუბილეო ბარათის მიხედვით (1957 წლის 8 მაისი. ინახება არქივში). თეთრ ავტოგრაფში ინტენსიურად იხმარება ფიგურული ასო «ტ.» დათარიღებისათვის

გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც (იხ. ტომი1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). აქ ნახსენები ყველა სურათი, მართლაც, 1957 წლის გაზაფხულზე ჭიკარტებით იყო მიმაგრებული გურამის საწერი მაგიდის წინა კედელზე. არქივში ინახება, აგრეთვე, ამ ჩანახატში ნახსენები «ჩემი შეყვარებულის» და ჟან მარეს ფოტოსურათიც. ამ ფოტოსურათის უკანა მხარეს წერია ორი პატარა მოთხრობა (იხ. მომდევნო ნაწარმოებების შენიშვნები). კედელზე გაკრულ სურათებს შორის იყო, აგრეთვე, რენუარის «ქალბატონი სამარის პორტრეტი.» «ეს ჩემი ცოლიაო», _ გაიხუმრა ერთხელ. «ეს კი მე ვარო», _ ამბობდა გურამი კუბერტის მიერ შავ-თეთრით შესრულებულ ბოდლერის სურათზე. ბოდლერი ნახატზე ნახევრად შებრუნებული ზის საწერ მაგიდასთან და, მართლაც, რაღაცით წააგავს გურამს. ისე როგორც ცხოვრებაში, გურამს ძალიან მოსწონდა ქალბატონ სამარის ვარდისფრად შეფაკლული ღაწვები და ქალურობის უმაღლეს გამოვლენად თვლიდა.

შავ ავტოგრაფს მოსდევს მინაწერი: *«ვწერ იმიტომ, რომ ძალიან დავიღალე სმისგან. მართლა დავიღალე. მართლაااა»*

1 სიაში: «სურათი ჩემს კედელზე.»

ქვეყნდება პირველად.

«მე მთვრალი ვარ...»

ამ პატარა უსათაურო და უთარიღო ჩანახატის ორი ავტოგრაფი ინახება არქივში: შავი(1გვ.) და თეთრი(1გვ.). დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე. ინტენსიურად იხმარება ფიგურული ასო «ტ.»

ქვეყნდება პირველად.

«ბილიკი სულ ვიწროა...»

არსებობს ამ უთარიღო და უსათაურო ნაწარმოების ორი ავტოგრაფი: შავი (1_2გვ.) და თეთრი(1_2გვ.).

დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე. მნიშვნელოვანია ასო «ტ»-ს ინტენსიური ხმარება.

ქვეყნდება პირველად.

ვიქტორის ბიოგრაფია

ეს პატარა დაუთარიღებელი, ნახევარგვერდიანი ჩანახატი დაწერილია ჟან მარეს ფოტოსურათის უკანა მხარეს (იხ. შენიშვნა მოთხრობისათვის «სურათი ჩემს კედელზე»).

ქვეყნდება პირველად.

«ორთქლმავალი დაძვრისას ქშინავდა...»

ეს ნახევარგვერდიანი ნაწარმოები დაწერილია ჟან მარეს ფოტოსურათის უკანა მხარეს (იხ. წინა მოთხრობის შენიშვნა).

ქვეყნდება პირველად.

უღელტეხილი

არსებობს ამ მოთხრობის ორი შავი(1_10გვ.) და ორი თეთრი(1გვ.), (1+1_15 გვ.) ავტოგრაფი. თეთრი ავტოგრაფი დათარიღებულია და დასათაურებული.

პირველი შავი, დაუმთავრებელი ავტოგრაფი (მთავრდება სიტყვებით: «დაღამდა. მთები იყო შავი და საშიში. ნელა დავიწყეთ დაშვება») დაწერილია უჯრებიან რვეულში, ალბათ, თეთრ წყლებში, შეიძლება, სულაც, უღელტეხილზე. ამ ფაქტით უნდა იყოს განპირობებული უჯრებიანი რვეულის არჩევა. რვეულის ყდაზე სათაური წერია ჩემი ხელით (ვბაძავ გურამის ხელს). ამ ვარიანტს შესავალი არა აქვს.

მეორე შავი ავტოგრაფი იწყება შესავალი-დღიურით თაბახის ფურცლის ქვედა ნახევრიდან. მეორე გვერდზე ხატია უღელტეხილი. მთებს შუა, ჩემი აზრით, ჩახატული უნდა იყოს ჯვარი. მოთხრობის გვერდების ნუმერაცია იწყება თავიდან. მოთხრობის ტექსტის ბოლოს, სრული თარიღის შემდეგ (იხ. ნაბეჭდი ტექსტი), ნახევარი გვერდი უჭირავს დღიურს: «გუშინწინ ჩამოვედი. არყის სმისგან ძლივს ვიხედები თვალებში. ...აქ ისევ ღელვა, ისევ მამაძაღლობა. გუშინ ლადოს საქმეზე დამკითხეს, ისევ მოვიგონე ყველაფერი. საშინელებაა. რუსიკოსთან როგორა ვარ არ ვიცი. ნერვები მეშლება.» ლადო ქოქიაშვილი იყო გურამის უმცროსი ამხანაგი, მოქანდაკე (იხ. აგრეთვე, «ნელი ტანგოს» შენიშვნები, ტომი 1). ლარსის ქუჩაზე გადასვლამდე ვცხოვრობდით ყოფილი რენინგერისა და კალინინის ქუჩის კუთხეში მდებარე ორბელიანების სახლში მამიდაშვილ-ბიძაშვილებთან ერთად. ცხადია, იმავე უბანში ვსწავლობდით და ბევრი ამხანაგიცა გვყავდა, განსაკუთრებით გურამს. 1957 წლის ერთ საღამოს, სვანეთის უბანში, კალინინის ქუჩაზე მდებარე პატარა, ბნელ ბაღში, გურამი სრულიად მოულოდნელად შეიქნა მოწმე ლადო ქოქიაშვილის მკვლელობისა. მართალია, გურამმა ლადო მაშინვე წაიყვანა საავადმყოფოში, სასწრაფო ოპერაციაც გაკეთდა, მაგრამ ულამაზესი ვაჟკაცი სიკვდილს მაინც ვერ გადაურჩა. ეს იყო პირველი უაზრო, უდროო სიკვდილი, რომელსაც შეეჯახა არა მარტო ჩემი ძმა, არამედ, მე მგონი, თბილისის მთელი იმდროინდელი ახალგაზრდობა. ამ სიკვდილმა მასზე საოცრად იმოქმედა. თითქოს იმ დღიდან დაიწყო მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ახალი, საოცრად რთული ეტაპი. ამ ფაქტმა გამოხმაურება ჰპოვა მის მომდევნო ნაწარმოებებში (იხ. ამავე ტომში მოთხრობა «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა...»).

თეთრ ავტოგრაფს აქვს თავფურცელი, რომელზეც დიდი ასოებით წერია სათაური. სათაურში გამოკვეთილად იხმარება ფიგურული ასო «ტ». გვერდის მარცხენა მხარეს ხატია უღელტეხილი. ზედ ადგას ღრუბლები. უღელტეხილზე ჩანს კაცის ფიგურა. მარჯვნივ დაწერილია შესავალი-დღიური, გადახაზული მწერლის მიერ. ბოლო ორი ხაზი, გადმოტანილი შავი ავტოგრაფიდან, ისევ მწერლის მიერაა გადაშლილი. ამოიკითხება:

«_ ეგ აქ გაიზარდა. მე კი ქალაქის მეტი არაფერი მინახავს. _ გავიფიქრე მე, მერე ხეობაში შევიტანე მზერა.»

მეორე შავი ავტოგრაფის პირველი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს, რომელზეც დიდი ფიგურული ასოებით წერია სათაური და შესავალი დღიური.

მოთხრობის ბოლოს აღნიშნულია მხოლოდ თვე და რიცხვი _ «მაისის 28.» თეთრ ავტოგრაფში ინტენსიურად იხმარება ფიგურული ასო «ტ.»

1 სიაში: «62. უღელტეხილზე.»

ამ მოთხრობის პროტოტიპები არიან ბერდია (ბერდო) გოგოჭური, გურამის სტუდენტობის დროინდელი მეგობარი, _ ერთად სწავლობდნენ ისტორიულზე(იხ. შენიშვნები მოთხრობისათვის «უსახელო უფლისციხელი») _ და სულხან ქეთელაური (მწერალი). ბერდია გოგოჭურის მონაყოლი: პირველი ზარი დაირეკა უნივერსიტეტში, ლექცია დამთავრდა. ჩემთვის ვიდექი ფანჯარასთან. გურამი თავისი ლამაზი, განიერი მხრებით მომიახლოვდა, «ხევსური ხარო?» მკითხა და გამეცნო. ამ ზაფხულს ხევსურეთში ვიყავიო, _ მითხრა, _ ბევრი ძმაკაცი და ძმადნაფიცი მყავსო. მერე ჩამომითვალა მათი სახელები და გვარები და ხევსურეთის სოფლები. ახალწლის ღამეს გურამმა ბერდია ჩვენთან მოიყვანა, აბანავა, დედას სუფთა ტანსაცმელი სთხოვა და ერთად შევხვდით ახალ წელს. ბერდო, საკმაოდ უსმენოდ, მართლაც, თავისთვის ხშირად ღიღინებდა ხოლმე «გოთაოს.»

ერთხელ ჩემმა ძმამ წამიყვანა თავის მეგობარ გურამ რუსიშვილთან, რომელიც ზემელზე, რუსთაველის გამზირზე, ცხოვრობდა. გურამი ძალიან აღელვებული იყო, როგორც იცოდა ხოლმე მისთვის რაიმე მნიშვნელოვანი ამბის თქმის წინ. გამომიწოდა მსხვილი, თითქოს მოწაფის ხელით შევსებული თაბახის ფურცლები. ვფიქრობ, ჰქონდა შეგრძნება, რომ ჩვენ ყველა ვიყავით მოწმე დიდი მწერლის დაბადებისა. (სულხან ქეთელაური ავტორია შემდეგი წიგნების: «ჭრელი ხალიჩა», «ნაზამთრი მიწა,» «მფრინავი ცისარტყელები» და სხვ.). გურამი განსაკუთრებული აღტაცებით ლაპარაკობდა სულხანის ძარღვიან ქართულზე, მისი მოთხრობების თითქოს პირველყოფილ უშუალობაზე, მოსწონდა, რომ ეს მოთხრობები მოკლებული იყო ყალბ ორიგინალობასა და ნაძალადევ «თანამედროვე» ფორმას.

ამ ფაქტში ჩანს გურამის ერთი თვისება, რაც მისი ახლობლებისათვის კარგად იყო ცნობილი. გურამი ნებისმიერი ადამიანისაგან მოელოდა საოცრებას, ნიჭის უეცარ გამობრწყინებას, განსაკუთრებულ სიკეთეს და სხვ. ეს ფარულად იგრძნობოდა მის გამომეტყველებაში, ყოველწამიერი ურთიერთობისას, იგრძნობოდა იმ აურაში, რაშიც ის იყო გახვეული და სადაც შენც შეჰყავდი აბსოლუტურად ძალდაუტანებლად. თუ იყავი საშუალო ადამიანი, მაშინ იყავი მისთვის საშუალოობის სიმბოლო, ეტალონი, საოცრად მნიშვნელოვანი ამ საშუალოობით. გურამი თითქოს ყოველ წამს იყო მზად, სწორედ ამ კუთხიდან აღექვა და მიეღო მეორე ადამიანი. ურთიერთობა ადამიანთან ანიჭებდა მას უდიდეს სიხარულს და ჰმატებდა ძალას. ხანდახან მგონია, რომ გურამმა ძალიან ცოტა რამ იცოდა ან შეიძლება სულაც არაფერი იცოდა შურის შესახებ. გურამის შემოქმედებაში ვხვდებით ადამიანის მიერ თავისი ცოდვილი ბუნების აღქმის საოცარ ნიუანსებს (ეს უფრო კარგად ჩანს შემდეგ ტომებში მოთავსებულ ნაწარმოებებში). რატომღაც შურის შესახებ არაფერი წერია არსად. ყოველ შემთხვევაში, თითქმის არაფერი ისეთი, რასაც სჭირდებოდა მისი მხრიდან, სხვა ცოდვებისაგან განსხვავებით, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამოცხადება, გამომზეურება, სააშკარაოზე გამოტანა.

ამის მაგალითად მომყავს ამონაწერი 1958 წლის შემოდგომის დღიურიდან:

«ღმერთო ჩემო, რა ადამიანია ერლომი! მისი არ შეიძლება შეგშურდეს. მას მხოლოდ თაყვანს უნდა სცემდე, ოღონ მე ის ძალიან მიყვარს, რაც მე {შურის} საშუალებას არ მაძლევს, მე მისი მხოლოდ ისა მშურს, რომ მე ის ასე ძალიან მიყვარს.

ისეთი დიდი ჩემს გარეშემო არაფერი მომხდარა, როგორც «დიდი მონა». «დიდი მონა» მე ვარ _ ერლომის შემდეგ «დიდი მონა» არის ყველა ჩემს წინ და ჩემს შემდეგ _

საიდან იღებს ეს კაცი ამდენ ძალას, ამდენ სიკეთეს, ამდენ მიუდგომლობას თვითონ სიყვარულში და თან სუფთა ფიზიკური ვნებების შეუზღუდველად.

ხანდახან ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ერლომი იმიტომ გაჩნდა _ აკეთოს ჩემ მაგიერ, რაც მე ყველაზე ძალიან მინდა და ვგრძნობ. მართლა ხომ შეიძლება ადამიანმა იცხოვროს სხვისით. ე.ი. სხვის გაკეთებულს დაარქვას თავისი და ისეთივე სიამოვნება განიცადოს როგორც საკუთარისაგან _ მე მგონი არა და მაინც ჰო _ არის წუთები, რომ მე ერლომის «დიდი მონისაგან» სწორეთ ასეთ შეგრძნებას განვიცდი და უბრალოდ მიკვირს, რატომ უნდა ვწერო რაიმე საერთოდ, როცა რისი დაწერაც მინდოდა წერს სხვა, და იმ სხვის დაწერილი იმდენად დიდია, რომ ერთი წამითაც ეჭვი არ მეპარება, რომ ის ჩემი დაწერილია, უბრალოდ მიკვირს, რომ სხვებიც ვერ ამჩნევენ ამას. ეს სხვები არის დემონი («დემონის» წინ სიტყვა «ჩემი» გადაშლილია მწერლის მიერ. _ მ.რჩ.), რომელსაც ვებრძვი და რაც შეიძლება სულელურად. ერლომ, ძმაო, აკეთე შენ და მე გეფიცები ეჭვი არ შემეპარება, რომ ყველაფერი ეგ ჩემი გაკეთებულია.»

28 მაისით დათარიღებულია შემდეგი ჩანაწერი: «საინტერესო დამთხვევა» გ. რჩეულიშვილი: «დედაო ღვთისა, მზეო მარიამ,

როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.»

1957 წელი. 28 მაისი.

გ. რჩეულიშვილი.

დავწერე დამოუკიდებლად გალაქტიონ ტაბიძისა.»

პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს წიგნში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»

უსახელო უფლისციხელი

არსებობს «უსახელო უფლისციხელის» სამი ავტოგრაფი: შავი (1_27გვ.), თეთრი(1_21გვ.) და ჩანაწერები მოთხრობის თეთრი ვარიანტის შესავლისათვის (1გვ.), (1_3გვ.). შავი ვარიანტის მეთერთმეტე გვერდზე ფანქრით, მამას ხელით წერია: «ეს უსახელო უფლისციხელია». ჩანს, თავდაპირველად, შესავლის შავი ხელნაწერის პირველი გვერდები ინახებოდა სხვა საქაღალდეში.

ავტოგრაფები დაუთარიღებელია და უსათაურო. მოთხრობა გამოქვეყნდა ჩემი ძმის სიცოცხლეში, ამდენად, სავარაუდოა, რომ მის მიერაა დასათაურებული. დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმისა და მოგონებების საფუძველზე (იხ. ქვემოთ). ამას მოწმობს, აგრეთვე, მწერლის ალტერ ეგოს მიერ ჩუქურთმებს შორის ამოჭრილი თარიღი («მე აქ ვიყავი 1957 წლის ივლისში»).

შავი ვარიანტი ნაწერია გაკრული, მომსხო, სწორი ასოებით. რამდენიმე ადგილას იმავე საწერკალმით და მელნით ჩამატებულია წინადადებები, ვფიქრობ, წერის პროცესშივე. თეთრი ავტოგრაფი ნაწერია ლამაზი, გამოყვანილი ასოებით. ნასწორებია სხვა ხელით. ჩანს, ხელნაწერი მზადდებოდა გამოსაცემად. ამჟამად აღდგენილია დედანი. თეთრ ავტოგრაფში ასო «ტ» რამდენჯერმე ფიგურულადაა დაწერილი (იხ. პირველი ტომი, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). თეთრი ვარიანტის ბოლოს მწერლის ხელმოწერაა: «გ. რჩეულიშვილი». შესავლის თეთრი და შავი ვარიანტები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩანაწერი წარმოადგენს თეთრი ავტოგრაფის შესავლის შავ ვარიანტს. ხელწერიდან იგრძნობა, რომ ძირითადი ტექსტის შავი ავტოგრაფი დაწერილია ერთი ამოსუნთქვით, შესვენების გარეშე.

ძირითადი ტექსტის შავი და თეთრი ავტოგრაფები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება. თეთრში შექმნილია მხოლოდ ახალი აზრობრივი მთლიანობები, აბზაცები.

შავი ავტოგრაფის შესავალი:

«მტკვარი ჯერ ძალიან დაკლაკნილი და ვიწრო ჩანს. მერე თვითმფრინავი მიწას უახლოვდება. მდინარე სწორდება. ახლა ის უფრო განიერი მეჩვენება. ჩვენ ქვევით მტკვარს სხვა მდინარე ერთვის, მერე დიდი ჯებირია, მთაზე ეკლესია დგას.

_ რა კალმახი იცის არაგვში! _ ამბობს ჩემს გვერდზე ვიღაცა.

_ რა მდინარეა ის? _ ვეკითხები მე.

_ არაგვი, ქვევით, მთაზე, ახლა რო გამოვიარეთ, ჯვრის მონასტერია, ის ჯებირი ზაჰესისაა.

სიამოვნებით მიხსნის მეზობელი, მერე საქართველოს ისტორიას მიყვება უთხოვნელად. მიქებს ქართველებს და თბილისში იშვიათ დროსტარებას მპირდება. ის უმეტესად ისტორიაზე და დროსტარებაზე ლაპარაკობს. ირწმუნება, ქართველებისთანა ქეიფი არავინ ვიცითო, ან სტუმრის პატივისცემა, ან მასპინძლობაო. მე ჯერ მსიამოვნებს მისი გულთბილი ლაპარაკი, მერე აღარა მსიამოვნებს, უკვე გადაამეტა. «ნეტა რანაირი ხალხია ქართველები» ვფიქრობ.

_ ზარმაცები ვართ, ზარმაცები, _ ამბობს ჩემს უკან ვიღაცა.

_ ზარმაცები კი, ზარმაცები, მაგრამ ნიჭიერები, უდაოდ ნიჭიერები, _ ამბობს ჩემი ახლად შეძენილი გიდი და ისევ ყვება საქართველოს ისტორიას.

მე ახლა უკვე ბევრი რამ ვიცი, ვიცი გორგასალი, დავით აღმაშენებელი, რომელმაც ააშენა საქართველოში ხიდები, სასახლეები და თამარ მეფე, რომლის სახელიც ჰქვია ყველაფერს, რაც კი აშენებულა, თუნდ სხვისი ხელითაც, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ჩემი გიდი. («არაგვისა და მტკვრის შესართავში ჯვრის ეკლესია იდგა. მასზე თქვა, მეხუთე საუკუნის დროინდელიაო, ახლა, როცა თამარზე ლაპარაკობს, ამბობს, მან ააშენაო. ალბათ, მართლა საყვარელი იყო ეს მეფე-ქალი.» - გადაშლილია მწერლის მიერ.)

ახლა თვითმფრინავი თბილისზე მიდის, თბილისის შუაში კი მტკვარი მიდის. მართლა ლამაზია ეს ქალაქი, პატარა, მაგრამ ლამაზი. ასეც ვიცნობდი მე მას.

_ რა ლამაზია თქვენი ქალაქი, _ ვამბობ მე.

_ თქვენ რუსთაველის პროსპექტი უნდა ნახოთ! _ მეუბნება ის.

_ მე პლეხანოვი მირჩევნია, _ ამბობს ჩვენს უკან ქალი.

ისინი დავას განაგრძობენ. თვითმფრინავი კი წრეს ურტყამს ჰაერში. უვლის ტბას და ეშვება. ისინი ისევ ჩხუბობენ. მერე კაცი მე მომმართავს.

_ არ დაუჯეროთ, _ მეუბნება. _ პლეხანოველია და იმიტომ აქებს. მე უაზროდ ვიღიმები. თვითმფრინავი ჯდება აეროდრომზე. მე პირველად ვარ თბილისში.

სახლები. ახალი დიდი სახლები, სამსართულიანები, ოთხსართულიანები, თერთმეტსართულიანები, თეატრები, სტადიონი. ყველაფერი ეს ყველგან არის უფრო კარგიც, უფრო ლამაზიც, ფუნიკულიორიც არის სხვაგან, ძველი ეკლესიებიც არის სხვაგან. ქართველებზე სტუმართმოყვარე ხალხიც არის სხვაგან. ქართველები ლამაზი ხალხია. სხვებიც არიან ლამაზები. დავდივარ ძველ თბილისში ნარიყალიდან მეტეხამდე, მერე ზევით, ქაშვეთისაკენ, ვაკისაკენ, საბურთალოსაკენ და ვფიქრობ: ცალ-ცალკე ყველაფერი ყველგან არის, მაგრამ ერთად იშვიათია: მართლა იშვიათია, ალბათ ამიტომ არიან ქართველები ასეთები, როგორები, ვერ ვიტყვი _ ყველა სხვადასხვანაირია. დავდივარ და მესმის ხშირად _ ქართველები ნიჭიერი, მაგრამ

ზარმაცები ვართ. «რატომ არიან ზარმაცები? სიზარმაცით ამდენი საქმე ვერ გაკეთდება». ვფიქრობ, «ალბათ, იმიტომ დგანან და დგანან ქუჩაში. უფრო ვოცდები და მიტაცებს ეს საინტერესო ხალხი არა თავის სიკარგით _ ისინი ტრაბახები არიან, არამედ თავისი მრავალფეროვნებით. თვითონ ბევრ თავის ნაკლს დასცინიან, მაგრამ ტრაბახს არავინ. საინტერესო ხალხია ქართველები _ პირველი გაცნობისთანავე გიყვებიან თავიანთ ისტორიას, გიყვებიან და აქებენ. პატარა წინააღმდეგობაც კი საკმარისია, რომ მთელი კამათი გამოიწვიოს. უფრო ვინტერესდები ისტორიით. გადავწყვიტე სახლიდან არ გამოვიდე და ის მცირე დრო, რაც მე მაქვს, სამი დღე მაინც, ამ ერის ისტორიის შესწავლას მოვანდომო. პირველ წერილობით წყაროებს ბერძენ და რომაელ მემატიანეებთან ვხვდები. იბერია რაღაც შინაგანი პატივისცემით იხსენიება. ვათვალიერებ უფრო ძველ მასალებს და გადავდივარ ძველი მსოფლიოს ისტორიაში. ზედიზედ ეცემიან სამხრეთის მპყრობელები: შუმერი, ბაბილონი, ზევით ასურეთი და ურარტუ, რომელიც უშუალოდ ქართველთა წინაპარი ტომებითაა ცნობილი. ეცემიან და კულტურის ცენტრი უფრო ჩრდილოეთით ინაცვლებს, საქართველოსა და სომხეთის სახით. სულ უფრო ხშირდება წერილობით წყაროებში იბერიელთა მოხსენიება. იბერია აიძულებს მოიხსენიონ იგი. აქ თავს იყრიან უკვე მსხვილი პოლიტიკური ცენტრების მთელი ჯგუფი კოლხეთიდან, ვიდრე ჰერეთამდე. რუქა ისერება სავაჭრო გზებით: კასპიის ზღვიდან გზა უერთდება მტკვრის სანაპიროს. ჩნდება მთელი ჯაჭვი გამაგრებული ქალაქებისა ..... ბოსტან-ქალაქი, გზა თბილისს გვერდს უვლის _ მაშინ ადრე იყო თბილისის ხსენებაც კი, მცხეთაც გაკვრითაა ნაჩვენები, ისიც უფრო გვიან გაჩნდა, კასპი, უფლიციხე (ეს ადგილი ერთ-ერთ ძირითად პუნქტადაა მიჩნეული ამ გზაზე). აქედან გზა გადადის სურამის ქედით სეანდა შორაპანში და გადის ფაზისში (ახლანდელი ფოთი). ფოთიდან გზა ფაზისამდე იშლება ყოველ მხარეს. დიდია ისტორია ამ ერის, დიდია დროის ერთ მონაკვეთშიც და ერთ ადგილისაც მთელი მისი არსებობის განმავლობაში. ვცდილობ რომელიმე ამოსავალი პუნქტიდან დავიწყო მისი შესწავლა. ასე უფრო გამიადვილდება. ახლა უკვე კარგად ვიცი, რომ ქართლი არის ამოსავალი ცენტრი. იგი პოლიტიკურად თუ ეკონომიურად აერთიანებს საქართველოს. თვით პოლიტიკური უძლურების პერიოდშიაც კი, იგი საქართველოს კულტურის ცენტრი რჩება.

ისევ მივყვები რუქას უკან და ჩემს არჩევანს უფლიციხეზე ვაჩერებ. ამ ქალაქზე, როგორც ეტყობა, ისტორიასაც შეუჩერებია თავისი არჩევანი. ჩემი ნაცნობი არქეოლოგ-ისტორიკოსთა რჩევით, ვიწყებ მისი ისტორიის შესწავლას. ნელ-ნელა უფრო გაოცებაში მოვდივარ. მთლიანად მითრევს ამ ერის და, კერძოდ, უფლისციხის ისტორია. მხოლოდ ხანდახან, ისიც სეირნობის დროს, რუსთაველის პროსპექტზე მაგონდება, რომ ახლანდელი ქართველები თავს ზარმაცებად თვლიან. დავდივარ და ვფიქრობ: რატომ დგანან ახალგაზრდები ქუჩაში. ისინი დგანან, ხნიერები კი მუშაობენ. ალბათ დგომაში სწავლობენ ისინი ცხოვრებას. ასეთია ასაკი. ხშირად მეც მითრევენ და მეც ვდგევარ. ახლა ვიტრინებში ზარმაცი, მფლანგველი და სხვადასხვა ჯურის წვრილი დამნაშავეების სურათებია გამოფენილი; ეს დადგომის კიდევ ერთი საბაბია: უყურებენ და იღიმებიან. საოცარი ხალხია ქართველები. დგანან უსაქმოდ და მესმის; ლაპარაკობენ კანტზე, მერე მოყავთ ციტატები: ესენინი, ლერმონტოვი, ირჩევა ვრუბელი და გუდიაშვილი. სხვაგან ამას ლექციაზე არჩევენ. აქ კი ქუჩაში ირჩევა. ნუთუ ამას ეძახიან სიზარმაცეს. არ ვიცი.

მე დღისით ისტორიას ვსწავლობ. საღამოს ვსეირნობ. ვადარებ ძველს და ახალს. ერთი, რაც საერთოა ორივე დროისათვის, ერის სიმცირეს უჩივიან ამ ერის შვილები. _

ცოტანი ვართ ქართველები, _ ამბობენ ახლა «და ათი თურქი მოდიოდა ერთ ქართველზე» ვკითხულობთ მატიანეში. ვეფლობი ისტორიაში და ვოცდები «ამ ცოტა ხალხმა ამდენი როგორ გააკეთა. ალბათ, ისინი არც ზარმაცები იყვნენ, არც მოსწონდათ ეს თვისება. მხოლოდ ბეჯითობასა და ნიჭს შეუძლია გააკეთოს ის, ხალხის იმ რაოდენობით, რაც ქართველ ხალხს შეუქმნია.» და ჩემ წინ არის შრომისუნარიანი, სიბეჯითისა და ნიჭის იშვიათი ნიმუში უძველესი ისტორიული ძეგლი უფლიციხე.

უფლისციხე თავისი არსებობის ისტორიას ითვლის ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან».

ჩანაწერი «უსახელო უფლისციხელის» შესავლის თეთრი ვარიანტისათვის:

«ისტორია და ლიტერატურა ერთ ამბავს ემსახურება სხვადასხვა მხრიდან. ორივეს საერთო ვალია იცოდეს ხალხმა როგორია ცხოვრება, ან როგორი იყო ცხოვრება და მიიღოს ახლის შექმნისათვის გამოცდილება. ისტორია თავზე იღებს ფაქტობრივ მხარეს შორეული წინანდელისა თუ გუშინდელი დღისას, ლიტერატურა კი აცოცხლებს მას და მკითხველს თავისი გმირების ცხოვრებით აცხოვრებს. ისტორიაც და ლიტერატურაც ერთნაირი ძალით აშუქებენ მომავალს, სხვაობა იგივე: ერთი იძლევა მხოლოდ მეცნიერულ ფაქტებს, მეორე ფაქტებს, ოღონდ მხატვრულად. არის რაღაც საშუალოც, არა ისეთი სრულფასოვანი, როგორც ისტორია ან ლიტერატურა ცალ_ცალკე, მაგრამ გარკვეულ დროს უდაოდ გარკვეული ღირებულების შემცველი. ეს არის ნარკვევი. ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი, რომლის ვალიც არის მკითხველამდე ისტორიული სინამდვილე მიიტანოს მხატვრულად (აქ სინამდვილიდან გადახვევა თითქმის არ შეიძლება). მე ყველაფერი ეს თითქოს ვიცოდი, მაგრამ კარგად არა. არ ვიცოდი მანამ, სანამ სხვებთან ერთად მივიღებდი დავალებას დამეწერა რაიმე ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი «ცისკრის» რედაქციისათვის. მე დავთანხმდი. მაგრამ რედაქციიდან გამოსვლისთანავე ვინანე. მოვექეცი ჩიხში. არ ვიცოდი რა მექნა. რაღაც წამოვიდა იდეასავით და მოკვდა. მთელი კვირა უქმად ვიარე. დრო კი გადიოდა. გადავწყვიტე ისტორიის შესწავლა დამეწყო. მშრალი ფაქტები, ალაგ-ალაგ საინტერესოც. მაინც მომწყინდა. მერე უფრო ფართოდ დავიწყე უფლისციხის შესწავლა. გავეცანი სავაჭრო გზებს, მის მიდამოებს. სადღაც აესხა მძივი. უფრო ჩამითრია. შევადგინე პატარა კონსპექტივით. ნელ-ნელა უფრო კარგად ვგრძნობ უფლიციხეს. ახლა საღამოა, ვზივარ სახლში და ახლიდან ვკითხულობ კონსპექტს, რომელიც შევადგინე. ის სულ უფრო მითრევს. ვოცდები. რამდენი ცოცხალია მკვდარ ისტორიაში. მხოლოდ ფანტაზია უნდა ოდნავ. ხვალ აუცილებლად წავალ უფლისციხეში. ადგილზე. ახლა ღამეა. ვიღებ კონსპექტს და ვკითხულობ ახლიდან: «

ვაჟა გიგაშვილის მოგონება: «მე და ჩემი მეუღლე (ლია ჯაფარიძე _ მ. რჩ.) ვიყავით სამთავროში პრაქტიკაზე 1957 წლის ზაფხულში. ოთხ ივლისს ეკლესიის ეზოში გამოგვეცხადა გურამი თავის ქალით ხელში, ძალიან აღელვებული და მხიარული. გვითხრა: მთელი დღე მარტო ვიყავი უფლისციხეში. დღეს ჩემი დაბადების დღეა, თავის ქალა ლოდიანზე იდო და ჩემ თავს საჩუქრად წამოვუღეო.» ეს თარიღი, ოღონდ რიცხვის გარეშე, მოიხსენიება თვითონ მოთხრობაშიც (იხ. აგრეთვე, მომდევნო მოთხრობის შენიშვნა).

1957 წლის 4 ივლისს გურამი 23 წლის გახდა. ვაჟამ და გურამმა ის დღე, ჩვეულებრივ, გავარდნა-გამოვარდნებში გაატარეს. ჯერ დასხდნენ მცხეთის ბალუსტრადებიან რესტორანში. მერე ფული არ ეყოთ და წიწამურში ავიდნენ აგარაკზე, ლიას მშობლებთან. იქ დახვდათ ლიას ბაბუა. მან ახალგაზრდებისათვის სუფრა გააშლევინა. ცოტა იქაც დალიეს. მერე ფეხით წამოვიდნენ მცხეთაში. ბაბუამ ბიჭებს დიდი პარკით გამოატანა ალუბალი. გურამი თურმე მთელი გზა ჭამდა ალუბალს და კურკებს დიდი ბათინკებით ისროდა ზევით. მერე წამოვიდნენ თბილისში, რიგის ქუჩაზე, ისევ ლიას სახლში. დასხდნენ კაბინეტში, ბუხართან. ,,ვსვით და ვსვით. უცნაური იყო რაღაც გურამი. მერე თქვა: _ მოდი, გავიჭრათ ხელები და დავძმობილდეთო. გამომიწოდა ხელი და მეც, სულელმა, დავუსვი დანა, დაუნდობლად, თან მიხაროდა, რომ ასეთი ყოჩაღი ვარ. მერე მე გავუწოდე ხელი. გურამმა გადმომაბრუნებინა და ოდნავ გამკაწრა. მთელი ცხოვრება დამახსომდა. წამოუვიდა გურამს სისხლი. მოირწყა სისხლით იქაურობა. ამ დროს გაისმა სადარბაზო კარის ხმა. გურამმა დაიძახა: ,,ატანდა, მამამისი!» სადარბაზო კარში საგურამოდან მოულოდნელად ლიას ჩამოსულ მშობლებს შეეჯახა სისხლში ამოსვრილი ორი ახალგაზრდა. ერთს თავის ქალა ჰქონდა იღლიაში ამოჩრილი. ბიჭები შურდულივით გაცვივდნენ გარეთ. შეშინებული მშობლები ამ ინციდენტის შემდეგ მთელი თვე არ უშვებდნენ თავიანთ ქალიშვილს გარეთ. გურამის დედას და მამას არაფერი რჩებოდათ შეუმჩნეველი, არათუ სისხლში ამოსვრილი პერანგი და შვილის გაჭრილი მაჯა, თურმე გასაკერიც რომ შეიქნა.

1957 წლის 4 ივლისის ამბებს მოჰყვა, გარდა გაჭრილი მაჯისა და სისხლიანი პერანგისა, ორი მოთხრობა: ,,უსახელო უფლისციხელი» და ,,თავის ქალა ლოდიანზე იდო...»

«უსახელო უფლისციხელის» შექმნის ისტორია, უშუალოდ ხელნაწერებზე და მოგონებებზე დაყრდნობით, ასე მესახება, თუმცა «შესაძლოა, ყოველივე ეს არ იყო ესე, მხოლოდ მე ის ასე აღვიქვი» (ჩანაწერი მოთხრობისათვის «სიკვდილი მთებში»):

1957 წლის გაზაფხულზე ვახტანგ ჭელიძემ, იმ ხანად «ცისკრის» რედაქტორმა, სხვა ახალგაზრდა მწერლებთან ერთად, გურამსაც შესთავაზა ჟურნალისათვის საქართველოს ისტორიიდან ლიტერატურულ-ისტორიული ნარკვევის დაწერა. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ «ცისკარზე» გაუთავებელი თავდასხმების გამო ძალიან გაძნელდა ახალგაზრდა მწერალთა პუბლიკაცია (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის) და რედაქციამ უფრო ადვილად მიიჩნია ლიტერატურულ-ისტორიული ნაწარმოებების გამოქვეყნება. როგორც საარქივო მასალა მოწმობს, ეს აზრი დაემთხვა გურამის სურვილსაც. ეს ჩანს ამ ტომში მოთავსებული მოთხრობის «ლამაზია გურჯის ქალის» მინაწერშიც: «ეს პირველი ამბავი, ალბათ, დასაწყისი იქნება ნოველების დიდი ციკლისა ისტორიიდან. ჯერ ოღონდ შესწავლა უნდა.....» კონკრეტულად «უფლისციხე» გურამის იდეა უნდა ყოფილიყო. «უფლისციხე» ნახსენებია ჯერ კიდევ 1956 წლის ერთ-ერთ ჩანაწერში «ფურცელი იდეებისათვის» (იხ. ტომი 1, შენიშვნები მოთხრობისათვის «სიყვარული შემოდგომაზე»).

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეებისადმი ინტერესი თავს იჩენს გურამის ცხოვრება-შემოქმედების სხვადასხვა წლებში. ყოველ ეტაპზე ის თითქოს ისტორიულ წყაროებში მოცემული «მშრალი ფაქტების» დაძლევას, მათ მიღმა არსებული რეალობის წვდომას ცდილობს. ამონაწერი გურამის დედის დღიურიდან: «1959 წლის 14 მარტი _ სათარიღო დღეა. გურამი მეუბნება: დედა, მე გადავწყვიტე

დავიწყო მუშაობა მუზეუმში _ ძალიან მაინტერესებს ვიმუშაო შუა საუკუნეების ისტორიაში და პარალელურად ჩემს წერასაც განვაგრძობ.» გურამის ერთ-ერთი ბოლო მოთხრობის გმირი, ისტორიკოსი საურმაგ თურმანიძე, მწერლის ალტერ ეგო, მუშაობს შუა საუკუნეების ისტორიაში. «სიბნელით მოცული შუა საუკუნეები» გურამის ბოლო დაუმთავრებელი ტრაგედიის «სურამის ციხის» ისტორიული ეპოქაა. არქივში შემონახულია, აგრეთვე, დღიურის ტიპის დაუმთავრებელი ჩანაწერი ასეთი სათაურით: «შუა საუკუნეების მოქალაქის მოგზაურობა მეოცე საუკუნეში, ანუ თავგადასავალი გურამ რჩეულიშვილისა» და სხვ.

გურამი უფლისციხეში წასვლამდე ესტუმრა თავის ბიძას ლეო რჩეულიშვილს (ლეო რჩეულიშვილი: ისტორიკოს_არქეოლოგი, ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტორი. დიდი ხნის განმავლობაში სამხატვრო აკადემიაში თავის მიერვე გახსნილი ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე) და სთხოვა: უფლისციხეზე ნარკვევის დაწერას ვაპირებ და წყაროები მიმითითეო. გურამმა თურმე წაიღო წიგნები და ძია ლეო კი ახალი მასალების ძებნას შეუდგა.

1957 წლის მაისში გურამი ბერდია გოგოჭურთან ერთად (გურამის თანაკურსელი, ძმადნაფიცი. იხ. შენიშვნა მოთხრობისათვის «უღელტეხილი») ავიდა თეთრ წყლებში ბერდიას ბიძასთან. ეს უნდა ყოფილიყო ლადო ქოქიაშვილის გარდაცვალების შემდეგ (არქივში შემონახულ ჩანაწერებში აღნიშნულია თეთრი წყლებიდან ჩამოსვლის დღე და აღნიშნულია ისიც, რომ ლადო ქოქიაშვილის გარდაცვალებიდან ძალიან ცოტა დრო იყო გასული). ბერდია იგონებს: «გურამი ქალის მოტაცებას აპირებდა და ერთი დღით ავედით თეთრ წყლებში ბიძაჩემ ალექსისთან წინასწარ საქმეების მოსაგვარებლად. მახსოვს გურამი მაღალ ტახტზე წამოწოლილი, სანთლის შუქზე როგორ კითხულობდა «ქართლის ცხოვრებას» და თან ამონაწერებს აკეთებდა პატარ-პატარა ფურცლებზე. ეს კიდევ უფრო იმიტომ დამამახსოვრდა, რომ გურამს ,,ქართლის ცხოვრება» თეთრ წყლებში დარჩა და მერე ბიძაჩემმა ჩამოიტანა მოგვიანებით.»

ისტორიული მასალის დამუშავების შემდეგ გურამმა დაწერა შესავალი შავი ვარიანტისათვის. ამ შესავალში ჩანს, რომ ის ცდილობს გარედან, ობიექტურად, უცხო თვალით დაინახოს ქართველები და უშუალოდ ხალხზე დაკვირვებით, და ამავე დროს, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, გაერკვეს ქართველების რაობაში: საიდან მოდიან, საით მიდიან, რა უნდათ («საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა»,_ ასეთი კითხვით იწყება გურამის ერთ-ერთი ბოლო უსათაურო ნაწარმოები. ქართული ეროვნული ხასიათის კვლევა გრძელდება «იულონში», «ალავერდობაში» და სხვა ნაწარმოებებში.)

«მშრალი ფაქტები», «მკვდარი ისტორია», უშუალოდ ხალხზე დაკვირვება, ძველისა და ახლის შედარება ბევრს არაფერს ეუბნება მას. გურამი იძულებულია ქართველები ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, არაფრის მთქმელი, ზერელე ეპითეტებით დაახასიათოს. იგრძნობა, რომ მის მსჯელობას აკლია საფუძველი.

შავი ხელნაწერის მეათე გვერდზე მწერალი ზოგადად მსჯელობს საქართველოს წარსულზე, მის აწმყოსა და მომავალზე, იხედება «მიწის შიგნით» და «მთების იქითაც». მეთერთმეტე გვერდზე გადმოდის ფრაზა წინა გვერდიდან: «ისტორიული ძეგლი უფლისციხე.» ეს ფრაზა თეთრი ხელნაწერისათვის დამახასიათებელი კალიგრაფიითაა დაწერილი. გურამი თითქოს ახალი სუნთქვით და გადაწყვეტილებით იწყებს უშუალოდ უფლისციხეზე წერას. მომდევნო წინადადება იწყება აბზაცით, ისეთივე გამოყვანილი, მოწესრიგებული ხელწერით: «უფლისციხე თავისი არსებობის ისტორიას ითვლის ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულის მეორე

ნახევრიდან.» შემდეგ ის, როგორც თვითონვე წერს, მართლაც რომ «ექცევა ჩიხში» და ხვდება, რომ ლიტერატურულ-ისტორიული ნარკვევის დაწერა საკმაოდ ძნელია, თავს ანებებს, ტოვებს ადგილს უშუალოდ უფლისციხის ისტორიისათვის და მიდის ძეგლის სანახავად.

არქივში ინახება «ცისკრის» მიერ გურამის სახელზე გაცემული სამივლინებო ბარათი გორში, დათარიღებული 1957წ. 21 ივნისიდან 30 ივნისამდე. ეს მივლინება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო უფლისციხესთან. 1957 წლის 4 ივლისს, თავის დაბადების დღეს, გურამი მატარებლით წავიდა უფლისციხეში. ვფიქრობ, თავისი დაბადების თარიღი მან საგანგებოდ აირჩია, რადგან საოცრად მგრძნობიარე იყო ამ დღის მიმართ (ამონაწერი 1959 წლის გაუგზავნელი წერილიდან: ,,გუშინ გავხდი 25 წლის. ჯერ კიდევ ორი-სამი დღის წინ დავიწყე გონებაში განვლილი ცხოვრების შეჯამება, როგორც ყოველთვის, ამ თარიღს გულგრილად ვერ ვუყურებ. რადგან ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის ის ფაქტი, რომ გავჩნდი. მისია ამ ამბისა მდგომარეობს იმაში, რომ სხვებისათვისაც იმდენივეს ნიშნავდეს ,,ეს ფაქტი»).

ვფიქრობ, რომ გურამს უფლისციხეში, საშიში უფსკრულის პირას, ხრიოკსა და უდაბნოში, როდესაც მზე სულ უფრო და უფრო აჭერდა, როდესაც ხან ღმუოდა ქარი, ხან სისინებდა და ქვიშას აყრიდა დაღლილ თვალებში, რაღაც წამს, შეიძლება პირველადაც კი, დაეუფლა გარკვეული სულიერი განწყობა. ის «ბანცალით» შევიდა ღრმა ქვაბებში და დახუჭა თვალები. თვალებდახუჭულს, მას თითქოს გაეხსნა შინაგანი ხედვა. «მკვდარმა» ისტორიამ გაცოცხლება დაიწყო მის თვალწინ და მშრალი ფაქტების მიღმა გურამმა დაინახა ის «რაღაც», (იხ. შენიშვნები მოთხრობისათვის «ვერაგობა და სიყვარული») რასაც ამაოდ ეძიებდა დიდი ხნის განმავლობაში, რასაც «ქართლის ცხოვრებასა» და მატიანეებში, ალბათ არა ერთხელ გადასწყდომია და რასაც იმ წამამდე მისთვის, ისე როგორც ბევრისათვის მაშინ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ისტორიული, ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა: ყველაფერი ემორჩილება ღმერთის ნებას, ღვთის რისხვას ან ღვთის წყალობას. გურამის თვალწინ გაცოცხლდა ეკლესია _ ღმერთის სახლი, იმ წლებში, უმთავრესად, ისტორიულ ძეგლად აღქმული. გურამმა დაინახა ამ ეკლესიაში, სადაც მან სულ ახლახან, ყოველგვარი ეჭვისა და შიშის გარეშე, დანით ამოჭრა თავისი გვარი თავისი არსებობის უკვდავსაყოფად, მუხლმოდრეკილი, პირქვედამხობილი ხალხი ღმერთს როგორ ევედრება შემწეობას. გამარჯვების შემდეგ კი როგორ აღავლენს სამადლობელო ლოცვებს მის სადიდებლად. ამ წამს რეალურ ფაქტად იქცა მისთვის უენო მსახურის რელიგიური სულისკვეთება, ქრისტესმიერობა (პირველი, რასაც აკეთებს უენო, შედის ეკლესიაში და თავისი ღმერთის წინ იჩოქებს), მისი უნარი, თავისი ხალხის, თავისი რელიგიის სამსხვერპლოზე უანგაროდ მოიტანოს თავი. ის მიხვდა, რომ ქართველობა განუყოფელია მისი რელიგიური მრწამსისგან, რომ ძირითადი დაპირისპირება მტერსა და ქართველებს შორის რელიგიური დაპირისპირებაა. ამ წამში გაცოცხლდა მისთვის მატიანეში ამოკითხული სიტყვები: «წყალობითა ღვთისათა დიდმა მთავარმა ვამეხმა სძლია მტერს და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხისა.»

«გამოფხიზლების», «გაბრუებიდან» გამოსვლის შემდეგ, ის შევიდა დიდ ტალანში, არქეოლოგთაგან დატოვებული მიწის გასატანი საკაცეებისაგან გააკეთა მაგიდის მსგავსი რაღაცა და «ფურცელს გაუზიარა თავისი განცდა».

რეტროსპექტულად მოთხრობილი ამბავი, ჩემი აზრით, დოკუმენტური სიზუსტით გადმოსცემს ნაწარმოების შექმნის ისტორიას. თავდაპირველად, გურამმა გააგრძელა წერა უცხო, გარე თვალთახედვით (იხ. აქვე «უსახელო უფლისციხელის»

შესავლის შავი ვარიანტი). სულ მალე მან შეუნიღბავად დაიწყო თხრობა. თითქოს მიხვდა, რომ ამბავი, რომელიც მას შინაგანი ხედვით გაეხსნა, უთუოდ თვითონვე უნდა გადმოეცა. წაიშალა ზღვარი მწერალსა და მთხრობელს შორის. მწერალი და არა მისი ალტერ ეგო გახდა მოთხრობის ლირიკული სუბიექტი.

უკვე თბილისში, ნაწარმოების გადათეთრებისას, გურამი მთლიანად განთავისუფლდა გამოგონილი სიუჟეტისგან. მან უარი თქვა შესავლის შავ ვარიანტზე. მოთხრობის ძირითად ნაწილშიც, როგორც ჩანს, ხელახალი გადაკითხვისას _ წაშალა უცხო თვალთახედვის, უცხო პირის კვალი. მაგ. შავი ხელნაწერის მეთხუთმეტე გვერდზე წინადადებაში: «ჭიანჭველასავით მშრომელი და დაუზარელი ყოფილა ის ხალხი» «ის» შეცვლილია მწერლის მიერ სიტყვით «ჩემი.» მეჩვიდმეტე გვერდზე გადაშლილია წინადადება «მეც მათი თანამოძმე ვარ, მოსკოველი» და ზევიდან აწერია «ისინი რუსები არიან, მე ქართველი.»

ასე მივიდა გურამი ბოლომდე და, იმ ფაქტის დასტურად, რომ მწერალი და მთხრობელი ერთი პიროვნებაა, რომ მოთხრობილ ამბავს, გამონაგონს უშუალოდ მისი სულიერი გამოცდილება უდევს საფუძვლად, თეთრი ხელნაწერის ბოლოს დასვა თავისი გვარი როგორც ბეჭედი. ამით თითქოს მან დაამოწმა «უფლისციხელში» გადმოცემული ყველა ფაქტის უტყუარობა.

1958 წლის ერთ-ერთ დღიურში გურამი წერს: «ჯერ კიდევ არ ვიცი როგორ ვწერო, ღრმად სუბიექტურად თუ ტოლსტოის სტილში, კინაღამ არ დავწერე ტოლსტოისავით, ხეხე.» ამ დილემის პასუხი თვითონ გურამის შემოქმედებაშია.

«უსახელო უფლისციხელი» ერთ-ერთი პირველი ვრცელი ნაწარმოებია პირველი პირის მთხრობელით. ცხადია, თავისთავად, პირველი პირი თხრობის ლირიკულობას არ განაპირობებს. ამის მაგალითია თუნდაც თვითონ ამ მოთხრობის შესავლის შავი ვარიანტი, როდესაც მწერალი პირველი პირის მთხრობელის საშუალებით ცდილობს ობიექტური, გარე თვალთახედვით გადმოსცეს სათქმელი. თუმცა «უსახელო უფლისციხელის» შემდეგ პირველ პირს გურამის შემოქმედებაში უკვე აშკარად შემოაქვს ლირიკული, სუბიექტური ნაკადი. ამ ნაკადს მოჰყვება მის მიერ მხოლოდ შინაგანად, რეალურად განცდილი სინამდვილე, თითქმის მთლიანად განთავისუფლებული გამონაგონისაგან. გურამი მთელი ძალისხმევით ცდილობს ეს სინამდვილე მაქსიმალური გულწრფელობით, თითქმის დოკუმენტური სიზუსტით გადმოსცეს («ისეთი დიდი სურვილი მაქვს გულწრფელობის, რომ ეს ჩემთვის თითქმის წარმოუდგენელია». _ 1958 წლის ჩანაწერებიდან), ამისათვის მზად არის, ზოგჯერ მხატვრულობაზეც კი თქვას უარი («ბოლო ხანებში მხატვრულობისათვის იშვიათად ვიცლი. მთავარია გავერკვე არსში»).

«უსახელო უფლისციხელის» შემდეგ ჩემთვის თითქოს გასაგები გახდა, რატომ ამაყობდა გურამი თავისი ისტორიკოსობით («მე იმით განვსხვავდები სხვა მწერლებისაგან, რომ მე ისტორიკოსი ვარ. ვიცი ის, რაც ბევრმა მწერალმა არ იცის»), რატომ აინტერესებდა შუა საუკუნეები, ან რატომ გახდა «ქართლის ცხოვრება» მისი სამაგიდო წიგნი.

ვფიქრობ, გურამში დაძრულ ძლიერ, ოღონდ ჯერ გაურკვეველ, ბუნდოვან შინაგან ხმას ეხმიანებოდა ის, რის ამოკითხვაც მას იმ დროს «ქართლის ცხოვრებასა» და მატიანეებში შეეძლო. ეს უშუალოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული შუასაუკუნეობრივი ისტორიოგრაფიის საფუძველთან: მსოფლიო ისტორიის მთელი მსვლელობა ღვთის მიერაა წინასწარ დასახული და ამ დასახული გზით მიემართება.

თუ პირველი წაკითხვისას საშინლად განვიცადე, რომ გმირი უფლისციხელის სახელი სამუდამოდ გაქრა ისტორიიდან და მეგონა, რომ სწორედ ამაზე იყო

დაწერილი ნაწარმოები, მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მივხვდი გურამისათვის გმირის უსახელობის სიტკბოებას, რასაც ის 1958 წლის შემოდგომის დღიურში «ნეტარ უსახელობას» უწოდებს. ამ მოთხრობაში ერთმანეთს უპირისპირდება მოთხრობის სიუჟეტური მოძრაობის დასაწყისში ადამიანის ბუნებრივი სურვილი _ დატოვოს თავისი კვალი ამ ქვეყანაზე, უკვდავყოს თავისი არსებობა, თავისი სახელი, თუნდაც ისეთი უაზრო ქმედებით, როგორიც ეკლესიის კედელზე თავისი გვარის ამოჭრაა და უსახელო უფლისციხელის უანგარო თავის გაწირვის უნარი. გამოყოფის სურვილი, ერთადერთობის, განსაკუთრებულობის დადასტურება და სიტკბოება სხვაში დაკარგვისა. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ «უსახელო უფლისციხელი» პირველი ვრცელი ნაწარმოებია, რომელსაც გურამი უთარიღოდ ტოვებს («მთავარია, რომ ეს ფაქტი საერთოდ იყო და არა ის, რომ მე შემემთხვა» _ მწერლის ჩანაწერებიდან).

«უსახელო უფლისციხელში» პირველად გამოვლინდა სულის უნარი, მოახდინოს რევოლუცია (ეს სხვადასხვანაირ ფორმას იღებს მომდევნო ნაწარმოებებში: «შაშას რევოლუცია», «იულონი», «დღიური» და სხვ.): ერთ წამში დაამსხვრიოს, დაანგრიოს «ძველი ადამიანი», შეცვალოს მისი ცხოვრების გზა, თავდაყირა დააყენოს მისთვის ჩვეული სურვილები და განცდები.

ამ ზმანებისას, ჩემი აზრით, გურამი ეზიარა ქართველი და, ალბათ, საერთოდ ადამიანის უშინაგანეს, პოტენციურ უნარს იყოს მსხვერპლი, რაც, ცხადია, უანგარო ქმედებასთანაა დაკავშირებული. ეს თემა ლაიტმოტივად გასდევს გურამის მომდევნო ნაწარმოებებს და სხვადასხვა ნაწარმოებში სხვადასხვა კუთხით იჩენს თავს. «უსახელო უფლისციხელი», ვფიქრობ, არის იმ გზის დასაწყისი, რომელმაც მწერალი მიიყვანა ბოლო, დაუმთავრებელ ტრაგედიამდე «სურამის ციხე» (იხ. მეოთხე ტომში).

ასე რომ, უფლისციხეში, შემოქმედებითი ექსტაზის დროს, გურამი ეზიარა თავისსავე სულიერ სამყაროში ჩამალულ ამოუცნობ სიღრმეებს. ეს იყო მისთვის, როგორც ჩანს, აბსოლუტური გულწრფელობის წამი, განთავისუფლებული ყოველგვარი ზედმეტისაგან, ზედნადებისაგან. ამ მომენტში მიღებული ინფორმაცია იყო მისთვის ჭეშმარიტი. ეს ავსებდა მას პასუხისმგებლობით. ამიტომ უნდოდა სასწრაფოდ ექცია ის «ხილულ ფაქტად», შემოქმედებად, რათა მკითხველი თან გაეყოლა თავის გზაზე და თავისი გმირების ცხოვრებით ეცხოვრებინა. ამაში ხედავდა გურამი მომავლის საწინდარს («ორივე (იგულისხმება ლიტერატურა და ისტორია _ მ.რჩ.) ერთნაირი ძალით აშუქებს მომავალს»). ეს მიაჩნდა მას ლიტერატურის უპირველეს ამოცანად.

აქვე ჩანს მწერლის მისწრაფება, აწმყო-წარსული-მომავლის ერთიანობაში გაიაზროს როგორც ისტორიული, ასევე მხატვრული ფაქტი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ გურამის ამ სულიერ გამოცდილებას, ვაჟა გიგაშვილთან შეხვედრამდე მცხეთაში, მოჰყვა სწორედ ერთი, სამწუხაროდ, ჩემთვის ახლა უკვე ბუნდოვანი ეპიზოდი უფლისციხის ხიდზე. ამ ეპიზოდში უნდა გამოვლენილიყო მწერლის შინაგან სამყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი სულიერი ძვრები.

ეს ამბავი უამბო ბიძაჩემს თავისმა სტუდენტმა. მას გურამი უნახავს 1957 წლის ივლისის ერთ საღამოს უფლისციხის ხიდზე _ თურმე, მოაჯირს დაყრდნობილი, დაფიქრებული გადაჰყურებდა მტკვარს. გურამს მისთვის რაღაც მნიშვნელოვანი უთქვამს, რაც ახსოვდა მთელი ცხოვრება და ბოლოს უამბო გურამის ბიძას. ძია ლეომ კი მიამბო მე. რა? სამწუხაროდ, ზუსტად არ მახსოვს. ბუნდოვნად მაგონდება მხოლოდ, რომ საუბარი სიკვდილ_სიცოცხლის პრობლემას შეეხებოდა და რაღაც ქმედებას, რომლის განხორციელებაზეც ფიქრობდა ის მაშინ. ზედმეტად

მაღალფარდოვანი მომეჩვენა ყველაფერი. ეს იყო გურამის შესახებ ნაამბობი ერთ-ერთი იმ ისტორიათაგანი, ეფექტისათვის შეთხზული რომ მგონია ყოველთვის, თუმცა ამ ამბების ჭეშმარიტებაში ხშირად დავრწმუნებულვარ. როგორც ჩანს, ბიძაჩემი აპირებდა ამ მონაყოლის ჩაწერას, მაგრამ ვერ მოასწრო. მისი გარდაცვალების შემდეგ საწერ მაგიდაზე აღმოჩნდა პატარ-პატარა ფურცლები, რომლებშიც სამომავლო გეგმები იყო ჩანიშნული. ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი-გეგმა მოიცავს ჩემი ძმის ცხოვრების გარკვეულ პერიოდს, დაწყებულს ალვნიდან, სადაც ჩვენ ომის წლებში ვცხოვრობდით («1. ალვანი. დედაჩემის მონაყოლი»), და დამთავრებულს 1957 წლით («6. უფლისციხელი ჭაბუკი»).

უფლისციხიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე გურამი მივიდა ძია ლეოსთან და უთხრა, ნარკვევი უკვე დავწერეო. ძია ლეოს ეწყინა თავისი ძმისშვილის ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება საქმისადმი. ასეთ სამუშაოს ის თვეებს და შეიძლება წლებსაც კი ანდომებდა. თურმე უთხრა კიდეც: ,,როგორ უნდა დაგეწერა, გურამ, წესიერად არც კი დაგიმუშავებია ჯერ მასალა. ასე ნაჩქარევად და ქარქვეტულად ისტორიული წყაროების დამუშავება არ შეიძლება.» გურამმა უსიტყვოდ დაუტოვა ,,უფლისციხელი» და წავიდა. ძია ლეომ თქვა: გურამის წასვლის შემდეგ მაშინვე წავიკითხე მოთხრობა, ძალიან მომეწონა, მივხვდი, რომ მას სულ სხვა გზა ჰქონდა ცხოვრებაში და არასწორი ვიყავი, საყვედურს რომ ვეუბნებოდიო. აღსანიშნავია, რომ გურამი, როგორც უკვე ვთქვით, რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად შუა საუკუნეების განყოფილებაში. არქივში შემონახულია ამონაწერები შუა საუკუნეების ისტორიული წყაროებიდან. მაგრამ ყველაფერი, ისე როგორც «უსახელო უფლისციხელის» შემთხვევაში, დამთავრდა მხატვრული ნაწარმოებებით: «მუზეუმის დირექტორი»(დაბეჭდილი იქნება მესამე ტომში), «სურამის ციხე»(დაიბეჭდება მეოთხე ტომში) და სხვ.

იმავე პერიოდში დაწერილ პატარა მინიატურაში ჩანს უფლისციხეში მიღებული შთაბეჭდილებების კვალი: ,ექსკურსიაზე გრძელფეხა ჯოჯომ ხრიოკი დასერა / ღმუოდა ქარი / უფლისციხე ქალაქი ძველი / ღმუოდა ქარი.»//

«უსახელო უფლისციხელში» ჩანს გურამის ერთი თავისებურება, რაც ბევრი მისი ახლობლისათვის იყო ცნობილი: გურამი ითავისებდა ნებისმიერ ცოდვას. ეს ამ ტომში დაწერილ მოთხრობებშიც ჩანს (იხ. თუნდაც მალხაზის შესახებ დაწერილი მოთხრობები). «იულონში» ეს ასეა ჩამოყალიბებული: «არ არსებობს სხვისი ჩადენილი დანაშაული». ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია ეკლესიის კედელზე გურამის მიერ ამოჭრილი თავისი გვარი, ან თუნდაც გურამი ასეთი სურვილით. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ მოთხრობაში ის ამას სრულიად ბუნებრივად აკეთებს: «მე ვიღებ დანას და სხვა სახელების გვერდით ვჭრი ჩემს გვარს.»

დედა ხშირად ეუბნებოდა გურამს: შენ არ ცდილობ გამოეყო სხვებს. პირიქით, თითქოს გეშინია კიდეც, რომ ვინმემ კარგი არ იფიქროს შენზეო. ალბათ, ამ თვისების გამოვლენა იყო გურამის ბავშვობის ერთი მოგონება, რომლის მოყოლა უყვარდა ხოლმე დედას: მაშინ ჩვენ ალვანში ვცხოვრობდით. გურამი სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად დადიოდა სკოლაში. მამამ ახალი შარვალ-ხალათი ჩამოუტანა, ძალიან უხდებოდა, მოეწონა, მაგრამ ჩაიცვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბებომ, მისი დაჟინებული თხოვნით, ახალ ტანსაცმელს საკერებლები გამოაკერა, რომ სოფლის გოგო-ბიჭებისაგან არ გამორჩეულიყო (შესაძლოა, ძია ლეოს სწორედ ამ მოგონების ჩაწერა უნდოდა. იხ. აქვე), ან კიდევ, ერთ-ერთ ჩვენს ნათესავს შეკითხვაზე, რა ნიშნები გყავსო, უთხრა _ სამებიო. დედას ეწყინა (გურამი ძალიან კარგად სწავლობდა

სკოლაში). ნათესავის წასვლის შემდეგ გურამმა თქვა: შემრცხვა, მანამ შემეკითხებოდა ჩემს ნიშნებს, თქვენ გითხრათ, ჩემს შვილს ორიანები ვერ მოვაშორეო.

საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, მამიდა ნათელა ჯავახიშვილის მიერ მოსკოვიდან მოწერილი წერილი, რომელშიც ის გურამის სრულიად საწინააღმდეგო თვისებაზე ლაპარაკობს: «ორიგინალობ, გინდა გამოეყო სხვებს.... განსხვავებულად ჩაიცვა» და სხვ. (იხ. ტომი 5.)

კიდევ ბევრი ამდაგვარი ამბის მოგონება შეიძლება გურამის ცხოვრებიდან. «სხვაში» დაკარგვის სურვილი ბუნებრივი განცდა იყო მისთვის, ალბათ, ისევე, როგორც სურვილი ყურადღების ცენტრში ყოფნისა (იხ. ტომი 1, ბოლოსიტყვა, გურამ გეგეშიძის მოგონება და მომდევნო ტომები).

ამონაწერი დღიურიდან: *«(მინდა) ვიყო ისეთი გენიოსი, რომ სხვებისაგან არაფრით არ განვსხვავდებოდე. ...აი, ასეთი ბავშვური ფიქრებით გამომეტენა თავი».*

«უსახელო უფლისციხელი» პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს ჟურნალ ,,ცისკრის» მესამე ნომერში პეტიტით აწყობილი რუბრიკით _ «წარსულის ფერფლის ქვეშ,» 1965 წელს _ კრებულში «სალამურა», 1985 წელს _ კრებულში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

1997 წელს გამოვიდა ქართული მოთხრობების პატარა კრებული თურქულ ენაზე _ «იმედი დიდხანს ცოცხლობს.» ამ კრებულში შეტანილია ჰასან ჩელიქის მიერ (ჰ. მელიქიშვილი) თარგმნილი «უსახელო უფლისციხელი». წინასიტყვაობა დაურთო ფაჰრეთთინ ჩილოღლუმ (ბექა ჭილაძემ). ეს კრებული ხელახლა გამოიცა 1998 წელს.

,,თავის ქალა ლოდიანზე იდო...»

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1_11გვ.), უსათაურო და დაუთარიღებელი. თარიღი მიახლოებითაა დადგენილი არქივის კვლევისას შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე: ფურცელი, ხელწერა, შინაარსის პლანი და სხვ.

შინაარსობრივად, თემატიკით ის ახლოსაა, ერთი მხრივ, «უსახელო უფლისციხელთან» და, მეორე მხრივ, მოთხრობასთან «სიკვდილი მთებში». ამ ნაწარმოების ბოლო წინადადებას: «რაღაც ხდებოდა ჩემში სიკვდილის შეგრძნებასა და მის ცივ ანალიზს შორის....» თითქოს უშუალოდ მოჰყვება მომდევნო მოთხრობაში «სიკვდილი მთებში» საკმაოდ ვრცელი მსჯელობა გონებისა და გრძნობის ურთიერთმიმართების შესახებ. ეს პატარა მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს უფლისციხიდან ჩამოსვლისთანავე (იხ. შენიშვნები «უსახელო უფლისციხელისათვის» და მოთხრობა «სიკვდილი მთებში»). ვაჟა გიგაშვილმა თქვა: «თავის ქალა თურმე უფლისციხეში ლოდიანზე იდო და გურამმა თავის თავს საჩუქრად წამოუღო.»

აღსანიშნავია, რომ უფლისციხიდან წამოღებული თავის ქალა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გურამს თავის საწერ მაგიდაზე ედო. თავის ქალის ჩანახატი გვხვდება ამ პერიოდის ერთ-ერთ ავტოგრაფში და ცალკეც, როგორც დამოუკიდებელი ჩანახატი. ეს ჩანახატი დიდი ხნის განმავლობაში გურამს თავისი საწერი მაგიდის წინა კედელზე ჰქონდა ჭიკარტებით მიმაგრებული (იხ. მოთხრობა «ჩემ წინ კედელზე ათი სურათი ჰკიდია...»). თავის ქალებით ვაჭრობას ველურების რომელიღაც სოფელში დათმობილი აქვს მთელი მოქმედება 1957 წლის შემოდგომაზე დაწერილ დაუმთავრებელ პიესაში (დაბეჭდილი იქნება მეოთხე ტომში).

მოთხრობა გამოუქვეყნებელია.

სიკვდილი მთებში

არსებობს მოთხრობის შავი ვარიანტი, რომელიც შედგება ოთხი ნაწილისაგან. ოთხივე ნაწილი ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაა დანომრილი. პირველი ნაწილი(1_15გვ) იწყება სიტყვებით: *«ალფრედ კურელა ყველაზე ადრე გამოძვრა...»* და მთავრდება ფრაზით: *«...მერე ადგა და ხელი ჩამომართვა...»* მეორე ნაწილის (1_28გვ) დასაწყისია: *«პირველი, რაც ალფრედ კურელამ შეიგრძნო...»* დასასრული: *«ჯერ კიდევ აზრზე არ არის, ბიჭო. _ თქვა ვაჟამ. _ რა ვიცი, _ თქვა გურამმა.»* მესამე ნაწილის(1_14გვ.) პირველი სიტყვებია: *«გურამი და ვაჟა საფლავის ქვაზე ისხდნენ...» უკანასკნელია: «ვერ ვიტან იქ ფეხით სიარულს, სადაც მანქანით შეიძლება...»* ამ ნაწილში ერთი გვერდი ნაწერია წითელი ფანქრით. მეოთხე ნაწილი(1_4გვ.) იწყება სიტყვებით: *«კოლმეურნემ» ასი უჩვენა...»* და გრძელდება ბოლომდე.

არქივში ინახება, აგრეთვე, 1960 წლამდე გადაბეჭდილი ცალი (1_26გვ.). ეს ვარიანტი მივიჩნიეთ მწერლის ბოლო ნებად. თეთრი ხელნაწერი დაკარგულია. გადაბეჭდილი ტექსტი დაყოფილია ნაწილებად ინტერვალებით. პაგინაცია საერთოა. დაყოფა ყოველთვის არ შეესაბამება შავი ვარიანტისას. არქივზე მუშაობის პერიოდში ნაბეჭდ ტექსტში რამდენიმე სიტყვა შეტანილია ჩემ მიერ. არსებობს, აგრეთვე, ჩანაწერები შავი(1გვ.), (1გვ.) და თეთრი ვარიანტისთვის(1_2გვ.), (7_12გვ.). დაწერილია სხვადასხვა ხელით. ესეც ადასტურებს თეთრი ვარიანტის არსებობას. ვახტანგ ჭელიძემ თქვა, დამეკარგა ხელნაწერებით სავსე რამდენიმე საქაღალდეო. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ იქ იდო გურამის ავტოგრაფებიც. ამ მოთხრობის ავტოგრაფებთან ერთად ინახებოდა მოკლე დღიური(1გვ.).

შავი ავტოგრაფი არც დასათაურებულია და არც დათარიღებული. ნაბეჭდი ტექსტი დასათაურებულია. ტექსტის ბოლოს თარიღი ფრჩხილებში ჩემ მიერაა დასმული. მოთხრობა ამ სათაურით მოიხსენიება 1957 წლის დღიურში (იხ. ქვემოთ) და, აგრეთვე, 1958 წელს მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში (იხ. ქვემოთ). თარიღი მიახლოებით დადგინდა ზემოთ ნახსენები დღიურისა და მოგონებების საფუძველზე.

შავი ვარიანტი რამდენიმე ადგილას იმავე ფერის მელნით ნასწორებია მწერლის მიერ, სავარაუდოა, წერის პროცესშივე. ნაბეჭდ ტექსტში გათვალისწინებულია ეს სწორებები. წითელი და ყავისფერი ფანქრით ხელნაწერი გასწორებული უნდა იყოს მოგვიანებით. სწორებები უმნიშვნელოა. აი, ზოგიერთი მათგანი: *«სტიოპა»* ყველგან შეცვლილია *«სტეფანეთი»,* მეოთხე გვერდზე *«გრანდიოზული»* შეცვლილია *«დიდით»* (*«სვანეთი უფრო დიდია»*). ყავისფერი ფანქრით მეხუთე გვერდზე სიტყვების შემდეგ: *« _ რა, დავბერდი?»* ჩამატებულია: *«ისევ იკითხა ელპიდემ.»* მეშვიდე გვერდზე წინადადებაში: *«... წვერების წაკვეთილი თავებიღა მოჩანდა მზეზე»* წაშლილია სიტყვა *«წაკვეთილი»*. ხოლო ფრაზაში: *«კლდე შავი და უჟმური ჩანდა» «უჟმური»* შეცვლილია *«ჟანგიანით».* მეცხრე გვერდზე: *«საროჩკა»* შეცვლილია *«პერანგით».* მეთერთმეტე გვერდზე თავდაპირველად ეწერა: *«გზა ხევზე მიდიოდა ... ცხენი მიჭენავდა და ძალა აღარა ყოფნიდა, უფრო ვაფიცხებდი. ვგრძნობდი, რომ ნიავი მირტყამდა სახეში. სახე უფრო გამიხურდა ...»ვგრძნობდი, რომ ცხენი ოთხით მიჭენავდა».* ეს ნაწილი თავდებოდა სიტყვებით: *«ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.»* ავტორისეული სწორებები იხ. ნაბეჭდ ტექსტში. ხელნაწერის მეორე ნაწილის მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე გვერდები ნაწერია უბრალო ფანქრით, ვფიქრობ, რომ გაუთავდა მელანი. მეთორმეტე გვერდიდან გრძელდება იმავე ფერის

მელნით. მეთექვსმეტე გვერდზე გაკეთებულია ორი აღნიშვნა გვერდების ჩასამატებლად. მესამე ნაწილში ჩამატებულია გვერდი 6ა _ მსჯელობა «რომ»-ზე. ნაწერია წითელი ფანქრით. მეოთხე ნაწილის მესამე და მეოთხე გვერდები გადაშლილია მწერლის მიერ. გადაშლილი ტექსტი: *«... მას მხოლოდ მხრები ერხეოდა. სარეცელის დანახვამ, სადაც ბოლო ღამე გაატარა, ყველაზე ძალიან აგრძნობინა უცოლობა. აქ იწვნენ უკანასკნელად ერთად და მეუღლის ჯიშიან ძუძუებში ედო ხელი. ელპიდე კოცნიდა მოხუც ქმარს და ხევსურეთზე ელაპარაკებოდა, მერე უფრო ახლო იწვნენ ერთმანეთთან, აქ იწვნენ ერთად ბოლოს, ახლა კი ერთად ვეღარ დაწვებიან. თუ დაწვება სხვა ქალთან, ის სხვაა, ის ნაცნობი სხეული კი, რომელთანაც ოცი წელი იწვა, აღარ არის. აღარ არის ელპიდე. ახლა, ბოლოს, აღაქმევინა სარეცელმა, სადაც ბოლო ღამე გაატარეს, ალფრედს დანაკარგი. ის ეგდო გულდაღმა, მოხუცი, ზორბა ალფრედი და ცახცახებდა. სტეფანე ისევ ისე მოყუჟული იჯდა. არა ტიროდა. ალბათ იმიტომ, რომ დედის სიკვდილი მას ფიზიკურად არ დააკლდა. მამამისს კი დააკლდა და ამ ფიზიკურმა დანაკარგმა აატირა. სულიერის დამალვა კი ორივემ უცრემლოდ შეძლო.»*

შავი ხელნაწერის მერვე გვერდიდან გმირის ვრცელი შიდა მონოლოგი არ არის გადატანილი ნაბეჭდ ვარიანტში. მასში გამოთქმული მოსაზრებები გაფანტულია მომდევნო ტექსტში:

«არაფერსაც არ იკლავს, დგას და იღებს სურათს». «უკვე შეეგუა, რა საოცარია, როგორ, არ მესმის, ის ბიჭიც რა კარგად არის. ნუთუ არ უყვარდათ, არა, ჩვენზე ძალიან ეგენი არიან ახლო ცოლთან, მის მეტი მეგობარი არც კი ყავთ, არა, ეს სიმაგრეა. გერმანული სიმაგრე. მიხვდა, რომ ვერ უშველის, მოკვდა და შეეგუა. რა თქმა უნდა დარდობს, მაგრამ საქმეს არ გააფუჭებს იმისათვის, რასაც იმ საქმის გაფუჭებით არ ეშველება. იმათთვის ის უკვე მკვდარია, ცხედარი. მაგათ უკვე შეძლეს იმის მიღწევა, რასაც მე ვცდილობდი უბრალო სადარდელზეც კი. ე.ი. კი არ შეძლეს, ერსა აქვს სისხლში რაღაცნაირი დარდი პერსპექტივაში. თუ მაინც უნდა მოინელო ოდესმე რისიმე დარდი, თუნდაც თვის, წლის ან სამი წლის მერე, ჯობია მოინელო მაშინვე, რამდენადაც შეიძლება ადრე გაითვალისწინო დარდი პერსპექტივაში. მას აშკარად მოწონდა ახლა კურელა და მისი შვილი, მერე მოაგონდა რემარკის «ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა», უფრო კარგად შეიგრძნო სიკვდილი. «ალბათ სიკვდილს ყველა ერთნაირად განვიცდით ქართველებიც, გერმანელებიც, მხოლოდ სხვადასხვანაირად გამოვხატავთ, თუმცა არაა ეს სწორე, ჩვენ მაშინ ვგრძნობთ სიკვდილს, როცა კვდება, ჩვენთვის ზარია, იმათთვის რაღაც აუცილებელი. მომხდარი ჩვენთვისაც უნდა გახდეს რაღაც აუცილებელი, მაშინ ვიქნებით ჩვენც ძლიერები. თუმცა რატო უნდა იყოს ისე, სწორედ იმიტომაც არიან ცივი ხალხი ეგენი, სადღაც ხო უნდა გქონდეს გრძნობა, თუმცა არ ვიცი, შეიძლება ის მეტი გრძნობაა, ვიდრე ეს დეკორატიული ჩვენი დარდივით, თუმცა ვინ იცის, არც მე ვიცი. მე ვიცი, რომ მოკვდა ის ქალი მართლა ტრაგიკულად, საწყალი, საწყალი მისი ქმარი, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ზაფხული გაუფუჭდა, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ.»

ჩანაწერები შავი ვარიანტისათვის:

«ნეტა მეც ასე შემეძლოს, _ გაიფიქრა გურამმა

«მაშ იცის, რომ გრძნობა არ ყოფნის, იმიტომ ამართლებს, _ ფიქრობდა გურამი.

არა, ეს სიმაგრეა».

«არ უნდა გადამედო, იცოდე გრძნობა სად, გონება სად, მაგრამ ეს ხომ გონებაა, შენ კი არ უნდა იცოდე, შენში უნდა იყოს ის თავისთავად.»

«შესაძლოა, ყოველივე ეს არ იყო ესე, მხოლოდ მე ის ასე აღვიქვი.»

«ნეტა რატო იმართლებს თავს ეგეთ რამეზე, _ ან შვილი რო არ ტირის, ან თვითონ რომ აკეთებს თავის საქმეს, ან საერთოდ, არა იმდენ დარდს, რამდენიც მართებს ჩემი გაგებით, მაინც სუსტია რაღაცაში, თავს რო არ იმართლებდეს, სხვაა მაშინ. ნამდვილად იცის, რო მეტი დარდია საჭირო და გრძნობა არა ყოფნის ალბათ, მაგისი ბრალია, თავის მართლებაც ალბათ ყველაზე პირველად თავის თავთან ჭირდება, რაც გინდა იყოს დილით ერთად იყვნენ, ახლა კი ცოლი აღარაა.»

თეთრ ავტოგრაფში ჩასამატებელი ტექსტი (დაწერილია თეთრი ავტოგრაფისათვის დამახასიათებელი კალიგრაფიით):

«ალფრედი ზევით წავიდა ამობრუნებული გოროხებისაკენ, ზორბა სხეული დაებჯინა ლოდიანს. ერთხანს ასე იდგა. გურამი ქიმის ქვევიდან უყურებდა. მას ახლა აშკარად მოწონდა გერმანელი მწერალი, რომელიც ყველანაირად იკავებდა თავს, რომ თავისი დარდით სხვა არ შეეწუხებინა. ის მიხვდა, რომ მას ჰქონდა დარდის განჭვრეტის უნარი მომავლის გათვალისწინებით. მისი დარდის განჭვრეტის უნარი პერსპექტივაში, თუ მაინც თავში ცემით არაფერი ეშველებოდა სწორედ ასე ვაჟკაცურად უნდა მოქცეულიყო კაცი როგორც ალფრედი. ე.ი. გაეთვალისწინებინა დარდი პერსპექტივაში, თუ ის /დარდი/ გადასატანი იყო თვის, წლის ან სამი წლის მერე _ გადაეტანა გაცილებით ადრე, თუ დაძლევდა თავს _ მაშინვე. სხვა ალბათ მის ადგილას დაიწყებდა ძნელ, მოუხერხებელ მოგზაურობას ცოლის ცხედართან ერთად გერმანიამდე. მან კი უცებ აუღო ალღო მთელ სირთულეებს, მიუხედავად ასეთი დიდი მოულოდნელი სიმწუხარისა, გადაწყვიტა დაეკრძალა აქვე, მთაში, სადაც თუ მიცვალებულს შეუძლია რამე იგრძნოს, იგრძნობს მხოლოდ უზარმაზარ კმაყოფილებას, ასევე კმაყოფილები იქნებიან ცოცხლად დარჩენილები, რომ ცოლი და დედა დამარხული ყავთ სადღაც, შორეულ კავკასიაში, ხევსურეთში; გაცილებით მეტი რომანტიკაა ამაში, გაცილებით მეტი გონება და გრძნობა, ვიდრე სამშობლოში გადასვენების მთელი სირთულე, ხიფათები, რასაც თუ საჭირო იქნებოდა ცხედრისათვის არ დაიშურებდა ალფრედი.»

არქივში შემორჩენილია თეთრი ავტოგრაფის (დაწერილია თეთრი ავტოგრაფისათვის ჩვეული კალიგრაფიით) რამდენიმე გვერდი(7_12გვ.). მეშვიდე გვერდის დასაწყისი: «ჭაუხების თავისკენ», მეთორმეტე გვერდის დასასრული: «რაღაც ღიმილის მსგავსი გააკეთა.» ეს გვერდები ნასწორებია გურამის მიერ. ტექსტის გასწორებისას გამოვლინდა მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის ერთი თავისებურება. ამ თავისებურების შესახებ სხვა ნაწარმოებთა შენიშვნებშიც იყო ნათქვამი: გურამი ადვილად ელევა მნიშვნელოვან სათქმელს და ურჩევნია ამოცნობა-არ ამოცნობის ზღვარზე დატოვოს ის, გადაიტანოს ქვეტექსტში. (ამონაწერი დღიურიდან: «პოდტექსტი» რომ გავშიფროთ მარტივი ენით, ეს ის აზრია, რომელიც პირდაპირ რომ თქვა, ყველა იტყვის, რომ დიდი არაფერიაო, ხოლო თუ გაითამაშებ დამალობანას და შენიღბავ აზრს, მაშინ ყველას დიდ სიღრმედ მიაჩნია»).

მომყავს თეთრი ვარიანტის ის გვერდები, რომელთაც მწერლის მუშაობის კვალი ატყვიათ:

«ამღაში რკინაულის ბავშვის სამუკას ხარჯები იყო. იქიდან გადმომყვა სიმთვრალე ახიელშიც. საიდანღაც ოდნავ მოიღრუბლა. მზე დაიბურა და ჩამოცხა. მხოლოდ ბანზე გრილოდა. მე ვიჯექი ბანის კიდეში და ლუდისაგან სიმთვრალეს არყით ვირჩენდი.

_ ეს შენ გაგიმარჯოს, ანიკო, _ გავუღიმე დიასახლისის ქალს.

_ გაგიმარჯოს, კარგი ხარ, _ დალოცა ვაჟამაც.

ჟიპიტაური მაგარი იყო და მთელ ბანს თავისი სუნით ავსებდა. მე შევეჩვიე და მსიამოვნებდა მისი სმა. ვაჟასაც სიამოვნებდა. გუშინ ექსპედიციად ჩამოსული თბილისელი ექიმები უნიათოდ იღიმებოდნენ.

_ ნეტა როგორ სვამთ მაგას, ალბათ, შეეჩვიეთ, არა? _ დაინტერესდა მიამიტი სახით ქერა და მსუქანი.

_ ჟიპიტაური კარგი სასმელია, _ თქვა ყელში ბოხად მეორემ.

მე დავუსხი და გავუწოდე.

_ არა, გმადლობთ, მე დაღლილი ვარ, მერე კი, _ თქვა მან. დასხმული ყანწი მე თვითონ დავლიე, მერე ვაჟას შევუვსე. ვაჟამ (გადაშლილია: ***«რაღაც» «რა, არ გამიგია»****) სადღეგრძელო დალია, (გადაშლილია:* ***«შეუმჩნევლად მინდებოდა სმის გარდა სხვა რაღაც»****) ხევს გაღმა ულაყი ება და ვგრძნობდი როგორ მევსებოდა ჭენების ჟინი. რაც არხოტში ვიყავი, ვერსად ჩავიგდე ცხენი ხელში, არც მიცდია ძალიან, ახლა კი მომინდა. [ ] ალბათ ცოტა დროდა მრჩებოდა ხევსურეთში ყოფნის და იმიტომ. უფრო მომინდა ჭენება, მერე ორღობეში ვიღაც მხედარი გავარჩიე უჯრედებიან პერანგში. ცხენი ღობეს მოეფარა და მხოლოდ მხედრის სახე ჩანდა. (გადაშლილია:* ***«რატომღაც ვიგრძენი, რომ იმ ცხენს ვაჭენებდი.»****) ოდნავ წამოვიწიე.*

_ არავინ ცხოვრობს ამ სოფელში? _ ქლოშინით თქვა მხედარმა.

_ აბა, აქეთ მოდი, _ დავუძახე მე. (გადაშლილია: ***«ვგრძნობდი რომ უეჭველად გავაჭენებდი იმ ცხენს.»****) გახურებული ფაშატი ტორტმანით მოაწყდა ღობეს.*

_ გერმანელები მომყავდა და ... _ დაღლილობისაგან ის ძლივს იჯდა უნაგირზე. _ ქალი გადმოვარდა აღმართის თავში, კვდება.

მე ჯერ ვერ მივხვდი ვისზე იყო ლაპარაკი, მერე უცებ გამახსენდა, რომ აქ ამ დროს გერმანელი მწერალი უნდა შემხვედროდა თავისი ცოლით.

_ კვდება? (გადაშლილია: ***«ხმამაღლა ვიკითხე მე და ვიგრძენი, რომ ახლა იმ ცხენზე გადავჯდებოდი, გავაჭენებდი. მარცხის ამბავმა ამაღელვა და ჩემ ჭენებას მიზანი მისცა.»****) დავიძახე მე.*

_ აჰა, თუ ძმა ხარ, _ ძლივს გადმოვიდა ცხენიდან ის და მე პირდაპირ გადავახტი უნაგირს; გზა ხევზე მირბოდა. (გადაშლილია: ***«ცხენი მიჭენავდა და მეც ვქშინავდი მასთან ერთად.»****) სახეში ნიავი მირტყამდა,* (გადაშლილია: ***«მწვავდა»***) *შემდეგ შუბლი გამიხურდა* (გადაშლილია: ***«და უფრო მძიმედ დავიწყე სუნთქვა».***) *ცხენი მოკლე ოთხით გადადიოდა ქვებზე და მე გიჟივით* (გადაშლილია ***«კმაყოფილი ვიყავი»***) *ამიტაცა ჭენებამ. გზა ფერდობზე ავარდა.* (გადაშლილია: ***«ზევით აუხვია, დაიწყო შეღმართი. ჩორთზე გადასულ ცხენს თექალთო ზურგიდან გამოუხოხდა და ნელა წავიდა კისრისაკენ, მერე სულ გამოძვრა უნაგირს ქვევიდან.»***) *უკან მოვიხედე; წერტილივით ვიღაც მოძრაობდა ხევში. «ვაჟაა! -* (გადაშლილია: ***«_ გავიფიქრე, _ რა მაგრად მორბის, ყოჩაღია,»***) *_ ნეტა როგორ არის ქალი,* (გადაშლილია: ***«სიკვდილი?»***) *მოკვდა? ასე უცებ რა სისულელეა.» _ გავიფიქრე.*

(გადაშლილია: ***«ცხენიდან ჩამოვხტი, უნაგირი მოვაძრე ზურგიდან»****) იქვე დავაგდე, ახლა უბელოზე გადავჯექი, ცხენს ძალა მიეცა. გზა ხევის Yთავზე ეკიდა,* (გადაშლილია: ***«და ფერდა ზევით დეკიანი იყო, ქვევით ქვიანი. ცხენი მოკლე ოთხით გადადიოდა დაგრეხილ გზაზე. მე ვგრძნობდი ჭენებას, მე ვგრძნობდი, რომ მივაჭენებდი გადასარჩენად ვიღაცის, ვისაც არ ვიცნობდი და»***) *რაღაც მეუფლებოდა ჭენების ჟინსა და სხვისი სიკვდილის შეგრძნებას შორის. შორს, ლოდიანის ძირში, შეკაზმული შავი ცხენი ჩანდა; რატომღაც მეუხერხულა იქ ჭენებით მისვლა* (გადაშლილია: ***«ეს მხოლოდ წამით»***). *შემდეგ ცხენს გავაზე საბელი გადავუჭირე. გაქანებული მივაგდე შავ ცხენთან და ჩამოვხტი. შავი ცხენი ბექობზე იდგა, მის უკან,*

*ლოდიანებს შუა, მწვანე იყო ჩაღრმავებული. მწვანეზე ქალი ეგდო გადახეთქილი შუბლით და თავთან ქერა თმიანი ბავშვი ეჯდა. ბუზებს უგერიებდა მიმხმარი სისხლიდან. კაცი _ ალფრედ კურელა _ ფეხებგაშლილი ედგა თავზე შუბლგადახეთქილ ქალს და სურათს უღებდა. სულ ბუნდოვნად მესიამოვნა, რომ იმან იმ კლდეში გაჭენებულ ცხენზე მჯდარი მნახა, შემდეგ ყველაფერი გაქრა; ახლა ჩემ წინ მხოლოდ ტრაგიკულად მომკვდარი (*გადაშლილია: ***«შუბლზე სისხლშემხმარი»)*** *ქალი იწვა.*

_ Was ist mit inen? _ ვკითხე მე გერმანულად, აღვირი ხელში მეჭირა და კაცს ვუყურებდი.

_ მორჩა, _ თქვა მან რუსულად.

_ Wie, sie glauben das ist das Ende (როგორ, თქვენ გგონიათ ეს ბოლოა?) _ არ მოვეშვი გერმანულს.

_ Ja, _ თქვა კურელამ. _sind sie Gurami? _ განაგრძო და რაღაც ღიმილის მსგავსი გააკეთა.»

1957 წლის 15-16 ივლისისათვის ნოდარ ჩხეიძე, ვაჟა გიგაშვილი, გიორგი შენგელაია და გურამი ხევსურეთში გაემგზავრნენ. სურსათ-სანოვაგით მომარაგებული, ოთხი კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია საბარგო მანქანით თავდაპირველად ჟინვალში ავიდა. ვაჟას გადმოცემით, მათ ჰქონდათ ერთი ორლულიანი თოფი, ერთი ფოტოაპარატი (თურმე ძლივს იშოვეს) და ერთი საძილე ტომარა. იქიდან ავიდნენ ბარისახოში, გურამის ძმადნაფიც მგელიკა ჭინჭარაულთან. (მგელიკა და გურამი ძმად გაიფიცნენ **1952** წელს.) მაშინ ჩემი ძმა პირველად ავიდა ხევსურეთში პიონერთა სასახლესთან ერთად. მგელიკა თვითონ არ იყო შინ. დახვდათ მგელიკას დედა და უმცროსი და-ძმა. ღამე ბიჭებს მასპინძლებმა ჭერხოში, ზედა სართულში გაათევინეს. მეორე დღეს მგელიკას დედამ ცხენი ათხოვა და ლიქოკის ხევში თავისი ნათესავები მიასწავლა. საღამო ხანს მათ ბარგი აჰკიდეს ჯერანას და გაუდგნენ გზას. გზაზე შეხვდნენ ეთნოგრაფები _ ბარდაველიძე, ჩიტაია. მათთან ერთად ყოფილა ზურაბ წერეთელიც. დაღამებულზე მივიდნენ ჭალასოფელში, მისწავლებულ მასპინძელთან. მასპინძელმა გამოუცხო ხის ბეჭდებით დაბეჭდილი ხაჭაპურები. დილით შეუყვნენ ლიქოკის ხევს სათავისაკენ, გავიდნენ გვერდით გამყოფ ქედზე და ხევსურეთის არაგვის ხეობაში გადავიდნენ, ველკეთილთან, დათვის ჯვრის უღელტეხილის დასაწყისთან. შემდეგ ავიდნენ უღელტეხილზე და დაეშვნენ ქვევით, არღუნის ხეობაში. საღამოს ჩავიდნენ ლებაის კარში. იქ ღამე გაათენეს ერთი ხევსურის ბანზე, ჩარდახის ქვეშ. საღამო ხანს დაალაგეს ყველა პროდუქტი ერთად, რაც ჰქონდათ, და დაგეგმეს, როგორ გაენაწილებინათ, რომ ყოფნოდათ მოგზაურობის დროს. უთენია გიორგისა და ნოდარ ჩხეიძეს მოესმათ ბათქა-ბუთქი. თოფის ხმას გურამისა და ვაჟას ხმამაღალი სიცილი ენაცვლებოდა. თურმე ვაჟასა და გურამს დაელაგებინათ მთელი კონსერვები ქვებზე და ხვრეტდნენ. თქვეს: თუ აქა ვართ, ამ მთაში, ეს არ გვჭირდებაო. საღამო ხანს მასპინძელს გამოართვეს ერთი ცხენი და მოაწყეს ტურნირი. ამ ორი ცხენით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყველა ყველას შეხვდა. ოთხნი იყვნენ და გამოვიდა ექვსი «მატჩი». აჭენებდნენ ლებაის კარის ცნობილ კოშკამდე, შემოურბენდნენ და ბრუნდებოდნენ უკან. ვაჟა გიგაშვილმა ყველა წყვილს ცალ-ცალკე გადაუღო სურათი. შემორჩა მხოლოდ გურამისა და ნოდარ ჩხეიძის ფოტო. დილით დარჩენილი ბარგი აჰკიდეს ჯერანას და ჩაუყვნენ არღუნის ხეობას. გადაწყვეტილი ჰქონდათ შატილში ჩასვლა. ერთმა გიორგიწმინდაში მიმავალმა მოხუცმა მიასწავლა გზა. აღმართებზე

გურამი თურმე სულ წინ მიდიოდა საკინძეგახსნილი, ცხენივით დაბერილი ნესტოებით. შეჯიბრის სურვილით იყვნენ შეპყრობილები, ვინ უფრო მაგრა ივლის, ვინ უფრო ღონიერია და სხვ. ეს სურვილი გურამის გვერდით ყოველთვის გვეუფლებოდა ხოლმეო, მითხრა გიორგი შენგელაიამ. გიორგის თქმით, საბოლოოდ, სიარულში თურმე ყველას ნოდარ ჩხეიძემ აჯობა. შატილი თითქმის ცარიელი დახვდათ, რამდენიმე უკან გამოპარული ოჯახი იყო მხოლოდ ამობრუნებული, ეშინოდათ. სხვები ბარში იყვნენ გადასახლებულები. ბიჭები მიტოვებულ ცარიელ კოშკში მოთავსდნენ, მესამე სართულზე. ჯერანა ბღოღიალით აჰყავდათ ხოლმე მეორე სართულზე. ხევსურებმა გააფრთხილეს, პირუტყვს გარეთ ნუ დატოვებთო, რადგან ტყეში გახიზნული იბასა და ხუშპაროვის ბანდების ნარჩენები შიგადაშიგ თავს ესხმოდნენ ხევსურებს და საქონელს იტაცებდნენ. ეს ის ხალხი იყო, რომელიც არ დაემორჩილა სახელმწიფო გადაწყვეტილებას, ტყეში გავარდა და, ბუნებრივია, თავდასხმებით ირჩენდა თავს. გურამმა შატილში ყოფნის პირველივე საღამოს იქაურებისაგან ერთი ცხენიც ითხოვა და ორი ცხენით წყვილ-წყვილად, ორ რიგად ჩავიდნენ ანატორის აკლდამებთან. სამიოდე დღის შემდეგ ისევ აჰკიდეს ბარგი ჯერანას და უკანვე ამოუყვნენ ხეობას. გურამმა თურმე აიტეხა, არხოტში უნდა გადავიდეო. «არ მახსოვს, მგონი, არ იყო იქ ნამყოფი და იმიტომ...» თქვა გიორგიმ. როგორც შემდეგ გაირკვა, ახიელში გურამი უნდა დალოდებოდა გერმანელებს. თბილისში გოგი ოჩიაურმა სთხოვა თურმე მეგზურობა გაეწია გერმანელ მწერალ კურელასათვის. კურელა თავის ცოლთან და ვაჟიშვილთან ერთად აპირებდა ხევსურეთში მოგზაურობას (გურამი გერმანულად თავისუფლად მეტყველებდა, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, კურელამაც იცოდა ცოტაოდენი რუსული). ისინი არხოტში ხევსურებს უნდა გადმოეყვანათ და მერე მათთან ერთად აპირებდნენ გზის გაგრძელებას. ვაჟა გიგაშვილის ნაამბობი:

«...შევუხვიეთ მარჯვნივ, გუროს ხევში, ავედით ხევის თავში, სოფელში არ შევსულვართ. შეგვხვდა ერთი გუროელი ხახონა, ამასთან კიდევ დავაზუსტეთ არხოტის გზა და გავაგრძელეთ აღმართი. გავედით მთავარი ქედის კეხზე და მას გავყევით. აქ უნდა მოგვენახა ჩასასვლელი და ჩაგვეხვია ისევ ჩრდილოეთისაკენ. ეს ხევი გაგვიყვანდა ასას ხეობაში, არხოტის თემში. ქედზე დიდხანს ვიარეთ. უკვე დაბინდდა და ჩვენ კი ისევ ზევით მივდიოდით. ალპიური ზონაც გათავდა და კლდეებში და ნაშალებში მივეხეტებოდით. უკვე თოვლებიც გვხვდებოდა. აშკარა გახდა, რომ ავიბენით და ახლა რაღაც მწვერვალების მისადგომებში დავბორიალობდით. დაღამდა. რა გაეწყობა, აქვე უნდა გაგვეთია. ჩავიწიეთ ფერდობზე, შედარებით მიფარებულში და დიდ ლოდებში მოვეწყვეთ. საჭმელი არა გვქონდა. მხოლოდ რამდენიმე თავი ნიორი. ძალიან ციოდა. ძილბურანში და კანკალში გავატარეთ ღამე. ერთი სული გვქონდა, როდის ამოვიდოდა მზე. მაგრამ გათენდა თეთრად, ჩამობნელებულად. ნოტიო ნისლით ვიყავით დაფარული. გახდა დილის თერთმეტი საათი და ნისლი არ გაიშალა. აღმოვაჩინეთ, რომ ჯერანაც აღარაა. მე და გურამი წავედით მოსაძებნად ვითომ, მაგრამ სამი-ოთხი ნაბიჯის იქით აღარაფერი ჩანდა. წამდაუწუმ ვდგამდით ქვებისაგან ნიშებს. ვივლიდით, ვივლიდით და ჩვენსავე ნიშას წავაწყდებოდით. ადგილზე ვტრიალებდით. მერე გურამმა მითხრა: შენ ბიჭებთან გაბრუნდი, ისინიც არ დავკარგოთ, ან სადმე არ წავიდნენო. გზაზე სულ ნიშები გააკეთეო. მაჩვენა ადგილი საიდანაც აპირებდა ქვემოთ ფერდაზე ჩასვლას. აქაც ნიში დავდგი და გამოვბრუნდი. ყვირილ-ყვირილით მივაგენი ნოდარსა და გიორგის. დავსხედით. დავიწყეთ ცდა. დაუბერა ნიავმა და ნისლი ამოძრავდა. მერე გაიხა და დაიფლითა. გამოჩნდა ჩვენგან ქვემოთ ჩაკიდებული ორწოხები და შორს,

ქვემოთ ჩაკლაკნილი ჩანჩქერები. გიორგის ვეუბნები: ნახე, ნახე, რა მაგარია-მეთქი. დამანებე თავი, გახედვაც არ მინდაო _ მიპასუხა. ნისლი გადაირეკა. მობრუნდა გურამი და შტორმოვკის კალთაში გახვეული ხვრეტელას ცომები მოგვიტანა. მეცხვარეს წაწყდომია: ფარა დაუნახავს და ქვემოთ ჩასულა. იმას უსწავლებია, რომ ამ გვერდის კეხის ძირას (რომელსაც გურამი ჩაჰყვა) სოფლებია. ჯერანაც აქვე იყო, იალაღზე. ჭკვიანურად მოქცეულა, საბალახოზე ჩასულა და მთელი ღამე იქა ძოვდა. კარგად იყო გამაძღარი. ვჭამეთ ხვრეტელა ნიორთან ერთად და დავეშვით ქვემოთ. ეს სოფლები აღმოჩნდა: წინხადუ, უკანხადუ და ზეისტეჩო. (გურამის ერთ-ერთი ბოლო დაუმთავრებელი რომანის სიუჟეტი ამ სოფლებში ვითარდება. დაიბეჭდება მესამე ტომში). აქ ხატობის დღეობები იყო. სამი დღე ღრეობაში გავატარეთ. მონაწილეობა მივიღეთ ცხენის ჭენებაშიც. ათიოდე წლის შემდეგ მოვხვდი იქ ისევ და კიდევ ახსოვდათ: შენ არ იყავი, თბილისელები რომ იყავით და ცხენები არბივეთო. ერთი რომ იყო, კინაღამ ხევსურებს რომ მოგვიგოო (გურამზე.) აქ გავიცანით ხევსურეთში სახელგანთქმული ოქრომჭედელი თაველექა. მისი ნახელავი ბეჭდები და საცერულები თბილისშიაც ჩამოვიტანეთ. შემდეგ გავიყავით. ნოდარი (ნოდარ ჩხეიძე, ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, გურამის უფროსი მეგობარი, უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა გურამის გარდაცვალებიდან ცოტა ხანში.) ცოლის მშობიარობას ელოდა, პირველი ბიჭი შეეძინა. გიორგის კი გადაღებები ეწყებოდა, ჭიაურელის ფილმში თამაშობდა მთავარ როლს. ამათ გავატანეთ ჯერანა და ზედმეტი ბარგი. მე და გურამი თოფებითა და ცარიელა ზურგჩანთებით უკან შევუდექით მთავარი ქედის აღმართს. გზაზე როჭოებზე ვინადირეთ და ნანადირევაკიდებულებმა გავაგრძელეთ გზა. ამჯერად ადვილად მივაგენით კალოთანას ჩასახვევს და დავეშვით ჩრდილოეთისაკენ. გზად პაწია ქვის წყაროსთან შევისვენეთ. წყალი დავლიეთ. უცებ ჩვენს გვერდით დაეცა ქვა, მერე მეორე, მესამე. გავიხედეთ ზემოთ და თვალი წავასწარით როგორ დაიმალნენ ყორეებს იქით ბალღების თავები. მერე გამოირკვა, რომ «სამრევლოს» ტერიტორიაზე ჩამოვმსხდარვართ, «სადიაცო ქოხებთან», მათი წყარო დაგვილევია. ეს კი მამაკაცებისათვის ძალიან სათაკილო საქმედ ითვლება. შემდეგ ავედით ამღაში. თავის ბანზე მოგვეგება დავითო წიკლაური სიცილ-ხარხარით; ეს რა მოგსვლიათ, კაცებო. მერე როჭოები დაინახა და ახლა ამაზე ატეხა ხარხარი. ხევსურები ნადირობას მხოლოდ ნადირზე თვლიან და ჩიტებზე ნადირობა ბიჭ-ბუჭების საქმედ მიაჩნიათ. საერთოდ, ეს დავითო ისეთი ენამახვილი და ხუმარა ვინმე გამოდგა, სულ თავბრუ დაგვახვია. მივაწექით ყველ-ერბოსა და არაყს მოშიებულები და თან დავითოს მოგონილი ამბებისა და ლექსებისაგან სულ ვხარხარებდით. უკვე მაგრად ვიყავით შეხურებულები და თან სიცილ-ხარხარისაგან დავითოს «ზენას» ზანზარი გაუდიოდა, რომ კარზე მოაკაკუნეს. გაღებულ კარში გავარდნილ ბოლში ვიღაც ბოხოხიანის ლანდი გამოიკვეთა, დაიწყო რაღაც ლაპარაკი იმასა და დავითოს შორის. შიგნით სიჩუმე ჩამოვარდა და ვაყურადებთ: რაღაც ცუდი ჯაჯღანი ისმის კარიდან და უკვე ყვირილშიაც გადადის. უცებ ვხედავთ, დავითომაც და იმ მოსულმაც ხანჯლებზე იტაცეს ხელი. მაშინ კი გადავეშვით, გახურებულები, მე და გურამი ჩვენი მასპინძლის (რომლის შეყვარებაც უკვე მოვასწარით) დასაცავად. აი, მაშინ ატყდა თუ ატყდა სიცილ-ხარხარი. გამოირკვა, რომ მაისტელი მოსულა სათქმელად: ხინკალი მზადაა და აბა გადმოდითო, გაგვათამაშეს.

შემდეგი დღეები ათენგენობა იყო და ქეიფი ქეიფს მისდევდა: ერთი სოფლიდან მეორეში, ერთი ხატიდან მეორე ხატში. გვაოცებდა ამ არხოტიონების არტისტული ბუნება. ასეთ «გათამაშებებს,» მახვილსიტყვაობას, ლექსაობას სათვალავი არა ჰქონდა.

იყო ნიშანში სროლა, ცხენების ჭენება, კენჭაობაც მოხდა რამდენჯერმე, მაგრამ ნამდვილ შუღლამდე საქმე არ მისულა. ყოველთვის, საჭირო მომენტში, ტაქტიანად ჩაერეოდნენ ხოლმე მოშუღართ და ისევ მხიარულებაში გადაჰყავდათ საქმე. არხოტი მაშინ ხელუხლებელი იყო, გადასახლება მათ არ შეხებოდათ და საოცარი სილაღე იყო აქაურობაში. მართლაც, უცნაური, ბედნიერი დღეები გადაება ერთმანეთს. მაგრამ ყველაფერს თავისი ბოლო აქვს. ბოლო დღეს ახიელში, მახსოვს, ბანჯგვლიანი ხვთისოს ბანზე ვისხედით დილით მე და გურამი. ლუდიანი ჩხუტი გვედგა, ვსვამდით ნელ-ნელა და წეკოს ვეწეოდით. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ რაღაც უნდა დამთავრდეს, რომ ასეთი ბედნიერი დღეების გაჭიანურება აღარ შეიძლება, თორემ გაფუჭდება. რაღაც უნდა შეიცვალოს. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ გურამსაც ასეთი გრძნობა ჰქონდა. მე ესე ვგრძნობდი. არადა შეპირებულები ვიყავით, რომ ახიელში უნდა დავლოდებოდით გერმანელებს. ამ დღეების ორომტრიალში აღარც გაგვხსენებია. მაგრამ ახლა, როცა ბუნებრივად დადგა თითქოს აქედან წასვლის დრო, უცებ გამახსენდა, რომ ვალდებულები ვართ მათ დაველოდოთ, არადა რაღაც ცვლილების მოთხოვნილებაა. ის იყო, დავაპირე გურამისათვის შემეთავაზებინა, მოდი დღესვე გავკრათ, კიდეგანაზე წავიდეთ, იქნებ ჯიხვებზე ვინადიროთ-მეთქი (მეშინოდა უარს მეტყოდა), რომ სახლებს შორის გამოჩნდა მხედარი. აშკარად, აქაური არ იყო, თან ისე უმწეოდ და დათრგუნვილად მოძრაობდა ცარიელა სახლებს შორის (ჩვენს გარდა კაციშვილი არ ჭაჭანებდა), რომ მაშინვე რაღაც შემაშფოთებელი გრძნობა გაჩნდა. დავუძახეთ. საჩქაროდ მოგვეახლა. ბიჭებო, გერმანელები მომყავდა, უბედურება მოხდა, რამე მიშველეთ, მე აღარ ვვარგივარო. ასე გვითხრა და ცხენიდან თითქმის გადმოვარდა. იმავ წამს გურამი უნაგირზე იყო (პირდაპირ ბანიდან) და მიერეკებოდა. მეც კისრისტეხით მივყევი ფეხით, ისეთი სისწრაფით, რომ არ ვიცი, როგორ გამოვიდა, რომ გურამი უკვე ცირცვლოვანის აღმართის დასაწყისში იყო, რომ მოიხედა, წამით ცხენი შეაჩერა და ორივე ხელით ჯვარი გამიკეთა. მერე ისევ გარეკა (მერე მითხრა, რომ მოვიხედე, ისე ახლოს დაგინახე, ჯერ გავოცდი, მერე გამიხარდა და ჯვარი გაგიკეთეო). შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოთხრობაშია აღწერილი.

ვფიქრობ, «სიკვდილი მთებში» გურამმა ხევსურეთიდან ჩამოსვლისთანავე დაწერა. ამავე უბედური შემთხვევითაა შთაგონებული ვაჟა გიგაშვილის მოთხრობა «კურელა.» ისიც დაწერილია 1957 წელს. გურამის მოთხრობის თარიღის დაზუსტება, გარდა მოგონებისა და ზეპირი გადმოცემისა, ერთი პატარა დღიურითაც შეიძლება:

«რადიო ხრიალებს. მაინც კარგი მელოდიაა, გუშინ ორი საათი ველაპარაკე ერლომს. რაზე? _ ისევ წუწუნი _ უკვე მეზარება ჩემი თავი; ვიცი, რომ განვიცდი, არ ვისვენებ არც ერთი წამი. ე.ი. არ მასვენებს რაღაც. განა ლაპარაკი შვებაა _ არის რაღაც მისი მაგვარი. ალბათ იმიტომ ვლაპარაკობ. ბევრი რამ არის გასაგნები. ახლაც მუსიკა უკრავს, ცოტა დაიწმინდა, აღარა ხრიალებს, რო დავჯექი რაღაცის დაწერა მინდოდა და უკვე დამავიწყდა. ხო, გუშინ ჩემგან ნათქვამი სიტყვების: «<ელმ ვფცნტჰჯვ ცდჯტუჯ ბცრეცცნდფ».

გადასაწერი მაქვს «სიკვდილი მთებში». ველარ დავიწყე გადაწერა: ერლომს მგონი მოეწონა, მე რაღაც არ მომწონს _ რა, არ ვიცი.

ახლა მივდივარ ქციაზე, მამაც მოდის, თემოც, მოჭერილი შარვალი მაცვია და სხვანაირი ღვინისფერი ხალათი, თავს ფორმაში ვგრძნობ, რაღაც მესიამოვნა: ვიგრძენი, რომ მესიამოვნა და ვიგრძენი თუ არა რომ მესიამოვნა, სიამოვნება გაქრა: უკვე დიდი ხანია ასე მომდის, ნეტა სამუდამოა ეს, ეს და კიდევ ბევრი სხვა რამე?

ახლა დედა ტიროდა დიპლომი დაიცავიო, საშინლად დამღალა თავისი ჩემზე ზრუნვით, საშინლად. ზოგჯერ მინდა, რომ არ მყავდეს არავინ, მაგრამ ეს მხოლოდ წამია. ისე შევეჩვიე. დიპლომს კი არ ავიღებ: ის რაღაცას დამირღვევს, უფრო მეტს, ვიდრე მისი აუღებლობა, რას, არ ვიცი. ხან ვფიქრობ, ნუთუ ეს მარტო სიზარმაცეა, რომ წერა მეზარება დიპლომის. ესეც არის და კიდევ სხვა რაღაც. რა, არ ვიცი კარგად.

ახლა ქციაზე წავალთ, ერთ საათში, გუშინაც ასე იყო. მთელი დღე ველოდეთ. მანქანა არ მოვიდა. დღეს კი მოვა. ვინ იცის. ალბათ.

ნახვამდის.»

[1957 წლის აგვისტოს ბოლო ან სექტემბრის დასაწყისი]

1958 წლის 23 იანვარს გურამი მოსკოვში წავიდა. «ცისკარი» გამოსაცემად ამზადებდა მოთხრობას «სიკვდილი მთებში». არქივში შემონახულ მიმოწერაში ასახულია ამ მოთხრობის პუბლიკაციასა და, აგრეთვე, მისი გამოქვეყნების შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიები. მომყავს ამონაწერები ზოგიერთი წერილიდან:

გურამი ალფრედ კურელას. არსებობს მხოლოდ შავი ვარიანტი:

“Уважаемый Альфред!

С тех пор как мы расстались, я мало был в Тбилиси. Хотел во второй раз поехать в Архоти охотиться за турами, но так и не удалось. Осень провел на море с рыбаками, ловили ставридку. Вкусная рыба, только надо уметь хорошо поджарить. Водку на берегу Абхазии хорошо гонят, так что было не очень скучно.

Здесь живется также как везде. Жизнь помоему ни хороша ни плоха, она просто жизнь-оплачивание долга перед матерью- родила, значит живи. Но иногда, когда особенно не мудриш, она чертовски хороша, даже на рыбачьей бирже, которая после месяца начинает уже надоедать, впрочем бывает и наоборот.

Неделю тому назад ко мне в гости приехал Шота Очиаури, брат Анико, он сказал, что надпись сделали. Я хотел сам понести туда вместе с Гоги, вычерченную на мраморе, т.к. дерево быстро портится. Наверное это сделаем летом. Кстати лето я собираюсь провести в Шатили, хочу собственными средствами снять «Алуда Кетелаури». Во всяком случае, постараюсь.

Еще:

Хотел знать вашемнение:

Написал рассказ «Смерть в горах», где описывается тот трагический случай с вашей женой-с жизнью которой я еще лучше познакомился в Тбилиси от людей знавших ее. И почувствовал как вы должныбыли любить и уважать ее. Эта женщина со своей необычайно внушительной внешностью, навсегда запечатлелась в моей памяти. Она напоминает мою бабушку Александру Джавахишвили, которую считал почти единственной женщиной, перед которой можно преклоняться, советом которой можно было считаться. Если вы дадите мне согласие я передам тот рассказ в редакцию нашего журрнала «Цискари» (Заря), который после семидесяти лет вышел в июне 1957 года и где Я начал печаться.

Гурам.

В моем рассказе вашу фамилию и имя жены оставил без изменения и если вы не будете возражать, оставлю».

მამა გურამს მოსკოვში:

«ჩემო საყვარელო შვილო გურამ!

*მივიღეთ შენი წერილი. ძალიან გაგვიხარდა, რომ კარგ ბინაზე მოწყობილხარ . . .

მეორე დღისით გამოსულა სიმონ ჩიქოვანი, რომელსაც კარგად გაურჩევია შენი ნაწერები და დაუსაბუთებია, რა, რატომ არის კარგად დაწერილი, მთელი ხალხი აღტაცებით შეხვედრია... ჩიქოვანს მოსწონებია «სიკვდილი მთებში», უთქვამს, ეს ფილოსოფიური ნაწარმოებიაო, ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე ამის დამწერი 23 წლისა ყოფილაო... აქ ისეთი გრძნობაა, ისეთი მხატვრული გაფორმებით, რომ უკვე შეიძლება ითქვას ამის დამწერი ნამდვილი მწერალია, რომელზეც შეიძლება დიდი იმედები დავამყაროთო და მადლობა გადაუხდია «ცისკრის» რედაქციისათვის, რომ ამჟღავნეთ ასეთი ახალგაზრდა და წარადგინეთ საზოგადოების წინაშეო და ბოლოს ბესო ჟღენტს უქიხარ და უთქვამს, კრიტიკა და დავა ისეთ კაცთან არის საჭირო, რომელშიც ძალას ხედავ, თორემ უძალო კაცს რა ბრძოლა ჭირდებაო. სწორედ ასეთი იყო ჩემი დავა რჩეულიშვილთან. ახლა მეც თქვენ გიერთდებით და სხვა და სხვა...

გურამ, მე ამას არ მოგწერდი, რომ ვიცოდე შენ ქება გაგაფუჭებდა. შენ იცი, ერთი ათად გაამართლე იმედი საზოგადოების. ახლა უკვე შენ თავს არ ეკუთვნი, ყველა ელოდება შენგან ახალ და ახალ სამუშაოს. გენაცვალოს დედა, მე რომ შენ ბოლომდე გამარჯვებული გნახო, მერე კიდეც რომ მოვკვდე, სატირალი არა ვარ. შენა ხარ ჩემთვის ყველაფერი, ჩემი საკუთარი სულიც კი არა მაქვს...

22/5. 1958.»

გურამის მიერ 1956 წლის შემოდგომაზე დაწერილი ცხენების ციკლის მოთხრობათა ლირიკული სუბიექტი არის ცხენი. ვისაც 18-19 წლის ან თუნდაც 20-22 წლის გურამისათვის თვალი მოუკრავს და სალაპარაკოდ ცოტა ხანს მაინც გაჩერებულა, ადვილად ამოიცნობდა მასში სალამურასა და თვირთვილას. შეიძლება ითქვას, რომ სალამურა და თვირთვილა (მამას თქმით, ცხოვრებაში გურამის პირველი ცხენები), გურამის ავტოპორტრეტებია. ისიც მათსავით თითქოს ადგილზე ურტყამდა ფლოქვებს, განიერი ნესტოებიდან, გეგონებოდა, მართლაც ორთქლის ნაკადს უშვებდა, და, თითქოს მათსავით ლაგამამოდებული, ყელმოღერებული, მარტო ფრუტუნსღა ახერხებდა. გურამის თაფლისფერ, დაფიქრებულ, მოწყენილ გამოხედვაში ადვილად შეიძლებოდა სალამურას დიდი, შავი, მოწყენილი, წყლიანი თვალების ამოცნობა. ახალგაზრდულად მუდმივად ყალყზე შემდგარი, დაუმორჩილებელი, შეუპოვარი, ის თითქოს სხეულით გრძნობდა ესტატეს, ერთგულის თუ ბაბუა კოტეს მდგომარეობას, რასაც უკვე განცდებიც კი არ შეიძლება ეწოდოს (გურამ გეგეშიძემ ერთხელ თქვა: გურამს, ალბათ, ხილვა ჰქონდა, თორემ ასე ახალგაზრდას როგორ შეიძლებოდა ეგრძნო ასაკის, მოხუცებულობის ულმობელობაო).

გურამის თვისება _ ფრუტუნი ბევრ ამხანაგს ახსოვს. თემო ჯაფარიძე იხსენებს: პირველად გურამი ვნახე კიროვის ბაღში (ახლა ვერის ბაღი), პატარა ბორცვზე იჯდა და შიგადაშიგ ფრუტუნებდასავით. ლევან მალაზონიამ თქვა: გურამი უკანასკნელად 1960 წლის აგვისტოში, ზღვაზე წასვლის წინ, ვნახე. მთელი დღე ერთად ვიყავით. ძალიან მოწყენილი მეჩვენა, სულ ჩუმად იყო, მხოლოდ ხანდახან, როგორც იცოდა ხოლმე, ნესტოები ებერებოდა, თითქოს ფრუტუნებდა (იხ. ამავე ტომში მოთხრობა «ბაცი სათოვლე ღამე ჩამოწვა...». აგრეთვე ნუგზარ წერეთლის წიგნი: «მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ»).

ამონაწერები თემო ჯაფარიძის ეტიუდიდან: «გურამ რჩეულიშვილის დამოკიდებულება ცხენთან»:

«...თბილისში როცა ერთად ვხეტიალობდით, ან რომელიმე სახლის სადარბაზოში შესასვლელ კიბეებზე ვისხედით, როცა არ ვლაპარაკობდით და ჩუმად ვიყავით,

ცხენის წაბაძვით ფშუტუნი იცოდა ხანდახან. ეს ფშუტუნი თუ ფრუტუნი ძალიან მოკლე და სუსტი ხმის იყო ხოლმე, მაგრამ დაფარულ, შინაგან ენერგიას გამოხატავდა. ცხენი რომ სუნთქვას ისწორებს და ნესტოებს დაბერავს ხმიანი მძლავრი ფშუტუნით, რაღაც ასეთს ასახიერებდა გურამი... ხანდახან მეჩვენებოდა, რომ გურამი თავისი მოთხრობების პერსონაჟებს თამაშობდა ფრაგმენტული და ლაკონიური მინიშნებებით...

ამ საქციელის საშუალებით თითქოს განუწყვეტლივ იმყოფებოდა მხატვრულ ველში. თითქოს იმას იტყობინებოდა, რომ განსაკუთრებულ ემოციურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქრონიკულად. თითქოს რაღაცაზე მძაფრად ფიქრობდა და ცხენისებური მოკლე ფშუტუნით ფიქრის ემოციურ რიტმს ქმნიდა. და მაინც არ მესმოდა ხოლმე _ რა შუაში იყო ცხენი?.. გურამის ცხენთან განსაკუთრებით მგრძნობიარე დამოკიდებულება ვერ აიხსნება მხოლოდ სპორტული ჟინით და მიდრეკილებით. ვინც გურამს იცნობდა, ალბათ, ახსოვს, რომ გურამი ცხენთან ურთიერთობაში შლეგი ხდებოდა. როცა ცხენზე შეჯდებოდა, თავაწყვეტილი ქროლვის ჟინი ეუფლებოდა. ცხენთან ერთარსული ხდებოდა თითქოს, თავისი კარგად აწყობილი სხეულით იმდენად ჰარმონიულად ერწყმოდა აღელვებული ცხენის ინსტინქტებისა და ემოციების სამყაროს, მის ათქვირებულ ტანს, რომ თვალწარმტაცი სანახაობა იქმნებოდა. სპორტული კი არა, რომანტიული ხასიათის იყო გურამის ცხენით გატაცება. ცხენი გურამის ფსიქიკაში და ემოციებში მრავალმნიშვნელად სიმბოლოდ იქცა: ერთი მხრივ ცხენის ენერგიული ქროლვა გურამის ახალგაზრდული და მოუსვენარი ცხოვრების გამომხატველ ფენომენად განსახიერდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ცხენი გურამის მოთხრობების ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად იქცა. ...გურამის აქტიურ ქმედითობას, მის შინაგან და გარეგან დინამიკურ ცხოვრებას კარგად გამოხატავს ცხენის განწირული სხეულათრთოლებული ქროლვა, ჭიხვინი, ყალყზე შედგომა, თვალების შლეგი ბრიალი. იმდენად, რამდენადაც გურამი კარგი მხედარი იყო და მისი ცხენთან დამოკიდებულება რომანტიული მგრძნობიარობით გამოირჩეოდა, შეიძლება თავი დავირწმუნოთ, რომ ცხენი შემთხვევით არ იქცა მისი პროზის პოეტურ პერსონაჟად. ...ცხენის განწირული ემოციურობა და დახვეწილი გარეგნული ფორმა მშვენიერების განსაკუთრებულ სახეობას ქმნიდნენ. ისიც არის, რომ ცხენში დრამატულად იყრებოდნენ ერთად აბსოლუტური თავისუფლებისაკენ ინსტინქტური ლტოლვა და ადამიანისადმი ერთგული მორჩილება. თავად გურამის ამქვეყნად მხოლოდ ახალგაზრდული არსებობაც ამ წინააღმდეგობრივი ნიშნით წარიმართა:

იგი უსაზღვრებო თავისუფლებისაკენ ინსტინქტური მიდრეკილების გამომხატველი ჭაბუკი იყო, მეორე მხრივ კი, ზნეობრივი კანონებისადმი მორჩილების მაძიებელი პიროვნება...

თემო ჯაფარიძე
2001 წელი.»

საინტერესოა, რომ გურამთან, ცხენების ციკლის მოთხრობებში ცხენების მომთვინიერებლები მკითხველში არ იწვევენ უარყოფით რეაქციას. ხალხი მათ ძალიხმევას აღფრთოვანებით ადევნებს თვალს. ცხენების გახედნა, მოთვინიერება აღიქმება ცხენების ცხოვრების ბუნებრივ ნაწილად. ადამიანი თითქოს წარმართავს მათ ენერგიას და მათ ქმედებას მიზანს აძლევს. სიმბოლურია, ალბათ, რომ თვირთვილა კარგავს წონასწორობას მაშინ, როდესაც მთვრალ მხედარს იგრძნობს ზურგზე. გახედნილი, ლაგამს, უნაგირსა და აღვირს შეჩვეულმა ცხენმა, გინდაც

აიწყვიტოს, თავისუფლება მოიპოვოს და იალაღებზე გავარდეს, მაინც დიდხანს ვერ ძლებს ადამიანის გარეშე. მკითხველს გავახსენებ «თვირთვილას» ფინალს.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვობიდან ცხენი გურამისათვის მარტო ჭენების ჟინის დასაკმაყოფილებელი და ფუფუნების საგანი არა ყოფილა, არამედ ადამიანის მარჯვენა ხელი, დამხმარე, რომელსაც ჩამოჰყავდა მამა ალვნიდან თელავში, მთათუშეთიდან ალვანში, შარაბანაკიდებული მიგვაქროლებდა ალვნიდან ალავერდისაკენ, ხანდახან კი ფარდაგდაფარებული ლინეიკით, ხალხით სავსე, ნელ-ნელა იკვლევდა გზას თელავის რკინიგზის სადგურიდან ნადიკვრის აღმართებისაკენ. მაღალ მთებში ნება-ნება, აღვირმიშვებული, ვიწრო ბილიკებზე უფსკრულებს შორის მიიკვლევდა გზას და ხანდახან ხურჯინების აქეთ-იქიდან თავებამოყოფილი ბავშვები აჰყავდა მაღალ მთებში ციცაბო ბილიკებით.

როგორც მამაჩემმა თქვა, ადრეული ბავშვობიდან გურამს უმხედრო ცხენი ისე არ გაუშვია, რომ ზედ არ მოჰქცეოდა (იხ. ტომი 1, შენიშვნა «მთებიდან ქალაქამდე»). «სიკვდილი მთებში» პირველი ნაწარმოებია, სადაც მწერლის ალტერ ეგოს ჭენების ჟინი და მეორე ადამიანის დახმარების სურვილი ერთმანეთს ემთხვევა. მთლიანად მესამე პირით დაწერილი ნაწარმოების ერთ_ერთ ნაწილში თხრობა მოულოდნელად გადადის პირველ პირში. აქ, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, პირველი პირით მწერალი გადმოგვცემს თავისი სულის მოძრაობის სიღრმისეულ ნიუანსებს. მწერლის სულის მოძრაობა სიუჟეტის მამოძრავებელ ძალად გარდაიქმნება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ პასაჟებში, რომელიც აქვე, შენიშვნებშია მოცემული*: «მე ვგრძნობდი, რომ მივაჭენებდი გადასარჩენად ვიღაცის, ვისაც არ ვიცნობდი და რაღაც მეუფლებოდა ჭენების ჟინსა და სხვისი სიკვდილის შეგრძნებას შორის.»* ან კიდევ: *«მარცხის ამბავმა ამაღელვა და ჩემს ჭენებას მიზანი მისცა.»* და სხვ.

მახსენდება გურამის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი, რომელიც მიამბო ჩემი ძმის მეგობარმა იკა გელეიშვილმა (იკა გელეიშვილი _ გურამის მეგობარი, 1950 წელს პიონერთა სასახლის ხევსურეთის კომპლექსური ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი, ჰიდროტექნიკოსი. ის პროტოტიპია, აგრეთვე, «ირინა და მეს» ერთ-ერთი გმირისა. იხ. მესამე ტომი _ მ.რჩ.). ამ ეპიზოდში ჩანს, რომ, ჯერ კიდევ ბავშვობისას, სხვისი დახმარების სურვილი მის უშინაგანეს თვისებას _ ჭენების ჟინს მიზანს აძლევდა. 1950 წელს პიონერთა სასახლიდან ხევსურეთში გაემგზავრა მრავალრიცხოვანი ექსპედიცია. მათ შორის იყო 15-16 წლის გურამიც (იხ. აგრეთვე პირველ ტომში შენიშვნები მოთხრობისათვის «თვირთვილა»). იკა გელეიშვილი: სასახლის ექსპედიცია შედგებოდა 150 კაცისაგან. ჩვენ სხვადასხვა დავალებებს გვაძლევდნენ და ხანდახან პატარ-პატარა ჯგუფებად ვაწყობდით გასვლებს ბარისახოდან, სადაც დავიდეთ ძირითადი ბინა. ერთხელ გურამსა და მე, ბარისახოდან წამოსულებს, რამდენიმე ბიჭთან ერთად შემოგვაღამდა ხახმატში. ხევსურის ერთმა ოჯახმა ძალიან კარგად მიგვიღო, დაგვაბინავა. ვატყობთ, რომ მასპინძლები რაღაცით შეწუხებულები არიან, თუმცა, ძალიან თავშეკავებულად და ღირსეულად იქცევიან და არაფერს ამბობენ. ცოტა ხანში მაინც გაირკვა, რომ ქალი მშობიარობის პირას დგას და უჭირს ბავშვის გაჩენა. გაგვიკვირდა _ ბარისახოში იყო ექიმი და, მათივე თქმით, ისე როგორც ყველა სოფლის ექიმი, უნივერსალური. მალე მივხვდით, რომ ხევსურებს უბრალოდ, ეშინოდათ ტყე-ღრეში ღამე ცხენით სიარული. ცხადია, ეშინოდათ არა კაცის, არამედ ავი სულების, თავისი ღმერთების. უცებ გურამმა, რომელსაც ჯერ კარგად არც კი ვიცნობდი (ეს მოხდა ექსპედიციის დასაწყისში), თქვა: «მომეცით ცხენი, მე წავალ.» მართლაც, გადააჯდა ცხენს და წამში გაუჩინარდა სიბნელეში. ცოტა

ხანში ამოიყვანა ექიმი, რომელიც უკან ეჯდა ცხენზე. მშობიარე ქალს დასჭირდა საკეისრო. გადარჩა ბავშვიც და დედაც.

მოთხრობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ვრცელ მსჯელობას ადამიანში გონებისა და გრძნობის ურთიერთმიმართების შესახებ. საინტერესოა პატარა ჩანაწერი შავი ვარიანტისათვის (ის მოთხრობის დაწერამდე უნდა იყოს გაკეთებული). ჩანაწერში უკვე ჩანს ამ საკითხის მიმართ გურამის განსაკუთრებული ინტერესი: *«ნეტა რატო იმართლებს თავს ეგეთ რამეებზე ..... ნამდვილად იცის, რომ მეტი დარდია საჭირო და გრძნობა არა ყოფნის, ალბათ, მაგისი ბრალია. თავის მართლებაც, ალბათ, ყველაზე პირველად თავის თავთან სჭირდება ...» (იხ. აქვე, შენიშვნის დასაწყისში).*

ამონაწერები შავი ვარიანტიდან: ~~«გულის სიღრმეში რაღაც განიცადეთ, მაგრამ გონებამ გძლიათ, ე.ი. გრძნობას სძლია გონებამ, რაც მე ასე მომწონს თქვენში~~ (გადაშლილია მწერლის მიერ _ მ.რჩ.). რემარკის სიკვდილებშიაც არის ეს, მაგრამ იქ საოცარი ამოხეთქვაა ზოგჯერ გრძნობის, რომელსაც, ერთი შეხედვით, გონება ასე მკაფიოდ ფარავს ხოლმე... ~~გრძნობდა, რომ რაღაცით ჯობნიდა გერმანელს, რით არ იცოდა, უზომოდ სიამოვნებდა ლაპარაკი ახლა, მერე უცებ გაჩერდა.~~ (გადაშლილია მწერლის მიერ _ მ.რჩ.). გრძნობდა, რომ ცივი გონებით იმდენივე იცოდა სიკვდილზე, რაც იმან, კურელამ და მაინც განიცდიდა სიკვდილს. ცხადი, ცივი გონება ხელს არ უშლიდა განცდის უშუალობაში, ასე მოუვიდა გრეგერსაც მაშინ. მაშ რა შუაშია გერმანელი საერთოდ და ზოგადად მათგან სიკვდილის შეგრძნება... აქ ისევ გაბუნდოვანდა რაღაც მისთვის.»

ამონაწერი 1960 წლამდე გადაბეჭდილი ტექსტიდან:

«...თქვენც ხომ იმსჯელეთ იმაზე? ალბათ, თქვენც გულის სიღრმეში რაღაც იგრძენით. ... გახსოვთ რემარკის წიგნი? _ განაგრძობდა გურამი. _ როგორ ადის ხოლმე გრძნობა გონებაზე მაღლა....» (გრძნობა-გონების ურთიერთმიმართებისათვის იხილე, აგრეთვე, სხვა ადგილები გამოქვეყნებულ ტექსტში).

ერთხელ, ეს უნდა ყოფილიყო დაახლოებით 1956 წელი, ოსკარ უაილდის «დორიან გრეის პორტრეტის» კითხვის დროს, გურამს ვუთხარი: «ნახე, რა კარგად წერს ოსკარ უაილდი: «აზრს, გონებას კურნავს გრძნობა და, პირიქით, გრძნობას კურნავს აზრი, გონება.» მახსოვს, გურამმა უეცრად, გეგონებოდათ, მართლაც, ყალყზე შედგაო, თითქოს დაიფრუტუნა, სადღაც შორს გაიხედა და სწრაფად თქვა: *«გონებას გრძნობა კი არ კურნავს, არამედ გონება, აზრი იქცევა გრძნობად, ვნებად. ეს არის ჰამლეტი. მე ამას ვაჩვენებ... ვნახოთ!»* მაშინვე ვიგრძენი ამ სიტყვების მნიშვნელობა გურამისათვის. ეს არ არის რეტროსპექტული ანალიზი. ოსკარ უაილდის მბრწყინავი პარადოქსებიდან და სენტენციებიდან, თურმე მხოლოდ საყოფაცხოვრებო ლოგიკიდან, სულ სხვა განზომილებაში აღმოვჩნდი. სამყაროს მთლიანობა მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს დანაწევრებულ ყოველდღიურობაში. ეს აზრი მთელი სისრულით მხოლოდ «იულონის» წაკითხვის შემდეგ აღვიქვი: *«არ არსებობს ვნება აზრზე დიდი და შებრუნებით: აზრი არის ვნებათა შორის ყველაზე დიდი ვნება.»* ამონაწერი 1956 წლის დღიურიდან: «გონებამ მსჯელობის შემდეგ ჩათვლიმა, მაგრამ გრძნობა თავისთვის განაგრძობდა მსჯელობას...»

ამონაწერი გურამის ჩემთან მოწერილი წერილიდან:

«გახსოვს შენ, მე რომ «სიკვდილი მთებში» მქონდა დარდი პერსპექტივაში, მომავლის გათვალისწინებით და ათასი სხვა სიტყვებით დაწერილი, რომელსაც ვერაფრით ვერ მოვუბი თავი. აი, აქ (იგულისხმება ტოლსტოისთან _ მ.რჩ.):

Еще в первое время по возвращении из Москвы, когда Левин каждый раз вздрагивал и краснел, вспоминая позор отказа, он говорил себе: так же краснел и вздрагивал я считая все погибшим, когда получил единицу за физику и оста лся на втором курсе. Так же считал себя погибшим после того, как испортил порученное мне дело сестры. И что же? Теперь когда прошли года, я вспоминаю и удивляюсь, как это могло огорчить меня. То же будет и с этим горем. Пройдет время, и я буду к этому равнодушен.

მორჩა».

ამ მოთხრობაში თითქოს წინასწარაა დანახული სასიკვდილო ტრავმა, რომელმაც ჩემი ძმა, ელპიდე კურელას გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, ამქვეყნიურ ცხოვრებას გამოასალმა: «ის უფრო ადრე მოკვდა, როდესაც გადმოვარდნისას კეფა დაარტყა.» ამბობენ, რომ გურამს მოტეხილი ჰქონდა მარჯვენა ხელი: «შემდეგ აღარაფერი შეუგრძვნია, მხოლოდ სხეული დასკდა. კეფის მერე ხელი გაეხლიჩა.» (ამონაწერი მოთხრობიდან). ამასთან დაკავშირებით ნახე ნუგზარ წერეთლის წიგნი «მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ»: «ზღვას მხართან მარჯვენა მკლავიც მოეტეხა და ისე დაემორჩილებინა.»

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ «ცისკარში» [1] 2, 1958 წელს, შემდეგ _ 1960 წელს კრებულში «ახალგაზრდა მწერლები. მოთხრობები.» 1965 წელს _ კრებულში «სალამურა», 1985 წელს _კრებულში «მოთხრობები. პიესა.» თარგმნილია გერმანულ ენაზე ცნობილი გერმანისტის ლუცია ქურდიანის მიერ.

«ზღვა არცთუ ისე ღელავდა»

არსებობს უსათაურო და დაუთარიღებელი მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1_11გვ.), დაწერილი ერთი ამოსუნთქვით, მომსხო, გაკრული ასოებით. რამდენიმე სიტყვა ჩასწორებულია მწერლის მიერ წერის პროცესში იმავე კალმისტრით. მოთხრობის ხელახალი გადაკითხვისას წითელი ფანქრით გასწორებულია მექანიკური შეცდომები.

დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე. დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია სწორებისას წითელი ფანქრის გამოყენება.

თემო ჯაფარიძის მიამბო:

1957 წლის სექტემბერში გურამი და მე ვიყავით ზღვაზე, ბათუმში. გურამმა შეცურა ადიდებულ ზღვაში ვიღაცის გადასარჩენად, თუმცა იქ შეკრებილი ხალხი არ უშვებდა. ნაპირიდან ჩანდა, როგორ ჩაავლო ხელი კაცს და ნელ-ნელა, ცურვა-ცურვით როგორ მოჰყავდა ნაპირისაკენ. გადაარჩინა. აღმოჩნდა პროკურორი, თათარი. მოსულიერდა თუ არა, ატეხა ყვირილი: მახრჩობდაო. ხალხი გაბრაზებული მივარდა. გურამი იცინოდა.

1957 წლის აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში გურამი მამამ წაიყვანა ქციაზე ექსპედიციაში, თავის თანამშრომლებთან ერთად. გიოლინა ჭიჭინაძემ (მამას თანამშრომელი, ექსპედიციის წევრი და გურამის მეგობარი) მითხრა: გურამი ქციაზე უცნაურად კარგ ხასიათზე იყო. ბევრს ლაპარაკობდა კურელაზე, მის მეუღლეზე და სიკვდილზე, რომელიც ხევსურეთის მთებში მოხდა. ერთხელ თურმე თქვა: საოცარია, ჩემ წინ ხალხი კვდება (გურამი აქ უნდა გულისხმობდეს, აგრეთვე, ლადო ქოქიაშვილის მკვლელობას. იხ. «უღელტეხილის» შენიშვნა), მე კი არაფერი

მემართება, თითქოს სიკვდილი არ მეკარება (იხ. აგრეთვე, მეოთხე ტომში პიესა «მარინას» შენიშვნები).

პირველად დაიბეჭდა გაზეთში «ლიტერატურა და ხელოვნება» 1963 წლის 4 ოქტომბერს, 1965 წელს _ კრებულში «სალამურა, 1985 წელს _ კრებულში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

«ახლა ჭალაში ჩავიდა მოტოციკლეტი»

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_4გვ.), უსათაურო და უთარიღო. ნაწერია შავი ავტოგრაფისათვის დამახასიათებელი მომსხო, სწორი, გაკრული ხელით. დათარიღებულია ფურცლის, ხელწერის, სტილის და სხვ. მიხედვით.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების ფონზე, ჩემი აზრით, სიმბოლურად აღიქმება ამ პატარა მოთხრობის მთლიანი სიუჟეტი, მასში შემავალი «მოქმედი პირებით»: ზღვრული ქრონოტოპი _ჩაბურულ ხევში *«ბნელად განათებული» ტყიდან სინათლესავით გამომავალი წყალი, რომელიც უნდა გადალახოს გმირმა მეორე ნაპირზე გასასვლელად. შორიდან მანათობელი მზე. წყლის პირას მჯდარი გმირი, რომელსაც ეშინია ბნელ ხევში დაღამების და სხვ.* (იხ. შენიშვნები მოთხრობისათვის «მოხუცი და პეტო» და სხვა მოთხრობათა შენიშვნები მომდევნო ტომებში).

მოთხრობა გამოუქვეყნებელია.

სეითა

არსებობს მხოლოდ შავი, უსათაურო და დაუთარიღებელი ავტოგრაფი(1 _12გვ.). დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე (ფურცელი, ხელწერა და სხვ. იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ხელნაწერზე დაკვირვება მოწმობს, რომ წერა განახლებულია მეოთხე გვერდზე. გვ.10_12 ნაწერია გურამისათვის უჩვეულო დაქანებული ხელწერით. ვფიქრობ, რომ მამაჩემის მიერ შავი ფანქრით ხაზგასმულია და დაწერილია კითხვის ნიშანი შემდეგ სიტყვებთან: გვ.7 «მერე კვერცხუჯრედი», «კვერცხი». გვ. 8 «იმის იქით კვერცხუჯრედს.» გვ.5 «ნერგვა» შეცვლილია «ნერბვით.»

I სიაში მოთხრობა დასათაურებულია როგორც «1. სეითა».

გამოუქვეყნებელია.

ბოზი და მისი ბავშვი

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1_ 13გვ.), უსათაურო და დაუთარიღებელი. დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული კრიტერიუმის საფუძველზე (იხ. ტომი 1, ავტოგრაფების დახასიათებისათვის). ბოლო გვერდი (სიტყვებიდან: «ამხანაგთან იყო» ბოლომდე) ინახებოდა სხვა საქაღალდეში. ვფიქრობ, რომ ეს მოთხრობა პირველ სიაში მოიხსენიება როგორც «35. ბოზი და მისი ბავშვი» (იხ. ავტოგრაფების დახასიათებისათვის).

მოთხრობა გამოუქვეყნებულია.

«ქუჩაში ცოტა ხალხი იყო. . .»

არსებობს უსათაურო, დათარიღებული შავი ავტოგრაფი(1_7გვ.). ბოლო სამი წინადადება თარიღამდე წაშლილია მწერლის მიერ. წაშლილია, აგრეთვე, წინადადება თარიღის შემდეგ. იმავე ფურცლის ბოლოს დაწერილი აბზაცი ჩაენაცვლა ამ წინადადებებს (იხ. ნაბეჭდი ტექსტი).

არქივში ინახება ოთხი მოთხრობა, რომელთაც აერთიანებთ ერთი გმირი _ მალხაზი.. ისინი ქმნიან ერთგვარ ციკლს. ეს მოთხრობები დაწერილია მსგავს თაბახის ფურცლებზე, მსგავსი ხელწერით. მხოლოდ ერთსა აქვს სათაური, თარიღი და თეთრი ავტოგრაფი. ოთხივე მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს ოქტომბრის თვეში. ამავე ციკლს შეიძლება მივაკუთვნოთ მოთხრობა «ჩამოსახრჩობი» (იხ. ტომი 1).

ამ მოთხრობის პირველ გვერდზე მწერლის ფაქსიმილეა: «გ.რჩეულიშვილი». იქვე წერია თარიღი, თვე «ოქტ.». ხატია ცილინდრი და კაცის პროფილი. ვფიქრობ, მოთხრობის პროტოტიპი უნდა იყოს. მერვე ცარიელი გვერდის ქვედა ნახევარზე წერია: «ლევანს რცხვენია, რო ცოლი უნდა, თავსაც არ უტყდება.» ავტოგრაფში ყველგან თავდაპირველად დაწერილი «ლევანი» შემდეგ გადაშლილია და შეცვლილია «მალხაზით.» სავარაუდოა, რომ ეს არის პირველი მოთხრობა «მალხაზით».

მალხაზი გურამის ახლო ამხანაგი იყო. თავდაპირველად, როგორც ჩანს, გურამს უნდოდა შეენიღბა სახელი, შემდეგ გადაიფიქრა და შეცვალა რეალურით. არქივში შემონახულია ორი ჩანახატი. ამ ჩანახატებზე აღბეჭდილია მალხაზი. ერთზე ხატია: ძალიან მაღალ ფეხებზე შემდგარი, მეტისმეტად გამხდარი ახალგაზრდა კაცი (ჰგავს მოთხრობის პროტოტიპს) და საკმაოდ პატარა, ულამაზო ქალი. ჩანახატის ქვემოთ წარწერაა: «მალხაზის დილიხორი». მეორეზე დახატულია ტროლეიბუსში ან ავტობუსში მჯდომარე თავჩაქინდრული, როგორც ჩანს, მთვრალი კაცი. იქვე ფეხზე დგას ახლაგაზრდა, რომელიც ცალი ხელით ეჭიდება სახელურს, ცალი კი პირთან მიუდვია და ყვირის «ლო». მთვრალი კაცის ქვემოთ წერია «შიმხონი» («ლო» _ «ჩუმად», «შიმხონი» _ «მთვრალი». ქურდული ჟარგონი).

მოთხრობა გამოუქვეყნებელია.

მალხაზი და მე

არსებობს ამ მოთხრობის მხოლოდ თეთრი ავტოგრაფი (1+1_12გვ.), დასათაურებული, უთარიღო (დათარიღებისათვის, გარდა ზოგადი კრიტერიუმისა, იხილე წინა მოთხრობების შენიშვნები). ნაწერია თეთრი ავტოგრაფისათვის დამახასიათებელი სწორი, ლამაზი, გამოყვანილი ასოებით. ერთ-ორ ადგილას გვხვდება ფიგურული «ტ». პირველი გვერდი წარმოადგენს თავფურცელს. ზედა ნახევარზე წერია სათაური საგანგებოდ გამოყვანილი, ფიგურული ასოებით. წერის პროცესში მწერლის მიერ გადაშლილია რამდენიმე სიტყვა.

არქივში ცალკე საქაღალდეში ინახებოდა მოთხრობის თავფურცელი, ჩანახატით და სათაურით: «მალხაზი და მე». ფურცლის მთელ სიგრძეზე ხატია მაღალი, გამხდარი კაცის ფიგურა. ჩანახატი ძალიან ჰგავს მოთხრობის პროტოტიპს.

არ არის გამოქვეყნებული.

«საშინლად იკბინება მზე...»

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1 _ 12გვ.), ნაწერი მომსხო, გაკრული ხელით. არ არის ნასწორები არც წერის პროცესში, არც შემდეგ.

მოთხრობა გამოუქვეყნებელია.

«მთელი თვე ვუშლიდი მალხაზს სირბილს . . .»

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი (1_8გვ.), უსათაურო და დაუთარიღებელი, (დათარიღებისათვის, გარდა ზოგადი კრიტერიუმისა, იხ. წინა ავტოგრაფის კომენტარები). რამდენიმე ადგილას იხმარება ფიგურული «ტ». (მაგ. გვ. 2 წინადადებაში: «ზევიდან მოდიოდა ტრამვაი» «ტ»ში ჩახატულია ადამიანის სახე. ასევე გვ. 3: «ვაგონში ცოტა ხალხი იყო» სიტყვაში «ცოტა» და ა.შ.) გვ.4 სიტყვებიდან: «ახლა კი ნამდვილად დამინახეს» ბოლომდე დაწერილია შავი ფანქრით. პირველი გვერდი, შესაძლოა ჩემ მიერაც, დანომრილია რომაული «IV»-ით. ეს უნდა გულისხმობდეს მეოთხე მოთხრობას.

ერთხელ, საკვირაო ქადაგებისას, ერთ-ერთმა მოძღვარმა თქვა: ბევრად უფრო საშინელია ადამიანი, რომელსაც აქვს კეთილშობილი, მშვიდი, წესიერი კაცის ფორმა, ასეთადაა მიღებული, თვითონაც ასეთი ჰგონია თავი, ხოლო სინამდვილეში კი ასეთი არაა, _ ვიდრე აშკარა მრუში ან ქურდი, ის თავის სასჯელს დედამიწაზე იღებს.

ეს აზრი სხვადასვა ფორმით გამოკრთება ხოლმე გურამის როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე დღიურებში. ამის მაგალითია თუნდაც ეს მოთხრობა და შემდეგი ამონაწერი დღიურიდან:

«მალხაზი იმითაა პატიოსანი, რომ ქურდია. ის აკეთებს იმას, რაც გულში აქვს და იმსახურებს სასჯელს. მე არ ვაკეთებ, მაგრამ გულში მაქვს. რა ვქნა მე, უნაზესმა კაცმა, ადამიანი უნდა მოვკლა, რომ მივიღო ის სასჯელი, რაც მეკუთვნის?»

დღიურიდან: « ... აი, ტანჯვა _ მალხაზი, თუმცა მას სხვაზე ნაკლები არ ჰგონია თავი, ისე კი არი? არის იმით, რომ ის ქურდია, ვერ მიდის იქ, სადაც მიდიან სხვები, რცხვენია _ ეს კარგია რო რცხვენია, ფორმა აქვს გარკვეული და იმიტომ რცხვენია. სხვებს კი არ ცხვენიათ _ გამფლანგველებს, კომკავშირლებს, ქალიშვილების გამხეთქავებს, თვითონ ქალიშვილებს, ვინც ღალატობენ. უნდა იყოს ფორმა, ყველამ იცოდეს თავისი ადგილი. ვითომ?»

მოთხრობა გამოუქვეყნებელია.

პირველი დღე ზღვაზე, მივლინებაში

არსებობს ამ მოთხრობის როგორც შავი(1 _ 11გვ), ასევე თეთრი ავტოგრაფი(1 _ 8გვ.) და, აგრეთვე, ერთგვერდიანი ჩანაწერი. მოთხრობა არ არის დათარიღებული. დასათაურებულია მხოლოდ თეთრი ავტოგრაფი. შავი ავტოგრაფი დაწერილია წინა მოთხრობების მსგავს ფურცლებზე, მსგავსი ხელით. თეთრი _ სქელ, მოვარდისფრო ფურცლებზე. ასეთ ფურცლებს გურამი სხვადასხვა წლებში იყენებდა, როდესაც

შემოაკლდებოდა ხოლმე საწერი ქაღალდი. მაგალითად, ვარდისფერ ფურცლებზეა დაწერილი 1956 წლის დეკემბერში _ «პინგ-პონგის» თეთრი ავტოგრაფი, 1957 წლის იანვარში _ «ნადირობის» შავი ავტოგრაფი, 1957 წლის მარტში, აპრილში _ რამდენიმე მოთხრობის თეთრი ავტოგრაფი და სხვ. ამიტომ ფურცლის ხარისხსა და ფორმატს, სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით, დათარიღებისას არ დავყრდნობივარ. ჩანაწერი ამ მოთხრობისათვის გაკეთებულია ცალხაზიანი თაბახის ფურცლის ნახევარზე. ასეთი ტიპის ფურცლებზე, მოგვიანებით, დაწერილია მოთხრობა ბაბუაზე, დაახლოებით ამავე პერიოდში _ რუსული ლექსები (იხ. მეოთხე წიგნი) და სხვ. ამ მოთხრობის შემდეგ არც თეთრსა და არც შავ ხელნაწერებში თითქმის აღარა გვხვდება, ძირითადად, გაზაფხულისა და, ბევრად უფრო ნაკლები მასშტაბით, ადრეული შემოდგომის ავტოგრაფებისათვის დამახასიათებელი ფიგურული ასო «ტ», არც ფიგურულად გაფორმებული რიცხვი «1.» შეიცვალა, აგრეთვე, გაზაფხულის მოკლე მოთხრობის სტილიც, როდესაც გურამი, როგორც თვითონ წერს, ოდნავ დიდ ნაწარმოებსაც კი ვერ ქმნიდა. ეს ცვლილება დაიწყო ჯერ კიდევ ზაფხულში «უსახელო უფლისციხელით».

შავ და თეთრ ავტოგრაფებს შორის სხვაობა, ძირითადად, შემოიფარგლება აბზაცებით. შავი ავტოგრაფი მთავრდება წინადადებით: «... ისევ თბილად გავეხვიე საბანში». თეთრში _ დამატებულია სიტყვებიდან: «მეორე დილით სახლისპატრონმა გამაღვიძა» ბოლომდე. ჩანაწერში წერია თეთრი ავტოგრაფის ბოლო ორი აბზაცი, აგრეთვე, აბზაცი მომდევნო მოთხრობიდან «მუნჯი ახმედი და სიცოცხლე»: «ახმედი სიბნელეში იდგა. მთვარე ლილის გრძელ ჩამოყრილ თმებს, გაშტერებულ, უცრემლო თვალებსა და იმ ნაგლეჯში გახვეულ რაღაცას ანათებდა, რომლის მხოლოდ დამანჭული სახე მოჩანდა.» ასე რომ, ის დაწერილია იქამდე, სანამ შეიქმნებოდა მოთხრობა. ამ ფაქტში იგრძნობა გურამის შემოქმედებითი ლაბორატორიის ერთი თავისებურება: ის ხშირად მომავალ ნაწარმოებს ხედავდა მოთხრობის დაწერამდე, შეიძლება მკითხველისათვის სრულიად უმნიშვნელო დეტალიდან.

მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს 1957 წლის შემოდგომაზე. ეს ჩანს თვითონ ნაწარმოებიდანაც. თუმცა, შესაძლებელია, დაწერილად მიგვეჩნია წელიწადის სხვა დროსაც, თარიღი განმტკიცებული რომ არ იყოს სხვა ფაქტებითაც.

არქივში ინახება «ცისკრის» მიერ გურამის სახელზე გაცემული მივლინების ბარათი სოხუმში, დათარიღებული 1957 წლის 27 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე, ეს მივლინება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ მოთხრობების ციკლთან («მუნჯი ახმედი და სიცოცხლე,» «ის ერთი კვირა ყოველდღე გადიოდა ზღვაში», «პირველი დღე ზღვაზე, მივლინებაში»), რომელთაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ 1957 წლის შემოდგომის ზღვის მოთხრობები (წინა ტომში მოთავსებული ზღვის მოთხრობები დაწერილია 1956 წლის აგვისტოში).

როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში მოთხრობის შექმნის ისტორიისათვის ინფორმაცია ამჯერადაც თვითონ ნაწარმოებში შეიძლება მოვიძიოთ. გურამი «ცისკრის» რედაქციამ გაგზავნა ზღვაზე მეთევზეთა ცხოვრების შესასწავლად. ამის შესახებ ლაპარაკია, აგრეთვე, 1958 წელს, ალფრედ კურელასადმი მიწერილ წერილში: «С тех пор как мы расстались, я мало был в Тбилиси. Хотел во второй раз поэхать в Архоти охотиться за турами, но так и не удалось, Осень провел на море с рыбками, ловили ставридку. Вкусная рыба, только надо уметь хорошо поджарить. Водку на берегу Абхазии хорошо гонят, так что было не очень скучно.» მართლაც, გურამი 1957 წლის ზაფხულში იყო ხევსურეთში, შემდეგ სულ ცოტა ხნით _ ზღვაზე, ბათუმში (მოთხრობა «ზღვა არც თუ ისე ღელავდა ...» დაწერილი უნდა იყოს ამ დროს), შემდეგ

_ ქციაზე, შემდეგ, სექტემბერში _ ისევ ზღვაზე, უკვე აფხაზეთში. ბარათი დამოწმებულია მუსიკალურ სკოლაში. სოხუმში იმ პერიოდში მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა გურამის უახლოესი მეგობარი, მომავალში მისი მეუღლე და ქალიშვილის, ია რჩეულიშვილის, დედა _ ლინა ბეგიშვილი. ლინა იყო მუსიკოსი, უაღრესად განათლებული, გულისხმიერი და სიკეთით სავსე პიროვნება. არაერთი კეთილი საქმეა დაკავშირებული მის სახელთან. გარდაიცვალა გურამის დაღუპვიდან ათ წელიწადში. შეიძლება ითქვას, რომ ლინამ ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო გურამის პიროვნება, მისი სულიერი სამყაროს თავისებურება. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან გურამის ცხოვრება სავსე იყო თავგადასავლებით, რომელიც ქალისათვის არ იყო ყოველთვის მიმზიდველი და მხოლოდ რომანტიკული. არქივში შემონახულია ლინასა და გურამის მიმოწერა (იხ. მეხუთე ტომი). გურამი იმ პერიოდში იყო მოსკოვში, ლინა კი _ სოხუმში.

ამ მოთხრობების დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შემდეგი ჩანაწერი ერთ-ერთ დღიურში: «ჩემი ეჭვი, ზღვაზე დაწყებული, რომ მას აღარ ვუყვარვარ, დამწიფდა.» მართლაც, ზღვიდან ჩამოსვლის შემდეგ მოხდა საბოლოო განხეთქილება რ. თ.-სა და გურამს შორის. (იხ. აქვე სხვა მოთხრობათა შენიშვნები).

ეს მოთხრობა, ფაქტობრივად, შეიძლება ჩაითვალოს «მუნჯი ახმედი და სიცოცხლის» შესავალ ნაწილად. თუმცა არქივში შემორჩენილ სიაში მას ცალკე ნუმერაცია აქვს.

I სიაში _ «63. მივლინება ზღვაზე.»

მოთხრობა გამოუქვეყნებელია.

მუნჯი ახმედი და სიცოცხლე

არსებობს მკრთალი მელნით, ძალიან გაკრული ხელით, ნაწილებად დაყოფილი შავი(1 _3გვ.), (1_27გვ.), (1_10გვ.), (1_4გვ.) და თეთრი ავტოგრაფი (1_33გვ.), ნაწერი, როგორც სხვა თეთრი ავტოგრაფები, ლამაზი, გამოყვანილი ასოებით და მუქი მელნით. ეს ავტოგრაფი არ არის დაყოფილი ნაწილებად. შავი ავტოგრაფი უსათაუროა და დაუთარიღებელი. თეთრ ავტოგრაფს აქვს სათაური, არა აქვს თარიღი. შავი ავტოგრაფი დაწერილია ერთნაირ, ივლის-აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბრის მოთხრობებისაგან განსხვავებულ, თაბახის ფურცლებზე (თარიღისათვის იხ. წინა მოთხრობების შენიშვნები).

შავი ავტოგრაფის წერა რამდენჯერმეა განახლებული. ზოგიერთი სიტყვა ან მთელი წინადადება გადაშლილია იმავე ფერის მელნით, როგორც ჩანს, წერის პროცესშივე, ზოგიერთი კი _ მუქი ფერის მელნით, ალბათ, ხელახალი გადაკითხვისას. თეთრ ავტოგრაფში გათვალისწინებულია შავ ავტოგრაფში შეტანილი სწორებები.

სხვაობა თეთრსა და შავ ავტოგრაფს შორის:

წერია მხოლოდ თეთრ ავტოგრაფში, შემდეგ გადაშლილია: *«ადამიანური უფლებით იწყებდა მისი გული მოძრაობას. აგონდებოდა ლილი, ბუნდოვნად გრძნობდა, რომ კაცის გადარჩენით ხელი შეუშალა ვინმეს ისე გაუბედურებას როგორიც გახდა ლილი იმ ორი სიკვდილის შემდეგ. საკუთარ თავზე ის საერთოდ ვერა ფიქრობდა.»*

წერია მხოლოდ შავ ავტოგრაფში, შემდეგ გადაშლილია მწერლის მიერ _ გვ.3*: «მერე ფეხებით კიდებდა. ულონო სხეულიდან ნაყლაპი წყალი გადმოდიოდა და*

მიმქრალი სიცოცხლე იღვიძებდა გადარჩენილში.» შავი გვ. 2: *«და კიდევ ის იცოდა ლილიმ, რომ ახმედი მისი ქმარი იყო.»* ეს წინადადება გადატანილია თეთრში და შემდეგ -_ გადაშლილი.

ცალკე ქაღალდის ნაგლეჯზე წერია სათაური.

თეთრი ავტოგრაფის ბოლო, ცარიელ გვერდზე სხვა ხელით წერია «გურამ რჩეულიშვილი», რამდენიმე ადგილი გახაზულია ფანქრით, როგორც ჩანს, ხელნაწერი მზადდებოდა გამოსაცემად.

I სიაში დასათაურებულია როგორც _ «72. ახმედი და ზღვა.»

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ «ცისკარში»@[1]10, 1960 წელს, შემდეგ _ კრებულში «სალამურა», 1985 წელს _ კრებულში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

«ის ერთი კვირა ყოველდღე გადიოდა ზღვაში . . . «

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_14გვ.), უსათაურო და უთარიღო. (დათარიღებისათვის იხ. წინა მოთხრობათა ავტოგრაფები.) დაწერილია წინა ავტოგრაფების მსგავს ფურცლებზე, მსგავსი მელნითა და ხელით. წერის პროცესში გადაშლილია რამდენიმე სიტყვა და ერთი აბზაცი. არეზე გაკეთებულია ორი მინაწერი: გვ. 1, «მეთევზეები იმით ტრაბახობენ, ვინ დიდი და ბევრი თევზი დაიჭირა. ამინდით, ქარიშხლით არა, ისე თუ ახსენებენ.» «პლიაჟზე ვინც იწვა, შავდებოდა, უნდოდა მისი ტანი ყოფილიყო ყველაზე შავი, შორს მიცურავდნენ და ყველას ეგონა, რომ სხვები მას ...» გადაშლილი აბზაცი: « თვითონ სულ სამ-ოთხ გოგოსთან ქონდა რაღაც მოწონების მსგავსი, მაგრამ არავინ ყვარებია. ახლა, როცა ზღვაზე მოდიოდა, მატარებელში შეხვდა თავისზე უფროსი გოგო, რომელიც მის მეზობელზე იყო გათხოვილი, მერე გაეყარა.»

გვიანი შემოდგომის მოთხრობებში სულ ცოტა ხნის განმავლობაში მწერალი თავის ალტერ ეგოს არქმევს გიოს. «გიო» ჰქვია მას, აგრეთვე, პიესა «მარინასა» და მოთხრობა «ირინა და მესათვის» 1957წლის ბოლოს გაკეთებულ ჩანაწერებში. (იხ. მესამე წიგნი, შენიშვნები მოთხრობისათვის «ირინა და მე», «მარინა»). 1958 წელს «ირინა და მეს» და «მარინას» შავ ავტოგრაფებში «გიო» კვლავ შეიცვალა «გურამით».

სათაურით «გიო», მოთხრობა პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს კრებულში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს».

«კედელთან მიდგმულ უზარმაზარ ხის საწოლზე. . . «

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_15გვ.), უსათაურო და უთარიღო, და ორი ჩანაწერი მოთხრობისათვის (1გვ.), (1-2გვ.). დათარიღებულია ქაღალდის და ხელწერის მიხედვით. ნაწერია ცალხაზიან თაბახის ფურცელზე. ასეთი ქაღალდი პირველად შეგვხვდა მოთხრობისათვის «პირველი დღე ზღვაზე, მივლინებაში» გაკეთებულ ჩანაწერში. მსგავს ქაღალდზეა დაწერილი დაახლოებით 1957 წლის ბოლოს, რუსული ლექსები. აგრეთვე, ალბათ 1958 წლის დასაწყისში გაკეთებული ამონაწერები მითოლოგიიდან (იხ. ტომი 4). ამ დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს, აგრეთვე, ერთი მოტივი, რომელიც ამ მოთხრობისათვის გაკეთებულ ჩანაწერშიც გვხვდება. როგორც უკვე ვთქვი, გურამის შემოქმედება, უმეტესად, ავტობიოგრაფიულია. ამიტომ დათარიღებისათვის ბევრი ინფორმაცია მოიპოვება

თვითონ ნაწარმოებებშიც. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ 1957 წლის გვიან შემოდგომაზე გურამი და მისი მეგობარი გოგონა (მოთხრობაში მოიხსენიება როგორც ლეილა) ერთმანეთს უკვე აღარა ხვდებოდნენ: «არაფრით არ უტყდებოდა თავს, რომ პანაშვიდზე შეიძლება მოსულიყო ლეილა» (იხ. აგრეთვე შენიშვნები წინა მოთხრობისათვის: «ჩემი ეჭვი, ზღვაზე დაწყებული ... «).

თავდაპირველად მოთხრობა ნაწერია თეთრი ავტოგრაფისათვის დამახასიათებელი ხელით _ გამოყვანილი, მყარი ასოებით, მუქი მელნით. თანდათანობით ის უფრო სწრაფი და გაკრული ხდება. წერა განახლებულია მეცხრე გვერდზე სიტყვებიდან *«შუშაბანდში უფრო დაცხა»* კვლავ მყარი და გამოყვანილი ასოებით. ხელწერა მომდევნო გვერდებზე ისევ არამყარი და გაკრულია. ორი ადგილი გახაზულია წითელი ფანქრით. რამდენიმე სიტყვა გადახაზულია წერის პროცესში იმავე კალმით.

ჩანაწერები გაკეთებულია ისევ ცალხაზიანი თაბახის ფურცელზე:

«ლეილას მოსვლის შეძლება.

ეს არის მიზეზი ნამდვილი, არა!

ლოდინი, რომ რაღაც უნდა მოხდეს, რასაც ელის ერთი წელი, რაც დაკუტდა ბაბუა, ეს აგიჟებს.

თმები ცხვირზე.

სიკვ. თვითონ ამბობს, მაგრამ ტყუის.

ახლის მოლოდინი სიკვდილში - ეგოიზმი?

კიდე ერთი თაობით ახლო სიკვდილთან.

გვირგვინები.

! დილიდან არ მოეწია პაპიროსი. დაავიწყდა. ახლა წევს.

აი, ახლაც უნდა იმის ფასად _ სიკვდილის ფასად მისი მოსვლა, ისე კი არა, პირდაპირ _ რა ფასი აქვს ისე.

1. აი, ხედავ, მოშარდა მოწმეების თანდასწრებით, მიუფურთხებია ყველასთვის. სირცხვილი? რაღაც ზედმეტი ამბები. აი, ახლა არის ეგ ნატურალური სიცოცხლე, თავის ცხოვრების სურვილით. წინ კი ალბათ შიშველ ხორცს არ ანახვებდა არავის, არა? (გადაშლილია: ისე კი ვიცი მაგათი, თავადების ამბავი.)

რა ოხერია კაცი: სახლს ნატრობს, ოთახებს აგირავებს. ის უნდა, ფული, ღირს შეცოდება ტანჯვისათვის, არა, ვინც გეცოდება, გეჯავრება. ბაბუა?

არა.

მაინც მოკვდეს თუ არა, ჰო.

იმედი მომავლის რა არის?

მაგ. წამი. წამი ხო კარგია, როცა მომავალზე ფიქრობ.»

მინაწერები ამავე გვერდზე:

«ტელეფონი: 3_35_87.

ხუთწლედის 16

საამშენებლო კაც.»

ჩანაწერი ცალკე გვერდზე:

«ცუდად იყო ბაბუას სიცოცხლის საქმე. ახურებდა და სხვა.

დარეკეს. ბიცოლა

_ შარდის საქმე როგორ არის? _ სასწრაფოდან ვართ, მარტო ხართ ,დაგირეკეთ

_ მადლობთ, შარდის კარგად, მოდის.

გურამმა ყურმილი დაკიდა და უზარმაზარი ხის საწოლის გვერდზე ჩამოჯდა.»

ბაბუა კოტეს პროტოტიპია გურამის ბაბუა, დედის მხრიდან, სიმონი. (იხ. აგრეთვე, პირველ ტომში შენიშვნები მოთხრობისათვის «შემოდგომა ბაბუა კოტესი.»)

მწერლის დღიურებში, ჩანაწერებსა და პირად წერილებში ბაბუა გურამის ურთიერთობისათვის ბევრი მასალის მოძიება შეიძლება. მომყავს ზოგიერთი ამონაწერი:

«დედა

წყალტუბოდან 15-ში ღამე გამოვედი ჩიჩიკას დასაფლავებაზე დასასწრებად _ _ მარო იქ დავტოვე. მეორე დღესვე მივედი ბაბუასთან, დავბანე, გავპარსე, გავკრიჭე _ ბაბუშკა არ დარჩენილა მასთან, სამაგიეროდ გოგო დაუტოვებიათ და მშვენივრად უვლის. საღამომდე იქ ვიყავი, წავიკითხე ბაბუასთან მოწერილი შენი წერილი. ბაბუამ მთელი კბილები დაიძრო, ახლა შეხორცებას ელის, რომ ახალი პროტეზი ჩაიდგას _ მე ხშირად ვივლი იმათთან, ისე რომ შენ ნუ შეწუხდები, იყავი მანდ წყნარად და ბოლომდე .... ბაბუა თუ კარგად იქნა წავიყვან წყნეთში.

გურამი.»

«... საწყალი ბაბუა, უფრო შემეკუმშა გული, როცა წარმოვიდგინე იქ, მეხუთე სართულზე შეკეტილი, მთელი დღე მარტო, ხმის გაუცემლად, საჭმლით, რომელსაც მისი დასუსტებული ორგანიზმი ყველაზე ნაკლებად საჭიროებს ... უნდა შეიკეტოს იქ მეხუთე სართულზე მარტო, სულ მარტო, იმიტომ რო არავის არ უნდა მასთან ბაასი, მასთან სანახავად მისული სტუმრებიც კი იქით ოთახში სხედან, იმ მიზეზით, რომ სიმონი ავადაა და დიდხანს შეწუხება არ შეიძლება. დედას ბავშვები გამოჰყავს იმ ოთახიდან, რომ ბაბუა არ შეაწუხონ, ბაბუას კი უბრალოდ არ უნდა თქვას რა უნდა, წევს, იწყენს და ელოდება სიკვდილს ოთკუთხა, უშნო, მიუხედავად ავეჯის სიუხვისა, ცარიელად მდგარ კედლებში და არა კვდება ....და ისე სევდიანი, მწუხარე იყო ბაბუას სახე, წყლიანი თვალები მარტოკა რომ უყურებდნენ თეთრ ჭერს, ყრუდ გამოკეტილ ოთახში, სადაც ტუმბოჩკაზე პორტსიგარი დევს, ისეთი კარგი და სავსე ამ სიმარტოვესთან ერთად, რომ ზღვარი დავკარგე ჩემ და მის სხეულს შორის...»

I სიაში არქივიდან მოიხსენიება როგორც _ «73. ხის უზარმაზარ საწოლზე».

პირველად გამოქვეყნდა კრებულში «სალამურა» 1965 წელს, სათაურით «მოლოდინი».

«ბაცი სათოვლე ღამე ჩაწვა . . .»

არქივში შემორჩენილია მხოლოდ ერთი ავტოგრაფი(1_9გვ.), უსათაურო და უთარიღო. ნაწერია მწერლის თეთრი ავტოგრაფებისათვის დამახასიათებელი მყარი, ლამაზი, გამოყვანილი ასოებით, მუქი მელნით. ან არსებობდა ეს ავტოგრაფი მხოლოდ ან შავი ავტოგრაფი დაიკარგა. მსგავსი მელნით დაწერილია წინა მოთხრობა «კედელთან მიდგმულ უზარმაზარ ხის საწოლზე». დათარიღებულია ჩემ მიერ შემუშავებული ზოგადი კრიტერიუმის საფუძველზე. მსგავს ფურცლებზეა დაწერილი მომდევნო მოთხრობა «ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა ...» აგრეთვე, 1957 წლის ბოლოს რამდენიმე დღიური. დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მწერლის ალტერ ეგოს სახელი გურამი, რომელიც მოგვიანებით შემოვიდა მწერლის შემოქმედებაში. არ იხმარება 1957 წლის გაზაფხულის მოთხრობებისათვის დამახასიათებელი ფიგურული ასო «ტ».

რამდენიმე ადგილი გახაზულია შავი ფანქრით. ისეთივე ფანქრით, სხვა ხელით, მოთხრობის ბოლოს წერია «გურამ რჩეულიშვილი». სავარაუდოა, რომ მოთხრობა მზადდებოდა გამოსაცემად. ერთი აბზაცი, გადახაზული მწერლის მიერ, მის მიერვეა სხვა ადგილას ჩასმული. რამდენიმე ადგილას წარსული დროის მაჩვენებელი სუფიქსები შეცვლილია აწმყო დროით.

ჩვენი ბებო, ალექსანდრა(საშა) ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის და (იხ. სხვა მოთხრობათა შენიშვნები პირველ ტომში), ხოვლედან იყო. მთაზე, სოფლის განაპირას, მართლაც, დგას ჩვენი ბებიასეული სახლი, რომელშიც ახლა ივანე ჯავახიშვილის სახლმუზეუმია მოთავსებული. გურამის სიცოცხლეში ჯერ ის მუზეუმად არ იყო გადაკეთებული. გურამი სხვადასხვა წლებში რამდენჯერმე იყო ხოვლი-გორის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ეს მოთხრობა შეიძლება დაეწერა ექსპედიციაში ყოფნისას, ან ექსპედიციიდან დაბრუნებისთანავე. თუმცა ზამთარი, ცხადია, არ შეესაბამება არქეოლოგიური ექსპედიციის დროს. არ გამოვრიცხავ, თუმცა არ მახსოვს, რომ გურამი ახალწლის ღამეს, მართლაც, წასულიყოს ხოვლეში. როგორც ამბობენ, იქაური მაცხოვრებლები გურამს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ და ბატონიშვილს ეძახდნენ. სიამოვნებით ათხოვებდნენ ხოლმე თურმე ცხენსაც საჯირითოდ. თუმცა გურამი, როგორც ხოვლეს ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა მითხრა, ხანდახან არც ხარის ჯირითს ერიდებოდა ხოლმე, რითაც, ცხადია, ხოვლელების გულისწყრომას და აღშფოთებას იმსახურებდა. მახსოვს ბავშვობის დროიდან ბებოს ნაამბობი: სიღნაღში ყოფნისას, თუ ცხენი არ იყო, გურამი ვირს აჭენებდა. დიასახლისს ერთხელ უთქვამს: ქალაქში რო წახვალთ, ეს ვირი თან წაიყვანეთ, მე ეგ ვირად აღარ გამომადგებაო. ადრე ავკიდებდი საფქვავს და ნება-ნება გავუყვებოდი წისქვილის გზას. ახლა კი, ამ ბიჭს რო დაინახავს, დაოთხილი გარბის საითკენღაც და ვერაფერს ვაგონებო.

ამ მოთხრობის გმირის ახლად შობილი ნათლულის მოსახელე გიორგი ჯავახიშვილი, ვის პატივსაცემადაც გაიხსენა გურამმა ეს სახელი, იყო ბებოს ძმა, ცნობილი მეცნიერი, ბიოლოგი, პალეონტოლოგი. გარდა უშუალოდ თავისი სპეციალობისა, პაპა გიორგი დაჯილდოებული ყოფილა განსაკუთრებული ფილოლოგიური ნიჭითაც. გიორგი ჯავახიშვილის აზრს ძალიან აფასებდნენ მისი მეგობრები _ აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და სხვები. მათთან გიორგის ახლო ურთიერთობა აკავშირებდა სიცოცხლის ბოლომდე. ივანე ჯავახიშვილი თურმე მაღალ შეფასებას აძლევდა უმცროსი ძმის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. გიორგი ჯავახიშვილის არქივში (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში) შემონახულია არა ერთი და ორი შრომა ქართულ ფოლკლორისტიკაშიც.

გურამის არქივში ინახება ვრცელი ჩანაწერი: «ორიოდე სიტყვა პაპაჩემს გიორგიზე» (დაიბეჭდება მეხუთე ტომში).

პირველად, სათაურით «ახალი წელი», ეს მოთხრობა გამოქვეყნდა 1985 წელს კრებულში «მოთხრობები. პიესა.»

«გიოს ვუთხარი . . .»

ეს პატარა, ნახევარგვერდიანი ჩანაწერი, ისე როგორც მომდევნო, გრაფიკულად და სტილისტურად, აშკარად, გაფორმებულია როგორც მხატვრული ნაწარმოები. ქრონოლოგიურ ჩარჩოში მისი ადგილი მიახლოებითაა დადგენილი. ის წერია ბაბუას შესახებ დაწერილი მოთხრობის მსგავს ცალხაზიან თაბახის ფურცლებზე. ამ

ფურცლის დასაწყისში შტრიხებით ჩახატულია სამელნე. შემდეგ მწერლის ფაქსიმილე, მოხაზულია კაცის სახე ანფასში, გვერდით _ პროფილში, შუა გვერდზე ჩახატულია ისევ კაცის სახე ანფასში. მის გვერდით, წვრილი ასოებით _ კვლავ მწერლის ფაქსიმილე.

ჩანახატი გამოუქვეყნებელია.

«მეკითხებიან: რას აკეთებ?»

ამ ჩანახატის ადგილი ქრონოლოგიურ ჩარჩოში მიახლოებითაა დადგენილი (იხილე შენიშვნა წინა მოთხრობისათვის).

ჩანახატი გამოუქვეყნებელია.

«ყველაზე ძალიან ეს ბოლო სურათი მომწონდა ...»

არსებობს მხოლოდ შავი ავტოგრაფი(1_13გვ.), უსათაურო და დაუთარიღებელი. ნაწერია თავიდანვე გაკრული ხელით, წინა ავტოგრაფების მსგავს ფურცლებზე, მსგავსი მელნით, რაც, შინაარსთან ერთად, დათარიღების საკმაოდ მყარ საფუძველს იძლევა. მოთხრობა მწერლის მიერ არ არის ნასწორები. თაბახის ფურცლის გვერდები კიდითკიდემდეა შევსებული. ესეც დამახასიათებელია 1957 წლის ბოლო, 1958 წლის და მომდევნო წლების ავტოგრაფებისათვის. ამ ხელნაწერში ინტენსიურად იხმარება ფიგურული «ტ», დამახასიათებელი უფრო 1957 წლის ადრე გაზაფხულის ავტოგრაფებისათვის. თუმცა შინაარსის მიხედვით, ისე როგორც ზემოთ მოხმობილი მიზეზების გამო, ის უნდა იყოს დაწერილი გვიან შემოდგომაზე. ეს ფაქტი იძლევა ამ ასოს ფიგურული ხმარების თაობაზე დამატებით ინფორმაციას. მომდევნო წლებშიც, მართალია, უკვე ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც, ეს ასო გამოჩნდება ხოლმე როგორც უშუალო მოწმობა დილემის წინაშე მდგარი მწერლის მაქსიმალურად დაძაბული, ინტენსიური სულიერი ცხოვრებისა.

შინაარსიდან ჩანს, რომ ლადო ქოქიაშვილის მკვლელობა (1957 წლის მაისი) უკვე მომხდარია (იხ. შენიშვნები სხვა მოთხრობებისათვის). ამ მკვლელობამ საოცარი გავლენა მოახდინა გურამის სულიერ სამყაროზე. მომდევნო წლების ნაწარმოებებში სხვადასხვანაირი სახით მოხდა მისი ტრანსფორმაცია (იხ. შემდეგი ტომები). გურამის ბიოგრაფიისა და შემოქმედებისათვის ასევე მნიშვნელოვანი შეიქნა მისი ურთიერთობა რ.თ.-სთან. როგორც ამ მოთხრობაში ჩანს, 1957 წლის გვიანი შემოდგომისათვის ეს ურთიერთობა უკვე დაშორებისაკენ მიდიოდა. განსხვავებით 1957 წლის იანვარ-თებერვლისა, როდესაც ის დაიწყო და ამავე წლის გაზაფხულის თვეებისა, როდესაც მან თავის მწვერვალს მიაღწია. ამ პერიოდის ერთ-ერთ დღიურში გურამი გაბრაზებული წერს თავის თავზე, რომ დაშორებისთანავე მან დაიწყო თავისი მეგობარი გოგონას «გამოქანდაკებისათვის» პირველი შტრიხების ჩანიშვნა («მორჩა. მე უკვე ვაქანდაკებ მას, ქანდაკებას კი შტრიხები უნდა, ძირითადი და სხვა ხარისხებისა, მთავარია დავიჭირო ძირი და ის სხვა ხარისხებით გავაკეთო! ნატურა მზად არის. «ღფრ 'ნჯ გჯიკჯ» ამონაწერი 1957 წლის დღიურიდან). მოთხრობაში უცვლელად მეორდება რამდენიმე პასაჟი ამ პერიოდში დაწერილი დღიურებიდან (იხ. მეხუთე ტომი და, აგრეთვე, შენიშვნები ამავე ტომში მოთავსებული მოთხრობისათვის «კედელთან მიდგმულ უზარმაზარ ხის საწოლზე....»).

ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების ძიება, მაგისტრალურ სიუჟეტად რომ მიჰყვება გურამის მთელ ცხოვრება-შემოქმედებას, ამ მოთხრობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაზაში იმყოფება (იხ. შენიშვნები: «სასამართლო გადის განაჩენზე» და მომდევნო ტომები).

ბოლო ცარიელ გვერდზე მინაწერია: «წერეთლის 1 _5. ცინცაძე ზაური [ან გრიშა])»

მოთხრობა, სათაურით «სადიპლომო ნამუშევარი», პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს კრებულში «სად გაექცევი ზამთრის ღამეს.»